Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

35

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1951

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის
საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1958

ვ. ი. ლენინი

ტომი

35

1912 თებერვალი — *1922* დეკემბერი

წინასიტყვაობა

ოცდამეთხუთმეტე ტომი შეიცავს ლენინის წერილებს, დეპეშებსა და ბარათებს, რომლებიც დაწერილია მის მიერ 1912 წლის თებერვლიდან 1922 წლის დეკემბრამდე.

ტომის დოკუმენტები ასახავენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში, მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხუთ წელიწადში.

წერილები, რომლებიც ეკუთვნის ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებს — გაზეთ «პრავდის» რედაქციისადმი, ი. მ. სვერდლოვისა და სხვებისადმი, — გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის «პრავდისა» და IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობის დარგში, შეიცავენ სახელმძღვანელო მითითებებს ეროვნულ საკითხში. წერილებში გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისადმი ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევს ი. ბ. სტალინის ნაშრომს «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი».

მთელი რიგი წერილები: ა. მ. გორკისადმი, გ. კ. ორჯონიკიძისა და სხვებისადმი გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას პარტიული ძალების დასარაზმავად პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მის ბრძოლას იუდა ტროცკის მიერ მოწყობილი აგვისტოს ანტიპარტიული ბლოკის წინააღმდეგ.

ტომში შესული წერილების დიდი ჯგუფი ასახავს ვ. ი. ლენინის ბრძოლას იმპერიალისტური ომისა და აშკარა სოციალ-შოვინისტთა, კაუცკელთა და ტროცკისტთა გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ; ამხილებს პარტიის ფარული ჰტრების — პიატაკოვის, ბუხარინის, ზინოვიევისა და მათი პომხრეების ანტიპარტიულ საქმიანობას. ეს წერილები აშუქებენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას რუსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობის დარგში, სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის საბრძოლველად საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ჭეშმარიტნენ ელემენტების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით დარაზმვის დარგში.

ტომში შედის მნიშვნელოვანი ჯგუფი ვ. ი. ლენინის წერილებისა ინესა არმანდისადმი. ეს წერილები შეიცავენ ბოლშევიკების თეორიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს დებულებებს ომის. ზავისა და რევოლუციის საკითხებზე. მათში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების საკითხს.

1918 — 1920 წლების წერილები და დეპეშები შეიცავენ ვ. ი. ლენინის დირექტივებს ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე, საბრძოლო დავალებებს წითელი არმიისადმი და მითითებებს საბჭოთა ზურგის განსამტკიცებლად. ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის მიწერ-მოწერა ასახავს ლენინისა და სტალინის დიად თანამეგობრობას უცხოელი სამხედრო ინტერვენტებისაგან ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობაში და შინაგანი კონტრრევოლუციის ძალების განადგურებაში. თავის მითითებებში რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი ვ. ი. ლენინი მტკიცედ მოითხოვს სასწრაფოდ შეასრულონ ყველა მოთხოვნა ი. ბ. სტალინისა, რომელიც იმყოფებოდა ფრონტის ყველაზე ძნელ უბნებზე, სადაც წყდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ბედი.

წერილების ჯგუფი შეიცავს რევოლუციური სამხედრო საბჭოს მუშაობის მკაცრ კრიტიკას. ამ წერილებში, აგრეთვე ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოებისათვის გაგზავნილ დეპეშებში მხილებულია საეჭვო მოქმედება ტროცკისტებისა, რომლებიც გამძვრალი იყვნენ ხელმძღვანელ სამხედრო პოსტებზე და ცდილობდნენ. ჩაეშალათ წითელი არმიის წარმატებანი, გაეძნელებინათ საბჭოთა ხალხის ბრძოლა უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

1921 — 1922 წლების წერილებში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის საკითხებს. ამ პერიოდის დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებისადმი — ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, კადრების სწორი შერჩევისა და შესრულების სისტემატური შემოწმების, სახელმწიფოს მართვაში მშრომელი მასების ჩაბმისადმი.

ამ წლების მიწერ-მოწერა ცხადყოფს ვ. ი. ლენინის განსაკუთრებულ ზრუნვას მეცნიერებსა და მწერლებზე, საბჭოთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე. ასეთია წერილები ქვეყნის ელექტრიფიკაციის გეგმის პროპაგანდის, რადიოგამოგონებათა მნიშვნელობის, თანამედროვე რუსული ენის ლექსიკონის შედგენის, ბიბლიოთეკებისა და სკოლების მუშაობის შესახებ, აგრეთვე წერილები, რომლებიც შეიცავენ მითითებებს სამოქალაქო ომის ისტორიისა და საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიისათვის მასალების შეგროვების შესახებ.

ტომში იბეჭდება 175 დოკუმენტი, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში (ეს დოკუმენტები ტომის შინაარსში აღნიშნულია ვარსკვლავით — *); მათგან 23 დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

ოცდამეთხუთმეტე ტომში შესული წერილები და დეპეშები დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით; რუსეთიდან გაგზავნილი წერილები აღნიშნულია ძველ სტილით, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი — ახალი სტილით. ლენინის მიერ

დათარიღებულ წერილებში თარიღების ადგილი და დაწერილობა დატოვებულია ხელნაწერის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა ლენინის ხელნაწერში თარიღი არ არის, იგი მოცემულია რედაქციის მიერ წერილის ბოლოს.

მოკლე შენიშვნების გარდა მოცემულია იმ ფსევდონიმების, მეტსახელებისა და ინიციალების გაშიფრვის ალფაბეტური მაჩვენებელი, რომლებიც წერილების ტექსტში გვხვდება.

ამ ტომით მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემა.

1912 წ.

1

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

მალე გამოგიგზავნით კონფერენციის გადაწყვეტილებებს[1]. ბოლოსდაბოლოს მოხერხდა — ლიკვიდატორ არამზადათა საწინააღმდეგოდ — პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა. იმედი მაქვს, თქვენც გაგახარებთ ეს ჩვენთან ერთად.

ხომ არ დაწერთ სამაისო ფურცელს? ან პატარა ფურცელს ასეთივე სამაისო სულისკვეთებით? მოკლეს, «სულიერი სიმხნევის მომცემს», ჰა? მოიგონეთ ძველი დრო — ხომ გახსოვთ 1905 წელი — და დაწერეთ ორიოდე სიტყვა, თუ წერის ხალისზე მოხვიდეთ. რუსეთში 2 — 3 არალეგალური სტამბაა, და ცენტრალური კომიტეტი, ალბათ, რამდენიმე ათეულ ათას ეგზემპლარად გამოსცემს. კარგი იქნება გვექნეს «ზვეზდის» ზღაპრების ტიპის[2] რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პოეკლამაცია. ძალიან, ძალიან მიხარია, «ზ ვ ე ზ დ ა ს» რომ ეხმარებით. საშინლად გვიჭირს მისი გაძღოლა — როგორც შინაგანი და გარეშე, ისე ფინანსური სიძნელენი განუზომელია — მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვახერხებთ.

ხელს გართმევთ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «სოვრემენნიკი» კი როგორც იქნა მოკვდა! კარგადაც მოიქცა, რომ ასე ქნა.

დაწერილია 1912 წლის თებერვალში
გაგზავნილია პარიზიდან კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

2

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

ძალიან მიხარია, რომ დათანხმდით სინჯოთ საშაისო ფურ-ცლის დაწერა.

კონფერენციის გადაწყვეტილებებს ამასთან გიგზავნით.

«ჟივოე დელო» ვნახე. ბილწი ლიკვიდატორული ნაჯღაბ-ნია «მიკიბ-მოკიბვით». ლიბერალური ქადაგებაა; უხარიათ, რომ პოლიცია ხელს უშლის პარტიის საკითხის აშკარად დაყენებას.

«ზვეზდა» გაგრძელდება ან როგორც ყოველკვირეული ან ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი კ ა პ ი კ ი ა ნ ი ს ს ა ხ ი თ. შესა-ნიშნავი **«ზლაპრებით»** თქვენ ძალიან, ძალიან ეხმარებოდით **«ზვეზდას»** და ეს მე უაღრესად მახარებდა, ასე რომ სიხარული — პირდაპირ რომ ვთქვა — სჯობნიდა ჩერნოვებ-თან და ამფიტეატროვებთან თქვენი «რომანით» გამოწვეულ სევდას... უუ! უნდა გამოვტყდე, მიხარია, რომ მათ «ეფუ-შებათ».

თქვენ რომ საარსებო საშუალება არა გაქვთ და ვერსად ბეჭდავთ, ეს კი ცუდია. ეჰ, კარგი იქნებოდა, აქამდე რომ გა-გეგდოთ წურბელა-პიატნიცკი და მიგეჩინათ პატიოსანი ნოქარი, უბრალო ნოქარი «ზნანიესათვის» (იქნებ ეს უკვე გვიან იყოს, არ ვიცი)!!! ეს რომ გექნათ... ოქროში ჩაეფლობოდით...

როქკოვის «ირკუტსკოე სლოვოს» ძალიან იშვიათად ვხედავ. ეს კაცი ლიკვიდატორი გახდა. ხოლო ჩუქაკი მთლად სულელი და შტერია, თანაც პრეტენზიებიანი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მარიამ თევდორეს ასულს მადლობა მოსკოვში გაგზავნილი წერილისათვის და ათასი სალამი!

დაწერილია 1912 წ. თებერვალ-მარტში
გაგზავნილია პარიზიდან კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8

8. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო ამხ.!

ვიჩქარი გიპასუხოთ ზოგიერთ თქვენს კითხვაზე. რეფერატი კონფერენციის შესახებ აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ, რაკი იკისრეთ, უკვე შემოივლით მ თ ე ლ შვეიცარიას, და არა მარტო ორ ქალაქს.

«ცნობიდან არ შემიძლია გამოვიყვანო დასკვნა იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მან გადადგა იმისათვის, რომ მოიზიდოს საზღვარგარეთის სხვადასხვა მიმდინარეობა და ნაციონალური ორგანიზაცია». ასე იწერებით თქვენ.

მაგრამ ც ნ ო ბ ა შ ი პირდაპირ და ზუსტად არის ნათქვამი, რომ მოწვეული იყვნენ ვ პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ი[3] + ტ რ ო ც კ ი + პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ხოლო ნაციონალები სამჯერ? მეტი რაღა გინდათ?

ლუნაჩარსკიმ პარიზში ზინოვიევის რეფერატზე ისეთი უსირცხვილობა გამოიჩინა, რომ ამბობდა აქ «Gaunerkniff»-ი* იყოო, ვინაიდან კონფერენცია კი არ იწვევდა, არამედ დელეგატები, რომლებიც **იკრიბებოდნენო.** — დახე, განა არამზადა არაა ეს ლუნაჩარსკი? 23 სხდომა = 12 დღე: წ ი ნ ა ს წ ა რ რომ არ მოეწვიათ, მოწვეულები ნახევარს გამოტოვებდნენ (წერილის გაგზავნა, სახვედრების მიცემა, ჩამოსვლა — იანგარიშეთ!). ტროცკის წერილიდან კი ჩანს, რომ იწვევდა **7 კაცი** = მთელი რიცხვის 14-ის ½.

მე მოწვევის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვიყავი, მაგრამ დელეგატებმა მ ო ი წ ვ ი ე ს ვპერიოდელებიც, ტროცკიც და პლეხანოვიც.

---

* — **«ყალთაბანდური ფანდი». რ ე დ.**

სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ კიევის დელეგატი (მენშევიკი) იყო. ტროცკიმაც კი აღიარა (ძალაუნებურად!), რომ ეს უდავო ორგანიზაციაა.

ვის დაუჯერებს მუშა? კიევის ორგანიზაციას თუ საზღვარგარეთელ ყბედებს?

ხმებს ნუ დაუჯერებთ. არც პლეხანოველები, არც ვპერიოდელები, არავინ არ წასულა კონფერენციიდან. სულ **ორი** პარტიელი მენშევიკი იყო: ერთი — კიევიდან — მას ძალიან თავაზიანად ეჭირა თავი და საერთოდ ჩვენთან ერთად იყო. მეორე — ეკატერინოსლავიდან — ის ძალიან კინკლაობდა, **მაგრამ ისიც არ წასულა კონფერენციიდან**, მხოლოდ «პროტესტები» შემოჰქონდა პლეხანოვის ყაიდაზე.

ეკატერინოსლავის დელეგატმა შემოიტანა თავისი პროექტი რეზოლუციისა კონსტიტუირების შესახებ, სადაც სავსებით აღიარა, რომ ყველას ჰქონდა შეტყობინებული, პროტესტს აცხადებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც არ გამოცხადდა, მაგრამ სურდა, რომ კონსტიტუირება მომხდარიყო როგორც რუსეთის ორგანიზაციების კონფერენციისა. იგი **მარტო** დარჩა ამ წინადადებით.

ახლა 12 დელეგატი რუსეთში — ყველგან აკეთებს მოხსენებებს. პიტერიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, სამარიდან, ნიკოლაევიდან და თბილისიდან უკვე წერილები გვაქვს ამის შესახებ. მუშაობა გაჩაღდა და გაჩაღდება.

ბუნდი + ლატვიელები სინჯავენ შეაკოწიწონ კონფერენცია ლიკვიდატორებთან. სინჯონ! საქმეებია საჭირო, ბატონებო, და არა სიტყვები!! თქვენ (+ ტროცკი + ვპერიოდელები) უძლურნი იყავით 26. XI. 1910-დან — როცა ტროცკიმ კონფერენციის მოწვევა გამოაცხადა, უძლურნიც დარჩებით.

ლიკვიდატორებთან ჩვენ კავშირი გავწყვიტეთ, პარტიამ კავშირი გაწყვიტა. დაე სინჯონ და შექმნან სხვა რსდმ პარტია ლიკვიდატორებთან ერთად! სასაცილოა.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია **პირდაპირ** არც ჩვენს მხარეზეა და არც იმათ მხარეზე. მაგრამ (1) ჩვენს

კონფერენციაზე 2 დეპუტატი იყო[4]; (2) «ზვეზდაში» თანამშრომელთა შორის დაბეჭდილია 9 დეპუტატი სოციალ-დემოკრატი, ლიკვიდატორულ «ჟივოე დელოში» 4. აი ფაქტები!

ლატვიელებში ბოლშევიკები ომს უცხადებენ თავიანთ ცენტრალურ კომიტეტს.

მაშ გისურვებთ წარმატებას! სალამი ყველა მეგობარს.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1912 წ. 12 მარტს
გაგზავნილია პარიზიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

4

Გ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო ამხ.! ნადიამ დღეს გამოგიგზავნათ ჩემი წერილი. გაუგებრობა რომ არ მოხდეს და რეფერატში შეცდომა რომ არ მოგვიდეთ, ვიჩქარი გაცნობოთ, რომ გუშინ პარიზში შედგა კონფერენციის მტერი «სოციალ-დემოკრატების» კრება. ყველამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია კონფერენციის წინააღმდეგ (პლეხანოველებმაც, გოლოსელებმაც, ვპერიოდელებმაც, შემარიგებლებმაც და tutti quanti *) და კიდევ რაღაც იმის მსგავსი, რომ მე გამრიცხონ საერთაშ. სოც. ბიუროდან[5] (გადმოგცემთ ხმების მიხედვით, ვინაიდან ბოლშევიკები და კონფერენციის მომხრენი კრებაზე, რა თქმა უნდა, არ ყოფილან[6]).

ცხადია, ყოველივე ეს სასაცილოა. თუ ამ ვაჟბატონებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო შეენარჩუნებინათ (დასცინეთ მას რეფერატში პლეხანოვის სამგლოვიარო სიტყვის გამო «დნევნიკის» № 15-ში, მე-2 დანართი!), ახლა მით უმეტეს ვერაფერს ვერ შექმნიან. აბა, პატივცემულნო, საქმე დაგვანახვეთ და არა სიტყვა: თქვენ იკვეხნით, რომ გაერთიანდით. კეთილი, გაერთიანდით «ნაშა ზარიასა» და «ყივრე დელოში». ხოლო რაც მთავარია **«გოლოს სოციალ-დემოკრატაში»**.

სასაცილონი!

ხელს გართმევთ და გისურვებთ წარმატებას.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1912 წ. 13 მარტს
გაგზავნილია პარიზიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — მათმა მსგავსებმა. რედ.

5

გ. კ. ორჯონიკიძეს და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს სხვა წევრებს

28. III. 1912.

ძვირფასო მეგობრებო! მე საშინლად მაწუხებს და მაღელვებს ჩვენი (და თქვენი) ურთიერთობისა და კავშირის სრული დეზორგანიზაცია. ჭეშმარიტად, მიზეზი გვაქვს სასოწარკვეთილებას მივეცეთ! წერილების ნაცვლად თქვენ გვაწვდით რაღაც ტელეგრაფისებურ მოკლე ამოძახილებს, რომლებიდანაც არაფრის გაგება არ შეიძლება.

1) ივანოვიჩისგან არაფერი ისმის. რა დაემართა? სად არის? როგორ არის? [7] აუცილებლად საჭიროა ლეგალური კაცი პიტერში ან პიტერის მახლობლად, ვინაიდან იქ საქმე ცუდად არის. გააფთრებული და ძნელი ომია. ჩვენ არც ინფორმაცია მოგვეპოვება, არც ხელმძღვანელობა, არც გაზეთზე ზედამხედველობა.

2) კავშირს არც ერთი კონფერენტი არ გვაწვდის. არც ერთი, არც ერთს. ეს ხომ სრული დაშლაა!

3) არსაიდან არ არის აზრიანი, ნათელი რეზოლუციები, იმის მითითებით, თუ რა ორგანიზაციისგან არის, გადაწყვეტილებებთან შეერთების აღნიშვნით, იმის დადასტურებით, რომ მათი დელეგატი იყო, დაბრუნდა, მოსმენილ იქნა!! განა ცხადი არ არის ასეთი ფორმალური რეზოლუციების განსხვავება ინტიმური ხასიათის წერილებისაგან: «გვარიანად» — «ზორბად» — «გავიმარჯვეთ» და ა. შ.? არ არის რეზოლუციები კიევიდან, სავკას ქალაქიდან [8]. ნიკოლოზმა გამოგზავნა წერილი სიხარულის მთელი რიგი შეძახილებით, მაგრამ სრულიად უაზრო. არც პრესისათვის, არც ოფიციალური გამოყენებისათვის ეს წერილი სრულებით არ ვარგა: წაკითხულ იქნა თუ არა ყველა რეზოლუცია? მოწონებულ იქნა თუ არა მათი

შინაარსი? როგორია ტექსტი რეზოლუციებისა კონფერენციის შესახებ? უერთდებიან თუ არა ადგილობრივ ლიკვიდატორებს? არც ერთ (არც ერთ!) ამ ძირითად ელემენტარულ კითხვაზე არავითარი პასუხი არ არის. ამ ქალაქთან (უაღრესად მნიშვნელოვანია!) არც ერთი კავშირი ჩვენთვის არ გადმოუციათ. განა ეს დაშლა არ არის? განა ეს მუშაობის დაცინვა არ არის?

4) რეზოლუციები ფულის მოთხოვნის შესახებ არსაიდან, არც ერთი არ არის! პირდაპირ სამარცხვინოა.

5) არც თბილისიდან, არც ბაქოდან (მეტად მნიშვნელოვანი ცენტრები) კრინტსაც არ ძრავენ, იყო თუ არა მოხსენებები? სად არის რეზოლუციები? სირცხვილი და თავის მოჭრა!

6) არსაიდან არ ჩანს «ცნობის» ან თუნდაც მისი ნ ა წ ი ლ ი ს არც ერთი გადაბეჭდვა, არც ნაბეჭდი, არც ჰექტოგრაფიული! ვაი სირცხვილო.

7) ზუსტი წერილობითი პასუხი არც პლატფორმაზეა. გამოიცემა თუ არა? როდის? მთლიანად დამტკიცებულია თუ არა? ჩვენ ის ცენტრალურ ორგანოში უნდა დავბეჭდოთ, მაგრამ ზუსტი ცნობები არა გვაქვს.

8) საჭიროა ერთხელ კიდევ შემოიაროთ ყველა ორგანიზაცია და ყველგან გაატაროთ ზუსტი, ფორმალური, დაწვრილებითი, აზრიანი, ნათელი რეზოლუციები: ა) კონფერენციაზე წარმომადგენლობის შესახებაც და არსებითადაც, ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შეერთებაზეც, გ) ლიკვიდატორების წინააღმდეგაც — კონკრეტულად ადგილობრივების წინააღმდეგ და საერთოდ, და დ) ფულის მოთხოვნით.

9) ფულის საქმე ცუდად გვაქვს, გამოგზავნეთ გადაწყვეტილება, რომ მოგვეცეს სასამართლო სარჩელის აღძვრის უფლება. გერმანელებისაგან უარია. სასამართლო თუ არ იქნა, სრული კრახი მოგველის 3 — 4 თვეში.

10) თუ ფულის წყაროები ა რ ა გ ა ქ ვ თ, ახლავე რადიკალურად უნდა გადაისინჯოს ბიუჯეტი: ყველა ნორმას გადავამეტეთ და გაკოტრებისაკენ მივდივართ.

11) 26 მარტის «Vorwärts»-ში * გამოქვეყნდა ცოფიანი და საზიზღარი სტატია კონფერენციის წინააღმდეგ, რედაქციის სახელით. ცხადია, ეს ტროცკია. კონფერენციის გამო დიდი ბრძოლაა, რუსეთი კი დუმს. საჭირო არ არის ბაქიბუქი და კვეხნა: «Vorwärts»-ზე და პროტესტებზე ყველამ იცის, რუსეთიდან კი არაფერია.

შედეგი: ეს დაშლა და დეზორგანიზაციაა. საჭიროა შემოვლა და კავშირი. ზუსტი მიწერ-მოწერა. ცნობის გადაბეჭდვა, თუნდაც ჰექტოგრაფი. თორემ ყოველივე მხოლოდ ტრაბახია.

ლ ე ნ ი ნ ი

გადაეცით წერილი ს — ს შემდგომი გადაგზავნისათვის. სალამი.

გაგზავნილია პარიზიდან თბილისში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

6

Კ. ᲰᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡ

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

გმადლობთ პარიზის «რეზოლუციის» გამოგზავნისათვის.

როგორც უკვე გწერდით, რსდმ პარტიის კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორები და საზღვარგარეთის სხვადასხვა Ჯგუფი[9], რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ ჩვენს პარტიაში და არაფერს არ წარმოადგენენ რუსეთში. ერთი მხრივ, პარიზში ამჟამად ხსენებულ რეზოლუციას ხმა მისცეს სწორედ ასეთმა Ჯგუფებმა. ძველი ჩვეულების თანახმად, ყველა მსᲯავრდადებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ლანძღოს თავისი მოსამართლენი. იმ პირებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს რეზოლუციას, მეტისმეტად ფართოდ ისარგებლეს ამ უფლებით და შესაძლოა ბოროტადაც კი გამოიყენეს იგი.

მეორე მხრივ, არსებობენ Ჯგუფები, რომლებიც **მიწვეული იყვნენ** კონფერენციაზე, მაგრამ არ ისურვეს მონაწილეობა მიეღოთ მასში. ახლა ისინი «პროტესტს აცხადებენ» და ცდილობენ მოიწვიონ სხვა კონფერენცია, თან ღმერთს ფიცულობენ, რომ ერთიანობის მომხრენი ვართო. ეს ერთიანობის ძალიან ორიგინალური ხერხია! ვნახოთ, შექმნიან თუ არა რაიმე სერიოზულს რუსეთში. რამდენადაც ადვილია ლანძღვის რეზოლუციებისათვის ხმის მიცემა პარიზში, იმდენადვე ძნელია რაიმე რეალურის გაკეთება რუსეთში. და რასაკვირველია პარიზს, ვენას და ა. შ. როდი აქვთ უფლება ილაპარაკონ რუსეთის სახელით.

ყოველ შემთხვევაში ის პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის რეზოლუციას, ცოტა ჩქარობენ, «გათიშვაზე»

რომ იწყებენ ლაპარაკს. გათიშვის არსებობა რომ დაადასტურო, ამისათვის უნდა დაადასტურო, რომ რუსეთში ორი — სულ ცოტა ორი! — ცენტრალური კომიტეტი არსებობს. ჯერჯეროობით ეს არ არის.

რაც შეეხება მოქ. პლეხანოვს, ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე თვეზე მეტია აცნობა მას კონფერენციის რეზოლუციები. მან პასუხის მოცემაც არ იკადრა. ამიტომ მე ამჟამად სრულებით არ ვიცი, აქვს თუ არა მოქ. პლეხანოვს (და რომელი ცენტრალური კომიტეტისაგან) რწმუნებანი როგორც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრს.

თუ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო, ბედი უფრო გაგიღიმებთ, ვიდრე მე, ე. ი. თუ თქვენ მიიღებთ პასუხს მოქ. პლეხანოვისაგან, იმედი მაქვს — კეთილინებებთ და მაცნობებთ ამას.

ძმური სალამით

მთელი არსებით თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1912 წ. მარტის
შეორე ნახევარში
გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

7

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრებს

წინდაუხედავად ნუ ეკიდებით საზღვარგარეთელი ლიკვიდატორების ლაშქრობას. დიდ შეცდომას სჩადის ის, ვინც ხელის ჩაქნევით და «ლანძღვით» უვლის გვერდს საზღვარგარეთს. ლიკვიდატორები ბევრს აუბნევენ თავგზას, თუ მოიწვიეს თავიანთი კონფერენცია ბუნდთან + კავკ. საოლქო კომ.[10] + ლატვიელები + ინტელიგენტი ლიკვიდატორები. მოიწვევენ კი! უხდა ვიბრძოლოთ შეუპოვრად, სერიოზულად, სისტემატურად. საჭიროა შემოვლა და ლიკვიდატორთა სიკრუის ყველგან განმარტება. ხელახლა გამოეცით ფურცლად «რაბოჩაია გაზეტას» უკანასკნელი №-ის ფელეტონი. გირჩევთ ახლავე დაბეჭდოთ მთელი რიგი ფურცლები (კონფერენციის ყველა მნიშვნელოვანი რეზოლუცია აუცილებლად). ფურცლებით თქვენ ყველაფერს დაიპყრობთ. «იზვესტიას»[11] ხელი მოჰკიდეთ უაღრესად ფრთხილად. გაზეთი დიდი ხელჩასაჭიდებელი იქნება პოლიციისათვის. არჩევნებამდე თავის შენარჩუნება კი ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია. გახსოვდეთ, რომ შემცვლელნი ა რ ა რ ი ა ნ.

დაწერილია 1912 წ. აპრილის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პარიზიდან თბილისში

იბეჭდება პირველად. ხელნაწერი
პირის მიხედვით

8

რსდმ პარტიის კიევის კომიტეტს

16. IV. 1912.

ძვირფასო მეგობრებო! ღვთის გულისათვის, მოგვეცით რაც შეიძლება მეტი კავშირი. კავშირი, კავშირი, კავშირი, აი რა არა გვაქვს. უამისოდ ყველაფერი მერყევია. გახსოვდეთ, ორი უკვე მოსცილდა ასპარეზს, მათი შემცვლელი არავინ არის. უკავშიროდ ყველაფერი დაიშლება ერთი-ორი ახალი ჩავარდნისაგან. საჭიროა აუცილებლად შეიქმნას ჩვენთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი საოლქო კომ-ტები (ან პირდაპირ რწმუნებულ ა გ ე ნ ტ თ ა ჯგუფები), თვითეული ოლქისათვის. უამისოდ არაფერი არ არის მტკიცე. გამოცემის დარგში გამალებით უნდა გადაბეჭდოთ **მთელი** რეზოლუცია არჩევნების შესახებ[12], რომ იგი ყ ვ ე ლ გ ა ნ მ თ ლ ი ა ნ ა დ და **მასობრივად** იყოს.

ფულის შესახებ დროა შეწყვიტოთ მიამიტობა გერმანელებთან. იქ ახლა ტროცკი ბატონობს და გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ბრძოლას აწარმოებს. აუცილებლად გამოგვიგზავნეთ მანდატი, რათა საქმე სასამართლოში ვაწარმოოთ, თორემ ისე ვერაფერს ვერ მივიღებთ. მაისის ფურცელი უკვე ყველგან გავგზავნეთ. გირჩევთ ფურცლად გამოსცეთ მიმართვა გლეხებისადმი არჩევნების შესახებ («რაბოჩაია გაზეტადან»: გლეხობა და არჩევნები). უსათუოდ ხელახლა გამოეცით ფელეტონი «რ. გ.», ეს აუცილებელი დამატებაა პლატფორმისათვის, **რომელშიც** გამოტოვებულია ძალიან მნიშვნელოვანი აბზაცი სოციალიზმის შესახებ. მოიწერეთ! კავშირი, კავშირი. სალამი.

P. S. «Vorwärts»-ში იბეჭდება ყოვლად უტიფარი ინიცრუე, თითქოს ბუნდისა და ლატვიელთა კონფერენციის

სასარგებლოდ აზრი გამოთქვა უკვე მთელმა რუსეთმა. წერს ტროცკი და კომ., გერმანელებს სჯერათ. საერთოდ «Vorwärts»-ში ტროცკი ბატონ-პატრონია. უცხოეთის განყოფილებას განაგებს ჰილფერდინგი — ტროცკის მეგობარი.

დაწერილია პარიზში

იბეჭდება პირველად, ნ. კ. კრუპსკაიას მიერ დაწერილი პირის მიხედვით

9

ბაზეთ «ზვეზდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა. დღეს გიგზავნით ახალ მასალას «ამომრჩევლის თანამგზავრისათვის»[13]. აქ თითქმის ყველაფერია, კიდევ იქნება ორი დღის შემდეგ ერთი-ორი სტატია აქედან, და შემდეგ ტვერიდან მიიღებთ სტატიას ბიუჯეტის შესახებ.

1) ძალიან გირჩევთ კიდევ გადაბეჭდოთ «ზვეზდიდან» № 34 (17. XII. 11) ფრეის სტატია: «მუშა ამრჩევლების როლი საარჩევნო კამპანიაში» (კარგი იქნება აგრეთვე გადაბეჭდავდეთ მისსავე სტატიას № 36-დან (31. XII. 11) გლეხი ამრჩევლების როლის შესახებ[14]). მაინცდამაინც ძალიან ნუ გამოედევნებით შემოკლებას. უმჯობესია გამოსცეთ სრული დიდი წერილი, რომელიც სარგებლობას მოიტანს, აზრიანად უხელმძღვანელებს არჩევნებს. ნუ გამოედევნებით სიიაფეს და სიმოკლეს — უმჯობესია სოლიდური რამ გამოსცეთ.

თუ უკიდურეს შემთხვევაში აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება გამოსცეთ ყველა სტატია, აუცილებლად დააბრუნეთ, რაც გამოუცემელი დარჩება.

2) აქ აუცილებლად საჭიროა ვიზრუნოთ წესიერ მიწერმოწერაზე. თქვენმა მდივანმა პირდაპირ აქ მომწეროს, და არა არკაშონზე, გაჭიანურება რომ არ მოხდეს. მოგვეცით უკეთესი მისამართი თქვენთვის წერილების გამოსაგზავნად.

3) ლიკვიდატორებს ამაოდ არ პასუხობთ. ეს დიდი შეცდომაა. პასუხის გაცემა შეიძლება და საჭიროა, ისე რომ ერთი სიტყვაც არა თქვათ კონფერენციის შესახებ, «ეიოვე დელოს» ყოველ სიცრუეზე დაბეჭდოთ მოკლე პასუხი: «ეიოვე დელო» ამა და ამ ნომერში ცრუობს, ისევე როგორც ყველა ლიკვიდატორი. საჭიროა უპასუხოთ, თორემ თქვენ ზარალობთ.

4) თუ პლეხანოვი დაწერს, მისი სტატიები აქ უნდა გვიგზავნოთ სვეტებად. თორემ გამოდის «პრივილეგია», რომელიც ჩვენთვის შეუწყნარებელია. ფრთხილად იყავით. თქვენ გვაიძულებთ წავიდეთ, თუ პლეხანოვს პრივილეგია მიეცა წეროს კონფერენციის წინააღმდეგ, როცა ჩვენ არ შეგვიძლია ვწეროთ კონფერენციის სასარგებლოდ. ეს ხომ საძაგლობაა — ლანძღვის საშუალებას აძლევდე, როცა ქება არ შეიძლება.

5) აუცილებლად გამოგვიგზავნეთ «ნოვოე ვრემიაში» შეხვეული განსაკუთრებული პაკეტით «ზვეზდის» №№: 24 და 25 1911 წ. ზაფხულისა, № 18 (54), № 19 (55), № 22 (58), № 23 (59) — ჩვენ ისინი არა გვაქვს და «ჟივოე დელო» № 11 და № 26. კონფისკებული ნომრები, გთხოვთ, ცალკე გამოგვიგზავნეთ, მემარჯვენე გაზეთებში შეხვეული.

6) მალე გვაცნობეთ ყოველდღიური გაზეთის შესახებ [15]. როგორი იქნება ფორმატი? რა ზომის სტატიები შეიძლება გამოიგზავნოს?

7) ეცადეთ იყიდოთ რაც შეიძლება იაფად III სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშები, განსაკუთრებით 1911—12 წლის სესიისა. მოიწერეთ.

დაწერილია 1912 წ. 22 აპრილს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

10

ბ. ნ. ᲙᲜᲘᲞᲝᲕᲘᲩᲡ

6. VI. 12.

ძვირფასო კოლეგა! ძალიან საწყენია, რომ თქვენდამი ჩემი პირველი წერილი წიგნის თაობაზე (მისი გამოგზავნისათვის დიდად გმადლობთ) — დაიკარგა. წარმოუდგენელი, მაგრამ ჩვენში თურმე შესაძლებელი ფაქტია, რომ წმინდა მეცნიერული წერილი დაიკარგოს. ვეცდები მეხსიერებით აღვადგინო, რადგან პირი არ დამიტოვებია.

დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წიგნი[16] და ძალიან გამახარა იმის დანახვამ, რომ თქვენ ხელი მოგიკიდებიათ დიდი სერიოზული სამუშაოსათვის. ასეთ სამუშაოზე მარქსისტული რწმენის შემოწმებას, გაღრმავებას და განმტკიცებას, ალბათ, სავსებით შეძლებთ.

აღვნიშნავ ზოგიერთ აზრს, რომლებიც წიგნის კითხვის დროს აღმეძრა. მე მეჩვენა, რომ აქა-იქ მხედველობიდან გამოშვებულია სოფლიდან წასვლა «დიფერენციაციის» შედეგების აღრიცხვისას. განვმარტავ ჩემს აზრს მაგალითით: ა) პირველი მომენტი. 100 კომლში 25 უცხენო = 25% ან უნათესოა. ბ) მეორე მომენტი. 150 კომლში 36 უნათესოა = 24%. თითქოს დიფერენციაციის შემცირებაა? მაგრამ, თუ 30 კომლი ან ოჯახი სოფლიდან წავიდა — ქალაქში, გადასახლებაში და სხვ., ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი პროლეტარიზაცია გაძლიერებულა. მე ვფიქრობ, ეს ტიპიური მაგალითია. სტატისტიკა ყოველთვის იღებს არსებულ კომლებს, რჩება

«ვიწრო-სტატისტიკურად» და ზოგჯერ მხედველობიდან უშვებს უმთავრესს.

შემდეგ, ავტორი გარკვევით და არაერთგზის ზღუდავს თავისი კვლევის საგანს მეურნეობის სამიწათმოქმედო მხარით. დასკვნებში კი შეუმჩნევლად აფართოებს თემას, ლაპარაკობს მთელ სოფლის მეურნეობაზე და ზოგჯერ მთელ მეურნეობაზეც კი. აქედან არასისწორე გამოდის, ვინაიდან გლეხთა «დიფერენციაციის», ე. ი. პროლეტარიზაციისა და კაპიტალის წარმოშობის, მთელი რიგი მომენტები ამით იკარგება (მაგალითად, სავაჭრო მეცხოველეობა იაროსლავლის გუბერნიაში და სხვა სახეები სოფლის მეურნეობაში გაცვლის შელწევისა მისი სპეციალიზაციის დროს).

შემდეგ. ციფრთა მწკრივებს იქით ზოგჯერ მხედველობიდან ხომ არ არის გამოშვებული ტიპები, მეურნეობათა საზოგადოებრივ-ეკონომიური ტიპები (ლონიერი მეურნეობურჟუა; საშუალო მეურნე; ნახევრადპროლეტარი; პროლეტარი)? ეს საფრთხე ძალიან დიდია სტატისტიკური მასალის თვისებათა გამო. «ციფრთა მწკრივები» გიტაცებს. ვურჩევ ავტორს მხედველობაში იქონიოს ეს საფრთხე: ჩვენი «კათედერები» ამნაირად უთუოდ ახშობენ მონაცემთა ცოცხალ, მარქსისტულ შინაარსს. ახრჩობენ კლასობრივ ბრძოლას ციფრთა მწკრივებსა და მწკრივებში. ავტორს ეს არა აქვს, მაგრამ დიდ სამუშაოში, რომელსაც იგი იწყებს, ეს საფრთხე კათედერთა, ლიბერალთა და ნაროდნიკთა ეს «ხაზი» განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. გათვალისწინებულ იქნეს და, რა თქმა უნდა, შეიკვეცოს.

ბოლოს, როგორღაც Deus ex machina-ს * მსგავსად გამოჩნდა მასლოვი. Cur? Quomodo? Quibus auxiliis? ** მისი ოეორია მარქსიზმს ხომ ძალიან დაშორებულია. ალბათ ნაროდნიკებმა დაარქვეს მას «კრიტიკოსი» (=ოპორტუნისტი). იქსან ავტორი უფრო შემთხვევით მიენდო მას?

---

* — ისეთი რამ, რაც მოულოდნელად, გარედან გამოჩნდება. რედ.

** — რატომ? როგორ? რა საშუალებებით? რედ.

ასეთი აზრები ალმეძრა საინტერესო და სერიოზული წიგნის წაკითხვის დროს. ხელს გართმევთ და გისურვებთ წარმატებას მუშაობაში. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ სალამს ვუძღვნი მთელ ოჯახს და განსაკუთრებით «მეთულუხის ჯაგლაგებს» [17]. — გახსოვთ?

თქვენი ვ. ულიანოვი

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

11

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

გიგზავნით ი. გილკას კიდევ ერთ სტატიას. ავტორი მოგაგონებთ: **ივანსს ველიო.**

აუცილებლად საჭიროა ახლავე უპასუხოთ მას (შეიძლება ჩემი მეშვეობით, მაგრამ აუცილებლად ცალკე ფურცელზე). ავტორი ლემბერგში ცხოვრობს, სპეციალურად სწავლობს თავის საქმეს, და ასეთი თანამშრომელი უნდა მოვიზიდოთ. ერთხელ კიდევ გირჩევთ მისცეთ მას ივანსი **და ყოველ შემთხვევაში** უპასუხოთ **ახლავე.**

N B *: თუ გილკას სტატიები არ იბეჭდება, აუცილებლად ახლავე დააბრუნეთ!

ამანათი მივიღეთ და არ შეგვიძლია სამდურავი არ გამოვთქვათ.

წიგნებიდან მხოლოდ ერთია! მოიწერეთ მაინც, რატომ. სხვა თანამშრომლებმა ხომ არ წაიღეს რედაქციაში მიღებული დანარჩენი წიგნები? დიდი ხნით თუ სამუდამოდ? მაშინ უნდა მოაწყოთ დროებით გამოგზავნა. ვიმეორებ, თუ წიგნები არ გვექნა, მუშაობა შეუძლებელია.

კანტორა უფრო ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამას.

«ამომრჩევლის თანამგზავრი» გამოსვლიდან 2½ კვირის შემდეგ მივიღეთ! მაშინვე გამოგზავნა კი **5 კაპ.** ეღირებოდა...

გაზეთების მიღება მაინც შეფერხდა. უგაზეთოდ ვსხედვართ და 2 — 3 დღეს კიდევ ასე ვიქნებით.

---

* Nota bene — დაიხსომეთ. რედ.

ძალიან გირჩევთ გაგზავნოთ რეპორტიორი ქალაქის გამგეობაში, გაიგოთ, **რამდენი** განცხადება შემოდის* ბინის დამქირავებელთაგან და დაიწყოთ **სისტემატურად** ბეჭდვა ამის შესახებ (წაახალისოთ წარმატების მქონე რაიონები და მოუწოდოთ წარმატების უქონელთ). დრო სულ ცოტაღა დარჩა, და გაზეთმა **მთელი** ეს საქმე უნდა იკისროს.

უნდა იშოვნოთ ქალაქის გამგეობაში ნაცნობი სტატისტიკოსების საშუალებით (ან ოფიციალურად რედაქციისაგან და სახელმწ. სათათბიროს წევრებისაგან) **მთელი** სტატისტიკური მასალები (თუ ეს მასალები არ არის, იყიდოთ იმ წლებისა და თვეების «**რეჩი**» ან სხვა გაზეთი) **1, 2** და 3 სახელმწ. სათათბიროს არჩევნების შესახებ + პიტერის სტატისტიკა (ბინები, მოსახლეობა და სხვ.). ასეთი მასალებით და უნარიანი რეპორტიორით, რომელიც ყოველდღე ან კვირაში 2 — 3-ჯერ იქნება ქალაქის გამგეობაში, შეიძლება **კარგად** დააყენოთ გაზეთის განყოფილება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

უგზავნით თუ არა «პრავდას» ვენაში Wiener «Arbeiter-Zeitung»-ს**? გაუგზავნეთ და ჩვენ **გამოგვიგზავნეთ მისი ბანდეროლი.**

ტროცკის გირჩევთ ასე უპასუხოთ საფოსტო ყუთით: «ტროცკის (ვენა). საკინკლაო და საშარო წერილებზე არ გიპასუხებთ». ტროცკის საზიზღარი კამპანია «პრავდის» წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე სიცრუე და შარია. ცნობილი მარქსისტი, პლეხანოველი როტშტეინი (ლონდონი) გვწერდა. რომ მიიღო ტროცკის საკინკლაო წერილი და უპასუხა მას: პეტერბურგის «პრავდას» არაფერში არ შემიძლია ბრალი დავდო. ეს შარის ოსტატი და ლიკვიდატორი კი წაღმა-უკუღმა ცრუობს.

სამსახურისათვის მზადმყოფი ვ. ულიანოვი

---

* — **რომელი რაიონებიდან? ქუჩებიდან? და ა. შ., რაც შეიძლება** დაწვრილებით.

** — **ვენის «მუშათა გაზეთს».** **რედ.**

P. S. კიდევ უკეთესი იქნება უპასუხოთ ტროცკის საფოსტო ყუთით: «ტ რ ო ც კ ი ს (ვენა). ტყუილად იწუხებთ თავს საკინკლაო და საშარო წერილების გამოგზავნით. პასუხი არ იქნება».

დაწერილია 1912 წ. 19 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

13

გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი ვრცელი წერილი და ვხედავ, რომ კვლავ და კვლავ საჭიროა მოვილაპარაკოთ.

ჯერ — კერძო ამბავი. კორესპონდენტებს ვერ იშოვნით სტრიქონში 2 კაპიკად. სანამ ფული არა გაქვთ, უნდა დასჯერდეთ ჩვენს სტატიებს საზღვარგარეთის შესახებ.

ახლა — მთავარი. თქვენ უჩივით ერთფეროვნებას. მაგრამ ეს ყოველლოვის იქნება, თუ არ მოათავსეთ ხოლმე პ ო ლ ე მ ი კ ა, — თუ ძალიან შეკვეცეთ კ ა მ ე ნ ე ვ ი (ის ს ხ ვ ა ტონით წერს), — თუ ყველაფერი «დადებითს ლიკვიდატორობას» შეუფარდეთ. და გარდა ამისა თანამშრომლებს საერთოდ შემოიფანტავთ, თუ არ მოათავსეთ ხოლმე სტატიები და არც კი უპასუხეთ და უკან არ გაუგზავნეთ (მაგალითად ჩემი: პასუხი ბლანკს — **მნიშვნელოვანია!** «ჩაუქრობელი იმედები»[18] და **მთელი რიგი სხვები!!**).

შეხედეთ: «ნევსკი გოლოსი» უფრო ცოცხალი გაზეთია. მას პოლემიკისა არ ეშინია. იგი გამომწვევია. იგი გაბედულად ამბობს თავის აზრს ბოლომდე.

«მტკივნეული საკითხებისათვის» გვერდის ავლით «ზვეზდა» და «პ რ ა ვ დ ა» მშრალ და ერთფეროვან, არასაინტერესო და არამებრძოლ ორგანოებად ი ხ დ ი ა ნ თ ა ვ ს. სოციალისტური ორგანო პოლემიკას უ ნ დ ა ეწეოდეს: ჩვენი დრო საშინელი დაქსაქსულობის დროა და პოლემიკას გვერდს ვერ ავუვლით. საკითხი ის არის, ვაწარმოოთ იგი ცოცხლად, თავდასხმით, საკითხების დამოუკიდებლად დაყენებით თუ მხოლოდ თავდაცვით, მშრალად, მოსაწყენად.

მაგალითად, «ზვეზდის» მომხრემ» № 16-ში კარგად უპასუხა. ჩანს, რომ პრინციპის კაცია. მაგრამ მან მაინც ვერ გაფანტა საშინელი ეჭვები, რომლებიც **ყველგან** წარმოშვა (მხედველობაში მაქვს მთელი რიგი წერილები; «ნევსკი გოლოსის» მე-6 ნომერმა [19]. მაინც რა მოხდა? იყო თათბირი? ვინ? რისთვის? ყოველივე ეს გაურკვეველია! ამის გამოურკვევლად კი არავის არა სურს იმუშაოს. ყველა ამბობს: ხომ უფლება მაქვს ვიცოდე, ვისთვის ვმუშაობ, ვის ვუწყობ ხელს, რომ სათათბიროში გავიდეს? ლიკვიდატორს ხომ არა? თავგზააბნეულ შემარიგებელ-ტროცკისტს ხომ არა? ხომ არ ვმონაწილეობ (არაპირდაპირ) «საერთო პლატფორმის» შედგენაში??

ასეთი საკითხები ენერგიას ადუნებენ, გახრწნას იწვევენ.

«ნევსკი გოლოსი» კი მკვირცხლად ესხმის თავს, უფრო გამომწვევია. არ შეიძლება, მავნეა, დამღუპველია, სასაცილოა დავუმალოთ მუშებს უთანხმოება (როგორც «პრავდა» შვრება). არ შეიძლება მოწინააღმდეგეს, «ნევსკი გოლოსს», დავანებოთ დაიწყოს ლაპარაკი უთანხმოებაზე. «პრავდა» **დაიღუპება** როგორც მხოლოდ «პოპულარული», «დადებითი» ორგანო, ეს უეჭველია.

იგი დანამდვილებით გაიმარჯვებდა, პოლემიკისა რომ არ ეშინოდეს, პირდაპირ რომ ლაპარაკობდეს ლიკვიდატორებზე. ცოცხლდებოდეს კამათით, ფელეტონით აქსელროდის წინააღმდეგ და ა. შ.. ისეთი სტატიები, როგორიც აქსელროდისაა, ძიმზიდველია: მუშებს **ყველაფერი** ესმით უთანხმოებაზე **და** მიილტვიან გულახდილი განმარტებებისაკენ, რასაც გამოთქვამს აქსელროდი, რომელიც ბოლომდე ამბობს ყველაფერს ასჯერ უფრო გაბედულად, ვიდრე ჩვენ. ყველა მუშას ესმის მიოქმა-მოთქმა ერთიანი პლატფორმის შესახებ, მუშების ყველა წინამძღოლი იცნობს აქსელროდის ფელეტონს, — თუ თქვენ დუმილით აუარეთ ამას გვერდი, თქვენ ჩამორჩებით! გაზეთი კი, რომელიც ჩამორჩება, დაღუპულია. გაზეთი ყველაზე წინ უნდა მიდიოდეს, «ნევსკაია ზვეზდაც» და **«პრავდაც»**. 2 «დადებით»

სტატიასთან ერთად «პრავდა» უნდა ათავსებდეს პ ო ლ ე მ ი-კ ა ს, — კამენევის ლიტერატურულ შენიშვნას — ფელეტონს, რომელშიც დასცინოდეს ლიკვიდატორს და სხვ.. ერთფეროვნება და დაგვიანება შეუთავსებელია საგაზეთო საქმესთან. ხოლო «პრავდას» ეკისრება კიდევ განსაკუთრებული, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვალეობა: «ვის გ ა უ ძ ღ ვ ე ბ ა იგი» — აი რა კითხვას იძლევა ყ ვ ე ლ ა, რას კითხულობს ყ ვ ე ლ ა სტრიქონებს შუა. აქ მნიშვნელოვანი იქნებოდა (ოთხ წელიწადში ერთხელ, არჩევნების წინ) შეხვედრა — არ შეიძლება გაზეთის გაძღოლა, თუ იშვიათად მაინც არ ხდება შეხვედრები მუდმივ თანამშრომლებთან. მ ო ი ფ ი ქ რ ე თ ეს კარგად და მალე, ვინაიდან დრო არ ითმენს.

ხელს გართმევთ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

დაწერილია 1912 წ. 24 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

13

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი წერილი «გადაუდებელი საქმის» შესახებ და, გამოგიტყდებით, მისმა წაკითხვამ სევდა მომგვარა. წერილიდან ცხადად ჩანს, რომ ჩვენ გვაკლია საკმაო ურთიერთგაგება, რომელიც «გადაუდებელ საქმეში», ისევე როგორც ყველა სერიოზულ საქმეში, უაღრესად საჭიროა.

საქმე კი ნამდვილად სერიოზული და — გეთანხმებით — გადაუდებელია (არა რამდენიმე დღის მნიშვნელობით, რასაკვირველია). რომ აქ ურთიერთგაგებისათვის მიგვეღწია, საჭირო იქნებოდა ერთმანეთს შევხვედროდით, ამას მოუნდებოდა 4 — 5 დღე და სულ რაღაც 11 + 11 + 15 + 10 = 47 მანეთი...

ყველაფერს, რის გაკეთებაც თქვენი თხოვნის შესასრულებლად შემიძლია, ვაკეთებ. გიგზავნით სტატიას «საარჩევნო პლატფორმის შესახებ» [20]. ამ სტატიიდან, იმედი მაქვს, ნათლად დაინახავთ ჩემს შეხედულებებს.

მისი ცვლილებების შესახებ მე **განსაკუთრებული** პირობები უნდა დავაყენო (ჩვეულებრივად მე ასეთ პირობებს არ ვაყენებ, როგორც თქვენ იცით, რადგან სრული იმედი მაქვს კოლეგიალური, ამხანაგური და არა ხრიკიანი დამოკიდებულებისა). აქ ჩემთვის საჭიროა ეს განსაკუთრებული პირობები, ვინაიდან საკითხი უდიდესი მნიშვნელობის, ძირეული პრინციპული საკითხია.

შეშიძლია დავთანხმდე **მხოლოდ** იმას, რომ (1) ამოღებულ იქნეს ქვესათაური და (2) შეტანილ იქნეს მინიმალური **ცენზურული** (მხოლოდ!!) შესწორებანი სამ-ოთხ

ადგილას, შესწორდეს ცალკეული სიტყვები, არამც და არამც მეტი არაფერი. უკეთუ არც მაშინ იქნება შესაძლებელი მისი მოთავსება არც «პრავდაში», არც «ნევსკაია ზვეზდაში», **დამიბრუნეთ** სტატია, მჭირდება. ლიკვიდატორების მოხსენიების ამოღებაზე არ შემიძლია დავთანხმდე.

აქ საკითხის მთელი არსი იმაშია, რომ ლიკვიდატორები ძახეს აგებენ: «მოიტა ღია პლატფორმაო» (გულში კი ლიკვიდატორი ფიქრობს: ღია პლატფორმაში ყველაფერს ხელს მოვაწერო). და მართლაც, ღია პლატფორმაში ლიკვიდატორი ყველაფერს მოაწერს ხელს!! და ეს პლატფორმა კი არ იქნება, სერიოზული საქმე კი არ იქნება, არამედ უხამსი ლაყბობა, «რეფორმების» ჩამოთვლა, ლიბერალებთან შეჯიბრება **მათს** ნიადაგზე, ვინაიდან ყოველი ლიბერალი (თვით ტრუბეცკოიმდე) ახლა, არჩევნებამდე 6—8 კვირის **წინ, ყველაფერს** მოაწერს ხელს!! ლიბერალები და ლიკვიდატორები ყველაფერს მოაწერენ ხელს, ოღონდ ისინი IV სათათბიროში აირჩიონ.

აქ უნდა გავიგოთ საკითხის პრინციპული არსი და არ შეგვაკრთოს რამდენადმე «არაჩვეულებრივმა», «შეუფერებელმა» (**«პრავდისათვის»**) **გამოთქმებმა**, პოლემიკამ და სხვ.. მუშათა **მასა** მშვენივრად **გაიგებს სულისკვეთებას** («ნუ აქუცმაცებს»), მთელი არსი კი ამაშია. ყველა გაიგებს, თუ რატომ არის სასაცილო, სულელური, უხამსი, საზიზღარიც კი ღია პლატფორმების შეთხზვა სამი ივნისის რუსეთში არჩევნებამდე 6—8 კვირით ადრე. მთელი არსი კი ამაშია.

ასეთი **სტატია**, მოთავსებული **«პრავდაში»** ფელეტონის სახით, თუნდაც წვრილი შრიფტით, ერთბაშად დაიკავებს პოზიციას და ჩაკლავს ღია პლატფორმების შემთხზველთა ავანტიურიზმს, ჩაკლავს მათს დემაგოგიას: «პირდაპირ თქვი, რა გწამს». განა ასევე არ კითხულობდა კატკოვი: «პირდაპირ თქვი, რომ აღიარებ თვითმპყრობელობას»?

«პრავდას» ბევრი რამ დაეკისრა არჩევნებში, და მას ბევრი რამ მოეთხოვება. სკანდალი იქნება, «პრავდას» მარცხნი-

დ ა ნ რომ დასცინონ ღია პლატფორმების შეთხზვისათვის. «პრავდას» ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ხელმძღვანელი პოზიცია უჭირავს. ეს პოზიცია ღირსეულად უნდა დაიცვას. ნათლად, მშვიდად და მტკიცედ უნდა თქვას: ლიკვიდატორების წინააღმდეგ. და ამ უბადრუკ ლიბერალთა ხროვა ერთბაშად იქნება მოკლული. წამოაყენონ თ ა ვ ი ა ნ თ ი სია: ვერ გაბედავენ, ვინაიდან სასტიკად შერცხვებიან!! ველი პასუხს მ ა ლ ე.

სალამით თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

დაწერილია 1912 წ. ივლისის დამლევს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

იბეჭდება პირველად.
ხელნაწერის მიხედვით

14

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი წერილი და ვიტიმსკის წერილი. ძალიან გამახარა მისგან ამბის მიღებამ. მაგრამ მისი წერილის შინაარსმა ძალიან შემაშფოთა.

თქვენ იწერებით, და როგორც მდივანი, ალბათ რედაქციის სახელით, — რომ «რედაქციას პრინციპულად სავსებით მისაღებად მიაჩნია ჩემი სტატია თ ვ ი თ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ დ ე». თუ ასეა, რატომ არის, რომ «პ რ ა ვ დ ა» დაჟინებით, სისტემატურად შლის ჩემს სტატიებშიც და სხვა კოლეგების სტატიებშიც ლიკვიდატორების მოხსენიებას?? ნუთუ არ იცით, რომ მათ უკვე ჰ ყ ა ვ თ თავიანთი კანდიდატები? ჩვენ ეს ზ უ ს ტ ა დ ვიცით. ჩვენ ამის შესახებ ოფიციალური ცნობები მივიღეთ სამხრეთის ერთი ქალაქიდან, სადაც არის დეპუტატი მუშათა კურიისაგან. უეჭველია, ასეთივეა საქმის ვითარება სხვა ადგილებში.

«პრავდის» დუმილი მეტად უცნაურია. თქვენ იწერებით: «რედაქციას ა შ კ ა რ ა გაუგებრობად მიაჩნია» «მასზე ეჭვის მიტანა პლატფორმის მოთხოვნათა ლეგალიზაციისაკენ მისწრაფებაშია». მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ეს ძირითადი, გამოცემის მთელი არსის განმსაზღვრელი საკითხია, თანაც ისეთი საკითხი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ლიკვიდატორთა საკითხთან. ოდნავი სურვილიც არა მაქვს «ეჭვი მივიტანო»; თქვენ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ იცით, რომ თქვენს ცენზურულ შესწორებებსაც უდიდესი მოთმინებით ვეკიდები. მაგრამ ძირითად საკითხზე საჭიროა პ ი რ დ ა პ ი რ ი პ ა-

ს უ ხ ი. არ შეიძლება არ შეატყობინოთ თანამშრომელს, განზრახული აქვს რედაქციას ლიკვიდატორების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ აწარმოოს გაზეთის საარჩევნო განყოფილება და ცხადად და ზუსტად დაასახელოს ისინი, თუ ა რ ა. საშუალო რამ არ არის და არც შეიძლება იყოს.

თუ სტატია «საჭიროა ასე თუ ისე დაიბეჭდოს» (როგორც იწერება რედაქციის მდივანი), როგორღა გავიგოთ ვიტიმსკი «მწყრალი ტონი მავნეაო»? როდის აქეთ არის, რომ ცუდის წინააღმდეგ მ წ ყ რ ა ლ ი ტონი მავნეა, არასწორია (რედაქ-ცია ხომ «პრინციპულად» თანახმაა!), ვნებს ყოველდღიურ გაზეთს?? პირიქით, კოლეგებო, ღმერთმანი, პირიქით. მავნეზე წერა «წყრომის» გარეშე მოსაწყენად წერას ნიშნავს. თქვენ კი თვითონ აღნიშნავთ — და სამართლიანადაც — ერთფეროვნებას!

შემდეგ, სტატიაზე 9. XI-ის შესახებ (კორესპონდენტის პასუხი) დიდი ხანია პასუხი არ მიმიღია. ვიმეორებ თხოვნას: დამიბრუნოთ არაცენზურული წერილები ან ისეთები, რომელთაც თქვენ უთუოდ უარყოფთ.

«პ რ ა ვ დ ა ს» ვიღებთ ა რ ა წ ე ს ი ე რ ა დ (გუშინ ს უ ლ ა ც ა რ მიგვიღია!!). «ზვეზდა» არც № 14 და არც № 17 ს უ ლ ა ც არ გვინახავს. სამარცხვინოა! ხომ არ შეიძლება ბანდეროლით გვიგზავნოთ კ ო რ ე ქ ტ უ რ ი ს გ ვ ე რ დ ე ბ ი, ნაცვლად იმისა, რომ ისინი იკარგებოდეს? ეს 2 კაპ. ღირს. დროსაც მოვიგებდით. თანამშრომლისათვის კორექტურების გზავნა სავსებით კანონიერი საქმეა. ღამით წასვლისას, გამომშვები ბანდეროლს ფოსტის ყუთში ჩააგდებდა ხოლმე — მორჩა და გათავდა. (მხოლოდ ბანდეროლები ხშირად იხევა, ისინი უფრო დიდი უნდა გააკეთოთ, ისეთივე მოცულობისა, როგორც გაზეთები. ყველაფერს აჯობებდა გეხმარათ გრძელი ვიწრო კონვერტები; ასეთ კონვერტებში ნაბეჭდი ნაწარმოებები — კონკერტები ა რ ილუქება — უფრო საიმედოდ აღწევს, ეს კონვერტები კი ბევრი არა ღირს.) «ზვეზდა» № 17 განსაკუთრებით საჭიროა გვქონდეს. დღეს ხუთშაბათია: ო რ ი დ ღ ე დაგვიანება!!

დასასრულ, გთხოვთ მაცნობოთ, ხომ არ შეიძლება მოთავსოთ ამა თუ იმ სახით («ნევსკი გოლოსის» მაგალითისაებრ, რომელსაც არაერთხელ მოუთავსებია ცნობები საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატებზე) შემდეგი ახალი ამბავი. ბერმანიის Vorstand-მა* მიმართა 11 (sic! **) ს.-დ. ჯგუფებს, ფრაქციებსა და ცენტრებს და წინადადება მისცა მათ მოაწყონ საერთო თათბირი «ერთიანობის» შესახებ. ეგრეთწოდებულმა «ლენინურმა» მიმდინარეობამ უაღრესად კატეგორიული უარით უპასუხა: რა შეიძლება იყოს უფრო სასაცილო და არასაკადრისი, ვიდრე საზღვარგარეთ ეს შემთანხმებლობანას თამაში იმ «ცენტრებთან და ფრაქციებთან», რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი აბსოლუტური უძლურება რუსეთში? არავითარი მოლაპარაკება მათთან, არავითარი შეთანხმება ლიკვიდატორებთან, — ასეთი იყო ეგრეთწოდებული «ლენინური მიმდინარეობის» პასუხი. გამოვიდა რამე და გამოვა თუ არა რამე ტროცკის ამ ყოვლად სულელური წამოწყებიდან, არ ვიცით.

მაშ ასე, გთხოვთ მიპასუხოთ: შეიძლება თუ არა ასე თუ ისე მოათავსოთ გაზეთში, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ, კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილია «პარიზის ეს ახალი ამბები» და მოცემულია მათი შეფასება? შესაძლებელია ეს ცენზურის მხრივ თუ სრულიად შეუძლებელია? [21] (მე გეკითხებით საქმის მხოლოდ ცენზურულ მხარეზე, ვინაიდან პრინციპულად — ვბედავ იმედი ვიქონიო წინა წერილის საფუძველზე — რედაქცია ლიკვიდატორებთან ერთიანობის მომხრე **ა რ** ა რ ი ს, ხომ ასეა?)

ამხანაგური სალამით ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი

დაწერილია 1912 წ. 1 აგვისტოს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — **გამგეობამ, ანუ ცენტრალურმა კომიტეტმა. რ ე დ.**
** — **ასეა! რ ე დ.**

15

ა. მ. გორკის

კრაკოვი. 1 აგვისტო 1912.

Krakau. Oesterreich.

Zwierzyniec. 218. Wl. Uljanow.

ძვირფასო ა. მ.!

მივიღე თქვენი წერილი და ციმბირელთა წერილი. ჩემი მისამართი ახლა პარიზი კი არ არის, არამედ კრაკოვი — იხ. ზემოთ.

კარგად ვერ გავიგე, რა პარტიიდან მიპირებთ გაგდებას. ესერულიდან ხომ არა?

არა, ხუმრობის გარეშე, თქვენ ცუდი, ობივატელური, ბურჟუაზიული მანერა შეითვისეთ — ხელის ჩაქნევით მოგვიშოროთ: «ყველანი მოკინკლავენი ხართო». აბა შეხედეთ ახალ ესერულ ლიტერატურას: «პოჩინი», «საზღვარგარეთის საოლქო ორგანიზაციის მოამბე», — შეადარეთ «რევოლუციონნაია მისლს», «რევოლუციონნაია როსსიას», — იქ კიდევ როპშინს etc.. გაიხსენეთ «ვეხი» და მასთან პოლემიკა (quasi *-პოლემიკა) მილიუკოვისა, გრედესკულისა (რომელმაც ახლა აღმოაჩინა, რომ საჭირო არ არის მეორე რევოლუცია რუსეთში) და ა. შ. და ა. შ.

შეადარეთ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს მთლიანად, ს.-რ-ების, ტრუდოვიკების, ბუზზაგლავიელების, კადეტების 1908 — 1912 წლების იდეურ მიმდინარეობათა მ თ ე ლ ი ერთობლიობა იმას, რაც ჰქონდათ და აქვთ სოციალ-დემოკრატებს (ვინმე

* — ვითომდა. რ ე დ.

როდისმე, — ალბათ ისტორიკოსი, ამ სამუშაოს უთუოდ გაიკეთებს). თქვენ დაინახავთ, რომ ყ ვ ე ლ ა, პირდაპირ ყველა არა სოციალ-დემოკრატი **იმავე,** ზუსტად იმავე საკითხებს წყვეტდა, რომელთა გულისთვისაც ჩვენს პარტიას გამოეთიშნენ პაწაწა ჯგუფები ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაკენ.

ს.-დ-ებში «კინკლაობის» შესახებ ყვირილი უყვართ ბურჟუებს, ლიბერალებს, ესერებს, რომლებიც «მტკივნეულ საკითხებს» ა რ ა ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ ეკიდებიან, სხვებს მისჩანჩალებენ, დიპლომატობენ, ეკლექტიზმით კმაყოფილდებიან. სოციალ-დემოკრატებს ყველა მათგან ის განასხვავებს, რომ სოციალ-დემოკრატებში კინკლაობით გარემოსილია ჯგუფების ბრძოლა ღ რ მ ა და ნათელ იდეურ ფესვებთან, ხოლო მ ა თ შ ი კინკლაობა გარეგნულად მოლამაზებულია, შინაგანად კი ცარიელი, წვრილმანი, უბადრუკი. არასოდეს არაფრის გულისთვის არ გავცვლიდი სოციალ-დემოკრატების მიმდინარეობათა მკვეთრ ბრძოლას ესერებისა და კომპანიის გასლექილ სიცალიერესა და უბადრუკობაზე.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. სალამი მ. თ — ს!

P. S. რუსეთში კი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი აღმავლობაა, არა სხვა რაიმე, არამედ სწორედ რევოლუციური. და ჩვენ როგორც იქნა მოვახერხეთ ყოველდღიური «პრავდის» გამოცემა — სხვათა შორის სწორედ იმ (იანვრის) კონფერენციის [22] მეოხებით, რომელსაც რეგვნები უყეფენ.

გაგზავნილია კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

16

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

დღეს კამენევი გვწერს, რომ თქვენ აცნობეთ მას, თითქოს პლეხანოვთან კვლავ მოაგვარეთ მშვიდობიანი ურთიერთობა «გაუგებრობის» თავიდან აცილების გამო.

ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, რას ნიშნავს სიზმარი ესე. ჩვენ ყველა საფუძველი გვქონდა გვეფიქრნა, რომ მიუღებლობა დნევნიცკის და პლეხანოვის სტატიებისა ლიკვიდატორებისადმი დათმობის შესახებ (ვინაიდან ს წ ო რ ე დ ამაზე წერდნენ ისინი «ერთიანობის» საფრით) სავსებით შეგნებულად და გადაჭრით მოხდა. რაღა «გაუგებრობა» შეიძლებოდა ყოფილიყო?

ახალი გაუგებრობა ხომ არა არის რა უკანასკნელ ცნობაში?

«რეჩის» უკანასკნელ, ე. ი. სწორად რომ ვთქვათ გუშინდელ, 19 ივლისის №-ის, მოწინავეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სავსებით უეჭველია, რომ კადეტებმა გააკეთეს ყოველივე შესაძლებელი (და შეუძლებელიც), რათა «დ უ მ ი ლ ი თ ა ე ვ ლ ო თ გ ვ ე რ დ ი» «ზვეზდისა» და «პრავდისათვის». ახლა კი წამოსცდათ! ც ხ ა დ ი ა, რომ ამით მათ თვითონ აღიარეს ს ა ფ რ თ ხ ე. ვერ შეძლეს დუმილით აევლოთ გვერდი და მიეფუჩეჩებინათ. უკუგდებული არიან დუმილის პოზიციიდან. ხოლო პროკოპოვიჩი და ბლანკი «ზაპროსი ჟიზნიში» ბანს აძლევენ კიდევ უფრო უხეშად, უფრო სულელურად, უფრო წუწუნით.

ჩემი აზრით, აუცილებლად საჭიროა სწორედ ახლა უფრო ძლიერ შევუტიოთ «რეჩს», მოვათავსოთ მ თ ე ლ ი რ ი გ ი

სტატიები მის წინააღმდეგ და კიდევ უფრო გავაჩაღოთ ბრძოლა. ეს საჭიროა პრინციპულადაც (ვინაიდან მ ხ ო ლ ო დ «ზვეზდა» და «პრავდა» ეწევიან კამპანიას მუშათა დემოკრატიის სახელით; ლიკვიდატორებს «რეჩიც» და «პროკოპოვიჩებიც» მოწონების ნიშნად მხარზე ხელს უთათუნებენ) — და პრაქტიკულადაც (ვინაიდან ბრძოლის სწორედ ამ გაცხოველებამ უნდა გამოაცოცხლოს ამომრჩევლებთან კამათი და საუბრებიც და მათი ჩაწერაც საარჩევნო სიებში).

ხომ არ შეიძლება შევიტყოთ, რამდენი ეწერება უბნების, — ქუჩების, — პროფესიების მიხედვით? მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული მაგალითებით წ ა ვ ა ხ ა ლ ი ს ო თ, რათა გამოვიწვიოთ უბნების, ქუჩების, პროფესიების შეჯიბრება.

იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით აგრეთვე გადასცეთ «ნევსკაია ზვეზდას», რომ მე უთუოდ უკან მოვითხოვ ჩემს სტატიას ბლანკის პასუხად («წვრილმანი ფანდები»), თუ იგი № 18-ში არ მოათავსეს. მაშინ მას აუცილებლად მოვათავსებ ჟურნალში. ახლა, როცა ყ ვ ე ლ ა ლიბერალი + ლიკვიდატორები + უპარტიოები & * კომპ. ჩვენ დაგვესხნენ თავს, ჩვენი დუმილი დანაშაული იქნებოდა.

საარჩევნო კამპანია პიტერში წარმატებით დაიწყო — ჰეგემონია მოიპოვეს «ზვეზდამ» და «პრავდამ» — იგი ხელიდან არ უნდა გავუშვათ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ეს წ მ ი ნ დ ა ს ა გ ა ზ ე თ ო ინტერესია, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რასაც მე, რასაკვირველია, არ ვამბობ.

ველი ამბებს «დადებითად გადაწყვეტილი» საკითხის შესახებ.

სალამით ვ. ულიანოვი

P. S. ველი პასუხს სტატიებზე «ნახევარი წლის შედეგები» [28].

---

* — დ. რედ.

P. P. S. ხომ არ შეიძლება ამონაჭერი მაინც გამომიგზავნოთ «ნევსკაია ზვეზდას» № 17-დან — სტატია «ერთიანობა თუ გათიშვა»?

დაწერილია 1912 წ. 2 აგვისტოს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

იბეჭდება პირველად
ხელნაწერის მიხედვით

17

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

თუ თქვენ აღიარებთ, რომ «ჩვენი კინკლაობა გამოწვეულია იდეური ფესვების შეურიგებელი განსხვავებით», — რომ ესერებშიც ასევეა (რომ კადეტებშიც ასევეა — «ვეხი», — ეს თქვენ არ დაგიმატებიათ, მაგრამ აქ ეჭვი არ არის) — რომ ყალიბდება **რეფორმისტული** (მოხდენილი სიტყვაა!) პარტია, — მაშინ **არ შეიძლება** ლიკვიდატორსაც და მის მტერსაც ეუბნებოდე: «ორივენი მოკინკლავენი ხართო».

მაშინ ისინი, ვინც გაიგო «კინკლაობის» იდეური ფესვები ისე, რომ მაში არ მონაწილეობს, — მასას უნდა ეხმარებოდნენ **მონახოს ფესვები**, და არ ამართლებდნენ მასას იმისათვის, რომ იგი დავას «გენერალთა პირად საქმედ» თვლის.

ჩვენ «ლიდერებს არ დაგვიწერია არც ერთი ნათელი წიგნი, არც ერთი საქმიანი ბროშურა»... სწორი არ არის. როგორც შეგვეძლო, ვწერდით. არა ნაკლებ ნათლად, არა ნაკლებ საქმიანად, ვიდრე წინათ. და ბევრსაც ვწერდით. იყო შემთხვევები — ვწერდით ადამიანების წინააღმდეგ ისე, რომ **არავითარი** «კინკლაობა» არ გვქონია («ვეხის» წინააღმდეგ, ჩერნოვის წინააღმდეგ; როეკოვის წინააღმდეგ[24] და ა. შ.). [ნახულობთ თუ არა «ნევსკაია ზვეზდის» ყველა ნომერს?]

... «ამის შედეგია: რუსეთში ახლა მუშებს შორის არის ბევრი ძალიან კარგი... ახალგაზრდობა, მაგრამ იგი ისე გააფთრებულად განწყობილია საზღვარგარეთის წინააღმდეგ»... ეს ფაქტიურად სწორია, მაგრამ ეს შედეგია არა «ლიდერების» დანაშაულისა, არამედ რუსეთის და ემიგრანტული ცენტრების მოწყვეტისა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გ ა თ ი შ უ ლ ო ბ ი ს ა. საჭიროა გ ა თ ი შ უ ლ ი ს შეკავშირება, ლიდერების ლანძღვა კი იაფფასიანი, პოპულარული, მაგრამ ნაკლებ სასარგებლო საქმეა... «რაც მუშებს შეაგონებს მონაწილეობა არ მიიღონ კონფერენციაში»...

რა კონფერენციაში? ახლა რომ ლიკვიდატორები იწვევენ? ჩვენც ხომ ვუშლით! აქ თქვენ რაიმე გაუგებრობა ხომ არა გაქვთ?

წავიკითხე, რომ ამფიტეატროვი თითქოს ვარშავის გაზეთში გამოსულა IV სათათბიროს ბოიკოტის სასარგებლოდ? ხომ არა გაქვთ ეს სტატია? გამომიგზავნეთ — დაგიბრუნებთ.

ბალტიის ფლოტში კი დუღილია! ჩემთან პარიზში იყო (ჩვენ შორის დარჩეს) მატროსებისა და სოციალ-დემოკრატების კრების მიერ გამოგზავნილი სპეციალური დელეგატი. ორგანიზაცია არ არის — პირდაპირ გეტირება!! თუ თქვენ კავშირი გაქვთ ოფიცრებს შორის, მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რაიმე მოვაგვაროთ. მატროსებს საბრძოლო განწყობილება აქვთ, მაგრამ შეიძლება კვლავ ყველანი ტყუილად დაიღუპონ.

«ზაპროსი ჟიზნიში» კი თქვენი უხეირო სტატიებია. სხვათა შორის, უცნაური ჟურნალია, — ლიკვიდატორულ-ტრუდოვიკულ-ვეხისტური. თუმცაღა, სწორედ «არაწოდებრივი რეფორმისტული» პარტიაა...

თქვენ მეკითხებით, რისთვის ვარ ავსტრიაში. ცენტრალურმა კომიტეტმა აქ ბიურო მოაწყო (ჩვენ შორის დარჩეს): საზღვარი ახლოს არის, ვიყენებთ მას, პიტერთან უფრო ახლოს ვართ, მე-3 დღეს იქიდან გაზეთები გვაქვს,

იქაურ გაზეთებში წერა გაცილებით უფრო გაადვილდა, თანამშრომლობა უკეთ ეწყობა. კინკლაობა აქ ნაკლებია, ეს პლუსია. კარგი ბიბლიოთეკა არ არის, ეს მინუსია. უწიგნებოდ მიჭირს.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

სალამი მ. თ — ს.

დაწერილია 1912 წ. აგვისტოში
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

18

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა. თქვენ ერთხელ კიდევ მაგონებთ ნაცნობის მისამართის შესახებ. ეს მისამართი ერთხელ მთხოვეთ, და მე გამოგიგზავნეთ. სულ ბოლოში მივაწერე — კარგად მახსოვს — ერთ ვრცელ წერილს. შეამოწმეთ, თუ ეს შესაძლებელია. თუმცაღა, უფრო ადვილია გავიმეორო მისამართი. აი ის: Herrn Kurt Lauschner, Beuthen (Ober-Schlesien). Piekarerstr. 19/III, გერმანია. შიგნით საჭიროა დაუმატოთ: ბ-ნ Hörsing-ისათვის: Für Herrn Hörsing (ბეიტენი გერმანიაში ორია, ამიტომ საჭიროა მიმატება: «Ober-Schlesien»)... მივიღე. დიდად გმადლობთ. დანსკის ხელნაწერიც მიღებულია. მეტად გაკვირვებული ვარ, რომ დღეს, როცა თქვენგან «პრავდაც» და მთელი გროვა შავი გაზეთებიც მივიღე, არ მიმიღია ხუთშაბათის «ნევსკი გოლოსი». ჩემთვის კი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, უკიდურესად საჭიროა მაშინვე მქონდეს გამოსული «ნევსკი გოლოსი». თუ არ გამოსულა, გთხოვთ ნუ დაიზარებთ მაშინვე მომწეროთ ამაზე ორიოდე სიტყვა. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე შევიტყო, გამოვიდა თუ არა იგი 23 აგვისტოს, ხუთშაბათს (როგორც გვპირდებოდა «ნევსკი გოლოსი» 17 აგვისტოს), და თუ გამოვიდა, მივიღო ერთი ეგზემპლარი. სხვათა შორის. დიდი ხანია გამოგიგზავნეთ «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის», «პრავდის», «ჟივოე დელოს» იმ №№-ის სია, რომლებიც ჩემს კომპლექტს აკლია. თქვენ არ იქნა და არ იძლევით პასუხს, შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ. ერთმა საერთო ნაცნობმა კი ამ დღეებში მაცნობა, რომ «ზვეზდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» კომპლექტები თქვენ გაქვთ. გთხოვთ მომწეროთ, დაგრჩათ თუ არა ჩემ მიერ გამოგზავნილი სია, და შეძლებთ თუ ვერა გამომიგზავნოთ დანაკლისი ნომრები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივულოცავ ამხ. ვიტიმსკის (იმედი მაქვს, არ გაგიჭირდებათ გადასცეთ მას ეს წერილი) შესანიშნავი წარმატებით დაწერილი სტატია «პრავდაში», რომელიც დღეს მივიღე (№ 98) [25]. უაღრესად დროულად აღებულია თემა და ჩინებულად დამუშავებულია მოკლე, მაგრამ მკაფიო ფორმით. საერთოდ კარგი იქნება დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ «პრავდაში» შჩედრინი და «ძველი» ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოიყვანოთ მათგან ციტატები. «პრავდის» მკითხველთათვის — 25 000-სათვის — ეს სასარგებლო, საინტერესო იქნებოდა, და მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საკითხების სხვა მხრიდან, სხვა ხმით გაშუქებაც გამოვიდოდა.

როგორია «პრავდის» ტირაჟი? ხომ არ ფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნებოდა ყოველთვიური სტატისტიკა, თუნდაც მოკლე (ტირაჟი, ქალაქისა და რაიონის დასახელება). რა მოსაზრებები შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ ეს სტატისტიკა არ იბეჭდებოდეს. თუ განსაკუთრებული მოსაზრებები არ არის. მე მგონია, საჭიროა იბეჭდებოდეს.

კინალამ დამავიწყდა. საზღვარგარეთის სხვადასხვა ადგილიდან მივიღეთ მთელი რიგი საჩივრები, რომ არც ხელმოწერით და არც ცალკე ნომრებისათვის ფულის გაგზავნით «პრავდა» არ მისდით. მე ახლა არ მომდის წესიერად. მაშასადამე, უეჭველია, ექსპედიციაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ძალიან გთხოვთ, მიიღეთ რაც შეიძლება ენერგიული ზომები. თვითონ ნახეთ საზღვარგარეთიდან მოსული წერილები ხელმოწერის შესახებ და მოაგვარეთ. გზავნეთ «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» თითო ეგზემპლარი შემდეგი მისამართით: Frl. Slutzky: Katherinenstr. 8 g. H. II (bei Worte), Halensee, ბერლინი.

დაწერილია 1912 წ. 8 სექტემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

19

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ხომ ჯანმრთელად ხართ? უკანასკნელად ცუდ ამბებს იწერებოდით — ტემპერატურა მაღლა იწევსო და სხვ.. სავსებით გამომჯობინდით თუ ვერა? მომწერეთ ორიოდე სიტყვა — ძალიან მადლობელი ვიქნები.

«პრავდაში» თქვენ არ ჩანხართ და არა. სამწუხაროა. საჭირო კია ხელი შეუწყოთ გაზეთს.

ჩვენ ახლა «ყელამდე ჩაფლული ვართ» არჩევნებში. აბსენტეიზმი საშინლად დიდია. მუშათა კურიაშიც. მაგრამ მაინც ყველგან სოციალ-დემოკრატები აირჩიეს. არჩევნების შედეგზე ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიის მშენებლობისათვის.

ლიკვიდატორთა კონფერენციის თაობაზე გაიგონეთ რამე? რა ჟურნალში დაიბეჭდებით? რა დაემართა «ზნანიეს»?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ მალე და კარგად მომჯობინდეო.

სალამი მ. თ — ს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჩემი მისამართია არა პარიზი, არამედ კრაკოვი, Ulica Lubomirskiego. 47. Krakau.

P. S. ნახეთ «ლუჩი»? ხომ არ გაგიგონიათ, რა წამოწყებაა «დენი»? ხმები დადის, რომ ეს ვ ი ტ ე ს ორგანოა...

დაწერილია 1912 წ. ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

20

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ამ დღეებში პიტერიდან, «პრავდის» რედაქციიდან მივიღე წერილი, რომელშიც ისინი მთხოვენ მოგწეროთ, რომ უაღრესად მოხარული იქნებოდნენ თქვენი მუდმივი თანამშრომლობისა. «გვინდა შევთავაზოთ გორკის 25 კაპ. სტრიქონში, მაგრამ გვეშინია არ იწყინოსო», — ასე მწერენ.

ჩემი აზრით, აქ საწყენი არაფერია. თქვენი თანამშრომლობა ჰონორარზე მოსაზრებების გავლენით რომ შეიცვალოს, ეს აზრადაც არავის მოუვა. სწორედ ასევე ყველამ იცის, რომ მუშურ «პრავდას», რომელიც ჩვეულებრივად სტრიქონში 2 კაპ. იხდის, ხოლო კიდევ უფრო ხშირად სულაც არაფერს იხდის, საერთოდ ჰონორარებით ვისიმე მიზიდვა არ ძალუძს.

მაგრამ იმაში, რომ მუშათა გაზეთის თანამშრომლები თუნდაც სულ მცირეოდენ, მაგრამ მაინც რეგულარულ გასამრჯელოს იღებდნენ, ცუდი არაფერია «კარგის მეტი». ტირაჟი ახლა 20 — 25 ათასია. დროა დავიწყოთ ფიქრი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საქმის მკვიდრად დაყენებაზე. რა არის იმაში ცუდი, რომ გაზეთში ყ ვ ე ლ ა მომუშავემ დაიწყოს ცოტ-ცოტა გასამრჯელოს მიღება? და რა შეიძლება საწყენი იყოს ამ წინადადებაში?

მე დარწმუნებული ვარ, რომ «პრავდის» პიტერის რედაქციის შიში სრულიად უსაფუძვლოა და რომ თქვენ მის წინადადებას მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურად შეხვდებით. მისწერეთ ორიოდე სიტყვა ან პირდაპირ მათს რედაქციაში ან ჩემ მომწერეთ.

ხვალ ამრჩევთა არჩევნებია პიტერში (მუშათა კურიაში). ლიკვიდატორებთან ბრძოლა გაჩაღდა. მოსკოვსა და ხარკოვში პარტიელებმა გაიმარჯვეს.

ნახეთ თუ არა «ლუჩი» და საერთოდ იღებთ თუ არა მას? დახე როგორ იყალთაბანდეს და «კეთილებად» გვაჩვენებენ თავს!

ვნახე განცხადება «კრუგოზორის» შესახებ [28]. თქვენი წამოწყებაა ეს თუ სტუმრად ხართ იქ?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ უწინარეს ყოვლისა ჯანმრთელობას. სალამი მ. თ — ს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

47. Ulica Lubomirskiego. Krakau.

დაწერილია 1912 წ. 17 ოქტომბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

21

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა! დღეს «პრავდასა» და «ლუჩში» წავიკითხე პიტერში მუშათა კურიაში არჩევნების შედეგის შესახებ. არ შემიძლია არ მოგესალმოთ № 146-ის მოწინავის გამო: დამარცხების მომენტში, რომელიც მოგვაყენეს არა სოციალ-დემოკრატებმა (ციფრების ანალიზიდან ცხადია, რომ ლიკვიდატორები გაიყვანეს არა სოციალ-დემოკრატებმა), რედაქციამ ერთბაშად აიღო სწორი, მტკიცე, ღირსეული ტონი იმაზე მიოითებისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს «დამცირების» წინააღმდეგ პროტესტის პრინციპულ პოზიციას. უკუღმა არ გაიგოთ ეს სტრიქონები. — არ იფიქროთ, რომ ისინი გამოწვეულია რაიმე სხვა მოსაზრებით, გარდა სურვილისა გაგიზიაროთ აზრები, რაც ესოდენ ბუნებრივია მუდმივი თანამშრომლისათვის. დრო მძიმე იყო. ბრძოლა ძნელი. გაკეთდა თითქმის ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ დაშლილობამ თავი იჩინა, და უპარტიოებმა ხმები მისცეს ოპორტუნისტებს. მით უფრო საჭიროა მჭიდროდ დარაზმული მთლიანობის (მაგალითად, მჭიდროდ დარაზმული რედაქციის ან თანამშრომელთა კოლეგიის და სხვ.) უაღრესად პრინციპული, ბეჯითი და შეუპოვარი მუშაობა, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ დაშლას.

მეტად მნიშვნელოვანია არ შეწყვიტოთ ის მუშაობა, რაც «პრავდამ» არჩევნების შესასწავლად დაიწყო, არამედ განაგრძოთ იგი. შეკრიბოთ და დაბეჭდოთ ყველა კანდიდატთა ხმები (ოქვენ მხოლოდ 9 გაქვთ 13-დან). შეკრიბოთ და დაბეჭდოთ ანკეტა იმის შესახებ, თუ როგორ მისცეს ხმა უპარტიოებმა, როგორ მისცეს ხმა პუტილოველებმა (7 და 2

ლიკვიდატორი), სემიანიკოველებმა (2 და 1 ლიკვიდატორი) და ა. შ. ქარხნების მიხედვით.

მხოლოდ «პრავდას» შეუძლია წარმატებით შეასრულოს ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე.

სალამი და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. 2 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

22

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას

წარწერა ანაბეჭდზე ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილი ფურცლისა «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეკუტატისათვის»[27]

N B აუცილებლად **დააბრუნეთ!!** არ დასვაროთ. **მეტისმეტად მნიშვნელოვანია** ამ დოკუმენტის შენახვა! **აიწყოს.**

დაწერილია 1912 წ. ნოემბრის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. 5 მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 123

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

23

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა! გიგზავნით პეტერბურგის განაწესს. რომელიც შემთხვევით, პიტერიდან ერთი ძალიან სწრაფი ოკაზიის გამო, ჩაგვივარდა ხელში. აუცილებლად მოათავსეთ ეს განაწესი პეტერბურგის დეპუტატისათვის თვალსაჩინო ადგილას მსხვილი შრიფტით. სრულიად შეუწყნარებელია, რომ «ლუჩი», რომელიც ამახინჯებს განაწესს, უკვე ლაპარაკობს მის შესახებ და ათავსებს შენიშვნებს, ხოლო «პრავდა», რომლის მომხრეებმა განაწესი შეადგინეს, გაატარეს. აამოქმედეს, ხმას არ იღებს მის შესახებ... რა არის ეს? ნუთუ მუშათა გაზეთს შეუძლია იარსებოს, თუ იგი ასე აგდებულად მოეკიდება იმას, რაც მუშებს აინტერესებს? (თავისთავად ცხადია, რომ ცალკეული გამოთქმებისა და ფრაზების არაცენზურულობის შემთხვევაში შესაძლებელია ნაწილობრივი ცვლილებანი, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ასეთ შემთხვევებში.) მაგრამ ასეთი რამ რომ არ მოათავსოთ, ეს ნიშნავს არა მარტო ნიადაგი შექმნათ ასობით კონფლიქტისათვის, რომლებშიც «პრავდა» დამნაშავე აღმოჩნდება, არამედ მეტისმეტადაც გააფუჭოთ წმინდა საგაზეთო საქმე. გაზეთის, როგორც წამოწყების, გავრცელებისა და დაყენების საქმე. გაზეთი ხომ ისეთი რამ არ არის, რომ მკითხველი მხოლოდ კითხულობდეს, მწერალი მხოლოდ წერდეს. გაზეთი თვითონ უნდა ეძებდეს, თვითონ დროზე პოულობდეს და თავის დროზე ათავსებდეს ცნობილ მასალას. გაზეთი უნდა ეძებდეს და

პოულობდეს მისთვის საჭირო კავშირს. აქ კი განაწესი პეტერბურგის დეპუტატისათვის, «პრავდის» მომხრეებისაგან გამოსული, «პრავდაში» კი არ არის... გთხოვთ მიპასუხოთ ამ წერილის მიღებისთანავე.

დაწერილია 1912 წ. 24 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

24

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა! ძალიან შევწუხდით, როცა ორი შეცდომა დავინახეთ «პრავდის» კვირის №-ში [28]: ჯერ-1, არ არის სტატია ბაზელის კონგრესის შესახებ; მე-2, დაბეჭდილი არ არის ბადაევის და სხვ. მისალმება კონგრესისადმი. პირველ პუნქტში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი, ვინაიდან სტატია არ გამოგვიგზავნია. გართული ვიყავით მეტად სასწრაფო მნიშვნელოვანი საქმეებით. ასეთი სტატიის დაწერა სულაც არ იქნებოდა ძნელი, ხოლო კვირას ყრილობა რომ იხსნებოდა, «პრავდის» რედაქციამ იცოდა. მეორე შეცდომაში კი მთლიანად ბადაევს მიუძღვის ბრალი. სრულიად შეუწყნარებელია, რომ იგი თავისი გაზეთისათვის არ ზრუნავს; — რომ როცა ხელს მოაწერს რამეს, მაშინვე არ მიაქვს ეს თავის გაზეთში. მუშათა გაზეთი პიტერში, რომელშიც არ თანამშრომლობს მუშათა დეპუტატი პიტერიდან (ისიც «პრავდის» მომხრე) — უაზრობაა. უაღრესად საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ მნიშვნელოვან ხარვეზს მთელმა რედაქციამაც, ბატურინმაც [29] (რომელსაც სხვათა შორის გთხოვთ გადასცეთ ეს წერილი და რომლისგანაც ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ორიოდე სტრიქონის მიღება) და დეპუტატმაც.

გორკის მისამართს მთხოვდით. აი იგი: Signor Massimo Gorki. Villa Spinola Capri (Napoli). Italie. იტალია. ნეაპოლი.

აი მისამართი კორესპონდენტისა რომში, მისწერეთ მას, იგი გამოგიგზავნით ხოლმე წერილებს «პრავდაში»: ბ. ანტონოვი. B. Antonoff, Via le Giulio Cesare, 47. Roma. რომი. იტალია.

რატომ არ გზავნით ფულს, რაც გვერგება. დაგვიანება ძალიან გვაწუხებს. ნუ აგვიანებთ, გთხოვთ. რატომ არ გვიპასუხეთ თხოვნაზე დაგებეჭდათ გაზეთში განცხადება, რომ რედაქცია ეძებს «პრავდის» №№ 5 — 10?

გისურვებთ ყოველივე კარგს.

თქვენი ვ.

დაწერილია 1912 წ. 26 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

25

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალ. მ.! დიდი ხანია თქვენგან რატომღაც არავითარი ამბავი არ არის. როგორ ცხოვრობთ? ხომ ჯანსაღად ხართ?

დღეს მივიღე «პრავდის» № 187 ხელმოწერით 1913 წლისათვის. გაზეთს უჭირს: ზაფხულში ტირაჟის დაცემის შემდეგ აღმავლობა ძ ა ლ ი ა ნ ნელია, და დეფიციტი რჩება. ორ მუდმივ თანამშრომელს გასამრჯელოც კი შეუწყვიტეს დროებით, და ჩვენი მდგომარეობა უაღრესად ძნელი გახადეს.

განზრახული გვაქვს გავაჩაღოთ მუშებში გაძლიერებული აგიტაცია ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს სასარგებლოდ, რათა შეკრებილი ფულით განვამტკიცოთ და გავაფართოოთ გაზეთი, თორემ სათათბიროს დაწყების შემდეგ სრულებით არ რჩება ადგილი სტატიებისათვის.

იმედი მაქვს, თქვენც მიიღებთ მონაწილეობას აგიტაციაში ხელმოწერის სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყოთ გაზეთის «წელში გამართვას». რა ფორმით? თუ გაქვთ ზღაპარი ან რაიმე შესაფერისი, — მაშინ ამის შესახებ განცხადება ძალიან კარგი აგიტაცია იქნება. თუ არა გაქვთ, — გაუგზავნეთ დაპირება, რომ მისცემთ ახლო მომავალში და სახელდობრ 1913 წელს. დასასრულ, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თქვენი წ ე რ ი ლ ი ს ა მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი იმის მნიშვნელობის შესახებ, რომ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაუჭირონ მხარი (ხელის მოწერით, გავრცელებით, შეგროვებით) მუშათა გაზეთს, აგრეთვე საუკეთესო აგიტაცია იქნებოდა.

მისწერეთ, გთხოვთ, ერთი ან მეორე — პირდაპირ «პრავდის» რედაქციას (იამსკაია. 2, ს.-პეტერბურგი) ან მომწერეთ აქ მე. Uljanow. (47. Lubomirskiego. Krakau.)

ომი ალბათ არ იქნება და ჩვენ ჯერჯერობით დავრჩებით აქ. «გამოვიყენებთ» პოლონელთა საშინელ სიძულვილს ცარიზმისადმი.

ლიკვიდატორებს ახლა იერიში მიაქვთ რევოლუციური გაფიცვების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ! აი სადამდე დაეშვნენ. 9 იანვრისათვის ლაპარაკია გაფიცვასა და დემონსტრაციაზე.

მუშათა დეპუტატებიდან პირველად სამ სათათბიროში (2, 3, მე-4) პარტიის მხარეზეა მთელი ექვსეული დეპუტატებისა მთავარი გუბერნიებიდან. გვიჭირს, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდის.

ნახეთ როპშინის «დაცვა» «ზავეტიში» «აზრისა და კრიტიკის თავისუფლების» გულისათვის? (პასუხში ნატანსონის და კომპ. წერილზე რედაქციისადმი). ეს ხომ ყოველგვარ ლიკვიდატორობაზე უარესია — გზააბნეული, ლაჩრული, გაქნილი და მაინც სისტემატური რენეგატობა!

მივცურავთ «დინების წინააღმდეგ»... მასებში რევოლუციური აგიტაციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ბრძოლა ახლა გვიხდება ძალიან ბევრი «ვითომც-რევოლუციონერის» წინააღმდეგ... მუშათა მასებში რევოლუციური განწყობილება უთუოდ არის, მაგრამ რევოლუციური იდეოლოგიის მქონე ახალი დემოკრატიული ინტელიგენცია (მათ შორის მუშურიც) ნელა იზრდება, ჯერჯერობით ჩამორჩება, ვერ ეწევა.

დიდი მოკითხვა!

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მ. თ — ს სალამი! იგი რატომღაც სულ მთლად გაჩუმდა...

დაწერილია 1912 წ. 22 ან 23 დეკემბერს
გაგზავნილია კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1913 წ.

26

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! თქვენც მოგილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ყოველივე კარგსა და კარგს, ყველაზე მეტად კი ჯანმრთელობას! აქ ახლა ჩვენთან არიან მალინოვსკი [30], პეტროვსკი და ბადაევი. გუშინ მივიღე თქვენი წერილი, წავუკითხე მათ, ყველას ძალიან გაეხარდა. მალინოვსკის თქვენთან წამოსვლა უნდოდა, მაგრამ ალბათ სიშორე შეუშლის ხელს. ეჰ, რომ შეიძლებოდეს თქვენ უფრო ახლოს გვყავდეთ... ჯანმრთელობა რომ ნებას მოგცემდეთ, გადმოხვიდეთ გალიციის აქაურ კურორტებზე, როგორიც არის, მაგალითად, ზაკოპანე, მონახოთ მთებში საღი ადგილი, რუსეთთან ორი დღით უფრო ახლოა, მუშების ჩამოსვლა შეიძლება გავახშიროთ, მუშათა სკოლას ისევ მოვაწყობდით [31], საზღვარზე გადასვლა ძნელი არ არის, მგზავრობის ფასი პიტერიდან 12 მანეთია. მოსკოვის, სამხრეთის მუშებთან ურთიერთობაც შესაძლებელია!.. ოცნებამ გამიტაცა მ. თ — ს მოგზაურობასთან დაკავშირებით... რა საუცხოოდ მოიფიქრა, გარწმუნებთ, საუცხოოდ. შემთხვევის დროს აუცილებლად მომწერეთ, მოახერხა თუ არა ლეგალიზება (ალბათ მოახერხებს). კიდევ მომწერეთ, როგორ მიაგნოს მას მალინოვსკიმ პიტერში ან მოსკოვში. ტიხონოვის საშუალებით? თუ ფული ვერ ვიშოვნეთ «პრავდის» გასაფართოებლად და განსამტკიცებლად — იგი დაიღუპება. დეფიციტი ახლა დღეში 50 — 60 მანეთია. უნდა გავადიდოთ ტირაჟი. შევამციროთ ხარჯები, გავაფართოოთ გაზეთი. 200 ნომერი შევძელით — რეკორდია. რაც უნდა იყოს 20 — 30 ათას მკითხველ მუშაზე სისტემატურად ვახდენთ მარქსისტულ გავლენას. ეტად დიდი საქმეა, ძალიან სამწუხარო იქნება, იგი

რომ დაიღუპოს. ყოველმხრივ და ყოველნაირად ვფიქრობთ დეპუტატებთან ერთად, როგორ დავაღწიოთ თავი «პრავდის» ძნელ მდგომარეობას, მაგრამ ვშიშობთ, რომ თუ გარედან ფინანსური დახმარება არ იქნა, ვერ გადავარჩენთ.

მალინოვსკი, ჰეტროვსკი და ბადაევი მხურვალე სალამს და საუკეთესო სურვილებს გიძღვნიან. კარგი ბიჭები არიან, განსაკუთრებით პირველი. შეიძლება, გარწმუნებთ, შეიძლება ასეთ ადამიანებთან ერთად შევქმნათ მუშათა პარტია, თუმცა სიძნელეები წარმოუდგენლად დიდია. კრაკოვის ბაზა სასარგებლო აღმოჩნდა: სავსებით «ანაზღაურდა» (საქმის თვალსაზრისით) ჩვენი გადმოსვლა კრაკოვში. დეპუტატები ადასტურებენ, რომ მუშათა მასებში რევოლუციური განწყობილება უეთუოდ იზრდება. ახლა კარგი პროლეტარული ორგანიზაცია რომ შევქმნათ, მოღალატე-ლიკვიდატორების მიერ ხელის შეუშლელად, — ეშმაკმა იცის რა გამარჯვებათა მოპოვება იქნება მაშინ შესაძლებელი ქვემოდან მოძრაობის ზრდის პირობებში...

ის, რასაც თქვენ მატყობინებთ რუსეთიდან მოსული წერილების შესახებ, შესანიშნავად საინტერესო და დამახასიათებელია. მენშევიკი-მუშები ამბობენ, რუსეთმა მარქსს გაუსწროო!! და ეს ერთეული შემთხვევა როდია. ლიკვიდატორებს ისეთი გარყვნილება, ისეთი გამცემლური სული, ისეთი რენეგატობა შეაქვთ, რომ წარმოდგენაც ძნელია. აქ კი ათასნაირი ინტრიგები მათთან «შესაერთებლად»: იმის ერთადერთი საშუალება, რომ წავბილწოთ მ თ ე ლ ი საქმე, გავაფუჭოთ პარტიის მშენებლობა, რომელიც სიძნელით დავიწყეთ, ის იქნება, რომ ისევ დავიწყოთ ინტრიგები — ლიკვიდატორებთან «შეერთება». არა, ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ...

სულით და გულით მზადა ვარ გავიზიარო თქვენი სიხარული ეპერიოდელების დაბრუნების გამო, თ უ... თ უ სწორია თქვენი ვარაუდი, რომ «მახიზმი, ღვთისმშენებლობა და მთელი ეს რამერუმეები სამუდამოდ ჩაეფლო», როგორც თქვენ იწერებით. თუ ეს ასეა, თუ ეს ეპერიოდელებმა გაიგეს ან ახლა გაიგებენ, მაშინ მე მხურვალედ ვუერთდები თქვენს

სიხარულს მათი დაბრუნების გამო. მაგრამ მე ხაზს ვუსვამ «თუ», ვინაიდან ჯერჯერობით ეს სურვილი უფროა, ვიდრე ფაქტი. გახსოვთ, 1908 წლის გაზაფხულზე კუნძულ კაპრიზე ჩვენი «უკანასკნელი შეხვედრა» ბოგდანოვთან, ბაზაროვთან და ლუნაჩარსკისთან? გახსოვთ, მე ვთქვი, რომ საჭირო იქნება ერთმანეთს დავშორდეთ 2—3 წლით, და მაშინ კიდევ მ. თ—მ, რომელიც თავმჯდომარედ იყო, სასტიკი პროტესტი განაცხადა, წესრიგისაკენ მომიწოდა და სხვ.!

აღმოჩნდა—4½, თითქმის 5 წელი. და ეს კიდევ ბევრი როდია უღრმესი რღვევის ისეთი პერიოდისათვის, როგორიც 1908—1911 წლებში იყო. არ ვიცი, უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ თ თუ არა ბოგდანოვს, ბაზაროვს, ვოლსკის (ნახევრადანარქისტს), ლუნაჩარსკის, ალექსინსკის ი ს წ ა ვ ლ ო ნ რამე 1908—1911-ის მძიმე გამოცდილებიდან? გაიგეს თუ არა მათ, რომ მ ა რ ქ ს ი ზ მ ი უფრო სერიოზული, უფრო ღრმა რამეა, ვიდრე მათ ეჩვენებოდათ, რომ არ შეიძლება დასცინოდე მას, როგორც ალექსინსკი სჩადიოდა, ან აბუჩად იგდებდე როგორც მკვდარ ნივთს, როგორც დანარჩენნი შვრებოდნენ? თ უ გაიგეს,—ათასი სალამი მათ, და ყოველივე პირადული (რაც გარდუვალად გამოიწვია მწვავე ბრძოლამ) წუთში წაიშლება. ხოლო თუ ვერ გაიგეს, ვერ ისწავლეს, მაშინ ნუ დაგვემდურებით: მეგობრობა მეგობრობაა, სამსახური კი სამსახური. მარქსიზმის ლანძღვის ან მუშათა პარტიის პოლიტიკის აბნევის ცდებისათვის თავდაუზოგავად ვიომებთ.

ძ ა ლ ი ა ნ მიხარია, რომ ვპერიოდელების თანდათანობით დაბრუნებისათვის გ ზ ა მოინახა სწორედ «პრავდის» მეშვეობით, რომელიც უშუალოდ მათ არ ურტყამდა. ძალიან მიხარია. მაგრამ სწორედ მ ტ კ ი ც ე დაახლოების ინტერესებისათვის ახლა მისკენ ნელა, ფ რ თ ხ ი ლ ა დ უნდა მივდიოდეთ. «პრავდასაც» სწორედ ასე მივწერე. აქეთკენ უნდა წარმართონ თავიანთი ლონისძიებანი ჩვენთან ვპერიოდელების შემოერთების მომხრეებმაც: მ ა ხ ი ზ მ ი ს ა გ ა ნ, ო ტ ზ ო ვ ი ზ მ ი ს ა გ ა ნ, ღ ვ თ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ ვპერიოდელების ფრთხილმა, გამოცდილებით შემოწმებულმა

დაბრუნებამ შეიძლება ძალიან ბევრი რამ მოგვცეს. ოდნავი გაუფრთხილებლობა და «მახისტური, ოტზოვისტური და სხვ. ავადმყოფობის რეციდივი» — და ბრძოლა კიდევ უფრო გაიფთრებით გაჩაღდება... ბოგდანოვის ახალი «ცოცხალი ცდის ფილოსოფია» არ წამიკითხავს: ალბათ, იგივე მახიზმია ახალი საბოსლით...

სერგეი მოისეევთან პარიზში ჩინებულად ვართ დაკავშირებული. დიდი ხანია ვიცნობთ მას და ერთად ვმუშაობთ. ეს ნამდვილი პარტიელი და ბოლშევიკია. სწორედ ასეთ ადამიანებთან ერთად ვაშენებთ პარტიას, მაგრამ საშინლად ცოტანი-ღა არიან.

კიდევ ერთხელ გართმევთ ხელს, ხომ უნდა დავამთავრო წერილი, თორემ მეტისმეტად გავაჭიანურე. მაშ იყავით კარგად!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ნ. კ. მხურვალე სალამს გიძღვნით!

(ჩვენთან აქ რუსეთიდან კიდევ რამდენიმე კარგმა მუშაკმა მოიყარა თავი. ვაწყობთ თათბირს [32]. ეჰ, ფული არ არის, თორემ აქაური ბაზიდან ეშმაკმა იცის რამდენ რამეს გავაკეთებდით!)

«პრავდას» დღეს ვწერ, რომ ტიხონოვს შეეკითხონ და დაბეჭდონ, რომ ტიხონოვი და თქვენ განაგებთ «პრავდის» ბელეტრისტულ განყოფილებას. ხომ ასეა? მათაც მისწერეთ, თუ არ დაბეჭდონ.

დაწერილია 1913 წ. იანვრის დამდეგს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

27

ნ. ა. რუბაკინს

25. I. 1913.

პატივცემულო ამხანაგო!

ვასრულებ რა თქვენს თხოვნას, გიგზავნით ისე მოკლე «ექსპოზეს», როგორიც კი შემეძლო[33]. თქვენ რომ არ დაგემატებინათ, რომ «პ ო ლ ე მ ი კ ი ს ი ს ტ ო რ ი ა» თქვენს წიგნში გამორიცხული არ არის, ბოლშევიზმის გადმოცემა ს რ უ ლ ი ა დ შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა ეჭვი აღმიძრა თქვენმა ფრაზამ: «ვ ე ც დ ე ბ ი თქვენს დახასიათებაში არავითარი ცვლილება არ შევიტანოო». მე დაბეჭდვის პირობად უნდა წამოვაყენო, რომ ა რ ი ყ ო ს ა რ ა ვ ი თ ა რ ი ცვლილება (წმინდა საცენზურო ცვლილებებზე, რა თქმა უნდა, შეიძლება ცალკე შევთანხმდეთ წერილით).

თუ არ გამოგადგებათ — გთხოვთ დამიბრუნოთ ფურცელი.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: Wl. Uljanow. 47. Lubomirskiego Krakau. Autriche.

გაგზავნილია კრაკოვიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

28

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ჩემი წერილი ტიხონოვს რომ გაუგზავნოთ, ამის საწინააღმდეგო, გასაგებია, არაფერი მაქვს.

ლუნაჩარსკის ფელეტონმა «შიშსა და იმედს შუა», თქვენი მოთხრობის შემდეგ, დამაინტერესა. ხომ არ შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ, თუ თავისუფალი გაქვთ? მოთხოვნის შემთხვევაში წესიერად დაგიბრუნებთ.

მოსკოვის გაზეთისათვის შეგროვებამ ფრიად გაგვახარა[34]. ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს მოსკოვის ოლქის დეპუტატების ჩ ვ ე ნ ი სამეული: მალინოვსკი, შაგოვი და სამოილოვი. ამაზე უკვე შეთანხმებული ვართ. მაგრამ საჭიროა სიფრთხილე: თუ «პრავდა» არ განვამტკიცეთ, არ შეიძლება მოსკოვის გაზეთს გამოვედევნოთ. ჩვენ გეგმა გვაქვს გამოვცეთ «მოსკოვსკაია პრავდა».

გთხოვთ მისწეროთ ტიხონოვს, რომ იგი ელაპარაკოს მ ხ ო ლ ო დ ბადაევს და **მალინოვსკის,** მათ კი აუცილებლად მოელაპარაკოს.

განსაკუთრებით გამახარა თქვენს წერილში სიტყვებმა: «რუსეთის ინტელიგენციის მთელი გეგმებიდან და ვარაუდებიდან სავსებით უეჭველად ირკვევა, რომ სოციალისტურ აზროვნებაში ფენებად ჩართულია მისდამი ძ ი რ ე უ ლ ა დ მტრული სხვადასხვანაირი მიმდინარეობანი: აქ მისტიკაც არის, მეტაფიზიკაც, ოპორტუნიზმიც, რეფორმიზმიც, ნაროდნიკობის ნაშთებიც. მთელი ეს მიმდინარეობანი **მით უფრო** მტრული არიან, რომ **უკიდურესად გაურკვეველნი** არიან და, **რადგან** თავიანთი კათედრები არა აქვთ, არ შეუძლიათ **გაირკვნენ** საკმაო სიცხადით».

ხაზს ვუსვამ იმ სიტყვებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიწვია ჩემი აღტაცება. მართლაც რომ: «ძირეულად მტრული» არიან და მით უფრო, რომ გაურკვეველი არიან. აი თქვენ მეკითხებით სტეპანოვზე (ი. ი.). რა აღმოჩნდა იგი (კარგი ბიჭი კი არის, გამრჯე, მცოდნე და ა. შ.) რღვევისა და მერყეობის ეპოქაში? (1908 — 1911). უნდოდა ვპერიოდელებთან შეერიგებინეთ. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თვითონ მერყეობდა.

წერილებს მწერდა, რუსეთში დემოკრატიულ რევოლუციას ჯვარი უნდა დავუსვათ, ჩვენში ურევოლუციოდ საქმე ავსტრიულად წავაო. მე იგი გავლანძღე, ლიკვიდატორი ვუწოდე ამ უხამსობისათვის [35]. იწყინა. შემდეგ კი პრესაში მისი აზრები ლარინმა წამოაყრანტალა.

ახლა სტეპანოვი დემონსტრაციულად წერს არა ჩვენთან, არამედ როჟკოვის გაზეთ «ნოვაია სიბირში» ირკუტსკში [36]. როჟკოვმა კი იცით, რა «მიმდინარეობა» წამოიწყო? წაიკითხეთ მისი სტატია 1911 წლის «ნაშა ზარიაში» და ჩემი პასუხი «ზვეზდაში»? [37] როჟკოვიც გაჯიუტდა თავის არქიოპორტუნიზმში. სტეპანოვი? ალაჰმა უწყის მისი თავი. მართლაც: «უკიდურესად გაურკვეველი» და აბნეული პოზიციაა. მე ახლა სტეპანოვს არასოდეს არავითარ ოდნავ დამოუკიდებელ განწყობილებას აღარ ვანდობდი: თვითონაც არ იცის, სად გადახტება. მაგრამ თანამშრომლად ალბათ სასარგებლო იქნებოდა. იგი იმათგანია, ვინც «ვერ გარკვეულა». მას რომ განყოფილების «მოწყობა» მიანდო, — იმას ნიშნავს, რომ ისიც და განყოფილებაც დანამდვილებით დაღუპო.

თქვენ იწერებით: «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს, მაგრამ ამისათვის საკმაოდ არა გვყავს კარგად შეხმატკბილებული ადამიანებიო».

ამ ფრაზის მეორე ნაწილს მე არ ვეთანხმები. ჟურნალი საკმაო ადამიანებს შეახმატკბილებდა, თუ ჟურნალი იქნებოდა, თუ ბირთვი იქნებოდა.

ბირთვი არის, ჟურნალი კი (სქელი) არ არის გარეშე მიზეზებით: ფული არა გვაქვს. ფული რომ გვქონდეს, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ახლა სქელ ჟურნალსაც გავართმევდით თავს, ვინაიდან თანამშრომელთა ბირთვის გარშემო შეიძლება გასამრჯელოთი ბევრი შემოვიკრიბოთ, თემები დავარიგოთ და ადგილები გავანაწილოთ.

სანამ ფული არა გვაქვს, ჩემი აზრით, საჭიროა არა მარტო ვიოცნებოთ, არამედ კიდევაც ვაშენოთ არსებულიდან, ესე იგი «პროსვეშჩენიედან». ეს, რა თქმა უნდა, პატარა ლიფსიტაა, მაგრამ, ჯერ-1, ყოველივე დიდიც პატარიდან იზრდება. მე-2, პატარა ლიფსიტა სჯობია დიდ ხოჭოს.

დროა, დიდი ხანია დროა დავიწყოთ სიმღერაში ვარჯიში, თუ გვსურს დიდი რაოდენობით გვყავდეს «შეხმატკბილებული ადამიანები».

«დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს». ლიტერატორთა ბირთვი გვყავს. ხაზის სისწორე დადასტურებულია 12 წლის გამოცდილებით (ან 20 წლის გამოცდილებითაც კი), ხოლო უკანასკნელი 6 წლის გამოცდილებით განსაკუთრებით. უნდა შემოვიკრიბოთ მუშაკები ამ ბირთვის გარშემო, ამით გამოვარკვიოთ იგი უფრო დეტალურად, გავზარდოთ და გავაფართოოთ იგი. არალეგალურით და «პრავდით» უნდა დაგვეწყო. მაგრამ ამაზე გაჩერება ჩვენ არ გვინდა. ხოლო ამიტომ, რაკი თქვენ თქვით, რომ «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდესო», ნება მიბოძეთ ამ სიტყვებისათვის პასუხი მოგთხოვოთ: ან ახლა დასახოთ ამა და ამ პროგრამის ამა და ამ რედაქციის თანამშრომელთა ამა და ამ შემადგენლობის სქელი ჟურნალისათვის ფულის ძებნის პროგრამა, ან ამავე გეგმით დაიწყოთ «პროსვეშჩენიეს» გაფართოება.

ხოლო უფრო სწორი იქნება: არა ან—ან, არამედ ისიც და ისიც.

ველი პასუხს. ვენიდან თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს «პროსვეშჩენიეს» შესახებ. დანამდვილებით არის იმედი, რომ 1913 წლისათვის განვამტკიცოთ იგი მცირე

სახით. გინდათ «ჩვენი ჟურნალი გვქონდეს», მაშ მოდით ერთად შევუწყოთ ხელი.

დაშნაკების შესახებ მე არაფერი გამიგონია. მაგრამ ხმა სულელური მგონია. ეს გავრცელებულია მთავრობის მიერ, რომელსაც სურს თურქეთის სომხეთი გადაყლაპოს.

P. P. S.-ები* უთუოდ ავსტრიის მომხრე არიან და მის მხარეზე იომებენ. ავსტრიის ომი რუსეთთან ძალიან სასარგებლო რამ იქნებოდა რევოლუციისათვის (მთელ აღმოსავლეთ ევროპაში), მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფრანც იოზეფმა და ნიკოლაშამ ეს სიამოვნება მოგვანიჭონ.

თქვენ თხოულობთ რაც შეიძლება ხშირად მოგაწოდოთ ინფორმაცია. სიამოვნებით — მხოლოდ გამოგვეხმაურეთ ხოლმე. გიგზავნით (ჯერჯერობით საიდუმლოდ) ჩვენი ამასწინანდელი თათბირის რეზოლუციებს (ამ თათბირს, ჩემი აზრით, დიდი წარმატება ჰქონდა და როლს შეასრულებს) [38].

ამბობენ, რეზოლუციები ლიტერატურის ყველაზე მოსაწყენი სახეაო. მე რეზოლუციებში მეტისმეტად ჩამჯდარი კაცი ვარ. მომწერეთ, როგორი წასაკითხავია ისინი თქვენთვის (განსაკუთრებით რევოლუციური გაფიცვებისა და ლიკვიდატორების შესახებ).

ცუდი რა დაატრიალა რუსეთში ხმებმა ამნისტიის შესახებ? არ ვიცი. მოიწერეთ.

ნ. კ. სალამს გიძღვნით.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1913 წ. იანვრის დამლევს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — პპს-ები (პეპეესელები). **რედ.**

29

ი. მ. სვერდლოვს [39]

ამხანაგ ანდრიას, ხოლო თუ იგი პიტერში არ არის, მაშინ №№ მე-3-ეს, მე-6-ეს და სხვ. [40]. — ძვირფასო მეგობარო! ძალიან გვეწყინა, როცა გავიგეთ, რომ თქვენ ფიქრობთ, თითქოს ვასილი აზვიადებს «დენის» [41] მნიშვნელობას. ნამდვილად კი სწორედ «დენი» და მისი დაყენება წარმოადგენს მ თ ა ვ ა რ ს ახლანდელ მდგომარეობაში. თუ აქ ვერ მივაღწიეთ რეფორმას და სწორად დაყენებას, ჩვენ მატერიალურადაც გავკოტრდებით და პოლიტიკურადაც. «დენი» აუცილებელი ორგანიზაციული საშუალებაა მოძრაობის შემჭიდროებისა და გაძლიერებისათვის. მხოლოდ ამ საშუალების მ ე ო ხ ე ბ ი თ შეიძლება ახლა წარმოებდეს ადამიანებისა და სახსრების აუცილებელი შემომატება იმისათვის, რასაც თქვენ აღნიშნავთ. პიტერში საქმე ცუდად არის უფრო მეტად იმის გამო, რომ «დენი» არ ვარგა და ჩვენ უნარი არ შეგვწევს ან «რედაქტორთა» იქაური კოლეგია ხელს უშლის «დენის» გამოყენებას.

25 000 თითო კაპიკობით თვეში მოგვცემს 250 მანეთს. მტკიცედ გახსოვდეთ, რომ სხვა წყარო საერთოდ არ არის. საერთოდ მთელ საქმის ვითარებას ახლა გადაწყვეტს ის, თუ როგორ დამთავრდება ლიკვიდატორებთან ბრძოლა პიტერში: ეს ცხადია. ამ ბრძოლის გადაწყვეტა კი შეუძლია მხოლოდ «დენის» სწორად დაყენებას. თუ მართალია, რომ №№ 1-ლი და მე-3 ან მე-3 და მე-6 მხარს უჭერენ სიფრთხილეს «დენის» რეფორმაში, ე. ი. ახლანდელი რედაქტორებისა და კახტორის განდევნის დაყოვნებას, ეს ძალიან სამწუხაროა. ვიმეორებთ:

ამას გაკოტრების სუნი უდის. სერიოზულად უნდა შევთანხმდეთ და ხელი მოვკიდოთ «დენის» რეფორმას. 1) საჭიროა ანგარიშგება კაპიკამდე, 2) მიიღო თუ არა № 1-ლმა წერილი ამის შესახებ? 3) წაიკითხეთ თუ არა თქვენ ეს წერილი? 4) ფული (შემოსავალი და ხელმოწერის თანხები) საკუთარ ხელში უნდა აიღონ, 5) გააკეთებენ თუ არა ამას და როდის გააკეთებენ? 6) საჭიროა დავაყენოთ «დენის» ჩვენი რედაქცია და გავრეკოთ ახლანდელი. ახლა საქმეს ყოვლად უხეიროდ უძღვებიან, ბუნდელი ლიკვიდატორებისა («ცეიტ») და არა სოციალ-დემოკრატ იაგელოსათვის რეკლამის გაწევა პირდაპირ სამარცხვინოა. ქვემოდან ერთიანობისათვის კამპანიას რომ არ ეწევიან, სისულელე და საზიზღრობაა. დუმან ვასილის ბუნძულზე გაერთიანების შესახებ, ლიკვიდატორების უარის შესახებ, უნარი არ შესწევთ უპასუხონ «ლუჩის» № 101-ს [42], მათს პასუხს, — განა ეს რედაქტორები მუშაკები არიან? ესენი უბადრუკი ჩვრები და საქმის დამღუპველები არიან და არა მუშაკები.

«დენის» გამოყენება შეგნებული მუშებისათვის ცნობების მისაწოდებლად და მათი მუშაობის (განსაკუთრებით პეტერბურგის კომიტეტის) გასაშუქებლად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დროა ბოლო მოეღოს ამ ვაი-რედაქტორების ეგრეთწოდებულ «ავტონომიას». უწინარეს ყოვლისა თქვენ უნდა მოჰკიდოთ საქმეს ხელი. «ბესტში» ჩაუჯდეთ № 1-ს. დაიდგაო ტელეფონი. ხელში აიღოთ რედაქცია. მოიზიდოთ თანაშემწენი. მარტო თქვენ — ნაწილი ასეთი ძალებისა, უბრალო შემსრულებლები, — აქედან ჩვენი მუშაობის პირობებში, სავსებით შეძლებთ დააყენოთ საქმე. თუ ეს საქმე სწორად იქნება დაყენებული, მუშაობას განავითარებს პეტერბურგის კომიტეტიც, რომელიც სასაცილოდ უმწეოა, უნარი არა აქვს ხმა ამოიღოს, ხელიდან უშვებს გამოსვლის ყველა შესაძლებლობას. ხოლო იგი თითქმის ყოველდღე უნდა გამოდიოდეს ლეგალურად («გავლენიანი მუშების» სახელით და ა. შ.) და თვეში ერთხელ-ორჯერ მაინც — არალეგალურად. კიდევ და კიდევ: მ თ ე ლ ი სიტუაციის არსი «დენშია». აქ შეიძლება

გავიმარჯვოთ და მაშინ (მხოლოდ მაშინ) მოვაგვაროთ ადგილობრივი მუშაობაც. თორემ ყველაფერი ჩაიფუშება.

მოსკოვის გაზეთის გამოცემა უნდა გადავდოთ. მაგრამ № 3 და მისი ორი კოლეგა ახლავე უნდა გამოვიდნენ წერილით. მაინ დაყოვნება შეუწყნარებელია. ახლავე გამოვიდნენ, პოზიცია დაიკავონ, განაცხადონ, რომ ეს ჩ ვ ე ნ ი — მათ სამის — საქმეა, რომ ისინი არიან პატრონები (თორემ ლიკვიდატორები წაგვართმევენ), უკვე ბევრი რამ ხელიდან გაშვებულია, იჩქარეთ.

ამრიგად, გამოსვლა აუცილებელია. რატომ № 3-იც არ იყოს გამომცემლად? საერთოდ როგორა აქვთ განაწილებული სამუშაო №№ 1, 3, 6 და მათს ახლო მეგობრებს? იყო თუ არა მოხსენება? არის თუ არა სრული თანხმობა?

დაწერილია 1913 წ. 9 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

30

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი აღშფოთება რედაქციის მიერ № 24-ში ბ-ნ ბოგდანოვის სულელური და თავხედური წერილის დაბეჭდვისა და რედაქციის უაზრო მინაწერის გამო [43]. ზუსტად და ნათლად ჩამოყალიბებული იყო პირობა: ასეთი რამეები შეუკითხავად არ იბეჭდებოდეს.

რედაქცია პირობებს არღვევს, თითქოს აბუჩად გვიგდებს. გასაკვირველი არ არის, რომ ი მ ა ვ ე მიზეზებით ი ო ტ ი ს-ო დ ე ნ ნდობას არ იწვევს მიხალჩის წერილი. ამ წერილში იგი თვითონ ასჯერ სცემს თავის თავს.

რიგის მუშების შეკითხვას (№ 24) **19** იანვრის თარიღი უზის [44]. სრული შესაძლებლობა გქონდათ № 17-ში (22 იანვარი) ნაროდნიკობის შესახებ სტატიასთანაც დაგეკავშირებინათ იგი და აქაც დროზე გამოგეგზავნათ. რედაქცია, ვიმეორებ, აბუჩად იგდებს პირობებს. დაბეჯითებით გთხოვთ ეს წერილი, მას შემდეგ რაც მას წაიკითხავს ვინც ჯერ არს, დ ა უ ყ ო ვ-ნ ე ბ ლ ი ვ გადასცეთ გაზეთის გამომცემელს, დეპუტატ ბადაევს.

სამსახურისთვის მზადმყოფი ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 14 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

იბეჭდება პირველად.
ხელნაწერის მიხედვით

81

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

დღეს შევიტყვეთ, რომ «დენში» რეფორმა დაიწყო. ათასი სალამი, მოლოცვა და წარმატების სურვილი. როგორც იქნა მოხერხდა რეფორმის დაწყება. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დავიტანჯეთ იდუმალად-მტრულ რედაქციასთან მუშაობით. №№ 1-ლისა და მე-3-სათვის დამატება: გაკვირვებული ვართ. რომ თქვენ შეიძლებოდა გწყენოდათ ან უკმაყოფილო ყოფილიყავით მკაცრი წერილის გამო, რომელშიც სამმანეთიანი იდო. მთელი სიმკაცრე ხომ სწორედ იმ რედაქტორების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლების განდევნაც თქვენ, საბედნიეროდ, დაიწყეთ. სიმკაცრე განსადევნთა წინააღმდეგ — რა არის აქ ცუდი? კიდევ ერთხელ მოგილოცავთ რეფორმის დაწყებას. № 3-ის წერილი «დენში» საუცხოოა, აგრეთვე დანარჩენების. გვიპასუხეთ, მიიღეთ თუ არა საბიუჯეტო სიტყვის მონახაზი? გვიგზავნეთ მასალები და მასალები. არ შეიძლება მუშაობა, თუ მასალები არ გვექნა. საბიუჯეტო სიტყვა ერთიორად უნდა განგვევითარებინა, მასალები რომ გვქონოდა. ჩინებულია ნომრების გამოსვლები[45]. სულით და გულით მოგილოცავთ. გთხოვთ გაიმეოროთ მეორე მისამართი კურსების წერილებისათვის, — ეჭვი გვეპარება გვარში. გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ მისამართები ლიტერატურისათვის.

როგორ არის № 10? ის ხომ ა — ს [46] მოწაფეა, — შეუძლია გადავიდეს ნომრებში. როგორია «ვეჩერნაია პოჩტას» [47] ტირაჟი? მიიღეს თუ არა იანის [48] ამხანაგებმა ის, რაც მათ ეგზავნებათ? ჰკითხეთ № 3-ს. მხურვალე სალამი.

დაწერილია 1913 წ. 19 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

82

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! ნება მიბოძეთ უწინარეს ყოველისა მოგილოცოთ გაზეთის გაძღოლის მთელი საქმის უდიდესი გაუმჯობესება, რაც უკანასკნელ დღეებში ჩანს. მოგილოცოთ და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი ამ გზაზე. გუშინწინ გამოგიგზავნეთ პირველი ორი სტატია «მზარდი შეუსაბამობა» [49]. «პრავდის» № 234-დან ცხადად ვხედავ, რომ ეს სტატიები არ გამოგადგებათ. ამიტომ გთხოვთ დაუგვიანებლად გადასცეთ ისინი «პროსვეშჩენიეს», სადაც ვგზავნი დასასრულს. მასვე გადაეცით, გთხოვთ, სხვა მოუთავსებელი სტატიები (პასუხი მაევსკის; ზნეობის შესახებ; ბულგაკოვი გლეხების შესახებ — ბულგაკოვის სტატიები «რუსსკაია მისლიდან» [50] და სხვ.). ძალიან გთხოვთ მალე მიპასუხოთ, შესრულებულია თუ არა ეს. გამომიგზავნეთ «ლუჩის» №№ 7, 8, 21 და 24 და «პრავდის» № 25. «პრავდას» წინათ ყოველთვის დიდილობით ვიღებდი, ისევე როგორც ახლაც ვიღებ «რეჩსა» და «ნოვოე ვრემიას». მაგრამ უკანასკნელ კვირაში «პრავდამ» დაგვიანება იწყო და მხოლოდ საღამოს მოდის. ცხადია, რომ ექსპედიცია წესიერად არ გზავნის. ძალიან გთხოვთ ზომები მიიღოთ და მიაღწიოთ ყოველდღე უფრო წესიერად გამოგზავნას.

ახალ წიგნებს სულ ვერ ვიღებ. საჭიროა მიიღოთ ზომები: ა) რომ იშოვნოთ ხოლმე გამომცემლობებიდან ავანსის პირობით, ბ) რომ დეპუტატების საშუალებით იშოვნოთ ხოლმე სათათბიროს და ოფიციალური გამოცემები. აბსოლუტურად შეუძლებელია მუშაობა, თუ წიგნები არ მექნა... არც «ზავეტი» მაქვს. არც «რუსსკაია მოლვა». არ შეიძლება იოლად გასვლა,

თუ ისინი არ მექნა. განსაკუთრებით საჭიროა «რუსსკაია ძოლვას» ის ნომერი, სადაც «ლუჩის» შესახებ წერდნენ და განმარტავდნენ — მენშევიკები იატაკქვეშეთის წინააღმდეგ არიანო.

1 (14) მარტს 30 წელი შესრულდება მარქსის გარდაცვალების დღიდან. საჭირო იქნება გამოიცეს ორ-სამკაპიკიანი დამატება «პრავდის» ფორმატის ოთხი გვერდი მარქსის დიდი პორტრეტით, მთელი რიგი სტატიებით [51]. განცხადებებით (დაწვრილებით) როგორც «პრავდის», ისე «პროსვეშჩენიეს» შესახებ. ალბათ ხარჯებს აანაზღაურებდა 25 — 30 ათასი ტირაჟით და შემოსავალს მოგვცემდა. თუ თანახმა ხართ, გვიდეპეშეთ: «შეადგინეთ» (მაშინ წერას ჩავუჯდებით) და გარდა ამისა უფრო დაწვრილებით მოიწერეთ პასუხი. გვიპასუხეთ, გთხოვთ, კვირაში ორჯერ-სამჯერ რამდენიმე სტრიქონით იმის შესახებ, თუ რა სტატიები მიიღეთ და რა მოთავსდება.

ჩემი აზრით, თქვენ სავსებით სწორად მოიქეცით, რომ მთლიანად მოათავსეთ დნევნიკი, — დასაწყისისათვის. მაგრამ შემდეგში ასე გრძელი (და ასე ცუდი) სტატიები უმჯობესია შეაჩეროთ ხოლმე და გამართოთ მიწერ-მოწერა «პროსვეშჩენიესათვის» გადაცემის შესახებ.

თქვენი Ο.

დაწერილია 1913 წ. 21 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

88

მ. ა. საველიევს

ვეტროვისათვის
საჩქარო

ძვირფასო კოლეგა! მეტად სამწუხაროა, მიწერ-მოწერა რომ ვერ მოგვიგვარებია, — განსაკუთრებული მისამართი რომ არა გვაქვს პირადად თქვენთვის მოსაწერად, — თქვენ რომ მეტად დიდხანს არ იძლევით ხოლმე პასუხს კითხვებზე. 1) მე თქვენ მოგწერეთ უკვე ძალიან, ძალიან დიდი ხანია, რომ «ზვეზდაში» დარჩა, გარდა სტატიისა «დავა ინგლისში ლიბერალურ მუშათა პოლიტიკაზე», კიდევ სტატიები «ორი უტოპია»[52] და ბოიკოტიზმის კრიტიკა (ამფიტეატროვის წინააღმდეგ, სათაური არ მახსოვს). ვიმეორებ თხოვნას: მონახოთ ისინი და გამომიგზავნოთ. იმედი მაქვს გამოვიყენო. 2) «პრავდაშიც» არის მთელი რიგი სტატიები, რომლებიც იქ არ გამოუყენებიათ. ძალიან გთხოვთ მონახოთ ისინი და შეადგინოთ მათგან პუბლიცისტის შენიშვნები თუნდაც ტ — ს ხელმოწერით... შემადგენლობა დაახლოებით ასეთი: I. პასუხი მაევსკის («ლუჩში» ლიკვიდატორობის შესახებ). — (ახლა ეს თემა მით უფრო საჭიროა, რომ დნევნიცკი და პლეხანოვი «პრავდის» № 234-ში ცუდ ჰანგზე ამღერდნენ.) II. ბულგაკოვი «რუსსკაია მისლიდან» გლეხების შესახებ (სათაური არ მახსოვს). III. ზნეობის შესახებ (ორი სტატია). IV. «მზარდი შეუსაბამობა» (კადეტების 1913 წ. თებერვლის თათბირის გამო. ამას უნდა გამოვეხმაუროთ. ორი სტატია გუშინწინ გაეგზავნა «პრავდას», დანარჩენი ოთხი პატარებია, დღეს ვგზავნი). პარაგრაფების სახელწოდებანი უნდა იწყობოდეს არა მსხვილი შრიფტით (როგორც გაკეთებულია «პროსვეშჩენიეს» № 1-ში სტატიაში «არჩევნების შედეგები»[53]), არამედ პეტიტით.

36

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! დღეს წავიკითხე «მანიფესტი»[58]...

ლიტერატურის ამნისტია, ვგონებ, სრულია. თქვენ უნდა სცადოთ დაბრუნება — **ჯერ კი, რა თქმა უნდა, უნდა გაიგოთ, შარს ხომ არ მოგდებენ «სკოლისათვის»**[59] და სხვ.. ალბათ ამისათვის პასუხისგებაში ვერ მიგცემენ..

იმედი მაქვს, თქვენ ისე არ მიგაჩნიათ, რომ არ შეიძლება «მივიღოთ» ამნისტია? ეს არასწორი შეხედულება იქნებოდა: რევოლუციონერი ახლანდელ დროში რუსეთის შიგნიდან მეტს გააკეთებს, ხოლო ჩვენი დეპუტატები «საზეიმო დაპირებასაც» კი აწერენ ხელს.

თქვენთვის კი ლაპარაკია არა ხელმოწერაზე, არამედ ამნისტიის გამოყენებაზე. მომწერეთ თქვენი აზრი და **განზრახვა.** იმედი მაქვს შემოავლით აქ, თუ დაიძვრებით, — გზა ხომ ასე გაქვთ!

რევოლუციური მწერლისათვის კი რუსეთის (ახალი რუსეთის) შემოვლის შესაძლებლობა იმის შესაძლებლობას ნიშნავს, რომ შემდეგ ასჯერ უფრო მაგრად დაარტყას რომანოვებსა და კომპ...

მიიღეთ თუ არა ჩემი წინა წერილი? რაღაც დიდი ხანია არაფერს იწერებით. კარგად ხომ ხართ?

თქვენი ლენინი

P. S. მიიღეთ თუ არა ნ. კ—ს **წერილი** მასალებით?

დაწერილია 1913 წ. 6 მარტის შემდეგ
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ **კაპრიზე** (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 **წელს**

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

87

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას

ჩვენთან საშინელი დაპატიმრებებია. კობა დაიჭირეს [80].. «პრავდის» ტირაჟი საქმედღეებში 30 — 32 ათასია და უქმედღეებში 40 — 42 ათასი. ყველგან გოდებაა — მუშაკები არა გვყავსო. ლიკვიდატორებს მთელი გროვა ინტელიგენცია ჰყავთ, ჩვენებს კი ყველას აპატიმრებენ.

«პრინციპულად» გადავწყვიტეთ გავაუქმოთ ჩანართი ფურცლები და ცალკე ფასად გამოვცეთ «პრავდის» ყოველკვირეული 4 — 8 — 12-გვერდიანი დამატებანი («ზვეზდის» ნაცვლად), კარგი იქნება, რომ მოხერხდებოდეს, მაგრამ ხალხი არსადაა.

ექვსეული ძალიან შეწყობილად ცხოვრობს — მაგრამ ჩივის, რომ უჭირს.

მთელი «ინტელიგენცია» ლიკვიდატორებთან არის. მუშათა მასები ჩვენთან არიან (40 ათასი «პრავდა» contra * 12 ათასი «ლუჩისა»), მაგრამ თავიანთ ინტელიგენციას მუშები დიდი სიძნელით ზრდიან. ნელა და სიძნელით.

პარტიული საქმეები რუსეთში საერთოდ აშკარად უმჯობესდება. მუშათა წრეები, ჯგუფები და ორგანიზაციები აშკარად ყველგან იზრდება და მტკიცდება. ფართოვდება. ურალიც და სამხრეთიც და მოსკ. ოლქიც (განსაკუთრებით). კავკასიაში გაუმჯობესებაა (უკანასკნელი ახალი ამბები — კვლავ დაპატიმრებანი)...

უეჭველი გამოცოცხლებაა სოც-დემოკრატიაში. კვლავ დაიწყეს (ცოტ-ცოტა) ფულის გაცემა. ახალი ამბავი! ჯარებში

---

* — წინააღმდეგ. **რ ე დ.**

რევოლუციური ორგანიზაციების გამოცოცხლების ნიშნებია. მაგრამ მოძრაობის ტემპი რაღაც სხვაა, ახალი.

შენიშნავდით, რა თქმა უნდა, პლეხანოვს «პრავდაში»? იჭირვეულა და... დაბრუნდა. ო, რა ჭირვეულია! დაეხმარა მაევსკის (I. 1912-ის შემდეგ), — შემდეგ ჩამოშორდა მას (VIII. 1912) — უწყალოდ გალანძღულ იქნა მის მიერ — ახლა ისევ ლანძღავს მას!! კისელიოვმა გრძელი წერილი გამომიგზავნა, მისაყვედურებს, რომ ვავიწროებ პარტიულ მენშევიკებს, რომლებისგანაც თითქოს მე ტყუილად მოვითხოვ, რომ ისინი «ლენინელები» იყვნენ. უცნაური კაცია! გრ — ი კი ფიქრობს, რომ ეს პლეხანოვის «სვლაა»...

წავიკითხე როზას ახალი წიგნი «Die Akkumulation des Kapitals» *. სასტიკად მოუჩმახავს! მარქსი დაუმახინჯებია. ძალიან მიხარია, რომ პანეკუკმა და ეკშტეინმაც და ო. ბაუერმაც იგი ერთსულოვნად დაგმეს და მის წინააღმდეგ თქვეს ის, რასაც მე 1899 წელს ნაროდნიკების წინააღმდეგ ვამბობდი [61]. ვაპირებ როზას შესახებ დავწერო «პროსვეშჩენიეში» № 4-სათვის [62].

კობამ მოასწრო დაეწერა დიდი («პროსვეშჩენიეს» სამი ნომრისათვის) სტატია ნაციონალურ საკითხზე. კარგია! უნდა ვიბრძოლოთ ჭეშმარიტებისათვის ბუნდისა და ლიკვიდატორების წრის სეპარატისტთა და ოპორტუნისტთა წინააღმდეგ.

რუსეთისაკენ წყალი რამდენადმე დაიძრა: საზღვარგარეთიდან წინანდელზე მეტნი მიდიან შინ სამუშაოდ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 29 მარტზე ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

---

* — «კაპიტალის დაგროვება». რ ე დ.

38

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ დაწვრილებითი წერილისათვის, რომლითაც ძალიან ძვირფას ცნობებს გვაწვდით. მეტი მოიწერეთ და მოგვეცით კავშირი რაიონებთან.

ლიკვიდატორები «მტრულად» რომ ხვდებიან პარტიული მენშევიკების დაახლოებას პარტიასთან — ეს მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა რაიონებში მიიღონ რეზოლუცია ამის შესახებ. ეს ფაქტი მე-1 000-ჯერ ამტკიცებს, რომ ლიკვიდატორები საბოლოოდ პარტიისგარეშე და ანტიპარტიული ელემენტია, რომ გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მათ წინააღმდეგ («ლუჩის» წინააღმდეგ) და არა მათთან. ჩემი აზრით, თქვენ სავსებით მართალი ხართ, ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებთ. ლიკვიდატორებთან ერთიანობაზე არასგზით არ შეიძლება ლაპარაკი: არ შეიძლება გავაერთიანოთ პარტია პარტიის დამრღვევებთან. 1913 წ. თებერვლის თათბირის რეზოლუცია ქვემოდან ერთიანობის შესახებ, მე მგონია, ჰექტოგრაფით უნდა გაამრავლოთ (თუ ის ცოტაა) და დაუმატოთ რეზოლუცია «ლუჩის» წინააღმდეგ 5 პუნქტის ზუსტად ჩამოთვლით [63].

შემდეგ, სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს 7-ის წინააღმდეგ კამპანიის და ამასთან მუშათა ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ. შვიდეული [64] — ეს ის მერყევი ადამიანები არიან, რომლებიც პარტიის ახლოს ტრიალებენ, მაგრამ პარტიის ბევრი არა სცხიათ რა. მათთან შეიძლება შეთანხმებათა დადება სათათბიროს შიგნით, რომ გეზი მივცეთ და გავიყოლიოთ

ისინი, მაგრამ მათი ლიკვიდატორობის, მათი უხერხემლობისა და უპრინციპობის მიჩქმალვა დანაშაული იქნებოდა. ხელი უნდა შევუწყოთ კამპანიას 7-ის წინააღმდეგ და განვავითაროთ ეს კამპანია. ახლა, როცა ლიკვიდატორული «ლუჩი» ფართოვდება (აშკარად ლიბერალთა ფულით, ვინაიდან იგი თვეში 1 000 მანეთ ზარალს იძლევა და მხოლოდ 12 000 ტირაჟი აქვს), ერთიანად უნდა გავაძლიეროთ კამპანია მუშათა დეპუტატების ექვსეულისათვის დახმარების სასარგებლოდ, «პრავდაზე» ხელმოწერის სასარგებლოდ, «პრავდის» გასაფართოებლად. საჭიროა პირდაპირ ქარხნებში ვაწარმოებდეთ ბრძოლას «პრავდისათვის», მოვითხოვდეთ, რომ მეტი გამოიწერონ, ბრძოლით წავართვათ «ლუჩს» თვითეული ქარხანა, რომ ქარხნებს შორის შეჯიბრება იყოს «პრავდაზე» ხელის მომწერთა რიცხვისათვის. პარტიულობის გამარჯვება «პრავდის» გამარჯვებაა და პირიქით. უნდა გავაჩაღოთ ასეთი კამპანია: ავიყვანოთ «პრავდა» 30 000-დან 50 — 60 000-მდე, ხოლო ხელის მომწერთა რიცხვი 5 000-დან 20 000-მდე და განუხრელად ვიაროთ ამ მიმართულებით. მაშინ ჩვენ გავაფართოებთ და გავაუმჯობესებთ «პრავდას».

თქვენი მითითება ინტელიგენტების უყოლობაზე ძალიან სწორია. ისინი არც იქნებიან. მათ შეცვლის «პრავდა» და არალეგალური ლიტერატურა. უნდა გამოსცეთ თუნდაც ჰექტოგრაფიულად რეზოლუციები და ფურცლები, სანამ არ მოეწყობა ტექნიკა. საჭიროა ყოველკვირეულად გამოიცეს ჰექტოგრაფიულად 30 — 60 ეგზემპლარი პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციები დირექტივების სახით; ამ რეზოლუციების შესახებ ჩვენ შეგვეძლება ყოველთვის შევთანხმდეთ წერილებით. იფიქრეთ ამაზე. ეს განამტკიცებს არალეგალურ მუშაობას, შეამცირებს მსხვერპლის რიცხვს, განაზოგადებს პროპაგანდას და ა. შ.

პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუცია 6-ის სასარგებლოდ 7-ის წინააღმდეგ ჩინებულია [65]. ნუთუ იგი ჰექტოგრაფითაც კი არ გაგიმრავლებიათ? ეს აბსოლუტურად აუცილებელია. აი სწორედ ასეთი კამპანიებია საჭირო. ვეცდებით გამოგიგზავნოთ

სტატიები «იზვესტიისათვის»[66]. გვაცნობეთ ვადები. გვაცნობეთ, როგორია «იზვესტიის» ზომა და სტატიების ზომა.

ლ.

დაწერილია 1913 წ. 5 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

39

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

როგორ არის «პროსვეშჩენიეს» მ ა ი ს ი ს წიგნაკისათვის სტატიის ან მოთხრობის საქმე? მე იქიდან მწერენ, რომ შეიძლება გამოიცეს **10 — 15 ათასი** (აი როგორ მივიწევთ წინ!), თქვენგან რომ რამე ჰქონდეთ. მომწერეთ, იქნება თუ არა. შემდეგ კი «პრავდა» გადაბეჭდავს და გამოდის 40 000 მკითხველი. დიახ... შეიძლებოდა «პროსვეშჩენიეს» საქმე კარგად წასულიყო, თორემ, დალახვროს ეშმაკმა, ა რ ა რ ი ს სწორი ხაზის მქონე არც ერთი ჟურნალი მუშებისათვის, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რევოლუციური დემოკრატიისათვის, სულ რაღაც საზიზღარი დონდლოები მომრავლდნენ.

როგორ ხართ? დაისვენეთ თუ არა და დაისვენებთ თუ არა ზაფხულში? საჭიროა, გარწმუნებთ, კ ა რ გ ა დ დაისვენოთ!

მე გაჭირვებაში ვარ. ცოლი ავად გამიხდა ბაზედოვის ავადმყოფობით. ნერვების ბრალია! მეც ნერვები ცოტა აშლილი მაქვს. ზაფხულისათვის წამოვედით სოფელ პორონინში, ზაკოპანეს ახლოს. (ჩემი მისამართია: Herrn Wl. Uljanow. P o r o n i n. **Galizien**. Austria.) კარგი ადგილებია. საღი. სიმაღლე 700 მეტრამდე. რას იტყვით, ხომ არ ფიქრობთ გამოისეირნოთ? რუსეთიდან საინტერესო მუშები იქნებიან. ზაკოპანე (ჩვენგან 7 ვერსზე) ცნობილი კლიმატური კურორტია.

ნახეთ თუ არა დემიან ბედნის «იგავ-არაკები»? გამოგიგზავნით, თუ არ გინახავთ. ხოლო თუ ნახეთ, მომწერეთ, როგორ მიგაჩნიათ.

რეგულარულად იღებთ თუ არა «პრავდასა» და «ლუჩს»? ჩვენი საქმე — ყოველივეს მიუხედავად — წინ მიდის, და მუშათა პარტია რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიული შენდება, ლიბერალი რენეგატების, ლიკვიდატორების წინააღმდეგ. დაგვიდგება დღესასწაული. ჩვენ ახლა აღტაცებული ვართ იმის გამო, რომ პიტერში მუშებმა გაიმარჯვეს ლიკვიდატორებზე მელითონეთა ახალი კავშირის გამგეობის არჩევის დროს.

«თქვენი» ლუნაჩარსკი კი კარგი რამეა!! ოო, კარგი რამე! მეტერლინკს «მეცნიერული მისტიციზმი» აქვსო... თუ ლუნაჩარსკი და ბოგდანოვი თქვენი აღარ არიან?

ხუმრობის გარეშე. ი ყ ა ვ ი თ ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ა დ. მოიწერეთ ორიოდე სიტყვა. უფრო კარგად **დაისვენეთ.**

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Austria. P o r o n i n (Galizien).

როგორ მიგაჩნიათ «პრავდის» საიუბილეო № 67?

დაწერილია 1913 წ. მაისის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

40

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

დღეს, როგორც იქნა, მივიღე «პრავდის» უკანასკნელი დღეების, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკანასკნელი კვირის კომპლექტი. ძალიან გმადლობთ, და ძალიან მოგილოცავთ წარმატებას: ჩემი აზრით, უეჭველია, რომ გაზეთი ახლა ფეხზე დ ა დ გ ა. გაუმჯობესება უდიდესი და სერიოზულია, — იმედი უნდა ვიქონიოთ, მტკიცე და საბოლოოა. საკითხი პლეხანოვის სტატიების სიდიდისა და ანტილიკვიდატორობის სიუხვის შესახებ (რაზეც იწერება ერთი მუშა დეპუტატი) უკვე კერძო საკითხებია; აქ შესწორების შეტანა ძნელი არ არის, რაკი გაზეთი მტკიცედ დგას, და მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივი მუშაკები ერთბაშად დაინახავენ, როგორ შეიტანონ შესწორება. დაწვრილებითი წერილი ერთი თანამშრომლისგანაც (რომელსაც, სამწუხაროდ, არ მოეპოვება სასიამოვნო «დეპუტატური» თვისება) მივიღეთ და ძალიან გვიხაროდა, ვულოცავდით ყოველ წარმატებას. ისე ჰგავს, რომ ახლა (და მხოლოდ ახლა, სტ — ვის [68] ავანტიურის შემდეგ) მერყეობის პერიოდი დამთავრდა... ოღონდ თვალი არ ეცეს!..

პლეხანოვისათვის ულტიმატუმების წაყენებას არ გირჩევთ: ადრეა! შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს!! თუ მისწერთ, მისწერეთ თავაზიანად და რბილად. იგი ახლა დასაფასებელია, ვინაიდან მუშათა მოძრაობის მტრებს ებრძვის.

დემიან ბედნის შესახებ — კვლავ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ. მიზეზს ნუ მოსდებთ, მეგობრებო, ადამიანურ სისუსტეს! ნიჭი იშვიათად გვხვდება. საჭიროა სისტემატურად და ფრთხილად ხელს ვუწყობდეთ მას. შესცოდავთ, ძალიან შესცოდავთ

(ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე სხვადასხვა პირადი «შეცოდეპაა», ოუ ასეთები გაქვთ...) მუშათა დემოკრატიის წინაშე, თუ ნიჭიერი თანამშრომელი არ მოიზიდეთ, **არ დაეხმარეთ** მას. კონფლიქტები წვრილმანი იყო, საქმე კი სერიოზულია. იფიქრეთ ამაზე!

გაფართოების შესახებ ამას წინათ დაწვრილებით მივწერე პროსვეშჩენიელს; იმედი მაქვს, თქვენც ნახავდით ამ წერილს. ჰეც ფინანსური სიფრთხილის მომხრე ვარ: იგივე ექვსი გვერდი (ახლანდელი ჩანართი ფურცლები) მ ი ვ ც ე თ **სხვანაირად**, სხვა სოუსით და სახელწოდებითა და შინაარსით: 4 გვერდი საკვირაო დამატება მოწინავეთათვის + 2 გვერდი «მუშური კაპიკი» 1 კაპიკად. მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს, ასი ათასი მკითხველის დასაპყრობად, უალრესად პოპულარული შინაარსისა. «ლუჩს» კი არ უნდა ვბაძავდეთ, არამედ ჩ ვ ე ნ ი გზით, პროლეტარული გზით უნდა მივდიოდეთ: 4 გვერდი მოწინავე მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და 2 გვერდი (შეიძლება 4-იც **შემდეგ**) **მახიხათვის**, ხანგრძლივი და თავგამოდებული ბრძოლისათვის 100 000 მკითხველის შესაძენად. სიგანეზე და სიღრმეზე უნდა მივიწევდეთ, მასებში, და არა ისეთი ინტელიგენტური ნიმუშებისაკენ, როგორიც არის «ლუჩი».

კიდევ ერთხელ: სალამი, მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ვ. ი.

კიდევ განსაკუთრებული სალამი ვიტიმსკის; **ძ ა ლ ი ა ნ კარგი გამოვიდა** მისი სტატია მუშათა პრესისა და მუშათა დემოკრატიის შესახებ ლიბერალების წინააღმდეგ [60]!! ბოგდანოვის «იდეოლოგია» კი, **ალბათ**, ერესია: გპირდებით დაგიმტკიცოთ ეს ზუსტად!!

ტირაჟის გადიდება კი მარქსისტებს უხარიათ, როცა **იგი** დიდდება **მარქსისტული** სტატიებით და არა სტატიებით **მარქსიზმის წინააღმდეგ**. ჩვენ იდეური გაზეთი გვინდა, — «პრავდის» ყველა თანამშრომელსა და მკითხველს **უნდა** ეს — მარქსისტული და არა მახისტური? ხომ ასეა?

P. S. მისამართია არა Paronen, არამედ Poronin (Galizien) და აუცილებლად უნდა **დაემატოს** ხოლმე ბანდეროლზე: მარშრუტი: ვარშავა — გრანიცა — ზაკოპანე.

დაწერილია 1913 წ. მაისის ბოლოს
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

41

გ. ვ. პლეხანოვს

პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ!

ექვსი სოციალ-დემოკრატი დეპუტატის დავალებით მოგმართავთ წინადადებით ჩამოხვიდეთ ზაფხულში რამდენიმე კვირით ზაკოპანეში და წაიკითხოთ ლექციები მარქსიზმის და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის იმ საკითხებზე, რომლებსაც თქვენ აირჩევთ. დღეს პიტერიდან გვწერენ, რომ შესაძლებელია აგრეთვე ჩამოვიდეს ოთხი დეპუტატი, რომლებიც მხარს უჭერენ ლიკვიდატორებს ან მერყეობენ (ბურიანოვი, ტულიაკოვი, ხაუსტოვი და შ ე ს ა ძ ლ ო ა მანკოვიც კი). როგორც მენშევიკები, ისინი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თქვენი მონაწილეობის საკითხს.

ჩვენი მხრივ, ჩვენ ძალიან სასარგებლოდ მიგვაჩნია სხვადასხვა შეხედულებათა პარტიელების მონაწილეობა წამოწყებაში, რომელიც ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი გვგონია მუშებთან კავშირის გასაძლიერებლად და პარტიული მუშაობის განსამტკიცებლად.

საქმის კონსპირაციულობის გამო გადავწყვიტეთ საზღვარგარეთის არც ერთ ჯგუფს არ ვაცნობოთ ლექციების მოწყობის გეგმა — მით უმეტეს, რომ დეპუტატებს ალბათ განსაკუთრებით მკაცრი დევნა მოელის.

პორონინი, სადაც ნავარაუდევია ლექციების წაკითხვა. რკინიგზით 7 km. მანძილზეა ზაკოპანედან — გალიციის ერთ-ერთი საუკეთესო მთიანი კურორტიდან. საქმის ფინანსურ

მხარეზე (მგზავრობის ხარჯების დაფარვა) შესაძლებელი იქნება ცალკე შევთანხმდეთ წერილებით, თუ საჭირო იქნება.

მომწერეთ, გთხოვთ, თანახმა ხართ თუ არა ამ წინადადებაზე.

სამსახურისათვის მზადმყოფი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: Herrn Wl. Uljanow. P o r o n i n. (Galizien). Autriche.

დაწერილია არაუგვიანეს
1913 წ. 22 ივნისისა
გაგზავნილია პორონინიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

42

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალ. მაქს.! დღეს პიტერიდან მივიღეთ წერილი, რომ აქ ს.-დ. დეპუტატების ჩამოსვლის ჩვენი გეგმა (უაღ-რესად კონსპირაციულია: გადაწყვეტილია თქვენ გარდა არავისთან კრინტი არ დავძრათ) მალე განხორციელ-დება. «პრავდის» მომხრეთა ექვსეულის გარდა შესაძლებელია. როგორც გვწერენ, ჩამოვიდნენ ტულიაკოვი, ბურიანოვი, ხა-უსტოვი და, შესაძლოა, მანკოვიც კი. ალბათ მოხერხდება პუშებიდანაც (არა დეპუტატებიდან) ზოგი ვინმე მოვიზიდოთ. პომწერეთ, გთხოვთ, შეგიძლიათ თუ არა ჩამოხვიდეთ (რამდე-ნიმე ლექციის ან საუბრის, ანდა მეცადინეობისათვის, რო-გორც მოისურვებთ)? კარგი კი იქნებოდა! აქედან 7 კმ. მანძილზეა (რკინიგზით) ზაკოპანე — ძალიან კარგი კურორტი. სამგზავრო ფულის შესახებ — ალბათ ვიშოვნით (ასე გვწე-რენ). ზაკოპანეს, როგორც კურორტის შესახებ, შეგვიძლია შევკრიბოთ და გამოგიგზავნოთ მთელი ცნობები.

თუ ჯანმრთელობა ნებას გაძლევთ, ცოტა ხნით ჩამოდით! ლონდონის [70] და კაპრის სკოლის შემდეგ მუშებსაც ნახავდით.

მალინოვსკის თქვენთან წამოსვლა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, დრო არ ჰქონდა. ისიც და ყველა დეპუტატიც თქვენ დიდ სალამს გიძღვნიან.

ველი პასუხს.

თქვენი ლენინი

გაზეთები სავსეა ცნობებით «კონფლიქტის» შესახებ. მე ვფიქრობ, «პრავდას» დაგვიხრჩობენ. ამას მაკლაკოვი ასე თუ

ისე გაატარებს, სათათბიროს გვერდის ავლით, სათათბიროს წინააღმდეგ თუ სხვანაირად, მაგრამ გაატარებს! [71]

მაშინ ჩვენ კვლავ გავაძლიერებთ არალეგალური ლიტერატურის გამოცემას — ეს კია, რომ ფული არა გვაქვს.

როგორ არის საქმე, «ვაჭარი» ჯერ კიდევ არ იძლევა? დროა. ნამდვილად დროა.

მისამართი: Herrn Wl. Uljanow. P o r o n i n. (Galizien). Autriche.

დაწერილია არაუგვიანეს 1913 წ. 22 ივნისისა
გაგზავნილია პორონინიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

43

IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს

ძვირფასო მეგობრებო. ჩვენი აზრით თქვენ შეცდომა ჩაიდინეთ, თევდორეს [72] რომ დაუკავშირდით. ალბათ კინკლაობის მეტი არაფერი გამოვა. თქვენ თქვენი ანგარიში უნდა გამოგეცათ. მაგრამ ახლა იქიდან უნდა გამოვდიოდეთ, რაც შეკვე გაკეთდა. ახლანდელ მდგომარეობაში საჭიროა უწინარეს ყოვლისა მტკიცედ მოითხოვოთ სრული თანასწორობა და უწინარეს ყოვლისა შეიტანოთ ფორმალური რეზოლუცია. დაახლოებით ასეთი: «კოოპერატივი [73] ადგენს. რომ ანგარიშის შედგენისას არ დაიშვება არავითარი მაიორიზაცია ერთი მიმართულებისა მეორის მიერ და ორივე მიმართულება (6-ეული და 7-ეული) ყოველმხრივ სრული თანასწორობით სარგებლობს, ე. ი. კომისია თანასწორად იქნება შედგენილი, სადავო ადგილების რედაქტირება შეთანხმებით ხდება და არა მაიორიზაციით. თუ ანგარიშის ბოლოს დეპუტატთა სიტყვები გადაიბეჭდება, სიტყვების არჩევაც შეთანხმებით ხდება». ეს რეზოლუცია აუცილებელია. თორემ კომისიას კი თანასწორად შეადგენენ, მაგრამ შემდეგ ერთი ხმის უპეტესობით კოოპერატივი იმას დაამტკიცებს, რასაც ლიკვიდატორი წამოაყენებს. თეოდორამ ასეთი რეზოლუცია რომ უარყოს, ჩვენ გირჩევთ ოფიციალურად განაცხადოთ, რომ, რადგან არა სურთ თანასწორობა მოგანიჭონ, თქვენ იტოვებთ მოქმედების სრულ თავისუფლებას. თქვენ შეგიძლიათ ამასთან მაინც წამოაყენოთ თქვენი კანდიდატი.

ამასთან გაცნობებთ თეზისების სულ თავდაპირველ მონახაზს:

1) საარჩევნო კამპანია. მისი ვითარება. შედეგები ს.-დ-

44

ა. მ. გორკის

25. VII. 1913.

ძვირფასო ა. მ.! სულ მინდოდა მომეწერა თქვენთვის, შაგრამ გადავდებდი ხოლმე ცოლის ოპერაციის გამო. გუშინწინ, როგორც იქნა, ოპერაცია გაუკეთეს, და ახლა უკვე მომჯობინება ეტყობა. ოპერაცია საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა — ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხერხდა ოპერაციის გაკეთება კოხერთან.

ახლა საქმეზე. თქვენ იწერებოდით, რომ აგვისტოში ბერლინში იქნებით. როდის აგვისტოში? დამდეგს თუ დამლევს? ჩვენ აქედან წასვლას ვაპირებთ 4 აგვისტოს. ბილეთები გვაქვს ციურიხზე — მიუნხენზე — ვენაზე და ყველა ამ ქალაქში გავჩერდებით. (შესაძლებელია 4-ში ექიმმა კიდევ არ გაგვიშვას, — მაშინ კიდევ გადავდებთ.)

ხომ არ შეიძლება ერთმანეთს შევხვდეთ სადმე? თქვენ **ხომ** ალბათ გზა ბერნზე ან ციურიხზე გაქვთ ან მიუნხენზე?

ძალიან საჭიროა შევხვდეთ ერთმანეთს. **«პრავდის»** დახურვა საშინლად ძნელ მდგომარეობას ქმნის. იქნებ რამეს მოვიფიქრებდით. შემდეგ ბერლინში თქვენ შეძლებდით ძალიან ბევრი რამ გაგეკეთებინათ ჩვენთვის, ე. ი. «პ რ ა ვ დ ი ს ა თ ვ ი ს».

ამიტომ ძალიან გთხოვთ **ახლავე** მომწეროთ თუნდაც ორი სიტყვა იმაზე, შესაძლებელია თუ არა ჩვენი შეხვედრა აქ ან აღნიშნულ ქალაქებში აგვისტოს დამდეგს? თუ **არ** არის შესაძლებელი, მაშინ მე უფრო დაწვრილებით მოგწერთ ყველა საქმეზე, კერძოდ სკოლის შესახებ (ორგანიზატორის ჩავარდნამ საშინლად დაგვაბრკოლა; ვეძებთ სხვას).

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველივე კეთილს, ყველაზე მეტად კი ჯანმრთელობას მგზავრობისათვის. მაშ მიპასუხეთ **ახლავე!**

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მისამართი: Herrn Uljanoff. 4. Gesellschaftsstrasse. 4. (Svizzera) B e r n.

გაგზავნილია ბერნიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

45

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ა. ბებელის გარდაცვალების გამო

ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გამოჩენილი ბელადის დაკარგვის გამო.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 13 და 17 აგვისტოს
შუა
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

დაბეჭდილია 1913 წ. 17 აგვისტოს
გაზეთ «Vorwärts»-ში № 211

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

46

ს. გ. შაუმიანს

ძვირფასო ამხანაგო! შინ რომ დავბრუნდი, თქვენი წერილი დამხვდა. აუცილებლად გამომიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში (რაკი თქვენ, ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, არ შეგიძლიათ თვითონ დაწეროთ) და კ ო ს ტ რ ო ვ ი ს სტატია და მისი წიგნები, დელეგატების მოხსენებები რუსულ ენაზე თარგმანით (იმედია იშოვნით ვინმეს, რომ დაავალოთ) და კავკასიის ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა სტ ა ტ ი ს ტ ი კ ა და მასალა ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში, სპარსეთში, თურქეთსა და რუსეთში, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც არის და რის შეგროვებაც შეგიძლიათ, გამოგზავნეთ. არ დაგავიწყდეთ აგრეთვე მ ო ძ ე ბ ნ ო თ კავკასიელი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ სტატიები ეროვნულ საკითხზე კავკასიაში.

გიძღვნით სალამს და გისურვებთ წარმატებას.

თქვენი ვ. ი ლ ი ნ ი

ხომ არ იცით, კიდევ ცხოვრობს ჩორნი იარში ლიტერატორი გოლდენბერგი თუ უკვე დაამთავრა ვადა? როგორ არის, ვგონებ, ძალიან ავად იყო. რას წარმოადგენს ახლა იგი?

გიძღვნით სალამს და მაგრად გართმევთ ხელს.

იყავით თუ არა ნიჟნში და ნახეთ ვინმე თუ არა ჩვენი საერთო ნაცნობებიდან.

დაწერილია 1913 წ. 24 აგვისტოს
გაგზავნილია პორონინიდან ასტრახანში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით

47

გაზეთ «პრავდა ტრუდას»[75] რედაქციას

P. S. «პრავდა ტრუდა» № 5 არ მიმიღია. ძალიან გმადლობთ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» გამოგზავნისათვის: აკლია მხოლოდ მისი № 7, აგრეთვე «ნაშ პუტის» №№ 7 და 9. გამოძიგზავნეთ, გთხოვთ.

მე მგონია, თქვენ გიგანტურ შეცდომას სჩადიხართ, შეუგნებლად რომ მიჰყვებით დინებას **და არ ცვლით** გაზეთის ტონს. ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ უნდა **შეიცვალოს** ტონიც და ქრონიკის ნაწილის **შინაარსიც**. უნდა **მიაღწიოთ** ლეგალობას, ცენზურულობას. შეიძლება მიაღწიოთ მას და უნდა მიაღწიოთ კიდეც. თორემ ტყუილად ღუპავთ საქმეს, რომელსაც ხელი მოჰკიდეთ. მოიფიქრეთ ეს სერიოზულად.

დაწერილია არაუადრეს 1913 წ.
30 სექტემბრისა
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

48

ა. მ. გორკის

30 სექტემბერი 1913.

ძვირფასო ა. მ.! პასუხი ცოტა დაგიგვიანეთ. ბოდიშს ვიხდი. რა საშინლად გაბრაზებული ვიყავი ბერნში და შემდეგ!! ვფიქრობ: თუ თქვენ ვერონაში ხართ (თქვენი დეპეშა ბებელის გამო ვერონიდან იყო [76]) — თუ რაღაც რომ... ?? — მე ხომ შემეძლო ვერონაში ბერნიდან ჩამოვსულიყავ!! თქვენ კი მაშინ თვეების განმავლობაში კრინტიც არ დაგიძრავთ...

ის, რასაც თქვენი ავადმყოფობის შესახებ მწერთ, საშინლად მაშფოთებს. განა კარგად იქცევით, რომ კაპრიზე ცხოვრობთ და არ მკურნალობთ? გერმანელებს ჩინებული სანატორიუმები აქვთ (ძაგ., St. Blasien-ში, შვეიცარიის ახლოს), სადაც მკურნალობენ და საავსებით კურნავენ ფილტვების დაავადებას, აღწევენ სრულ ჩაკირვას, კარგად კვებავენ, შემდეგ სისტემატურად აჩვევენ სიცივეს, აწრთობენ გაცივების წინააღმდეგ და უშვებენ ვარგის, შრომისუნარიან ადამიანებს.

თქვენ კი კაპრის შემდეგ ზამთარში — რუსეთში???? ძალიან მეშინია, რომ ეს ავნებს თქვენს ჯანმრთელობას და წაგართმევთ შრომის უნარს. არიან თუ არა მაგ იტალიაში პირველხარისხოვანი ექიმები??

გარწმუნებთ, ერთი ინახულეთ პირველხარისხოვანი ექიმი შვეიცარიაში * ან გერმანიაში, — ერთ 2 თვეს **სერიოზულად** იმკურნალეთ კარგ სანატორიუმში. თორემ სახაზინო ქონების

* — მე შემიძლია გავიგო სახელები და მისამართები.

ტყუილად ფლანგვა, ე. ი. ავადმყოფობა და თავისი შრომისუნარიანობის შერყევა ყოველმხრივ შეუწყნარებელია.

გავიგონე («პროსვეშჩენიეს» რედაქტორისაგან, რომელმაც ნახა ლადიჟნიკოვი[77]), რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ «პ რ ა ვ დ ი თ». სიმშრალისათვის? ეს მართალია. მაგრამ ამ ნაკლის ერთბაშად გამოსწორება იოლი როდია. ხალხი არაა. დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ დ ი დ ი გაჭირვებით მივაღწიეთ იმას, რომ პიტერში ცოტაოდნად ხ ე ი რ ი ა ნ ი რედაქცია გვყავს.

(თქვენი წერილი «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» გადავუგზავნე.)

მოიწერეთ, რა გეგმები გაქვთ და რ ო გ ო რ ხ ა რ თ. დაბეჯითებით გთხოვთ ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ მ ო ჰ კ ი დ ო თ ხ ე ლ ი მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ს — ღმერთმანი, გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ავადმყოფობის უყურადღებოდ მიტოვება კი პირდაპირ უღმერთობა და დანაშაულია.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჩვენთან ნაწილობრივ იყო და ნაწილობრივ იქნება კარგი ხალხი. «ნაშ პუტ» ნ ა ხ ე თ? ხედავთ რა წარმატებაა? უკვე მეორე გაზეთია. მესამესაც დავაარსებთ — სამხრეთში.

მისამართი: Uljanow. **Poronin** (Galizien). A u s t r i a (ზამთარში ვიქნები კრაკოვში: Lubomirskiego. 51.)

გაგზავნილია პორონინიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

19

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

ძალიან გმადლობთ, რომ ორჯერ გამომიგზავნეთ გაზეთი **დროზე,** ე. ი. ყველა ბურჟუაზიულ გაზეთთან **ერთდროულად.** მაგრამ, ამ ორი შემთხვევის გარდა, გაზეთი «ზა პრავდუ» ყოველთვის ბურჟუაზიულ გაზეთებზე ½ დღით გვიან მოდის. ხომ არ შეიძლება გამოასწოროთ ეს და **ყოველთვის** დროზე გზავნოთ, რომ იგი ბურჟუაზიულ გაზეთებთან ერთდროულად მოდიოდეს?

მხურვალე სალამი!

თქვენი ლენინი

P. S. როგორია ახლა გაზეთის ტირაჟი? იქნება თუ არა როდისმე (ბოლოს და ბოლოს!!) ფულის ანგარიში? ლეგალობის შესახებ თქვენი მდივანი მართალი არ არის თავის უკანასკნელ წერილში: შეიძლება და საჭიროა კიდევ **ბევრი რამ** გაკეთდეს ლეგალობის გადიდების მხრივ.

რამდენია ახლა ხელისმომწერი?

დაწერილია 1913 წ.
ოქტომბერ-დეკემბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 5 მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 99

იბეჭდება ხელნაწერიხ მიხედვით

50

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

რედაქტორს

წერილი რედაქციისადმი

პატივცემულო კოლეგებო!

მივესალმები რა იმას, რომ ექვსმა დეპუტატმა ჩინებულად დაიწყო ბრძოლა მუშათა უმრავლესობის ნების პატივისცემისათვის, და თქვენი გაზეთის ჩინებულ კამპანიას [78], გთხოვდით აგრეთვე ყურადღება მიგექციათ შემდეგისათვის:

თუ შვიდეული თავხედურად გამოაცხადებს თ ა ვ ს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციად (როგორც გააკეთა მან თავისი სტატიის დასასრულს № 60-ში), მაშინ ექვსეულმა აუცილებლად უნდა განაცხადოს მშვიდად, მოკლედ, მტკიცედ: «ჩვენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია ვართ, ვინაიდან შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნებას ვეთანხმებით, ამ ნებას ვახორციელებთ, უმრავლესობას წარმოვადგენთ. შვიდმა უპარტიომ ვერ გააბათილა ვერც ერთი ფაქტი, ვერც ერთი ციფრი იმ უამრავი ფაქტებიდან და ციფრებიდან, რომლებიც მოყვანილია ჩვენს გაზეთში და რომლებიც ამ ჭეშმარიტებას ამტკიცებს. აი ჩვენი მისამართი, მოგვმართეთ ჩვენ, ამხანაგო-მუშებო, და არ იფიქროთ, რომ ჩვენ შეურაცხგყოფთ ფიქრით, თითქოს მიგვაჩნია, რომ თქვენ შეგეძლოთ დაიჯეროთ თეორია: «შვიდი დეპუტატი პარტიაზე მაღლა დგას, მუშათა უმრავლესობის ნებაზე მაღლა დგას». 77 დეპუტატიც კი **არ** შეიძლება ამ ნებაზე მაღლა იდგეს. ჩვენ მას ზუსტად ვასრულებთ».

ასეთი მოკლე განცხადება აუცილებლად საჭიროა. შემდეგ ფორმალური განცხადება უნდა შეიტანონ სენიორენ-კონ-

ვენტშიც (ე. ი. სახელმწიფო სათათბიროში). მ ა შ ი ნ შვიდეული ძალიან მალე, მყისვე შეწყვეტს ყოყოჩობას, — ძალიან, ძალიან მალე დ ა თ ა ნ ხ მ დ ე ბ ი ა ნ თანასწოროგაზე (რომელიც მათ ყ ვ ე ლ ა მ აღიარეს წერილობით). სხვა გამოსავალი ა რ ც მათ და ა რ ც სხვა ვინმეს **არ ექნება.**

საქმეს ხელს რომ მოჰკიდებ, უკან აღარ უნდა დაიხიო. ექვსმა **მშვენივრად** დაიწყო, და მათი გამარჯვება **უზრუნველყოფილია, თუ** ისინი **სწორად** განაგრძობენ, — ერთი-ორი კვირის შემდეგ გამარჯვება გარდუვალია.

მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები.

ვ. ()ლ.

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 2 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. 5 მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 123

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

51

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

მოგილოცავთ მუშა დეპუტატების უფლებებისათვის კამპანიის ჩინებულად დაწყებას.

წავიკითხე საზიზღარი საკინკლაო მონაჩმახი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» და დაბეჯითებით გირჩევთ მოიფიქროთ და მიიღოთ ჩემი გუშინდელი გეგმა[79]. არ შეიძლება ასეთი რამ ისე დავტოვოთ, რომ ორგანიზაციული გადაწყვეტილება არ მივიღოთ.

მუშებისათვის არ კმარა, რომ რეზოლუციები გზავნონ: აუცილებლად საჭიროა, რომ მუშები **დეპუტაციებს** უგზავნიდნენ სათათბიროს ფრაქციას.

სალამი და საუკეთესო სურვილები!

თქვენი ვ. ().

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 3 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

52

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

შვიდეულის წინააღმდეგ კამპანიის მნიშვნელობის გამო ჩვენთვის, როგორც თანამშრომლებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია ყოველდღიურად გვქონდეს ცნობები. ამავე დროს კი «ზა პრავდუ» ყოველდღე იგვიანებს. დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ გაზეთი ყოველდღე თავის დროზე და დაუყოვნებლად იგზავნებოდეს.

უმრავლესობა რომ ექვსეულის მხარეზეა, ეს ცხადია. მაგრამ ექვსეული თანმიმდევრულად არ იქცევა. მას გამარჯვება ხელში აქვს, თუ ლოგიკურად (და პოლიტიკურად) აუცილებელ ნაბიჯს გადადგამს და თავს ფრაქციად გამოაცხადებს.

რაკი ექვსეული ასე მოიქცევა და რაკი განცხადებას შეიტანს სათათბიროში, შვიდეული იძულებული გახდება (სათათბიროში მუშაობის უკვე თვით ტექნიკის მიხედვით) შეთანხმება დადოს ექვსეულთან.

სასაცილო იქნებოდა სავსებით უზრუნველყოფილი გამარჯვების ხელიდან გაშვება. რაც უფრო გადაჭრით გამოეყოფიან, მით უფრო მალე აღდგება ფრაქცია.

შვიდეულის წინააღმდეგ კამპანია ჩინებულად დაიწყო, მაგრამ ახლა საკმაოდ გადაჭრით არ წარმოებს. ლიკვიდატორთა ყოვლად უსირცხვილო თავხედობის პასუხად გაზეთი კი არ უნდა ჩიოდეს, არამედ თავს ესხმოდეს, ხაზგასმით აღნიშნავდეს, რომ შვიდეულმა პროლეტარიატის ნება დაარღვია და პარტიის წინააღმდეგია. ლოზუნგი: «დააწყვეთ მანდატები, ბატონებო შვიდეულო, თუ არა გსურთ ანგარიში გაუწიოთ მუშათა უმრავლესობის ნებას, თუ გსურთ პარტიის

წინაალმდეგ წახვიდეთ». ეს ლოზუნგი პირდაპირ და ზუსტად უნდა დააყენოთ და ყოველდღე გაიმეოროთ.

დ.წერილია 1913 წ. 7 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

53

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

საჭიროა კვირას გამოუშვათ ჩანართი ფურცელი, რომელიც მთლიანად უნდა მიეძღვნას კამპანიას ექვსეულის სასარგებლოდ.

ერთი დიდი სტატია **ქვესათაურებით.**

გიგზავნით ტექსტს [80]. ჩაურთეთ **თათბირის** რეზოლუცია [81] («ზა პრავდუს» იმ №-ის კონფისკაცია **მის გამო არ** მომხდარა).

უნდა მოითხოვოთ, რომ 7-ეულმა მანდატები დააწყოს.

დაუმატეთ პიტერელთა რეზოლუციების შედეგები, თუ ისინი აშკარად ჩვენს მხარეზე არიან [82].

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა ან გვიდეპეშეთ: «დანართი მიდის».

მხურვალე სალამი. აქვენი ვ. ი.

დაწერილია 1913 წ. 9 ნოემბერზე ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

54

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

ვიჩქარი სულით და გულით მივულოცო ყველა მარქსისტ ბუშაკს უმრავლესობის საქმის გამარჯვება დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, ფრაქციის ჩამოყალიბება, რომელსაც არა სურს ჩაშალოს უმრავლესობის ნება[88]. ეს არის მივიღე «ზა პრავდუს» კვირის №. განსაკუთრებით კარგია გამოანგარიშება — ის უნდა განაგრძოთ.

კიდევ ერთხელ სალამი ყველას ყველასგან.

თქვენი ვ. ი.

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 12 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

55

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

რედაქტორს:

საჭიროა გადაბეჭდოთ «მასალები»[84], თუნდაც ნაწილ-ნაწილ, ვინაიდან №-ის კონფისკაცია მოხდა **არა** მათ გამო. ლეგალობა, ლეგალობა აუცილებლად!!

თუ არ შეიძლება ერთბაშად გადაბეჭდოთ, დაუყოვნებლივ გამოაცხადეთ გაზეთში, იმათთვის, ვისაც 29. X-ის № არ უნახავს, რომ **გ ა დ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა**.

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 13 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

56

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

რედაქტორს: ცუდია «სვოის» სტატია № 25-ში. გაწიწმატებაა და მეტი არაფერი. ღვთის გულისათვის, გაწიწმატება ნაკლები იყოს. დინჯად გაარჩიეთ საბუთები და გაიმეორეთ სიმართლე რაც შეიძლება საფუძვლიანად, მარტივად. ასე და მხოლოდ ასე იქნება უზრუნველყოფილი უთუო გამარჯვება.

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 16 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

57

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! აბა რას სჩადიხართ? — პირდაპირ საშინელებაა, ღმერთმანი!

გუშინ «რეჩში» წავიკითხე თქვენი პასუხი დოსტოევსკისადმი ატეხილ «ღრიანცელზე»[85] და მზად ვიყავი გამხარებოდა, დღეს კი მოდის ლიკვიდატორული გაზეთი და იქ დაბეჭდილია თქვენი სტატიის აბზაცი, რომელიც «რეჩში» არ ყოფილა.

ეს აბზაცი ასეთია:

««ღვთისმაძიებლობა» კი **დროებით**» (მარტო დროებით?) «უნდა გადადოთ, — ეს უსარგებლო საქმეა: სადაც არ დაგიდვია, იქ რას ეძებ. თუ არ დათესავ, ვერ მოიმკი. თქვენ ღმერთი არა გყავთ, თქვენ **ჯერ**» (ჯერ!) «არ შეგიქმნიათ იგი. ღმერთებს არ ეძებენ, — **მათ ქმნიან;** ცხოვრებას კი არ იგონებენ, არამედ ქმნიან».

გამოდის, რომ თქვენ «ღვთისმაძიებლობის» წინააღმდეგი მხოლოდ «დროებით» ხართ!! გამოდის, რომ თქვენ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგი ხართ **მხოლოდ** იმისათვის, რომ იგი ღვთისმშენებლობით შეცვალოთ!!

აბა განა საშინელება არ არის, რომ ასეთი რამ გამოგიდით?

ღვთისმაძიებლობა ღვთისმშენებლობისაგან ან ღვთისშექმნისა თუ ღვთისშემოქმედებისაგან და სხვ. სრულებითაც იმაზე უფრო არ განსხვავდება, ვიდრე ყვითელი ეშმაკი ლურჯი ეშმაკისაგან. ილაპარაკო ღვთისმაძიებლობაზე არა იმისათვის, რომ აზრი გამოთქვა **ყოველგვარი** ეშმაკებისა და ღმერთების წინააღმდეგ, ყოველგვარი იდეური ლეშთმავლობის

წინააღმდეგ (ყოველი ფუფალა ლეშთმავლობაა — თუნდაც ეს ყოვლად ფაქიზი, იდეალური, არა საძიებელი, არამედ საშენებელი ფუფალა იყოს, სულ ერთია), — არამედ იმისათვის, რომ ლურჯი ეშმაკი ამჯობინო ყვითელს, ეს ასჯერ უფრო ცუდია იმაზე, რომ სულ არაფერს ამბობდე.

ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში, ისეთ ქვეყნებში, სადაც **ხრულიად** უადგილოა მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი», — ასეთ ქვეყნებში (ამერიკა, შვეიცარია და სხვ.) ხალხსა და მუშებს განსაკუთრებით გულმოდგინედ აჩლუნგებენ სწორედ ფაქიზი, სულიერი, საშენებელი ფუფალას იდეით. სწორედ იმიტომ, რომ ყოველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ყოველგვარ ფუფალას შესახებ, ყოველი თუნდაც ლაქუცობა ფუფალასთან ყოვლად წარმოუდგენელი სიბილწეა, რომელსაც განსაკუთრებით შემწყნარებლად (ხშირად კი კეთილმოსურნედაც) ხვდება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბურჟუაზია, — სწორედ ამიტომ ეს ყველაზე საშიში სიბილწეა, ყველაზე საზიზღარი «სნებაა». მილიონობით ცოდვა, სისაძაგლე, ძალადობა და ფ ი ზ ი კ უ რ ი სნება გაცილებით უფრო ადვილად გამოსაცნობია ბრბოს მიერ და ამიტომ გაცილებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ფუფალას დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი, სულიერი, ნაირნაირ «იდეურ» სამოსელში გახვეული იდეა. ქალიშვილების გამხრწნელი კათოლიკე ხუცესი (რომლის შესახებ ეს არის შემთხვევით წავიკითხე ერთ გერმანულ გაზეთში), — გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ა დ საშიშია სწორედ «დემოკრატიისათვის», ვიდრე უანაფორო ხუცესი, ხუცესი უხეში რელიგიის გარეშე, იდეური და დემოკრატიული ხუცესი, რომელიც ფუფალას შექმნას და შენებას ქადაგებს. ეს იმიტომ, რომ პირველი ხუცესი ა დ ვ ი ლ ა დ შეიძლება ამხილო, დაგმო და გააგდო, — მეორე კი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ასე იოლად გააგდო, მისი მხილება 1 000-ჯერ უფრო ძნელია, მის «დაგმობას» არც ერთი «სუსტი და საცოდავად მერყევი» ობივატელი არ დათანხმდება.

და თქვენ, **მეშჩანური** (რუსული: რატომ რუსული? იტალიური **უკეთესია** თუ??) სულის «სისუსტეს და საცოდავ

მერყეობას» რომ იცნობთ, ამ სულს აკრთობთ ყველაზე ტკბილ-ტკბილი შხამით, რომელიც ყველაზე მეტად დაფარულია შაქარყინულით და ყოველნაირი ზიზილ-პიპილებით!!

ღმერთმანი, ეს საშინელებაა.

«უკვე კმარა თავდამცირება, რომელიც ჩვენში თვითკრიტიკას ცვლის».

მერე და ღვთისმშენებლობა განა თავდამცირების ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი სახე არ არის?? ყოველი ადამიანი, რომელიც ღმერთის მშენებლობას ეწევა ან თუნდაც მხოლოდ დაუშვებს ასეთ მშენებლობას, თ ა ვ ს ი მ ც ი რ ე ბ ს ყველაზე უარესად, ეწევა ნაცვლად «მოქმედებისა» **სწორედ** თვითჭვრეტას, თავმომწონეობას, ამასთან ასეთი კაცი «ჭვრეტს» თავისი «მეს» ყველაზე ბინძურ, ჩლუნგ, მონურ თვისებებს თუ ნიშნებს, რომლებსაც ღვთისმშენებლობა აღმერთებს.

არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყ ო ვ ე ლ ი ღვთისმშენებლობა არის სწორედ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ თ ვ ი თ ჭ ვ რ ე ტ ა გონებაჩლუნგი მეშჩანობისა, სუსტი ობივატელობისა, «სასოწარკვეთილ და დაღლილ» ფილისტერთა და წვრილ ბურჟუათა მეოცნებე «თვითდამცირებისა» (როგორც თქვენ ძალიან სწორად ბრძანეთ ს უ ლ ზ ე — ოღონდ «რუსულზე» კი არ უნდა გეთქვათ, არამედ **მ ე შ ჩ ა ნ უ რ ზ ე**, ვინაიდან ებრაული, იტალიური, ინგლისური — **ს უ ლ ე რ თ ი ჯ ა ნ დ ა ბ ა ა**, ბილწი მეშჩანობა ყველგან ერთნაირად საზიზღარია, ხოლო «დემოკრატიული მეშჩანობა», რომელიც იდეურ ლეშთმავლობას ეწევა, გაცილებით უფრო საზიზღარია).

თქვენს სტატიას დაკვირვებით რომ ვკითხულობ და ვცდილობ გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ო, საიდან შეიძლებოდა გამოგსვლოდათ ეს **მცდარნაწერი**, გაკვირვებას ვეძლევი. რა არის ეს? ნაშთები «აღსარებისა», რომელსაც თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ არ იწონებდით?? მისი გამოძახილი??

თუ სხვა რამ — მაგალითად, იმის უნაყოფო ცდა, **რომ** დ ა ქ ვ ე ი თ დ ე თ **საერთო-დემოკრატიულ** თვალსაზრისამდე

ნაცვლად პროლეტარული თვალსაზრისისა? იქნებ «საერთოდ დემოკრატიასთან» საუბრისათვის თქვენ მოისურვეთ (მაპატიეთ ეს გამოთქმა) ჩიფჩიფი დაგეწყოთ, როგორც ბავშვებს ეჩიფჩიფებიან? იქნებ ობივატელებისათვის «პოპულარულად გადასაცემად» მოისურვეთ ერთი წუთით დაგეშვათ **მიხი** თუ **მათი**, ობივატელების, ცრუაზრები??

მაგრამ ეს ხომ ყოველი მნიშვნელობით და ყოველმხრივ არასწორი ხერხია!

ზემოთ დავწერე, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში **სრულიად** უადგილო იქნებოდა პროლეტარული მწერლის მხრივ მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი». ჩვენში კი, რუსეთში?? ასეთი მიმართვა არცთუ მთლად სასურველია, ვინაიდან ისიც როგორღაც მაამებელია ობივატელური ცრუაზრებისათვის. მიმართვა როგორღაც ზოგადია, ბუნდოვანი — ჩვენში «რუსსკაია მისლის» იზგოევიც კი ორივე ხელს მოაწერს მას. მაშ რა საჭიროა ისეთი ლოზუნგების აღება, რომლებსაც **თქვენ** კი ჩინებულად გამოჰყოფთ იზგოეველობისაგან, **მაგრამ მკითხველი** ვერ შეძლებს გამოჰყოს?? რა საჭიროა, რომ მკითხველისათვის დემოკრატიული მარმაში გადააფაროთ, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთისაგან ნათლად განასხვაოთ ნეშჩანები (სუსტნი, საცოდავად მერყევნი, დაღლილნი, სასოწარკვეთილნი, თვითმჭვრეტელნი, ღვთისმჭვრეტელნი, ღვთისმშენებელნი, ღვთისმფარველნი, თავდამამცირებელნი, უაზრო-ანარქისტულნი — საუცხოო სიტყვაა!! და სხვანი და სხვანი) — და პროლეტარები (რომლებსაც უნარი შესწევთ მხნენი იყვნენ არა მარტო სიტყვით, უნარი შესწევთ განასხვაონ ბურჟუაზიის «მეცნიერება და საზოგადოებრიობა» თავიანთისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარულისაგან)?

რატომ შვრებით ამას?

საშინლად საწყენია.

თქვენი ვ. ლ.

P. S. შეკვეთილი ბანდეროლით გამოგიგზავნეთ რომანი. მიიღეთ?

P. P. S. **იმკურნალეთ** უფრო სერიოზულად, ღმერთმანი, რათა ზამთარში წასვლა ისე შესძლოთ, რომ ა რ **გაცივდეთ** (ზამთარში საშიშია).

თქვენი ვ. ულიანოვი

დაწერილია 1913 წ. შუა ნოემბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

58

ა. მ. გორკის

საკითხში ღმერთის, ღვთიურის და ყოველივე იმის შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებულია, თქვენ წინააღმდეგობა გამოგიდით — სწორედ ის წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, რომელსაც მე აღვნიშნავდი ჩვენს საუბრებში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს კაპრიზე: თქვენ კავშირი გასწყვიტეთ (ან თითქოს გასწყვიტეთ) «ვპერიოდელებთან», ისე რომ «ვპერიოდელობის» იდეური საფუძვლები ვერ შეგიმჩნევიათ.

ასეა ახლაც. თქვენ «შეწუხებული» ხართ, თქვენ «ვერ გაგიგიათ, როგორ გაგეპარათ სიტყვა დროებით» — ასე იწერებით — და ამავე დროს ღმერთის და ღვთისმშენებლობის იდეას იცავთ.

«ღმერთი ტომის, ერის, კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

ეს თეორია აშკარად დაკავშირებულია ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის თეორიასთან თუ თეორიებთან.

და იგი აშკარად არასწორი და აშკარად რეაქციულია. ქრისტიანი სოციალისტების («სოციალიზმის» ყველაზე ცუდი სახის და ყველაზე ცუდი მისი დამახინჯების) მსგავსად თქვენ ხმარობთ ხერხს, რომელიც (მიუხედავად თქვენი საუკეთესო განზრახვისა) იმეორებს ხუცობის ფანდს: ღმერთის იდეიდან იდევნება ის, რასაც იგი ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ და ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი შეიცავს (სიბილწე, ცრუაზრები, ერთი მხრივ,

სიბნელისა და დაბეჩავების და მეორე მხრივ, ბატონყმობისა და მონარქიის კურთხევა), ამასთან ნაცვლად ისტორიული და ცხოვრების რეალობისა ღმერთის იდეას ჩაერთვის გულკეთილი მეშჩანური ფრაზა (ღმერთი = «იდეები, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს»).

თქვენ ამით გინდათ «კეთილი და კარგი» თქვათ, აღნიშნოთ «სიმართლე-სამართლიანობა» და მისთანები. მაგრამ თქვენი ეს კეთილი სურვილი თქვენს პირად კუთვნილებად, სუბიექტურ «უწყინარ სურვილად» რჩება. რაკი თქვენ დასწერეთ, იგი მ ა ს ა შ ი წავიდა, და მისი **მნიშვნელობა** განისაზღვრება არა თქვენი კეთილი სურვილით, არამედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ძ ა ლ ე ბ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი თ, კლასთა ობიექტური თანაფარდობით. ამ თანაფარდობის მიხედვით **გამოდის** (თქვენი ნების წინააღმდეგ და თქვენი შეგნების დამოუკიდებლად), გამოდის ისე, რომ თქვენ შეალამაზეთ, დაშაქრეთ კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნიკოლოზ II-ისა და ბ-ნ სტრუვეების იდეა, ვინაიდან **სინამდვილეში** ღმერთის იდეა **მ ა თ** ეხმარება იმაში, რომ ხალხი მონობაში იყოლიონ. ღმერთის იდეა რომ შეალამაზეთ, თქვენ ამით შეალამაზეთ ის ბორკილი, რომლითაც მათ შებოჭილი ჰყავთ უმეცარი მუშები და გლეხები. აი — იტყვიან ხუცები და კომპ. — რა კარგი და ღრმა იდეა არის ეს (ღმერთის იდეა), როგორ აღიარებენ მას, ბ-ნო დემოკრატებო, «თ ქ ვ ე ნ ი» ბელადებიც კი, და ჩვენ (ხუცები და კომპ.) ამ იდეას ვემსახურებითო.

მართალი არ არის, რომ ღმერთი იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს. ეს ბოგდანოვის ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ა, რომელიც ჩქმალავს იდეების მატერიალურ წარმოშობას. ღმერთი (ისტორიულად და ცხოვრებაში) უწინარეს ყოვლისა იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც წარმოშვა ადამიანის ჩლუნგმა დაბეჩავებამ გარეშე ბუნების მხრივაც და კლასობრივი ჩაგვრის მხრივაც. — იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ ამ დაბეჩავებას, ა ძ ი ნ ე ბ ე ნ კლასობრივ ბრძოლას. ისტორიაში იყო დრო, როცა, მიუხედავად ღმერთის იდეის ასეთი

წარმოშობისა და ასეთი ნამდვილი მნიშვნელობისა, დემოკრატიისა და პროლეტარიატის ბრძოლა წარმოებდა ერთი რელიგიური იდეის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით.

მაგრამ ეს დროც დიდი ხანია წავიდა.

ახლა ევროპაშიც და რუსეთშიც ღმერთის იდეის ყოველი, თუნდაც ყველაზე დახვეწილი, ყველაზე კეთილგანზრახული დაცვა ან გამართლება რეაქციის გამართლებაა.

მთელი თქვენი განსაზღვრა თავიდან ბოლომდე რეაქციული და ბურჟუაზიულია. ღმერთი = იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც «აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

რატომ არის ეს რეაქციული? იმიტომ, რომ ალამაზებს ზოოლოგიის «ალაგმვის» ხუცურ-ბატონყმურ იდეას. სინამდვილეში «ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი» ღმერთის იდეას როდი აულაგმავს, იგი ალაგმა პირველყოფილმა ჯოგმაც და პირველყოფილმა კომუნამაც. ღმერთის იდეა ყოველთვის აძინებდა და აჩლუნგებდა «სოციალურ გრძნობებს», ცვლიდა ცოცხალს ლეშით, ყოველთვის წარმოადგენდა მონობის (ყველაზე ცუდი, გამოუვალი მონობის) იდეას. ღმერთის იდეა არასოდეს არ «აკავშირებდა პიროვნებას საზოგადოებასთან», არამედ ყოველთვის ბოჭავდა ჩაგრულ კლასებს მჩაგვრელთა ღვთიურობისადმი რწმენით.

თქვენი განსაზღვრა ბურჟუაზიულია (და არა მეცნიერული, არაისტორიულია), ვინაიდან იგი იყენებს ხელაღებითს, ზოგად, საერთოდ «რობინზონულ» ცნებებს — და არა გარკვეული ისტორიული ეპოქის გარკვეულ **კლასებს.**

ერთია ველური ზირიანინის და სხვ. (აგრეთვე ნახევრადველურის) ღმერთის იდეა და სულ სხვაა სტრუვესა და კომპანიისა. ორივე შემთხვევაში ეს იდეა ზურგს უმაგრებს კლასობრივ ბატონობას (და კლასობრივი ბატონობა ზურგს უმაგრებს ამ იდეას). «ხალხური» წარმოდგენა ფუფალაზე და ფუფალურზე — ეს არის «ხალხური» სიჩლუნგე, დაბეჩავება,

სიბნელე, სავსებით ისეთივე, როგორც «ხალხის წარმოდგენა» მეფეზე, ქაჯზე, ცოლების ცემა-ტყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ «ხალხის წარმოდგენას» ღმერთზე «დემოკრატიული» უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გამიგია.

ფილოსოფიურ იდეალიზმს რომ «ყოველთვის მხოლოდ პიროვნების ინტერესები აქვს მხედველობაში», ეს მართალი არ არის. დეკარტს გასენდისთან შედარებით უფრო ჰქონდა მხედველობაში პიროვნების ინტერესები? თუ ფიხტესა და ჰეგელს ფეიერბახის წინააღმდეგ?

რომ «ღვთისმშენებლობა ინდივიდუუმსა და საზოგადოებაში სოციალური საწყისების შემდგომი განვითარებისა და დაგროვების პროცესია», ეს პირდაპირ საშინელებაა!! რუსეთში თავისუფლება რომ იყოს, თქვენ ხომ მთელი ბურჟუაზია ხოტბას შეგასხამდათ ასეთი რამეებისათვის, ამ წმინდა ბურჟუაზიული ტიპისა და ხასიათის სოციოლოგიისა და თეოლოგიისათვის.

ჯერჯერობით კმარა — წერილი ისედაც გამიჭიანურდა. კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი ვ. ი.

დაწერილია 1913 წ. დეკემბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

59

ინესა არმანდს

ახლა მივიღე დეპეშა და გამოვცვალე კონვერტი, რომელიც ის იყო ა-ში უნდა გამეგზავნა.

რა დაემართა ცენტრალურ ორგანოს?? ეს ხომ შერცხვენა და სკანდალია!! დღემდე კორექტურაც კი არ არის და არა. შეეკითხე და გაარკვიე რამე, გთხოვ.

«Vormärts»-ის * №, სადაც კაუცკიმ თქვა ბილწი ფრაზა, პარტია არ არსებობსო (die alte Partei sei verschwunden სიტყვასიტყვით), არის № 333 18. XII. 1913. უნდა იშოვნოთ იგი (rue de Bretagne. 49 ან სხვა ადგილას) და მოაწყოთ პროტესტის კამპანია. ჩვენ **მხარს ვუჭერთ** აზრთა გაცვლა-გამოცვლას, **მხარს ვუჭერთ** საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციას — **ეს N B** — მაგრამ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ კაუცკის **ბილწი** ფრაზისა[86]. ულმობლად უნდა ვურტყათ მას ამისათვის, თან შევნიშნოთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ Aussprache-ს (აზრთა გაცვლა-გამოცვლას) etc.

დაწერილია 1913 წ. 18 დეკემბრის შემდეგ
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

---

* — «წინ». რედ.

60
ინესა არმანდს

იდიოტივით სულელები არიან ის ადამიანები, რომლებიც «შეუშინდნენ» რწმუნებულ პირებს, როგორც ისეთ რამეს, რაც თითქოს «საწყენია» უჯრედებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედები აღარ არიან, თუ რწმუნებული პირები უ ნ დ ა თ ო!

სასაცილონი! გამოჰკიდებიან ს ი ტ ყ ვ ა ს და არ უფიქრდებიან იმას, თუ რა საშინლად რთული და ჭრელია ცხოვრება, რომელიც იძლევა ს უ ლ ა ხ ა ლ ფორმებს, რაც ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ «დავიჭირეთ».

ადამიანებმა მეტწილად (ბურჟუაზიის 99%-მა, ლიკვიდატორების 98%-მა, ბოლშევიკების 60 — 70%-მა) ფ ი ქ რ ი არ იციან, არამედ მხოლოდ **დაისწავლიან** ხოლმე **სიტყვებს**. დაუსწავლიათ სიტყვა: «იატაკქვეშეთი». მტკიცედ. გამეორება შეუძლიათ. ზეპირად იციან.

ხოლო რ ო გ ო რ უნდა შეცვალო მ ი ს ი ფ ო რ მ ე ბ ი ახალ ვითარებაში, როგორ არის საჭირო ამისათვის **ხ ე ლ ა ხ ლ ა** სწავლა და ფიქრი, ეს არ გვესმის.

1913 წ. ზაფხულის თათბირი (საზღვარგარეთ) — გადაწყდა: დავამარცხოთ 7-ეული. მუშათა **მ ა ს ე ბ ი ს** კამპანია 1913 წ. შემოდგომაზე რუსეთში — **უმრავლესობა** ჩვენი მომხრეა!! «რწმუნებულ პირთა» «წრემ» (უჯრედებისაგან აურჩევლად!! გვიშველეთ!! — ყვირიან ანტონოვი, ისააკი & * კომპ.) დაადგინა — მ ა ს ე ბ მ ა შეასრულეს.

---

* — და. რ ე დ.

როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ და — საჭიროა ვისწავლოთ ამ «ოსტატური» მექანიკის გაგება. ამის გაკეთება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი იქნებოდა, იატაკქვეშეთი და უჯრედები რომ არ ყოფილიყო. **და ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა,** იატაკქვეშეთისა და უჯრედების ახალი და **ოსტატური** ფორმები რომ არ ყოფილიყო.

ძალიან მაინტერესებს, შეძლებ თუ არა შეაგნებინო ეს ხალხს. მოიწერე რაც შეიძლება დაწვრილებით.

მივიღეთ **1** ეგზ. «მუშის თანამგზავრი»[87]. 5 000 ეგზ. უკვე გაიყიდა!! ვაშა!! უაღრესად ენერგიულად მ ო ჰ კ ი დ ე თ ხ ე ლ ი ქალთა ჟურნალს![88]

დაწერილია 1913 წ. დეკემბრის დამლევს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

1914 წ.

61

დ. ვაინკოპს

კრაკოვი, 1914 წლის 12 იანვარი.

ძვირფასო ამხანაგო ვაინკოპ!

უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი თავაზიანი წერილისათვის. იმედი მაქვს წაიკითხავდით სოციალ-დემოკრატიულ გერმანულ გაზეთებში («Vorwärts»-სა და «Leipziger Volkszeitung»-ში *) ჩვენი მოწინააღმდეგეების (მაგალითად, *I. K*-ის — როზა ლუქსემბურგის ჯგუფიდან — და *Z. L*-ის, რომელიც რუსეთის **არც ერთი** ჯგუფის წარმომადგენელი არაა, — «Leipziger Volkszeitung»-ში) სტატიებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა ბოიკოტს გვიცხადებს, განსაკუთრებით «Vorwärts»-ი, და მხოლოდ «Leipziger Volkszeitung»-მა დაბეჭდა ჩვენი **ერთი** სტატია (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის ხელმოწერით) [89].

«Bremer Bürgerzeitung»-ში ** რუსეთის საქმეებზე წერს რადეკი. მაგრამ რადეკიც ხომ რუსეთის **არც ერთი** ჯგუფის წარმომადგენელი არაა! სასაცილოა ბეჭდავდნენ იმ ემიგრანტების სტატიებს, რომლებიც არავის წარმომადგენლები არ არიან, და არ იღებდნენ რუსეთში არსებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა სტატიებს!

ახლა ავიღოთ კაუცკის პოზიცია, — განა შეიძლება იყოს უფრო იდიოტური რამ? ყველა სხვა ქვეყნის მიმართ იგი სწავლობს მოძრაობის ისტორიას, აკრიტიკებს დოკუმენტებს,

---

* — «წინ» და «ლაიფციგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

** — «ბრემენის სამოქალაქო გაზეთი». რ ე დ.

ცდილობს მიხვდეს უთანხმოების ჭეშმარიტ აზრს, გათიშვების პოლიტიკურ მნიშვნელობას. რუსეთის მიმართ კაუცკისათვის ისტორია არ არსებობს. დღეს იგი იმეორებს იმას, რაც გაუგონია როზა ლუქსემბურგისაგან, გუშინ იმეორებდა იმას, რაც გაუგონია ტროცკის, რიაზანოვისა და სხვა ლიტერატორებისაგან, რომლებიც მხოლოდ თავიანთი საკუთარი «კეთილი სურვილების» წარმომადგენლები არიან, ხვალ დაიწყებს იმის გამეორებას, რასაც კეთილინებებენ და უამბობენ მას სხვა რუსი სტუდენტები თუ ემიგრანტები და ა. შ.. «Neue Zeit»-ში * კი!! ზოგადი ადგილებია, დეკლამაციაა, არ არის არავითარი ფაქტები, არავითარი წარმოდგენა იმ საკითხების არსზე, რომლებშიც ერთმანეთს ვერ ვეთანხმებით!! ეს ნამდვილი ბალღობაა!!

ჩვენ გვიქადაგებენ ერთიანობას ჩვენი პარტიის ლიკვიდატორებთან — ეს აბსურდია. ერთიანობას ვახორციელებთ ჩვენ, ვრაზმავთ რა რუსეთის მუშებს ჩვენი პარტიის ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ამას ვურთავ დოკუმენტს, რომელიც გავაცანით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრებს. იქ თქვენ ნახავთ ფაქტებს, ციფრებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სწორედ ჩვენ წარმოვადგენთ პარტიის (და მუშათა უდიდესი უმრავლესობის) ერთიანობას რუსეთში წინააღმდეგ ლიკვიდატორთა ჯგუფებისა, რომლებსაც მუშები არა ჰყავთ.

სამწუხაროდ პანეკუკსაც კი «Bremer Bürgerzeitung»-ში არა სურს შეიგნოს, რომ უნდა იბეჭდებოდეს რუსეთის ორი სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის სტატიები, და არა სტატიები რადეკისა, რომელიც მხოლოდ თავის პირად უმეცრებასა და თავის ფანტაზიებს წარმომადგენლობს და რომელსაც არა სურს იუწყებოდეს ზუსტ ფაქტებს.

ერთხელ კიდევ მოგახსენებთ მადლობას, ძვირფასო ამხანაგო ვაინკოპ, პირადად თქვენ და ს.-დ. პარტიის აღმასრუ-

* — «ახალი დროება». რედ.

ლებელ . კომიტეტს თქვენი თავაზიანი წერილისათვის და გთხოვთ გადასცეთ ჩემგან სალამი ამხანაგ გორტერს.

იმედი მაქვს, რომ შეიწყნარებთ ჩემს ცუდ ფრანგულ ენას.

თქვენი ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ნ. ლ ე ნ ი ნ ი)

Wl. Ulyanow. 51. Ulica Lubomirskiego. K r a k a u (Cracovie).

გაგზავნილია კრაკოვიდან ჰოლანდიაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

62

ჟურნალ «ძვინის» რედაქციას

იურკევიჩთან ლაპარაკი არ მქონია, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ უალრესად აღშფოთებული ვარ უკრაინელი მუშების განსაკუთრებულ ს.-დ. ორგანიზაციად გ ა მ ო ყ ო ფ ი ს ქადაგებით [90].

ს.-დ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წ. მარტში კრაკოვში

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

63

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნი უკრაინელთა მიმართვის პროექტს «შახტიორსკი ლისტოკისათვის»[91] და ძალიან გთხოვ ტაქტიანად გაატარო იგი (არა ჩემი სახელით, რა თქმა უნდა, და სჯობს არც შენი სახელით) ლოლას და ორიოდე უკრაინელის **მეშვეობით** (რასაკვირველია, იურკევიჩის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და **შეძლებისამებრ** ისე, რომ არ იცოდეს ამ საზიზღარმა, ბილწმა ნაციონალისტმა მეშჩანმა, რომელიც მარქსიზმის ალმით ქადაგებს მუშების დ ა ყ ო ფ ა ს ეროვნების მიხედვით, უკრაინელი მუშების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ეროვნულ ორგანიზაციას).

შენ მიხვდები, ჩ ე მ თ ვ ი ს რატომ არის უხერხული ასეთი პროექტის ჩემი სახელით გაგზავნა. ლოლამ მომწერა, რომ მეთანხმება იურკევიჩის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მაგრამ ლოლა გულუბრყვილოა. საქმე კი გადადებას ვერ ითმენს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ **უკრაინელი ს.-დ-ების წრიდან** გაისმას ხმა ერთიანობის სასარგებლოდ მუშების ეროვნებათა მიხედვით დაყოფის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ — და ახლა «შახტიორსკი ლისტოკი» (რომელიც მხოლოდ დღეს, ოთხშაბათს, 1 აპრილს მივიღე — «პუტ პრავდის» კვირის №-ის დამატება) **დაუყოვნებლივ** უნდა გამოვიყენოთ ამისათვის.

გადაწერე ჩემი პროექტი (ყ ვ ე ლ ა ცვლილებაზე თანახმა ვარ, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ დარჩება პირდაპირი პროტესტი ეროვნებათა მიხედვით დაყოფის წინააღმდეგ) — დაე ლოლამ მ ა რ ტ ო ან ვინმესთან ერთად და სხვ. მ ი ი ღ ო ს და თ ა რ გ მ ნ ო ს ი გ ი უ კ რ ა ი ნ უ ლ ა დ, **შემდეგ ჩ ე მ ი მ ე შ ვ ე ო ბ ი თ** გაუგზავნოს «პ უ ტ პ რ ა ვ დ ი ს» თავისი

სახელით ან (უმჯობესია) უკრაინელი მარქსისტების (უფრო კარგია: უკრაინელი მუშების) ჯგუფის (თუნდაც 2 — 3 კაცისაგან შემდგარი ჯგუფის) სახელით.

ეს უნდა გაკეთდეს ტაქტიანად, სწრაფად, იურკევიჩის წინააღმდეგ და ისე, რომ მან არ იცოდეს, თორემ ეს არამზადა ეცდება საქმე გააფუჭოს.

(მივიღე შენი ნაამბობი სტეპანიუკის რეფერატისა, და იურკევიჩის გამოსვლის შესახებ: გულახდილად უნდა გითხრა, გული მომდიოდა შენზე: ვერ მიმხვდარხარ, რა არის იურკევიჩის გამოსვლის არსი.)

მაგრად გართმევ ხელს. ვ. უ.

ჩემი პროექტი რომ უკრაინულ ჰანგზე გადმოიცეს და ორიოდე ცოცხალი უკრაინული მაგალითი დაერთოს, ეს ყველაფერს ემჯობინებოდა!! მე კი «პუტ პრავდის» შევუჩნდები.

დაწერილია 1914 წ. 1 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

64

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნი ლოლას წერილს. რომ წაიკითხავ, მ ა შ ი ნ ვ ე დამიბრუნე. (ის აშკარად ცბიერობს. მაგრამ მისი მეშვეობით პატარა ნ ა ბ ი ჯ ს მაინც გადავდგანთ წინ. ძალიან გთხოვ, თუ ციურიხში იქნები, მთელი ძალ-ღონით ეცადო ინახულო უკრაინელი ს.-დ.-ები, გამოარკვიო მათი პოზიცია განცალკევებული ეროვნულ-უკრაინული ს.-დ. ორგანიზაციის საკითხში და ეცადო შექმნა ანტისეპარატისტთა თუნდაც სულ მცირე ჯგუფი.)

თუ ნიკ. ვას. ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩვენს სტამბაში, დაე სთხოვოს მათ:

1) მიაწებონ სტამბაში დაბეჭდილ სათაურიან ქაღალდს — ო რ ი ვ ე ფურცელი

2) დაწერონ გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ (თუ არ იციან, ფრანგულად) (α) აწყობის, (β) ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი ქაღალდის 5 000 + 1 000 და (γ) ბეჭდვის ფასის და **ყველაფრის** ზუსტი ანგარიში.

რაც შეეხება გაძლიერებულ მუშაობას იმისათვის, რომ გამოინახოს («მნიშვნელოვანი საქმის»[92] მოსამზადებლად) კავშირები (განსაკუთრებით მიწერ-მოწერისათვის) პარიზშიც და შვეიცარიაშიც, იმედი მაქვს შეეცდები.

ვ. უ.

P. S. ხომ არ შეიძლება, რომ შენი წასვლის წინ მთელ ჩვენს წიგნებს თავი მოუყაროთ (კამსკისაგანაც: ორლოვსკის ბიბლიოთეკიდან) **ნიკ. ვას.**-თან და ჩამოვართვათ მას **ფ ი ც ი, რომ არავის დაატაცებინებს მათ.** თუ brother-მა*

* — ძმა. **რ ე დ.**

მოიწერა თავისი წიგნების შესახებ, იმათაც ასევე უყავით. ამ ბიბლიოთეკაში (ორლოვსკის ბიბლიოთეკაში; იგი კამსკის აქვს) გთხოვ მომინახო ან მოანახვინო რსდმ პარტიის **II ყრილობის ოქმები** და რაც შეიძლება მალე გამომიგზავნო. კიდევ ერთი საქმე:

საჭიროა ხელახლა გამოიცეს პარტიის პროგრამა და წესდება (1912 წ. იანვ. ცვლილებებით)[93]. გთხოვთ K. S. O.-მ* მისცეს ასაწყობად (ზუსტად გამოარკვიოს ფასი) და გამოგვიგზავნოს **მე-2** კორექტურა: მაშინ ვიტყვით, რამდენი დაიბეჭდოს.

[«რსდმპ პროგრამა და წესდება».]

ხომ არ არის პარიზში «ს.-დ-ტის» № 11 (II თუ III. 1910)? თუ არის, **უ ვ ე ლ ა** გამომიგზავნეთ.

დაწერილია 1914 წ. 24 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

---

* — კზო (საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი). **რ ე დ.**

65

ნ. ნ. ნაკოლრიაკოვს

18. V. 1914.

ძვირფასო ამხანაგო ნაზარ!

დიდი მადლობა მე-13 ცენზის ბიულეტენებისა და მე-12 (1900) ცენზის მეხუთე ტომისათვის.

სულ ველოდი, რომ ამ დღეებში მომივიდოდა მე-13 ცენზის (census of *1910*) ასეთივე ტომი (Agriculture *), მაგრამ რატომღაც არ მოდის. სტატისტიკურმა ბიურომ თქვენ იგი ალბათ გამოგიგზავნათ, რადგან გურვიჩი მწერდა, ეს ტომი გამოვიდაო. გთხოვთ მომწეროთ, გაქვთ თუ არა ეს ტომი (Agriculture. Census of 1*910*), შეგიძლიათ თუ არა მიიღოთ იგი და გამომიგზავნოთ; მაშინ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით გამოსაგზავნი ხარჯის ფულს.

ყურადღება მიაქციეთ ჩემს ახალ მისამართს: Poronin (Galizien).

მოგილოცავთ ჩინებულ მაისობას რუსეთში: 250 000 მარტო პიტერში!! 1. V-ის «პუტ პრავდი» კონფისკებულია, მაგრამ «ნოვი მირიდან» [94] შევიტყვე, რომ თქვენ ხშირად გაქვთ კონფისკებული ნომრებიც. საერთოდ რუსეთიდან მოსული ამბები მოწმობს, რომ რევოლუციური განწყობილება მარტო მუშათა კლასში როდი იზრდება.

სიმა 15. V კრაკოვიდან (Zaklad Kapielowy D-ra Kadena w Rabce. Galizien) საზაფხულოდ გადადის ადგილზე ერთ სოფელში კრაკოვსა და პორონინს შუა. ძალიან უხარია. ადგილი რომ მიიღო.

---

* — სოფლის მეურნეობა. რ ე დ.

ნ. კ. მოკითხვას გითვლით. სულითა და გულით გისურვებთ მოიკეთოთ და დაისვენოთ ზაფხულში.

თქვენი ვ. ი.

P. S. ურალიდან ამას წინათ მივიღეთ ცნობა ორგანიზაციიდან: საქმე საკმაოდ კარგად არის. ორგანიზაცია კვლავ ცოცხალია და იზრდება!

გაგზავნილია პორონინიდან ნიუ-იორკში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

66

ს. გ. შაუმიანს

19. V. 1914.

ძვირფასო სურენ! მივიღე თქვენი 17. IV-ის წერილი. იმედი მაქვს მიპასუხებთ, როცა ერთა თვითგამორკვევის შესახებ სტატიის ბოლოს (მას ახლა ვწერ) წაიკითხავთ «პროსვეშჩენიეში» [95].

ანის წინააღმდეგ თქვენი ბროშურის შესახებ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მიეცით Selbstanzeige * ან შინაარსი «პროსვეშჩენიეში» [96].

გირჩევთ კიდევ შემდეგ გეგმას. «კულტურულ-ეროვნული ავტონომისტების» სისულელესთან საბრძოლველად საჭიროა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ.

მოდით დავწეროთ ასეთი პროექტი [97]. ზოგადი დებულება თანასწორუფლებიანობის შესახებ. — ქვეყნის დაყოფა ავტონომიურ და თვითმმართველ ტერიტორიულ ერთეულებად სხვათა შორის ეროვნული ნიშნის მიხედვით (ადგილობრივი მოსახლეობა სახავს საზღვრებს, საერთო-სახელმწიფოებრივი პარლამენტი ამტკიცებს) — ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების, აგრეთვე თვითმმართველი ადგილობრივი ერთეულების გამგებლობის ფარგლები; — ავტონომიური ოლქების, ერობების და სხვ. გადაწყვეტილებებში ერთა თანასწორუფლებიანობისაგან ყოველგვარი გადახვევის უკანონობა; დემოკრატიულად

* — ავტორის ცნობა. რ ე დ.

არჩეული საერთო სასკოლო საბჭოები და სხვ.; ენების თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა — ენების ამორჩევა მუნიციპალური დაწესებულებების მიერ და სხვ. — უმცირესობათა დაცვა: უფლება ხარჯების პროპორციული წილის გაღებისა, «სხვა ერის» მოსწავლეთათვის სასკოლო შენობების (უფასოდ) გამოყოფისა, «სხვა ერის» მასწავლებელთა დანიშვნისა, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, თეატრებში და სხვ. «სხვა ერის» განყოფილებათა მოწყობისა; — თვითეული მოქალაქის უფლება — აღძრას საქმე (სასამართლოს წინაშე) თანასწორუფლებიანობისაგან ყოველგვარი გადახვევის respective * ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარი «გათელვის» გასაუქმებლად (მოსახლეობის ხუთწლიანი აღწერები პრელ ოლქებში, ათწლიანი აღწერები სახელმწიფოში) **და სხვ.**

ვფიქრობ, რომ ამ გზით შეიძლება პოპულარულად განვმარტოთ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის სისულელე და **საბოლოოდ მოვკლათ** ამ სისულელის მომხრეები.

კანონპროექტი შეიძლება შეიმუშაონ რუსეთის **ყველა**, ან ძალიან ბევრი, ერის მარქსისტებმა.

მომწერეთ ახლავე, თანახმა ხართ თუ არა დამეხმაროთ. საერთოდ მომწერეთ **უფრო ხშირად**, კვირაში ერთხელ მაინც. მიუტევებელია პასუხის დიდი ხნით დაგვიანება, იქონიეთ ეს მხედველობაში, განსაკუთრებით ახლა!!

ხელს გართმევთ. თქვენი ვ. ()

გაგზავნილია პორონინიდან ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

67

ინესა არმანდს

ახლა წავიკითხე, my dear friend *, ვინიჩენკოს ახალი რომანი, შენ რომ გამომიგზავნე [98]. რა ჩმახვა და სისულელეა! რაც შეიძლება ბლომად შეაერთო ყოველგვარი «საშინელებანი», ერთად მოუყარო თავი «ბიწიერებასაც», «სიფილისსაც», რომანიულ ბოროტმოქმედებასაც, რომელსაც ერთვის ფულის გამოძალვა საიდუმლოებისათვის (და საყვარლად გახდა იმ სუბიექტის დისა, რომელსაც ძარცვავენ), ექიმის გასამართლებასაც! ყველაფერი ეს ისტერიკებით, პრანჭვით, როსკიპთა ორგანიზაციის «თავისი» თეორიის პრეტენზიებით. ეს ორგანიზაცია თვითონ სრულებით არაფერს ცუდს არ წარმოადგენს, მაგრამ ს წ ო რ ე დ ავტორი, თვითონ ვინიჩენკო შეუსაბამობად აქცევს მას, გ ა რ ს უ ტ რ ი ა ლ ე ბ ს, «აჩემებულ საგნად» იხდის.

«რეჩში» რომანის შესახებ ნათქვამია, დოსტოევსკის მიბაძვაა და შიგ არის კარგი რამო. მიბაძვა არის, ჩემი აზრით, და ყოვლად ცუდი მიბაძვა ყოვლად ცუდი დოსტოევსკისათვის. ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, არის ხოლმე ცხოვრებაში ყველა ის «საშინელებანი», რომლებსაც ვინიჩენკო აღწერს. მაგრამ ყველა ამ საშინელებისა და ასეთნაირად ერთად თავმოყრა — ნიშნავს იმას, რომ თ ი თ ხ ნ ი დ ე საშინელებებს, აშინებდე შენს წარმოდგენასაც და მკითხველსაც, «არეტიანებდე» შენს თავსაც და მასაც.

ერთხელ მომიხდა ღამე გამეტარებინა ავადმყოფ (ციებცხელებიან) ამხანაგთან — და ერთხელ «შემეგონებინა» ამხანაგისათვის, რომელმაც თავის მოკვლა სცადა (ცდის შემდეგ)

* — ჩემო ძვირფასო მეგობარო. რ ე დ.

და შემდეგში, რამდენიმე წლის შემდეგ მაინც მოიკლა თავი. ორივე მოგონება — à la * ვინიჩენკოსი. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს იყო ორივე ამხანაგის ცხოვრების მცირე ნაწილები. ამ ახირებულმა ყოვლად სულელმა ვინიჩენკომ კი, რომელსაც თავისი თავი მოსწონს, აქედან გააკეთა მთლიან საშინელებათა კოლექცია — თავისებური «2 პენსის საშინელებანი». უუ... აბდაუბდაა, სისულელეა, მენანება, რომ კითხვაზე დრო დავხარჯე.

დაწერილია 1914 წ. 5 ივნისს
გაგზავნილია პორონინიდან ფიუმეში

იბეჭდება პირველად.
ხელნაწერის მიხედვით

** — მსგავსად. რედ

68

ინესა არმანდს

The precedent letter I've sent in too much hurry. Now I can more quietly speak about our «business» *.

იმედი მაქვს მოხსენებაში გაერკვიე? [99] ყველაზე მნიშვნელოვანია — პირობები, *1 — 13* — (და შემდეგ 14 — ცილისმწამებლური, ნაკლებ მნიშვნელოვანი). ისინი უფრო მკაფიოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი.

NB: 4. IV. 1914-ის [100] დემონსტრაციის შესახებ ჩამატება **მოხსენებაში** ლიკვიდატორული გაზეთის დახურვის საკითხზე. მოხსენებაში საზღვარგარეთის ჯგუფების საკითხზე პლეხანოვის «ედინსტვოს» შესახებ.

დარწმუნებული ვარ, რომ შენ ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნი, რომლებიც ვითარდებიან, მტკიცდებიან, უფრო ძლიერი და გაბედული ხდებიან, როცა ისინი მარტო არიან პასუხსაგებ პოსტზე, — და ამიტომ დაჟინებით **არა მჯერა** პესიმისტებისა, ე. ი. იმათი, ვინც ამბობს, რომ შენ... საეჭვოა... სისულელეა, სისულელე! არა მჯერა! ჩინებულად გაართმევ თავს! საუცხოო ენით მათ ყველას მაგრად დაამარცხებ, ხოლო ვანდერველდს არ დაანებებ შეგაწყვეტინოს და იყვიროს. (თუ შემთხვევამ მოითხოვა, ფორმალური პროტესტი მთელი აღმასრულებელი კომიტეტისადმი და წასვლის მუქარა, + + მთელი დელეგაციის წერილობითი პროტესტი.)

მოხსენება უნდა მოგცენ. ეტყვი, რომ თხოულობ მას და გაქვს ზუსტი პრაქტიკული წინადადებანი. რა შეი-

---

* — წინა წერილი ძალიან ნაჩქარევად ვამოვგზავნე. ახლა შემიძლია უფრო მშვიდად ვილაპარაკო ჩვენს «საქმეზე». რედ.

ძლება იყოს უფრო პრაქტიკული და საქმიანი? ჩვენ ჩვენთვის ვართ, თქვენ — თქვენთვის, მომავალი დაგვანახვებს. ან საერთო მივიღოთ ან მოვახსენოთ ჩვენს ყრილობებს, **ჩვენ-ჩვენი პარტიის ყრილობას.** (ნამდვილად კი, ცხადია, ჩვენ **სრულებით არაფერს** არ მივიღებთ.)

ჩემი აზრით, მთავარია დავამტკიცოთ, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ პარტია (იქ ბლოკი-ფიქცია ან წვრილი ჯგუფებია), მხოლოდ ჩვენ ვართ მუშათა პარტია (იქ ბურჟუაზიაა, რომელიც ფულს იძლევა და იწონებს), მხოლოდ ჩვენ ვართ უმრავლესობა, $^{4}/_{5}$.

ეს ერთი. მეორე: განემარტოს რაც **შეიძლება პოპულარულად** (მე ამას აბსოლუტურად ვერ შევძლებდი ენის უცოდინრად, შენ კი შეძლებ), რომ ორგანიზაციული კომიტეტი = ფიქციაა. რეალობა, რომელსაც იგი ფარავს, არის **მხოლოდ** ჯგუფი ლიკვიდატორი-ლიტერატორებისა სპბ-ში. დამამტკიცებელი საბუთი? ლიტერატურა...

აგვისტოს ბლოკის დაშლა. (NB ლატვიელების წასვლა.)

(შდრ. «პროსვეშჩენიე» № 5, ჩემს სტატიას[101] ვუგზავნი პოპოვს.)

საბუთი: ლატვიელებს თქვენი (ე. ი. ბოლშევიკების) მცირე სიჭარბე აქვთ, მცირეა თქვენი უმრავლესობა. პასუხი: «დიახ. მცირეა. თუ გინდათ ელოდოთ, იგი მალე écrasante * იქნება».

1912 წ. იანვარში ჩვენ პარტიიდან გავრიცხეთ ლიკვიდატორების ჯგუფი. შედეგი? განა მათ უკეთესი პარტია შექმნეს?? **არავითარი.** მათში აგვისტოს ბლოკის სრული დაშლაა, — ბურჟუაზიის დახმარება მათდამი — მუშების გაქცევა მათგან. ან მიიღეთ ჩვენი პირობები, ან არავითარი rapprochement **, რომ აღარა ვთქვათ რა unité-ზე!! ***

---

* — უდიდესი. რედ.
** — დაახლოება. რედ.
*** — ერთიანობაზე!! რედ.

საბუთები იაგელოს წინააღმდეგ: **უცხო** პარტიაა. არა გვჯერა მისი. დაე პოლონელები გაერთიანდნენ.

საბუთი როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ: რ ე ა ლ უ-რ ი ა **არა მისი** პარტია, არამედ «ოპოზიცია». დამტკიცება: ვარშავისაგან იყო *3* **ამრჩევი** მუშათა კურიიდან: ზ ა ლ ე ვ-ს კ ი, ბ რ ო ნ ო ვ ს კ ი და იაგელო. **ორივე პირველი** ოპოზიციაა. (თუ როზა ამას გვერდს აუვლის, ეცადეთ ათქმევინოთ. თუ უარყოფას დაიწყებს, მოითხოვეთ ოქმი, დაემუქრეთ, რომ **როზა** ლ—ის **ტყუილს** ჩვენ **ვამხილებთ.**) მაშასადამე **ყ ვ ე ლ ა ს.-დ.** ამრჩევი ვარშავისაგან = ოპოზიციაა (IV სათათბიროს არჩევნები). ხოლო დანარჩენ პოლონეთში? **არ ვიცით!!** მოგვეცით ამრჩევთა **სახელები!!**

კაუცკის წერილი როზას წინააღმდეგ და ოპოზიციის საასარგებლოდ იყო «პრავდაში» [102].

ამ №-ს ვუგზავნი პოპოვს. შეიძლება **ციტირება.**

საერთოდ მე, ვგონებ, უფრო ძ ა ლ ი ა ნ ბევრი «უაღრესად დაწვრილებითი» (როგორც მთხოვდი) გამოგიგზავნე, ვიდრე ძალიან ცოტა.

ყოველ შემთხვევაში თქვენ სამნი ყოველთვის იპოვნით საბუთებს და არგუმენტებს და ფაქტებს, თქვენ კი მუდამ გაქვთ უფლება ცალკე მოითათბიროთ — დელეგაციისაგან ორატორის დანიშვნის შესახებ etc.

ორგანიზაციული კომიტეტი და ბუნდი უტიფრად ი ც რ უ-ე ბ ე ნ:

...«იმათაც აქვთ იტაკქვეშეთი. აგვისტოს კონფერენციის მიერ არის აღიარებული»...

ტყუილია! საზღვარგარეთის ლიტერატურა. გაზეთები? ლატვიელების წასვლა? მათი ვერდიქტი?

ც ი ტ ა ტ ე ბ ი «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა დ ა ნ» და «ლ უ ჩ ი-დ ა ნ» ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!! (ეს — «**უხეირო ფრაზებია**»?? ტყუილია! ამას ლაპარაკობენ **ქვემოთ** მცირეოდენი, ე რ ო ი შ უ ჭ ა ლიკვიდატორი მუშები და ეს აშკარა დეზორგანიზაციაა.)

ან: არც თქვენ გაქვთ იატაკქვეშეთი

«პრავდა» რომ 40 000 ეგზემპლარში გაიძახის იატაკქვეშეთის შესახებ? თუ მუშები თავს გვატყუებინებენ??

ახლა 1913-ის ზაფხულის თათბირი და მისი **გადაწყვეტილება:** გამოვიდეს დეპუტატთა 6-ეული. შემდეგ კი 6 722 ხმა ჩვენს სასარგებლოდ, 2 985 წინააღმდეგ. უმრავლესობა 70%!!

უფრო ძლიერ **დავაწვეთ** პროფესიულ კავშირებსა და დამზღვევ სალაროებს: ეს უდიდეს გავლენას ახდენს უვროპელებზე. ჩვენ არ დავანებებთ ლიკვიდატორებს მოშალონ ჩვენი მტკიცე უმრავლესობა პროფესიულ კავშირებსა და დამზღვევ სალაროებში!!

I've forgotten the money question. We will pay for letters, telegrams (please wire oftener) & railway expenses, hotel expenses & so on. Mind it!

If possible try to be on Wednesday evening already in Brussels in order to arrange, **prepare** the delegation, შეუთანხმდე & so on.

If you succeed to receive the first rapport, for 1—2 hours, — it is almost all *. შემდეგ ისლა დაგრჩებათ, რომ «ტლინკებით მოიცილოთ», დააცდენინოთ «მათი» Contrepropositions ** (14-ვე საკითხზე) და განუცხადოთ: **თანახმა არა ვართ,** შევიტანთ ჩვენი პარტიის კონგრესზე. (მათს არც ერთ წინადადებას არ მივიღებთ.)

ლაპარაკი თუ ჩამოვარდეს შემნახველთა ფულზე, დაიმოწმეთ 1912-ის იანვრის რეზოლუცია[103] და უარი თქვით შე-

---

* — დამავიწყდა ფულის საკითხი. ჩვენ ავანაზღაურებთ წერილების, დ ე პ ე შ ე ბ ი ს (გთხოვ რაც შეიძლება ხშირად გზავნო დეპეშები) და რკინიგზის ხარჯებს, სასტუმროს ხარჯებს და სხვ.. **გახსოვდეს ეს!!**

თუ შესაძლებელია, ეცადე უკვე ოთხშაბათს საღამოს იყო ბრიუსელში, **რომ** მოელაპარაკო. **მოამზადო** დელეგაცია, შეუთანხმდე და სხვ.

თუ მოახერხებ მიიღო **პირველი** მოხსენება 1—2 **საათით,** — ეს **თითქმის** ყველაფერია. **რ ე დ.**

** — კონტრწინადადებანი. **რ ე დ.**

მდგომ ლაპარაკზე. ჩვენს უფლებაზე ჩვენ უარს არ ვამ-ბობთ-თქო!!

პოპოვს ვუგზავნი პლეხანოვის სტატიებს («პრავდიდან») ლიკვიდატორების შესახებ[104]. მოიყვანეთ ციტატები და თქვით, რომ «პრავდა» კვლავ **იმავე** აზრისაა.

დაწერილია 1914 წ. 15 ივლისზე ადრე
პორონინში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

69

ლატვიელ სოციალ-დემოკრატს

ძვირფ. ამხანაგო გერმან!

მე ვფიქრობ, რომ ლატვიის ს.-დ-იის დამოკიდებულებაში რსდმ პარტიისადმი (ცენტრალური კომიტეტის სახით — რსდმ პარტიის ჩვენი **ნაწილისადმი** — თუ ნებავთ თქვენს ლეგიტიმისტებს, რომლებსაც სურთ ცოტა «ანგარიში გაუწიონ» ლიკვიდატორებს) მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი მომენტი დგება.

აქ საჭიროა გარკვეულობა და პატიოსნება.

1911 — 1914 წ. ლატვიელები (მათი ცენტრალური კომიტეტი) ლიკვიდატორები იყვნენ.

1914 წ. ყრილობაზე [105] ისინი გამოვიდნენ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეებად, მაგრამ ორგანიზაციულ კომიტეტსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ე ბ ა დ.

ახლა, ბრიუსელის შემდეგ, «ტრუდოვაია პრავდის» № 32-ის რეზოლუციის შემდეგ [106], ლატვიელებს სურთ შემოვიდნენ ჩვენს პარტიაში, დადონ ხელშეკრულება ცენტრალურ კომიტეტთან.

კარგია ეს თუ არა?

კარგია, თუ ნამდვილად აქვთ შეგნებული რასაც აკეთებენ და პატიოსნად ეკიდებიან მას.

ცუდია, თუ ამას აკეთებენ ისე, რომ არა აქვთ ნათელი შეგნება, მტკიცე გადაწყვეტილება და არ ითვალისწინებენ შედეგებს.

ვისაც სურს ლეგიტიმობა სტოკჰოლმ-ლონდონის (1906 — 1907) რსდმ პარტიის აღდგენის აზრით, მას ურჩევნია არ შემოვიდეს ჩვენს პარტიაში: არაფერი არ გამოვა, გარდა კინ-

კლაობისა, იმედის გაცრუებისა, წყენისა და ურთიერთისათვის ხელის შეშლისა. ეს იყო «უარესი ტიპის ფედერაცია» (როგორც ნათქვამია რსდმ პარტიის 1912-ის იანვრის კონფერენციის რეზოლუციაში) [107]. ეს სიდამპლეა. ძირს ეს სიდამპლე!

თუ დაცვას დაუწყებენ ფედერალიზმის ნაშთებს (მაგალ., სტოკჰოლმის ხელშეკრულება და ლატვიის ცენტრალური კომიტეტისაგან დელეგირება რუსეთის ცენტრალურ კომიტეტში [108]), მაშინ რა საჭიროა ცოდვილი! ამაზე, ჩემი აზრით, ჩვენ არ დავთანხმდებით. ეს თამაშია, ტიშკოს დიპლომატიაა (რომელსაც ახლა ბაძავენ არამზადები პოლონური ოპოზიციიდან, რომლებიც ბრიუსელში ლიკვიდატორების მხარეზე გადავიდნენ), და არა შეწყობილი მუშაობა. გვაქვს **პრინციპული** თანხმობა? ჰო თუ არა? თუ ჰო, ერთად უნდა ვილაშქრებდეთ (1) ლიკვიდატორობის, — (2) «ნაციონალიზმის» (= (ა) «კულტურულ-ეროვნული ავტონომია» და (ბ) ბუნდის სეპარატიზმი) წინააღმდეგ, — (3) ფედერალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ ნათლად, აშკარად, რუსეთის ყველა მუშის წინაშე აღვმართეთ ეს დროშები **1912 წლის იანვრიდან.** ცოტა დრო როდია. აქამდე შეიძლებოდა და საჭიროც იყო გარკვევა.

მაშ მოდით შევთანხმდეთ — თუ შეთანხმებაა — ნათლად და პატიოსნად. კეკემალულობის თამაში, ჩემი აზრით, უადგილოა და არასაკადრისი. ჩვენ სერიოზულ ომს ვეწევით: ჩვენ წინააღმდეგ არიან ყველა ბურჟუაზიული ინტელიგენტები, ლიკვიდატორები, ნაციონალისტები და ბუნდის სეპარატისტები, პირდაპირი და ფარული ფედერალისტები. ან დავდოთ ხელშეკრულება ყველა ამ მტრის **წინააღმდეგ,** ან **სჯობს გადავდოთ.**

სჯობს ნიშნობაზე შეჩერება, ვიდრე ქორწინებით ხელფეხის შებოჭვა, თუკი არ არის სრული რწმენა, რომ კავშირი მტკიცე იქნება!!

ყოველივე ეს ჩემი პირადი აზრია.

მაგრამ ჩემი დიდი სურვილია გამოვნახოთ საერთო ენა **თქვენთან** და მივაღწიოთ გარკვეულობას. თუ ბრიუსელში ძირითადად შევთანხმდით, — შეიძლება და საჭიროც არის ვკითხოთ ჩვენს თავს უ დ ი პ ლ ო მ ა ტ ი ო დ, შეგვიძლია თუ არა შევთანხმდეთ და დავდოთ მტკიცე ხელშეკრულება.

მე **ძლიერ** მაწუხებს, რომ ლატვიელთა ნაწილი

ე მ ხ რ ო ბ ა კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას ან მერ-ყეოპს

ე მ ხ რ ო ბ ა ბუნდის ფედერალიზმს ან მერყეობს

მ ე რ ყ ე ო ბ ს გაილაშქროს ნაციონალიზმისა და ბუნდის სეპარატიზმის წინააღმდეგ,

მ ე რ ყ ე ო ბ ს მხარი დაუჭიროს ჩვენს მოთხოვნას პი-ტერში დეზორგანიზატორთა წრის ლიკვიდატორული გაზე-თის [109] დახურვის შესახებ და სხვ.

დიდია თუ არა ეს ნაწილი? — საერთოდ და ცეკისტებს შორის? — მუშებს შორის და ინტელიგენტებს შორის?

გავლენიანია თუ არა იგი?

პიტერსა და რუსეთში ლიკვიდატორების წინააღმდეგ **ბრ**ძოლას ხომ **ჩვენ** ვეწევით. როგორ მოვიქცეთ, თუ თქვენ ს ი ნ დ ი ს ი ს გ ა მ ო **არ შეგეძლებათ** დაგვეხმაროთ ლიკვი-დატორებისა და ბუნდელების წინააღმდეგ ომის წარმოებაში?? მაშინ ხომ მ ტ კ ი ც ე ხელშეკრულების დადება უპატიოსნება და პირდაპირ უგუნურებაც კი იქნებოდა!

ახლა კიდევ პოლონური ოპოზიციის ეს საზიზღარი მელა-კუდობა ლიკვიდატორების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ (ხმის მიცემა ბრიუსელის რეზოლუციის **სასარგებლოდ**), ნაციონალიზმის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ (კულტურულ-ეროვნული ავტონომიის აღიარება «სადავო პუნქტად»), ფედერალიზმის ს ა ს ა რ გ ე ბ-ლ ო დ (P. S. D.-სთან * ძ ვ ე ლ ი, ტიშკოსებური, 1906 წლის ხელშეკრულების მოთხოვნა).

გარკვეულობა, გარკვეულობა უწინარეს ყოვლისა! ვისაც თავისთვის ვერ გამოურკვევია ვითარება და ბურჟუაზიული

* — პსდ (პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთან). რ ე დ.

დემოკრატიის (= ლიკვიდატორები და ნაციონალისტები) წინააღმდეგ პროლეტარული დემოკრატიის ომის პირობები, ს ჯ ო ბ ს მ ო ი ც ა დ ო ს.

მსურს ვიცოდე თქვენი აზრი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მეტად მოხარული ვიქნებოდი შემეტყო «პარაგრაფის» აზრი ამ საკითხზე. აჩვენეთ ეს წერილი!

(გთხოვთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის «14 პუნქტი» [110] მისცეთ რუდას ერთი დღით, წასაკითხავად.)

დაწერილია 1914 წ. 18 ივლისის შემდეგ
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

70

გრანატის გამოცემათა რედაქციას

21. VII. 1914.

დიდად პატივცემულო კოლეგა!

ძალიან ვწუხვარ, რომ ბევრმა სრულიად განსაკუთრებულმა და გაუთვალისწინებელმა გარემოებამ (დაწყებული მალინოვსკის წასვლით) დასაწყისშივე შემაწყვეტინა დაწყებული სტატია მარქსის შესახებ [111], და მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე უშედეგოდ ვცადე გამომენახა დრო მის განსაგრძობად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ სამუშაოს შემოდგომამდე ვერ შევასრულებ.

დიდ ბოდიშს ვიხდი და იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი ესოდენ სასარგებლო გამოცემის რედაქცია მოასწრებს მონახოს სხვა მარქსისტი და მისგან ვადაზე მიიღოს სტატია.

სამსახურისათვის მზადმყოფი ვ. ი ლ ი ნ ი

გაგზავნილია პორონინიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

71

ᲒᲠᲐᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

პატივცემულო კოლეგა! რამდენიმე დღის წინათ, სამუშაოს დამთავრების შესაძლებლობის იმედი რომ გადამიწყდა, გამოგიგზავნეთ წერილი, რომ ხელს ვიღებდი ამ სამუშაოზე, თან ბოდიშს ვიხდიდი. ახლა კი პოლიტიკური ვითარება, რაზედაც ასე ძლიერ ვარ დამოკიდებული, უცებ კვლავ ძირეულად იცვლება: ჯერ-1, საგანგებო დაცვა სპბ-ში, რის შესახებ დღეს რუსეთის გაზეთებში წავიკითხე, შემოღებულია 4. IX. 1914-მდე, რაც, ჩანს, იმას ნიშნავს, რომ იმ დრომდე შეჩერებულ იქნება გაზეთი, რომელშიც მე ვწერდი; მე-2, ომი, როგორც ჩანს, შეაჩერებს მთელ რიგ ს ა ს წ რ ა ფ ო პოლიტიკურ საქმეებს, რომლებითაც დატვირთული ვიყავი. ამიტომ ახლა შემიძლია განვაგრძო დაწყებული სტატია მარქსის შესახებ და, ალბათ, მოვასწრებ მის მალე დამთავრებას. თუ ჯერ კიდევ არ შეგიკვეთიათ სხვისათვის და პირობა არ დაგიდვიათ სხვა ავტორთან, გთხოვთ მიპასუხოთ დეპეშით (ჩემს ხარჯზე): Ulyanow. Poronin. Rabotaite.

თუ პირობა უკვე დადებული გაქვთ სხვა პირთან, გთხოვთ მიპასუხოთ ღია ბარათით.

ერწმუნეთ ჩემს სრულ პატივისცემას თქვენდამი

ვ. ი ლ ი ნ ი

Absender: Wl. Ulyanow.
Poronin (Galizien). ავსტრია.

დაწერილია 1914 წ. 28 ივლისს
გაგზავნილია მოსკოვში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

72

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო კ.! მივიღე თქვენი ღია ბარათი და ვჩქარობ გიპასუხოთ. ცოტა ხანს მოიცადეთ: ჩვენ შეგატყობინებთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და უნდა გაკეთდეს იმისათვის, რაც გსურთ თქვენ (და ჩვენც)[112]. ნუ დაივიწყებთ, სხვათა შორის, რომ ლეგალობა ახლა აქ განსაკუთრებულია: ამის შესახებ ელაპარაკეთ თუ არა ლოზანელ მეგობრებს? აუცილებლად მოელაპარაკეთ.

ჩვენ ბერნში ვრჩებით. მისამართი: Donnerbühlweg 11a. Uljanow.

რეფერატის შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცი. საჭიროა მოფიქრება და უფრო დაწვრილებით მოთათბირება. თქვენთან რამდენი კაცი შეიძლება ვივარაუდოთ[113]?

ხელს გართმევთ. სალამი ყველასაგან.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. La critique * და ჩემი anticritique ** იქნებ უკეთესად შეადგენენ საუბრის საგანს? ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი: არ შეიძლება გერმანელების საზიზღარი შოვინიზმის ფორმალისტურად დაცვა. იყო ცუდი რეზოლუციები, იყო საკმაოდ კარგი, იყო ორივე სახის განცხადებანი. მაგრამ ყვე-

---

* — კრიტიკა. რ ე დ.

** — ანტიკრიტიკა. რ ე დ.

ლაფერს თავისი საზღვარი აქვს! **და იგი გადაცილებულია.** არ უნდა ვითმენდეთ, არ უნდა ვდიპლომატობდეთ, მთელი ძალით უნდა ავჯანყდეთ სამარცხვინო შოვინიზმის წინააღმდეგ!!

დაწერილია 1914 წ. 27 სექტემბრის შემდეგ
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

78

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო კარპინსკი! ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გულახდილად გესაუბროთ.

ყ ვ ე ლ ა საფუძველი არსებობს მოველოდეთ, რომ შვეიცარიის პოლიცია და სამხედრო ხელისუფალნი (რუსეთის ან საფრანგეთის ელჩების პ ი რ ვ ე ლ ი ე ე ს ტ ი თ და სხვ.) მიმართავენ სამხედრო წესით გასამართლებას ან გასახლებას ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის და სხვ.. ამიტომ წერილებში პირდაპირ ნურაფერს ნუ დაწერთ. თუ რაიმე ცნობის გამოგზავნა იყოს საჭირო, დაწერეთ ქიმიით. (ქიმიის ნიშანია ხაზგასმული თარიღი წერილში.)

ჩვენ გადავწყვიტეთ საკმაოდ ძნელად წასაკითხავი თეზისების ნაცვლად გამოვცეთ ა მ ა ს თ ა ნ დ ა რ თ უ ლ ი მანიფესტი[114]. მიღება შეგვატყობინეთ, ამასთან მანიფესტს დაარქვით «კაპიტალიზმის განვითარება».

კარგი იქნება გამოიცეს. მაგრამ თქვენ გირჩევთ გააკეთოთ ეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გამოიყენებთ მაქსიმალური სიფრთხილის ღონისძიებებს (და თუ არის ამ გამოყენების შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა)!!

ა რ ა ვ ი ნ არ უნდა იცოდეს, **სად** და ვის მიერ არის გამოცემული. მთელი შავად ნაწერი დაწვით!! გამოცემა უნდა ინახებოდეს **მხოლოდ** გავლენიან შვეიცარიელ მოქალაქესთან, დეპუტატთან და სხვ.

თუ ეს არ შეიძლება, **ნუ** გამოსცემთ.

დაბეჭდვა თუ არ შეიძლება, მიმეოგრაფზე გააკეთეთ (აგრეთვე მაქსიმალური სიფრთხილის ღონისძიებათა დაცვით). მიპასუხეთ: მივიღე კაპიტალიზმის განვითარება **(ამდენი**

და ამდენი) ეგზემპლარი = ხელახლა გამოვცემ ამდენ და ამდენ ეგზემპლარს.

თუ არ შეიძლება არც დასტამბვა, არც მიმეოგრაფზე დაბეჭდვა, მაშინვე მოიწერეთ. კიდევ რამეს მოვიფიქრებთ. რაც შეიძლება დაწვრილებით მიპასუხეთ.

(გამოცემას თუ მოახერხებთ და **შემთხვევა მოგეცემათ,** გამოცემა (¾) აქ გამოგზავნეთ; ჩვენ ვიშოვნით შესანახავ ადგილს.)

ველი პასუხს! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

NB P. S. გამოსაცემად ფულს ვიშოვნით. ოღონდ წინასწარ მოიწერეთ, **რამდენია** საჭირო, რადგან ფული **ძალიან** ცოტა გვაქვს. არ შეიძლება სოკ-ის[115] 170 frs* ამას მოვახერხოთ?

დაწერილია 1914 წ. 11 ოქტომბერზე ადრე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — francs — ფრანკი. რ ე დ.

74

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო მეგობარო! დღეს აქ პლეხანოვის რეფერატზე ვილაპარაკე მისი შოვინიზმის წინააღმდეგ. ვაპირებ აქ სამშაბათს წავიკითხო რეფერატი. მინდა ოთხშაბათს წავიკითხო ჟენევაში (ევროპის ომი და ევროპული სოციალიზმი)[116]. განსაჯეთ საქმე და მოაწყვეთ, შეძლებისამებრ კონსპირაციულად, ე. ი. ისე, რომ საჭირო არ იყოს ნებართვა (რა თქმა უნდა, აგრეთვე სასურველია, რომ იყოს maximum ხალხი). ეს როგორ უნდა გაკეთდეს, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. Maximum ხალხის შეერთება პოლიციაში გახმაურებისა და პოლიციის ჩარევის (ან პოლიციის მუქარის) minimum-თან. ბერნში წავუკითხე ჯგუფების წევრებს და მათი რეკომენდაციით მოწვეულ სტუმრებს (120 კაცს — 130 და ა. შ.), უაფიშებოდ და სხვ.. ეს წესი ხომ არა სჯობს?

დაუყოვნებლივ მიპასუხეთ მისამართით Mr. Ryvline. Villa Rougemont. Chailly sur Lausanne. ჩემთვის. სამშაბათს ვკითხულობ აქ, ლოზანაში, და თქვენი პასუხი აქ სამშაბათს დღისით უნდა იყოს. ვინახულებთ ერთმანეთს და უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ ჩვენს საქმეებზე. მაშასადამე, თუ ჟენევაში ნებართვაა საჭირო, 10-ჯერ იფიქრეთ, დახურული ხომ არა სჯობს. საერთოდ, რა თქმა უნდა, თქვენ გადაწყვიტეთ. თუ ოთხშაბათს მოხერხდა (რეფერატის მოწყობა ოთხშაბათს საღამოს), ოთხშაბათს დილით ჩამოვალ.

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წ. 11 ოქტომბერს
გაგზავნილია ლოზანიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

75

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო კ.! სწორედ ჟენევაში ჩემი ყოფნის დროს რუსეთიდან **სასიხარულო** ცნობები მოვიდა. მოვიდა ვანდერველდისადში რუსი სოციალ-დემოკრატების პასუხის ტექსტიც[117]. ამიტომ გადავწყვიტეთ ცალკე მანიფესტის ნაცვლად გამოვუშვათ გაზეთი «სოციალ-დემოკრატი», ცენტრალური ორგანო, შემდეგი ნომერი[118]. ეს გადაწყვეტილება დღეს, ასე ვთქვათ, საბოლოოდ იქნება გაფორმებული.

ამრიგად, გთხოვთ მიიღოთ და რაც შეიძლება მალე მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ მონახოთ ფრანგი, ე. ი. შვეიცარიის ქვეშევრდომი, როგორც პასუხისმგებელი რედაქტორი და განსაზღვროთ ხარჯთაღრიცხვა. ოდენობას ვვარაუდობთ 2 გვერდს, ფორმატს დაახლოებით პარიზის «გოლოსისას». გამოსვლის ვადა **გაურკვეველია** — საეჭვოა, რომ თავდაპირველად თ ვ ე შ ი უფრო ხშირად გამოვიდეს, ვიდრე 2 — 3-ჯერ. ტირაჟი პატარაა, ვინაიდან ჩვენი მიმართულებისას ობივატელზე ვარაუდის დამყარება არ შეიძლება (500 ეგზ.?). ფასი — დაახლოებით 10 სანტიმი. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ **ვარაუდია,** მაგრამ ეს უნდა იცოდეთ ასოთამწყობთან სასაუბროდ.

მაშასადამე, ფასი?

რამდენი დრო დასჭირდება ასეთი ნომრის გამოშვებას (აწყობას etc.)?

შემდეგ შრიფტი? მარტო მსხვილი შრიფტია, თუ არის წვრილიც, პეტიტი? რამდენი ათასი ასო დაეტევა «გოლოსის» ფორმატის 2 გვერდზე 1) მსხვილი შრიფტისა და 2) წვრილი შრიფტისა, პეტიტისა?

აწყობილი მანიფესტი არ უნდა დაიშალოს: მას გაზეთში მოვათავსებთ. ორშაბათისათვის გამოგიგზავნით მანიფესტის მცირე შესწორებებს და **შეცვლილ** ხელმოწერას (ვინაიდან რუსეთთან კავშირის დამყარების შემდეგ ჩვენ უკვე **უფრო ოფიციალურად** გამოვდივართ).

ათასი სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ თვალყური ადევნოთ, სავსებით დროზე (დაუგვიანებლად) მოგდით თუ არა ჩემი წერილები.

დაწერილია 1914 წ. 17 ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

76

ა. შლიაპნიკოვს [119]

17. X. 1914.

ძვირფასო მეგობარო! რეფერატების საკითხავად წასული გუშინ საღამოს მოვედი შინ და თქვენი წერილები დამხვდა. დიდი მოკითხვა თქვენ, ხოლო თქვენი მეშვეობით ყველა რუს მეგობარს! ვანდერველდისადმი პასუხი გუშინ სათარგმნად გადაუციათ, და მე ჯერ კიდევ არ მინახავს ტექსტი. მოგწერთ მის შესახებ, როგორც კი ვნახავ.

ჩემი აზრით, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია თანმიმდევრული და ორგანიზებული ბრძოლა შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მოიცვა მთელი ბურჟუაზია და უმრავლესობა ოპორტუნისტი სოციალისტებისა (და იმათი, ვინც ოპორტუნიზმს ურიგდება — tel Mr. Kautsky! *). ამ ბრძოლის ამოცანების შესასრულებლად კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბრძოლა თ ა ვ ი ს ი ქვეყნის შოვინიზმთან, — კონკრეტულად, ჩვენში ბატონებთან à la მასლოვი და სმირნოვი (იხ. «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» და «რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო»), რომელთა «შრომები» წავიკითხე, ან ბ-ნები სოკოლოვი, მეშკოვსკი, ნიკიტინი და სხვები, რომლებიც თქვენ გინახავთ ან გსმენიათ. პლეხანოვი, როგორც ვგონებ უკვე მოგწერეთ, შოვინისტი-ფრანგი გახდა. ლიკვიდატორებში, ჩანს, დაქსაქსულობაა **. ალექსინსკი, ა მ ბ ო ბ ე ნ, ფრანკოფილიაო. კოსოვსკი (ბუნდისტი, მემარჯვენე, მომისმენია მისი რეფერატი)

---

* — ისეთები როგორიც ბ-ნი კაუცკია! რ ე დ.

** — ჩვენში პარიზელი ინტელიგენტები (რომლებიც სექციაში მაიორიზებული არიან მუშების მიერ) ვოლონტიორებად წავიდნენ (ნიკ. ვას., ანტონოვი და სხვ.) და ს.-რ-ებთან ერთად გამოუშვეს სულელური უპარტიო მოწოდება. იგი თქვენ გამოგიგზავნეთ.

გერმანოფილია *. ეტყობა, რომ საშუალო ხაზი ბ-ნ ლიკვიდატორთა მთელი «ბრიუსელის ბლოკისა» ალექსინსკიანად და პლეხანოვიანად იქნება შეგუება კაუცკისთან, რომელიც ახლა **ყველაზე მავნეა.** იმდენად საშიში და საზიზღარია მისი სოფისტიკა, რომელიც უაღრესად გამართული და დახვეწილი ფრაზებით ფარავს ოპორტუნისტების სისაძაგლეს («Neue Zeit»-ში **). ოპორტუნისტები აშკარა ბოროტებაა. გერმანული «ცენტრი» კაუცკის მეთაურობით ფარული, დიპლომატიურად შელამაზებული ბოროტებაა, რომელიც თვალებს, გონებასა და სინდისს უბნელებს მუშებს, რომელიც ყველაზე საშიშია. ახლა ჩვენი ამოცანაა უთუო და აშკარა ბრძოლა საერთაშორისო ოპორტუნიზმთან და მის დამფარველებთან (კაუცკი). ამას კიდევაც გავაკეთებთ ცენტრალურ ორგანოში, რომელსაც მალე გამოვუშვებთ (ალბათ, 2 გვერდს). ახლა მთელი ძალით უნდა შევუწყოთ ხელი შეგნებული მუშების კანონიერ სიძულვილს გერმანელთა ბილწი ქცევისადმი და ამ სიძულვილიდან გავაკეთოთ პოლიტიკური დასკვნა ოპორტუნიზმისა და მისთვის ხელის ყოველგვარი დაფარების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს საერთაშორისო ამოცანაა. იგი ჩვენ გვაკისრია. სხვას არავის. მისგან უკანდახევა არ შეიძლება. სწორი არ არის ინტერნაციონალის «უბრალო» განახლების ლოზუნგი (ვინაიდან ძლიერ და ძლიერ დიდია საშიშროება დამპალი შემარიგებლური რეზოლუციისა კაუცკი — ვანდერველდის ხაზით!). სწორი არ არის «მშვიდობის» ლოზუნგი — ლოზუნგი უნდა იყოს ეროვნული ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. (ეს გადაქცევა შეიძლება ხანგრძლივი იყოს, მან შეიძლება მოითხოვოს და მოითხოვს მთელ რიგ წინასწარ პირობებს, მაგრამ მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს სწორედ ა ს ე თ ი გარდაქმნის ხ ა ზ ი თ, მისი სულისკვეთებითა და მიმართულებით.) არა ომის საბოტაჟი, არა ასეთი ხასიათის ცალკეული,

* — მარტოვი ყველაზე წესიერია «ზოლოსში». მაგრამ გაუძლებს თუ არა მარტოვი? **არა მჯერა.**

** — «ახალი დროება». რ ე დ.

ინდივიდუალური გამოსვლები, არამედ მასობრივი პროპაგანდა (არა მარტო «სამოქალაქო» პირთა შორის), რომელიც იწვევს ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად.

რუსეთში შოვინიზმი ეფარება ფრაზებს «belle France»-ის * და უბედური ბელგიის შესახებ (უკრაინა? და სხვ.) ან «სახალხო» სიძულვილს გერმანელებისადმი (და «კაიზერიზმისადმი»). ამიტომ ჩვენი უთუო მოვალეობაა ამ სოფიზმებთან ბრძოლა. ხოლო ბრძოლა ზუსტი და ნათელი ხაზით რომ მიმდინარეობდეს, საჭიროა მისი განმაზოგადებელი ლოზუნგი. ეს ლოზუნგია: ჩვენთვის, რ უ ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რ უ ს ე თ ი ს მშრომელი მასებისა და მუშათა კლასის ინტერესთა თვალსაზრისით, სავსებით, აბსოლუტურად უეჭველია, რომ ახლა და ახლავე ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ბოროტება იქნებოდა ცარიზმის დ ა მ ა რ ცხ ე ბ ა ამ ომში. ვინაიდან ცარიზმი კაიზერიზმზე ასჯერ უარესია. არა ომის საბოტაჟი, არამედ შოვინიზმთან ბრძოლა და მთელი პროპაგანდისა და აგიტაციის წარმართვა პროლეტარიატის საერთაშორისო შემჭიდროებისაკენ (დაახლოებისაკენ, ერთსულოვანი მოქმედებისაკენ, selon les circonstances ** შეთანხმებისაკენ) სამოქალაქო ომის მიზნით. შეცდომა იქნებოდა როგორც მოწოდება ოფიცრებისათვის სროლის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი აქტებისაკენ etc., ისე იმის მაგვარი არგუმენტების დაშვება, რომ არ გვინდა კაიზერიზმს დავეხმაროთო. პირველია გადახრა ანარქიზმისაკენ, მეორე — ოპორტუნიზმისაკენ. ჩვენ კი უნდა ვამზადებდეთ მასობრივ (ან ყოველ შემთხვევაში კოლექტიურ) გამოსვლას არა მარტო ერთი ერის ჯარში, და **მთელ** პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობას ამ მიმართულებით უნდა ვეწეოდეთ. მუშაობის (ბეჯითი, სისტემატური, იქნებ ხანგრძლივი მუშაობის) წარმართვა ეროვნული ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ — აი მთელი არსი. ამ გადაქცევის მომენტი სხვა საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ნათელი.

— «მშვენიერი საფრანგეთის». რ ე დ.

** — «გარემოების შესაბამისად». რ ე დ.

ამ მომენტს მომწიფების საშუალება უნდა მივცეთ და სისტემატურად «უნდა ვაიძულებდეთ მწიფდებოდეს».

ჯერჯერობით ვამთავრებ. ხშირად მოგწერთ ხოლმე. თქვენც ხშირად მოიწერეთ.

უფრო დაწვრილებით მოიყვანეთ პეტერბურგის კომიტეტის ფურცლის შინაარსი.

უფრო დაწვრილებით მუშათა ხმების და მათ მიერ გამოთქმული აზრების შესახებ.

«ფრაქციების» ძალთა თანაფარდობა სპბ-ში? ესე იგი გაძლიერდნენ თუ არა ლიკვიდატორები ჩვენ წინააღმდეგ? რამდენად?

თავისუფალია დანი? მისი პოზიცია? ჩირკინის, ბულკინისა და კომპანიისა?

უფრო დაწვრილებით.

სახელდობრ ვის, ვისგან გამოუგზავნეთ ასი მანეთი?

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ზავის ლოზუნგი, ჩემი აზრით, ახლანდელ მომენტში სწორი არ არის. ეს ობივატელური, ხუცესური ლოზუნგია. პროლეტარული ლოზუნგი უნდა იყოს: სამოქალაქო ომი.

ობიექტურად — ევროპის მდგომარეობის ძირეული ცვლილებიდან გამომდინარეობს ასეთი ლოზუნგი მასობრივი ომის ეპოქისათვის. ბაზელის რეზოლუციიდან იგივე ლოზუნგი გამომდინარეობს.

ჩვენ არ შეგვიძლია სამოქალაქო ომის არც «დაპირება», არც მისი «დეკრეტირება», მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ამ მიმართულებით ვეწეოდეთ მუშაობას — საჭიროების შემთხვევაში მეტად ხანგრძლივსაც. ცენტრალურ ორგანოში მოთავსებული სტატიიდან გაიგებთ დაწვრილებით [120]. ჯერჯერობით მხოლოდ ვსახავ პოზიციის ძირითად პუნქტებს, რათა კარგად შევთანხმდეთ.

გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

77

ა. შლიაპნიკოვს

17. X. 1914.

ძვირფ. მეგობარო! წავიკითხე ვანდერველდისადმი პასუხი და ვურთავ ჩემს აზრებს ამ პასუხის გამო.

ფრიად სასურველი იქნება, რომ სათათბიროს მოწვევის შემთხვევაში **(მართალია თუ არა,** რომ მას ერთი თვის შემდეგ იწვევენ?) [121] ჩვენი ფრაქცია უკვე უბლოკოდ გამოვიდეს და თანმიმდევრული თვალსაზრისი განაცხადოს. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ (1) მოწვეულ იქნება თუ არა სათათბირო; (2) სათათბიროს ფრაქციასთან კარგი ურთიერთობა გაქვთ თუ არა და ამას რამდენი დღე დასჭირდება.

21. X. 1914.

განვაგრძობ შეწყვეტილ წერილს. პასუხის ჩემი კოიტიკა. რა თქმა უნდა, კერძო საქმეა, რომელიც განკუთვნილია ძხოლოდ და მხოლოდ მეგობრებისათვის სრული ურთიერთგაგების დამყარების მიზნით. ამ დღეებში გამოვა ცენტრალური ორგანო და გამოგიგზავნით.

რაც შეეხება ინტერნაციონალს, ოპტიმისტი ნუ იქნებით და გეშინოდეთ ლიკვიდატორთა და ოპორტუნისტთა ინტრიგებისა. მარტოვი ახლა თუმცა კიდევაც მემარცხენდება, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ის მარტოა. ხოლო ხვალ რა იქნება? ხვალ იგი დაექანება მათის საერთო გეგმამდე: დაუხშონ მუშებს პირი (და გონება და სინდისი) კაუჩუკის რეზოლუციით კაუცკის ყაიდაზე, რომელიც ყველას და ყოველივეს ამართლებს. კაუცკი ყველაზე ფარისეველი, ყველაზე საძაგელი და ყველაზე მავნეა! ინტერნაციონალიზმი, თურმე ნუ იტყვით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული ქვეყნის მუშები

ესროდნენ მეორე ქვეყნის მუშებს «სამშობლოს დაცვის» მომიზეზებით!!!

დაე ისინი ინტრიგებს აწყობდნენ — ახლა, ასეთ მსოფლიო-ისტორიულ მომენტში, ოპორტუნიზმთან დიპლომატიზებაზე და «გერმანული» საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შექმნაზე ფიქრი ხომ წვრილმანი ინტრიგაა და მეტი არაფერი. ახლა პრინციპულ ხაზს უნდა მივდევდეთ. პიტერის მუშების საუკეთესო გრძნობებია სიძულვილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოღალატეებისადმი. მთელი ძალ-ღონით უნდა დავიცვათ და განვამტკიცოთ ეს გრძნობა და საერთაშორისო ოპორტუნიზმთან ბრძოლისათვის მტკიცე მზადყოფნის შეგნება. აქამდე ავტორიტეტი იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატია — ახლა **იგი ნიმუშია იმისა, თუ რა არ უნდა ვაკეთოთ!**

თქვენ საჭირო ხართ სტოკჰოლმში. უკეთ მოაგვარეთ მიწერ-მოწერა რუსეთთან. გაუგზავნეთ იმას, ვინც ფანქრით ნაწერი ბარათი მოგცათ, ჩემი წერილები (ეს შესაძლებელია თუ არა?), მას უფრო დეტალურად უნდა შევუთანხმდეთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიწყებთ ცენტრალური ორგანოს გამოშვებას.

უფრო ხშირად მოიწერეთ!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერლინიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

78

ა. შლიაპნიკოვს

27. X. 1914.

ძვირფასო მეგობარო! ახლა მივიღე თქვენი მეორე წერილი და ვჯდები, რომ გესაუბროთ.

სპბ-ის ამბების[122] შესახებ წერილისათვის **დიდი მადლობა.** აქედან ჩინებული კორესპონდენცია გამოვა ცენტრალური ორგანოსათვის. ამ დღეებში გამოდის ცენტრალური ორგანოს №, და მას გამოგიგზავნით. ელოდეთ. ელოდეთ შემდეგ ნომერსაც. თქვენ სტოკჰოლმში უნდა იჯდეთ, ვიდრე ს ა ვ ს ე ბ ი თ არ მოწესრიგდება ტრანსპორტი სტოკჰოლმზე გ ა ვ ლ ი თ წერილებისაც (1), ადამიანებისაც (2), ლიტერატურისაც (3). ამისათვის სისტემატურად უნდა მომზადდეს და გ ა მ ო ც დ ი ლ ი ქ ნ ე ს კარგი გადამცემი პირი სტოკჰოლმში. ვარგა თუ არა ამისათვის ამხ. სკოვნო? იგი კარგია იმით, რომ ბოლშევიკია. მტრის მხარეზე არ გადავა. მაგრამ საქმიანი, მარჯვე, აკურატული თუ არის იგი?

სულით და გულით მიხარია, თუ ამხ. კოლონტაი ჩვენს პოზიციაზე დგას, როგორც მიხარია ისიც, რომ მარტოვს პარიზში ჩინებულად (საერთოდ) მიჰყავს «გოლოსი». მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ მარტოვი (და ძმანი მისნი) გადავა... კაუცკი-ტრულსტრას პოზიციაზე. კაუცკი ახლა ყველაზე მეტად მძულს და მეზიზღება: ბილწი, საძაგელი და ოვითკმაყოფილი ფარისეველობა. არაფერი არ მომხდარა, პრინციპები დარღვეული არ არის, ყველას უფლება ჰქონდა სამშობლო დაეცვაო. ინტერნაციონალიზმი — თურმე ნუ იტყვით — სწორედ **იმაში** მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მუშები ერთმანეთს ესროდნენ «სამშობლოს დასაცავად».

მართალი იყო რ. ლუქსემბურგი, რომელიც დიდი ხანია წერდა, რომ კაუცკის ახასიათებს «თეორეტიკოსის პირმოთნეობა» — ლაქიობა, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ლაქიობა პარტიის უმრავლესობის წინაშე, ოპორტუნიზმის წინაშე. პროლეტარიატის ი დ ე უ რ ი დამოუკიდებლობისათვის ისე მავნე და საშიში ახლა ქვეყნად ა რ ა ფ ე რ ი ა, როგორც ეს ბილწი თვითკმაყოფილება და საზიზღარი ფარისევლობა კაუცკისა, რომელსაც სურს ყველაფერი მიჩქმალოს და მიაფუჩეჩოს, დააბშვიდოს სოფიზმებითა და ვითომდა-სწავლული მრავალმეტყველებით მუშათა გაღვიძებული სინდისი. თუ კაუცკი ამას შეძლებს, იგი გახდება მთავარი წარმომადგენელი ბურჟუაზიული სიდამპლისა მუშათა მოძრაობაში. ტრულსტრა კი მას მხარს დაუჭერს — ო, ეს ტრულსტრა «კეთილ» ბებრუცუნა კაუცკიზე უფრო მარჯვე ოპორტუნისტია! რა მანევრებს აკეთებდა ეს ტრულსტრა, რომ ჰოლანდიის პარტიიდან გამოეგდო პატიოსანი ადამიანები და მარქსისტები (გორტერი, პანეკუკი, ვაინკოპი)!! არასოდეს არ დამავიწყდება, როლანდ-ჰოლსტმა, რომელიც ერთხელ ჩემთან იყო პარიზში, როგორ თქვა ტრულსტრაზე: «ein hundsgemeiner Kerl» (gredin, ფრანგულად) *... ვწუხვარ, რომ მარგალიტს აბნევდით მის წინაშე... ტრულსტრა + ოპორტუნისტი არამზადები გერმანელ სოციალდემოკრატთა Vorstand-ში ** ახლა საზიზღარ ინტრიგებს ეწევიან, რომ ყველაფერი მიაფუჩეჩონ. ფრთხილად იყავით, ამ ინტრიგის უნებლიე ჰსხვერპლი არ აღმოჩნდეთ!! უცაბედად ხელი არ შეუწყოთ მუშათა მოძრაობის ამ ყველაზე უარეს მტრებს, რომლებიც კრიზისის ეპოქაში «თეორიულად» იცავენ შოვინიზმს და უბადრუკ, საძაგელ დიპლომატიას ეწევიან. ერთადერთი, ვინც მუშებს მართალი უთხრა — თუმცა არა სრული ხმით, და ზოგჯერ არა სავსებით მოხდენილად — ეს იყო პანეკუკი, რომლის სტატიაც გამოგიგზავნეთ (თარგმანი გ დაუგზავნეთ რუსეთელებს). მისი სიტყვები, რომ თუ ახლა

* — საზიზღარი, არამზადა. რ ე დ.

** — გამგეობაში, ან ცენტრალურ კომიტეტში. რ ე დ.

ოპორტუნისტებისა და კაუცკის მიერ მოკლული ინტერნაციონალის «ბელადები» შეიკრიბებიან და დაიწყებენ ბზარების «შეწებებას», — ამას «არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო», — ეს სიტყვები **ერთადერთი** სოციალისტური სიტყვაა. ეს **სიმართლეა**. მწარეა, მაგრამ სიმართლეა. მუშებს კი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროებათ სიმართლე, სრული სიმართლე, და არა ბილწი დიპლომატობა, არა «შეწებების» თამაში, არა ბოროტების მიჩქმალვა კაუჩუკის რეზოლუციებით.

ჩემთვის ნათელია, რომ კაუცკი, ტრულსტრა პლუს ვანდერველდი (შეიძლება პლუს $x + y + z$ ან მინუს x, y, z, ამას მნიშვნელობა არა აქვს) ახლა ინტრიგას ეწევიან ასეთი მიზნებით. საერთაშორისო ბიუროს გადატანა ჰოლანდიაში ასეთივე ინტრიგაა კვლავ იმავე არამზადებისა.

მე განზე დავიჭერ თავს მათგანაც და მისგანაც, — ამას ვურჩევ ჩვენს წარმომადგენელს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში (Litvinoff, 76. High Street. London. N. W.) — და ამას გირჩევთ თქვენც.

«ნუ წახვალთ უსჯულოთა ბჭობაზე». ნუ დაუჯერებთ ტრულსტრას, კაუცკის დ სხვ. და სხვ. და ა. შ. და ა. შ., არამედ დაუყენეთ მათ მოკლე ულტიმატუმი: აი ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი (თეზისების გადამუშავება; დაბეჭდილს გამოგიგზავნით ამ დღეებში) ომის შესახებ: გინდათ დაბეჭდოთ თქვენს ენაზე?? არა? მაშინ adieu *, გზა სხვადასხვა გვქონია!

თუ კოლონტაი ჩვენს ძმარეზეა, დაგვეხმაროს, რომ «გავუშვათ» ეს მანიფესტი სხვა ენებზე. გაიცანით Höglund-ი **. ახალგაზრდა შვედი სოციალ-დემოკრატი, «ოპოზიციის» ბელადი, წაუკითხეთ მას ჩვენი მანიფესტი (ჩემზე მიუთითეთ: ერთმანეთი კოპენჰაგენში გავიცანით). სცადეთ, ხომ არ იქნება აქ **ი დ ე უ რ ი** სიახლოვე (იგი მხოლოდ ვულუბრყვილო, სანტიმენტალური ანტიმილიტარისტია: აი სწორედ ამ ადამიანებს

---

* — მშვიდობით. რ ე დ.

** — ჰეგლუნდი. რ ე დ.

უნდა უთხრათ — ან სამოქალაქო ომის ლოზუნგი, ან ოპორტუნისტებთან და შოვინისტებთან დარჩით-თქო).

რუსეთში ახლა მთავარი ამოცანაა ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისა და კაუცკისათვის იდეური წინააღმდეგობის მოწყობა. ეს არის მთავარი. მარტოვი აქ მტრის მხარეზე ხომ არ გადავა??.... ვშიშობ!..

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

79

ა. შლიაპნიკოვს

Für Alexander *

ძვირფასო მეგობარო! ორი-სამი დღის შემდეგ მიიღებთ ჩვენს ცენტრალურ ორგანოს, და მაშინ, იმედი მაქვს, ჩვენი შეხედულებანი უკვე სავსებით «შეთანხმებული» იქნება. გულახდილად რომ ვთქვა, ვშიშობ, თქვენი ზოგიერთი ნაბიჯი იმ აზრით არ განმარტონ, თითქოს თქვენ გვერდს უვლით ჩვენს კანონიერ წარმომადგენელს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში — Mr. Litvinoff. 76. High Street. Hampstead. London. N. W. რა თქმა უნდა, ასეთი განმარტება ბოროტგანზრახული გადასხვაფერება იქნებოდა, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით.

ტრულსტრამ მოგატყუათ ან შეცდომაში შეგიყვანათ. იგი უკიდურესი ოპორტუნისტია და ყველაზე ბილწი ოპორტუნისტების — გერმანელი სოციალ-დემოკრატების (კაუცკის მეთაურობით, რომელიც ბილწად იცავს ოპორტუნისტებს) ყველაზე ბილწი ცენტრისა და მათი უბილწესი ფორშტანდის ინტრიგების აგენტია. ასეთი არამზადების ინიციატივით მოწყობილ არავითარ კონფერენციაზე ჩვენ არ წავალთ, მათი ინიციატივით გადადგმულ არავითარ ნაბიჯს არ გავყვებით, არამედ ჩამოვეცლებით: თვითონ შეირცხვინონ თავი! რაკი

* — ალექსანდრესათვის. რ ე დ.

ერთხელ შეირცხვინეს თავი, კვლავაც შერცხვებიან. ფრანგებმა უკვე უარყვეს მათი ინტრიგები, ხოლო უფრანგებოდ შესაძლებელია ბინძური არამზადების მხოლოდ ბინძური კომედია.

ლარინი, როგორც ყველაფრით ჩანს, უღმერთოდ გატყუებთ. თუ იგი «ნდობას» უცხადებს გერმანელთა ფორშტანდს, მე მესმის, ტროელსტრამ რომ ეს «ჩაწერა». რატომაც არ ჩაწერდა!! ეს ნდობაა ყველაზე საზიზღარი ოპორტუნისტებისადმი!! ღვთის გულისათვის, გაასწორეთ, რის გასწორებაც შეიძლება, და არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არავითარი ნდობა არ გამოუცხადოთ არავის ოპორტუნისტთაგან, არც გერმანელებს, არც ფრანგებს. პანეკუკი მართალია: II ინტერნაციონალი საბოლოოდ მოკვდა. იგი მოკლეს ოპორტუნისტებმა (და არა «პარლამენტარიზმმა», როგორც ეს მოუხერხებელმა პანეკუკმა თქვა). უთანხმოების «შეკოწიწება» მხოლოდ უბადრუკი ინტრიგაა, და **ჩვენ** მასში **არავითარ**, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, მონაწილეობას არ უნდა ვიღებდეთ.

ვეცდებით მალე გამოგიგზავნოთ ორიოდე ფურცელი. ნუ წახვალთ, მოითმინეთ. მოაგვარეთ ყველაფერი, რის შესახებაც გწერდით, დაელოდეთ იმას, როცა ცენტრალური ორგანო რუსეთში იქნება, დაელოდეთ იმას, როცა რუს კოლეგებთანაც (კამ.-თანაც და სხვებთან.ც) **სავსებით** შევთანხმდებით, **მას** შემდეგ, რაც ისინი ცენტრალურ ორგანოს მიიღებენ. მანამდე, სანამ ყველაფერი ეს გაკეთდებოდეს, თქვენს წასვლაზე ფიქრიც არ შეიძლება. ჩვენი გადასვლა ჯერჯერობით ნაადრევია[123]. სხვათა შორის გამოარკვიეთ, შეიძლება თუ არა სოციალ-დემოკრატიული (ჩვენი ცენტრალური ორგანოსთანა) გამოცემების ბეჭდვა შვეიცარიაში.

საბრალო გორკი! რა სამწუხაროა, რომ თავი შეირცხვინა, როცა ხელი მოაწერა უბადრუკი რუსი ლიბერალების ბილწ ქაღალდს[124]. მათთანვე დაექანა მეშკოვსკიც, პლეხანოვიც და სხვ. (მათ შორის მასლოვი და სმირნოვი).

აუცილებლად იშოვეთ და გადაიკითხეთ (ან სთხოვეთ გითარგმნონ) კაუცკის «Weg zur Macht» * — რას წერდა იგი იქ ჩვენი დროის რევოლუციაზე!!

ახლა კიდევ რა საძაგლობა ჩაიდინა, ყოველივე ეს რომ უარყო!

ახლა ჩვენი საქმეა ულმობელი ომი შოვინიზმთან, **რომელ**საც ფარავენ (ლაყბობით «სამშობლოს» დაცვის შესახებ და სხვ.), განსაკუთრებით პლეხანოვის, გედის, **კაუცკის (ყველაზე ბილწი**, ფარისეველი!) და კომპანიის «სოციალისტურ შოვინიზმთან». ვიცავთ რა რევოლუციას (ბურჟუაზიულს და სოციალისტურს დასავლეთში), ჩვენ მას ვქადაგებთ ომშიც. ჩვენი ლოზუნგია სამოქალაქო ომი. წმინდა წყლის სოფიზმებია ყოველივე ის, თითქოს ეს ლოზუნგი შეუფერებელია და სხვ. და ა. შ.. ჩვენ მას ვერ «გავაკეთებთ», მაგრამ ვქადაგებთ მას და ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ყოველ ქვეყანაში თავიდათავია ბრძოლა მ ო ც ე მ უ ლ ი ქვეყნის შოვინიზმთან, სიძულვილის აღძვრა თ ა ვ ი ს ი მთავრობისადმი, მოწოდება (განმეორებითი, მტკიცე, მრავალგზისი, განუწყვეტელი) მეომარი ქვეყნების მუშების სოლიდარობისაკენ. ბურჟუაზიის წინააღმდეგ მათი ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი სამოქალაქო ომისაკენ.

ვერავინ ვერ გაბედავს თ ა ვ დ ე ბ ო ბ ა ს, თუ პრაქტიკულად **როდის** და რამდენად «გამართლდება» ეს ქადაგება: **საქმე ეს კი არ არის** (მხოლოდ ბილწი სოფისტები ამბობენ უარს რევოლუციურ აგიტაციაზე იმის გამო, რომ ცნობილი არ არის, თუ **როდის** იქნება რევოლუცია). საქმეა მუშაობის ასეული **ხაზი. მხოლოდ** ეს მუშაობაა სოციალისტური, არა შოვინისტური. და **მარტო** იგი მოიტანს სოციალისტურ ნაყოფს, რევოლუციურ ნაყოფს.

მშვიდობის ლოზუნგი ახლა უაზრო და მცდარია (გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ თითქმის ყველა ბელადის — თვით გედის, პლეხანოვის, ვანდერველდის, კაუცკის **ღალატის შემდეგ**). ნამდვილად იგი მეშჩანური წუწუნი იქნებოდა. ხოლო ჩვენ

---

* — «გზა ძალაუფლებისაკენ». რ ე დ.

სამხედრო ნიადაგზეც რევოლუციონერები უნდა დავრჩეთ. და ჯარშიც ვქადაგებდეთ კლასობრივ ბრძოლას.

ხელს გართმევთ. უფრო ხშირად მოიწერეთ.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წ. 31 ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

80

ᲒᲠᲐᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

მ. ტვერის ბულვარი, ს. **15.**

17. XI.

დიდად პატივცემულო კოლეგა!

დღეს დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ ლექსიკონისათვის სტატია მარქსისა და მარქსიზმის შესახებ[125]. მე ვერ განვსჯი, რამდენად შევძელი გადამეჭრა ძნელი ამოცანა — 75 ათასი თუ დაახლოებით ამდენი ასოს ჩარჩოებში ჩამეტია გადმოცემა. შევნიშნავ, რომ მიხდებოდა ლიტერატურის გაძლიერებით შეკუმშვა (ულტიმატურად 15 000 იყო), და უნდა შემერჩია რაც ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲐ სხვადასხვა მიმართულებაში (მეტ ადგილს, რა თქმა უნდა, მარქსს ᲕᲣᲗᲛᲝᲑᲓᲘ). ძნელი იყო იმის გადაწყვეტა, რომ ხელი ამეღო მარქსიდან ბევრი ᲪᲘᲢᲐᲢᲘᲡ მოყვანაზე. ჩემი აზრით, ლექსიკონისათვის ციტატებს დიდი მნიშვნელობა აქვს (განსაკუთრებით მარქსიზმის ყველაზე უფრო სადავო საკითხებზე, რომლებსაც პირველ რიგში ფილოსოფია და აგრარული საკითხი ეკუთვნის). ლექსიკონის მკითხველებს ხელთ უნდა ჰქონდეთ მარქსის ᲧᲕᲔᲚᲐ უმნიშვნელოვანესი განცხადება, უამისოდ ლექსიკონის მიზანი მიღწეული არ იქნება: მე ასე ვფიქრობდი. აგრეთვე არ ვიცი, დაგაკმაყოფილებთ თუ არა ცენზურული მხარე: თუ არა, იქნებ მოგვეხერხებინა შევთანხმებულიყავით ზოგიერთი ადგილის ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲖᲔ ცენზურულობის თვალსაზრისით. მე, ჩემი მხრივ, რადგან რედაქციის ულტიმატური მოთხოვნები არ მქონდა, ვერ გადავწყვიტე ცენზურულად «გამესწორებინა» მთელი რიგი ციტატები და მარქსიზმის დებულებანი.

იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით დაუყოვნებლივ შემატყობინოთ, თუნდაც ღია ბარათით, რომ სტატია მიიღეთ. ძალიან გთხოვთ ჩემი კუთვნილი ჰონორარი რაც შეიძლება მალე გამომიგზავნოთ მ. ტ. ელიზაროვის მისამართით.

ჩემი მისამართია: Herrn Wladimir Uljanow. Distelweg. 11. Bern.

ერწმუნეთ ჩემს მზადყოფნას სამსახურისათვის.

ვ. ი ლ ი ნ ი

P. S. ჩემი ბიბლიოთეკა, ომის გამო, გალიციაში ჩარჩა, და მე ვერ მოვნახე ზოგიერთი ციტატი მარქსის თხზულებათა რ უ ს უ ლ ი თარგმანების მიხედვით. თუ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ, იქნებ შეძლოთ დაავალოთ ვისმე მოსკოვში? ამასთანავე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევდით გამოგეგზავნათ ჩემთვის სტატიის კორექტურა და გეცნობებინათ, შესაძლებელია თუ არა ნაწილობრივი შესწორებები კორექტურაში? თუ კორექტურის გამოგზავნა შეუძლებელია, იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით გამომიგზავნოთ ანაბეჭდი.

დაწერილია 1914 წ. 17 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

81

ა. შლიაპნიკოვს

28. XI. 1914.

ძვირფასო მეგობარო! დღეს ბრანტინგისაგან ძივიღე დეპეშა, რომ «გაზეთები ადასტურებენ ხუთი დეპუტატის დაპატიმრებასა»[126]. ვშიშობ, რომ ახლა აღარ შეიძლება დავეჭვდეთ დაპატიმრების ფაქტში!

საშინელებაა. მთავრობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა შური იძიოს რსდმ პარტიის ფრაქციაზე და არაფრის წინაშე არ შეჩერდება. ყველაზე უარესს უნდა ველოდეთ: დოკუმენტების ფალსიფიკაციას, სიყალბის ჩადენას, «მამხილებელი საბუთების» მიგდებას, ცრუმოწმეობას, კარდახშულში გასამართლებას და სხვ. და სხვ.

ვფიქრობ, ასეთი ხერხები რომ არა, მთავრობა ვერც მოახერხებდა მსჯავრის დადებას.

არ შეიძლება შეეცადოთ და გაიგოთ დაპატიმრებული 6 კაცის გვარები?

კ. თუ გადარჩა?[127]

ყოველ შემთხვევაში ჩვენი პარტიის მუშაობა ახლა 100-ჯერ უფრო ძნელი გახდა. მაგრამ მაინც ვიმუშავებთ! «პრავდამ» ათასობით აღზარდა შეგნებული მუშები, რომელთაგან ყველა სიძნელის მიუხედავად კვლავ შეირჩევა ხელმძღვანელთა კოლექტივი — პარტიის რუსეთის ცენტრალური კომიტეტი. ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თქვენ სტოკჰოლმში (ან სტოკჰოლმის ახლოს) დარჩეთ და მთელი ძალ-ღონე მოანდომოთ პიტერთან კავშირის გაბმას. (მომწერეთ, მიიღეთ თუ არა სანსხად ფული: წინა წერილში

თქვენთვის ბარათი ჩავდე ამის შესახებ. თუ არ მიგიღიათ და ვერსად ვერ იშოვნით, ჩვენ, ალბათ, შევძლებთ ცოტა რამ გამოგიგზავნოთ; მოიწერეთ დაწვრილებით.)

ციურიხში დაპირებული არიან, რომ დეკემბრიდან გამოვა გაზეთი «ოტკლიკი» (ალბათ, ლიკვიდატორები + ტროცკი). პარიზში დაიწყო ს.-რ.-ების ყოველდღიური «მისლის» **გამოსვლა** (ყ ო ვ ლ ა დ უ ხ ა მ ს ი ფრაზიორობა და «მემარცხენეობის» თამაშია). გაზეთების სიუხვე, ფრაზები ინტელიგენტებისა, რომლებიც დღეს რრრევოლუციონერები არიან, ხვალ...? (ხვალ ისინი შ ე უ რ ი გ დ ე ბ ი ა ნ კაუცკის, პლეხანოვს, ლიკვიდატორულ «პატრიოტულ-შოვინისტურ-ოპორტუნისტულ ინტელიგენციას» რუსეთში)...

რუსეთის მ უ შ ა თ ა კლასში მათ არაფერი **არა ჰქონიათ** და არაფერი არა აქვთ. მათ იოტისოდენადაც არ შეიძლება დავუჯეროთ.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ **მხნეობას.** მძიმე დროებაა, მაგრამ... გავუძლებთ!

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

82

ა. მ. კოლონტაის

პატივცემულო ამხანაგო! მივიღე თქვენი წერილი და ინგლისური დამატება.

დიდად გმადლობთ!

გიგზავნით ორივე ნაწერს, რომლებზეც თქვენ მწერთ. მაცნობეთ, — თუ თარგმნით და გაგზავნით, — რა ბედი ეწევათ.

ამბობენ, რომ «Hamburger Echo»-ში* იყო მოწინავე «Über unseren Verrath an die Internationale»** და იქ ნათქვამია, გერმანელები (ე. ი. გერმანელი ოპორტუნისტი არამზადები) — ყველა და მათ ემხრობიან პლეხანოვი, მასლოვი და ჩხეიძეო.

მართალია თუ არა? და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

სალამი და საუკეთესო სურვილები.

ვ. ილინი

P. S. სთხოვეთ ალექსანდრეს გაეცნოს კობეცკის, Kobezky. Kapelwej. 51 [4]. Kjobenhavn VI, და გამოართვას მას ჩემი წერილი მისდამი (ალექსანდრესადმი).

უსარგებლოა მშვიდობის შესახებ სათნო სურვილების შემცველი კეთილი პროგრამის წამოყენება, თუ ამავე დროს და პირველ ადგილზე არ წამოვაყენებთ არალეგალური ორგანიზაციისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის სამოქალაქო ომის ქადაგებას.

ნ. ლენინი

---

* — «ჰამბურგის გამოძახილი». რედ.

** — «ინტერნაციონალისადმი ჩვენი ღალატის შესახებ». რედ.

ევროპის ომმა საერთაშორისო სოციალიზმს ის დიდი სარგებლობა მოუტანა, რომ თვალნათლივ ცხადყო ოპორტუნიზმის მთელი სიდამპლე, სისაძაგლე და სიმდაბლე, და ამით ჩინებული ბიძგი მისცა მუშათა მოძრაობის გაწმენდას მშვიდობიანი ეპოქის ათეულ წლობით დაგროვებული ნაგვისაგან.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წ. დეკემბრის დამლეკს
გაგზავნილია ბერნიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1915 წ.

83

ბასკს [128]

ტრიასათვის 12. I. 1915-ს გადაცემული პასუხის პირი.

პატივცემულო მოქალაქევ!

ტრიამ გადმომცა თქვენი 28. XII. 1914-ის წერილი.

თქვენ აშკარად სცდებით: ჩვენ ვდგავართ ინტერნაციონალური რევოლუციური ს.-დ-ტიის თვალსაზრისზე, თქვენ კი — ნაციონალურ-ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე. ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა (და განსაკუთრებით მეომარი) ქვეყნების მუშათა დაახლოებისათვის, თქვენ კი, როგორც ჩანს, უახლოვდებით «საკუთარი» ერის ბურჟუაზიასა და მთავრობას. ჩვენი გზები სხვადასხვაა.

ნ. ლენინი

ბერნი. 12. I. 1915.
Bern. Ulyanow. Distelweg. 11.

გაგზავნილია კონსტანტინოპოლში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

84

ინესა არმანდს

Dear friend! * ძალიან გირჩევთ ბროშურის გეგმა რაც შეიძლება დაწვრილებით დაწეროთ [129]. უამისოდ ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია.

ერთი აზრი ახლავე უნდა გამოვთქვა:

§ 3 — «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა (ქალთა)» გირჩევთ სულ ამოაგდოთ.

ნამდვილად ეს პროლეტარული კი არა, ბურჟუაზიული მოთხოვნა გამოდის.

მართლაც, რას გულისხმობთ ამ მოთხოვნით? რა შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვიგულისხმოთ ამ მოთხოვნით?

1. სიყვარულის საქმეში თავისუფლება მატერიალური (ფინანსური) ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს ა გ ა ნ?

2. აგრეთვე მატერიალური ზ რ უ ნ ვ ი ს ა გ ა ნ?

3. რელიგიური ცრურწმენებისაგან?

4. მამის მიერ აკრძალვისაგან etc.?

5. «საზოგადოების» ცრურწმენებისაგან?

6. წრის (გლეხური თუ მეშჩანური თუ ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული წრის) ვიწრო გარემოსაგან?

7. კანონის, სასამართლოს და პოლიციის ბორკილებისაგან?

8. სიყვარულში სერიოზულისაგან?

9. ბავშვების შობისაგან?

10. ადიულტერის თავისუფლება? და სხვ.

მე ბევრი (რა თქმა უნდა, არა ყველა) ელფერი ჩამოვთვალე. თქვენ, რასაკვირველია, გულისხმობთ არა №№ 8 — 10, არამედ ან №№ 1 — 7-ს ანდა №№ 1 — 7-ის მ ს გ ა ვ ს ს.

---

* — ძვირფასო მეგობარო! რ ე დ.

მაგრამ №№ 1 — 7-სათვის სხვა აღნიშვნა უნდა ამოირჩიოთ, რადგან სიყვარულის თავისუფლება ზუსტად არ გამოხატავს ამ აზრს.

ხოლო ხალხი, ბროშურის მკითხველები «სიყვარულის თავისუფლებად» აუცილებლად იგულისხმებენ საერთოდ №№ 8 — 10-ის მსგავს რამეს, თქვენი სურვილის წინააღმდეგაც კი.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე ყბედ, მოხმაურე და «ზემოთსაჩინარ» კლასებს «სიყვარულის თავისუფლებად» ესმით №№ 8 — 10, სწორედ ამიტომ ეს არის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია №№ 1 — 2, ხოლო შემდეგ №№ 1 — 7, ეს კი, უნდა ითქვას, «სიყვარულის თავისუფლება» როდია.

საქმე ის კი არ არის, თუ ამით სუბიექტურად რა «გსურთ იგულისხმოთ». საქმეა სიყვარულის საქმეებში კლასობრივი ურთიერთობის ობიექტური ლოგიკა.

Friendly shake hands!

W. I. *

დაწერილია 1915 წ. 17 იანვარს ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 13

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — მეგობრულად გართმევთ ხელს! ვ. ი. ლენინ.

85

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი, პასუხი რომ დაგიგვიანეთ: გუშინ მინდოდა, მაგრამ დამაბრკოლეს და დრო აღარ დამრჩა წერილს ჩავჯდომოდი.

ბროშურის თქვენი გეგმის შესახებ ჩემი აზრი იყო, რომ «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა» გაურკვეველია და — თქვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად (ამას ხაზს ვუსვამდი და ვამბობდი: საქმეა ობიექტური, კლასობრივი ურთიერთობა და არა თქვენი სუბიექტური სურვილები) — თანამედროვე საზოგადოებრივ გარემოში იქნება ბურჟუაზიული და არა პროლეტარული მოთხოვნა.

თქვენ თანახმა არა ხართ.

კარგი. საქმე ერთხელ კიდევ განვიხილოთ.

გაურკვეველი რომ გარკვეული გამეხადა, მე ჩამოვთვალე ათიოდე შ ე ს ა ძ ლ ო (და კლასობრივი შუღლის ვითარებაში აუცილებელი) სხვადასხვა განმარტება, ამასთან აღვნიშნე, რომ 1 — 7 განმარტებანი, ჩემი აზრით, ტიპიური ან დამახასიათებელი იქნება პროლეტარი ქალებისათვის, ხოლო 8 — 10 ბურჟუა ქალებისათვის.

თუ ამის უარყოფას დაიწყებთ, უნდა ცხადყოთ (1) რომ ეს განმარტებანი სწორი არ არის (მაშინ უნდა შეცვალოთ ისინი სხვა განმარტებებით ან აღნიშნოთ ისინი, რომლებიც სწორი არ არის) ან (2) სრული არ არის (მაშინ დაუმატოთ რაც აკლია) ან (3) ისე არ იყოფა პროლეტარულ და ბურჟუაზიულ განმარტებებად.

არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს თქვენ არ აკეთებთ.

1 — 7 პუნქტებს თქვენ სულაც არ ეხებით. მაშასადამე, ცნობთ მათს (საერთოდ) სისწორეს? (ის, რასაც თქვენ იწერებით პროლეტარი ქალების პროსტიტუციაზე და მათს

დამოკიდებულებაზე: «არას თქმის შეუძლებლობაზე» სავსებით შეესაბამება 1 — 7 პპ-ს. აქ ჩვენს შორის უთანხმოებას ვერაფერში ვერ დავინახავთ.)

თქვენ სადავოდ არა ხდით იმასაც, რომ ეს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი განმარტებაა.

რჩება 8 — 10 პპ.

ისინი თქვენ «ცოტა არ გესმით» და «მედავებით»: «არ მესმის, როგორ **შ ე ი ძ ლ ე ბ ა** (სწორედ ასე სწერია!) **გავაიგივეოთ** (!!??) სიყვარულის თავისუფლება» 10 პ-თან...

გამოდის, რომ მ ე «ვაიგივებ», თქვენ კი მ ე დამიპირეთ გაცამტვერება და შემუსვრა?

როგორ? რა?

ბურჟუა ქალები სიყვარულის თავისუფლებად გულისხმობენ 8 — 10 პპ. — აი ჩემი თეზისი.

თქვენ ამას უარყოფთ? მითხარით, ბ უ რ ჟ უ ა ქალები რას გულისხმობენ სიყვარულის თავისუფლებად?

თქვენ ამას არ ამბობთ. ნუთუ ლიტერატურა და ცხოვრება არ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რომ ბურჟუა ქალები სწორედ ამას გულისხმობენ? სავსებით ამტკიცებენ! თქვენ მდუმარედ ცნობთ ამას.

რაკი ასე არის, აქ საქმეა მათი კლასობრივი მდგომარეობა, და **მათი** «უარყოფა» არა მგონია შეიძლებოდეს და არა მგონია გულუბრყვილობა არ იყოს.

საჭიროა გარკვეულად ჩ ა მ ო ვ ა შ ო რ ო თ მათ, დ ა ვ უ პ ი რ დ ა პ ი რ ო თ მათ პროლეტარული თვალსაზრისი. უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ფაქტი, რომ უამისოდ **ისინი** სათანადო ადგილებს ამოგლეჯენ თქვენი ბროშურიდან, თავისებურად განმარტავენ მათ, თქვენს ბროშურას თავიანთთვის გამოსადეგად გახდიან, მუშების წინაშე დაამახინჯებენ თქვენს აზრებს, «შ ე ა შ ფ ო თ ე ბ ე ნ» მუშებს (ჩაუნერგავენ იმის შიშს, უ ც ხ ო იდეები ხომ არ მიგაქვთ თ ქ ვ ე ნ მათთან). ხოლო მათ ხელში აუარებელი გაზეთია და სხვ.

თქვენ კი სრულებით დაგვიწყნიათ ობიექტური და კლასობრივი თვალსაზრისი და «იერიშზე» გადმოდიხართ

ჩემ წინაალმდეგ, თითქოს მე «ვაიგივებდე» სიყვარულის თავისუფლებას 8 — 10 პპ-თან... საოცარია, ღმერთმანი, საოცარი...

«წუთიერი ვნება და კავშირიც კი» «უფრო პოეტური და წმინდაა», ვიდრე (უხამსი) ცოლ-ქმრის «უსიყვარულო კოცნა». თქვენ ასე წერთ. და ასე აპირებთ დაწეროთ ბროშურაში. ჩინებულია.

ლოგიკური დაპირდაპირებაა თუ არა? უხამსი ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნა ბ ი წ ი ე რ ი ა. გეთანხმებით. მას უნდა დაუპირდაპიროთ... რა?... თითქოს: კოცნა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ? თქვენ კი უპირდაპირებთ «წუთიერ» (რატომ წუთიერ?) «ვნებას» (რატომ სიყვარულს არა?) — ლოგიკის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს უსიყვარულო (წუთიერი) კოცნა უპირდაპირდება ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნას... უცნაურია. პოპულარული ბროშურისათვის უმჯობესი ხომ არ იქნება მეშჩანურ-ინტელიგენტურ-გლეხური (ვგონებ, ჩემი 6 პ. თუ 5 პ.) უსიყვარულო უხამსი და ბიწიერი ქორწინება დაუპირდაპირდეს სიყვარულზე აგებულ პროლეტარულ სამოქალაქო ქორწინებას (დაემატოს, **თუ მაინცადამაინც აუცილებლად გინდათ**, რომ წუთიერი კავშირი-ვნებაც შეიძლება ბიწიერიც იყოს და წმინდაც). თქვენ გამოგივიდათ არა კლასობრივი **ტიპების** დაპირდაპირება, არამედ «კაზუსის» მსგავსი რამ, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ განა საქმე კაზუსებია? თუ ავიღებთ თემას: კაზუსი, ინდივიდუალური შემთხვევა ბიწიერი კოცნისა ცოლ-ქმრობაში და წმინდა კოცნისა წუთიერი კავშირის დროს, — ეს თემა უნდა დამუშავდეს რომანში (ვინაიდან აქ მ თ ა ვ ა რ ი ა **ინდივიდუალური** გარემოება, **მოცემული** ტიპების **ხასიათებისა** და ფსიქიკის ანალიზი). ბროშურაში კი?

თქვენ ძალიან კარგად გაგიგიათ ჩემი აზრი შეუფერებელი ციტატის შესახებ კეიდან[130], რომ ამბობთ, «უაზრობაა» ვიკისროთ როლი «სიყვარულის პროფესორებისა». სწორედ რომ ასეა. აბა რა, ვიკისროთ როლი წუთიერი სიყვარულის **პროფესორებისა** და სხვ.?

სწორე მოგახსენოთ, მე სულაც არ მინდა პოლემიკა. ხალისით გადავაგდებდი ამ ჩემს წერილს და გადავდებდი საქმეს საუბრამდე. მაგრამ მინდა, რომ ბროშურა კარგი იყოს, რომ არავის ა რ შ ე ე ძ ლ ო ს ამოგლიჯოს იქიდან თქვენთვის არასასიამოვნო ფრაზები (ზოგჯერ საკმარისია ე რ თ ი ფრაზა, რომ ყველაფერი გააფუჭოს...), ა რ შ ე ე ძ ლ ო ს გ ა დ ა ასხვაფეროს თქვენი აზრები. დარწმუნებული ვარ, რომ აქაც «ნების წინააღმდეგ» დაწერეთ, და ამ წერილს მხოლოდ იმიტომ გიგზავნით, რომ წერილებთან დაკავშირებით იქნებ უფრო დაწვრილებით გაარჩევთ გეგმას, ვიდრე საუბრების გამო, ხოლო გეგმა ხომ მეტად მნიშვნელოვანი რამ არის.

ხომ არა გყავთ ნაცნობი ფრანგი სოციალისტი ქალი? გადაუთარგმნეთ მას (ვითომდა ინგლისურიდან) ჩემი 1 — 10 პპ. და თქვენი შენიშვნები «წუთიერის» შესახებ და სხვ. და დააკვირდით მას, მოუსმინეთ ყურადღებით: პატარა ცდა, რას იტყვიან გ ა რ ე შ ე ადამიანები, როგორია მათი შთაბეჭდილება, რას მოელოდნენ ბროშურისაგან?

ხელს გართმევთ და გისურვებთ ნაკლებად გაწუხებდეთ თავის ტკივილი და მალე გამოჯანმრთელდეთ.

ვ. უ.

P. S. ბოჟის [131] შესახებ არ ვიცი... შესაძლოა, რომ my friend-ი * გადაჭარბებულ რამეს დაჰპირდა... მაგრამ რას? **არ** ვიცი. საქმე გადადებულია, ე. ი. კონფლიქტი გადადებულია, აღმოფხვრილი **ა რ ა ა.** უნდა ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ!! მოვახერხებთ თუ ვერა გადავთქმევინოთ? **თქვენი აზრი** როგორია?

დაწერილია 1915 წ. 24 იანვარს ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 13

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ჩემი მეგობარი. რ ე დ.

86

ა. ულიანიკოვს

11. II.

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი ორი წერილი, 4 და 5 თებერვლისა. დიდ მადლობას მოგახსენებთ. «სოციალ-დემოკრატის» გამოგზავნის შესახებ თქვენი წერილი წასაკითხავად მივეცით საექსპედიციო კომისიის მდივანს. ხვალ პირადად გავახსენებ მას, და იმედი მაქვს, რომ ყველაფერს გააკეთებენ.

პარიზელები დაპირებული იყვნენ, რომ გამოგიგზავნიდნენ პლეხანოვის ბროშურას, და ძალიან გვიკვირს, რომ არ მიგიღიათ. ერთხელ კიდევ შევუკვეთავთ და ვიშოვნით, რომ ჩვენ თვითონ გამოგიგზავნოთ.

აქ ორი პლეხანოველი იყო, რომელთა შესახებაც თქვენ იწერებოდით. ვემასლაათეთ. ყურადღება მიაქციეთ თეთრს (ისინი იმავე გზით მოდიან უკან) — პლეხანოვმა მას, როგორც ჩანს, უფრო მეტად შეაძულა თავი, ვიდრე შავს. უკანასკნელი, ვგონებ, გამოუსწორებელი ყბედია. პირველი კი სულ ჩუმად არის, და ვერ გაუგებ, აზრად რა აქვს.

«ნაშე სლოვოდან» (რომელიც პარიზში გამოდის «გოლოსის» ნაცვლად) დღეს მივიღეთ წერილი «ოფიციალური სოციალ-პატრიოტიზმის» წინააღმდეგ საერთო პროტესტის გეგმით (de la Triple Entente სოციალისტთა ლონდონის კონფერენციის პროექტის გამო [132]). იქნება თუ არა ეს კონფერენცია, არ ვიცით; ამ დღეებში მივიღეთ ლიტვინოვის მიერ გამოგზავნილი წერილი ჰიუისმანსისა, რომელიც რაღაც უცნაურს იწყებს, 20 თებერვლისათვის იწვევს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს ჰააგაში,

ხოლო 20 — 25 თებერვალს იქვე აწყობს პირად მოლაპარაკებას (!!) ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დელეგატებთან!! საოცარია!! ფრანკოფილურად პატრიოტული რამისათვის რაღაც მზადებას წააგავს (ჰო: თქვენ სავსებით მართალი ხართ. რომ ახლა ძალიან ბევრია «ფილი», ხოლო ცოტაა სოციალისტი. ჩვენთვის ფრანკოფილებიც და გერმანოფილებიც ერთნაირად = პატრიოტები არიან, ბურჟუები ან მათი ლაქიები, და არა სოციალისტები. მაგალ., ბუნდელები მეტწილად გერმანოფილები არიან და რუსეთის დამარცხება უხარიათ. მაგრამ რით არიან ისინი პლეხანოვზე უკეთესი? ორივე ოპორტუნისტია, სოციალ-შოვინისტია, ოღონდ სხვადასხვა ფერისა. ასეთივეა აქსელროდიც).

«ნაშე სლოვოს» ვუპასუხეთ, რომ მოხარული ვართ მისი წინადადებისა, და გავუგზავნეთ დეკლარაციის ჩვენი პროექტი [133]. მათთან შეთანხმების იმედი მცირეა, ვინაიდან აქსელროდი, ამბობენ, პარიზშია, ხოლო აქსელროდი (იხ. «გოლოსი» №№ 86 და 87 და «სოციალ-დემოკრატი» № 37) სოციალ-შოვინისტია, რომელსაც სურს სოციალ-შოვინიზმის ნიადაგზე შეარიგოს ფრანკოფილები და გერმანოფილები. ვნახოთ, რა უფრო ძვირფასია «ნაშე სლოვოსათვის» — ანტიშოვინიზმი თუ აქსელროდის მეგობრობა.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენთან რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც ს.-დ. შიგნით ისახება ახალი ძირითადი დაჯგუფება: შოვინისტები («სოციალ-პატრიოტები») და მათი მეგობრები. მათი დამცველები, — და ანტიშოვინისტები. ძირითადად. ეს დაყოფა შეესაბამება ოპორტუნისტებად და რევ. ს.-დ.-ბად დაყოფას, მაგრამ სწორედ ეგი plus précis * წარმოადგენს განვითარების, ასე ვთქვათ. უფრო მაღალ, სოციალისტურ გადატრიალებასთან უფრო ახლოს მდგომ სტადიას. ჩვენშიც ძველი დაჯგუფება (ლიკვიდატორები და პრავდისტები) ძველდება, იცვლება ახლით, უფრო გონივრულით: სოციალ-პატრიოტები და ანტიპატრიოტები. ჰო, ამბობენ: დანი = **გერმანელი**

---

* — უფრო ზუსტად. რ ე დ.

«სოციალ-პატრიოტი», ე. ი. გერმანოფილი, ე. ი. კაუცკის მომხრეა. ეს მართალია თუ არა? ძალიან ჰგავს მართალს. ეს კურიოზია, რომ ორგანიზაციულ კომიტეტში[134] გათიშვაა ბურჟუაზიული ხაზით: ფრანკოფილები (პლეხანოვი + + ალექსინსკი + მასლოვი + «ნაშა ზარია») და გერმანოფილები (ბუნდი + აქსელროდი + დანი?? etc.).

შვედებთან ფულს თუ ვერ იშოვნით, მოიწერეთ: გამოგიგზავნით 100 frs*. კარგად მოიფიქრეთ, სად ემჯობინება (ე. ი. საქმისათვის უფრო სასარგებლო და თქვენთვის უფრო უშიშარი სად იქნება: ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; თავს უნდა გაუფრთხილდეთ!!) მოიცადოთ, ლონდონში ან ნორვეგიაში და სხვ.. ტრანსპორტის თუნდაც ცოტ-ცოტად მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პლეხანოველები, რომლებიც თქვენთან 2 — 3 კვირის შემდეგ იქნებიან, უნდა ინახულოთ და შეუთანხმდეთ მათ ყოველივე ამის შესახებ.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ მხნეობასა და ყოველივე კარგს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წ. 11 თებერვალს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — francs — ფრანკს. რედ.

87

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ამხანაგო! დიდ მადლობას მოგახსენებთ მთელი თქვენი გარჯისა და დახმარებისათვის, რის შესახებაც უკანასკნელ წერილში იწერებით.

«ნაშე სლოვოში» მოთავსებულმა და «კომუნისტისათვის» დაწერილმა თქვენმა სტატიებმა სკანდინავიის საქმეების შესახებ ასეთი კითხვა აღმიძრა:

განა შეიძლება ვაქებდეთ და სწორად მიგვაჩნდეს პოზიცია სკანდინავიელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც ხალხის შეიარაღებას უარყოფენ? ამის შესახებ 1910 წელს ვეკამათებოდი ჰეგლუნდს და ვუმტკიცებდი, ეს მემარცხენეობა კი არა, რევოლუციურობა კი არა, პირდაპირ დახავსებული მეშჩანების ფილისტერობაა-მეთქი [135]. ეს სკანდინავიელი მეშჩანები თავიანთ პატარა სახელმწიფოებში თითქმის ჩრდილოეთ პოლუსამდე მისულან და იმით ამაყობენ, რომ მათ ქვეყნებამდე 3 წელიწადში ჭენებით ვერ მიაღწევ! როგორ შეიძლება იმის დაშვება, რომ რევოლუციური კლასი სოციალური რევოლუციის წინ ხალხის შეიარაღების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყოს? ეს არის არა მილიტარიზმთან ბრძოლა, არამედ ლაჩრული მისწრაფება ჩამოეცალონ კაპიტალისტური სამყაროს დიად საკითხებს. როგორ შეიძლება «აღიარებდე» კლასობრივ ბრძოლას, თუ არ გესმის, რომ გარკვეულ მომენტებში იგი გარდუვალად გადაიქცევა სამოქალაქო ომად?

მე ვფიქრობ, კარგი იქნება შევაგროვოთ მასალა ამის შესახებ და გადაჭრით გამოვიდეთ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ «კომუნისტში», ხოლო სკანდინავიელებისათვის ჭკუის სასწავლებლად თქვენ შემდეგ დაბეჭდავთ ამას შვედურად და სხვ.

მინდა რაც შეიძლება დაწვრილებით ვიცოდე თქვენი აზრი ამის შესახებ.

Breuce Glasier-ი *, ჩემი აზრით, უვარგისი თანამშრომელია: მას თუმცა აქვს პროლეტარული ფხა, მაგრამ მაინც აუტანელი ოპორტუნისტია. არა მგონია შეიძლებოდეს მასთან ერთად სიარული: 2 დღის შემდეგ ატირდება და იტყვის, «ჩამითრიეს», არაფერი ასეთი არა მსურს და არა ვცნობო.

თუ ნახეთ დავიდის წიგნი და მისი აზრი ჩვენი მანიფესტის შესახებ [136]?

თუ არის სკანდინავიის ქვეყნებში მასალა ომისადმი დამოკიდებულების საკითხში **2 მიმდინარეობის** ბრძოლის შესახებ? ხომ არ შეიძლება შეგროვდეს ზუსტი მასალა (აზრები, შეფასებები, რეზოლუციები) ორივე მიმდინარეობის ტენდენციების შესახებ ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ზუსტი დაპირისპირებით? ადასტურებენ თუ არა ფაქტები (ჩემი აზრით, ადასტურებენ), რომ ოპორტუნისტები — აღებულნი, როგორც მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, — საერთოდ, > შოვინისტები არიან, ვიდრე რევოლუციური სოციალ-დემოკრატები? როგორ ფიქრობთ, არ შეიძლება «კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს» შეგროვდეს და დამუშავდეს ასეთი მასალა?

ხელს გართმევთ და გისურვებთ ყოველივე კეთილს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვინ არის ეს შაუ-დესმონდი, რომელმაც რეფერატი წაიკითხა სკანდინავიის ქვეყნებში? ინგლისურ ენაზე თუ არის მისი რეფერატი? იგი შეგნებული რევოლუციონერია, თუ à la ერვე?

დაწერილია 1915 წ. გაზაფხულზე
გაგზავნილია ბერნიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ბრიუს გლეიზიერი. რ ე დ.

88

დ. ვაინკოპს

პატივცემულო ამხანაგო!

ფლუგერ (Drehscheibe) — კაუცკის და კომპანიას ახლა სურთ მემარცხენე ფრაზებისა და «4 აგვისტოს პოლიტიკისაგან» წმინდა სიტყვიერი ჩამოშორების შემწეობით «ჩაახშონ» დაწყებული რევოლუციური მღელვარება. ჩვენ ახლა მშვიდობას ვემხრობით — დაიწყებენ ლაპარაკს ეს ბატონები რენოდელთან და კომპანიასთან ერთად და ეცდებიან ამით დააკმაყოფილონ რევოლუციური მასები.

ლაპარაკობენ მემარცხენეთა კონფერენციის შესახებ — და ძალიანაც დასაჯერებელია, რომ ბერნშტეინ-კაუცკის ტიპის ბილწნი ასეთ კონფერენციას იმისათვის გამოიყენებენ, რომ «პასიური რადიკალიზმის» შემწეობით კვლავ მოატყუონ მასები.

სავსებით შესაძლებელია, რომ ორივე მეომარი ჯგუფის ჭკვიან სახელმწიფო პოლიტიკოსებს ახლა იმის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, რომ იდიოტური «ზავის პროგრამით» ჩაახშონ დაწყებული რევოლუციური მღელვარება.

არ ვიცი, გერმანელი მემარცხენეები უკვე ახლა საკმაოდ ძლიერი არიან თუ არა, რომ ჩაშალონ ამ პასიური (და ფარისეველი) «რადიკალების» მანევრი. მაგრამ თქვენ და ჩვენ დამოუკიდებელი პარტიები ვართ. ჩვენ რამე უნდა გავაკეთოთ: შევიმუშაოთ რევოლუციის პროგრამა, — გამოვააშკარაოთ ზავის იდიოტური და ფარისევლური ლოზუნგი, ვამხილოთ, უარვყოთ იგი, — ველაპარაკოთ მუშებს აშკარად, — რომ ვუთხრათ სიმართლე (ისე, რომ არ იყოს

II ინტერნაციონალის ავტორიტეტთა საზიზღარი დიპლომატობა). სიმართლე კი ასეთია: ან მხარი დავუჭიროთ დაწყებულ რევოლუციურ მღელვარებას და ხელი შევუწყოთ მას (ამისათვის საჭიროა რევოლუციის, სამოქალაქო ომის ლოზუნგი, არალეგალური ორგანიზაცია etc.) ან ჩავახშოთ იგი (ამისათვის საჭიროა ზავის ლოზუნგი, «ანექსიების» «დაგმობა», იქნებ განიარაღებაც etc. etc.).

ისტორია ცხადყოფს, რომ მართალი ვიყავით ჩვენ, ე. ი. საერთოდ რევოლუციონერები, აუცილებელი არ არის **ა** თუ **ბ**.

მინდა ვიცოდე, შეგიძლიათ თუ არა თქვენ (თქვენს პარტიას) გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი (რომელსაც სამი მთავარი ენიდან ერთ-ერთი ეცოდინება)? და შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ორივე ჩვენმა პარტიამ ოფიციალურად (წერილობით თუ სიტყვიერად, სჯობს: სიტყვიერადაც) წამოაყენოს ერთობლივი დეკლარაცია (ან რეზოლუცია)?

თუ სიძნელეები მარტო ფულის მხრივ არის, გვაცნობეთ ზუსტად, რამდენი გჭირდებათ: იქნებ შესაძლო აღმოჩნდეს დაგეხმაროთ.

მხურვალე სალამი! თქვენი ნ. ლენინი

ჩემი მისამართი:

Wl. Uljanow
Hotel Marienthal in Sörenberg
(Kanton Luzern). Schweiz.

დაწერილია 1915 წ. ივნისში
გაგზავნილია ზვოლეში (ჰოლანდია)

პირველად დაიბეჭდა 1949 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

89

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ამხანაგო! «მემარცხენეთა» კონფერენციის საკითხი წინ მიიწევს. უკვე იყო 1-ლი Vorkonferenz-ი[137] და კარზეა მომდგარი მე-2, გადამწყვეტი. დიდი მნიშვნელობა აქვს მემარცხენე შვედების (**ჰეგლუნდის**) და ნორვეგიელების მოზიდვას.

გთხოვთ მომწეროთ (1) ვეთანხმებით თუ არა ერთმანეთს ჩვენ და თქვენ (ან თქვენ ცენტრალურ კომიტეტს), თუ არა. რაში და (2) მოჰკიდებთ თუ არა ხელს «მემარცხენე» სკანდინავიელების მოზიდვას.

Ad 1. ჩვენი პოზიცია თქვენ იცით «სოციალ-დემოკრატიდან». რუსეთის საქმეებში ჩვენ **არ** ვიქნებით მომხრე ჩხეიძის ფრაქციასთან[138] ერთიანობისა (რაც სურს ტროცკისაც, ორგანიზაციულ კომიტეტსაც, პლეხანოვსა და კომპანიასაც: იხ. «ომი»), ვინაიდან ეს «ნაშე დელოს» დაფარვა და დაცვაა. ინტერნაციონალურ საქმეებში ჩვენ **არ** ვიქნებით მომხრე Haase-Bernstein-Kautsky-სთან * დაახლოებისა (ვინაიდან **საქმით** მათ სურთ ერთიანობა ზიუდეკუმებთან და მათი დაფარვა, სურთ თავი დაიძვრინონ მემარცხენე ფრაზებით და არაფერი არ შეცვალონ ძველ დამპალ პარტიაში). ჩვენ ვერ ვიქნებით მომხრე ზავის **ლოზუნგისა**, ვინაიდან ჩვენი აზრით იგი უაღრესად აბნეული, პაციფისტური, მეშჩანურია. ეხმარება მთავრობებს (მათ ახლა სურთ ცალი ხელით «ზავის» მომხრე იყვნენ, რომ თავი დააღწიონ) და აფერხებს რევოლუციურ ბრძოლას.

---

* — ჰააზე-ბერნშტეინ-კაუცკისთან. რ ე დ.

ჩვენი აზრით, მემარცხენეები უნდა გამოვიდნენ საერთო ი დ ე უ რ ი დეკლარაციით (1), სადაც აუცილებლად დაგმობილი იქნებიან სოციალ-შოვინისტები და ოპორტუნისტები; (2) რევოლუციური მოქმედების პროგრამით (იტყვიან: სამოქალაქო ომი თუ რევოლუციური მასობრივი მოქმედებაო — ამას უკვე ისეთი მნიშვნელობა არა აქვს) — (3) «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის წინააღმდეგ და სხვ.. რამდენიმე ქვეყნის სახელით «მემარცხენეთა» იდეურ დეკლარაციას გ ი გ ა ნ ტ უ რ ი მნიშვნელობა ექნებოდა (რა თქმა უნდა, არა ცეტკინისებური უხამსობის სულისკვეთებით, რაც მან გაატარა ბერნის ქალთა კონფერენციაზე: ცეტკინამ **გვერდი აუარა** სოციალ-შოვინიზმის დაგმობის საკითხს!! ზიუდეკუმებთან + + Kautsky-სთან «ზავის» სურვილის გამო?? [139]).

თუ არ ეთანხმებით ამ ტაქტიკას, მაშინვე მომწერეთ 2 სიტყვა.

თუ თანახმა ხართ, იკისრეთ თარგმნოთ (1) ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი («სოციალ-დემოკრატის» № 33) [140] და (2) ბერნის რეზოლუციები («სოციალ-დემოკრატის» № 40) [141] შვედურ და ნორვეგიულ ენებზე და დაუკავშირდეთ ჰეგლუნდს, — თანახმა არიან თუ არა ისინი ასეთ ბაზაზე (წვრილმანების გამო, რა თქმა უნდა, უთანხმოება არ გამოგვივა) **მოამზადონ საერთო** დეკლარაცია (ან რეზოლუცია). ეს **უ ა ღ რ ე ს ა დ** საშური საქმეა.

მაშ ასე, ველი პასუხს.

სულით და გულით მოგესალმებით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. ივლისში
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

90

დ. ვაინკოპს

პატივცემულო ამხანაგო ვაინკოპ!

წამოწყება, რომელზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ, მარქსისტული მემარცხენე ფრთის პრინციპების ინტერნაციონალური დეკლარაციის გეგმა, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავაყოვნოთ და წარმატებით უნდა მივიყვანოთ იგი ბოლომდე, ამასთან რაც შეიძლება მალე. რომ ვიგვიანებთ, ეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს!

ა. პ — ს სტატიას «Berner Tagwacht»-ში * (24 ივლისი) ჰოლანდიის სდპ-ის კონგრესის შესახებ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ურთიერთგაგებისათვის. უდიდესი სიხარულით მივესალმები თქვენს, გორტერისა და რავესტეინის პოზიციას სახალხო მილიციის საკითხში (ეს არის ჩვენს პროგრამაშიც). ექსპლოატირებული კლასი, რომელიც არ ესწრაფვის იმას, რომ ჰქონდეს იარაღი, შეეძლოს მისი მოხმარება და იცოდეს სამხედრო საქმე, ლაქიური კლასი იქნებოდა. ისინი, ვინც იცავს განიარაღებას სახალხო მილიციის საწინააღმდეგოდ (ასეთი «მემარცხენეები» სკანდინავიაშიც არიან: ამაზე კამათი მქონდა ჰეგლუნდთან 1910 წელს), დგებიან წვრილი სახელმწიფოების წვრილი ბურჟუების, პაციფისტების, ოპორტუნისტების პოზიციებზე. ჩვენთვის კი გადამწყვეტი უნდა იყოს დიდი სახელმწიფოებისა და რევოლუციური ბრძოლის (ე. ი. აგრეთვე სამოქალაქო ომის) თვალსაზრისი. ანარქისტებს შეუძლიათ, სოციალური (დროისა

* — «ბერნის გუშაგი». რედ.

და სივრცის გარეშე აღებული) რევოლუციის თვალსაზრისით, იყონ სახალხო მილიციის წინააღმდეგნი. მაგრამ ჩვენი **უმნიშვნელოვანესი** ამოცანა ახლა სწორედ ის არის, რომ მკვეთრი ზღვარი გავავლოთ, ერთი მხრივ, მარქსისტულ მემარცხენე ფრთასა და, მეორე მხრივ, ოპორტუნისტებს (და კაუცკელებს) და ანარქისტებს შორის.

ა. პ — ს სტატიაში ერთმა ადგილმა პირდაპირ აღმაშფოთა, სახელდობრ იმ ადგილმა, სადაც იგი ამბობს, ქ-ნ როლანდ-ჰოლსტის პრინციპული დეკლარაცია «სავსებით შეესაბამება სდპ-ის თვალსაზრისსო»!!

ამ პრინციპული დეკლარაციიდან, იმ სახით, როგორც იგი დაბეჭდილია «Berner Tagwacht»-სა და «Internationale Korrespondenz»-ში *, მე ვხედავ, რომ ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ქ-ნ როლანდ-ჰოლსტს. ქ-ნი როლანდ-ჰოლსტი, ჩემი აზრით, ჰოლანდიელი კაუცკი ან ჰოლანდიელი ტროცკია. ეს ადამიანები პრინციპულად «გადაჭრით არ ეთანხმებიან» ოპორტუნისტებს, ხოლო პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხში — ეთანხმებიან!! ქ-ნი როლანდ-ჰოლსტი უარყოფს სამშობლოს დაცვის პრინციპს, ე. ი. უარყოფს სოციალ-შოვინიზმს. ეს კარგია. მაგრამ იგი არ უარყოფს ოპორტუნიზმს!! ძალიან გრძელ დეკლარაციაში ერთი სიტყვაც არ არის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ! არც ერთი მკაფიო, არაორაზროვანი სიტყვა არ არის ბრძოლის რევოლუციურ საშუალებებზე (სამაგიეროდ მით უფრო მეტი ფრაზებია «იდეალიზმზე», თავდადებაზე და სხვ., რომლებსაც დიდი ხალისით შეიძლება მოაწეროს ხელი ყოველმა არამზადამ, მათ შორის ტრულსტრამ და კაუცკიმ)! არც ერთი სიტყვა არ არის ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტაზე! «ზავის» ლოზუნგია სავსებით à la კაუცკი! ნაცვლად ამისა (და ეს სავსებით თანმიმდევრულია ქ-ნ როლანდ-ჰოლსტის უპრინციპო «პრინციპული

* — «საერთაშორისო კორესპონდენცია». რედ.

დეკლარაციის» თვალსაზრისით) რჩევაა სდპ-თან და სდმპ-თან თანამშრომლობის შესახებ!! ეს ნიშნავს: ოპორტუნისტებთან ერთიანობას.

მთლად ისეა, როგორც ჩვენი ბატონი ტროცკი: «პრინციპულად გადაჭრით წინააღმდეგია სამშობლოს დაცვისა», — პრაქტიკულად ემხრობა ჩხეიძის ფრაქციასთან ერთიანობას რუსეთის სათათბიროში (ე. ი. ციმბირში გადასახლებული ჩვენი ფრაქციის მოწინააღმდეგეებთან, რუსი სოციალ-შოვინისტების **საუკეთესო მეგობრებთან).**

არა. არა. პრინციპულად არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებით ქ-ნ როლანდ-ჰოლსტის დეკლარაციას. ეს სავსებით მოუფიქრებელი, წმინდა პლატონური და ფარისევლური ინტერნაციონალიზმია. მთლიანად ორჭოფობაა. ეს გამოსადეგია (პოლიტიკურად რომ ვთქვათ) მხოლოდ იმისათვის, რომ შეიქმნას «მემარცხენე ფრთა» (ე. ი. «უვნებელი უმცირესობა», «დეკორაციული მარქსისტული სამკაული») ძველ დამპალ და საზიზღარ ლაქიურ პარტიებში (ლიბერალურ მუშათა პარტიებში).

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მოვითხოვთ ამა თუ იმ პარტიის დაუყოვნებლივ გათიშვას, მაგალითად, შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში. სავსებით შესაძლებელია, რომ რამდენადმე უფრო გვიან მომენტი ამისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება (მაგალითად, გერმანიაში). მაგრამ პრინციპულად უთუოდ უნდა მოვითხოვდეთ კავშირის სრულ გაწყვეტას ოპორტუნიზმთან. ჩვენი პარტიის (და საერთოდ ევროპაში მუშათა მოძრაობის) მთელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ეს მიმდინარეობა, მიმართულება როდია; ეს (ოპორტუნიზმი) ახლა ბურჟუაზიის ორგანიზებული იარაღი გახდა მუშათა მოძრაობის შიგნით. და შემდეგ: რევოლუციური ბრძოლის საკითხები (ტაქტიკა, საშუალებანი, პროპაგანდა არმიაში, დაძმობილება სანგრებში და სხვ.) უთუოდ **დაწვრილებით** უნდა იქნეს გარჩეული, განხილული, მოფიქრებული, შემოწმებული, უნდა განემარტოთ მასებს არალეგალურ პრესაში. უამისოდ რევოლუციის ყოველი

«აღიარება» მხოლოდ ფრაზად რჩება. მოლაყბე (ჰოლანდიურად: «პასიური») რადიკალებისა და ჩვენი გზა სხვადასხვაა.

იმედი მაქვს, ძვირფასო ამხანაგო ვაინკოპ, საწყენად არ დაგრჩებათ ეს შენიშვნები. ჩვენ ხომ როგორც წესია უნდა შევთანხმდეთ, რომ ერთად ვეწეოდეთ **მძიმე** ბრძოლას.

გთხოვთ ეს წერილი აჩვენოთ ამხანაგ პანეკუკს და სხვა ჰოლანდიელ მეგობრებს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მალე გამოგიგზავნით ჩვენი პარტიის ოფიციალურ (1913 წლის) რეზოლუციას ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების საკითხზე[142]. ჩვენ **ამის მომხრე ვართ.** ახლა, სოციალ-შოვინისტებთან ბრძოლაში, ჩვენ უფრო მეტად ვიდრე ოდესმე უნდა ვიყოთ ამის მომხრე.

დაწერილია 1915 წ. ივლისში
გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია)
ზვოლეში (ჰოლანდია)

პირველად დაიბეჭდა 1949 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

91

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! ფულს ხვალ გიგზავნით. რუსეთის ამბებისათვის დიდი მადლობა. შეთანხმების წინააღმდეგ პრინციპულად არაფერი გვაქვს, იმედია ძალიან ფრთხილად იქნებით.

რაც შეეხება ხალხის შეიარაღებას versus * განიარაღებისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ არ შეიძლება შევიცვალოთ პროგრამა [143]. თუ სიტყვები კლასობრივი ბრძოლის შესახებ ლიბერალური ყაიდის ფრაზა არ არის (როგორადაც გაიხადეს იგი ოპორტუნისტებმა, კაუცკიმ და პლეხანოვმა), როგორ შეიძლება ითქვას რამე ისტორიის ფაქტის წინააღმდეგ — იმის წინააღმდეგ, რომ ეს ბრძოლა, გარკვეულ პირობებში, სამოქალაქო ომად იქცევა? როგორ შეუძლია, შემდეგ, საერთოდ ჩაგრულ კლასს იყოს ხალხის შეიარაღების წინააღმდეგი?

ამის უარყოფა ნიშნავს იმპერიალიზმისადმი ნახევრადანარქისტული დამოკიდებულების თვალსაზრისზე დადგომას: ეს, ჩემი აზრით, ზოგიერთ მემარცხენეს ემჩნევა ჩვენშიც კი. თუ იმპერიალიზმია, საჭირო არ არის არც ერთა თვითგამორკვევა, არც ხალხის შეიარაღებაო! ეს აშკარა უმართებულობაა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ სწორედ სოციალისტური რევოლუციისათვის არის საჭირო ერთიც და მეორეც.

«განსახორციელებელია» თუ არა? ასეთი კრიტერიუმი სწორი არ არის. ურევოლუციოდ თითქმის მთელი პროგრამა-minimum-ი განუხორციელებელია. საკითხის ასე დაყენებისას განხორციელების შესაძლებლობა მეშჩანობაში გადავა.

მე ვფიქრობ, ეს საკითხი (ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ყ ვ ე ლ ა საკითხი ახლა) შეიძლება დაყე-

---

* — მიმართ. რ ე დ.

ნებულ იქნეს მხოლოდ ოპორტუნიზმის შეფასებასთან (და გათვალისწინებასთან) დაკავშირებით. და ცხადია, რომ «განიარაღება», როგორც ტაქტიკის ლოზუნგი, ოპორტუნიზმია. ამასთან დამყაყებული, უდის მყრალი სუნი პატარა სახელმწიფოსი. ბრძოლისაგან ჩამოშორებისა, უბადრუკი შეხედულებისა: «მე არ მეხებაო»...

გიგზავნით საერთაშორისო მემარცხენეთა დეკლარაციის პროექტს (ინდივიდუალურს) [144]. ძალიან გთხოვთ თარგმნოთ და აცნობოთ შვეციისა და ნორვეგიის მემარცხენეებს, რათა საქმიანად წავწიოთ წინ Verständigung-ი* მათთან. გამოგზავნეთ თქვენი შენიშვნები, resp.** კონტრპროექტი და იქვანვე **მიაღწიეთ** სკანდინავიის მემარცხენეთაგან.

Beste Grüsse! ***

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წ. ზაფხულში
გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია)
ქრისტიანიაში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — შეთანხმება. რედ.
** — respective — შესაბამისად. რედ.
*** — მხურვალე სალამი! რედ.

92

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! ძალიან გაგვახარა ნორვეგიელთა განცხადებამ და თქვენმა ზრუნვამ შვედებისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე მარქსისტთა ერთობლივ ინტერნაციონალურ გამოსვლას! (პრინციპული განცხადება — ესაა მთავარი და, ჯერჯერობით, ერთადერთი შესაძლებელი.)

როლანდ-ჰოლსტი, ისევე როგორც რაკოვსკი (ნახეთ მისი ფრანგული ბროშურა?), ისევე როგორც ტროცკი, ჩემი აზრით, **ყველანი** უაღრესად მავნე «კაუცკელები» არიან იმ აზრით, რომ ყველანი სხვადასხვა ფორმით ემხრობიან ოპორტუნისტებთან ერთიანობას, ყველანი სხვადასხვა ფორმით ა ლ ა მ ა ზ ე ბ ე ნ ოპორტუნიზმს, ყველანი ახორციელებენ (სხვადასხვანაირად) ეკლექტიციზმს ნაცვლად რევოლუციური მარქსიზმისა.

დეკლარაციის პროექტის თქვენი კრიტიკა, ჩემი აზრით, არ გვიჩვენებს (თუ არ ვცდები) სერიოზულ უთანხმოებას ჩვენ შორის. ჩემი აზრით, თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად მავნეა ომის ტიპების გ ა ნ უ ს ხ ვ ა ვ ე ბ ლ ო ბ ა. ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების წინააღმდეგი. თქვენ იღებთ სერბიის მაგალითს. მაგრამ სერბიელები მ ა რ ტ ო ნ ი რომ იყვნენ ავსტრიის წინააღმდეგ, განა ჩვენ სერბიელების მ ო მ ხ რ ე არ ვიქნებოდით?

ახლა მთავარია დიდ სახელმწიფოებს შ ო რ ი ს ბრძოლა კოლონიების ხელახლა განაწილებისა და წვრილი სახელმწიფოების დამორჩილებისათვის.

ინდოეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. ომი ინგლისის ან რუსეთის წინააღმდეგ? განა ჩვენ ინდოეთის მ ო მ ხ რ ე არ

ვიქნებოდით ინგლისის etc. წინააღმდეგ? **ამისათვის** «სამოქალაქო ომის» დარქმევა ზუსტი არ არის; აშკარად უსწორო განმარტებაა. მეტად საზიანოა უკიდურესობამდე განვავრცოთ სამოქალაქო ომის ცნება, რადგან ეს **ჩქმალავს** მთავარს: მ ო ც ე მ უ ლ ი სახელმწიფოს დაქირავებული მუშების ომს კაპიტალისტების წინააღმდეგ.

სწორედ სკანდინავიელები, როგორც ჩანს, ვარდებიან მეშჩანურ (და დამყაყებულ, kleinstaatisch *) პაციფიზმში, როცა საერთოდ «ომს» უარყოფენ. ეს მარქსისტული არ არის. ამას უნდა ვებრძოლოთ, ისევე როგორც მათ მიერ მილიციის უარყოფასაც.

ერთხელ კიდევ სალამი და მოლოცვა ნორვეგიელთა დეკლარაციისათვის!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. ზაფხულში
გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია)
ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — წვრილი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ. რ ე დ.

93

ა. შლიაპნიკოვს

23. VIII. 1915.

ძვირფასო ალექსანდრე!

თქვენი გამგზავრების გეგმის შესახებ ძალიან მეძნელება მტკიცე რჩევის მოცემა შორიდან[145]. ჩვენი საფინანსო საქმეები თქვენთვის ცნობილია: ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა დაწვრილებით მოგწერათ (გამოგზავნილს გარდა დაგვპირდნენ 600 frs * 10. X-მდე + 400 frs კიდევ ერთი თვის შემდეგ. სულ 1 000 frs. მეტის იმედი ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ არა გვაქვს).

ერთი მხრივ, საჭიროა უდიდესი სიფრთხილე. გაქვთ თუ არა სავსებით კარგი ქაღალდები? და სხვა?

მეორე მხრივ, სწორედ ახლა საქმისათვის უთუოდ სასარგებლო იქნებოდა, თუ საქმეში სავსებით გარკვეული და დამოუკიდებელი ადამიანი ჩამოიელიდა 2 — 3 ცენტრს. გააბამდა კავშირებს, დაამყარებდა ურთიერთობას და **დაუყოვნებლივ** დაბრუნდებოდა შვეიცარიაში ჩვენთვის ყველა კავშირის გადმოსაცემად და შემდგომი მდგომარეობის განსახილველად. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა.

«კომუნისტის» № 1 გამოვა 8 — 10 დღის შემდეგ; მერმე ამდენივეს შემდეგ № 2 (ან № 1 — 2 ერთად). ცენტრალური ორგანოს № 44 გამოვა 1 — 2 დღის შემდეგ. ბროშურა ომის შესახებ **ყველა დოკუმენტიანად** ორიოდე კვირის შემდეგ გამოვა[140]. იგი უკვე იწყობა.

---

* — francs — ფრანკს. რ ე დ.

რუსეთის ამბებმა საესებით დაადასტურა ჩვენი პოზიცია, რომელიც რეგვენმა სოციალ-პატრიოტებმა (ალექსინსკიდან ჩხეიძემდე) პორაკენცობად მონათლეს. ჩვენი სიმართლე ფაქტებმა ცხადყო!! ომში წარუმატებლობა ხელს უწყობს ცარიზმის შერყევას და აადვილებს რუსეთისა და სხვა ქვეყნების რევოლუციური მუშების კავშირს. ამბობენ: რას გააკეთებთ «თქვენ», თუ «თქვენ», რევოლუციონერები, ცარიზმს დაამარცხებთო? ვუპასუხებ: (1) ჩვენი გამარჯვება 100-მაგად გააჩაღებს «ბემარცხენეთა» მოძრაობას გერმანიაში; (2) «ჩვენ» რომ ცარიზმი საესებით დაგვემარცხებინა, ყველა მეომარს შევთავაზებდით მშვიდობას დემოკრატიული პირობებით, უარის შემთხვევაში კი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ომს დავიწყებდით.

ცხადია, რომ პრავდისტი-მუშების მოწინავე ფენა, ჩვენი პარტიის ეს დასაყრდენი, გადარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რიგები საშინლად გაანადგურეს. მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ 2 — 3 ცენტრში ხელმძღვანელი ჯგუფები შეერთებულიყვნენ (უ ა ღ რ ე ს ა დ კ ო ნ ს პ ი რ ა ც ი უ ლ ა დ), დაგვკავშირებოდნენ ჩვენ, აღედგინათ ცენტრალური კომიტეტის ბიურო (პიტერში, ვგონებ, უკვე არის) და თვით ცენტრალური კომიტეტი რუსეთში; დაგვკავშირებოდნენ ჩვენ მტკიცედ (**თუ საჭიროა,** ამისათვის შვეიცარიაში ჩაყვანილ უნდა იქნეს 1 — 2 კაცი); ჩვენ გავუგზავნიდით ფურცლებს, პროკლამაციებს და სხვ.. ყველაზე მნიშვნელოვანია მტკიცე, მუდმივი ურთიერთობა.

ჩხეიძე და კომპანია, აშკარაა, მელაკუდობენ: ისინი «ნაშე დელოს» ერთგული მეგობრები არიან, მათი კმაყოფილია ალექსინსკი (იმედი მაქვს, ნახავდით «ომს» პლეხანოვი+ალექსინსკი + კომპანია? ვაი სირცხვილო!!) და ისინივე «თამაშობენ» ბემარცხენეობას ტროცკის დახმარებით!! ვფიქრობ, შეგნებულ პრავდისტებს ვერ მოატყუებენ!

მომწერეთ, როგორ გადაწყვეტთ! სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ა. კოლონტაი თუ დათანხმდება დაგვეხმაროს, რომ ამერიკაში მოვაწყოთ ჩვენი ბროშურის ინგლისურად გამოცემა?

გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია)
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

94

კ. რადეკს

ძვირფასო ამხ. რადეკ!

ამას დართული აქვს თქვენი პროექტი[147]. ერთი სიტყვაც არ არის სოციალ-შოვინიზმსა და (=) ოპორტუნიზმზე და მათთან ბრძოლაზე!! რა საჭიროა ბოროტების ასეთი შელამაზება და მუშათა მასებისათვის დამალვა მათი მთავარი მტრისა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში?

ულტიმატურად თუ დაიწყებთ იმის დაჟინებით მოთხოვნას, რომ აშკარად ერთი სიტყვაც არ იყოს ნათქვამი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაზე?

იმედი მაქვს, რომ ორი დღით ადრე ჩამოვალ (ე. ი. 2—3. IX), თუ შემატყობინებთ, რომ გერმანელებიც ჩამოვლენ (თუ არა და მარტო ზინოვიევი ჩამოვა).

(თქვენი პროექტი მეტად «აკადემიურია», იგი არ არის საბრძოლო მოწოდება, საბრძოლო მანიფესტი.)

თქვენს პროექტს ვაინკოპს თუ გაუგზავნით? **მოითხოვთ თუ არა**, რომ ისინი (ჰოლანდიელები) ჩამოვიდნენ?

გთხოვთ ახლავე გამომიგზავნოთ **ჩემი პროექტის** (რომელზეც თქვენ ვაინკოპს სწერდით) თარგმანი (გერმანული) და ჩვენი 1913 წ. რეზოლუციის (ეროვნული საკითხი) თარგმანი. მაშასადამე, **ორი რამ.**

ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენი ბროშურა 5. IX-მდე გამოვუშვათ (გერმანულად). დღეს ვწერ კასპაროვს, რომ დაგეხმაროთ და იშოვოს კიდევ ერთი მთარგმნელი (ბერნში — ამხ. კინკელი). შეგიძლიათ თუ არა თქვენ (კასპაროვთან ერთად) «სწრაფი ტემპით» იმუშაოთ და ეს ბროშურა ერთ კვირაში თარგმნოთ? ახლა ბეჭდვა? 3—4

დღეში თუ შეიძლება დაიბეჭდოს? ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა დავძაბოთ და ეს გავაკეთოთ!

გთხოვთ დაუყოვნებლივ მიპასუხოთ.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1915 წ. აგვისტოს დამლევს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან ბერნში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

95

ა. შლიაპნიკოვს

Für Alexander

ძვირფასო მეგობარო!

შეეცადეთ ინახულოთ ბელენინი და გთხოვთ გადასცეთ მას, რომ იგი კოოპტირებულია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ამ საქმეში დაცულ უნდა იქნეს კონსპირაციის maximum-ი და რომ თქვენ უნდა «დაივიწყოთ» ეს ბელენინისათვის ცნობის გადაცემის შემდეგ (პირდაპირ მას არა ვწერ გასაგები მიზეზების გამო). გამგზავრებისას მისი ფუნქცია ფრიად მნიშვნელოვანია: ტროცკი და ოპორტუნიზმის საზღვარგარეთელი ლაქიების კომპანია მთელ ძალებს ძაბავენ, რომ «მიჩქმალონ» უთანხმოება და «იხსნან» «ნაშა ზარიას» ოპორტუნიზმი ჩხეიძის ფრაქციის (= «ნაშა ზარიას» უერთგულესი მეგობრების) გამართლებისა და მისთვის ქების შესხმის საშუალებით. რუსეთში უნდა შეიქმნას ჯგუფები (ძველი, გამოცდილი, ჭკვიანი, ომის საკითხში **სავსებით** გარკვეული პრავდისტი-მუშებისგან), მათგან საუკეთესონი (2—3) შეყვანილ უნდა იქნენ ცენტრალურ კომიტეტში. თუ სიძნელეები იქნება ან ეჭვი დაიბადება, — უნდა დავჯერდეთ ანალოგიური კოლეგიების (მაგალ.. «სრულიად რუსეთის ხელმძღვანელი მუშათა ჯგუფის» ან «კომიტეტის» და სხვ.; საქმე, რა თქმა უნდა, სახელწოდება როდია) შექმნას.

თქვენი კავშირები და ძველი, გამოცდილი მუშების ცოდნა დაგეხმარებათ მისცეთ რჩევა ბელენინს, რომელიც საქმეს, რა თქმა უნდა, უაღრესად სერიოზულად და ფრთხილად მოეკიდება. ყველაფერზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ იგი

ახლა თავს გაუფრთხილდეს, ცოტა ხნით წავიდეს **და ყველა კავშირი** ჩამოიტანოს.

მხურვალე სალამი! მაშინვე მოიწერეთ ამ წერილის მიღების შესახებ.

თქვენი ლენინი

P. S. ბროშურა უფრო ადრე გამოვა, ვიდრე მე ვფიქრობდი. კორექტურის ნაწილი უკვე მივიღე. ალბათ 1 — 1½ კვირის შემდეგ იქნება ბროშურაც და № 1 — 2 «კომუნისტიც».

ახლა საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის სამი წევრი **იქნება.** რუსეთში არის ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი კანდიდატები (მუშები) და დაპატიმრებული წევრები (აგრეთვე მუშები, პრავდისტი-წინამძღოლები).

P. P. S. ხვალ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგან უფრო დაწვრილებითს წერილს მიიღებთ. ყურადღებით მოეკიდეთ.

დაწერილია 1915 წ. სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია)
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

96

ა. შლიაპნიკოვს

10. X. 1915.

ძვირფასო მეგობარო! ხვალ ჩვენთან ერთბაშად გამოდის ცენტრალური ორგანოს ორი №№ — 45 — 46 (ციმერვალდის კონფერენციისადმი მიძღვნილი) და № 47, რომელიც შეიცავს ცნობებს რუსეთიდან და «თეზისებს» ტაქტიკის შესახებ[148]. ეს თეზისები ნაწილობრივ შეიცავენ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც ჩვენ შევეხეთ ჩვენს მიწერ-მოწერაში და თქვენ ნ. ი — სთან საუბრებში და სხვ.. დაველოდები თქვენს შენიშვნებს.

მიიღეთ თუ არა რ უ ს უ ლ ი ტექსტი ბროშურისა «სოციალიზმი და ომი»?

(ფრჩხილებში: ა. მ — მა გერმანული ტექსტის კრიტიკა გამოგზავნა და მე მას ამერიკაში დაწვრილებითი წერილით ვუპასუხე. თუ გაინტერესებთ, სთხოვეთ მას გამოგიგზავნოთ ეს წერილი. მისი ფურცლის შესახებ მას მივწერე ბერგენში და შესწორებათა შეტანის ნებართვა ვთხოვე. პასუხი არ არის. ვშიშობ, რომ ამერიკაში გაგზავნა დამჭირდება, ეს კი დიდი გაჭიანურება იქნება.)

რუსეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იზრდება რევოლუციური განწყობილება და მოძრაობა, თუმცა ეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის რევოლუციის დასაწყისი.

ჩვენთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია კავშირები დავამყაროთ და ისინი რეგულარული გავხადოთ (მიწერ-მოწერით ეს სავსებით შესაძლებელია; მოითათბირეთ, ხომ არ შეიძლება თხელი ყდით გაზეთისა და პროკლამაციების თითო ეგზემპლარის გზავნა). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბელენინი შეძლებს ამის მოგვარებას. უამისოდ ფიქრი არ შეიძლება სისტემატურად აწყობილ მუშაობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თეზისს მუშათა დეპუტატების საბჭოს შესახებ. ეს საფრთხილო საქმეა: დააპატიმრებენ 2 — 3 ასეულ ბელადებს!! აჯანყებასთან დაუკავშირებლად მუშათა დეპუტატების საბჭოს «ძალა» ილუზიაა. არ უნდა ავყვეთ მას.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

ხომ არ შეიძლება მოეწყოს ქიმიით მიწერ-მოწერა იმისათვის, რომ პიტერში სწრაფად ჩატანილ იქნეს ცენტრალური ორგანოს ისეთი სტატიები, როგორიც არის «11 თეზისი»? კარგად მოიფიქრეთ!

გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

97

ა. მ. კოლონტაის

9. XI. 1915.

ძვირფასო ა. მ.! მხოლოდ გუშინ მივიღეთ თქვენი 18. X-ის წერილი Milwaukee-დან *. წერილებს საშინლად აგვიანდება! თქვენ ჯერ კიდევ არ მიგიღიათ ჩემი წერილი (და «სოციალ-დემოკრატის» №№ 45 — 46 და 47) ციმერვალდის შესახებ და ყველა პასუხით თქვენს კითხვებზე; ეს წერილი კი ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ დავწერე. ეცადეთ ივარაუდოთ მაინც (დაახლოებით 1½ თვის შემდეგ) სად იქნებით და მომეცით ისეთი მისამართები (თქვენთვის გამოსაგზავნი წერილებისათვის), რომ თქვენთან რაც შეიძლება ახლოს მოდიოდეს.

ნიუ-იორკის «Volkszeitung»-ის ** შესახებ გრიმი დღეს მარწმუნებდა, რომ ისინი თითქოს სავსებით კაუცკელები არიან! ვითომ ასეა? მე ვფიქრობ, ჩვენი გერმანული ბროშურა დაგეხმარებოდათ ინტერნაციონალიზმის «სიმტკიცის» განსაზღვრაში [149]. გაქვთ ეს ბროშურა? (500 ცალი გამოგეგზავნათ.)

ჩვენ აქ ამ დღეებში გამოვცემთ (გერმანულად, ხოლო შემდეგ იმედია გავუშვებთ ფრანგულად და, ფულის საქმეს თუ მოვაგვარებთ, იტალიურად) პატარა ბროშურას ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის სახელით. ამ სახელით ჩვენ გვინდა საერთაშორისო მიმოქცევაში რაც შეიძლება ფართოდ გავუშვათ ციმერვალდის ჩვენი მემარცხენე ჯგუფი (ცენტრალური კომიტეტი + P. S. D. *** + ლატვიელები +

* — მილვოკიდან. რ ე დ.

** — «სახალხო გაზეთი». რ ე დ.

*** — პსდ (პოლონელი სოციალ-დემოკრატები). რ ე დ.

+ შვედები + ნორვეგიელები + 1 გერმანელი + 1 შვეიცარიელი) **რეზოლუციისა** და **მანიფესტის** მისი **პროექტით** (დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატის» № 45 — 46-ში). პატარა ბროშურაში (20 — 30 — 35 ათასი ასო) იქნება ეს 2 დოკუმენტი და პატარა შესავალი[150]. თქვენი იმედი გვაქვს, რომ ამას ამერიკაში გამოსცემთ ინგლისურადაც (ვინაიდან ინგლისში ამის გაკეთება უიმედო საქმეა: იქ **ამერიკიდან** უნდა წავიღოთ) და, თუ შესაძლებელია, სხვა ენებზეც. ეს უნდა იყოს პირველი გამოსვლა ყველა ქვეყნის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბირთვისა, რომლებსაც აქვთ ნათელი, ზუსტი, სრული **პასუხი** კითხვაზე, რა ვაკეთოთ და საით წავიდეთ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუ მოხერხდებოდა გამოგვეცა ეს ამერიკაში, ფართოდ გაგვევრცელებინა და მტკიცე **საგამომცემლო** კავშირი დაგვემყარებინა **(Charles Kerr** (N B) Chicago-ში; «Appeal to Reason» Kansas-ში* **და სხვ.),** ვინაიდან საერთოდ ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ენაზე გამოსვლას (ამ მხრივ თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ).

სცადეთ დაუკავშირდეთ მათ — თუნდაც წერილობით, თუ კანზასში არ იქნებით. მათი გაზეთი ზოგჯერ ცუდი როდია. უთუოდ სინჯეთ როგორ მოეკიდებიან ისინი «ცომერვალდის მემარცხენე ჯგუფის» ჩვენს რეზოლუციას. რას წარმოადგენს Eugene **Debs**-ი **? იგი ხანდახან რევოლუციურად წერს. თუ ისიც ჩვარია à la კაუცკი?

მომწერეთ, კიდევ როდის იქნებით ნიუ-იორკში და რამდენ დღეს. ეცადეთ **ყველგან** ინახულოთ ხოლმე (თუნდაც 5 წუთით) ადგილობრივი ბოლშევიკები, «გამოაცოცხლოთ» და **ჩვენ დაგვიკავშიროთ ისინი.**

რაც შეეხება ფულს, მეწყინა, როცა თქვენი წერილიდან დავინახე, რომ ცენტრალური კომიტეტისათვის ჯერჯერობით

---

* — ჩარლზ კერი (Nota bene — შენიშნეთ) ჩიკაგოში; «მოწოდება გონებისადმი» კანზასში. რედ.

** — ევგენი დებსი. რედ.

ვერაფრის შეგროვება ვერ მოგიხერხებიათ. იქნებ ეს «მემარცხენეთა მანიფესტი» დაგეხმაროთ...

ჰილკვიტი კაუცკის რომ დაუჭერდა მხარს და მასზე მემარჯვენეც რომ იქნებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, ვინაიდან მინახავს იგი შტუტგარტში (1907) და გამიგონია, მას შემდეგ როგორ იცავდა იგი ამერიკაში ყვითლების ჩაყვანის აკრძალვას («ინტერნაციონალისტი»)...

თვით ციმერვალდის მანიფესტი საკმარისი არ არის: კაუცკი «ს* კომპანია მზად არიან შეურიგდნენ მას **პირობით:** «არც ერთი ნაბიჯი შემდგომ». ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, ვინაიდან ეს სრული ფარისევლობაა. ისე რომ, თუ ამერიკაში არიან ადამიანები, რომლებსაც ციმერვალდის მანიფესტისაც კი ეშინიათ, მიაფურთხეთ მათ, ხოლო შეარჩიეთ მხოლოდ ისინი, ვინც ციმერვალდის მანიფესტზე უფრო მემარცხენეა.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს!

თქვენი ლენინი

(Ulianow. Seidenweg. 4-a. III. Bern.)

გაგზავნილია ნიუ-იორკში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — დ. რედ.

1916 წ.

98

ა. მ. გორკის

11. I. 1916.

დიდად პატივცემულო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

გიგზავნით «ლეტოპისის» მისამართით, მაგრამ არა «ლეტოპისისათვის», არამედ გამომცემლობისათვის ბროშურის ხელნაწერს და გთხოვთ გამოსცეთ იგი [151].

ვცდილობდი რაც შეიძლებოდა პოპულარულად გადმომეცა ახალი ცნობები ამერიკის შესახებ, რომლებიც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით გამოსადეგია მარქსიზმის პოპულარიზაციისათვის და მისი ფაქტიური დასაბუთებისათვის. იმედი მაქვს, რომ შევძელი ეს მნიშვნელოვანი ცნობები გადმომეცა ნათლად და მკითხველი საზოგადოების იმ ახალი ფენებისათვის გასაგებად, რომლებიც რუსეთში მრავლდებიან და რომლებსაც მსოფლიოს ეკონომიური ევოლუციის გაშუქება ესაჭიროებათ.

მინდა განვაგრძო და შემდეგში გამოვცე II ნაკვეთიც — გერმანიის შესახებ.

ვიწყებ მუშაობას ბროშურაზე იმპერიალიზმის შესახებ [152].

ომიანობის გამო მეტისმეტად მესაჭიროება შემოსავალი და ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია და ძალიან არ შეგაწუხებთ, დააჩქაროთ ბროშურის გამოცემა.

თქვენი პატივისმცემელი ვ. ი ლ ი ნ ი

მისამართი. Mr. Wl. Oulianoff. Seidenweg. 4-a. B e r n e. (Suisse).

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

99

ა. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო! მინდა რაც შეიძლება დაწვრილებით გესაუბროთ თქვენი წერილის და იმ გაცვეთილი საყვედურის გამო, რაც ამ წერილშია გამოთქმული ჩემი «დაუთმობლობის» შესახებ.

რაც შეეხება ჯემსს, იგი ვერასოდეს ვერ ერკვეოდა პოლიტიკაში, ყოველთვის გათიშვის წინააღმდეგი იყო. საუცხოო ადამიანია ჯემსი, მაგრამ ამ თემებზე მისი მსჯელობა უაღრესად მცდარია.

ჩვენთან რუსეთში (ახლა კი ახალ ინტერნაციონალშიც) გათიშვის საკითხი **ძირითადია.** აქ ყოველგვარი დამთმობლობა დანაშაული იქნებოდა. მე კარგად ვიცი, რა ბევრი კეთილი ადამიანი (ჯემსი, გალიორკა, პიტერელი «მეგობრები» ინტელიგენტებიდან) სათათბიროს ფრაქციის გათიშვის წინააღმდეგი იყო. ისინი ყველანი 1 000-ჯერ მტყუანი იყვნენ. გათიშვა აუცილებელი იყო. ჩხეიძესთან და კომპანიასთან გათიშვა ახლაც აბსოლუტურად აუცილებელია. ყველანი, ვინც ამ მხრივ მერყეობს, პროლეტარიატის **მტრები** არიან, მათთან საჭიროა **დაუთმობლობა.**

ვინ მერყეობს? არა მარტო ტროცკი და კომპანია, არამედ აგრეთვე **იური** + ევგ. ბ. (ისინი ჯერ კიდევ ზაფხულში «მართავდნენ სცენებს» ჩხეიძის გამო!!). შემდეგ **პოლონელები** (ოპოზიცია). მათს «გაზეტა რობოტნიჩას» № 25-ში არის მათი რეზოლუცია: კვლავ **გაძრომ-გამოძრომას ემხრობიან,** როგორც ბრიუსელში 1914 წლის 3/16 ივლისს [153].

მათთან **დაუთმობლობა** სავალდებულოა.

რადეკი მათგან საუკეთესოა; მასთან ერთად მუშაობა სასარგებლო იყო (სხვათა შორის ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფისთვისაც) და ჩვენ ვმუშაობდით. მაგრამ რადეკიც

მ ე რ ყ ე ო ბ ს. და ჩვენი ტაქტიკა აქ **ორმხრივია** (ეს **არასგზით** არ უნდოდათ ან არ შეეძლოთ შეეგნოთ იურის + + ნიკ. ივ — ს): ერთი მხრივ, დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ რადეკს მარცხნით წაწევაში, გ ა ვ ა ე რ თ ი ა ნ ო თ ყველა, ვისი გაერთიანებაც შეიძლება, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფისათვის. მეორე მხრივ, **იოტისოდენადაც** არ დავუშვათ მერყეობა **ძირითადში.**

ძირითადია გათიშვა ორგანიზაციულ კომიტეტთან, ჩხეიძესა და კომპანიასთან.

პოლონელები მ ე რ ყ ე ო ბ ე ნ და გამოუშვეს უსაზიზღრესი რეზოლუცია «კომუნისტის» № 1-ის **შემდეგ.**

დასკვნა?

ან ჩავეჭიდოთ «კომუნისტის» ფირმას და **კარი გავულოთ კინკლაობასა და მერყეობას:** წერილებს რედაქციისადმი (რადეკის, ბრონსკის, იქნებ პანეკუკის და სხვ. წერილებს), საჩივრებს, წუწუნს, ჭორებს და სხვ.

არაფრის გულისათვის.

ეს საქმისათვის საზიანოა.

ეს ნიშნავს ხელი შევუწყოთ არამზადებს ორგანიზაციული კომიტეტიდან, ჩხეიძესა და კომპანიას.

არაფრის გულისათვის.

«კომუნისტი» დროებითი ბლოკი იყო გარკვეული მიზნის მისაღწევად. მიზანი მიღწეულია: ჟურნალი გამოშვებულია, **დაახლოება (მაშინ,** ციმერვალდის **წინ,** იგი შესაძლებელი იყო) მიღწეულია. ახლა **სხვა** გზით უნდა ვიაროთ, განვაგრძოთ სვლა.

«კომუნისტი» **მავნე** გახდა. იგი უნდა **შევწყვიტოთ** და შევცვალოთ **სხვა** ფირმით: «სპორნიკ სოციალ-დემოკრატა» **(«სოციალ-დემოკრატის» რედ.** რედაქციით) [154].

მ ხ ო ლ ო დ ასე ვიცილებთ თავიდან კინკლაობას, ვიცილებთ თავიდან მერყეობას.

რუსეთშიც არის უთანხმოება? ო, რა თქმა უნდა! მ ა გ რ ა მ **ჩ ვ ე ნ ი** ს ა ქ მ ე **ა რ ა ი ს** მ ი ს ი **გ ა დ ი დ ე ბ ა. ჩხეიძისა** და **კომპანიისათვის,** ტროცკისა და **კომპანიისათვის**

დაგვითმია უთანხმოების გადიდება (ეს მათი «პროფესიაა»), ხოლო ჩვენი საქმეა — ვატარებდეთ საკუთარ ხაზს. **ახლა** მუშაობის ნაყოფი თვალწინ გვაქვს: პიტერელი მუშები 100-ჯერ სჯობიან პიტერელ ინტელიგენტებს («თანამგრძნობებსაც» კი...).

«სამეულისათვის» (იური+ევგ. ბოში+ნიკ. ივ.) **დროებით** უნდა დაგვეთმო, იმიტომ რომ უამისოდ **მაშინ** არ შეიძლებოდა ჟურნალის გამოცემა (ახლა შეიძლება); მთავარი კი ის არის, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ გვენახა **მუშაობაში** ევგ. ბოში + + იური და შეგვეძლო იმედი გვქონოდა, რომ მუშაობა მათ ზევით წაიყვანდა.

ისინი კი ქვევით წავიდნენ.

და **დროებითი** კავშირი **აუცილებლად** უნდა დაიშალოს. **მხოლოდ** ასე არ მოუვა ზიანი საქმეს. მხოლოდ ასე ისწავლიან ისინიც.

ჩვენ ხომ დისკუსიის წინააღმდეგნი არა ვართ. ჩვენ იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ რედაქტორის უფლებები ჰქონდეთ იმათ, ვინც გამოიჩინა მიუტევებელი (იქნებ ახალგაზრდობით მოუვიდათ? მაშინ დაველოდებით: 5 წლის შემდეგ ეგებ გამოსწორდნენ) მერყეობა.

ნიკ. ივ. მეცადინი ეკონომისტია, და **ამაში** მუდამ ვუწყობდით ხელს. მაგრამ იგი (1) ჭორებს უჯერებს და (2) პოლიტიკაში საშინლად არამტკიცეა.

ომმა მას ნახევრადანარქისტული იდეებისაკენ წაუბიძგა. თათბირზე, რომელმაც ბერნის რეზოლუციები გამოიტანა (1915 წლის გაზაფხული) [155], მან წარმოადგინა **თეზისები** (მე მაქვს!) — უკიდურესი უაზრობა; სამარცხვინო რამ; ნახევრადანარქიზმი.

მე სასტიკად დავესხი თავს. იური და ევგ. ბოში ისმენდნენ და ჩემი კმაყოფილი დარჩნენ, რომ მარცხნივ დაქანებას არავის ვანებებ (მაშინ მათ განაცხადეს, რომ სრულებით არ ეთანხმებიან ნ. ივ — ს).

გადის ნახევარი წელიწადი. ნიკ. ივ. ეკონომიკას სწავლობს. **პოლიტიკას არ** მისდევს

და აი თვითგამორკვევის საკითხში ი გ ი **იმავე** სისულელეს გვთავაზობს. ევგ. ბოში + იური ამ სისულელეს ხელს აწერენ!! (გამოართვით მათი «თეზისები» ნ. ივ — ს და ჩემი პასუხი მისდამი.)

საკითხი კი მნიშვნელოვანია. საკითხი არსებითია. განუყრელად დაკავშირებულია ა ნ ე ქ ს ი ე ბ ი ს საკითხთან — უაღრესად საჭირბოროტო საკითხია.

ადამიანები არ დაფიქრებულან. არ წაუკითხავთ. არ ჩასჯდომიან. 2 — 3-ჯერ მოუსმინეს რადეკს (მას ძველი «პოლონური» ავადმყოფობა სჭირს: აქ იგი დაიბნა) — და მ ო ა წ ე რ ე ს ხ ე ლ ი.

ეს სკანდალია. ეს სამარცხვინო საქმეა. ესენი რედაქტორები არ არიან. ადამიანები უნდა უარვყოთ, ვამხილოთ, მივცეთ მათ დრო ისწავლონ და დაფიქრდნენ, და არა ვიჩქაროთ მათი განებივრება: აი მიირთვით რედაქტორის უფლებები, წაუღეთ მუშებს თქვენი სისულელეო!!

თუ ასე იქნა, ისინი საქმეს მ ი ი ყ ვ ა ნ ე ნ პოლემიკამდე პრესაში; და მაშინ მე **იძულებული** ვიქნები ვუწოდო მათ «იმპერიალისტი ეკონომისტები», ცხადვყო მათი სრული სიცარიელე, ს რ უ ლ ი არასერიოზულობა და დაუფიქრებლობა. პრესაში პოლემიკა მ რ ა ვ ა ლ ი წ ლ ი თ უკუაგდებს მათ.

ხოლო თუ ახლა შევწყვეტთ «კოჭუნისტს», ისინი დაფიქრდებიან და თავს დაანებებენ სისულელეს; წაიკითხავენ და დარწმუნდებიან. აბა, ძვირფასებო, დაწერეთ სერიოზული ბ რ ო შ უ რ ა, თუ «უთანხმოებას» აცხადებთ პოლიტიკაში (რომელსაც თქვენ სრულებითაც არ მისდევდით, არ სწავლობდით), აბა დაწერეთ! იფიქრებენ და ა რ დაწერენ. და რამდენიმე თვის შემდეგ «გაუვლით».

ასე ყოფილა. ასე იქნება.

ანექსიების (და თვითგამორკვევის) საკითხში ჩვენი პოზიცია (1913 წლის რეზოლუცია)[150] **სავსებით** დადასტურებულია ომით. და ეს საკითხი საჭირბოროტო გახდა. ხოლო რადეკი + + ჰოლანდიელები (გორტერი და პანეკუკი) აქ **აშკარად**

დაიბნენ. «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» ,ჩვენ კვლავ და კვლავ განვმარტავთ საქმეს.

საქმე იქითკენ უნდა წავიყვანოთ, რომ:

(1) შეწყდეს «კომუნისტი»;

(2) ებრაელების შესახებ კრებულის გამოცემაში [157] იურის + ევგ. ბოშს მიეცეთ რაც შეიძლება მ ე ტ ი შეღავათები, **უფლებები** და **პრივილეგიები** (ეს **აქ** უვნებელია **საქმისათვის**) დაწვრილებითი პირობები წერილობითს ხელშეკრულებაში;

(3) იგივე — მათი სატრანსპორტო ჯგუფის შესახებ (გამოართვით მათ მათი წესდება და ჩვენი შესწორებანი ამ **წესდებისათვის**);

(4) ჩვენ გამოვუშვებთ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» ««სოციალ-დემოკრატის» რედაქციის» რედაქციით.

მათ თანამშრომლებად მოვუხმობთ. ვეტყვით: უთანხმოება არის? მოამზადეთ სერიოზული ბროშურა! ვ ი კ ი ს რ ე ბ თ დ ა ვ ბ ე ჭ დ ო თ ი გ ი. (არ დაწერენ, რადგან სერიოზულად ფიქრიც კი არ დაუწყიათ საკითხზე; არც კი უმუშავნიათ!!)

ა ი ეს იქნება ს ა ქ მ ი ა ნ ი პოლიტიკა.

ევგ. ბოში სულ აპირებდა რუსეთში წასვლას: იქ მას შეეძლებოდა სარგებლობა მოეტანა; აქ **მას საქმე არა აქვს**, იგი **საქმეს გამოგონებას** დაუწყებს.

იცით თუ არა თქვენ ეს საზღვარგარეთული **უ ბ ე დ უ რ ე ბ ა:** საქმის «გამოგონება» იმათთვის, ვინც საზღვარგარეთ ზის? საშინელი უბედურებაა.

ჯერჯერობით ვათავებ. შეაგროვეთ ყველა დოკუმენტი და **მიიღეთ** ინფორმაციები. კიდევ და კიდევ ვისაუბროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვურთავ ახალ «უთანხმოებათა» მნიშვნელობის თემაზე ნ. ი. ბუხარინისადმი ჩემი პასუხის პირს.

დაწერილია 1916 წ. მარტში

ყაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის **მიხედვით**

100
გ. ზინოვიევს

21. V. 1916.

მე არა მსურს ჩვენი მიწერ-მოწერა ერთმანეთისათვის მკვახე სიტყვების სროლად გადავაქციო. საკითხი სერიოზული დგას, და, თუმცა მის შესახებ უკვე არაერთხელ მილაპარაკნია, გავიმეორებ, რადგან საჭიროება მოითხოვს.

«გამომცემლებთან» (კიევსკებთან) ნახევარ წელიწადზე მეტი ხნის მუშაობისა და ამ გამოცდილების რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველმხრივი აწონ-დაწონის შემდეგ ცენტრალური ორგანოს რედაქციამ 1915 წლის ზამთარში მათ მისწერა წერილი, რომელსაც თქვენც მოაწერეთ ხელი. ამ წერილში ცენტრალური ორგანოს რედაქციამ განაცხადა, რომ უარს ამბობს «კომუნისტში» მონაწილეობაზე მთელ რიგ უაღრესად დაწვრილებით მოყვანილ მოსაზრებათა გამო, რომლებმაც ჩვენს წერილში ძალიან ბევრი ადგილი დაიკავეს და იმაში მდგომარეობდნენ, რომ არ შეგვიძლია ვიკისროთ პარტიული პასუხისმგებლობა ასეთი თანარედაქტორებისათვის, რომ საქმისადმი მათი დამოკიდებულება არაპარტიულია, რომ შეთანხმების მიღწევის დროებითი ცდა ჩაფუშულად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვუშვათ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა».

შემდეგ თქვენ დაიწყეთ მერყეობა, რამაც გამოიწვია ჩვენი უკანასკნელი საუბარი კინტალში. მე თქვენ დაგითმეთ, დავთანხმდი რა ურთიერთობის აღდგენის ცდას იმ პირობით, რომ (1) ცენტრალური ორგანოს **რედაქცია** გამომცემლებთან დადებდა ხელშეკრულებას წიგნაკიდან წიგნაკამდე; (2) ისინი

ხელს აიღებდნენ «იმპერიალისტურ-ეკონომიური» ხასიათის ჯგუფურ პოზიციაზე და რადეკთან უთანხმოებით თავიანთ «თამაშზე» და სხვ.

ეს პირობები ჩაწერილი არ ყოფილა, და თქვენ ახლა მათ სადავოდ ხდით. მაგრამ ამ დავას მნიშვნელობა აღარა აქვს მას შემდეგ, რაც **თვითონ** თქვენ წერილობით, ა—სადმი წერილის პროექტში, მოიყვანეთ **თქვენი** პირობები, და გამომცემლებმა **ეს** პირობებიც **კი არ** მიიღეს! (თქვენ კი მარწმუნებდით, აქ გადაწყვეტილი საქმეა, ისინი თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას არ დაიწყებენო!).

მაშასადამე, ფაქტი ის არის, რომ კინტალში ჩვენი შეხვედრის შემდეგაც კი თუ მივიღებთ თქვენს «განმარტებას», ე. ი. რომ მე თქვენზე მეტ პირობებს ვაყენებდი, **თქვენი** პირობებიც, უფრო ნაკლები პირობები, გამომცემლებმა უარყვეს.

თავისთავად იგულისხმება, რომ თქვენი პირდაპირი და უთუო მოვალეობა იყო ამის შემდეგ მთელი ძალებით დასხმოდით თავს გამომცემლებს, საბოლოოდ გაგეწყვიტათ მათთან კავშირი, ყოველი ძალ-ღონე გეხმარათ, რათა დაგემტკიცებინათ ალექსანდრესათვის, რომ შეუძლებელია საქმის დაჭერა ამ ბ-ნებთან, როგორც ხელმძღვანელი ჟურნალის რედაქტორებთან.

ამის ნაცვლად თქვენ წინადადებას იძლევით დავნებდეთ მათ, უარი ვთქვათ ყოველგვარ პირობებზე, უკან წავიღოთ თქვენივე ხელმოწერილი წერილი ცენტრალური ორგანოს რედაქციისა! და ამას იმ საბაბით აკეთებთ, რომ «არა ღირს მათ სერიოზულად მოვეკიდოთო»: ნამდვილად თქვენ წინადადებას იძლევით, რომ თქვენს პოლიტიკას არ მოეკიდონ სერიოზულად, ეშმაკმა უწყის რად აქცევთ რედაქციის წერილს, საკუთარ ხელმოწერილზე უარს ამბობთ და გამომცემლებს **უფლებას** აძლევთ გააკეთონ დასკვნა, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქცია თვითნებობდა!

ეს უკვე მარტო მერყეობა როდია, ეს ისეთი მერყეობაა კუბში, რომელიც გაცილებით უფრო უარეს რაღაცად იქცევა.

მხოლოდ ის დამრჩენია, რომ უკანასკნელად გავიმეორო, რატომ არ მივდივარ «კომუნისტში», რატომ მიმაჩნია ეს ანტიპარტიულად და მავნედ, რატომ ვრჩები ცენტრალური ორგანოს რედაქციის იმ წერილის პოზიციაზე, რომელშიც გამომცემლებთან კავშირის გაწყვეტაზეა ლაპარაკი.

გამომცემლებთან ჩვენ დავდეთ დროებითი «ფედერაცია», ასეც ვუწოდეთ მას «ფედერაცია» და სავსებით გარკვეულად დავთქვით მისი დროებითი ხასიათი, «ცდის სახით». ამ დროებითს კავშირს როცა ვდებდით, გამომცემლები აზრს გამოთქვამდნენ ბუხარინის მერყეობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (ბერნის კონფერენციაზე 1915 წლის მარტში), და ა რ ყ ო ფ ი ლ ა განსაკუთრებული შეხედულებების მქონე ამ სამთა ჯგუფის (გამომცემლების + ბუხარინის) შეკავშირების მაჩვენებელი არც ერთი ფაქტი.

ჟურნალის პირველივე წიგნაკის შემდეგ მათ შორის ასეთი შეკავშირება მოხდა, და როცა მე, ხანგრძლივი წინასწარი მიწერ-მოწერის შემდეგ, მათს მიმართულებას «იმპერიალისტური ეკონომიზმი» ვუწოდე, თქვენ მომწერეთ, თანახმა ვარო. ეს იყო 1916 წლის მარტში. ამით ერთხელ კიდევ დადასტურებულ იქნა ცენტრალური ორგანოს რედაქციის უაღრესად დაწვრილებითი ზამთრის წერილი.

პარტიული — და საერთაშორისო — მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა წინსვლა უნდა განაგრძოს დამოუკიდებლად, ხელები ა რ უ ნ დ ა შ ე ი ბ ო ჭ ო ს არც რუსეთის, არც საერთაშორისო საქმეებში. «**გამომცემლებს**», რომლებიც არაფრად არ ვარგანან როგორც ლიტერატორები და როგორც პოლიტიკოსები (ცენტრალური ორგანოს რედაქცია იძულებული იყო ეღიარებინა ეს ზამთრის წერილში), უნდათ შ ე გ ვ ბ ო ჭ ო ნ ხელშეკრულებით თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ი ს შესახებ, ე. ი. ჩვენ უნდა დავთანხმდეთ მივცეთ თანასწორუფლებიანობა ქალბატონს, რომელსაც ერთი სტრიქონი არ დაუწერია და სრულებით არაფერი არ გაეგება, და «ახალგაზრდა კაცს», რომელიც მთლიანად ამ ქალბატონის გავლენის ქვეშ არის. ისინი კი ამ თანასწორუფლებიანობას

იმისათვის გამოიყენებენ, რომ ითამაშონ ჩვენს უთანხმოებაზე რადეკთან, ბუხარინთან და სხვ.!

პირდაპირ უგუნურებაა ასეთ პირობებში დავთანხმდეთ თანასწორუფლებიანობაზე, ეს მთელი მუშაობის წახდენას ნიშნავს.

მართალი არ არის, რომ მათ «მხოლოდ დისკუსია» უნდათ. დისკუსიისათვის მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ. მათ აქვთ ფული. თითქმის მთელი წელიწადი გავიდა. რატომ არა წერენ და არ უშვებენ სადისკუსიო ბროშურებს? იმიტომ, რომ მათ არ უნდათ **თვითონ** დაიკისრონ პასუხისმგებლობა! ეს ცხადია. და სწორედ ამაში მდგომარეობს პარტიულობის აბუჩად აგდება, ვინაიდან ვინც უთანხმოებას აცხადებს, მან უნდა მოიფიქროს საქმე, გამოვიდეს აშკარად, იკისროს პასუხისმგებლობა, და არა «თამაშობდეს» და არა პრეტენზიას აცხადებდეს «თანასწორუფლებიანობაზე», როცა პარტიამ მათი პოზიციებიც კი არ იცის (და როცა მათ პოზიციები არა აქვთ).

ბუხარინი რომ ყოველ ნაბიჯზე წაიფორხილებს ხოლმე იმ შეხედულებებში, რომლებიც მან წერილობით ჩამოაყალიბა 1915 წლის მარტში (კონფერენციაზე) და რომლებიც თქვენც უარყავით, ეს ფაქტია. თქვენ აღიარეთ ეს ფაქტი, როცა 1916 წლის მარტში (ერთი წლის შემდეგ) დაეთანხმეთ «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ჩემს შეფასებას.

«თანასწორუფლებიანობას» რომ აძლევთ, თქვენ პარტიის წინაშე თანასწორუფლებიანობას აძლევთ ბუხარინის მერყეობას! თქვენ ხელებს გვიბოჭავთ ჩვენ და აქეზებთ ამ მერყეობას. ეს უგუნური პოლიტიკაა.

თქვენ იცით, რომ რადეკი, ჯერ-1, ისე «განაწყენებული» დარჩა (იმის გამო, რომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვეთ ჩვენი თეზისების მოთავსება პანეკუკის ჟურნალში), რომ, როგორც თქვენვე მწერდით 1916 წლის მარტში, იგი თქვენთან «არავითარ კოლეგიალურ მუშაობას» არ ეწევა! მასთან უთანხმოება კი არ გამქრალა; პირიქით, თქვენ თვითონ მეთანხმებოდით, რომ მის მიერ ირლანდიის აჯანყების შეფასება უხამსობაა. და

თქვენ წინადადებას იძლევით «თანასწორუფლებიანობა» მიეცეთ გამომცემლებს, რომლებიც რადეკს ეფარებიან და ჩვენსა და მას შორის არსებულ უთანხმოებაზე თამაშობენ (2 000 frs-ად *!)!! ეს უგუნური პოლიტიკაა.

მე-2, რადეკი ერთი საქმეა, მისი გაზეთის («გაზეტა როგოტნიჩას») რედაქცია კი სხვა. ამ გაზეთმაც რომ თამაში დაიწყო (ჩხეიძის ფრაქციაზე, ტროცკიზე და სხვ.), ეს თქვენ თვითონ აღიარეთ. გაიხსენეთ, რომ ეს გაზეთი გამოვიდა 1916 წლის თებერვალში და რომ თქვენი მონაწილეობით მუშავდებოდა საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის წერილი[158] მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. რას იტყვით, ეს სერიოზული პოლიტიკაა, თუ ახლა ჩვენს ხელმძღვანელ ჟურნალში «თანასწორუფლებიანობას» მივცემთ ადამიანებს, რომლებსაც სურთ კარიერა გაიკეთონ იმით, რომ «გამოიყენონ» ჩვენი ბრძოლა პოლონელებთან, რომლებმაც 1914 წლის 3/16 ივლისს გვიღალატეს ვანდერველდისა და კაუცკის წინაშე??

მე-3, თქვენ იცით, რომ კინტალში რადეკს უნდოდა ჩვენი მაიორიზება მემარცხენეთა შორის, მემარცხენეთა თათბირზე, სარგებლობდა რა ფრელიხით, რობმანშათი და სხვ., და რომ უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გვეიძულებინა იგი ეცნო ჩვენი ცენტრალური კომიტეტის **დამოუკიდებლობა**. ამაზე კ ი დ ე ვ რა «თამაშს» დაიწყებენ ადამიანები, როცა დადგება საკითხი Junius-ისადმი დამოკიდებულების შესახებ (ეს საკითხი უკვე დადგა) ან კაუცკელებისაგან «მექანიკური გამოყოფის» შესახებ და სხვ.! თქვენ **თავდებობას კისრულობთ,** რომ არავითარს?? თუ ჰო, ეს იგივე იქნებოდა, რომ თქვენ ხელს იღებთ მთელ ჩვენს პოლიტიკაზე. თუ არა, მაშინ უგუნურებაა ამის შემდეგ იბოჭავდეთ ხელებს ჩვენი ხელმძღვანელი ჟურნალის რედაქციაში.

მე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები ამ უგუნურ პოლიტიკას. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა. მე კვლავ ვფიქრობ, რომ მარტო «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გა-

---

* — francs — ფრანკად. რ ე დ.

მოცემას შეუძლია იხსნას საქმე (რომელიც თქვენ გინდათ მთლად აწეწოთ). «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა» ჩვენ გარშემო აჯგუფებს მთელ რიგ უაღრესად სასარგებლო მუშაკებს (ვარინი, საფაროვი, ლატვიელები და სხვ.), გამომცემლებს აშორებს ბუხარინს და იგი ჩვენს მხარეზე გადმოჰყავს, შესაძლებლობას გვაძლევს **გავუძღვეთ** პარტიას (და საერთაშორისო მემარცხენე ფრთას), და არა კუდში მივჩანჩალებდეთ... ქალბატონ გამომცემელს.

ზუსტად მომწერეთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ. ფორმალურად საქმე ახლა ისე დგას, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქციამ კავშირი გაწყვიტა «კომუნისტთან», და მისი უკანასკნელი ცდა (თქვენი ნ ა კ ლ ე ბ ი პირობებიც კი) უარყოფილია. მაშასადამე, უნდა დაიბეჭდოს, რომ წყდება «კომუნისტი» და გამოდის «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა».

ხელს გართმევთ და salut-ს * გითვლით!

ვ. უ.

გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — სალამს. რ ე დ

101

ა. შლიაპნიკოვს

ძვირფასო ა.! როგორც ჩანს, შეფერხება ჩვენს მიწერ-მოწერაში და მ თ ე ლ ი რ ი გ ი გაუგებრობანი გამოწვეულია იმით, რომ თქვენ არ მიგიღიათ ჩვენი მე-2 წერილი, რომელიც სტოკჰოლმში გამოგიგზავნეთ. სხვანაირად ვერ ამიხსნია, რ ო გ ო რ შეგიძლიათ გვწერდეთ, შეკითხვებზე პასუხს არ მაძლევთო. ჩვენ **ყველაფერზე** უაღრესად დაწვრილებით გიპასუხებდით; თ ქ ვ ე ნ ა რ გვიპასუხებდით. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კვლავ და კვლავ გწერთ; დაგვჭირდება მოთმინება მოვიკრიბოთ და ზოგიერთი რამ გაგიმეოროთ, რათა შედეგებს მივაღწიოთ. მიწერ-მოწერით შეთანხმება აუცილებელია.

«კომუნისტის» შესახებ მწერთ, ჩხეიძესთან გათიშვა უეჭველიაო. ვისთვის? ბუხარინისა და კომპანიისათვის!

მ ე ხომ მოგწერეთ, რომ ეს შეეხება ა რ ა ბუხარინსა და კომპანიას, არამედ რ ა დ ე კ ს ა და კ ო მ პ ა ნ ი ა ს.

«კომუნისტი» იყო ჩვენი დროებითი ბლოკი ორ ჯგუფთან ან ელემენტთან: 1) ბუხარინთან და კომპანიასთან; 2) რადეკთან და კომპანიასთან. სანამ შეიძლებოდა მათთან ერთად სიარული, ეს უ ნ დ ა გაგვეკეთებინა. ახლა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა; და საჭიროა დ რ ო ე ბ ი თ დავშორდეთ ერთმანეთს ან უფრო სწორად განზე გავიწიოთ.

პოლონელებმა 1915 წლის **ზაფხულში** გამოიტანეს («კომუნისტის» № 1 — 2-ის **შ ე მ დ ე გ**) და **მხოლოდ** 1 9 1 6 წ ე ლ ს დაბეჭდეს რეზოლუცია, რომელმაც კვლავ ცხადყო მათი მერყეობა ჩხეიძის საკითხში. რა ხელს მოგვცემს ა ხ ლ ა მათ

შესაძლებლობა და **უფლება** მივცეთ (ისინი ხომ «კომუნისტის» თანამშრომლები არიან!!) შემოძვრნენ ჟურნალში და წაახდინონ იგი კინკლაობით??

ჩემი აზრით, ხელს არ მოგვცემს. საქმისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოა ავიღოთ სხვა ფირმა («სბორნიკ სოციალ-დემოკრატა») და დაველოდოთ, სანამ პოლონელები სწავლას მოათავებენ (ან სანამ ისინი გერმანიას მიემხრობიან) ან სანამ სიტუაცია შეიცვლება.

შემდეგ. ბუხარინისა და კომპანიის შესახებ. აუცილებლად გამოგიგზავნით (თუმცა არც თუ ძალიან მალე, ვინაიდან ეს ბერნში წასვლაზეა დამოკიდებული) ბუხარინის 1915 წლის გაზაფხულის «თეზისებს». მაშინ თვითონ დაინახავთ, რა არის საქმის არსი:

1) 1915 წლის გაზაფხულზე ბუხარინი წერს (კონფერენციაზე!) თეზისებს, სადაც აშკარად მიექანება **ჭაობში.** იაპონელები[159] მის წინააღმდეგ არიან. (ამიტომ ჩვენ დროებით ვთანხმდებით შეღავათების მაქსიმუმს «კომუნისტში», რათა შევქმნათ ფორმა, რომელიც მოსახერხებელია საქმის გამოსარკვევად: შევძლებთ თუ ვერა «ამხანაგურად» დავძლიოთ ბუხარინის მერყეობა? ხელს შეუწყობს თუ არა ამას ე. ბ., რომელიც თავის თავს ბოლშევიკს უწოდებს?)

2) 1915 წლის ზაფხულში (თუ შემოდგომის დამდეგს) ბუხარინი + **იაპონელები** უკვე სამნი აწერენ ხელს თეზისებს თვითგამორკვევის შესახებ. უაღრესად არასწორია, ჩვენი რწმენით, ბუხარინის შეცდომების **გამეორებაც.**

3) 1916 წლის დამდეგს ბუხარინი «ჰოლანდიური პროგრამის» საკითხზე (ისკ-ის № 3 ბიულეტენიდან) კვლავ უბრუნდება 1915 წლის გაზაფხულის თეზისების იდეებს!!!

დასკვნა? ბლოკი აქაც შეუძლებელია: უნდა დაველოდოთ, სანამ ბუხარინის მერყეობა გათავდება. ჟურნალი, როგორც პოლონურ-ბუხარინული მერყეობის ორგანო, მავნეა. ასეთ ვითარებაში საზიანო იქნებოდა ჩავჭიდებოდით ძველ ფირმას და ვერ შეგვერჩია სხვა ფირმა («სბორნიკ სოციალ-დემოკრატა»).

იაპონელების არაპარტიულობა, მათი ქცევის არაკეთილ-სინდისიერება იმაში მდგომარეობს, რომ მათ სურთ პასუხის-მგებლობა თ ა ვ ი ა ნ თ ი მერყეობისათვის **ჩვენ** დაგვაკისრონ. უკაცრავად, გეთაყვათ, ამის ნებას ვერ მოგცემთ! თუ გსურთ პარტიულები იყოთ, თქვენ ნაწილობრივ ფულით დაეხმარებით «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოცემას, სადაც ჩვენ (ჩვენ ხომ არ ვმერყეობთ) ამხანაგურად გავარჩევთ თქვენს შეცდომებს ისე, რომ თქვენ ა რ დაგასახელებთ, მტრებს შესაძლებლობას ა რ მ ი ვ ც ე მ თ გაიხარონ და ნიშნი მოგვიგონ.

გარდა ამისა იაპონელები, ისინი სერიოზულად რომ ეკიდებოდნენ უთანხმოების უაღრესად სერიოზულ საკითხს (საზღვარგარეთ il n'y a qu'un pas * განსაკუთრებულ ფრაქციამდე!! დამიჯერეთ, ამას მე დაახლოებით ოცი წელიწადია ვხედავ!!), — ისინი თავიანთ თავს აიძულებდნენ ემუშავნათ უთანხმოებაზე, მოეფიქრებინათ, ხელი მოეკიდნათ მისთვის (მათ **არც** უფიქრიათ და **არც** ხელი მოუკიდიათ, არამედ აიღეს და წ ა მ ო რ ო შ ე ს). ისინი მთლიანად ჩამოაყალიბებდნენ თ ა ვ ი ა ნ თ უთანხმოებებს ან ხელნაწერში ხელმძღვანელ ამხანაგთა ვიწრო წრისათვის (რომლებსაც შეეძლებოდათ ხელი შეეწყოთ, რომ საკითხი პრესაში ა რ გ ა ტ ა ნ ილიყო), ან ბროშურაში, თუ **მ ა თ** სურთ «დაიბეჭდონ» (ფული აქვთ).

მაშინ თავიანთი «იდეებისათვის» თ ვ ი თ ო ნ ი ს ი ნ ი იქნებოდნენ პასუხისმგებელნი. ეს აუცილებელია. გინდა ასწავლო მუშებს ახალი ჭეშმარიტებანი, — **პასუხი აგე მათთვის**, პასუხისმგებლობას ნუ გვაკისრებ ჩვენ, ნუ იმალები (ჩვენ არაფერი, დაე ლენინმა და კომპანიამ აგოს პარტიის წინაშე პასუხი «დისკუსიისათვის», ე. ი. მტრების სასიხარულოდო).

არა, გეთაყვათ!! ეს ნომერი არ გაგივათ!! მ ე პასუხისმგებლობას არ ვიკისრებ თ ქ ვ ე ნ ი მერყეობისათვის. «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» ჩვენ გამოვცემთ თქვენ დაუხმარებლადაც კი, ბ-ნო იაპონელებო. ჩვენ ვ ა დ ა ს გ ა გ ი გ რ ძ ე ლ ებ თ:

---

* — მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რ ე დ.

იფიქრეთ, გაერკვიეთ, ბოლოს **გადაწყვიტეთ**, გინდათ თუ არა იკისროთ პასუხისმგებლობა ახალი არევ-დარევისათვის. თუ თქვენ გინდათ მხოლოდ **«წაგვკიდოთ» ჩ ვ ე ნ** რუსულ პრესაში პოლონელებსა და ჰოლანდიელებს, ამის ნებას ჩვენ ა რ მოგცემთ.

აი საქმის ვითარება, აი ჩემი მოსაზრებანი; და ვიმეორებ, რომ აუცილებლად გამოგიგზავნით ბუხარინის გაზაფხულის თეზისებს, რომ მთელი მდგომარეობის შესახებ მსჯელობა შეგეძლოთ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ.

თვითგამორკვევის შესახებ დღეს წერს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. ჩვენ დაქუცმაცების მომხრე ა რ ა ვართ. ახლა ა ნ ე ქ ს ი ე ბ ი ს საკითხი? ბუხარინსა და კომპანიას (ისევე როგორც რადეკს, როზა ლუქსემბურგსა და პანეკუკს) არ უფიქრიათ, რას ნიშნავს «ძველი და ახალი ანექსიების წინააღმდეგ» ყოფნა (რადეკის მიერ მოცემული ფორმულა პ რ ე ა ა შ ი)?? ხომ **სწორედ ეს არის** «ერთა თვითგამორკვევა», მხოლოდ ს ხ ვ ა სიტყვებით გამოხატული!

ჯერჯერობით, შემდეგ წერილამდე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. ივნისში
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

102

მ. ნ. პოკროვსკის

2. VII. 1916.

პატივცემულო მ. ნ.! დაზღვეული ბანდეროლით დღეს გიგზავნით ხელნაწერს [160]. მთელი მასალა, გეგმა და სამუშაოს მეტი ნაწილი უკვე დამთავრებული იყო დაკვეთილი გეგმის მიხედვით 5 ფურცელზე (200 ხელნაწერი გვერდი) ისე, რომ ერთხელ კიდევ შემჭიდროება 3 ფურცლამდე აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. საშინლად საწყენი იქნება, თუ არ გამოსცემენ! მაშინ ხომ არ შეიძლება ის მაინც მიშუამდგომლოთ, რომ მოთავსებულ იქნეს იმავე გამომცემლის ჟურნალში? ჩემი მიწერ-მოწერა მასთან, სამწუხაროდ, რატომღაც შეწყდა... რაც შეეხება ავტორის სახელს, მე, რა თქმა უნდა, ვამჯობინებდი ჩემს ჩვეულებრივ ფსევდონიმს. თუ უხერხულია, გთავაზობთ ახალს: ნ. ლენივცინი. თუ გინდათ, აიღეთ რომელიც გენებოთ. რაც შეეხება შენიშვნებს, ძალიან და ძალიან გთხოვთ დატოვოთ ისინი; № 101-დან დაინახავთ, რომ მათ ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ; შემდეგ რუსეთში ხომ კითხულობენ სტუდენტებიც etc.: მათ სჭირდებათ ლიტერატურის მითითება. ეს საგანგებოდ შევარჩიე უაღრესად ეკონომიური (ადგილის, ქ ა ღ ა ლ დ ი ს აზრით) სისტემა. 7 ხელნაწერი გვერდი, წვრილი შრიფტი თუ იქნა, ორიოდე ნაბეჭდ გვერდს დაიკავებს. ძალიან გთხოვთ დატოვოთ შენიშვნები ან მიშუამდგომლოთ გამომცემლის წინაშე მათი დატოვების შესახებ. სათაურის შესახებ: თუ უხერხულია ეს სათაური, თუ სასურველია არ იხსენიებოდეს სიტყვა იმპერიალიზმი, მაშინ სათაურად გაუკეთეთ: «უახლესი კაპიტალიზმის ძირითადი თავისებურებანი». (ქვესათაური «პოპულარული ნარკვევი» აუცილებლად საჭიროა, რადგან მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები

გადმოცემულია ასეთი ხასიათის ნაშრომის შესაბამისად.) პირველ ფურცელს, სადაც ჩამოთვლილია თავები, რომელთაგან ზოგიერთი, სისასტიკეთა თვალსაზრისით, შესაძლოა სავსებით მოხერხებულად არ არის დასათაურებული, ვგზავნი თქვენთვის: უკეთუ უფრო მოსახერხებელია და სახიფათო არაა, დაიტოვეთ თქვენთან, შემდგომ ნუ გაგზავნით. საერთოდ ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, თუ ესეც და მეორეც მოთავსდებოდა იმავე გამომცემლის ჟურნალში: თუ ეს უხერხულად არ მიგაჩნიათ, მისწერეთ მათ ამის შესახებ, ძალიან მადლობელი დაგრჩებით. ხელს გართმევთ და მხურვალე სალამს გითვლით!

თქვენი ვ. ულიანოვი

P. S. მთელი ძალებით ვეგუებოდი «სისასტიკეებს»: ჩემთვის ეს საშინლად ძნელია, ვგრძნობ, რომ ამის გამო უამრავი დაუხვეწელი ადგილი მაქვს. მაგრამ რაღა ეშველება!

Ulianow. Spiegelgasse. 14. II. Zürich. I.

გაგზავნილია Sceaux-ში (Seine) (საფრანგეთი)

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის **მიხედვით**

103

გ. ზინოვიევს

ბუხარინის სტატია უთუოდ არ ვარგა[161]. «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიის» ნასახიც ა რ ა რ ი ს. არის ნაკრები ცნობები სახელმწიფო კაპიტალიზმის ზრდის შესახებ, ეს არის და ეს. ამ უაღრესად ლეგალური მასალით არალეგალური ჟურნალის ავსება აბსურდია. უარყოფილ უნდა იქნეს (მეტად თავაზიანად, აღეთქვას ყოველგვარი ხელშეწყობა ლეგალურად მოთავსებისათვის) *.

მაგრამ, ვგონებ, სჯობდეს მოვუცადოთ იურის სტატიას — ჯერჯერობით არ მივწეროთ ბუხარინს.

გადავდოთ აგრეთვე წერილის მიწერა ბუხარინისათვის მათი «ფრაქციის» შესახებ, თორემ იფიქრებს, «ფრაქციულობის» გამო მითხრეს უარიო.

დააყენო საკითხი «ეპოქისა» და «შ ო ც ე მ უ ლ ი ო ვ ი ს» შესახებ, — როგორც «უკიდურესობანი», სწორედ ეს ნიშნავს ეკლექტიციზმში გადავარდნას. თითქოს ჩვენი ამოცანა იყოს «შუახაზის» დაკავება «უკიდურესობათა შორის»!!!

ამოცანაა **სწორად** განვსაზღვროთ ე პ ო ქ ი ს დამოკიდებულება მ ო ც ე მ უ ლ ი ომისადმი. სწორედ ეს არის გაკეთებული როგორც რეზოლუციებში, ისე ჩემს სტატიებში: «**მოცემული** იმპერიალისტური ომი **გამონაკლისი კი არ არის,** არამედ ტიპიური მოვლენაა იმპერიალისტურ ე პ ო ქ ა შ ი». ||ტიპიური ერთადერთი როდია.||

---

* — კერძოდ, ჩემი მხრივ, დავსძენ რჩევას ბუხარინისათვის: შეცვალოს სათაური და დატოვოს მ ხ ო ლ ო დ ეკონომიური ნაწილი, რადგან პოლიტიკური სრულებით არ არის მოთავებული და ბოლომდე მოფიქრებული, იგი არაფრის მაქნისია.

მოცემულ ომს ვერ გავიგებთ, თუ ეპოქა არ გავიგეთ.

როდესაც ეპოქაზე ასე ამბობენ, ეს ფრაზა როდია. ეს სწორია. ჩემი ძველი სტატიებიდან მოყვანილი თქვენი ციტატებიც **მ ხ ო ლ ო დ** ამას მეტყველებენ. ი ს ი ნ ი ს წ ო რ ი ა.

მაგრამ როდესაც აქედან **დ ა ი წ ყ ე ს** დასკვნის გამოყვანა: «იმპერიალიზმის ეპოქაში არ **შეიძლება** ეროვნული ომები იყოსო», ეს სისულელეა. ეს აშკარა შეცდომაა — ისტორიულიც, პოლიტიკურიც, ლ ო გ ი კ უ რ ი ც (ვინაიდან ეპოქა სხვადასხვაგვარ მოვლენათა ჯამია, რომელშიც ტიპიურის გარდა **მ უ დ ა მ** არის სხვაგვარი).

და თქვენ **იმეორებთ ამ შეცდომას**, როცა შენიშვნებში წერთ:

«ახლანდელ ეპოქაში პატარა ქვეყნებს არ შეუძლიათ სამშობლო დაიცვანო».

[= ვულგარიზატორები]

სწორი არ არის!! სწორედ ეს არის იუნიუსის, რადეკის, «განიარაღების მომხრეებისა» და იაპონელების შეცდომა!!

უნდა ითქვას: «პატარა **ქვეყნებსაც** არ შეუძლიათ დაიცვან სამშობლო **იმპერიალისტურ ომებში**, რომლებიც განსაკუთრებით ტიპიურია თანამედროვე იმპერიალისტური ეპოქისათვის».

აქ განსხვავებაა.

ამ განსხვავებაში **მთელი არსი** ვ უ ლ გ ა რ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი ს საწინააღმდეგოა. თქვენ კი სწორედ ა რ ს ი ვერ შეგიმჩნევიათ.

გრიმი ვულგარიზატორების შეცდომას იმეორებს, თქვენ კი ხ ე ლ ს ა ფ ა რ ე ბ თ მას, არასწორ ფორმულირებას **რომ** იძლევით. პირიქით, საჭიროა სწორედ ახლა (საუბარშიც და სტატიებშიც) გრიმის წინაშე უარყოთ ვულგარიზატორები.

ჩვენ სულაც არა ვართ **საერთოდ** «სამშობლოს დაცვის» წინააღმდეგი, **საერთოდ** «თავდაცვითი ომების» წინააღმდეგი. ამ სისულელეს ვერც ერთ რეზოლუციაში (და ვერც ერთ ჩემს სტატიაში) ვ ე რ იპოვით. ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამშობლოს დაცვისა და თავდაცვისა 1914 — 1916 წლ. ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ომ შ ი და სხვა **იმპერიალისტურ** ომებში,

რომლებიც ტიპიურია იმპერიალისტური **ეპოქისათვის.** მაგრამ იმპერიალისტურ ეპოქაში **შეიძლება** იყოს «სამართლიანი», «თავდაცვითი», რევოლუციური ომებიც |სახელდობრ: 1) ეროვნული; 2) სამოქალაქო; 3) სოციალისტური და სხვ.|.

დაწერილია 1916 წ. აგვისტოში
ვაგზავნილია ფლიუმსიდან ბერნში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

104

ნ. ბუხარინს

ძვირფ. ამხ.!

სამწუხაროდ, სტატიას «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის» ვერ მოვათავსებთ. აღმოჩნდა, რომ ადგილი იმდენად არის დაკავებული რუსეთის მასალებით, რომ შეეიწროებულია ყველა დანარჩენი თემა და ფული არა გვყოფნის. ძნელი მდგომარეობა გვაქვს.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია სტატიის ზოგიერთი ნაკლი.

სათაური შინაარსს არ შეესაბამება. სტატია შედგება 2 ნაწილისაგან, რომელთა შეერთება საკმაოდ არ არის მოფიქრებული: 1) საერთოდ სახელმწიფოს შესახებ და 2) სახელმწიფო კაპიტალიზმისა და მისი ზრდის შესახებ (განსაკუთრებით გერმანიაში). მე-2 ნაწილი კარგია და სასარგებლო, მაგრამ $^{9}/_{10}$-ით ლეგალურია. ჩვენი რჩევა იქნებოდა მოგეთავსებინათ იგი ერთ-ერთ ლეგალურ კრებულში (თუ «ლეტოპისში» არა) ძ ა ლ ი ა ნ მცირე გადაკეთების შემდეგ, და მზად ვიქნებოდით გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, ასეთი მოთავსებისათვის.

1-ლი ნაწილი ეხება უდიდესი პრინციპული მნიშვნელობის თემას, მაგრამ სწორედ მხოლოდ ე ხ ე ბ ა. ჩვენ არ შეგვიძლია, როცა წელიწადში ერთხელ ვუშვებთ კრებულებს, თეორიის ესოდენ ძირეული საკითხის შესახებ დავბეჭდოთ არასაკმაოდ მოფიქრებული ნაწარმოები. არ ვეხებით რა პოლემიკას გუმპლოვიჩთან etc. (უმჯობესია ეს პოლემიკაც გადაკეთდეს და **განვითარდეს** ლეგალურ სტატიად), უნდა აღვნიშნოთ მთელი რიგი მეტისმეტად არაზუსტი ფორმულირებანი, რომლებიც ავტორს აქვს.

მარქსიზმი არის «სოციოლოგიური» (???) «თეორია სახელმწიფოსი»; სახელმწიფო = გაბატონებული კლასების «ზოგადი» (?) ორგანიზაცია; ენგელსიდან მოყვანილი ციტატები **შეწყვეტილია** სწორედ იმ ადგილებში, რომლებიც **განსაკუთრებით** მნიშვნელოვანია, რაკი ამაზე ვლაპარაკობთ. სახელმწიფოს საკითხში მარქსისტების განსხვავება ანარქისტებისაგან (გვ. 15 — 16) **სრულიად არასწორად** არის განმარტებული: თუ ამაზე ვილაპარაკებთ, ასე რ ო დ ი უნდა ვილაპარაკოთ; ასე ლაპარაკი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. დასკვნა (ხაზგასმა ავტორისაა): «სოციალ-დემოკრატია დაჟინებით უნდა უსვამდეს ხაზს თავის პრინციპულ მტრობას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი» (გვ. 53); [შეადარეთ: პროლეტარიატი ქმნის «ხელისუფლების თავის დროებითს სახელმწიფო ორგანიზაციას» (გვ. 54) («ხელისუფლების სახელმწიფო ორგანიზაცია»!?)] — აგრეთვე ან უაღრესად არაზუსტია, ან არასწორია.

რჩევა: ლეგალური სახე მიეცეს **(α)** სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის შესახებ და **(β)** პოლემიკას გუმპლოვიჩთან და კომპანიასთან. დანარჩენს **მომწიფება უნდა დასცალდეს.** ასეთია ჩვენი რწმენა.

დაწერილია 1916 წ. აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია)
ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

105

ა. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო! როგორც ჩანს, ბელენინის გადაწყვეტილება მისი «გასეირნების» შესახებ უკვე მიღებულია, იმ წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც დღეს გრიგოლმა გადმომიგზავნა. ვადაც სულ მცირეა! მასთან მიწერ-მოწერის მოგვარება და შეთანხმება კი უაღრესად საჭიროა: ამ საქმეს ახლა მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ძალიან და ძალიან გთხოვთ ყველა ღონისძიება იხმაროთ, რომ პირადად თქვენ ინახულოთ ბელენინი, გადასცეთ მას ყოველივე ქვემოთ მოყვანილი და გულახდილად, აგრეთვე დაწვრილებით, მომწეროთ (აუცილებლად!), როგორ არის საქმე, ე. ი. ჩემსა და ბელენინს შორის არის თუ არა უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა და სხვ. და როგორი (და როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან, თუ არის).

ჯემსის ჩამოშორება[162] (ამ ჩამოშორების შესახებ ძალიან გთხოვთ არც ერთ კაცთან საზღვარგარეთ კრინტი არ დაძრათ: ვერ წარმოიდგენთ, **ყოველი** მხრივ რა საშიშია საზღვარგარეთული ლაყბობა ამ თემაზე და ასეთ ამბებთან **დაკავშირებით**) — ჯემსის ჩამოშორება მდგომარეობას კრიზისულს ხდის და კვლავ დღის წესრიგში აყენებს საკითხს მუშაობის საერთო გეგმის შესახებ.

ჩემი რწმენით, ეს გეგმა შედგება, ჯერ-1, თეორიული ხაზისაგან; მე-2, უახლოესი ტაქტიკური ამოცანებისაგან და, მე-3, უშუალოდ ორგანიზაციული ამოცანებისაგან.

(1) პირველი პუნქტის მიხედვით ახლა დღის წესრიგშია არა მარტო იმ ხაზის გაგრძელება, რომელიც აღბეჭდილი გვაქვს (ცარიზმის წინააღმდეგ და სხვ.) რეზოლუციებსა და ბროშურაში[163] (ეს ხაზი შესანიშნავად დაადასტურა ამბებმა,

გათიშვამ ინგლისში[164] და სხვ.), არამედ აგრეთვე მისი გაწმენდა დემოკრატიის უარყოფის მომწიფებული უაზრობებისა და არევ-დარევისაგან (ასეთებია განიარაღება, თვითგამორკვევის უარყოფა, «საერთოდ» სამშობლოს დაცვის თეორიულად არასწორი უარყოფა, მერყეობა საერთოდ სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის საკითხში და სხვ.).

ფრიად სამწუხაროა, თუ ბელენინს ვეღარ მოუსწრებს კიევსკის საპასუხოდ დაწერილი ჩემი სტატია (იგი სწორედ გუშინ გაიგზავნა გადასაწერად და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იქნება მზად)[165]. როგორ მოიქცეთ? ნუ უგულებელყოფთ თეორიულ შეთანხმებას: ღმერთმანი, იგი აუცილებელია ასეთ ძნელ დროში მუშაობისათვის. მოიფიქრეთ, ხომ არ შეიძლება განხორციელდეს შემდეგი (ან მსგავსი) გეგმა: მე ვხვდები, რომ ბელენინის ცოლი ამერიკაში კი არ არის, როგორც მე მეგონა, არამედ ესპანეთში[166], რომელზეც ახლა ბელენინიც ხომ გაივლის. არ შეიძლება მოვაგვაროთ მიწერ-მოწერა და ხელნაწერების გადაგზავნა მისი ცოლისათვის. ესპანეთში? მაშინ იქნებ ჩემს სტატიასაც, თუნდაც ერთი კვირის შემდეგ გაგზავნილს, ბელენინამდე დროზე მიეღწია, ვინაიდან იგი ალბათ რამდენიმე დღეს დარჩება ესპანეთში.

მოიფიქრეთ: ამ სპეციალური შემთხვევის გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგულარულ მიწერ-მოწერას ბელენინის ცოლთან და საერთოდ ესპანეთთან. ესპანეთი უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტია ახლა, ვინაიდან ინგლისის წინააღმდეგ იქ მაინც უფრო მოსახერხებელია მუშაობა, ვიდრე სხვა ადგილებში.

აღარ შემიძლია გავაგრძელო სიტყვა თეორიული შეთანხმების შესახებ. მტრები უკვე ჩაებღაუჭნენ დემოკრატიის მნიშვნელობის სულელურ უარყოფას (პოტრესოვი «დელოს» № 1-ში). ბაზაროვმა მოჩმახა «ლეტოპისში». ბოგდანოვი ს ხ ვ ა აბდაუბდას, მაგრამ ი ს ე ვ აბდაუბდას წერს «ლეტოპისში». იქ რაღაც მეტისმეტად საეჭვო ბლოკია მახისტებისა და ოკისტებისა. საზიზღარი ბლოკი! საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს მისი შემუსვრა... ხომ არა ვცადოთ ბლოკი მახისტებთან ოკისტების

წინააღმდეგ? საეჭვოა, რომ მოხერხდეს!! პოლიტიკაში გორკი მუდამ უაღრესად უხასიათოა და გრძნობასა და განწყობილებას აჰყვება ხოლმე.

ლეგალურ პრესას რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ სწორი ხაზის საკითხსაც უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ამ ასპარეზზე მტრებისათვის უფრო ადვილია «ტყვია დაგვიშინონ».

ვფიქრობ, ყველაფერს ის ემჯობინებოდა, რომ ბელენინს შეეძლოს «ბაზა» ჰქონდეს ესპანეთში, იღებდეს იქ ჩვენს წერილებსა და ხელნაწერებს, განვაგრძობდეთ შეთანხმებას, ვუგზავნიდეთ ერთმანეთს წერილებს, ბელენინს შეეძლოს მალე უკან დაბრუნდეს სხვაგან ხანმოკლე მგზავრობის შემდეგ (ვინაიდან საშიშროება ძლიერ დიდია და საქმისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება, რომ ბელენინმა მ ო კ ლ ე ვ ა დ ა შ ი მოიაროს ხოლმე რამდენიმე ქალაქი და შემდეგ დაბრუნდეს ესპანეთში ან იქვე, სადაც ახლაა იგი, ან მეზობელ ქვეყანაში კავშირების გ ა ნ ს ა მ ტ კ ი ც ე ბ ლ ა დ და სხვ.).

მეორე პუნქტის მიხედვით. ახლა, მე ვფიქრობ, მთავარია ცარიზმის წინააღმდეგ პოპულარული ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემა. მოიფიქრეთ, არ შეიძლება ეს ესპანეთში მოეწყოს? თუ არა, აქ დავამზადებთ და გამოგიგზავნით ხოლმე, ამისათვის საჭიროა უ ა ღ რ ე ს ა დ ა კ უ რ ა ტ უ ლ ი კავშირი ტრანსპორტის მხრივ. თქვენ სავსებით მართალი იყავით, რომ იაპონელები ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ. ყველაფერს ემჯობინება უცხოელები, რომლებთანაც შეგვეძლება მიწერ-მოწერა ინგლისურ ან სხვა უცხო ენაზე. ტრანსპორტის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან თქვენ თვითონაც ხედავთ და იცით. უბედურებაა — ფული არა გვაქვს, მაგრამ პიტერში უნდა შეაგროვონ.

რუსეთში მთავარი პარტიული საკითხი იყო დ ა დ ა რ ჩ ე ბ ა «ერთიანობის» საკითხი. ტროცკიმ თავისი გაზეთის 500 — 600 №№-ში მაინც ბოლომდე არა თქვა და ბოლომდე ვერ მოიფიქრა: ერთიანობა ჩხეიძესთან, სკობელევთან და კომპანიასთან? თუ არა? ვგონებ, დარჩნენ «გაერთიანების

მომხრენი» პიტერშიც, თუმცა ძალიან სუსტი არიან (მათ ხომ არ გამოსცეს «რაბოჩიე ვედომოსტი» პიტერში?) [167]. ამბობენ, «მაკარი» მოსკოვშია და ისიც შემარიგებლობსო. შემარიგებლობა და გამაერთიანებლობა უაღრესად საზიანოა მუშათა პარტიისათვის რუსეთში, არა მარტო იდიოტიზმია, არამედ პარტიის დ ა ღ უ პ ვ ა ც არის. ვინაიდან ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი «გაერთიანება» (ან შერიგება და სხვ.) ჩხეიძესთან და სკობელევთან (ისინი არიან მთავარი, ვინაიდან თავს «ინტერნაციონალისტებად» ასაღებენ) — არის «ერთიანობა» ორგანიზაციულ კომიტეტთან, ხოლო მისი მეშვეობით პოტრესოვთან და კომპანიასთან, ე. ი. სინამდვილეში ლ ა ქ ი ო ბ ა სოციალ-შოვინისტების წინაშე. თუ ტროცკი და კომპანია ამას ვერ მიმხვდარან, მით უარესი მათთვის. «დელოს» № 1 და — რაც მთავარია — მუშების მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში ა მ ტ კ ი ც ე ბ ს, რომ ეს ასეა.

არა მარტო სათათბიროს არჩევნებში ზავის მეორე დღეს, — არამედ პარტიული პრაქტიკის საერთოდ ყ ვ ე ლ ა საკითხშიც ჩხეიძესთან და კომპანიასთან «ერთიანობა» ახლა მ თ ა ვ ა რ ი ა. ჩვენ შეგვიძლია დავენდოთ მხოლოდ იმათ, ვინც მიხვდა ერთიანობის იდეის მთელ სიყალბეს და რუსეთში ამ ხალხთან (ჩხეიძესა და კომპანიასთან) გათიშვის მთელ საჭიროებას. ბელენინმა მ ხ ო ლ ო დ ასეთი ადამიანები უნდა შეაკავშიროს ხელმძღვანელთა როლისათვის.

სხვათა შორის: საერთაშორისო მასშტაბით გათიშვაც მომწიფდა. ახლა სავსებით დროულად მიმაჩნია, რომ რუსეთის ყ ვ ე ლ ა შეგნებულ-ხელმძღვანელი მუშები მიხვდნენ ამას და იღებდნენ რეზოლუციებს II ინტერნაციონალთან, ჰიუისმანსის, ვანდერველდისა და კომპანიის საერთაშორისო ბიუროსთან ორგანიზაციული გათიშვის სასარგებლოდ, — იმის სასარგებლოდ, რომ III ინტერნაციონალი აგებული იყოს მ ხ ო ლ ო დ ყველა ქვეყნის კაუცკელთა წინააღმდეგ (ჩხეიძე და კომპანია, ისევე როგორც მარტოვი და აქსელროდი, — რუსი კაუცკელები), მ ხ ო ლ ო დ იმ ადამიანებთან დაახლოებით, რომლებიც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის პოზიციაზე დგანან.

მე-3 პუნქტის მიხედვით. ახლა ყველაზე მტკივნეული ადგილია: სუსტი კავშირი ჩვენსა და ხელმძღვანელ მუშებს შორის რუსეთში!! არ არის არავითარი მიწერ-მოწერა!! არ არის არავინ, გარდა ჯკემსისა, ახლა კი აღარც იგია!! ასე არ შეიძლება: არც ფურცლების გამოცემა, არც ტრანსპორტი, არც შეთანხმება პროკლამაციების შესახებ, არც მათი პროექტების გაგზავნა და სხვ. და სხვ. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მოეწყოს, თუ არ არის წ ე ს ი ე რ ი კონსპირაციული მიწერ-მოწერა. ეს არის მთავარი!

ეს არ გაუკეთებია (მაშინ, ალბათ, არც შეეძლო) ბელენინს პირველი გამგზავრებისას. ღვთის გულისათვის, დაარწმუნეთ იგი, რომ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს მეორე გამგზავრების დროს! აუცილებლად!! ღმერთმანი, კავშირთა რაოდენობით უნდა იზომებოდეს გამგზავრების უახლოესი წარმატება!! (რა თქმა უნდა, ბელენინის პირადი გავლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ვ ე რ შ ე ძ ლ ე ბ ს სადმე დიდხანს დარჩეს, რომ ამით თავი არ დაიღუპოს და საქმეს ზიანი არ მოუტანოს.) გამგზავრების წარმატება იზომება კავშირთა რაოდენობით თვითეულ ქალაქში!!

თვითეულ ქალაქში მინიმუმ ორი-სამი კავშირი ხელმძღვანელ მ უ შ ე ბ თ ა ნ, ე. ი. რომ ისინი თვითონ წ ე რ დ ნ ე ნ, **თვითონ** დაეუფლონ კონსპირაციულ მიწერ-მოწერას (ქოთნების გამოწვა ღმერთების საქმე როდია), თვითეულმა თვითონ მოამზადოს თავისთვის 1 — 2 «მემკვიდრე» ჩავარდნის შემთხვევისათვის. ეს არ უნდა ვანდოთ მარტო ინტელიგენციას. **არ** უნდა ვანდოთ. ამის გაკეთება შეუძლიათ ხელმძღვანელ მუშებს და ისინი კიდევაც უნდა აკეთებდნენ ამას. უამისოდ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დამყარდეს მუშაობის თანამომდევნობა და მთლიანობა, ეს კი მთავარია.

ვგონებ, ყველაფერი ვთქვი?

ლეგალური ლიტერატურის შესახებ კიდევ დავსძენ: მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, დაბეჭდავენ თუ არა «ლეტოპისში» (თუ არ შეიძლება ოკისტების განდევნა მახის-

ტებთან ბლოკის შემწეობით) ჩემს სტატიებს! შეზღუდვებით? რა შეზღუდვებით?

უფრო დაწვრილებით უნდა გამოვარკვიოთ «ვოლნას»[168] შესახებ.

პირადად ჩემზე ვიტყვი, რომ შემოსავალი მესაჭიროება. უამისოდ პირდაპირ სული ამომძვრება, ღმერთმანი!! საშინელი სიძვირეა, ცხოვრების სახსარი კი არა მაქვს. **ძალით** უნდა დავაძროთ ფული* «ლეტოპისის» გამომცემელს, რომელსაც ჩემი ორი ბროშურა გაეგზავნა[169] (გადაიხადოს; **ახლავე** და რაც შეიძლება მეტი!). იგივე — ბონჩის მიმართ. იგივე — **თარგმანების** შესახებ. ეს თუ არ მოვაგვარეთ, ისე, ღმერთმანი, ველარ გავძლებ, ამას ვამბობ სავსებით სერიოზულად, სავსებით, სავსებით.

მაგრად გართმევთ ხელს, ათასი საუკეთესო სურვილი ბელენინს და მიღების შესახებ **მაშინვე** მოიწერეთ თუნდაც ორი სიტყვა.

თქვენი ლენინი

P. S. გულახდილად მომწერეთ, რა განწყობილებით მიდის ბუხარინი? მოგვწერს ხოლმე თუ არა? შეასრულებს ხოლმე თხოვნას თუ არა? მიწერ-მოწერა (ამერიკასთან) შესაძლებელია **მხოლოდ** ნორვეგიით: უთხარით ეს მას და მოაგვარეთ.

დაწერილია 1916 წ. სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ფულის შესახებ ბელენინი მოელაპარაკება კატინს და თვით გორკის, **რა თქმა უნდა, უხერხული თუ არ იქნება.**

106

ნ. დ. კიკნაძეს

ძვირფასო ამხანაგო!

დიდად გმადლობთ, ენენევის კამათზე რომ მიამბეთ: ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გვქონდეს მკითხველთა მოსაზრებანი. სამწუხაროა, რომ მათ იშვიათად გვაცნობენ.

ლუნაჩარსკი, ბეზრაბოტნი და კომპ. უთავო ხალხია.

გირჩევთ პირდაპირ დაუყენოთ მათ კითხვა: მოგვცენ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი თეზისები (შემდეგ პრესაშიც), მოკლე, ნათელი (როგორც ჩვენი რეზოლუციებია) — (1) თვითგამორკვევის შესახებ (ჩვენი პარტიის პროგრამის § 9). ეთანხმებიან თუ არა ისინი 1913 წ. რეზოლუციას?

თუ არა, რატომ დუმილით აუარეს გვერდი? **რატომ არ** მოგვცეს თავიანთი?

(2) რ ა ტ ო მ უარყოფენ სამშობლოს დაცვას ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ომში?

(3) **რ ო გ ო რ** აყენებენ «სამშობლოს დაცვის» საკითხს?

(4) **როგორია** მათი დამოკიდებულება ეროვნული ომებისადმი

და (5) — ეროვნული აჯანყებებისადმი?

გვიპასუხონ!

ბალღებივით დაიბნევიან, სანაძლეოს ვდებ. მათ ვ ე რ ა ფ ე რ ი ვერ გაიგეს «ერისა» და «სამშობლოს დაცვის» ისტორიული ხასიათის საკითხში.

რაკი თქვენ გსურთ ეკამათოთ მათ, გიგზავნით ჩემს სტატიას ამ თემაზე კრებულის № 3-დან (ან 4-დან) [170]. ე ს კ ე რ ძ ო დ, ე. ი. მ ხ ო ლ ო დ თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს: წაკითხვის შემდეგ მე დამიბრუნეთ ან კარპინსკებს გადაეცით, **რ ო მ**

მათ მორიგი პაკეტით დამიბრუნონ. ხალხს ამას ჯერ კიდევ ვერ ვაჩვენებ.

მე მეგონა, რომ თქვენ წახვედით, და ამიტომ წერილი შვეიცარიის საქმეებზე მარტო ნოეს გამოვუგზავნე. მაგრამ წერილი თქვენთვისაც არის განკუთვნილი. **წაიკითხეთ.** ნოე კრინტსაც არა ძრავს, რომ მიპასუხოს. უცნაურია! მეტად უცნაურია!

მხურვალე სალამი. გამოჯანსაღდით! ხელს გართმევთ.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წ. ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

107

ფრანც კოლრიჩოლნერს

25. X. 1916.

ძვირფასო მეგობარო! ძალიან ვწუხვართ, რომ თქვენ აქამდე ერთი სტრიქონიც არ მოგვწერეთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვენაში მომხდარი დიდი ამბები ბოლოს ბიძგს მოგცემენ მოგვწეროთ დაწვრილებით.

«Berner Tagwacht»-ში * (ხოლო შემდეგ სხვა გაზეთებში) გამოქვეყნდა ცნობა, რომ შპეიერის (ავსტრია) სამხედრო ქარხანაში გაფიცული იყო 24 000 მუშა, რომ ჩეხმა ჯარისკაცებმა სროლა ასტეხეს და მოკლულია 700 (შვიდასი!) მუშა! რამდენად მართალია ეს? გთხოვთ მაცნობოთ ეს რაც შეიძლება დაწვრილებით.

რაც შეეხება ფრიდრიხ ადლერის ნაბიჯს [171], გთხოვთ დაწვრილებით მაცნობოთ ამის შესახებ.

აქაური გაზეთები («Berner Tagwacht»-ი და «Volksnecht»-ი ** — ორივე მოგდით? თუ არც ერთი მათგანი?) ქებადიდებას ასხამენ ამ აქტს. «Avanti!» *** (აღწევს თუ არა თქვენამდე «Avanti!»?) იუწყება, რომ ფრიდრიხ ადლერი ავსტრიელ ინტერნაციონალისტთა განთქმული მანიფესტის ავტორია. მართალია თუ არა ეს? და მოხერხებულია თუ არა უკვე ახლა აშკარად ლაპარაკი ამაზე?

(1) ელაპარაკა თუ არა ფრიდრიხ ადლერი ვინმეს თავისი გეგმის შესახებ? (2) ხომ არ გადაუცია რომელიმე მეგობრისათვის დოკუმენტები, წერილები, განცხადებანი, რათა ისინი

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

** — «ხალხის უფლება». რ ე დ.

*** — «წინ». რ ე დ.

შემდეგში გამოქვეყნდეს? (3) მართალია თუ არა ის, რასაც წერს ვენის «Arbeiter Zeitung»-ი *, თითქოს იგი ყ ვ ე ლ გ ა ნ (რკინიგზის კლუბშიც და სხვა ადგილებშიც) უმცირესობაში რჩებოდა (და რამდენად დიდი იყო ეს უმცირესობა?); 4) — — რომ მისი მდგომარეობა ორგანიზაციაში «აუტანელი» გახდა (?) — 5) — რომ უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე მან მხოლოდ შ ვ ი დ ი ხმა მიიღო? — 6) რომ რწმუნებულ პირთა უკანასკნელ ორ კრებაზე იგი უაღრესად მკვეთრად ესხმოდა თავს პარტიას და მოითხოვდა «დემონსტრაციებს»? (სახელდობრ როგორს?).

გთხოვთ, რაც შეიძლება დაწვრილებით მოიწეროთ ყველა ამ საკითხზე და საერთოდ — მოგვაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და დაწვრილებითი ცნობები ფრიდრიხ ადლერზე. თუ თქვენ განსაკუთრებულ მითითებას არ მოგვცემთ, ჩ ვ ე ნ დ ა ვ ბ ე ჭ დ ა ვ თ ჩვენს გაზეთებში ყველაფერს, რასაც კი თქვენგან მივიღებთ (და გამოვაქვეყნებთ — როგორც ჩვენს სარედაქციო მასალას — აქაურ გერმანულ პრესაშიც).

რაც შეეხება აქტის პოლიტიკურ შეფასებას, ჩვენ, ცხადია, კვლავ ჩვენი იმ ძველი, ათეულ წელთა გამოცდილებით დადასტურებული რწმენისა ვრჩებით, რომ ინდივიდუალური ტერორისტული ხელყოფა პოლიტიკური ბრძოლის მ ი ზ ა ნ შ ე უ წ ო ნ ე ლ ი საშუალებაა.

«Killing is no murder» **, წერდა ჩვენი ძველი «ისკრა» ხელყოფის შესახებ; ჩვენ **სრულებითაც წინააღმდეგი არა ვართ** პოლიტიკური მკვლელობისა (ამ მხრივ პირდაპირ საზიზღარია «V o r w ä r t s»-ისა *** და ვენის «A r b e i t e r Z e i t u n g»-ის ოპორტუნისტთა ლაქიური ჯღაბნა), მაგრამ, როგორც რევოლუციური ტაქტიკა, ინდივიდუალური ხელყოფა მიზანშეუწონელი და მავნეა. მხოლოდ მასობრივი მოძრაობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა. მხოლოდ მასობრივ მოძრაობასთან პირდაპირი,

* — «მუშათა გაზეთი». რ ე დ.

** — «მოკვდინება **მკვლელობა არ არის**». **რ ე დ.**

*** — «წინ». რ ე დ.

უშუალო კავშირით შეიძლება სარგებლობა მოიტანოს და უნდა მოიტანოს კიდეც ინდივიდუალურმა ტერორისტულმა მოქმედებამაც. რუსეთში ტერორისტებმა (რომელთა წინააღმდეგ ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით) მთელი რიგი ინდივიდუალური ხელყოფა მოახდინეს, მაგრამ 1905 წ. დეკემბერში, როცა საქმე, ბოლოს, მასობრივ მოძრაობამდე, აჯანყებამდე მივიდა, — როცა საჭირო იყო დახმარებოდნენ მასას ძალდატანების გამოყენებაში, — «ტერორისტები» სწორედ მაშინ არ ჩანდნენ. ეს არის ტერორისტების შეცდომა.

ადლერი გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანდა რევოლუციურ მოძრაობას, რომ არ შეშინებოდა გათიშვისა და სისტემატურად გადასულიყო არალეგალურ პროპაგანდასა და აგიტაციაზე. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გამოჩენილიყო რომელიმე მემარცხენე ჯგუფი, რომელიც ვენაში გამოაქვეყნებდა ფურცელს და ამ ფურცლით აცნობებდა მუშებს თავის შეხედულებას: უაღრესი სიმკაცრით დაგმობდა ვენის «**Arbeiter Zeitung**»-ისა და «Vorwärts»-ის ლაქიობას, მორალურად გაამართლებდა ადლერის ნაბიჯს («Killing is no murder»), მაგრამ მუშებისათვის გაკვეთილის სახით განაცხადებდა: არა ტერორიზმი, არამედ სისტემატური, ხანგრძლივი, თავდადებული მუშაობა რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციისა, დემონსტრაციები და ა. შ. და ა. შ. ლაქიური, ოპორტუნისტული პარტიის წინააღმდეგ, იმპერიალისტების წინააღმდეგ, საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ, — აი რა არის საჭირო.

გთხოვთ აგრეთვე გვაცნობოთ, რამდენად სწორი იქნებოდა მიგვეჩნია ადლერის ნაბიჯი სასოწარკვეთილების აქტად? მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკურად ეს ასეა. მას გული გაუტყდა პარტიაზე, ველარ აიტანა, რომ ამ პარტიასთან მუშაობა შეუძლებელია, რომ შეუძლებელია ვიქტორ ადლერთან ერთად მუშაობა, მას არ შეეძლო შერიგებოდა გათიშვის იდეას, ეკისრნა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის მძიმე ამოცანა. და სასოწარკვეთილების შედეგად მოახდინა ხელყოფა.

კაუცკელის სასოწარკვეთილების აქტი («Volksrecht»-ი წერს, რომ ადლერი იყო არა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მომხრე, არამედ უფრო კაუცკელი).

მაგრამ ჩვენ, რევოლუციონერები, არ შეიძლება სასოწარკვეთილებას მივეცეთ. ჩვენ არ გვეშინია გათიშვისა. პირიქით: ჩვენ ვაღიარებთ გათიშვის აუცილებლობას, ჩვენ განვუმარტავთ მასებს, თუ რატომ არის გათიშვა გარდუვალი და აუცილებელი, ჩვენ მოვუწოდებთ ძველი პარტიის წინააღმდეგ მუშაობისაკენ, რევოლუციური მასობრივი ბრძოლისაკენ.

რა მიმდინარეობანი (resp. * რა ინდივიდუალური ელფერები) არსებობენ ვენასა და ავსტრიაში ადლერის ნაბიჯის შეფასებაში?

მე ვშიშობ, რომ ვენის მთავრობა ფრიდრიხ ადლერს სულით ავადმყოფად გამოაცხადებს და სასამართლო პროცესს არ დაუშვებს. მაგრამ თუ საქმე სასამართლომდე მივიდა, საჭირო იქნება უთუოდ მოეწყოს ფურცლების გავრცელება.

მოიწერეთ მეტი და უფრო დაწვრილებით და ზუსტად დაიცავით სიფრთხილის ყველა ტექნიკური ზომა.

მხურვალე სალამი!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ციურიხიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. 1 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 60

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

---

* — respective — ანუ. რ ე დ.

108

ნ. დ. კიკნაძეს

ძვირფასო ამხანაგო!

თქვენ სადავოდ მიგაჩნიათ ჩემი შენიშვნა, რომ **შესაძლებელია** ახლანდელი იმპერიალისტური ომიც გადაქცეულ იქნეს ეროვნულ ომად.

თქვენი საბუთი? «ჩვენ მოვალე გავხდებით იმპერიალისტური სამშობლო დავიცვათო»...

განა ეს ლოგიკურია? თუ სამშობლო «**იმპერ**იალისტური» დარჩება, როგორღა იქნება ომი ეროვნული??

ლათაიები «შესაძლებლობათა» შესახებ, ჩემი აზრით, თეორიულად არასწორად გამოიწვიეს რადეკმა და ინტერნაციონალის თეზისების §-ფმა 5.

მარქსიზმი დგას ფაქტების და არა შესაძლებლობათა ნიადაგზე.

მარქსისტი თავისი პოლიტიკის წანამძღვრებად ყოველთვის უნდა აყენებდეს მხოლოდ ზუსტად და უდავოდ დამტკიცებულ ფაქტებს.

სწორედ ასე აკეთებს ჩვენი (პარტიული) რეზოლუცია [172].

როცა მის ნაცვლად «შეუძლებლობას» გვთავაზობენ, მე ვუპასუხებ: სწორი არ არის, მარქსისტული არ არის, შაბლონია. შესაძლებელია ყოველნაირი გარდაქმნები.

და მე მომყავს ისტორიული ფაქტი (1792 — 1815 წლების ომები). ვიღებ მაგალითს იმის საილუსტრაციოდ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია ახლაც (**უკან** განვითარებისას).

ჩემი აზრით, **თქვენ** ერთმანეთში ურევთ შესაძლებელსა (რომლის შესახებ მე არ დამიწყია ლაპარაკი!!) და რეალურს,

როცა ფიქრობთ, რომ შესაძლებლობის აღიარება საშუალებას იძლევა შევცვალოთ ტაქტიკა. ეს უკიდურესი ულოგიკობაა.

მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატი ბურჟუად გადაიქცეს და პირიქით.

უდავო ჭეშმარიტებაა. გამოდის თუ არა აქედან, რომ მე მოცემული ბურჟუა, პლეხანოვი, ახლა სოციალ-დემოკრატად უნდა ვცნო? არა, არ გამოდის. ხოლო შესაძლებლობა? დავუცადოთ მის გადაქცევას სინამდვილედ.

ეს არის და ეს. სწორედ «მეთოდოლოგიაში» (რომელზეც თქვენ იწერებით) უნდა განვასხვაოთ შესაძლებელი სინამდვილისაგან.

შესაძლებელია ყოველნაირი გადაქცევა, სულელის გადაქცევაც კი ჭკვიანად, მაგრამ ნამდვილად ასეთი გადაქცევა იშვიათად ხდება. და მარტო ამგვარი გადაქცევის «შესაძლებლობის» გამო მე არ შევწყვეტ იმას, რომ ამ სულელს სულელად ვთვლიდე.

თქვენი საგონებელში ყოფნა «ორნაირი» აღზრდის შესაძლებლობის შესახებ ჩემთვის ნათელი არ არის. მე ხომ კონკრეტულად დავაყენე მაგალითი (ნორვეგიისა) «პროსვეშჩენიეშიც»[173] და კიევსკის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაშიც[174].

თქვენ არ მიპასუხებთ ამაზე!! თქვენ იღებთ სრულიად ბუნდოვან მაგალითს პოლონეთის შესახებ.

ეს «ორნაირი» აღზრდა კი არ არის, არამედ სხვადასხვა რამეების ერთ მნიშვნელზე დაყვანა, ერთი მოსკოვისაკენ წაყვანაა ნიჟნიდან და სმოლენსკიდან.

შვედი სოციალ-დემოკრატი. რომელიც ნორვეგიის გამოყოფის თავისუფლების მომხრე არ არის, არამზადაა. ამაზე თქვენ არ დავობთ. ნორვეგიელი შეიძლება გამოყოფის მომხრეც იყოს და წინააღმდეგიც. სავალდებულოა თუ არა ერთიანობა ასეთ საკითხში ყველა ქვეყნის ყველა სოციალ-დემოკრატისათვის? არა. ეს იქნება შაბლონი, სასაცილო შაბლონი, სასაცილო პრეტენზია.

პოლონელი სოციალ-დემოკრატებისათვის (ამას მე ვწერდი «პროსვეშჩენიეში») ჩვენ არასოდეს არ დაგვიდვია ბრალი იმისათვის, რომ ისინი პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან.

ნაცვლად მარტივი, ნათელი, თეორიულად უდავო არგუმენტაციისა: არ შეიძლება ახლა მომხრე ვიყოთ ისეთი დემოკრატიული მოთხოვნისა (დამოუკიდებელი პოლონეთი), რომელიც ჩვენ პრაქტიკულად სავსებით დამორჩილებულს გვხდის ერთ-ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს ან კოალიციისადმი

(ეს უდავოა, ეს კმარა; ეს აუცილებელი და საკმარისია)

— ნაცვლად ამისა ისინი აბსურდამდე მივიდნენ: «განუხორციელებელიაო».

ჩვენ ეს სასაცილოდ ავიგდეთ 1903 წელს და 1916 წლის აპრილში.

კეთილმა პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა თითქმის, თითქმის დაამტკიცეს პოლონეთის ახალი სახელმწიფოს შექმნის განუხორციელებლობა, მხოლოდ... მხოლოდ იმპერიალისტმა ჰინდენბურგმა შეუშალა ხელი: აიღო და განახორციელა [175].

რა სასაცილო დოქტრინიორობამდე მიდიან ადამიანები, რომლებსაც სურთ (კრაკოვის თვალსაზრისით [176]) გააღრმაონ (თუ გაასულელურონ?) «ეკონომიური»!!

P. S. D.* იქამდე მივიჯნენ, რომ «Staatenbau»-ს** უარყოფენ!! მთელი დემოკრატია კი განა Staatenbau არ არის? ჰოლანდიის ინდოეთის დამოუკიდებლობა, რასაც გორტერი მოითხოვს, განა Staatenbau არ არის?

ჩვენ ჰოლანდიის ინდოეთის გამოყოფის თავისუფლების მომხრე ვართ. ხოლო ჰოლანდიის ინდოეთის სოციალ-დემოკრატი განა მოვალეა გამოყოფის მომხრე იყოს? აი ესეც ვითომდა-«ორნაირი» აღზრდის მაგალითი!!

---

* — პსდ (პოლონელი სოციალ-დემოკრატები). რედ.

** — «სახელმწიფოებრივი მშენებლობა». რედ.

ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. ბელგია კოლონიური ქვეყანაა — მსჯელობთ თქვენ. მაგრამ ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ გამოვარკვიოთ, რა პოლიტიკას აგრძელებს ახლანდელი ომი, ბელგიის მონათმფლობელობის თუ ბელგიის განთავისუფლების პოლიტიკას??

ვფიქრობ, რომ შევძლებთ.

ხოლო თუ ვინმე გზას ასცდება, ეს ფაქტის საკითხი იქნება.

ხომ არ შეიძლება «ავკრძალოთ» ეროვნული ომები (რაც რადეკს სურს) იმის შიშით, რომ უთაურმა ადამიანებმა ან ყალთაბანდებმა იმპერიალისტური ომი კვლავ არ გაასაღონ ეროვნულ ომად!! ეს სასაცილოა, რადეკს კი ასე გამოუდის.

ჩვენ **ეროვნული** აჯანყების წინააღმდეგი კი არა ვართ, არამედ **მომხრე** ვართ. ეს ცხადია. და უფრო შორს წასვლა არ შეიძლება: გავარჩიოთ კონკრეტულად თვითეული შემთხვევა, ეგებ არ ჩავთვალოთ ამერიკის სამხრეთის 1863 წლის აჯანყება «ეროვნულ აჯანყებად»...

ენგელსის სტატია გრიუნბერგის არქივიდან[177] მქონდა, მაგრამ გრიგოლს გავუგზავნე. მივიღებ მისგან და თქვენ გამოგიგზავნით.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

ნ. კ. ძალიან მთხოვს მისი სალამიც გადმოგცეთ.

დაწერილია 1916 წ. ნოემბერში
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

109

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

თეზისების თარგმნისათვის დიდად გმადლობთ[178]. გავუგზავნი მათ აბრამოვიჩსა და გილბოს.

გადავაკეთო ისინი საფრანგეთისათვის? არა მგონია ღირდეს, იქ ბევრი რამ სხვანაირად არის.

აქ დღეს მემარცხენეთა კრება იყო: მოვიდნენ ა რ ა ყველანი. სულ 2 შვეიცარიელი + 2 უცხოელი გერმანელი + + 3 რუს.-ებრ.-პოლონელი *... საქმე ცუდად არის! ვფიქრობ, რომ თითქმის ჩაიშლება: მეორე კრება 10 დღის შემდეგ არის... უჭირთ, ვინაიდან მთელი საქმე ს წ ო რ ე დ გრიმთან ომია, ძალები კი ერთობ მცირე ჰყავთ. ვიცოცხლოთ და ვნახავთ.

ძალების შესახებ ვეთანხმები თქვენს დამატებას.

თეზისს, რომ ს.-დ.-ებმა (1) შ ვ ე ი ც ა რ ი ა ში (2) ახლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცენ ხმა სამხედრო კრედიტებს, თქვენ სწუნობთ. დასაწყისში ხომ **სულ მუდამ** ლაპარაკია ა ხ ლ ა ნ დ ე ლ, იმპერიალისტურ ომზე. მხოლოდ მასზეა ლაპარაკი.

«მუშას არა აქვს სამშობლო» — ეს იმას ნიშნავს, რომ (α) მისი ეკონომიური მდგომარეობა (le salariat) ნაციონალური კი არ არის, არამედ ინტერნაციონალურია; (β) მისი კლასობრივი მტერი ინტერნაციონალურია; (γ) აგრეთვე მისი განთავისუფლების პირობები; (δ) მუშების ინტერნაციონალური ერთიანობა ნაციონალურზე უ ფ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა.

---

* რეფერატიც არ გამოვიდა, არამედ მხოლოდ საუბარი.

ნიშნავს თუ არა ეს, გამომდინარეობს თუ არა აქედან, **რომ** **ა რ უ ნ დ ა** ვიომოთ, **როცა საქმე ეხება** უცხო ერის **უღლის** დამხობას?? ჰო თუ არა?

კოლონიების ომი განთავისუფლებისათვის?

— ირლანდია ინგლისის წინააღმდეგ?

ხოლო აჯანყება (ეროვნული) განა სამშობლოს დაცვა არ არის?

გამოგიგზავნით ჩემს სტატიას კიევსკის წინააღმდეგ ამის შესახებ.

თუ კიდევ საჭირო იქნება წიგნები, — **მ ო ი წ ე რ ე თ.** აქ ბევრი რამის შოვნა შეიძლება, მე კი სულ ერთია ხშირად ვარ ბიბლიოთეკებში.

მაგრად გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. 20 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან ზიორენბერგში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

110

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ფრანგებისათვის გადაკეთებას მე ვერ ვიკისრებდი[179]. იქნებ თქვენ სინჯოთ?

დაწერილია შვეიცარიელებისათვის: «სამხედრო ნაწილიც» აქ განსაკუთრებულია (პატარა სახელმწიფოსათვის), შინაპარტიული მდგომარეობაც სხვაა და სხვ. და სხვ.. კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ მასალასაც საფრანგეთის შესახებ მე ვერ ვიშოვნიდი.

სულით და გულით მოხარული ვიქნებოდი რაიმე გამეკეთებინა ფრანგი მემარცხენეებისათვის, მაგრამ როგორღაც კავშირი ვერ მყარდება. გრიშა იწერება გრძელ, მაგრამ ყოვლად უთაურ, წყალწყალა წერილებს, ღეჭავს ძველს, საფრანგეთის მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ე ბ ზ ე არაფერს საქმიანს, არაფერს ზუსტს არ იტყობინება, არავითარ, აბსოლუტურად არავითარ კონტაქტს არ ამყარებს მათთან.

სამშობლოს შესახებ თქვენ, ჩანს, გინდათ აღმოაჩინოთ წინააღმდეგობა ჩემს წინანდელ (როდის? 1913? სახელდობრ სად? სახელდობრ რა?) და ახლანდელ ნაწერებს შორის. არა მგონია, რომ წინააღმდეგობა იყოს. მონახეთ ზუსტი ტექსტები, მაშინ კიდევ ვნახოთ.

რასაკვირველია, ორტოდოქსებსა და ოპორტუნისტებს შორის ყოველთვის იყო უთანხმოება სამშობლოს გაგებაში (შდრ. პლეხანოვი 1907 ან 1910, კაუცკი 1905 და 1907 და ჟორესი, «L'armée nouvelle» *). მე ამას სავსებით ვეთანხმები: აქ უთანხმოება ძირეულია. სადმე რაიმე ამის წინააღმდეგ რომ მეთქვა, არა მგონია.

---

* — «ახალი არმია». რ ე დ.

სამშობლოს დაცვა რომ დასაშვებია (როცა დასაშვებია) მხოლოდ როგორც დემოკრატიის დაცვა (სათანადო ეპოქაში), ეს ჩემი აზრიც არის.

საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში პროლეტარები, რა თქმა უნდა, არასოდეს არ უნდა «გაითქვიფონ». მარქსი და ენგელსი არ «ითქვიფებოდნენ» გერმანიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში 1848 წელს. ჩვენ, ბოლშევიკები, არ «ვითქვიფებოდით» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში 1905 წელს.

დემოკრატიას ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ყოველთვის ვუჭერთ მხარს არა «კაპიტალიზმისათვის», არამედ იმისათვის, რომ გზა გავუკაფოთ ჩ ვ ე ნ ს მოძრაობას, რა გაკაფვაც შეუძლებელია კაპიტალიზმის განუვითარებლად.

მხურვალე სალამი. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ წიგნები დაგჭირდეთ, მოიწერეთ.

დაწერილია 1916 წ. 25 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან ზიორენბერგში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

111

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! «სამშობლოს დაცვის» შესახებ მე არ ვიცი, არის თუ არა ჩვენს შორის უთანხმოება. თქვენ მიგაჩნიათ, რომ კრებულში «მარქსის ხსოვნას» [180] მოთავსებულ ჩემს სტატიასა და ჩემს ახლანდელ განცხადებებს შორის წინააღმდეგობაა, მაგრამ ზუსტად ა რ მ ო გ ყ ა ვ თ ც ი ტ ა ტ ი არც ერთიდან და არც მეორიდან. შეუძლებელია გიპასუხოთ ამ ბითითებაზე. კრებული «მარქსის ხსოვნას» არა მაქვს. სიტყვასიტყვით იმის დახსომება, რასაც იქ ვწერდი, რა თქმა უნდა, არ შემეძლო. რაკი არა მაქვს ზ უ ს ტ ი ციტატები, მაშინდელი და ახლანდელი, მე არ შემიძლია პასუხი გაგცეთ თქვენს ა ს ე თ არგუმენტზე.

ხოლო ს ა ე რ თ ო დ თუ ვიტყვით, მე მგონია, რომ თქვენ როგორღაც ცოტა ცალმხრივად და ფორმალისტურად მსჯელობთ. ამოგიღიათ ე რ თ ი ციტატი «კომუნისტური მანიფესტიდან» (მუშებს არა აქვთ სამშობლო) და გინდათ თითქოს უშენიშვნოდ გამოიყენოთ იგი, თ ვ ი თ ე რ ო ვ ნ უ ლ ი ო მ ე ბ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა მ დ ე.

მარქსიზმის მთელი არსი, მთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განვიხილოთ მხოლოდ (α) ისტორიულად; (β) მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირებით; (γ) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

სამშობლო ისტორიული ცნებაა. ერთია სამშობლო ეროვნული ჩაგვრის დამხობისათვის ბრძოლის ეპოქაში ან უფრო ზუსტად: ამ ბრძოლის მ ო მ ე ნ ტ შ ი. სხვა საქმეა იმ მომენტში, როცა ეროვნული მოძრაობანი შორსაა მოტოვებული

უკან. «ქვეყნების სამი ტიპისათვის» (§ 6 ჩვენი თეზისებისა თვითგამორკვევის შესახებ)[181] არ შეიძლება ყველა პირობაში ერთნაირად გამოვიყენოთ დებულება სამშობლოს და მისი დაცვის შესახებ.

«კომუნისტურ მანიფესტში» ნათქვამია, რომ მუშებს არა აქვთ სამშობლო.

მართალია. მაგრამ იქ ნათქვამია არა. მარტო ეს. იქ კიდევ ნათქვამია, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის დროს პროლეტარიატის როლი რამდენადმე განსაკუთრებულია. თუ ავიღებთ პირველ დებულებას (მუშებს არა აქვთ სამშობლო) და დავივიწყებთ მის **კავშირს** მეორე დებულებასთან (მუშები ყალიბდებიან როგორც კლასი ეროვნულად, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ბურჟუაზია). ეს უაღრესად არასწორი იქნება.

რაში მდგომარეობს ეს კავშირი? ჩემი აზრით, სწორედ იმაში, რომ დემოკრატიულ მოძრაობაში (ასეთ მომენტში, ასეთ კონკრეტულ ვითარებაში) პროლეტარიატს არ შეუძლია უარი თქვას მისთვის მხარდაჭერაზე (მაშასადამე, ეროვნულ ომში სამშობლოს დაცვაზეც).

მარქსმა და ენგელსმა «კომუნისტურ მანიფესტში» თქვეს, რომ მუშებს არა აქვთ სამშობლო. მაგრამ იგივე მარქსი არაერთხელ მოუწოდებდა ეროვნული ომისაკენ: მარქსი 1848 წელს, ენგელსი 1859 წელს (დასასრული მისი ბროშურისა «პო და რაინი», რომელიც წარმოადგენს გერმანელთა ეროვნული გრძნობის პირდაპირ გაღვივებას, მათდამი პირდაპირ მოწოდებას ეროვნული ომისაკენ). ენგელსი *1891* წელს, ვინაიდან მაშინ მოსალოდნელი და მოახლოებული იყო საფრანგეთის (ბულანჟე).+ ალექსანდრე III-ის ომი გერმანიის წინააღმდეგ, პირდაპირ აღიარებდა «სამშობლოს დაცვას»[182].

ხომ არ იყვნენ მარქსი და ენგელსი თავგზააბნეულნი, რომელნიც დღეს ერთს ამბობდნენ და ხვალ სხვას? არა. ჩემი აზრით, ეროვნულ ომში «სამშობლოს დაცვა» სავსებით

შეესაბამება მარქსიზმს. 1891 წელს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ნამდვილად უნდა დაეცვათ სამშობლო ბულანჟეს + ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ ომში. ეს ეროვნული ომის თავისებური ვარიანტი იქნებოდა.

სხვათა შორის: ამას რომ ვამბობ, მე ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი სტატიაში იურის წინააღმდეგ [188]. თქვენ რატომღაც არაფერს ამბობთ ამ სტატიის შესახებ. მე მგონია, რომ აქ აღძრულ საკითხზე **სწორედ** ამ სტატიაშია მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც ბოლომდე (ან თითქმის ბოლომდე) არკვევენ მარქსიზმის ჩემს გაგებას.

რადეკზე — რადეკთან «დავაზე» (???!!!). მე უკვე მქონდა გაზაფხულზე დავა გრიგოლთან, რომელმაც სრულებით ვერ გაიგო მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფთან კავშირის გაწყვეტას მისაყვედურებდა. ეს სისულელეა.

ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფთან კავშირიც პირობითი ამბავია. ჯერ-1, რადეკი არ = ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი. მე-2, რადეკთან არ ყოფილა «კავშირის გაწყვეტა» საერთოდ, არამედ მხოლოდ გარკვეულ სფეროში. მე-3, სისულელეა რადეკთან კავშირის ისე გაგება, რომ ჩვენ ხელ-ფეხი შეგვიბოჭონ აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ბრძოლაში.

Ad 1 (1-ლი პუნქტის შესახებ). არც ერთი ნაბიჯი, ოდნავიც კი, «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფთან» კავშირის არათუ გაწყვეტისაკენ, არამედ თუნდაც შესუსტებისაკენ, მე არასოდეს არ გადამიდგამს. არავის არ მიუთითებია ჩემთვის და ვერც მიმითითებს ამაზე. არც ბორხარდტთან, არც შვედებთან, არც Knief-თან * და ა. შ. და ა. შ.

(რადეკმა ფრიად ვერაგულად გამოგვდევნა «Vorbote»-ს ** რედაქციიდან. რადეკს პოლიტიკაში ისე უჭირავს თავი, როგორც ტიშკოელ ჩარჩს, უტიფარს, თავხედს, სულელს.

---

* — კნიფ-თან. რედ.

** — «წინამორბედი». რედ.

გ რ ი გ ო ლ ი მწერდა 1916 წ. გაზაფხულზე, როცა უკვე ციურიხში ვიყავი, რომ მ ა ს ა რ ა ვ ი თ ა რ ი «კოლეგიალური მუშაობა» არა აქვს რადეკთან. რადეკმა გ ა დ ა ი წ ი ა — ი ფ ა ქ ტ ი. გადაიწია «Vorbote»-ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ჩემგანაც **და გრიგოლისგანაც.** ისე არ მომხდარა, რომ ერთი პიროვნების უტიფრობისა და ჩარჩული სისაძაგლის გამო ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი მემარცხენე აღარ იყოს, და მ ი ს ი აქ გარევა არ ღირს, ჭკვიანური არ არის, სწორი არ არის.

«Gazeta Robotnicza» * 1916 წლის თებერვლის № ასეთი ტიშკოური (რადეკი მის კვალს მისდევს) საძაგელი ლაქიური «თამაშის» ნიმუშია. ვინც პოლიტიკაში ასეთ რამეებს ა პ ა ტ ი ე ბ ს, მე ის სულელად ან არამზადად მიმაჩნია. **მე მათ არასოდეს არ ვაპატიებ.** ამისათვის ცხვირ-პირში სცემენ ან ზურგს შეაქცევენ.

მე, რასაკვირველია, მეორე გავაკეთე. და არც ვნანობ. გერმანელ მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ თ ა ნ კავშირი ჩვენ ბ ე წ ვ ი ს ო დ ე ნ ა დ ა ც არ დაგვიკარგავს. როცა დადგა ამოცანა ს ა ქ მ ი თ რადეკთან ერთად წავსულიყავით (4 — 5. XI. 1916-ის ციურიხის ყრილობა[184]), **ჩვენ** ერთად **წავედით.** გრიგოლის მთელი სულელური ფრაზები ჩემ მიერ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფთან კავშირის გაწყვეტის შესახებ სისულელე აღმოჩნდა და ყოველთვისაც სისულელე იყო.)

Ad 2 — მაშასადამე, რადეკთან კავშირის გაწყვეტის «სფერო» იყო (α) რუსეთის და პოლონეთის საქმეები. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის რეზოლუციამ დაადასტურა ეს. (β) იურისა და კომპ. ისტორია. რადეკი ახლაც გვწერს (შემიძლია გამოგიგზავნოთ, თუ გსურთ) ყოველად უტიფარ წერილებს მე (და გრიგოლს) იმ თემაზე, რომ «ჩვენ» (იგი + ბუხარინი + იური და კომპ.) ასე და ასე «ვუყურებთო»!! ასე წერა შეუძლია მხოლოდ რეგვენსა და არამზადას, რომელსაც სურს «ი ნ ტ რ ი გ ა» შეთხზას, **გაძვრეს** ჩვენსა და იურის და კომპ. უთანხმოების **ხვრელში.** თუ რადეკს

* «მუშათა გაზეთი». რ ე დ.

არ. ესმოდა, **რას** სჩადის, მაშინ ის რეგვენია. თუ ესმოდა, მაშინ არამზადაა.

ჩვენი პარტიის პოლიტიკური ამოცანა ნათელი იყო: ჩ ვ ე ნ ა რ შ ე გ ვ ე ძ ლ ო ხელ-ფეხი **შეგვებოჭა** რედაქციაში ნ. ი.-სთან + იური + ე. ბ. თანასწორობით (გრიგოლმა ეს ვერ გაიგო და პირდაპირ ულტიმატუმამდე მიმიყვანა: მე განვაცხადე, «კომუნისტიდან» წ ა ვ ა ლ, თუ ჩვენ მასთან კავშირი არ გავწყვიტეთ-მეთქი. «კ ო მ უ ნ ი ს ტ ი» კარგი იყო, **სანამ** განსაკუთრებული პროგრამა **არ ჰქონდა** სამეულს, რომელიც რედაქციის ½-ს შეადგენდა). ბუხარინის + იურის + ე. ბ. ჯგუფისათვის თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს მიცემა იდიოტიზმი და მთელი მუშაობის გაფუჭება იქნებოდა. არც იურის, ამ ნამდვილ გოჭს, და არც ე. ბ.-ს ტვინის ნატამალი არ გააჩნიათ, და თუ მათ ბუხარინთან ერთად ჯ გ უ ფ უ რ სისულელემდე მიაყვანინეს თავი, მაშინ მათთან უფრო ზუსტად უნდა მოვქცეულიყავი: კავშირი გამეწყვიტა «კ ო მ უ ნ ი ს ტ თ ა ნ». ასეც მოვიქეცი.

პოლემიკა თვითგამორკვევის გამო ჯერ მხოლოდ იწყება. აქ მათ სრული დომხალი აქვთ — მ თ ე ლ ს ა კ ი თ ხ შ ი ც დემოკრატიისადმი დამოკიდებულების შესახებ. აქ «თანასწორობა» მივცეთ **გოჭებსა** და სულელებს — არასოდეს! არ გინდოდათ მშვიდობიანად და ამხანაგურად გესწავლათ, მაშ თქვენს თავსვე დააყვედრეთ. (მე მათ **ვაცივდებოდი**, მინდოდა გამომეწვია ამის შესახებ საუბრები ბერნში: ცხვირს განზე სწევდნენ! მე მათ ათეულ გვერდობით წერილებს ვწერდი სტოკჰოლმში — ცხვირს განზე სწევდნენ! მაშ, რაკი ასეა, ჯანდაბამდე გზა გქონიათ. მე ყოველივე შესაძლებელი გავაკეთე მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი დამთავრებისათვის. არ გინდათ — მაშ ცხვირ-პირს დაგამტვრევთ და საქვეყნოდ სულელებს გიწოდებთ. ასე და მხოლოდ ასე უნდა მოქმედება.) რა შუაშია აქ რადეკიო? შეიძლება იკითხოთ.

იმ შუაშია, რომ ის ამ «ჯგუფის» «მძიმე არტილერია» იყო, განზე ბუჩქებში დამალული არტილერია. იური და კომპ. ცუდად როდი ვარაუდობდნენ (ე. ბ.-ს ინტრიგანის უნარი აქვს,

თურმე მას ი უ რ ი კ ი ა რ მ ო ჰ ყ ა ვ დ ა ჩ ვ ე ნ კ ე ნ, არამედ ჯგუფს ქმნიდა ჩვენ წინააღმდეგ). ისინი ვარაუდობდნენ: ჩვენ ომს გამოვაცხადებთ, ჩვენ მაგიერ კი რადეკი იომებსო!! ჩ ვ ე ნ მ ა გ ი ე რ რადეკი იომებს, ლენინი კი შ ე ბ ო ჭ ი ლ ი იქნებაო.

ვერ მოგართვით, ძვირფასო გოჭებო! პოლიტიკაში თავს არ შეგაბოჭინებთ. ომი გინდათ? აშკარად გამოდით. ხოლო რადეკის როლი — მალულად მოგვისიოს ძუძუთა გოჭები, თვითონ კი «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს» ამოეფაროს — უკიდურესი საძაგლობაა. ტიშკოს ჭაობის ყველაზე ქეციანი ... უფრო საზიზღრად ვერ გასწევდა ჩარჩობას, ლაქიობას და ზურგს უკან ინტრიგანობას.

Ad 3 — უკვე ნათლად არის ნათქვამი. საკითხი იმპერიალიზმის დამოკიდებულებისა დემოკრატიისა და პროგრამა-მინიმუმისადმი **სულ უფრო ფართოდ** დგება (იხ. ჰოლანდიის პროგრამა № 3 ბიულეტენში; ამერიკის S. L. P.-მ * უკუაგდეს მ თ ე ლ ი პროგრამა-minimum-ი. Entwaffnungsfrage **). რადეკს აქ თავში **ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი დ ო მ ხ ა ლ ი** აქვს (ეს ცხადია მისი თეზისებიდან; ეს ცხადყო კიდევ არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების საკითხმა, რომელიც წამოყენებულია ჩემი თეზისებით). ამ უმნიშვნელოვანესი და ძირეული საკითხის განმარტებაში რომ ხელ-ფეხი შემიბოჭონ ამის ნებას არასოდეს არ მივცემ. არ შემიძლია. საკითხი უნდა გაირკვეს. ამ საკითხზე კიდევ ბ ე ვ რ ჯ ე რ «დაეცემიან» (ფეხს წამოჰკრავენ ხოლმე).

ვისაც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის «კავშირი» ისე ესმის, რომ ჩვენ ხელ-ფეხს შ ე ვ ა ბ ო ჭ ი ნ ე ბ თ «იმპერიალისტური ეკონომიზმის» წინააღმდეგ (ეს **ინტერნაციონალური** ავადმყოფობაა: ჰოლანდიურ-ამერიკულ-რუსული და ა. შ.) თეორიულ ბრძოლაში, მას არაფერი არ ესმის. «ციმერვალდის

---

* — Socialist Labour Party — სოციალისტური მუშათა პარტია. რ ე დ.

** — განიარაღების საკითხი. **რ ე დ.**

მემარცხენე ჯგუფი» დაიზეპირო და იატაკს თავი ურტყა თეორიაში რადეკის სრული დომხალის წინაშე — მე ამის თანახმა არა ვარ.

შედეგები: ციმერვალდის შემდეგ მანევრები უფრო ძნელი იყო. უნდა მიგვეღო რაც საჭირო იყო რადეკისა და ე. ბ. და კომპანიისაგან, ამასთან ხელ-ფეხი არ შეგვებოჭინებინა. მე ვფიქრობ, რომ მოვახერხე ეს. მას შემდეგ. რაც ბუხარინი ამერიკაში წავიდა და, **რაც მთავარია**, მას შემდეგ, რაც ჩვენ იურის სტატია გამოგვიგზავნეს და იგი დაეთანხმა (დაეთანხმა! **იძულე—ბული** გახდა დასთანხმებოდა) ჩემს პასუხს — მათი საქმე, როგორც «ჯგუფისა», **გათავებულია.** (გრიგოლს კი უნდოდა მარადიული გაეხადა ეს ჯგუფი, თანასწორობა მიეცა მისთვის: **ჩვენ** მივართმევდით მას თანასწორობას!!)

რადეკს ჩვენ **დავშორდით** რუსეთ-პოლონეთის ასპარეზზე და **არ მივიწვიეთ** იგი ჩვენს **«სბორნიკში»**[185]. **ასე იყო საჭირო.**

და მას ახლა არ შეუძლია ისეთი რამ გააკეთოს, რაც სამუშაოს გააფუჭებს. იგი იძულებული იყო ციურიხის ყრილობაზე (5. XI. 1916) ჩემთან ერთად წამოსულიყო ისევე როგორც ახლა გრიმის წინააღმდეგ.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მე მოვახერხე გამეყო* საკითხები: **იოტისოდენადაც** არ შესუსტებულა ინტერნაციონალური შეტევა კაუცკელებზე (გრიმი y compris**) და ამავე დროს იმ მდგომარეობაში არა ვარ, რომ რადეკის სისულელესთან «თანასწორობას» ვემორჩილებოდე!

სტრატეგიულად საქმე ახლა მოგებულად მიმაჩნია. შესაძლებელია, რომ იურიმ + კომპ. + რადეკმა + კომპ. ლანძღვა დამიწყონ. Allez-y, mes amis! ***. **ახლა odium-ი** **** **თქვენ** დაგეკისრებათ და არა ჩვენ. მაგრამ საქმეს **ახლა**

---

* — ეს **ძალიან** ძნელი იყო!!

** — მათ შორის. რედ.

*** — ეგრე ქენით, მეგობრებო! რედ.

**** — პასუხისმგებლობა. რედ.

ზიანს ვერ მიაყენებთ, და ჩვენ გზა გაწმენდილი გვაქვს. ჩვენ თავი დავაღწიეთ ბინძურ (ყოველმხრივ) დომხალს იურისთან და რადეკთან, ისე, რომ **იოტისოდენადაც არ** შეგვიესუსტებია «ციმერვალდის მემარცხენე» ჯგუფი და გვაქვს წინაპირობები სისულელის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დემოკრატიისადმი დამოკიდებულების საკითხში.

Voilà *. ბოდიშს ვიხდი გრძელი წერილისათვის და მკვახე სიტყვების სიმრავლისათვის: არ შემიძლია სხვანაირად ვწერო, როცა გულახდილად ვლაპარაკობ. მაგრამ ყოველივე ეს ხომ entre nous **, ვგონებ, ზედმეტი ლანძღვაც მოსატევებელია.

მხურვალე სალამი! თქვენი ლენინი

საერთოდ რადეკიც და პანეკუკიც **არასწორად** აყენებენ კაუცკელობასთან ბრძოლის საკითხს. ეს **NB**!! ***

დაწერილია 1916 წ. 30 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — აი. რედ.
** — ჩვენს შორის არის. რედ.
*** — Nota bene!! — დაიხსომეთ!! რედ.

112

არტურ შმიდტს

პატივცემულო ამხანაგო!

ნებას მომცემთ შემოგთავაზოთ ნებაყოფლობითი შეთანხმება?

უნდა გამოვტყდე, რომ გუშინ საკმაო ყურადღება ვერ მივაქციე ერთ ძალიან მნიშვნელოვან პუნქტს თქვენს მსჯელობაში[186]. სახელდობრ, იმ აზრს, რომ შვეიცარიის თავისებურება სხვათა შორის მდგომარეობს მის მეტ დემოკრატიულობაში (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა) და რომ ეს თავისებურება გამოყენებულ უნდა იქნეს ა გ რ ე თ ვ ე პროპაგანდისთვისაც. ეს აზრი ძალიან მნიშვნელოვანია და, მე ვფიქრობ, სავსებით სწორია.

ხომ არ შეიძლება ამ აზრის ისე გამოყენება, რომ ჩვენი უთანხმოება (ალბათ ძალიან უმნიშვნელო) გაქრეს? მაგალითად:

თუ რეფერენდუმისათვის საკითხს დავაყენებთ მ ხ ო ლ ო დ ასე: სრული ჩამოშორების სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ? — მივიღებთ დომხალს პაციფისტური (ბურჟუაზიულ-პაციფისტური და ა. შ.) და სოციალისტური ხმებისას ამის სასარგებლოდ, ე. ი. სოციალისტური შეგნების არა გარკვევას, არამედ მის მხოლოდ დაბნელებას, არა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს იდეისა და პოლიტიკის გამოყენებას ამ სპეციალურ საკითხში (სახელდობრ მილიტარიზმის საკითხში), არამედ მილიტარიზმის საკითხში კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე ხელის აღებას.

მაგრამ თუ ჩვენ რეფერენდუმზე საკითხს ასე დავაყენებთ: მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა ექსპროპრიაციის რ ო გ ო რ ც მილიტა-

რიზმის სრული აღმოფხვრის ერთადერთი გზის სასარგებლოდ, თუ ექსპროპრიაციის წინააღმდეგ?

ამ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს პრაქტიკულ პოლიტიკაში ვილაპარაკებთ იმასვე, რასაც ჩვენ ყველანი ვაღიარებთ თეორიულად, სახელდობრ იმას, რომ მილიტარიზმის სრული აღმოფხვრა შესაძლებელი და განსახორციელებელია მხოლოდ კაპიტალიზმის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, უნდა იყოს დაახლოებით ასეთი ფორმულირება: 1) ჩვენ მოვითხოვთ მსხვილ საწარმოთა დაუყოვნებლივ ექსპროპრიაციას — შესაძლოა, პირდაპირი საკავშირო ქონებრივი და საშემოსავლო გადასახადის ფორმით — დიდ ქონებაზე ისეთი მაღალი, რევოლუციურად მაღალი განაკვეთებით, რომ კაპიტალისტები ფაქტიურად ექსპროპრიირებული იქნებიან.

2) ჩვენ ვაცხადებთ, რომ შვეიცარიის ასეთი სოციალისტური გარდაქმნა ეკონომიურად შესაძლებელია უკვე ახლა, უშუალოდ, ხოლო აუტანელი სიძვირის გამო იგი აუცილებლად საჭიროც არის, — და რომ ასეთი გარდაქმნის პოლიტიკურად გატარებისათვის შვეიცარიას ესაჭიროება არა ბურჟუაზიული, არამედ პროლეტარული მთავრობა, რომელიც დაეყრდნობოდა არა ბურჟუაზიას, არამედ დაქირავებული მუშებისა და მდაბიოთა ფართო მასებს, და რომ რევოლუციური მასობრივი ბრძოლა, რომლის დასაწყისს ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, ციურიხის მასობრივ გაფიცვებში და ქუჩის დემონსტრაციებში და რომელიც აღიარებულია აარაუს გადაწყვეტილებით[187], ისახავს სწორედ ამ მიზანს — ამ გზით ნამდვილად მოუღოს ბოლო მასების აუტანელ მდგომარეობას.

3) ჩვენ ვაცხადებთ, რომ შვეიცარიის ასეთი გარდაქმნა სრულიად გარდუვალად გამოიწვევს მიბაძვას და უაღრესად მტკიცე, აღტაცებულ მხარდაჭერას მუშათა კლასისა და ექსპლოატირებულთა მასის მხრივ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, და რომ მხოლოდ ასეთ გარდაქმნასთან დაკავშირებით მილიტარიზმის სრული

ა ღ მ ო ფ ხ ვ რ ა, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით და რაც ახლა ინსტინქტურად სწყურიათ განსაკუთრებით ფართო მასებს ევროპაში, გახდება არა ლიტონი ფრაზა, არა კეთილი სურვილის გამოთქმა, არამედ ნამდვილი ლონისძიება, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად განხორციელებულ იქნეს და პოლიტიკურად თავისთავად იგულისხმება.

რას ფიქრობთ თქვენ ამის თაობაზე?

ხომ არ გგონიათ, რომ საკითხის ასე დაყენებით (როგორც პრაქტიკულ აგიტაციაში, ისე საპარლამენტო სიტყვებსა და წინადადებებში საკანონმდებლო ინიციატივისათვის და რეფერენდუმისათვის) ჩვენ თავიდან ავიცილებთ ი მ საფრთხეს, რომ ბურჟუაზიული და «სოციალისტი» პაციფისტები ყალბად გაიგებენ და უკუღმა განმარტავენ ჩვენს ანტიმილიტარისტულ ლოზუნგს ისე, თითქოს ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მილიტარიზმის სრული მოსპობა **ბურჟუაზიულ** შ ვ ე ი ც ა რ ი ა შ ი, მისი **იმპერიალისტური** გარემოცვით, სოციალისტური რევოლუციის **გარეშე** (რაც, რა თქმა უნდა, უაზრობაა, **რომელსაც** ჩვენ ყველანი ერთსულოვნად უარვყოფთ).

პარტიული სალამით. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Ulianow.
Spiegelgasse 14 II (bei Kammerer). Zürich I.

დაწერილია 1916 წ. 1 დეკემბერს
გაგზავნილია ვინტერტურში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

113

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! დღეს კიდევ ერთი წერილი მოვიდა სპბ-დან — ამ ბოლო დროს იქიდან მზრუნველად იწერებიან.

გარდა გუჩკოვის წერილისა, რომელიც ცენტრალური ორგანოს № 57-ში დაიბეჭდება (იწყობა) და რომელსაც თქვენ ალბათ გაჩვენებდათ გრიგოლი ბერნში[188], მიღებულია ლვოვისა და ჩელნოკოვის წერილები, კვლავ იმაზე, გაბოროტებაზე ქვეყანაში (გამცემლების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან მოლაპარაკებას სეპარატული ზავის შესახებ) etc.

იწერებიან, რომ განწყობილება უაღრესად რევოლუციურია.

ჩემმა ხელნაწერმა იმპერიალიზმის შესახებ პიტერამდე მიაღწია, და აი დღეს იწერებიან, რომ გამომცემელი (და ეს გორკია! ო, რა ხბოა!) უკმაყოფილოა მკვახე გამოთქმებით... როგორ გგონიათ, ვის წინააღმდეგ?.. კაუცკის წინააღმდეგ! სურს მომწეროს!!! სასაცილოც არის და საწყენიც.

აი ჩემი ბედი. ერთი საბრძოლო კამპანია მეორეს მოსდევს — პოლიტიკურ სისულელეთა, უხამსობათა, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ა. შ.

ეს 1893 წლიდან. და უხამსების სიძულვილი ამის გამო. მაგრამ მე მაინც არ გავცვლიდი ამ ბედს უხამსებთან «ზავზე».

ახლა კიდევ რადეკი. «Jugend-Internationale»-ს * № 6-შია (ნახეთ?) Nota Bene-ს სტატია. ჩვენ მაშინვე ვიცანით (მე და გრიგოლმა) ბუხარინი. მე ვუპასუხე მის უაღრეს სისულელეებს «სბორნიკის» № 2-ში[189]. (არ გინახავთ? ამ დღეებში მზად იქნება.)

---

* — «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი». რ ე დ.

დღეს გრიგოლისგან მომდის № 25 «Arbeiterpolitik»-ი *. იქ ი გ ი ვ ე სტატიაა (აშკარად ცენზურული კუპიურებით) ბუხარინის ხელმოწერით. (მივიღეთ «ნოვი მირის» კიდევ ერთი № ნიუ-იორკიდან, იქ დაბეჭდილია კრიტიკა — აფსუს! აფსუს! ს წ ო რ ი — ეს არის ყელის გამოჭრა, რომ მენშევიკი მ ა რ თ ა ლ ი ა ბუხარინის წინააღმდეგ!! — კრიტიკა ე ტ ყ ო ბ ა ბუხარინის ი მ ა ვ ე სტატიისა (ჩვენ ეს ნომერი არა გვაქვს) «ნოვი მირში».)

და რადეკი — «ტიშკოს ხერხებიო», მწერს დღეს გრიგოლი — «Arbeiterpolitik»-ის № 25-ში ბეჭდავს ბუხარინის ქებას («ახალგაზრდა ძალააო») და შენიშვნას, გზადაგზა, ««კომუნისტის» სამი რედაქტორის» შესახებ!

ჩვენი უთანხმოების ხვრელში ძვრება: ეს ძველისძველი პოლიტიკაა არამზადებისა და საძაგლებისა, რომლებსაც ძალა არ შესწევთ პირდაპირ ჩ ვ ე ნ გვეკამათონ და მიმართავენ ინტრიგებს, ფეხის გამოდებას, უხამსობას.

აი სურათი იმისა, რ ა ც ა რ ი ს, — და იმისა, **რასაც აკეთებს** რადეკი (ადამიანზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, რასაც იგი თავის შესახებ ამბობს ან ფიქრობს, არამედ იმის მიხედვით, რასაც იგი აკეთებს — გახსოვთ ეს მარქსისტული ჭეშმარიტება?).

Voilà **.

აი რა «წ რ ე ს თ ა ნ» გვიხდება ომი!!

ხოლო რა თეორიული სირცხვილი და სისულელეა რადეკის «თეზებში»...

წავიკითხე Humbert-Dros «Plaidoirie»***. ღმერთო ჩემო, რა უხამსი ტოლსტოელია!! მივწერე კიდევ აბრამოვიჩს: ნუთუ მართლაც მთლად უიმედოა? ვფიქრობ: ხომ არ არის შვეიცარიაში წვრილბურჟუაზიული (და წვრილსახელმწიფოებრივი)

---

* — «მუშათა პოლიტიკა». რ ე დ.

** — აი. რ ე დ.

*** — ემბერ-დრო. «თავდასაცავი სიტყვა». რ ე დ.

გონებაჩლუნგობის, ტოლსტოელობის, პაციფიზმის ბაცილა, რომელიც საუკეთესო ადამიანებს ღუპავს? ალბათ, არის!

წავიკითხე მ ე ო რ ე ბროშურა P. Golay («L'antimilitarisme») * — რა გიგანტური ნაბიჯია უკან პირველთან შედარებით («Le socialisme qui meurt» **) და ი მ ა ვ ე ჭაობში...

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თხილამურებით დადიხართ? უთუოდ იარეთ! ისწავლეთ, თხილამურები გაიჩინეთ და გასწიეთ ხოლმე მთებში — აუცილებლად. კარგია ზამთარი მთებში! საუცხოოა და რუსეთის სუნი დის.

დაწერილია 1916 წ. 18 დეკემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პ. გოლეი («ანტიმილიტარიზმი»). რ ე დ.

** — «მომაკვდავი სოციალიზმი». რ ე დ.

114

მ. ნ. პოკროვსკის

21. XII. 1916.

პატივცემულო მ. ნ.! მივიღე თქვენი 14. XII. 1916-ის ლია ბარათი. თუ თქვენ გწერენ, რომ გამომცემელს ჩემი მართებს «გარდა 500 მანეთისა კიდევ 300 მანეთი», მე უნდა გითხრათ, რომ ჩემი ანგარიშით მას მ ე ტ ი მართებს, ვინაიდან მან მიიღო (1) ჩემი ნაშრომი აგრარულ საკითხზე, ნაკვეთი I[190] და (2) ჩემი ცოლის ბროშურა პედაგოგიურ თემაზე[191]. და მე ვფიქრობ, რომ მიღებულში, რაკი ხელნაწერი მიწოდებულია, წესია გადამიხადოს.

მივწერე ამის შესახებ პიტერში, მაგრამ ჩემი კავშირი პიტერთან მეტად უვარგისი და აუტანლად ნელია.

თქვენ «შესაძლებლად მიიჩნიეთ» ამოგეღოთ კაუცკის კრიტიკა ჩემი ბროშურიდან[192]... სამწუხაროა! ღმერთმანი, სამწუხაროა. რათა? განა არ სჯობდა გეთხოვნათ გამომცემლებისათვის: დაბეჭდეთ, პატივცემულო ბატონებო, პირდაპირ: ჩ ვ ე ნ, გამომცემლობამ, ამოვიღეთ კაუცკის კრიტიკა-თქო. გარწმუნებთ, ასე უნდა გექნათ... მე, რასაკვირველია, იძულებული ვარ დავემორჩილო გამომცემელს, მაგრამ დაე გამომცემელს ნუ ეშინია თქვას, რა სურს და რა არა სურს; გამომცემელმა აგოს პასუხი შემოკლებისათვის და არა მე.

თქვენ იწერებით «ხომ არ გვცემთო?», ე. ი. მე თქვენ ამ კრიტიკის ამოღებაზე დათანხმებისათვის?? აფსუს, აფსუს, მეტად ცივილიზებულ დროში რომ ვცხოვრობთ და ასე მარტივად საქმეების გადაწყვეტა რომ არ შეიძლება...

ხუმრობაგაშვებით, სამწუხაროა, დალახვროს ეშმაკმა... მაგრამ სხვა ადგილას გავუსწორდები კაუცკის.

მაგრად გართმევთ ხელს და გიძღვნით მხურვალე სალამს.

ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ციურიხიდან Sceaux-ში (Seine) (საფრანგეთი)

მთლიანად პირველად ღაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხვდვით

115

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

რადეკის შესახებ თქვენ, გრიგოლის შემდეგ, თითქოს ურევთ «უნუგეშო» პოლიტიკური სურათით გამოწვეულ პირად შთაბეჭდილებებსა და ნაღვლიანობას საერთოდ პოლიტიკაში. სწუხართ, ნაღვლიანობთ, ოხრავთ, — და მეტი არაფერი. სხვა პოლიტიკა, ვიდრე ის პოლიტიკაა, რომელსაც ვაწარმოებდით, არ შეიძლებოდა გვეწარმოებინა; არ შეიძლებოდა ხელი აგვეღო სწორ შეხედულებებზე და დავნებებოდით «ტიშკოს ხერხებს». სურათი «უნუგეშოა» არა ამის გამო, და მემარცხენეები სუსტი არიან არა ამის გამო, და «Vorbote» * ვერ გამოდის არა ამის გამო, — არამედ იმის გამო, რომ რევოლუციური მოძრაობა მეტად ნელა და გაჭირვებით იზრდება. ეს უნდა ავიტანოთ; დამპალი ბლოკები ერთ პიროვნებასთან (ან ე. ბ.-სთან + კია) მხოლოდ ხელს შეუშლიდნენ იმ ძნელი ამოცანის შესრულებას, რომ გავძლოთ ძნელ დროს.

«იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ როგორღაც ისე გამოდის, რომ ჩვენ «ერთმანეთისა არ გვესმის». თქვენ გვერდს უვლით ჩემ მიერ მოცემულ განსაზღვრას, განზე სტოვებთ მას და ხელახლა აყენებთ საკითხს.

«ეკონომისტები» პოლიტიკურ ბრძოლაზე «უარს არ ამბობდნენო» (როგორც თქვენ იწერებით) — ეს ზუსტი არ არის. ისინი არასწორად განსაზღვრავდნენ ამ ბრძოლას. ასევე «იმპერიალისტური ეკონომისტებიც».

---

* — «წინამორბედი». რედ.

თქვენ იწერებით: «განა დემოკრატიულ მოთხოვნებზე თუნდაც სავსებით ხელის აღება პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღების მომასწავებელი იქნებოდა? განა უშუალო ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის პოლიტიკური ბრძოლა არ არის?».

საქმეც ის არის, რომ ბუხარინს (ნაწილობრივ რადეკსაც) სწორედ რაღაც ამგვარი გამოუდის, ეს კი სწორი არ არის. «უშუალო ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის», ამასთან «დემოკრატიულ მოთხოვნებზე სავსებით ხელის აღება» — ეს რაღაც ბუნდოვანი, მოუფიქრებელი, აბნეულია, სწორედ ასეთი აბნეულობა გამოუდის ბუხარინს.

სახელდობრ: თქვენ საკითხს უდგებით კიდევ რამდენადმე სხვა მხრიდან, წინააღმდეგობას ხედავთ §§ 2-სა და 8-ს შორის.

§ 2-ში ნათქვამია საერთოდ: სოციალისტური რევოლუცია შეუძლებელია დემოკრატიისათვის უბრძოლველად. ეს უდავოა, და რადეკის + ბუხარინის სისუსტე სწორედ იმაშია, რომ ისინი, მაშინ როცა თანახმა არ არიან ამისა (ისევე როგორც თქვენ), ვერ ბედავენ სადავო გახადონ ეს!!

მაგრამ — შემდეგ — განსაზღვრული აზრით განსაზღვრული პერიოდისათვის ყოველგვარ დემოკრატიულ მიზნებს (არა მარტო თვითგამორკვევას! ეს დაიხსომეთ! თქვენ ეს დაგავიწყდათ!) შეუძლიათ შეაფერხონ სოციალისტური რევოლუცია. რა აზრით? რა მომენტში? როდის? როგორ? მაგალითად, თუ მოძრაობა უკვე გაჩაღდა. რევოლუცია უკვე დაიწყო, უნდა ავიღოთ ბანკები, ჩვენ.კი მოგვიწოდებენ: მოიცა. ჯერ რესპუბლიკა განამტკიცე, დაკანონეო და სხვ.!

მაგალითი: 1905 წ. აგვისტოში სათათბიროს ბოიკოტი სწორი იყო და პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღებას არ წარმოადგენდა.

((§ 2 = საერთოდ უარი წარმომადგენლობითს დაწესებულებებში მონაწილეობაზე აბსურდია; § 8 = არის ხოლმე

შემთხვევები, როცა საჭიროა უარი ვთქვათ: აი თვალსაჩინო დაპირისპირება, რომელიც განმარტავს, რომ § 2-სა და § 8-ს შორის წინააღმდეგობა არ არის.))

იუნიუსის წინააღმდეგ. მომენტი: იმპერიალისტური ომი. საშუალება მის წინააღმდეგ? მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია გერმანიაში. იუნიუსმა ბოლომდე არ თქვა ეს და აიღო დემოკრატია სოციალისტური რევოლუციის **გარეშე.**

უნდა შეგვეძლოს **შევაერთოთ** დემოკრატიისათვის ბრძოლა და სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა, ამასთან პირველი **დავუქვემდებაროთ** მეორეს. ამაშია მთელი სიძნელე; ამაშია მთელი არსი.

ტოლსტოელები და ანარქისტები პირველს უკუაგდებენ. ბუხარინი და რადეკი დაიბნენ, ვერ შეაერთეს პირველი მეორესთან.

მე კი ვამბობ: მხედველობიდან ნუ გაუშვებ მთავარს (სოციალისტურ რევოლუციას); დააყენე იგი პირველ რიგში (იუნიუსმა ეს არ ქნა); მას დაუქვემდებარე, შეუთანხმე, დაუმორჩილე და ისე დააყენე ყველა დემოკრატიული მოთხოვნა (რადეკი + ბუხარინი უგუნურად იშორებენ ერთ მათგანს) და გახსოვდეს, რომ მთავარისათვის ბრძოლის გაჩაღება შეიძლება მაშინაც, თუ კერძოსათვის ბრძოლით დაიწყება. ჩემი აზრით, სწორია მხოლოდ ეს წარმოდგენა საქმეზე.

საფრანგეთის + რუსეთის ომი გერმანიის წინააღმდეგ 1891 წელს. თქვენ იღებთ «ჩემს კრიტერიუმს» და უფარდებთ მას მხოლოდ საფრანგეთსა და რუსეთს!!!! როგორ გეკადრებათ, სად არის აქ ლოგიკა? მე ხომ ვამბობ, რომ საფრანგეთისა და რუსეთის მხრივ ეს რეაქციული ომი იქნებოდა (ომი იმისათვის, რომ უკუღმა დაეტრიალებინათ **გერმანიის** განვითარება, დაებრუნებინათ იგი ეროვნული ერთიანობიდან დაქუცმაცებისაკენ): ხოლო **გერმანიის მხრივ?** თქვენ სდუმხართ. ეს ხომ მთავარია. გერმანიის მხრივ 1891 წელს არ ყოფილა და არ შეიძლებოდა ყოფილიყო ომის **იმპერიალისტური** ხასიათი.

თქვენ დაგავიწყდათ მთავარი: 1891 წელს საერთოდ არ ყოფილა იმპერიალიზმი (მე ვცდილობდი დამემტკიცებინა ჩემს ბროშურაში, რომ იგი იშვა 1898—1900 წ., არა უადრეს) და არ ყოფილა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო იმპერიალისტური ომი გერმანიის მხრივ. (სხვათა შორის, მაშინ არც რევოლუციური რუსეთი იყო; ეს მეტად მნიშვნელოვანია.)

შემდეგ: «გერმანიის დაქუცმაცების «შესაძლებლობა» არც 1914—1917 წლების ომშია გამორიცხული», იწერებით თქვენ, სახელდობრ გადადიხართ რა იმის შეფასებიდან, რაც არის, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ზ ე.

ეს ისტორიული არ არის. ეს პოლიტიკა არ არის.

რაც ამჟამად ა რ ი ს, ეს არის ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ომი **ორივე** მხრიდან. ეს ჩვენ 1 000-ჯერ გვითქვამს. ეს არის არსი.

ხოლო «შესაძლებელი»!!?? განა ცოტა რამ არის «შესაძლებელი»!

სასაცილოა იმპერიალისტური ომის ეროვნულ ომად გადაქცევის **«შესაძლებლობის»** უარყოფა (თუმცა უსიერვიჩი შეაძრწუნა ამან!). რაღა არ არის «შესაძლებელი» ამ ქვეყნად! მაგრამ **ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ** იგი არ გადაქცეულა. მარქსიზმი პოლიტიკას ამყარებს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ზ ე და არა «შესაძლებლობაზე». შესაძლებელია, რომ ერთი მოვლენა მეორედ გადაიქცეს. — და ჩვენი ტაქტიკა გაქვავებული როდია. Parlez moi de la réalité et non pas des possibilités! *

ენგელსი მართალი იყო. ჩემს სიცოცხლეში მეტად ბევრი მინახავს ენგელსისათვის ნაჩქარევად წაყენებული ბრალდება ოპორტუნიზმში და ძალიან უნდობლად ვეპყრობი ამ ბრალდებებს: აბა ჯერ სინჯეთ და დაამტკიცეთ-მეთქი, რომ ენგელსი მართალი არ იყო!! ვერ დაამტკიცებთ!

ენგელსის წინასიტყვაობა წიგნისა «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში» [103]? განა არ იცით, რომ ეს წინასიტყვაობა

---

* — მელაპარაკეთ სინამდვილეზე და არა შესაძლებლობებზე! **რ ე დ.**

ბერლინში დაამახინჯეს მისი ნების წინააღმდეგ? განა ეს სერიოზული კრიტიკაა?

მისი განცხადება ბელგიის გაფიცვის შესახებ 1949? როდის? სად? როგორი? არ ვიცი.

არა. არა. ენგელსი უცოდველი არ არის. მარქსი უცოდველი არ არის. მაგრამ მათი «შეცოდებების» აღნიშვნას სხვანაირად უნდა ხელის მოკიდება, ღმერთმანი, სულ სხვანაირად. თორემ თქვენ 1 000-ჯერ მტყუანი ხართ.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წ. 25 დეკემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

116

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

რადეკის შესახებ. თქვენ იწერებით: «მე მას კინტალში ვუთხარი, რომ იგი ცუდად იქცეოდაო».

და მეტი არაფერი? მეტი არაფერი! პოლიტიკური დასკვნა?? თუ მისი ქცევა მხოლოდ შემთხვევითია?? მხოლოდ პირადი საქმე?? სულაც არა! აი სად არის თქვენი პოლიტიკური შეცდომის წყარო. თქვენ შეფასებას არ აძლევთ იმას, რაც ხდება — პოლიტიკურად. ეს კი, ღმერთმანი, პოლიტიკის საკითხია, რა უცნაურიც უნდა გეჩვენებოდეს ეს ერთი შეხედვით.

სამშობლოს დაცვის შესახებ. ჩემთვის უაღრესად არასასიამოვნო იქნება, ჩვენ რომ უთანხმოება მოგვივიდეს. ვსინჯოთ კიდევ შეხმატკბილება.

აი ერთგვარი «მასალა ფიქრებისათვის»:

ომი პოლიტიკის გაგრძელებაა.

მთელი საქმეა ს ი ს ტ ე მ ა პოლიტიკური ურთიერთობისა ომის წინ და ომის დროს.

ამ სისტემების მთავარი ტიპები: (ა) ჩაგრული ერის დამოკიდებულება მჩაგვრელ ერთან, (ბ) ურთიერთობა 2 მჩაგვრელ ერს შორის ნადავლის, მისი გაყოფის გამო და სხვ.. (გ) იმ ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება მჩაგვრელ, განსაკუთრებით რეაქციულ სახელმწიფოსთან, რომელიც სხვებს არ ჩაგრავს.

იფიქრეთ ამაზე.

ცეზარიზმი საფრანგეთში + ცარიზმი რუსეთში **არა** ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გერმანიის წინააღმდეგ 1891 წელს — აი 1891 წლის ისტორიული ვითარება.

იფიქრეთ ამაზე! მე კი **1891 წლის შესახებ** № 1 კრებულშიც ვწერდი[195].

რა მიხარია, რომ თქვენ გილბოსა და ლევის ესაუბრეთ! კარგი იქნება რაც შეიძლება ხშირად ან დროდადრო მაინც შვრებოდეთ ამას. იტალიელი კი ტყუის: ტურატის სიტყვა ს ა ზ ი ზ ღ ა რ ი კაუცკელობის ნიძუშია («droits nationaux» * მიატმასნა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ომს!!). ვ ვ-ს სტატიაც ამ სიტყვის შესახებ «Volksrecht»-ში ** საზიზღარია.

ეჰ, მინდა ერთი მივწერო ამის შესახებ ან ველაპარაკო იტალიელს!!

რა სისულელეა, რომ ლევი თავს ესხმის პარლამენტარიზმს!! სისულელეა!! «მემარცხენე» კია!! ღმერთო, რამდენი დომხალია ზოგის თავში.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. დეკემბერში
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «ეროვნული უფლებანი». რ ე დ.
** — «ხალხის უფლება». რ ე დ.

1917 წ.

117
ინესა არმანდს

აქ კვირას (7. I) შვეიცარიის პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება იყო.

არამზადა გრიმმა, როგორც ყველა მემარჯვენის სათავეში მდგომმა, გაატარა (ნობსის, პლატენის, მიუნცენბერგისა და ნენის წინააღმდეგ) გადაწყვეტილება გაურკვეველი დროით გადაიდოს პარტიული ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 11. II. 1917-ისათვის სპეციალურად ომის საკითხზე. მოტივები ყალბია. ხოლო ნამდვილი მიზეზია მისი სურვილი ბლოკი შეკრას მემარჯვენეებთან, სოციალ-პატრიოტებთან, რომლებიც გადადგომას იმუქრებიან, სამშობლოს დაცვის უარყოფა რომ გავიდეს!! არ უნდათ დაუშვან, რომ შვეიცარიელმა მუშებმა გადაწყვიტონ სამშობლოს დაცვის საკითხი!!!

ნენს, ამბობენ, შესანიშნავად უთქვამს გრიმისათვის, რომ იგი ყელს იჭრის, როგორც ინტერნაციონალის მდივანი.

ციმერვალდის თავმჯდომარე და სხვ. — და ასეთი არამზადა პოლიტიკაში!

მე ვფიქრობ ღია წერილი მივწერო შარლ ნენს[198], I. S. K.-ს * წევრს, გამოვცე იგი, იქ გრიმს არამზადა ვუწოდო და განვაცხადო, რომ მე არა მსურს ასეთ სუბიექტთან ერთად ვიყო ციმერვალდის ორგანიზაციაში და ჩემს ცენტრალურ კომიტეტში ვგზავნი დასაბუთებულ განცხადებას ამის შესახებ.

---

* — Internationale Sozialistische Kommission — საერთაშორისო სოციალისტური კომისია. რედ.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ გრიმი «დავიჭიროთ» ახლავე, en flagrant délit *, ვამხილოთ (ვინაიდან «ისინი» არაფერს არ გაუშვებენ პრესაში), ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ.

ვფიქრობ, რომ ეს აიძულებს რადეკსაც + როლანდ-ჰოლსტი **ზოგი რამ** უთხრან გრიმს.

რა თქმა უნდა, ფურცლების გამოსაცემად ასეთი ფურცელი არ ვარგა, იგი ცალკე უნდა გამოვუშვათ, ფირმის გარეშე.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წ. იანვრის
პირველ ნახევარში

გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

118

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

ენგელსის შესახებ. თუ თქვენ ხელში მოგხვდათ «Neue Zeit»-ის * № კაუცკის ნაამბობით (და ენგელსის წერილებით) იმის შესახებ, თუ როგორ დაამახინჯეს ენგელსის წინასიტყვაობა «Klassenkämpfe»-სათვის **, კარგი იქნებოდა, რომ ცალკე რვეულში ამოიწერდეთ ამას რაც შეიძლება დაწვრილებით. თუ არ შეიძლება, მაშინ გამომიგზავნეთ «Neue Zeit»-ის ზუსტი №, წელი, ტომი, გვერდი.

თქვენი თავდასხმები ენგელსზე, ჩემი აზრით. სრულიად უსაფუძვლოა. ბოდიშს ვიხდი გულახდილობისათვის: სანამ ასე დაწერდე, გაცილებით უფრო სერიოზულად უნდა მოემზადო! თორემ ადვილად შეიძლება შერცხვე — გაფრთხილებთ entre nous ***, მეგობრულად, პირისპირ, იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ ოდესმე პრესაში ან კრებაზე ასე ალაპარაკდებით.

ბელგიის გაფიცვა? ჯერ-1, შესაძლებელია. რომ ფაქტის ამ საკითხში, კერძო საკითხში ენგელსი ცდებოდა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. უნდა შეიკრიბოს ყველაფერი. რასაც იგი ამაზე წერდა. მე-2, საყოველთაო გაფიცვის შესახებ საერთოდ უკანასკნელი დროის ამბებმა, 1905 წელმა საბოლოოდ, მოგვცა **ახალი** რამ. რაც ენგელსმა არ იცოდა. ენგელსს ჩვეულებრივად ათობით წლების გან-

---

* — «ახალი დროება». რედ.

** — «კლასობრივი ბრძოლა». რედ.

*** — ჩვენ შორის. რედ.

მავლობაში ესმოდა «საყოველთაო გაფიცვაზე» **მხოლოდ** ლიტონი ფრაზები ანარქისტებისა, რომლებიც მას სამართლიანად სძულდა და ეზიზღებოდა. მოვლენებმა კი შემდეგ დაგვანახვა «მასობრივი გაფიცვის» **ახალი** ტიპი, პოლიტიკური, ე. ი. სრულიად არაანარქისტული. ეს ახალი რამ ენგელსმა ჯერ კიდევ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.

ეს არ შეიძლება დავივიწყოთ.

იყო თუ არა ბელგიის გაფიცვა ძველიდან ახალზე გადასვლა? შეეძლო თუ არა ენგელსს იმ დროსვე (1891 — 1892 წლები?? იგი უკვე 71 — 72 წლისა იყო; მომაკვდავი) დაენახა, რომ ეს ძველი ბელგიური (ბელგიელები დიდი ხანია პრუდონისტები იყვნენ) ნაშთი კი არ იყო, არამედ ახალზე გადასვლა? ეს უნდა მოიფიქროთ.

«სამშობლოს დაცვის» საკითხში თქვენ, ჩემი აზრით, აბსტრაქტულობასა და არაისტორიულობაში ვარდებით. ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი სტატიაში იურის წინააღმდეგ[197]: სამშობლოს დაცვა = ომში მონაწილეობის გამართლება. მეტი არაფერი. ამის განზოგადება, «ზოგად პრინციპად» გადაქცევა სასაცილოა, უკიდურესი არამეცნიერულობაა. (გამოგიგზავნით S. L. P.-ის* ამერიკულ პროგრამას ამ სასაცილო განზოგადებით.) ომები უაღრესად ჭრელი, მრავალფეროვანი, რთული ამბავია. საერთო შაბლონით მიდგომა არ შეიძლება.

(I) სამი მთავარი ტიპი: ჩაგრული ერის დამოკიდებულება მჩაგვრელთან (ყოველი ომი პოლიტიკის გაგრძელებაა; პოლიტიკა ურთიერთობაა ერებს, კლასებს შორის და სხვ.). საერთო წესით, ომი კანონიერია ჩაგრულის მხრივ (სულ ერთია, თავდაცვითია თუ შეტევითი სამხედრო თვალსაზრისით).

(II) ურთიერთობა 2 მჩაგვრელ ერს შორის. ბრძოლა კოლონიებისათვის, ბაზრებისათვის და სხვ. (რომი და კართა-

* — Socialist Labour Party — სოციალისტური მუშათა პარტია. რედ.

გენი; ინგლისი და გერმანია 1914 — 1917). საერთო წესით, ამგვარი ომი ორივე მხრიდან ძარცვაა; და დემოკრატიის (და სოციალიზმის) დამოკიდებულება მისდამი შეესაბამება წესს: «2 ქურდი ჩხუბობს, დაე ორივე დაიღუპოს»...

(III) მესამე ტიპი. თანასწორუფლებიან ერთა სისტემა. საკითხი **გაცილებით უფრო რთულია!!!!** განსაკუთრებით თუ ცივილიზებული, შედარებით დემოკრატიული ერების გვერდით დგას ცარიზმი. ასე იყო (დაახლოებით) ევროპაში 1815-დან 1905 წლამდე.

1891 წელი. საფრანგეთისა და გერმანიის კოლონიური პოლიტიკა უმნიშვნელოა. იტალიას, იაპონიას, შ. შტატებს **სრულებით** არა აქვთ კოლონიები (ახლა აქვთ). დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა სისტემა (ეს NB!! * იფიქრეთ ამაზე!! ნუ დაივიწყებთ ამას!! ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო ცალკეულ სახელმწიფოებში, არამედ სახელმწიფოთა გარკვეულ სისტემაშიც; ანარქისტებს შეეფერებათ უგულებელყონ ეს; ჩვენ ანარქისტები როდი ვართ), სისტემა საერთოდ კონსტიტუციური, ეროვნული სახელმწიფოებისა. მათ გვერდით ძლიერი, შეურყევი, რევოლუციამდელი ცარიზმი, რომელიც ასეული წლების მანძილზე ყველას ძარცვავდა და ჩაგრავდა, რომელმაც 1849, 1863 წლების რევოლუციები ჩაახშო.

გერმანია (1891 წლისა) მოწინავე სოციალიზმის ქვეყანა. და ამ ქვეყანას ემუქრება ცარიზმი ბულანჟიზმთან კავშირში!

სიტუაცია სრულებითაც, სრულებითაც არ არის ისეთი, როგორც 1914 — 1917 წლებში, როცა ცარიზმი შერყეულია 1905 წლით, ხოლო გერმანია ომს აწარმოებს მსოფლიოზე გაბატონებისათვის. სხვა ამბავია!!

1891 და 1914 წლების საერთაშორისო სიტუაციების გაიგივება, თუნდაც დამსგავსება — **უკიდურესი** არაისტორიულობაა.

---

* — Nota bene!! — დაიხსომეთ. რედ.

რეგვენმა რადეკმა პოლონურ მოწოდებაში ამას წინათ დაწერა («Befreiung Polens»): «Staatenbau» * ს.-დ. ბრძოლის მიზანი არ არისო. ეს უდიდესი სისულელეა! ეს ნახევრადანარქიზმია, ნახევრადიდიოტიზმი! არა, არა, ჩვენ სრულებითაც არა ვართ გულგრილნი Staatenbau-სადმი, სახელმწიფოთა სისტემისადმი. მათი ურთიერთდამოკიდებულებისადმი.

ენგელსი «პასიური რადიკალიზმის» მამა იყო?? მართალი არ არის! სულაც არა. ამას ვერასოდეს ვერ დაამტკიცებთ. (ბოგდანოვმა და კომპ. სინჯეს, მაგრამ შერცხვნენ.)

1914 — 1917 წლების იმპერიალისტურ ომში, ² იმპერიალისტურ კოალიციას შორის, ჩვეს «სამშობლოს დაცვის» წინააღმდეგი უნდა ვიყოთ, ვინაიდან (1) იმპერიალიზმი სოციალიზმის წინადღეა; (2) იმპერიალისტური ომი ტერდების ომია ნადავლისათვის; (3) ორივე კოალიციაშია მოწინავე პროლეტარიატი; (4) ორივეში მომწიფდა სოციალისტური რევოლუცია. **მხოლოდ** ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ «სამშობლოს დაცვისა», **მხოლოდ** ამიტომ!!

მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები!

თქვენი ლენინი

ახალგაზრდობის ორგანიზაციების მისამართები შევუკვეთე. დამპირდნენ.

ამრიგად, გამოცემის გეგმის შესახებ: წინ **დასძარით** საქმე. ხოლო რეფერატი **პაციფიზმის შესახებ?**

P. S. თქვენი 2 უკანასკნელი წერილი ორივე ერთად მივიღე, მაგრამ ეს აშკარად მხოლოდ ჩემი ბრალია.

დაწერილია 1917 წ. 19 იანვარს
ჟაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — («პოლონეთის განთავისუფლება»): «**სახელმწიფოებრივი მშენებლობა**». **რედ.**

119

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გუშინ თქვენი რეფერატი იყო, და მე მოუთმენლად ველი ცნობებს, როგორ ჩაიარა. ხუთშაბათს თქვენი ექსპრესი რომ მივიღე, ქალაქის მეორე მხარეს რადეკ-თან გავიქეცი და ამონაჭრები გამოვართვი. ძალიან მინდოდა მომეწერა თქვენთვის დიდი წერილი პაციფიზმის შესახებ (თემა საერთოდ უაღრესად მნიშვნელოვანია; ერთ-ერთი ძირითადია მთელი ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით, რაზედაც მე სტატიაში ვწერდი — იგი მივიღე; merci! — და დასასრულ მეტად მნიშვნელოვანია **შვეიცარიისათვის**). მაგრამ ვერ მოვასწრე: ხუთშაბათსაც და პარასკევსაც მემარცხენეთა კრებები გვქონდა.

მემარცხენეთა საქმეები აქ ცუდად წავიდა, ვინაიდან ნობსსა და პლატენს შეეშინდათ ომისა გრიმის წინააღმდეგ, რომელიც გ ა ა ფ თ რ ე ბ ი თ დ ა ე ს ხ ა თ ა ვ ს რეფერენ-დუმს [198], და შეაშინეს ჩვენი ახალგაზრდები!! სამწუხაროა!! ბერნში, გრიგოლის წერილების მიხედვით, უკეთესი მდგომარეობაა. რადეკმა, ჩემი დაჟინებით, დაწერა ბროშურა აქაური «ცენტრისა» და გრიმის წინააღმდეგ, მაგრამ გუშინ «მემარცხენეებმა» ჩაფუშეს (!!) მემარცხენეთა მიერ მისი გამოცემის გეგმა: დამფრთხალი არიან ნობსისა და პლატენის შეშინებით. აი მეომრები! აი მემარცხენეები!

მე ვფიქრობ, გუშინდელი თქვენი რეფერატი უნდა განიხილოთ, როგორც რ ე პ ე ტ ი ც ი ა, და მოამზადოთ მისი განმეორება ჟენევასა და ლაშოდეფონში: ამ თემაზე ღირს მუშაობა და რეფერატის გაკეთება ა რ ა ერთხელ. შვეიცარიელებს ეს უდიდეს სარგებლობას მოუტანს. მოიწერეთ

უფრო დეტალურად, როგორ აყენებდით საკითხს, **რა** არგუმენტები მოგყავდათ, რა პასუხს გაძლევდნენ და ა. შ.

თარგმნილია ფრანგულად შვეიცარიის ყრილობისათვის პროექტები რეზოლუციებისა სამშობლოს დაცვისა და ომის საკითხის შესახებ? ძე მხედველობაში მაქვს თარგმანი პრესაში: «Grütlianer», «Sentinelle» * და სხვ.. თუ არ არის თარგმნილი?

უნდა ვიზრუნოთ მათ თარგმნაზე, თუ თარგმნილი არ არის, და აგიტაციასა და პროპაგანდაზე.

ალბათ ეს საკითხი წინ წაიწევს Ch.-de-Fonds-ში ** თქვენს გამგზავრებასთან დაკავშირებით. დაველოდები ცნობებს თქვენგან.

აბრამოვიჩი ჩინებულად მუშაობს, და მას ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი.

მხურვალე სალამი! თქვენი ლ. ენინი

P. S. ტროცკიმ გამოგზავნა სულელური წერილი: არც დავბეჭდავთ და არც ვუპასუხებთ.

დაწყებულია ფრანგული შვეიცარიის პრესაში კამპანია (1) რეფერენდუმის შესახებ და (2) ყრილობისათვის ომის საკითხზე რეზოლუციების შესახებ? თუ არავითარი კამპანია არ დაწყებულა? ნახულობთ თუ არა რეგულარულად «Volksrecht»-ს და «Berner Tagwacht»-ს ***? ახლა ეს აუცილებელია; უნდა დავეხმაროთ შვეიცარიელ მემარცხენეებს.

მოგწერეთ თუ არა, რომ გილბომ უარი განაცხადა ხელი მოეწერა რეზოლუციაზე გრიმის წინააღმდეგ? (ან იქნებ უკვე გაიგეთ ეს გრიგოლისგან?). ვერაფერი შვილია ჩვენი გილბო:

---

* — «გრიუტლიანელი», «გუშაგი». რ ე დ.

** — შო-დე-ფონი. რ ე დ.

*** — «ხალხის უფლება» და «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

ეშინია გრიმთან ომისა, ეშინია სოკოლნიკოვისა, რომელსაც ეშინია გათიშვისა; — ეშინია მერჰეიმისა, რომელსაც ეშინია «ბატონ» ჟუოსი!! აი მეომრები!! მინდა მივწერო ამის შესახებ ოლღას.

დაწერილია 1917 წ. 22 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

120

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით ამონაჭრებს, რომლებიც რადეკს გამოვართვი (მხოლოდ შაბათამდე: დამიბრუნეთ (მე) რეფერატის **დამთავრებისთანავე).**

ყურადღება მიაქციეთ ინტერნაციონალის რეზოლუციის იმ §-ს, სადაც ლაპარაკია პაციფიზმის წინააღმდეგ («შეგონების» წინააღმდეგ).

კონფერენცია ჰააგაში და მთავრობებისა და ბურჟუაზიის სხვა ასეთი პაციფისტური განცხადებანი და წამოწყებანი გამოწვეულია

(1) ფარისევლობით

(2) ხალხის მოტყუებით

(3) ბურჟუაზიული პაციფიზმის მიმდინარეობით, რომელსაც დიდი «სახელები» აქვს და ოცნებობს მშვიდობაზე სოციალური რევოლუციის გარეშე. ამ მიმდინარეობას უდიდესი ლიტერატურა აქვს (ბატონკაცური, არა ხალხისათვის).

(4) ანგარიშით: ხან ერთი, ხან მეორე სახელმწიფოსათვის ზოგჯერ ხელსაყრელია «გვეჩვენოს» მშვიდობიანად, დრო მოიგოს და სხვ.

ეს საერთოდ. კონკრეტულად: უნდა შევისწავლოთ ყოველი ცალკეული შემთხვევა, ყოველი სახელმწიფო.

ციფრები, რომლებსაც მთხოვთ, არა მაქვს.

(მისამართები გამოგზავნილია: რეკომენდაციას, თუ საჭიროა, ყველაზე უკეთესს მოგცემენ აბრამოვიჩი და მისი **შეგობრები.)**

პაციფიზმის საკითხის (შვეიცარიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის) არსია: იდეა, თითქოს ომი დაკავშირებული არ არის კაპიტალიზმთან, არ არის **მშვიდობიანი** დროის პოლიტიკის **გაგრძელება.** ამაშია თეორიული სიყალბე; **პრაქტიკული** სიყალბე კი სოციალური რევოლუციისათვის გვერდის ავლაშია.

ძალიან მეჩქარება! სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წ. 30 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

121

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! მივიღე ამონაჭრები. Merci!

ჩვენთან ამ ცოტა ხნის წინათ იყო ორი გამოქცეული ტყვე. საინტერესო იყო «ცოცხალი», ემიგრანტობით გაურყვნელი ადამიანების ნახვა. ტიპები: ერთი — ბესარაბიელი ებრაელია, ბუნდის მნახველი, სოციალ-დემოკრატი თუ თითქმის სოციალ-დემოკრატი, ძმა ბუნდელი ჰყავს და ა. შ.. გაქნილია, მაგრამ პირადად საინტერესო არ არის, ვინაიდან ჩვეულებრივია. მეორე — ვორონეჟელი გლეხი, მიწის მუშა, ძველი სარწმუნოების მიმდევარი ოჯახიდან. ხელუხლებელი ძალა. უაღრესად საინტერესო სანახავი და მოსასმენი იყო. წელიწადი გაუტარებია გერმანიის ტყვეობაში (საერთოდ იქ უამრავი საშინელებაა) 27 000 უ კ რ ა ი ნ ე ლ ი ს ბანაკში. გერმანელები ბანაკებს ეროვნებათა მიხედვით ადგენენ და მთელი ძალღონით ცდილობენ ჩამოაშორონ ისინი რუსეთს; უკრაინელებს მიუგზავნეს გაქნილი ლექტორები გალიციიდან. შედეგები? აგიტატორთა ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ «სამოსტიინოსტა» (დამოუკიდებლობა უფრო ავტონომიის, ვიდრე სეპარაციის აზრით) მხოლოდ 2 000 მიემხრო!! დანარჩენებში კი ის აზრი, რომ რუსეთს გამოეყონ და გერმანელებთან ან ავსტრიელებთან გადავიდნენ, გააფთრებას იწვევდაო.

ღირსშესანიშნავი ფაქტია! არ შეიძლება არ დავუჯეროთ. 27 000 დიდი რიცხვია. წელიწადი დიდი ვადაა. პირობები გალიციელთა პროპაგანდისათვის — უაღრესად ხელსაყრელი. და მაინც ველიკორუსებთან სიახლოვე სჯობნიდა! აქედან, რა თქმა უნდა. სულაც არ გამომდინარეობს, რომ «გამოყოფის თავისუფლება» სწორი არ არის. პირიქით. მაგრამ აქედან

გამომდინარეობს, რომ ეგებ ბედმა იხსნას რუსეთი განვითარების «ავსტრიული ტიპისაგან».

სამშობლოს დაცვის საკითხში ჩვენი ვორონეჟელი ისეთივე აზრისაა, როგორისაც ტროიანოვსკი და პლეხანოვი. თანაუგრძნობს სოციალიზმს, მაგრამ «თუ გერმანელი მოიწევს, როგორ არ დავიცვათ თავიო?». არ ესმის. ძალიან სწყინს (მასაც **და ებრაელსაც!!**), ასე საშინლად რომ სცემენ გერმანელები «ჩვენებს». მეფისა და ღმერთისადმი, აგრეთვე დიდი მემამულეებისადმი რწმენა ამ 27 000-დან ყველას მთლად გაუქარწყლდაო. გაბოროტებულნი და განათლებულნი დაბრუნდებიან შინ.

ვორონეჟელის მთელი მისწრაფებაა — უკან, შინ, მიწისაკენ, მეურნეობისაკენ. სამუშაოზე უხეტიალნია გერმანულ სოფლებში; თვალყურს ადევნებდა, სწავლობდა.

ფრანგებს აქებენ (ტყვეობაში) — კარგი ამხანაგები არიანო. «გერმანელებიც თავიანთ კაიზერს აგინებენო». ინგლისელები სძულთ: «ამპარტავნები არიან; პურის ნატეხს არ მოგცემს, თუ იატაკი არ გაურეცხეო» (აი იმპერიალიზმის მიერ გათახსირებული არამზადები!).

სხვა ოპერიდან: რა შესანიშნავი აურზაური გამოიწვია რეფერენდუმმა, განსაკუთრებით მისმა დასაბუთებამ! საუცხოოა! ერთი განახვათ გრიმისა და კომპ. სტატიები «Berner Tagwacht»-ში * და «პროვინციულ» სოციალ-დემოკრატიულ პრესაში! გოდებაა, გმინვაა! შიგ გულში მოვარტყით ამ არამზადებს. მე მთელი ძალ-ღონით ვაქებ ბედი რადეკს (იგი კიდევ აქ არის და მე მასთან — არ ელოდით? — **უდიდესი** მეგობრობა მაქვს, ისევე როგორც ყოველთვის «ცენტრის» წინააღმდეგ, როცა ნიადაგი ა რ ა ა რ ი ს რადეკის მელაკუდობისათვის, «მემარჯვენეთა» შესახებ თამაშისათვის და სხვ.) დაეწერა ბროშურა: საათობით დავდიოდით ციურიხში და მე «ჩავციებოდი». დაჯდა და დაწერა. ჩვენმა «მემარცხენეებმა», რომლებიც შეაშინეს ნობსმა და პლატენმა (ამ

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

გმირებს შ ე ე შ ი ნ დ ა თ გრიმისა, რომელსაც შეეშინდა გრეილიხისა და კომპანიისა!!), მოისმინეს იგი და ჩ ა შ ა ლ ე ს (!!): არ დაბეჭდოთ, თორემ პარტიიდან გაგაგდებენო (!!). ცალკე დავბეჭდავთ.

ისეთი მომენტია, როცა ინტერესი გაძლიერებულია, როცა ყველა ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ი არა მარტო სიტყვიერად უ ნ დ ა დაეხმაროს შვეიცარიელ მუშებსა და მემარცხენეებს. დავეხმარებით კიდეც!

კიდევ სხვა ოპერიდან. გადავიკითხე ენგელსის «Zur Wohnungsfrage» 1887 წლის წინასიტყვაობით [199]. იცნობთ? საუცხოოა! მე კვლავ «შეყვარებული» ვარ მარქსსა და ენგელსზე, და მათი რაიმე ძაგება არ შემიძლია გულდამშვიდებით ავიტანო. არა, ეს ნამდვილი ადამიანები არიან! მათგან უნდა ვსწავლობდეთ. ამ ნიადაგს არ უნდა ავცდეთ. ა მ ნიადაგს ასცდნენ სოციალ-შოვინისტებიც და კაუცკელებიც. (სხვათა შორის: ნახეთ Loriot-Rappoport, Saumoneau-ს რეზოლუცია [200]? ისიც ³/₄-ით კაუცკისებურია. მინდა დავწერო ფრანგებისათვის, გავაკამტვერო ეს რეზოლუცია და მთელი პაციფიზმი. ვკითხავ გრიშას, გამოსცემს თუ არა. მან ა რ მიპასუხა სუვარინისადმი ჩემი პასუხის თაობაზე! [201]). მაშ ასე, გისურვებთ ყველა და ყოველნაირ სიკეთეს, მეტად ბევრი გელაყბეთ.

ხელს გართმევთ! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. იმედი მაქვს, რომანულ შვეიცარიაშიც რეფერენდუმი ბევრ სარგებლობას მოიტანს. ველი ამბებს აბრამოვიჩისაგან, ოლღასაგან და ა. შ.

დაწერილია 1917 წ. 30 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

122

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა. თქვენი რეფერატის გეგმა ძალიან მომწონს. გირჩევთ უთუოდ გაიძეოროთ იგი, საბრძოლველად გამოიწვიოთ H. Droz-ი *, შეავსოთ რეფერატი პუნქტით რევოლუციის შესახებ (მხოლოდ რეფერატის ზომამ, შესაძლოა, ამის საშუალება არ მოგცეთ?), ე. ი. იმის შესახებ, თუ რ ო გ ო რ შეიძლება მოხდეს რევოლუცია? რა არის პროლეტარიატის დიქტატურა? რატომ არის ის აუცილებელი? რატომ არის ის **შეუძლებელი** პროლეტარიატის შეუიარაღებლად? რატომ შეიძლება მისი სავსებით შეთავსება დემოკრატიასთან, სრულ, ყოველმხრივ დემოკრატიასთან? (წინააღმდეგ ვულგარული აზრისა).

Droz-ს და სხვ. შვეიცარიელ სოციალ-პაციფისტებს ა რ ესმით ეს; ისინი ა რ ჩაჰფიქრებიან ამას; შვეიცარიის პიროებები კი d'un petit État et de la petite bourgeoisie d'un petit État ** ყოველნაირად წ ა რ მ ო შ ო ბ ე ნ სწორედ წბზ. (= წვრილბურჟუაზიულ) პაციფიზმს.

თუ მოგდით «Volksrecht»-ი *** და «Berner Tagwacht»-ი **** (ამ ორი გაზეთის კითხვა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა), ეს, ჩემი აზრით, საკმარისია იმისათვის, რომ იმსჯელოთ ც ე ნ ტ რ ი ს პოზიციაზე, რომელზეც სავსებით დგას გრიმი (არამზადა! რა ყალთაბანდურად «ებრძვის» სოც.-პატრიოტ

* — ე. დრო. რ ე დ.

** — პატარა სახელმწიფოსი და პატარა სახელმწიფოს წვრილბურჟუაზიისა. რ ე დ.

*** — «ხალხის უფლება». რ ე დ.

**** — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

Huber-Rohrschach-ს!! *) და რომელზეც დაეშვნენ (¾-ით) ნობსი და პლატენიც. თქვენ სასტიკად ცდებით, თუ ხუმრობის გარეშე იწერებით პლატენზე ჩემი «გავლენის» შესახებ. საქმე ასეა: ის და ნობსი ციმერვალდსა და კინტალში მემარცხენეებად «ჩაეწერნენ». მე ყოველნაირად ვცდილობდი ჩამება ისინი მსჯელობაში, წრეში, საუბრებში. ყველაფერი უშედეგო იყო!! მათ ე შ ი ნ ი ა თ გრიმისა და მასთან ბრძოლისა. ისინი ¾-ით = «ცენტრი». ისინი თ ი თ ქ მ ი ს უიმედონი არიან. მემარცხენეთა ძლიერი მოძრაობა თუ გამოასწორებს მათ, და ისიც საეჭვოა.

დღეს ჯერ კიდევ არ არის გასწორებული რეზოლუცია. დავუცდით ხვალამდე.

მიუნცენბერგმა გუშინ მითხრა, რომ სამშაბათს მათ ექნებათ თათბირი ახალგაზრდებისა გერმანული და ფრანგული შვეიცარიიდან. იმ დროისათვის აუცილებლად საჭიროა ჩ ვ ე ნ ი რეზოლუცია ომის საკითხზე. (რადეკმა იკისრა დაემზადებინა პროექტი, მაგრამ აქამდე ა რ მოუცია.) ჩემი აზრით, თქვენ მთელი ძალ-ღონით უნდა მოჰკიდოთ ხელი მუშაობას, რომ ს ა მ შ ა ბ ა თ ა მ დ ე მოასწროთ (1) მისწეროთ ჟენევაში და Ch.-de-F.-ში **, რომ ჯერჯერობით **ჩემი** თეზისები (§§ ომის საკითხზე, განყ. I) აიღონ საფუძვლად; (2) გაიგოთ, ვინ იქნება ახალგაზრდების კრებაზე .რომანული შვეიცარიიდან; (3) «დაამუშაოთ» ისინი, «ასწავლოთ», რომ შეიგნონ, თუ რაშია აზრი და არსი ჩვენი განსხვავებისა (α) სოციალ-პაციფიზმისაგან და (β) «ცენტრისაგან» (=გრიმისა და კომპანიისაგან). (პლატენმა ვერაფერი ვერ გაიგო და არა სურს ისწავლოს.) ჩვენი პოზიცია, საერთოდ, = კ. ლიბკნეხტი, ბრძოლა **საკუთარი** ქვეყნის სოციალ-პატრიოტიზმთან და ცენტრთან; ომის წინააღმდეგ ბრძოლის განუყრელი კავშირი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან და **ყოველმხრივ** და **დაუყოვნებლივ რევოლუციურ** მუშაობასთან სოციალისტური რევოლუციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ.

* ჰუბერ-როერშახს. რ ე დ.

** — შო-დე-ფონში. რ ე დ.

რეფერენდუმის მოტივები, სხვათა შორის, = პირველი ნაბიჯი მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე თ ა პლატფორმისა შკეიცარიაში. ეს **NB.**

სამშაბათს ახალგაზრდებმა რომანული შვეიცარიიდან აუცილებლად უნდა წარადგინონ მემარცხენე რეზოლუციის პროექტი და იბრძოლონ მისთვის. მე ჯერ კიდევ არ მინახავს შესწორებანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი საქმეს ა.ფ უ ჭ ე ბ ს (იმით, რომ არიგებს, ხლართავს უთანხმოებას მემარცხენეებსა და შვეიცარიელ სოციალ-პატრიოტებს შორის, ნაცვლად იმისა, რომ გამოააშკარაოს ისინი. ამაშია მთელი არსი და მთელი სისაძაგლე გრიმის სტატიებისა «Berner Tagwacht»-ში და «Neues Leben»-ში * უმრავლესობისა და უმცირესობის შესახებ).

ეცადეთ დაუახლოვდეთ ინტერნირებულ ფრანგებს, გააბათ მიწერ-მოწერა, იპოვოთ კავშირი, დ ა ა ა რ ს ო თ მათ შორის **მემარცხენეთა** (ფარული და არაფორმალური) ჯგუფი. **მ ე ტ ა დ** მნიშვნელოვანია!

ლოზუნგი «მასობრივი მოძრაობა» ცუდი როდია, მაგრამ მთლად სწორი **ვერ** არის. ვინაიდან იგი იკიწყებს **რევოლუციას, ძალაუფლების მოპოვებას,** პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს **დიქტატურას.** ეს NB!! უფრო სწორად რომ ვქვათ: ყოველნაირი **რევოლუციური** მასობრივი გამოსვლებისათვის მხარდაჭერა და მათი განვითარება (ახლავე) **რევოლუციის** მოახლოების მ ი ზ ნ ი თ დ ა ა. შ.

პლატენი = თავგზააბნეულია. შეიდემანთან თუ ლიბკნეხტთანო? კითხულობს იგი, რადგან ვერ გაიგო, რომ გრიმი სწორედ «არიგებს», აერთებს, ერთმანეთთან ხ ლ ა რ თ ა ვ ს შვეიცარიელ სოციალ-პატრიოტებს (გრეიტლიხს და ა.ომპ.) და შვეიცარიელ «მემარცხენეებს», **სრულიად შეუგნებლებს!!!**

თ ქ ვ ე ნ მ ა რ თ ა ლ ი ხ ა რ თ: **ახლავე** რევოლუციური ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ, გაფიცვები, დემონსტრაციები

---

* — «ახალ ცხოვრებაში». რ ე დ.

etc. ახლავე «გასვლა ხალხში», ე. ი. მისვლა **მასასთან,** ჩაგრულთა **უმრავლესობასთან,** ქადაგება სოციალისტური რევოლუციისა (ე. ი. ბანკებისა და **ყველა** მსხვილი საწარმოს დაუფლებისა).

მაგრად გართმევთ ხელს! თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წ. 3 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

123

ა. მ. კოლონტაის

17. II. 1917.

ძვირფასო ა. მ.! დღეს მივიღეთ თქვენი წერილი, რომელმაც ძალიან გაგვახარა. დიდხანს არ ვიცოდით, რომ ამერიკაში იყავით, და თქვენგან არ მიგვიღია წერილები, გარდა ერთისა, რომელშიც იტყობინებოდით ამერიკაში თქვენს გამგზავრებას.

მე მოგწერეთ 7—8. I (დღე წერილის გამოგზავნისა სტოკჰოლმიდან — პირდაპირ აქედან ამერიკაში გაგზავნილს ყველაფერს ფრანგები აკავებენ!), მაგრამ ამ წერილმა (რომელსაც დართული ჰქონდა სტატია «ნოვი მირისათვის») ჩანს ვეღარ მოგისწროთ ნიუ-იორკში.

რამდენადაც სასიამოვნო იყო თქვენგან იმის შეტყობა, რომ ნ. ივ—მა და პავლოვმა გაიმარჯვეს «ნოვი მირში» (ამ გაზეთს ძალიან არაწესიერად ვიღებ, ცხადია ფოსტის და არა თვით გაზეთის ექსპედიციის მიზეზით), — იმდენადვე სამწუხაროა ცნობა, რომ ტროცკიმ მემარჯვენეებთან ბლოკი შეკრა ნ. ივ—ის წინააღმდეგ საბრძოლველად. რა ღორია ეს ტროცკი — მემარცხენე ფრაზები და მემარჯვენეებთან ბლოკი ციმერვალდელ მემარცხენეთა წინააღმდეგ!! იგი უნდა ამხილოს კაცმა (თქვენ) თუნდაც მოკლე წერილით «სოციალ-დემოკრატში»!

«Internationalist»-ის * № 1 უკვე მივიღე და ძალიან გამეხარდა. S. L. P. და S. P. 1917 წლის 6—7 იანვრის კონფერენციის შესახებ არასრული ცნობები მაქვს. ვგონებ, S. L. P. ამოღებას უპირებს მთელ პროგრამა-minimum-ს

* — «ინტერნაციონალისტის». რ ე დ.

(აი ცთუნება და საფრთხე ბუხარინისათვის, რომელიც «ზედ ამ ადგილზე» წაიფორხილებდა ხოლმე ჩვენში 1915 წლიდან!!). ფრიად სამწუხაროა, რომ არ შემიძლია შევაგროვო ყველა დოკუმენტი S. L. P.-ს შესახებ (ეს ბუხარინს ვთხოვე, მაგრამ წერილები აშკარად იკარგება). თქვენ ხომ არა გაქვთ მასალები? წაკითხვის შემდეგ დაგიბრუნებდით.

მე ვამზადებ (მასალა თითქმის მოვამზადე) სტატიას სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე [202]. კაუცკის წინააღმდეგ უფრო მკვეთრ დასკვნებამდე მივედი, ვიდრე ბუხარინის წინააღმდეგ (ნახეთ მისი «Nota Bene» «Jugend-Internationale»-ს * № 6-ში? და «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა» № 2? [203]). საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია; ბუხარინი კაუცკიზე გაცილებით უკეთესია, მაგრამ ბუხარინის შეცდომებმა შეიძლება დაღუპონ ეს «სამართლიანი საქმე» კაუცკელობასთან ბრძოლაში.

გამოგიგზავნით ჩემს სტატიას თვითგამორკვევის შესახებ პ. კიევსკის წინააღმდეგ [204]. ეჰ, აფსუს, ფული არა გვაქვს! გამოვცემდით «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 3-სა (მთელი მასალა დევს) და № 4-ს (ბუხარინის სტატიას, რომელიც თავდაპირველად უარვყავით, სახელმწიფოს შესახებ, და ჩემს სტატიას სახელმწიფოს შესახებ)!

ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფმა, ჩემი აზრით, იდეურად დაასამარა ციმერვალდი: Bourderon-მა + Meerheim-მა ** პარიზში ხმა მისცეს პაციფიზმს, Kautsky-მაც *** 7. I. 1917-ს ბერლინში, ტურატიმ (17. XII. 1916!!) და მთელმა იტალიის პარტიამაც. ეს ციმერვალდის სიკვდილია!! სიტყვით დაგმეს «სოციალ-პაციფიზმი» (იხ. კინტალის რეზოლუცია). საქმით კი მისკენ იბრუნეს პირი!!

გრიმმა საზიზღრად იბრუნა პირი სოციალ-პატრიოტებისაკენ შვეიცარიის პარტიის შიგნით (ჩვენი სტოკჰოლმელი მეგობარი გამოგიგზავნით მასალას ამის შესახებ), ბლოკი

* — «ახალგაზრდობის ინტერნაციონალის». რ ე დ.

** — ბურდერონმა + მერჰეიმმა. რ ე დ.

*** — კაუცკიმაც. რ ე დ.

შეკრა მათთან 7. I. 1917-ს (Parteivorstandsitzung *) მემარცხენეთა წინააღმდეგ ყრილობის გადადებისათვის!! ხოლო ახლა კიდევ უფრო საზიზღრად დაესხა თავს მემარცხენეებს Begründung des Referendums-ისათვის ** (გამოგიგზავნით) და შეადგინა «საშუალო», «ცენტრული» რეზოლუცია. თუ გაქვთ, თუ შეგიძლიათ იშოვნოთ zürcher «Volksrecht»?? თუ არა, ზოგიერთ რამეს გამოგიგზავნით ან შევეცდებით გამოგიგზავნოთ.

ხვალ (18. II) შვეციის პარტიის ყრილობაა. ალბათ, გათიშვაა? ვგონებ, ახალგაზრდებში[205] საშინელი დაქსაქსულობა და არევ-დარევაა. შვედური ენა თუ იცით? შეგიძლიათ თუ არა მოაგვაროთ თანამშრომლობა (ჩიმი და სხვ. მემარცხენეებისა) შვეციის ახალგაზრდათა გაზეთში?

გთხოვთ გვიპასუხოთ თუნდაც მოკლედ, მაგრამ სწრაფად, წესიერად, რადგან ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთან კარგი მიწერ-მოწერის მოგვარებას.

მხურვალე სალამი!

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — პარტიის გამგეობის სხდომა. რედ.

** — რეფერენდუმის მოტივირებისათვის. რედ.

124

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ამ დღეებში მოსკოვიდან სასიამოვნო წერილი მივიღეთ (მალე გამოგიგზავნით პირს, თუმცა ტექსტი საინტერესო არ არის). გვწერენ, რომ მასების განწყობილება კარგია, რომ შოვინიზმი აშკარად კლებულობს და რომ ალბათ ჩვენც დაგვიდგება დღესასწაული. ორგანიზაციას უჭირს იმის გამო, რომ მოზრდილები ფრონტზე არიან, ფაბრიკებში კი ახალგაზრდობა და ქალებიაო. მაგრამ საბრძოლო განწყობილება ამის გამო არ ნელდებაო. გვიგზავნიან იმ ფურცლის (კარგი ფურცელია) პირს, რომელიც ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიურომ გამოუშვა[206]. ცენტრალური ორგანოს შემდეგ №-ში დავბეჭდავთ.

არ მომკვდარან! ძნელია ადამიანთა და განსაკუთრებით ჩვენი პარტიის ცხოვრების პირობები. მაგრამ მაინც ცხოვრობენ.

არის კიდევ წერილი კოლონტაიშასაგან, რომელიც (ეს ჯერჯერობით entre nous * იყოს) ამერიკიდან ნორვეგიაში დაბრუნდა. ნ. ივ — მ და პავლოვმა (ლატვიელი, ბრიუსელში რომ იყო: პავლე ვასილის-ძე) «ნოვი მირი» (ამ გაზეთს მეტისმეტად ცუდად ვიღებ) დ ა ი პ ყ რ ე ს ო, მაგრამ... ჩასულა ტროცკი და ამ არამზადას მაშინვე შეუკრავს პირი «ნოვი მირის» მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ფრთასთან მემარცხენე ციმერვალდელთა წინააღმდეგ!! ასეა საქმე!! აი როგორ იქცევა ტროცკი!! მუდამ ის არის რაც არის = მელაკუდობს, თაღლითობს, პოზიორობს როგორც მემარცხენე, ე ხ მ ა რ ე ბ ა მემარჯვენეებს, სანამ შეიძლება...

---

* — ჩვენ შორის. რ ე დ.

მემარცხენეებს შორის ამერიკაში მუშაობა საკმაოდ კარგად მიმდინარეობსო, თუმცა კოლონტაის აშინებს S. L. P.-ის ანარქოსინდიკალისტური ნაკადები (ნ. ივ—ს ეს არ აშინებსო). S. L. P.-ის ორგანოში («Weekly People» *) წავიკითხე, რომ ისინი პროგრამა-მინიმუმის ამოგდებას აპირებენ... ნ. ივ. «ზედ ამ ადგილზე» წაიფორხილებს ხოლმე 1915 წლიდან. მაშინებს მისი საქმე! ამერიკასთან კი ფოსტა არ მოქმედებს.

უკანასკნელ ხანებში გაძლიერებით ვმუშაობდი სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე, ბევრი მასალა შევაგროვე, მივედი, როგორც მე ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან დასკვნებამდე გაცილებით უფრო მეტად კაუცკის წინააღმდეგ. ვიდრე ნ. ივ. ბუხარინის წინააღმდეგ (რომელიც სულ ერთია მაინც მართალი არ არის, თუმცა უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე კაუცკი). დიდი სურვილი მაქვს დავწეროთ ამის შესახებ: გამოვუშვათ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 4, რომელშიც იქნება ბუხარინის სტატია და ჩემი გარჩევა მისი პატარა შეცდომებისა და კაუცკის დიდი სიცრუის და მის მიერ მარქსიზმის გაუხამსებისა.

ნადია ავად არის: ბრონქიტი შეხვდა და სიცხე აქვს. როგორც ჩანს წოლა მოუხდება. დღეს ექიმ ქალს გამოვუძახე.

La Chaux-de-Fonds-ში თქვენი გამგზავრების საქმე როგორღა არის? სავსებით მიატოვეთ ეს აზრი და საერთოდ ყველა გეგმა რომანულ შვეიცარიაში მუშაობის შესახებ? არ უნდა მიგეტოვებინათ. აქ საქმეები, როგორც მოგწერეთ, ძალიან კარგად ვერ არის, მაგრამ დღეს მაინც დავამთავრეთ ფურცელი № 1 («ციმერვალდის მემარცხენეთა შვეიცარიული ჯგუფი»). ვნახოთ, რა გამოვა!

თუ ახლა არა, საერთოდ მაინც (ე. ი. ცოტა უფრო გვიან) შევძლებთ (დარწმუნებული ვარ) — თუ ჩვენ ვერა, ჩვენი

* — «ხალხის ყოველკვირეული». რედ.

შემცვლელები — შევქმნათ მემარცხენეთა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა შვეიცარიაში. საამისო ნ ი ა დ ა გ ი არის!

წაიკითხეთ მემარცხენეთა წინადადებანი ციურიხის კანტონალური პარტიის ყრილობაზე Töss-ში 11. II. 1917-ს? [207] «Volksrecht»-ში? მაინც ხომ კარგია, ჰა?

გიძღვნით მხურვალე სალამს და მაგრად გართმევთ ხელს. მომიტევეთ, უკანასკნელი გვერდი აჭიჭყნილი რომ გამომივიდა: მაჩქარებენ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 19 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

125

ა. მ. კოლონტაის

5. III. 1917.

ძვირფასო ა. მ.! გაზეთების ცნობებიდან ჩანს, რომ 12. V-სათვის შვეიცაში მოწვეულია ახალგაზრდათა ყრილობა ახალი პარტიის დასაარსებლად «ციმერვალდის პრინციპებზე».

ეს ცნობა, სწორედ მოგახსენოთ, ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი და აღმაშფოთებელია. რადგან «ციმერვალდი» აშკარად გაკოტრდა, და კარგი სიტყვა კვლავ ეძსახუობა სიდამპლის დაფარვას! ციმერვალდის უმრავლესობა, ეს — ტურატი და კომპანია, კაუცკი და ლედებური, Meerheim-ი — **ყველაფერი** გადავიდა სოციალ-პაციფიზმის, კინტალში ესოდენ საქვეყნოდ (და ესოდენ უნაყოფოდ!) დაგმობილი სოციალ-პაციფიზმის პოზიციაზე. კაუცკის და კომპანიის 7. I. 1917-ის მანიფესტი, იტალიის სოციალისტური პარტიის მთელი რიგი რეზოლუციები, მერჰეიმ-ჟუოს და ლონვე-ბურდერონის რეზოლუციები (+რაფენ = დიუჟანსისა რენოდელთან თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ), განა ეს ციმერვალდის გაკოტრება არ არის? ახლა ციმერვალდის «ცენტრი» — რ. გრიმი, რომელმაც 7. I. 1917-ის შვეიცარიის სოციალ-პატრიოტებთან კ ა ვ შ ი რ ი შეკრა მემარცხენეთა წინააღმდეგ საბრძოლველად!! გრიმი, რომელიც ლანძღავს ყ ვ ე ლ ა ქვეყნის სოციალ-პატრიოტებს, გ ა რ დ ა შვეიცარიელი სოციალ-პატრიოტებისა, რომლებ'აც ის ხ ე ლ' ა ფ ა რ ი ბ ს! C'est dégoûtant! * უკიდურესად ვარ გაბოროტებული ამ არამზადებზე; მეზიზღება მათი მოსმენა და მათ შესახებ გავონება; კიდევ

---

* — ეს საძაგლობაა! რ ე დ.

უფრო მეზიზღება ფიქრი მათთან ერთად მუშაობაზე. კომედიანტობაა!

ვაპირებთ მოგიგროვოთ მასალები რ. გრიმის ამ კრახის შესახებ. მიპასუხეთ, შეგიძლიათ თუ არა იშოვოთ zürcher «Volksrecht»-ი. იქ რეფერენდუმის მოტივებში და მემარცხენეთა მიერ Töss-ში (11. II. 1917-ს) მიღებულ რეზოლუციაში და სხვ. და სხვ. მთავარ მასალას იპოვნით.

მაგრამ შვედ მემარცხენეთა უმრავლესობა ხომ, ალბათ, გულწრფელია. ეს ცხადია. და საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს დავეხმაროთ მათ 12. V-მდე, წინასწარ მიხვდნენ სოციალ-პაციფიზმისა და კაუცკელობის მთელ უხამსობას, დავეხმაროთ მათ მიხვდნენ ციმერვალდის უმრავლესობის მთელ საზიზღრობას, დავეხმაროთ მათ შეიმუშაონ კარგი პროგრამა და ტაქტიკა ახალი პარტიისათვის.

ღმერთმანი, ჩვენ (ჩვენ ყველანი, შვეციაში მემარცხენეები და ისინი, ვისაც შეუძლია მათთან კავშირი დაამყაროს) უნდა დავირაზმოთ, მთელი ძალები დავძაბოთ, დავეხმაროთ, რადგან გადამწყვეტი მომენტია შვეციის პარტიის, შვეციისა და სკანდინავიის მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში.

რაკი შვედურად კითხულობთ (და კიდევაც ლაპარაკობთ), თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობის დიდი დოზა, თუ «ინტერნაციონალიზმი» გვესმის არა იმ აზრით, რომ «მე არ მეხებაო».

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ძალიან ბევრს აკეთებთ. სასურველია დავრაზმოთ, გავაერთიანოთ მემარცხენეები შვედების დასახმარებლად მათი ცხოვრების ესოდენ ძნელ მომენტში. ხომ არ შეიძლება შეიქმნას ამისათვის ქრისტიანიაში, კოპენჰაგენსა და სტოკჰოლმში ჯგუფი რუსი ბოლშევიკებისა და მემარცხენეებისა, რომლებმაც შვედური ენა იციან და დახმარება შეუძლიათ? გაინაწილონ სამუშაო: შეაგროვონ მთავარი დოკუმენტები და სტატიები (მე გამომიგზავნეს ნერმანის პოლემიკა Mauritz Västberg-თან «Politiken»-ში *

* — მორიც ვესტბერგთან «პოლიტიკაში». რ ე დ.

28. XI. 1916 თემაზე «ჯერ პროგრამა, შემდეგ ახალი პარტია», მაგრამ ვერ მივხვდი); შეიმუშაონ თავიანთი თეზისები მათ დასახმარებლად; მოათავსონ მთელი რიგი სტატიები მათ დასახმარებლად. შვედებს, რომლებსაც შეუძლიათ გერმანულად, ფრანგულად ან ინგლისურად წერა, აგრეთვე შეეძლოთ შესულიყვნენ ასეთ ჯგუფში *.

თქვენ რას იტყვით, შესაძლებელია ეს თუ არა? ღირს ამაზე მუშაობა?

ჩემი აზრით, ღირს, მაგრამ შორიდან, გარედან მე, რა თქმა უნდა, ვერ განვსჯი. მე მხოლოდ ვხედავ და ძალიან მტკიცედ ვიცი, რომ ახალი სოციალიზმის, ნამდვილად რევოლუციური მარქსიზმის, და არა ბილწი კაუცკიზმის, პროგრამისა და ტაქტიკის საკითხი ყველგან დღის წესრიგში დგას. ეს ჩანს როგორც S. L. P. და «The Internationalist»-ის ** მაგალითით ამერიკაში, ისე ცნობებით გერმანიის (მემარცხენეთა 7. I. 1917-ის რეზოლუციები) და საფრანგეთის (მემარცხენეთა ბროშურა პარიზში: «Les socialistes de Zimmerwald et la guerre» ***) შესახებ და სხვ.

დანიაში ტრირი და სხვ., ალბათ, მიემხრობოდნენ სკანდინავიაში მემარცხენე, მარქსისტული, პარტიის შექმნას; ნორვეგიელ მემარცხენეთა ნაწილიც. ბრანტინგისა და კომპანიის წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზული საქმეა: საჭიროებამ უნდა გვაიძულოს უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ რევოლუციური მარქსიზმის თეორიისა და ტაქტიკის საკითხებს.

ჩემი აზრით, 12. V-სათვის მოსამზადებელი მუშაობა გაძლიერებით და სამი მხრივ უნდა იქნეს დაძრული ერთდროულად: (1) დახმარების ჯგუფი, რომელზეც ზემოთ იყო ნათქვამი; (2) სკანდინავიელ მემარცხენეთა ჯგუფები: დაწერეთ სტატია (შვედურ გაზეთებში), რომ საჭიროა

* — რა ფიგურაა Lindhagen-ი? «ს.-რ-ია»? «ნაროდნიკია»? «რადიკალ-სოციალისტია»? ერვე?

** — «ინტერნაციონალისტის». რედ.

*** — «ციმერვალდის სოციალისტები და ომი». რედ.

ახლავე დაარსდეს ასეთი ჯგუფები პროგრამისა და ტაქ-ტიკის მოსამზადებლად 12. V-ისათვის.

(3) — მესამე განსაკუთრებით მაინტერესებს არა იმი-ტომ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია (უფრო მნიშვნელოვა-ნია ინიციატივა შიგნიდან), არამედ იმიტომ, რომ აქ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ. მაგალ., თქვენ რომ გადაგეთვალიე-რებინათ შვეციის მემარცხენეთა და მემარჯვენეთა მთავარი ლიტერატურა და მის საფუძველზე ახლავე მო-გეხაზათ ასეთი ხასიათის თეზისები:

თეორიული (საპროგრამო) და პრაქტიკული (ტაქტიკური) უთანხმოება

სამშობლოს დაცვა;
იმპერიალიზმის ცნება;
ომის ხასიათი;
განიარაღება;
სოციალ-პაციფიზმი;

+ პროლეტა-რიატის დიქტა-ტურა

ეროვნული საკითხი;
რევოლუცია;
«მასობრივი მოქმედება»;
სამოქალაქო ომი;
პროფესიული კავშირებისადმი დამოკიდე-ბულება;
ოპორტუნიზმი და მასთან ბრძოლა

და სხვ.

თვითეული თეზისი უნდა შეიცავდეს (a) იმას, რაც ამის შესახებ უთქვამთ (**«არსი»**) მემარცხენეებს შვეციაში; (b) მემარჯვენეებს იქვე.

ამის საფუძველზე, იმ პოზიციის გათვალისწინებით, რაც მემარცხენეებს უკავიათ რუსეთში, გერმანიაში, ამერიკაში (მთავარი ქვეყნები ამ მხრივ), ჩვენ შეგვეძლო შეგვემუშა-ვებინა ჩვენი თეზისები და შვედურად მათი გამოქვეყნე-ბით დავხმარებოდით შვედებს 12. V-ისათვის მზა-დებაში.

ზოგიერთი მთავარი ადგილი შვეციის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უმთავრესი რეზოლუციებიდან და სტატიებიდან ამისათვის საჭიროა ითარგმნოს რუსულ ან გერმანულ ან ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე.

არსებითად, მორალურად და პოლიტიკურად ჩვენ ყველანი პასუხისმგებელი ვართ შვედი ახალგაზრდებისათვის და უნდა დავეხმაროთ მათ.

თქვენი მდგომარეობა ფრიად ხელსაყრელია ასეთი დახმარებისათვის. ახლავე მომწერეთ, რას ფიქრობთ ამის შესახებ.

ეს წერილი, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება გაუგზავნოთ ლიუდმილასაც თქვენს მოსაზრებებთან ერთად.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

126

ინესა არმანდს

ძვირფასო შეგობარო! ამასთან გიგზავნით ფურცელს და ჩემს საუკეთესო მოლოცვებს მის გამო.

ჯერჯერობით ნურავის ნუ მისცემთ: კარგი იქნება, არავინ არ იცოდეს, რომ ეს ნაწილობრივ რუსებისაგან მომდინარეობს. ხომ არ გაუხმაურებია უსიევიჩს ან ვინმეს, ვინც მასთან ახლოს არის?

დაე ვრცელდებოდეს შვეიცარიელთა ჯგუფებისაგან.

დღეს ციურიხში აჟიტაციაში ვართ: «Züricher Post»-სა* და «Neue Zürcher Zeitung»-ში** არის 15. III-ის დეპეშა, რომ პიტერში 3 დღის ბრძოლის შემდეგ რუსეთში 14. III-ს გაიმარჯვა რევოლუციამ, რომ ხელისუფლების სათავეშია სათათბიროს 12 წევრი, ხოლო მინისტრები ყველანი დაპატიმრებული არიან.

გერმანელები თუ არ ცრუობენ, მაშინ მართალია.

რუსეთი უკანასკნელ დღეებში რევოლუციის წინ რომ იყო, ეს უეჭველია.

ჯავრი არ მასვენებს, რომ არ შემიძლია წავიდე სკანდინავიაში!! ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ რისკი არ გავწიე და 1915 წელს არ წავედი!

მხურვალე სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წ. 15 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

---

* — «ციურიხის ფოსტა». რედ.
** — «ციურიხის ახალი გაზეთი». რედ.

127

ა. მ. კოლონტაის

16. III. 1917.

ძვირფასო ა. მ.! ეს არის მივიღეთ მთავრობის მეორე დეპეშები 1 (14). III-ს პიტერში მომხდარი რევოლუციის შესახებ. მუშების ერთი კვირის სისხლისმღვრელი ბრძოლები და მილიუკოვი + გუჩკოვი + კერენსკი ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ!! ევროპის «ძველი» შაბლონის მიხედვით...

რას იზამ! ეს «პირველი ეტაპი პირველი (ომით წარმოშობილი) რევოლუციისა» არც უკანასკნელი იქნება და არც მარტო რუსული. რა თქმა უნდა, ჩვენ დავრჩებით სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, რომელსაც შინგარიოვი + კერენსკი და კომპანია ხელმძღვანელობენ.

ყველა ჩვენი ლოზუნგი იგივეა. «სოციალ-დემოკრატის» უკანასკნელ №-ში ჩვენ პირდაპირ ვლაპარაკობდით, შესაძლებელია მთავრობა «მილიუკოვისა და გუჩკოვისა, თუ მილიუკოვისა და კერენსკისა არაო»[208]. აღმოჩნდა **ისიც და ისიც:** სამივე ერთად. შესანიშნავია! ვნახოთ, ხალხის თავისუფლების პარტია (მას ხომ უმრავლესობა აქვს ახალ სამინისტროში, ვინაიდან კონოვალოვი ცოტა «უფრო მემარცხენეც» კია, ხოლო კერენსკი პირდაპირ უფრო მემარცხენე!) როგორ მისცემს ხალხს თავისუფლებას, პურს, მშვიდობას... ვნახოთ!

ახლა მთავარია პრესა, მუშების დარაზმვა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ურ ს.-დ. პარტიად. ჩხენკელმა ახლა უნდა (და მისი დაპირებაც არის) აძლიოს ფული «სამშობლოს დასაცავად».

ხოლო ბ-ნი ჩხეიძე, თუმცა არქიმემარცხენე სიტყვებს წარმოთქვამდა რევოლუციის დროს ან მის წინ (როცა ეფრემოვიც არა ნაკლებ რევოლუციურად ლაპარაკობდა), მაგრამ, რა თქმა უნდა, იოტისოდენა ნდობის ღირსიც არ არის მთელი იმ «პოლიტიკის» შემდეგ, რასაც იგი პოტრესოვთან და კომპანიასთან, ჩხენკელთან და სხვებთან ერთად ატარებდა. უდიდესი უბედურება იქნებოდა, კადეტებს რომ ახლა აღეთქვათ ლეგალური მუშათა პარტია და ჩვენები რომ დათანხმებულიყვნენ ჩხეიძესა და კომპანიასთან «ერთიანობაზე»!!

მაგრამ ეს არ მოხდება. ჯერ-1, კადეტები არავის არ მისცემენ ლეგალურ მუშათა პარტიას გარდა ბ-ნ პოტრესოვებისა და კომპანიისა. მე-2, თუ მისცემენ, ჩვენ უწინდებურად შევქმნით ჩვენს განსაკუთრებულ პარტიას და **აუცილებლად** შევაერთებთ ლეგალურ მუშაობას არალეგალურთან.

არაფრის გულისათვის აღარ იქნება მეორე ინტერნაციონალის ტიპის მიხედვით! არაფრის გულისათვის კაუცკისთან ერთად! აუცილებლად უფრო რევოლუციური პროგრამა და ტაქტიკა (მისი ელემენტები აქვთ კ. ლიბკნეხტს, S. L. P.-ს ამერიკაში, ჰოლანდიელ მარქსისტებს და სხვ.) და აუცილებლად შეერთება ლეგალური მუშაობისა არალეგალურთან. რესპუბლიკური პროპაგანდა, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, უწინდებურად რევოლუციური პროპაგანდა, აგიტაცია და ბრძოლა იმ მიზნით, რომ მოხდეს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია და ძალაუფლება დაიპყრონ «მუშათა დეპუტატების საბჭოებმა» (და არა კადეტმა არამზადებმა).

...1905-ის «great rebellion»-ის შემდეგ 1917-ის «glorious revolution»!.. *

გთხოვთ ეს წერილი გადაუგზავნოთ ლიუდმილას და მე მომწეროთ ორიოდე სიტყვა, რამდენად ვეთანხმებით ერთ-

* — 1905-ის «დიდი აჯანყების» შემდეგ 1917-ის «სახელოვანი რევოლუცია»!.. რედ.

მანეთს, რამდენად არ ვეთანხმებით, აგრეთვე ა. მ—ს გეგმების შესახებ და სხვ.. ჩვენს დეპუტატებს თუ დააბრუნებენ, ერთი აუცილებლად უნდა ჩაიყვანოთ სკანდინავიაში ორიოდე კვირით. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

128

ა. მ. კოლონტაის

17. III. 1917.

ძვირფასო ა. მ.! ეს არის მივიღეთ თქვენი დეპეშა, რომელიც ისეა ფორმულირებული, რომ თითქმის ირონიად მოისმის (აბა ინებეთ აქედან იფიქროთ «დირექტივებზე», როცა ცნობები მეტისმეტად მცირეა, პიტერში კი ალბათ არიან ჩვენი პარტიის არა მარტო ფაქტიურად ხელმძღვანელი ამხანაგები, არამედ ცენტრალური კომიტეტის ფორმალურად რწმუნებული წარმომადგენლებიც!).

ეი ამ წუთში წავიკითხე პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს 17-ის დეპეშა, რომელშიც მოყვანილია ახალი მთავრობის პროგრამა და ცნობა Bonar Law-ს * ინფორმაციის შესახებ, რომ მეფე ჯერ კიდევ არ გადამდგარა და რომ არ იციან სად იმყოფება იგი.

გუშინ ისე გვეჩვენებოდა, რომ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობამ უკვე სავსებით გაიმარჯვა და უკვე შეუთანხმდა დინასტიას. დღეს კი ვითარება ისეთია, რომ დინასტია არ არის, მეფე გაქცეულა და აშკარაა კონტრრევოლუციას ამზადებს!..

ჩვენ დავიწყეთ შემუშავება თეზისებისა, რომლებსაც შესაძლოა დღეს საღამოს გავათავებთ და მაშინ, რა თქმა უნდა, ხელადვე გამოგიგზავნით. თუ შეიძლება, დაელოდეთ თეზისებს, რომლებიც ასწორებენ (resp. ** აუქმებენ) იმას, რასაც ახლა ვწერ ჯერჯერობით მხოლოდ ჩემი სახელით.

---

* — ბონარ ლოუს. რ ე დ.

** — respective — ან. რ ე დ.

— — ახლა მოვახერხეთ შეგვედგინა, ზინოვიევთან ერთად, თეზისების პირველი მონახაზი, შ ა ვ ი, რომელიც რედაქციულად ძალიან არადამაკმაყოფილებელია (მას, რა თქმა უნდა, **ასე** არ დავბეჭდავთ), მაგრამ იმედი მაქვს წარმოდგენას იძლევა ძირითადზე.

დაბეჯითებით გთხოვთ გააცნოთ ეს იურის და ევგ. ბ — ს, აგრეთვე ლიუდმილას, ამასთანავე გამგზავრების წინ მოგვწეროთ თუნდაც ორიოდე სიტყვა, — აგრეთვე ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ შეუთანხმდეთ ვისმე, ვინც ნორვეგიაში რ ჩ ე ბ ა, რომ ჩ ვ ე ნ ი რუსეთში გზავნოს და რ უ ს ე თ ი ს ა კი ჩვენ გვიგზავნოს. გთხოვთ ეს გააკეთოთ და სთხოვეთ იმ ამხანაგს, რომელიც რჩება (ან ნორვეგიელს, რომელმაც გერმანული, ფრანგული ან ინგლისური ენა იცის), უ ა ღ რ ე ს ა დ აკურატული იყოს. სახარჯო ფულს გამოგიგზავნით.

ჩემი აზრით, ახლა მთავარია თავი არ გავაბმევინოთ სოციალ-პატრიოტებთან (ან, რაც კიდევ უფრო საშიშია, მერყეევებთან, როგორიც არიან ორგანიზაციული კომიტეტი, ტროცკი და კომპანია) სულელურ «გამაერთიანებელ» ცდებში და ს ა კ უ თ ა რ პარტიად განვაგრძოთ მუშაობა თანმიმდევრულ-**ინტერნაციონალური** სულისკვეთებით.

ახლა დღის წესრიგშია მუშაობის გაფართოება, მასების ორგანიზაცია, ახალი ფენების — ჩამორჩენილი, სოფლის ფენების, შინამოსამსახურეების გამოღვიძება, უჯრედები ჯარში ახალი მთავრობის სისტემატური, დაწვრილებითი Entlarvung-ისათვის* და ძალაუფლების მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს მიერ დაპყრობის მომზადებისათვის. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შ ე უ ძ ლ ი ა პურის, მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა და თავისუფლების მოცემა.

ახლა საჭიროა ბოლო მოეღოს რეაქციას, არ აღმოეჩინოს თ უ ნ დ ა ც ო დ ნ ა ვ ი ნდობა და მხარდაჭერა ახალ მთავრობას (არ აღმოეჩინოს თუნდაც ოდნავი ნდობა კერენსკის, გვოზდიოვს, ჩხენკელს, ჩხეიძეს და კომპანიას), საჭიროა

* — მხილებისათვის. რ ე დ.

შეიარაღებული ლოდინი, შეიარაღებული მომზადება უფრო ფართო ბაზისა უფრო მაღალი ეტაპისათვის.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შემთხვევაში ხელახლა უნდა გამოიცეს (როგორც ახლო წარსულის ისტორიის მასალები) ჩვენი აქაური ნაწარმოებები და ტელეგრაფით გვეუწყოს, შეგვიძლია თუ არა აქედან დახმარების გაწევა წერით და ნაწერების გაგზავნა სკანდინავიით. ვშიშობთ, რომ დაწყეულილი შვეიცარიიდან მალე წასვლას ვერ მოვახერხებთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გისურვებთ ყოველგვარ და ყოველგვარ წარმატებებს!

P. S. ვშიშობ, რომ პიტერში ახლა მოარული სენი იქნება «უბრალოდ» გატაცება, არ იქნება სისტემატური მუშაობა ა ხ ა ლ ი ტიპის პარტიის, **არავითარ** შემთხვევაში არა à la «II ინტერნაციონალის» პარტიის შექმნისათვის. გავაფართოოთ მუშაობა! დავრაზმოთ ახალი ფენები! გავაღვიძოთ ახალი ინიციატივა, შევქმნათ ახალი ორგანიზაციები ყველა ფენაში და **დავუმტკიცოთ** მათ, რომ **მშვიდობას** მოგვცემს მხოლოდ შეიარაღებული მუშათა დეპუტატების საბჭო, თუ იგი ძალაუფლებას აიღებს.

გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

129

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვიაჩ. ალ.!

ყოველნაირად ვწონი გამგზავრების საშუალებას[209]. რასაც ქვემოთ გწერთ, აბსოლუტური საიდუმლოებაა. გთხოვთ მიპასუხოთ ახლავე და, ვფიქრობ, უმჯობესია ექსპრესით (იმედია პარტიას არ გავაღატაკებთ ათიოდე ზედმეტი ექსპრესით), რათა უფრო გულდამშვიდებული ვიყო, რომ წერილი არავის წაუკითხავს.

თქვენს სახელზე აიღეთ ქაღალდები საფრანგეთსა და ინგლისში გასამგზავრებლად, მე კი ამ **ქაღალდებით** ინგლისზე (და ჰ ო ლ ა ნ დ ი ა ზ ე) გავლით რუსეთში წავალ.

შემიძლია პარიკი გავიკეთო.

ფოტოგრაფიას გ ა დ ა ვ ა ღ ე ბ ი ნ ე ბ უკვე პარიკიანი და ბერნში საკონსულოში მ ე უკვე პარიკიანი გამოვცხადდები თქვენი ქაღალდებით.

მაშინ თქვენ ჟენევიდან უნდა მიეფაროთ მინიმუმ რამდენიმე კვირით (სანამ მიიღებდეთ ჩემს დეპეშას სკანდინავიიდან): ამ ხნის განმავლობაში უაღრესად სერიოზულად უნდა მიიმალოთ მთებში, სადაც პანსიონის ღირებულებას თ ქ ვ ე ნ მ ა გ ი ე რ, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, გ ა დ ა ვ ი ხ დ ი თ.

თუ თანახმა ხართ, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შეუდექით მ ზ ა დ ე ბ ა ს უაღრესად ენერგიულად (და უაღრესად ფარულად), მე კი ყოველ შემთხვევაში ახლავე მომწერეთ.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

მოიფიქრეთ ამასთან დაკავშირებით ყველა პრაქტიკული ნაბიჯი და დაწვრილებით მომწერეთ. გწერთ თქვენ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს შორის ყველაფერი აბსოლუტურ საიდუმლოებად დარჩება.

დაწერილია 1917 წ. 19 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

130

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! გამოგიგზავნეთ (ინესას მეშვეობით) პირები «პ რ ა ვ დ ი ს ა თ ვ ი ს» დაწერილი ჩემი ორი სტატიისა [210] — საუწყებლად, შესათანხმებლად.

აუცილებლად უნდა დამიბრუნოთ ისინი **ორშაბათისათვის:** თუ საჭიროა, ექსპრესით გამოგზავნეთ და ვაგზალში მიიტანეთ.

ფრთხილად იყავით ნაჩალოელებთან [211] ბლოკების მხრივ: ჩვენ სხვა პარტიებთან დაახლოების წინააღმდეგი ვართ, ჩვენ იმის მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ, რომ გავაფრთხილოთ მუშები ჩხეიძის **წინააღმდეგ.** აუცილებლად! ჩხეიძე აშკარად მერყეობს: შდრ. როგორ აქებს მას 22 მარტის «Temps»-ი * და ბევრი სხვა. ჩვენ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ ცენტრალური კომიტეტისა რუსეთში, მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ «პრავდისა», მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ ჩვენი პარტიისა, მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ პროლეტარული მილიციისა, რომელიც მშვიდობასა და სოციალიზმს ამზადებს.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Oulianoff. Spiegelg. 14II. Zürich. I.

დაწერილია 1917 წ. 24 მარტს
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

131

ა. ვ. ლუნაჩარსკის [212]

პატივცემულო ამხანაგო ანატოლი ვასილის-ძევ!

თათბირის შესახებ ჩემი პირადი აზრი ის არის (თქვენს წერილს ზინოვიევს ვუგზავნი), რომ იგი ახლა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მზად არიან გააფრთხილონ პროლეტარიატი არა მარტო გვოზდიოველების [213] წინააღმდეგ, არამედ ჩხეიძის მერყეობის წინააღმდეგაც.

ეს, ჩემი აზრით, მთავარია ჩვენს შინაპარტიულ და, თუ ასე შეიძლება ითქვას, ახლოპარტიულ მდგომარეობაში.

სწორედ ამიტომ მე დროს არა ვკარგავ არც ერთ თათბირზე მარტოვთან და კომპანიასთან.

ჩვენი პარტიის დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა, არავითარი დაახლოება სხვა პარტიებთან — ჩემთვის ულტიმატურია. უამისოდ ვერ დაეხმარები პროლეტარიატს დემოკრატიული გადატრიალების გზით იაროს კომუნისაკენ, სხვა მიზნებს კი მე სამსახურს ვერ დაუწყებდი.

პირადად მე მომხრე ვიქნებოდი იმ ადამიანებთან და ჯგუფებთან თათბირისა, რომლებიც ამაში, ძირითადში, ერთმანეთს ეთანხმებიან.

თქვენთან უბრალოდ, ყოველგვარ ფორმალურ თათბირებს გარეშე მოლაპარაკება ჩემთვის ძალიან სასიხარულო იქნება და ამას პირადად ჩემთვის (და საქმისთვისაც) სასარგებლოდ ჩავთვლიდი.

სულით და გულით მოგილოცავთ, ჩემი მხრივ, და მაგრად გართმევთ ხელს, ორივეს გიგზავნით მოკითხვას ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისგანაც.

ამხანაგური სალამით. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი:
Wl. Ulianow. Spiegelgasse. 14[II] (bei Kammerer). Zürich. I.

დაწერილია 1917 წ. 25 მარტზე ადრე
გაგზავნილია ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

182

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

ინესას მეშვეობით გამოგიგზავნეთ «პრავდისათვის» დაწერილი ჩემი 2 წერილის პირები. იმედი მაქვს, რომ ჩემი თხოვნა შეასრულეთ და დღეს (კვირას) ან ხვალ უკანვე გამომიგზავნეთ ისინი ექსპრესით.

სამშაბათს შემდეგ (სამშაბათს საღამოს აქ ვკითხულობ)[214] გამოგიგზავნით № 3 წერილის[215] პირს. მაშინ, ვფიქრობ, გაგვიადვილდება შეთანხმება ტაქტიკის შესახებ.

ლუნაჩარსკიმ მომწერა და «თათბირი» შემომთავაზა. ვუპასუხე: თანახმა ვარ პირადად თქვენ (ლუნაჩარსკის) გელაპარაკოთ-მეთქი[216]. (იგი ციურიხში იქნება.) თათბირზე კი თანახმა ვარ **მხოლოდ** იმ პირობით, თუ მუშებს ჩხეიძის მერყეობის წინააღმდეგ გავაფრთხილებთ-მეთქი. იგი (ლუნაჩარსკი) გამიჩუმდა.

მაშასადამე, პირად საუბარს დავჯერდებით.

ჩხეიძე აშკარად **მერყეობს:** შდრ. «Le Temps» 22 მარტს აქებს ჩხეიძეს; 24 მარტს ლანძღავს ჩხეიძეს.

სურათი ნათელია!!

ამიტომ ვშიშობ, რომ თქვენ ნაადრევად შეადგინეთ საერთო რეზოლუცია (იგი დღეს ჩემს სტატიასთან ერთად გავგზავნე «პრავდაში» მისამართით: Herrn Fürstenberg. Boulevard Hotel. Kristiania. შეგიძლიათ გზავნოთ აქ სტატიები, თან შენიშვნა გაუკეთოთ, რომ სტატიები «პრავდისთვის» არის და რომ მისამართი მე მოგეცით; **პრინციპული** სტატიების შესახებ სასარგებლო იქნება, თუ მე და თქვენ წინასწარ შევთანხმდებით).

«პრავდას», ალბათ, სტატიები **სჭირდება.** ყოველ შემთხვევაში მე ვწერ **და ყველა მეგობარს ვურჩევ წეროს.**

ვშიშობ, რომ თქვენ «ვპერიოდელებთან» გაერთიანებასაც ჩქარობთ.

თქვენს რეზოლუციაში ბოლო კარგია (თვალის მხოლოდ ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო დ გადავლება მოვასწარი: საჭირო გახდა გამეგზავნა), დასაწყისი კი (საერთოდ დემოკრატიის შესახებ) ძალიან ცუდი მეჩვენა.

«ვპერიოდთან» გაერთიანების შესახებ. მე სკანდინავიაში დეპეშა გავუგზავნე ჩვენი პარტიის იმ წევრებს, რომლებიც მიემგზავრებიან:

«Notre tactique: méfiance absolue, aucun soutien nouveau gouvernement, Kerensky surtout soupçonnons, armement prolétariat seule garantie, élection immédiate douma de Petrograd a u c u n r a p p r o c h e m e n t a u t r e s p a r t i s» *.

უკანასკნელი — conditio sine qua non **.

ჩხეიძეს არ ვენდობით.

ჩვენი დეპუტატები და კამენევი უ კ ვ ე პიტერში არიან ა ნ ამ დღეებში იქნებიან. ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი არის პიტერში («Frankfurter Zeitung»-ში *** იყო ამონაწერები მისი მანიფესტიდან, **შესანიშნავია!**), **«პრავდა»** არის. ჩვენ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ვემხრობით **ამ** პარტიის შენარჩუნებას, წინააღმდეგი ვართ ორგანიზაციულ კომიტეტთან ყოველგვარი შეერთებისა.

(ორგანიზაციული კომიტეტი ალბათ ა რ ა რ ი ს პიტერში. ვინაიდან «Frankfurter Zeitung»-მა და «Vossische Zeitung»-მა **** დაწვრილებით გადმოსცეს ჩხეიძისა და

---

* — «ჩვენი ტაქტიკაა: სრული უნდობლობა, არავითარი მხარდაჭერა ახალ მთავრობას, კერენსკის მიმართ განსაკუთრებული ეჭვი გვაქვს, პროლეტარიატის შეიარაღება ერთადერთი გარანტიაა, პეტროგრადის სათათბიროს დაუყოვნებლივი არჩევნები, **ა რ ა ვ ი თ ა რ ი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ს ხ ვ ა პ ა რ ტ ი ე ბ თ ა ნ**». რ ე დ.

** — აუცილებელი პირობა. რ ე დ.

*** — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.

**** — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

კომპანიის 16 მარტის მოწოდება[217] — იქ ერთი სიტყვაც არ არის ორგანიზაციული კომიტეტის შესახებ.)

სწორედ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის (ანუ გუჩკოვისა და მილიუკოვის მთავრობის დამხობისათვის) ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებული პარტია, ჩვენი პარტია, რომელმაც 1914 — 1917 წლებში, ჩემი აზრით, **სავსებით** გაამართლა თავისი დანიშნულება.

მაშასადამე? ვპერიოდელებს სურთ შევიდნენ, პატიოსნად შევიდნენ ამ პარტიაში?

Bon! *

არა სურთ? «დათმობებსა» და «ვაჭრობაზე» მე არ დავთანხმდები.

გულახდილად და არაერთხელ მოელაპარაკეთ მათ და მომწერეთ, რომ სამშაბათს (სულ გვიან ოთხშაბათს დილით) მქონდეს თქვენი პასუხი.

იკისრებთ თუ არა 2 ცალად (ან 1 ცალად) გადაწეროთ შანქანაზე იმაზე არა ნაკლებ ფასში, რაც ამას წინათ გადავიხადეთ, ჩემი 500-გვერდიანი ხელნაწერი (ხელით ნაწერი თაბახის მერვედზე?)[218]. ახლავე გამოვცემდი პიტერში.

ძალიან დამავალებთ!

მიპასუხეთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

P. S. ლიუდმილა სტოკჰოლმიდან წავიდა. სტოკჰოლმში ნუ მისწერთ!

P. P. S. თქვენ და ოლღა რუსეთში თუ წახვალთ, შესაძლებლობა თუ იქნა, და როდის? კიდევ ვინ წამოვიდოდა ჟენევიდან?

დაწერილია 1917 წ. 25 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში
პირველად სრულად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — კეთილი! რედ.

133

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

ჩანს, მეტისმეტად ნერვიულობთ — ამით ვხსნი მთელ რიგ თეორიულ «უცნაურობებს» თქვენს წერილებში.

ვერ უნდა ვარჩევდეთ 1-ლ და მე-2 რევოლუციას ან 1 და 2 ეტაპს??

სწორედ რომ უნდა ვარჩევდეთ. მარქსიზმი მოითხოვს ვარჩევდეთ კ ლ ა ს ე ბ ს, რომლებიც მოქმედებენ. რუსეთში ხელისუფლების სათავეშია **არა ის** კლასი, წინათ რომ იყო. მაშასადამე, რევოლუციაც სრულებით, სრულებით ს ხ ვ ა-გ ვ ა რ ი ა მოსალოდნელი.

ჩემს ფრაზას მილიუკოვების მიერ მუშებისათვის მხარდაჭერის შესახებ ნათელი აზრი აქვს (მე ასე ვფიქრობდი): ბ-ნ მილიუკოვებს ნამდვილად **რომ** სურდეთ ბოლო მოუღონ მონარქიას, მათ მხარი უ ნ დ ა დაეჭირათ მუშებისათვის. ეს არის და ეს!

რევოლუცია არ შეიძლება «ღვთაებად» გავიხადოთ. კერენსკი რევოლუციონერია, მაგრამ ყბედია, ცრუპენტელაა. მუშების მომტყუებელია. თითქმის უეჭველია, რომ სპბ-ის «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების **საბჭოშიც» კი უმრავლესობა** მის მიერ არის გაბრიყვებული (მერყევი და აბნეული ჩხეიძის დახმარებით). სოფელს რაღა დაემართება?

სავსებით შესაძლებელია, რომ როგორც მუშების, ისე გლეხების უმრავლესობა **ერთ ხანს** მართლაც **მომხრე** იქნება იმპერიალისტური ომისა (რომელსაც გუჩკოვები + მილიუკოვები «რესპუბლიკის დაცვად» ასაღებენ).

კარგი იქნებოდა, რომელიმე თავისუფალი კაცი (უფრო კარგი იქნება ჯგუფი, მაგრამ ოლ იგი არ არის, ერთი მაინც)

რომ იკისრებდეს შეაგროვოს საზღვარგარეთის ყველა გაზეთის **ყველა** დეპეშა (და შეძლებისამებრ სტატიები) რუსეთის რევოლუციის შესახებ.

აუარებელი მასალაა. თვალყურის დევნება მეტად ძნელია.

რუსეთში, ალბათ, **ვერ** მოვხვდებით!! ინგლისი **არ გაგვიშვებს**. გერმანიაზე გავლა არ ხერხდება.

სალამი! ლენინი

დაწერილია 1917 წ. 25 და 31 მარტს შუა
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

184
ი. განეცკის

30. III. 1917.

ძვირფასო ამხანაგო! ულრმეს მადლობას მოგახსენებთ გარჯისა და დახმარებისათვის. იმ ადამიანთა სამსახურით სარგებლობა, რომლებსაც კავშირი აქვთ «კოლოკოლის» გამომცემელთან, მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია. დღეს მე დეპეშით შეგატყობინეთ, რომ აქედან თავის დაღწევის ერთადერთი იმედია შვეიცარიელი ემიგრანტების გაცვლა გერმანელ ინტერნირებულებზე. ინგლისი არაფრის გულისათვის არ გაგვიშვებს არც მე, არც საერთოდ ინტერნაციონალისტებს, არც მარტოვსა და მის მეგობრებს, არც ნატანსონსა და მის მეგობრებს. ჩერნოვი ინგლისელებმა საფრანგეთში დააბრუნეს, თუმცა მას გასავლელად ყველა ქალალდი ჰქონდა!! ცხადია, რომ ინგლისელ იმპერიალისტებზე უფრო ბოროტი ჭტერი რუსეთის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ რევოლუციას არა ჰყავს. ცხადია, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალის ნოქარს და რუს იმპერიალისტს მილიუკოვს (და კომპანიას) შეუძლია მიმართოს **ყველაფერს**, მოტყუებას, გამცემლობას, ყველაფერს, ყველაფერს, რომ ხელი შეუშალოს ინტერნაციონალისტებს დაბრუნდნენ რუსეთში. ოდნავი მიმნდობლობა ამ მხრივ მილიუკოვისა და კერენსკისადმი (ფუჭი მოლაყბისადმი, რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტისადმი თავისი ობიექტური როლის მიხედვით) პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა მუშათა მოძრაობისა და ჩვენი პარტიისათვის, თითქმის იგივე იქნებოდა, რაც ინტერნაციონალიზმისადმი ღალატი. რუსეთში მოხვედრის ერთადერთი, გაუზვიადებლად ერთადერთი იმედი ჩვენთვის ის არის, რომ რაც შეიძლება მალე გავგზავნოთ რუსეთში საიმედო კაცი,

რათა «მუშათა დეპუტატების საბჭოს» ზეგავლენის გზით მივაღწიოთ იმას, რომ მთავრობამ ყველა შვეიცარიელი ემიგრანტი გაცვალოს გერმანელ ინტერნირებულებზე. უნდა ვიმოქმედოთ უაღრესად ენერგიულად, თვითეული ნაბიჯის შესახებ შევადგინოთ ოქმი, არ დავიშუროთ ფული დეპეშებისათვის, შევაგროვოთ დოკუმენტები მილიუკოვისა და კომპანიის წინააღმდეგ, რომლებსაც შეუძლიათ გააჭიანურონ საქმე, აძლიონ ფუჭი დაპირებები, თქვან ტყუილები და ა. შ.. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა წამებაა ყველა ჩვენგანისათვის აქ ჯდომა ასეთ დროს.

შემდეგ. რუსეთში საიმედო კაცის გაგზავნა კიდევ უფრო საჭიროა პრინციპული მოსაზრებებით. საზღვარგარეთის გაზეთების უკანასკნელი ცნობები სულ უფრო ცხადად მიუთითებენ იმაზე, რომ მთავრობა, კერენსკის პირდაპირი დახმარებითა და ჩხეიძის მიუტევებელი (რბილად რომ ვთქვათ) მერყეობის მეოხებით, ატყუებს და არც თუ წარუმატებლად ატყუებს მუშებს, ასაღებს რა იმპერიალისტურ ომს «თავდაცვით» ომად. სპბ. დეპ. სააგენტოს 30. III. 1917-ის დეპეშის მიხედვით ჩხეიძემ ხავსებით მოატყუებინა თავი ამ ლოზუნგს, რომელიც — თუ დავუჯერებთ ამ, რა თქმა უნდა, საერთოდ არასაიმედო წყაროს — მუშათა დეპუტატების საბჭომაც მიიღო. ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობა სწორიც რომ არ იყოს, ასეთი მოტყუების საშიშროება მაინც, უეჭველია, უდიდესია. პარტიის მთელი ძალ-ღონე მასთან ბრძოლისაკენ უნდა იყოს მიმართული. ჩვენი პარტია სამუდამოდ შეირცხვენს თავს, პოლიტიკურად მოიკლავს თავს, ასეთ მოტყუებაზე რომ დათანხმდეს. ერთი ცნობის მიხედვით, მურანოვი, სკობელევთან ერთად, კრონშტადტიდან დაბრუნდა. თუ მურანოვი იქ წასული იყო გუჩკოვ-მილიუკოვების დროებითი მთავრობის დავალებით, ძალიან გთხოვთ გადასცეთ (საიმედო კაცის საშუალებით) და დაბეჭდოთ, რომ მე **უცილობლად ვგმობ** ამას, რომ ყოველგვარი დაახლოება იმათთან, ვინც მერყეობს სოციალ-პატრიოტიზმისაკენ და დგას ჩხეიძისა და კომპანიის

უაღრესად მცდარ, უაღრესად მავნე სოციალ-პაციფისტურ, კაუცკიანურ პოზიციაზე, ჩემი უღრძესი რწმენით, **საზიანოა** მუშათა კლასისათვის, **საშიშია, დაუშვებელია.**

იმედია მიიღებდით ჩემს «წერილებს შორიდან» №№ 1 — 4 [219], სადაც განვავითარე ამ შეხედულებათა თეორიული და პოლიტიკური საფუძვლები. თუ ეს წერილები დაიკარგა ან პიტერამდე არ მოსულა, გთხოვთ დეპეშით შემატყობინოთ, და მე პირებს გამოგიგზავნით.

ეჭვი არ არის, რომ პიტერის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ბევრი არიან და, როგორც ჩანს, კიდევაც სჭარბობენ (1) მომხრეები კერენსკისა, იმპერიალისტური ბურჟუაზიის უაღრესად საშიში აგენტისა, **რომელიც** ახორციელებს იმპერიალიზმს, ე. ი. მყვირალა ფრაზებისა და ფუჭი დაპირებების ზღვის საფარით იცავს და ამართლებს მძარცველურ, რ უ ს ე თ ი ს მ ხ რ ი ვ დამპყრობლურ ომს; (2) მომხრეები ჩხეიძისა, რომელიც უღმერთოდ მერყეობს სოციალ-პატრიოტიზმისაკენ და იზიარებს კაუცკელობის მთელ უხამსობას, მთელ უაზრობას. ჩვენი პარტია მოვალეა უაღრესად შეუპოვრად, უაღრესად პრინციპულად, უაღრესად დაჟინებით, უაღრესად ულმობლად ებრძოლოს ო რ ი ვ ე მიმდინარეობას. და პირადად მე ერთი წამითაც არ ვყოყმანობ განვაცხადო, პრესაში განვაცხადო, რომ ვამჯობინებ თუნდაც დაუყოვნებლივ ვათიშვას ვისთანაც უნდა იყოს ჩვენი პარტიიდან, ვიდრე კერენსკისა და კომპანიის სოციალ-პატრიოტიზმისათვის ან ჩხეიძისა და კომპანიის სოციალ-პაციფიზმისა და კაუცკელობისათვის დათმობას.

აუცილებლად უნდა მოვითხოვო, რომ პიტერში ხელახლა გამოიცეს — თუნდაც სათაურით «ცარიზმის უკანასკნელი წლების ისტორიიდან» — აქაური «სოციალ-დემოკრატი», ლენინისა და ზინოვიევის ბროშურები ომისა და სოციალიზმის შესახებ [220], «კომუნისტი» და «სოციალ-დემოკრატის კრებული». ყველაზე მეტად და უწინარეს ყოვლისა კი თ ე ზ ი ს ე ბ ი «სოციალ-დემოკრატის» № 47-დან (13. X. 1915) [221]. ამ თეზისებს ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ თეზისებში პირდაპირ, ნათლად, ზუსტად ნათქვამია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ რუსეთში რევოლუციის დროს, ნათქვამია 1½ წლით ადრე რევოლუციამდე.

ეს თეზისები პირდაპირ შესანიშნავად დაადასტურა რევოლუციამ.

ომი კვლავ რჩება იმპერიალისტურ ომად რუსეთის მხრივ და არც შეიძლება არ რჩებოდეს, სანამ (1) ხელისუფლების სათავეში არიან მემამულეები და კაპიტალისტები, ბურჟუაზიის კლასის წარმომადგენლები; (2) სანამ ხელისუფლების სათავეში არიან ამ ბურჟუაზიის ისეთი პირდაპირი აგენტები და მსახურები, როგორიც არიან კერენსკი და სხვა სოციალ-პატრიოტები; (3) სანამ ცარიზმის ხელშეკრულებანი ინგლისელ-ფრანგ იმპერიალისტებთან ძალაში რჩება (გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობამ პირდაპირ განაცხადა საზღვარგარეთ — არ ვიცი, მან ეს რუსეთში გააკეთა თუ არა, — რომ იგი ამ ხელშეკრულებათა **ერთგულია**). ეს ხელშეკრულებები მძარცველურია, გალიციის, სომხეთის, კონსტანტინოპოლის დაპყრობის შესახებ და სხვ. და ა. შ.; (4) სანამ ეს ხელშეკრულებები გამოქვეყნებული და გაუქმებული არ არის; (5) სანამ გაწყვეტილი არ არის რუსეთის საერთოდ მთელი კავშირი ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიულ, იმპერიალისტურ მთავრობებთან; (6) სანამ რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლება არ გადასულა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელიდან (უბრალო დაპირებანი და «პაციფისტური» განცხადებანი, რაოდენ არ უნდა სწამდეთ ისინი სულელ კაუცკის, ჩხეიძესა და კომპანიას, **არ** აქცევენ ბურჟუაზიას **არა**-ბურჟუაზიად) პროლეტარიატის ხელში, რომელსაც **ერთს** შეუძლია, იმ პირობით, თუ მას მხარს დაუჭერს გლეხობის უღარიბესი ნაწილი, **არა სიტყვით**, არამედ საქმით უკუაგდოს კაპიტალის ინტერესები, იმპერიალისტური პოლიტიკა, ბოლო მოუღოს სხვა ქვეყნების ძარცვას, მთლიანად გაათავისუფლოს ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ხალხები, **მაშინვე** გამოიყვანოს ჯარები სომხეთიდან და გალიციიდან და სხვ.; (7) მარტო პროლეტა-

რიატს შეუძლია, თუ იგი განთავისუფლდება თავისი ეროვნული ბურჟუაზიის გავლენისაგან, ჩაუნერგოს **ჭეშმარიტი** ნდობა **ყველა** მეომარი ქვეყნის პროლეტარებს და დაიწყოს **მათთან** მოლაპარაკება ზავის შესახებ; (8) ზავის ეს პროლეტარული პირობები ზუსტად და ნათლად არის მოყვანილი **«სოციალ-დემოკრატის»** № 47-შიც და ჩემს № 4 წერილშიც.

აქედან ცხადია, რომ ლოზუნგი: ჩვენ ახლა ვიცავთ რესპუბლიკას რუსეთში, ჩვენ ახლა ვეწევით «თავდაცვითს ომს», ჩვენ ვიომებთ ვილჰელმის წინააღმდეგ, ჩვენ ვომობთ ვილჰელმის ჩამოგდებისათვის, უდიდესი სიცრუეა, მუშების უდიდესი მოტყუებაა!! ვინაიდან გუჩკოვ-ლვოვ-მილიუკოვი და კომპანია არიან მემამულეები და კაპიტალისტები, მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენლები, იმპერიალისტები, რომლებიც ომობენ **იმავე** მძარცველური მიზნებისათვის, ცარიზმის იმავე მძარცველურ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის **იმავე** იმპერიალისტურ მძარცველურ ბურჟუაზიასთან კავშირში.

გერმანელებისადმი მოწოდება რუსეთის ბურჟუაზიული და იმპერიალისტური რესპუბლიკის მხრივ: «ვილჰელმი ჩამოაგდეთო» გამეორებაა ფრანგი სოციალ-შოვინისტების, სოციალიზმის მოღალატეების, ჟიულ გედის, სამბას და კომპანიის ყალბი ლოზუნგისა.

ძალიან პოპულარულად, ძალიან ნათლად, მეცნიერული სიტყვების უხმარებლად უნდა განემარტოთ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომ საჭიროა არა მარტო ვილჰელმის, არამედ აგრეთვე ინგლისისა და იტალიის მეფეების ჩამოგდება. ეს ერთი. მეორე და **მთავარი** კი ის არის, რომ დამხობილ უნდა იქნენ **ბურჟუაზიული** მთავრობები და უნდა **დაიწყოს რუსეთით**, ვინაიდან უამისოდ ზავის მიღება არ შეიძლება. შესაძლოა, რომ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობის «დამხობა» ახლავე არ შეგვიძლია. დაე ასე იყოს. მაგრამ ეს საბუთი როდია იმის სასარგებლოდ, რომ ტყუილი ვილაპარაკოთ!! მუშებს **სიმართლეს** უნდა ვეუბნებოდეთ. უნდა

ვეუბნებოდეთ, რომ გუჩკოვ-მილიუკოვისა და კომპანიის მთავრობა იმპერიალისტური მთავრობაა, რომ მუშებმა და გლეხებმა **ჯერ** უნდა (ახლა თუ დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ. ამ კრების თაობაზე ხალხს თუ არ მოატყუებენ, არ გადადებენ არჩევნებს მანამდე, სანამ ომი არ გათავდება, მომენტის საკითხის აქედან გადაწყვეტა არ შეიძლება), ჯერ უნდა **მთელი** სახელმწიფო ძალაუფლება ხელში გადასცენ მუშათა კლასს, კაპიტალის მტერს, იმპერიალისტური ომის მტერს, და მხოლოდ მაშინ ექნებათ **უფლება** მოუწოდონ **ყველა** მეფისა და **ყველა** ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისაკენ.

ღვთის გულისათვის, ეცადეთ ყოველივე ეს მიაწოდოთ პიტერში «პრავდასაც», მურანოვსაც, კამენევსაც და სხვ.. ღვთის გულისათვის, ყველა ღონე იხმარეთ, რომ უაღრესად საანდო კაცს გაატანოთ. ყველაფერს ემჯობინებოდა, რომ წასულიყო საიმედო, ჭკვიანი ვინმე, როგორიც კუბაა (იგი დიდ სამსახურს გაუწევდა მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას) და დახმარებოდა ჩვენს პიტერელ მეგობრებს!! იმედი მაქვს თქვენ ამას გააკეთებთ!! გააკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია.

პიტერში პირობები მეტად ძნელია. პატრიოტი-რესპუბლიკელები **მთელ** ძალ-ღონეს ძაბავენ. უნდათ ჩვენი პარტია ჭუჭყში და ლაფში ამოსვარონ (ჩერნომაზოვის «საქმე» — მის შესახებ გიგზავნით დოკუმენტს[222]) და სხვ. და სხვ.

არ შეიძლება ვენდოთ არც ჩხეიძესა და კომპანიას, არც სუხანოვს, არც სტეკლოვს და სხვ.. არავითარი დაახლოება სხვა პარტიებთან, არავისთან! არავითარი ნდობა და მხარდაჭერა გუჩკოვ-მილიუკოვისა და კომპანიის მთავრობას!! მთავარია ინტერნაციონალიზმისა და რესპუბლიკურ შოვინიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის უაღრესად შეურიგებელი პროპაგანდა ყველგან, პრესაშიც, მუშათა დეპუტატების საბჭოს შიგნითაც, **ჩვენი** პარტიის ორგანიზაცია.

პიტერსა და სტოკჰოლმს შორის ურთიერთობისათვის ფული არ დაინანოთ!!

ძალიან გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგო, დეპეშით მაცნობოთ ამ წერილის მიღება და საერთოდ ყოველმხრივ მამყოფოთ au courant *. იმედი მაქვს, ამაში შვედი მეგობრებიც დაგვეხმარებიან.

მაგრად გართმევთ ხელს! თქვენი ل ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — საქმის კურსში. რ ე დ.

155

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო მეგობრებო!

მაშ ასე, ოთხშაბათს გერმანიაზე გავლით მივდივართ. ხვალ ეს საბოლოოდ გადაწყდება.

თქვენ გამოგიგზავნით მთელ გროვა შეკრულებს ჩვენი წიგნებით, **ქაღალდებით** და ნივთებით, ამასთან გთხოვთ რიგ-რიგობით გზავნოთ სტოკჰოლმში ჩვენთვის პიტერში გადმოსაგზავნად.

თქვენვე გამოგიგზავნით ფულს და ცენტრალური კომიტეტის მანდატს მთელი მიწერ-მოწერის წარმოებისა და საქმეების გამგებლობისათვის.

ვფიქრობთ გამოვცეთ ფურცელი «გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი»[223] გერმანულად, ფრანგულად და იტალიურად.

ფრანგულად თარგმნას ინესა ვერ მოასწრებს: იმედი მაქვს, თქვენ (და გილბო) გააკეთებთ და გამოსცემთ.

იტალიურად თარგმნას და გამოცემას დამპირდა აქაური ამხანაგი (რომელმაც იცის გერმანული და იტალიური) Julius Mimiola*.

(Krummgasse. 2.)

Zürich. 4.

მას თქვენი მისამართი მივეცი. როცა გერმანული ბროშურა გექნებათ, გაუგზავნეთ მას იგი (და წერილი **გერმანულ** ენაზე) და ფული გამოსაცემად.

((აი თქვენ კიდევ მისამართი აქაური მემარცხენე გერმანელისა, რომელმაც გამოსცა ციმერვალდის მემარცხენე

* — იულიუს მიმიოლა. რედ.

ჯგუფის ფურცელი № 1 და შეიძლება კიდევ გამოგადგეთ გამოცემის დროს: Herrn Karl Schnepf. Thurwiesenstrasse. 8. Zürich. **მას თქვენს მისამართს მივცემ.))**

მხურვალე სალამი და ათასობით კეთილი სურვილი.
მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

P. S. იმედი გვაქვს სამგზავრო ფული მოვაგროვოთ **12 კაცისათვის,** ვინაიდან **ძალიან** დაგვეხმარნენ სტოკჰოლმელი ამხანაგები.

P. S. «პრავდისათვის» დაწერილი ჩემი № 1 და № 2 წერილებიდან («წერილები შორიდან») გთხოვთ გადაიღოთ 2—3 პირი ძალიან თხელ ქაღალდზე პარიზში და შვეიცარიაში გასაგზავნად (ამხანაგების ინფორმირებისათვის).

პარიზთან მიწერ-მოწერას თქვენ გადმოგცემთ: თქვენ უნდა იპოვნოთ მკინძავი (უაღრესად სანდო), რომ პარიზში წერილები გზავნოთ ყდებში (და ისწავლოთ ქიმია).

P. P. S. აბრამოვიჩს (აცნობეთ მას, რომ აჩქარდეს წამოსასვლელად, ე. ი. მოემზადოს: ოთხშაბათს მივდივართ) **დაწვრილებით** მოელაპარაკეთ შოდეფონთან მიწერ-მოწერისა და ჩემი სიტყვის გამოცემის შესახებ.

დაწერილია 1917 წ. 2 ან 3 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

138

ვ. ა. კარპინსკის

12. IV. 1917 წ.

ძვირფასო მეგობარო! იმედი მაქვს, რომ წერილი მაინც პოაწევს თქვენამდე, ისევე როგორც გაზეთები, რომლებსაც თქვენ გიგზავნით. ვამბობ: «მაინც», რადგან საზღვარგარეთთან ურთიერთობის სიძნელეები არაჩვეულებრივად დიდია. ჩვენ გაგვატარეს, აქ გააფთრებული ლანძღვით შეგვხვდნენ, მაგრამ არც წიგნებს, არც ხელნაწერებს, არც წერილებს აქამდე არ ვიღებთ. ჩანს, სამხედრო ცენზურა საუცხოოდ — გადაჭარბებული გულმოდგინებითაც კი მუშაობს, რადგან თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ომის შესახებ არსად ოდნავი რამ არ გვქონია და არც შეიძლება გვქონოდა.

გთხოვთ შეაჩეროთ აგრარული ხელნაწერის გადაწერა, რადგან აქ 1 ეგზემპლარი უკვე აწყობილი ვიპოვნე. მას აკლია «დასკვნის» ბოლო, სახელდობრ სიტყვებიდან:

«მთელი გლეხობა და მთელი პროლეტარიატი მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგია. იუნკრულ-ბურჟუაზიული რუსეთის შექმნის რეფორმატორული გზა აუცილებლად გულისხმობს ძველი მიწათმფლობელობის საფუძვლების შენარჩუნებას და ამ საფუძვლების ნელ... (?)».

აი ამ სიტყვებიდან აკლია დასკვნის ბოლო.

ძალიან დამავალებთ, თუ ამ სიტყვებიდან დაწყებული დასკვნის ბოლომდე გადაიღებთ 4 — 5 პირს და გამოგზავნით: 1) პირადად ჩემს სახელზე; 2) «პრავდის» სახელზე; 3) სტოკჰოლმში იმ მისამართით, რომელიც მოგეცით. ამ ეგზემპლარებიდან იქნებ ერთი მაინც მივიღო.

მომწერეთ ღია ბარათით, «პრავდის» სახელზე, უმჯობესია მ. ტ. ელიზაროვის სახელზე (ვ. ი. — სათვის), შიროკაია,

ს. 48, ბინა 24, პეტროგრადი, ღია ბარათით, მიიღეთ თუ არა ეს წერილი და როდის გამოგზავნეთ დასკვნის ბოლოს პირები.

შესანიშნავად ვიმგზავრეთ ბოლომდე. პლატენი მილიუკოვმა არ შემოუშვა.

აქაური ატმოსფერო — ეს არის ჩვენი ცოფმორეული დევნა ბურჟუაზიის მხრივ. მუშები და ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი კი თანაგვიგრძნობენ.

სოციალ-დემოკრატებს შორის «რევოლუციური ობორონ-ცობის» გამარჯვებაა (ახლა გვაქვს რა დავიცვათ, რესპუბლიკა ვილჰელმის წინააღმდეგო). ჩხეიძე და კომპანია, სტეკლოვი (პიტერის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბელადები) სავსებით დაეშვნენ რევოლუციურ ობორონცობა-მდე. ჩხეიძეს ბლოკი აქვს პოტრესოვთან. ყველანი ღმუიან და გაჰყვირიან, რომ ემხრობიან მთელი რსდმ პარტიის «ერთი-ანობას». ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვართ.

22. IV. 1917-ს ბოლშევიკების (ჩვენი პარტიის) სრულიად რუსეთის კონფერენციაა პიტერში [224].

მომწერეთ, გამოიცა თუ არა ჩვენი «გამოსათხოვარი წერილი», რა ენებზე და როგორ მიმდინარეობს გასაღება.

მომწერეთ, მიიღეთ თუ არა გაზეთები (გიგზავნით «პრავ-დის» კომპლექტს და ბურჟუაზიული გაზეთების ამონაჭრებს). უფრო კარგად მიაწოდეთ ინფორმაცია პარიზსა და შვეიცა-რიას. მაგრად გართმევთ ხელს.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პეტროგრადიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

137

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს

17/30 აგვისტო 1917. ძვირფასო მეგობრებო! დიდი ვაი-ვაგლახით, იძულებითი შეწყვეტის მრავალი კვირის შემდეგ, ჯგონებ ხერხდება მიწერ-მოწერის აღდგენა. რა თქმა უნდა, ეს საავსებით რომ მოხერხდეს, თქვენ თქვენი მხრივ გაძლიერებით უნდა იზრუნოთ და იმუშაოთ მისი ორგანიზაციისათვის.

ცილისწამების საზიზღარი კამპანია, რაც ბურჟუაზიამ წამოიწყო განეცკის, კოლონტაის და ბევრი სხვის ვითომდა ჯაშუშობის ან ჯაშუშობასთან კავშირის გამო, რა თქმა უნდა, უმსგავსო დაფარვაა ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ ლაშქრობისა, რაც დაიწყეს ჩვენმა ყოჩაღმა «რესპუბლიკელებმა», რომლებსაც სურთ ცილისმწამებლობით «ხელსაყრელად განისხვაონ» თავი ცარიზმისაგან.

(1) სადღაც რუსულ გაზეთებში წავიკითხე, რომ განეცკი და რადეკი უარყოფით გამოდიან. არ ვიცი, მართალია ეს თუ არა. მაგრამ ეს აუცილებელია. საჭიროა, ჯერ-1, რომ რადეკმა მისწეროს პარიზში და იშოვნოს ოქმები მისი უკანასკნელი გასამართლებისა (რსდმ პარტიის სხვადასხვა ფრაქციების მიერ) პარიზში. ამ გასამართლების შესახებ ლუნაჩარსკიმ. ბილწ ცილისმწამებლებს რომ ამათრახებდა, უკვე დიდიხანია ილაპარაკა «ნოვაია ჟიზნში». მაგრამ ეს ცოტაა. უნდა ეცადოთ იშოვნოთ სასამართლოს ოქმები ან სრული განაჩენი მაინც და, მისი გამოცემა თუ შეუძლებელია, რამდენიმე ცალად გადაბეჭდოთ მანქანაზე და აქ გამოგზავნოთ. ოქმების ან განაჩენის შოვნა თუ შეუძლებელია, სასურველი იქნება იშოვნოთ თუნდაც წერილობითი ნაამბობი გასამართლების შესახებ გასამართლების მონაწილე რომელიმე პარიზელისა და გამოსცეთ

რუსულად პატარა ბროშურა მაინც (ქრისტიანიაში რუსული სტამბა არის), რათა დოკუმენტურად უარვყოთ საზიზღარი ცილისწამება. ბროშურის გადმოგზავნა მცირე რაოდენობით მაინც მოხერხდება, ბროშურიდან ამონაწერები უნდა დაიბეჭდოს «Arbeiterpolitik»-ში, «Politiken»-ში, «Demain»-ში * და სხვ.

(2) ამდენადვე აუცილებელია, რომ განეცკიმ დოკუმენტურად გააბათილოს ცილისმწამებელთა ჩმახვა, რისთვისაც რაც შეიძლება მალე გამოსცეს საფინანსო ანგარიში თავისი ვაჭრობისა და თავისი «საქმეებისა» სუმენსონთან (ეს რა პიროვნებაა? პირველად გავიგონე!) და კოზლოვსკისთან (სასურველია, რომ ანგარიში შემოწმებული და დადასტურებული იყოს შვედი ნოტარიუსის ან რამდენიმე შვედი სოციალისტის ხელისმოწერით, რომლებიც პარლამენტის წევრები არიან). აგრეთვე აუცილებელია დაიბეჭდოს დეპეშების ტექსტი (რუსულ გაზეთებში, «რუსსკაია ვოლიაში», «ბეზ ლიშნიხ სლოვ»-ში [225] და სხვ. უკვე იყო, მაგრამ, ალბათ, არა მთლიანად) და გარჩეულ, განმარტებულ იქნეს თვითეული.

ამ საზიზღარ დრეიფუსიადას, ამ ცილისმწამებლობას უნდა ვებრძოლოთ ბროშურის გამოშვებით და რაც შეიძლება მალე, არ დავიშუროთ შრომა, გარჯა, ფული, რათა სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ცილისმწამებლები და შეძლებისამებრ დავეხმაროთ ამ საზიზღარი ცილისმწამებლური ბრალდების გამო დაპატიმრებულებს.

(3) როგორია ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული საზღვარგარეთული ბიუროს საქმე ფულის მხრივ? ივლისის დევნის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს დახმარება არ შეუძლია (ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ). მოგვწერეთ, შვედი მეპარცხენეების საშუალებით თუ მოხერხდა რაიმეს შეგროვება და თუ შეეძლება ბიუროს იარსებოს? ბიულეტენი? რამდენი №№ გამოიცა და რა ენებზე? [226] გილბოს ყველა №№ ჰქონდა თუ არა? «Demain»-ის კომპლექტი თუ გაქვთ? იგზავნებოდა თუ არა

* — «მუშათა პოლიტიკა», «პოლიტიკა», «ხვალ». რ ე დ.

ბიულეტენი ამერიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში? ყოველივე ამის შესახებ რაც შეიძლება დაწვრილებით ძომწერეთ.

(4) სხვათა შორის. არ მახსოვს, ვგონებ ვიღაცამ გადმომცა, რომ სტოკჰოლმში, გრიმის შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად, გამოჩნდა მოორი. არამზადა გრიმი, როგორც «ცენტრელი»-კაუცკელი, საზიზღრად რომ დაუახლოვდა «თავის» მინისტრს, მე არ მაკვირვებს: ვინც გადაჭრით არ წყვეტს კავშირს სოციალ-შოვინისტებთან, მას ყოველთვის ემუქრება საფრთხე აღმოჩნდეს ასეთ საზიზღარ მდგომარეობაში. მაგრამ რა კაცია მოორი? სავსებით და აბსოლუტურად თუა დამტკიცებული, რომ ის პატიოსანი კაცია? რომ მას არასოდეს არ ჰქონია და არა აქვს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფარული შეთანხმება გერმანელ სოციალ-იმპერიალისტებთან? თუ მართალია, რომ მოორი სტოკჰოლმშია და თუ თქვენ მას იცნობთ, ძალიან და ძალიან გთხოვთ, დაბეჯითებით გთხოვთ, დაჟინებით გთხოვთ მიიღოთ ყველა ზომა ამის უაღრესად ზუსტად და დოკუმენტურად შემოწმებისათვის. აქ არა აქვს, ე. ი. არ უნდა ჰქონდეს ადგილი თუნდაც ოდნავ ეჭვს, გაკიცხვას, ხმებს და სხვ.. ძალიან ვწუხვარ, რომ «ციმერვალდის კომისიამ» გრიმს უფრო მკაცრად არ დასდო მსჯავრი! [227] უფრო მკაცრად უნდა მოჰკიდებოდა!

(5) სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგი უთუოდ ვიყავი და ვარ [228]. უნდა შევნიშნო, რომ მთელ ამ წერილს გწერთ პირადად ჩემგან, ვინაიდან შესაძლებლობა არა მქონია შევკითხოდი ან თუნდაც დავკავშირებოდი ცენტრალურ კომიტეტს. ამიტომ, განსაკუთრებით დაწვრილებითს პასუხს რომ გამომიგზავნით, თქვენს წერილს დაურთეთ ოფიციალური, დეტალური, საქმიანი, დოკუმენტური, თქვენი (როგორც მთელი ბიუროს) ანგარიში ცენტრალური კომიტეტისადმი, მე გადავუგზავნი.

ასე, მე აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობისა. კამენევის გამოსვლა (ნახეთ «ნოვაია ჟიზნი»? იგი უნდა გამოიწეროთ) მიმაჩნია უკიდურეს

სისულელედ, თუ უკიდურეს სისაძაგლედ არა, და ამის შესახებ უკვე მივწერე ცენტრალურ კომიტეტს და დავწერე პრესისათვის. საბედნიეროდ, კამენევი მხოლოდ თავის მაგივრად ლაპარაკობდა და იგი დეზავუირებულ იქნა სხვა ბოლშევიკის მიერ.

სტოკჰოლმის და ყოველ სხვა კონფერენციაში მინისტრებთან (და არამზადებთან) — ჩერნოვთან, წერეთელთან, სკობელევთან და მათს პარტიებთან ერთად მონაწილეობა მე პირდაპირ ღალატად მიმაჩნია და ამ აზრით პრესაში გამოვალ ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს. თუ «ციმერვალდის კომისიაში» (სოციალ-შოვინისტ როზანოვის მოხსენების მიხედვით თუ განვსჯით) მოხერხდა სტოკჰოლმის თითქმის უარყოფა ან სანახევროდ უარყოფა, ეს ძალიან კარგია. მაგრამ «თითქმის» და «სანახევროდ» არაფრად არ ვარგა, ხოლო მთელი ეს «ნახევრად»-სოციალ-შოვინისტური ციმერვალდის კომისია, რომელიც იტალიელებსა და ლედებურელებზეა დამოკიდებული, რომლებსაც სოციალ-შოვინისტებთან «ერთიანობა» სურთ, უაღრესად მავნე დაწესებულებაა.

(6) III ინტერნაციონალის დასაარსებლად მემარცხენეთა კონფერენციის მოწვევის გადაწევითა თუ გადადებით ჩვენ უდიდეს, მიუტევებელ შეცდომას ვუშვებთ. სწორედ ახლა, სწორედ როცა ციმერვალდი ასე სამარცხვინოდ მერყეობს ან იძულებულია უმოქმედობას იჩენდეს, სწორედ ახლა, **სანამ** რუსეთში **ჯერ კიდევ** არის ლეგალური (თითქმის-ლეგალური) ინტერნაციონალისტური პარტია 200 000-ზე მეტი (240 000) წევრით * (რაც მსოფლიოში არსად არის ომის დროს), სწორედ ახლა ჩვენ მოვალენი ვართ მოვიწვიოთ მემარცხენეთა კონფერენცია. და ჩვენ პირდაპირ დამნაშავენი ვიქნებით, თუ დ ა ვ ა გ ვ ი ა ნ ე ბ თ ამის გაკეთებას (ბოლშევიკების პარტიას რუსეთში დღითი დღე სულ უფრო მეტად ერეკებიან იატაკქვეშეთში).

---

* 17 ყოველდღიური გაზეთი; 1 415 000 ეგზემპლარი საერთო ტირაჟი კვირაში; 320 000 დღეში.

კონფერენციისათვის ფული მოიძებნება. არის შესაძლებლობა გამოშვებულ იქნეს მისი ბიულეტენის რამდენიმე №. მისთვის ცენტრი არის სტოკჰოლმში. არის «დასაყრდენი» ფრანგული («Demain»-ი) და ინგლისური (ამერიკის «სოციალისტური **მუშათა** პარტია»; მისი დელეგატი, რეინშტეინი *, ამ დღეებში პეტერბურგში იყო, ალბათ ჩამოვა სტოკჰოლმში) — თუმცა **გარდა** S. L. P.-ისა (ამერიკის «სოციალისტური **მუშათა** პარტიისა») არის კიდევ ინგლისური დასაყრდენი, Tom Mann-იც ** ინგლისში, იქაური უმცირესობებიც British Soc. Party-ში ***, შოტლანდიელი სოციალისტებიც, «The International»-იც **** ამერიკაში.

პირდაპირ დანაშაული იქნება გადავდოთ ახლა მემარცხენეთა კონფერენციის მოწვევა.

უზომო სისულელე იქნება «ველოდოთ» მონაწილეთა «დიდ» რიცხვს და «გვერიდებოდეს» იმისა, რომ ახლა «ცოტაა». ვინაიდან ახლა ასეთი კონფერენცია ი დ ე უ რ ი ძალა იქნება, მიუხედავად მონაწილეთა რიცხვისა, უფრო გვიან კი შეძლებენ მ ი ა ფ უ ჩ ე ჩ ო ნ იგი.

ბოლშევიკები, P. S. D., ჰოლანდიელები, «Arbeiterpolitik»-ი, «Demain»-ი — აი უკვე საკმარისი **ბირთვი**. მას ალბათ მიემატება, თუ ენერგიულად ვიმოქმედებთ, დანიელთა ნაწილი (ტრირი და სხვ., რომლებიც არამზადა სტაუნინგის პარტიიდან წავიდნენ), შვედ ახალგაზრდათა (რომელთა წინააღმდეგაც ჩ ვ ე ნ ვცოდავთ, რომ ა რ **მივუძღვებით** მათ, ვინაიდან **მათ** გ ა ძ ღ ო ლ ა უ ნ დ ა თ) ნაწილი, ბულგარელთა ნაწილი, მემარცხენეები ავსტრიიდან («ფრანცი»), Loriot-ს ***** მეგობრების ნაწილი საფრანგეთში, მემარცხენეთა ნაწილი

---

* — წარმოდგენა არა მაქვს, ეს რა ვაუბატონია. გაზეთების **მიხედვით**, იგი მიესალმა მენშევიკების «**გამაერთიანებელ ყრილობას**»!! **მაშასადამე**, საეჭვო ვაუბატონია.

** — ტომ მანი. რ ე დ.

*** — ბრიტანეთის სოციალისტურ **პარტიაში**. რ ე დ.

**** — «ინტერნაციონალი». **რ ე დ.**

***** — ლორიოს. **რ ე დ.**

შვეიცარიაში («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») და იტალიაში, შემდეგ უკვე ინგლის-ამერიკის მოძრაობის ჩემ მიერ დასახელებული ელემენტები.

რეზოლუციები ბოლშევიკების კონფერენციისა (24—29. IV. 1917) და მათი ყრილობისა (VII. 1917: იხ. რეზოლუციები «ნოვაია ჟიზნში») [229], პროექტი ამავე პარტიის ახალი პროგრამისა — აი უკვე საკმაო ი დ ე უ რ ი ბ ა ზ ა («Vorbote»-ის, «Tribune»-ის *, «Arbeiterpolitik»-ის და სხვ. დამატებით), რომ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოვიდეთ ნათელი პასუხებით იმპერიალიზმის კითხვებზე და ბრალდებით სოციალ-შოვინისტებისა და კაუცკელების წინააღმდეგ.

საჭიროა **დაუყოვნებლივ** მოვიწვიოთ ასეთი კონფერენცია, შევქმნათ **მისი** დროებითი **ბიურო,** 3 ენაზე დავბეჭდოთ მისი მიმართვა და რეზოლუციების პროექტები პარტიაში გადასაცემად. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ ამას **ა ხ ლ ა ვ ე** არ გავაკეთებთ, შემდეგში საშინლად გავიძნელებთ ამ მუშაობას და საშინლად გავუადვილებთ «ამნისტიას» სოციალიზმის მოღალატეებს.

(7) რუს მენშევიკ-«ციმერვალდისტთა» მინისტერიალიზმი უაღრესად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ულტიმატუმი წავუყენოთ საერთოდ ციმერვალდს: ან ბრანტინგებთან, ჰიუისმანსებთან და კომპანიასთან კავშირის გაწყვეტა, ან ჩვენ ერთბაშად გავდივართ. სხვათა შორის: «Arbeiterpolitik»-ი ეწევა თუ არა კამპანიას ცეტკინის წინააღმდეგ და Braunschweiger «Volksfreund»-ის ** წინააღმდეგ იმისათვის, რომ ეს საზიზღრები ინტრიგანული მიზნებით ამართლებდნენ და მხარს უჭერდნენ რუს მენშევიკებს, ჩხეიძეს და კომპანიას, რომლებიც სამბას, რენოდელის, ტომას და კომპანიის მსგავსი მინისტერიაბელური არამზადები აღმოჩნდნენ?

ნუთუ მერინგიც დღემდე ვერ მიხვდა ჩხეიძის, წერეთლის, სკობელევისა და კომპანიის მთელ სისაძაგლეს?

---

* — «წინამორბედის», «ტრიბუნის». რ ე დ.

** — ბრაუნშვაიგის «ხალხის მეგობრის». რ ე დ.

(8) საჭიროა მოგვარებულ იქნეს აქ გადმოგზავნა თქვენი წერილებისა — იმედი მაქვს დაუყოვნებლივ მივიღებ **იმდენადვე** დაწვრილებითს წერილს, როგორიც ჩემია (წინააღმდეგ შემთხვევაში მიწერ-მოწერაზე თანახმა არა ვარ) — და ლიტერატურისა: ივნისის ნახევრიდან თუნდაც კომპლექტები «Arbeiterpolitik»-ის, «Demain»-ის, «Kampf»-ის (Duisburg) *, «Weekly People»-ის ** (S. L. P.), «Leipziger Volkszeitung»-ის ***, «Neue Zeit»-ის, «The Cal'»-ის **** და სხვ. Spartacus-ი *****, Loriot-ს და მისი მეგობრების გამოცემები, «Avanti» ****** და სხვ. და სხვ.. დასაწყისისათვის ამონაჭრები მაინც გამოგეგზავნათ.

(9) აქ უნდა გზავნოთ, შეძლებისამებრ, ყოველკვირეულად, ჯერ-ერთი, სტატიები პროვინციული და პიტერის პარტიული პრესისათვის (მიმოხილვები მემარცხენეთა მოძრაობისა საზღვარგარეთ, ფაქტები, ფაქტები, ფაქტები), — მეორე, ფურცლები (4 — 8 — 16 გვერდიანი) პატარა ბროშურებად გამოსაცემად. ნაკრები **ფაქტები** ინტერნაციონალის კრახის შესახებ, სოციალ-შოვინისტთა სახელის გატეხის შესახებ, მემარცხენეთა მოძრაობის ზრდის შესახებ: თუნდაც 4 ბროშურა ყოველ ამ თემაზე თითო 16 — 32 გვერდიანი. **ფ ა ქ ტ ე ბ ი დ ა ფ ა ქ ტ ე ბ ი.** არის იმედი, რომ ამას გამოვცემთ. ახლავე გვიპასუხეთ, შეგიძლიათ თუ არა მოჰკიდოთ ხელი. ჩვენი წესით გადმოგზავნისას (ლეგალურად გამოგზავნაზე ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება), მე ვფიქრობ, ს უ ლ ე რ თ ი ა, რა ენაზე იქნება დაწერილი.

(10) ვიმედოვნებ, რომ «პრავდის» კომპლექტები გაქვთ. «ნოვაია ჟიზნს» იწერთ. თუ არა გაქვთ «რაბოჩი ი სოლდატ» (დახურულია), «პროლეტარსკოე დელო» (კრონშტადტი) და

---

* — «ბრძოლის» (დუისბურგი). რ ე დ.

** — «ხალხის ყოველკვირეულის». რ ე დ.

*** — «ლაიფციგის სახალხო გაზეთის». რ ე დ.

**** — «ახალი დროების», «მოწოდების». რ ე დ.

***** — სპარტაკი. რ ე დ.

****** — «წინს». რ ე დ.

«სოციალ-დემოკრატი» (მოსკოვი), ახლავე მოიწერეთ, და მე გამოგიგზავნით, როგორც კი გაიმართება ახალი გზა, რომელსაც პირველად ამ წერილით ვცდი.

P. S. 18 აგვისტო. ეს არის მივიღე ახალი გაზეთი «პროლეტარის» №№ 1, 2, 4, ცენტრალურ ორგანოს — რა თქმა უნდა, მალე დახურავენ. ვეცდები გამოგიგზავნოთ. გიგზავნით №№ 1 — 7.

20 აგვისტო. წერილის გამოგზავნა ჯერ კიდევ მაინც ვერ მოხერხდა, და, ალბათ, ასე მალე ვერც მოხერხდება. ამიტომ წერილის ნაცვლად დღიურის მსგავსი რაღაც გამომიდის! რა გაეწყობა. ბევრი მოთმინება და სიმტკიცე უნდა გქონდეთ, თუ საერთოდ გინდათ კავშირი გქონდეთ ინტერნაციონალისტებთან «ყველაზე თავისუფალ» იმპერიალისტურ რესპუბლიკაში. «იზვესტიიდან» დღეს შევიტყვე, რომ სტოკჰოლმში გამოდის «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სტოკჰოლმის საინფორმაციო ბიუროს უწყებანი», ყოველკვირეულად. ეცადეთ გამოგზავნოთ ყველა სტოკჰოლმური გამოცემის **კომპლექტები. ვერაფერს ვერ ვხედავთ.**

25 აგვისტო (7 სექტემბერი). ვგონებ, ხვალ მოხერხდეს წერილის გამოგზავნა. **ყოველი** ღონე იხმარეთ, რათა მოაგვაროთ თქვენგან მოწოდება. **ახლავე** აუცილებლად გვიპასუხეთ თუნდაც მოკლედ, იმ მისამართით (**თქვენი** ქვეყნის შიგნით), რომელსაც გაცნობებთ ამხანაგი, ამ წერილს რომ გადმოგცემთ (ან მისი მეგობარი). იგივე **გადმოგცემთ** შიფრს; ამ შიფრით საცდელად გწერთ რამდენიმე სიტყვას და გთხოვთ ამ სიტყვებზე იმავე შიფრით მიპასუხოთ *.

P. S. კიდევ დაწერეთ ბროშურა, 16 — 32 გვერდი, რუსეთის დიპლომატიურ ხელშეკრულებათა შესახებ: მოკლედ, ზუსტად, ფაქტები, ფაქტები. ესა და ეს ხელშეკრულება ამა და ამ რიცხვისა, თვისა, წლისა, ესა და ეს შინაარსი. ხელშეკრულებათა ნუსხა. ნაკრები ცნობა. მოკლედ და მეტი ფაქტები. მიპასუხეთ, კისრულობთ თუ არა, როდის **გამოგზავნით.**

* — აქ რამდენიმე სტრიქონი დაშიფრულია. რედ.

ვამთავრებ: ღვთის გულისათვის, მემარცხენეთა კონფერენცია დაუყოვნებლივ, მემარცხენეთა ბიურო, ბიუროს ბიულეტენი და 2 (1½) თვის შემდეგ დანიშნეთ მ ე ო რ ე კონფერენცია.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

ჟურნალ „ბოლშევიკი“-ს № 5-ის ტექსტიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

138

ამხანაგებს კუუსინენს, სიროლას და ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა წევრებს [230]

პატივცემულო ამხანაგებო! უდიდესი სიხარულით გავიგონე ჩემი ფინელი მეგობრებისაგან, რომ თქვენ დგახართ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რევოლუციური ფრთის სათავეში და ეწევით ბრძოლას პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის საქმისათვის. მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის სახელით, რომ ფინელ მუშათა დიდი ორგანიზაციული ნიჭი, მათი მაღალი განვითარება და დემოკრატიულ დაწესებულებათა ხანგრძლივი პოლიტიკური სკოლა დაეხმარება მათ წარმატებით განახორციელონ ფინეთის სოციალისტური რეორგანიზაცია. ჩვენ ფინეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძმური დახმარების იმედი გვაქვს.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას!

მხურვალე სალამი. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

11. XI. 1917.

გაგზავნილია პეტროგრადიდან ჰელსინგფორსში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

139

დეპეშა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს [231]

მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელშია. დადასტურება საჭირო არ არის. თქვენ მიერ ერთის გადაყენება და მეორის დანიშვნა კანონია.

დაწერილია 1917 წ. 19 ნოემბერს
პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

140

დეპეშა ოსტროგოჟსკის საბჭოს თავმჯდომარეს [232]

შეადგინეთ ფასეულობათა ზუსტი აღწერა, შეინახეთ ისინი დაცულ ადგილას, დაცვისათვის თქვენ აგებთ პასუხს. მამულები ხალხის კუთვნილებაა. ძარცვისათვის სამართალში მიეცით. სასამართლოს განაჩენები ჩვენ შეგვატყობინეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 19 დეკემბერს
გაგზავნილია პეტროგრადიდან
ოსტროგოჟსკში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1918 წ.

141

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

ხარკოვი
სახალხო სამდივნო
კომისარ ორჯონიკიძისათვის

მივიღე თქვენი 20. I. 1918-ის დეპეშა. სულით და გულით გმადლობთ ენერგიული ზომებისათვის სურსათის დარგში. თუ ღმერთი გწამთ, მთელი ძალ-ღონით განაგრძეთ სურსათის შოვნა, პურის აღებისა და ჩაბარების საჩქაროდ მოწყობა, რომ მოვასწროთ მომარაგების მოგვარება უგზოობამდე. მთელი იმედი თქვენზეა, თორემ გაზაფხულზე შიმშილობა გარდუვალია.

ფულის გამოგზავნის თაობაზე ველაპარაკე და კიდევ მოველაპარაკები პიატაკოვს. ასი მილიონი გამოგზავნილია, 50 ხარკოვში გამოგეგზავნებათ. მიიღეთ ზომები პიტერ-ხარკოვის გზის სამმაგი დაცვისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ხარკოვში ცაკთან კვლავ სავსებით მეგობრული ურთიერთობა გექნებათ. სალამი და საუკეთესო სურვილები.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 22 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

142

დეპეშა ს. გ. შაუმიანს

ძვირფასო ამხანაგო შაუმიან!

დიდად გმადლობთ წერილისათვის. აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა, — და ჩვენ გავიმარჯვებთ.

სიძნელენი უსაზღვროა. ჯერჯერობით ჩვენ გვშველის მხოლოდ წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და ბრძოლა იმპერიალისტებს შორის. შესძელით გამოიყენოთ ეს კონფლიქტები: ჯერ საჭიროა დიპლომატია ვისწავლოთ.

მხურვალე სალამი და სურვილები და სალამი ყველა მეგობარს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წ. 14 თებერვალს
გაგზავნილია ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 20 სექტემბერს «კრასნაია გაზეტაში» № 215

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

143

დეპეშა
ქალაქ დრისის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს [233]

გაუწიეთ წინააღმდეგობა, სადაც ეს შესაძლებელია. გამოზიდეთ ყველაფერი, რასაც კი ღირებულება აქვს, და პროდუქტები. დანარჩენი ყველაფერი მოსპეთ. მტერს არაფერი არ დაუტოვოთ. აჰყარეთ ლიანდაგი — ორი ვერსი ყოველ ათზე. ააფეთქეთ ხიდები.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 19 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება მდივნის ჩანაწერის ტექსტის მიხედვით

144

სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს

1918 წ. 22 აპრილი.

22 აპრილს ღამის 11 საათზე სახკომსაბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს სამხედრო კომისარიატს დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა ღონისძიება, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა დაიცვას ხარკოვის გუბერნიის აღმოსავლეთი საზღვარი, განსაკუთრებით კი სადგური ჩერტკოვო, რომლის დაკავებასაც ცდილობენ გერმანელები და გაიდამაკები როსტოვთან სარკინიგზო მიმოსვლის შესაწყვეტად.

დეტალების შესახებ მოელაპარაკეთ სტალინს [234].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

145

დ. ი. კურსკის

საჭიროა ახლავე, დემონსტრაციული სისწრაფით, შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვ. **და ა. შ.**)

უნდა იყოს

სულ მცირე

ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი მუშაობა [235].

დაწერილია არა უგვიანეს 1918 წ. 8 მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

146

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1918 წ. 23 მაისი

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს
ვლადიმერ დიმიტრის-ძე ბონჩ-ბრუევიჩს

ვინაიდან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი დაჟინებითი მოთხოვნა — გეჩვენებინათ ჩემთვის, თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1918 წ. 1 მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ საბჭოს მდივან ნიკოლოზ პეტრეს-ძე გორბუნოვთან შეთანხმებით, აშკარად უკანონოა და სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის დეკრეტის[236] პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, **რომელიც ხელმოწერილია**
ვ. ი. ლენინის მიერ

147

ტელეფონოგრამა პეტროგრადის საბჭოს

გადაეცეს პიტერში სმოლნს ტელეფონით:

ვინაიდან ჩეხოსლოვაკებმა ციმბირის რკინიგზა გადაჭრეს და ტრანსპორტს დიდი საფრთხე ემუქრება, ტრანსპორტის გაწყვეტის გამო სურსათის საქმე უდიდეს საფრთხეშია.

ამხ. ვლადიმიროვი დაჟინებით მოითხოვს და მე მხარს ვუჭერ, რომ პიტერმა სასწრაფოდ გამოგზავნოს მოსკოვში სურსათის დარგის საუკეთესო მუშაკები. ამ მუშაკებს რჩეულ მუშათა ძლიერ რაზმებთან ერთად შეუძლიათ იხსნან საქმე.

ნუ აყოვნებთ. ნუ ელით დახმარებას გარედან. მთელი ძალები დაძაბეთ პიტერელი მუშების მხრივ სასწრაფო ზომებისათვის.

თუ პიტერში ტელეფონით ახლავე გადაცემა არ მოხერხდეს, მაშინ გადაცემულ იქნეს პირდაპირი მავთულით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 2 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

148

დეპეშა ნიჟნში — რეკა

სასწრაფო. ნიჟნი — რეკა
პირები სარატოვი, ცარიცინი

წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ შეასრულოთ სახკომსაბჭოს საგანგებო რწმუნებულის სახალხო კომისარ სტალინის ყველა ბრძანება და განკარგულება.

გადაეცით სტალინს: ყველა მისი ბრძანებისა და განკარგულების პირი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნიჟნში — რეკა, ვოლგის საოლქო სამმართველოს [237].

სასწრაფოდ აცნობეთ ამ დეპეშის შინაარსი ყველა რაიონს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 8 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

149

გ. ზინოვიევს

26. VI. 1918.

აგრეთვე ლაშევიჩს და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებს

ამხ. ზინოვიევ! მხოლოდ დღეს გავიგონეთ ცენტრალურ კომიტეტში, რომ პიტერში მ უ შ ე ბ ს უნდოდათ ვოლოდარსკის მოკვლაზე ეპასუხნათ მასობრივი ტერორით[238] და რომ თქვენ (არა თქვენ პირადად, არამედ პიტერელმა ცეკისტებმა თუ პეკისტებმა) არ დაანებეთ.

მტკიცე პროტესტს ვაცხადებ!

ჩვენ სახელს ვიტეხთ: დეპუტატთა საბჭოს რეზოლუციებშიც კი ვიმუქრებით მასობრივი ტერორით, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვ ა ფ ე რ ხ ე ბ თ მასების რევოლუციურ, ს ა ვ ს ე ბ ი თ სწორ ინიციატივას.

ეს შეუ — წყნა — რე — ბელია!

ტერორისტები ჩვენ ჩვრებად ჩაგვთვლიან. უმძაფრესი ომიანობის დროა. უნდა წავახალისოთ კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ტერორის ენერგია და მასობრიობა, და განსაკუთრებით პიტერში, რომლის მაგალითი გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ა.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რაზეები და რაზმები: გამოიყენეთ ხელახალ არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება. თუ პიტერელები 10—20 ათასს გაგზავნიან **ტამბოვის** გუბერნიაში და ურალზე და სხვ.,

ისინი თავსაც გადაირჩენენ და მთელ რევოლუციასაც გადაარჩენენ, ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ა დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი თ. მოსავალი უდიდესია, ოღონდ რამდენიმე კვირა გავძლოთ.

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

150

დეპეშა ა. იურიევს

თუ თქვენ დღემდე არ გნებავთ გაიგოთ საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც თანასწორად მტრულია როგორც ინგლისელებისადმი, ისე გერმანელებისადმი, თქვენს თავსვე დააყვედრეთ. ნაცარენუსი წამოვიდა.

ინგლისელებს ჩვენ ომს გავუმართავთ, თუ მათ ძარცვის თავიანთი პოლიტიკა განაგრძეს [239].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 26 ივნისს
გაგზავნილია მურმანსკში

პირველად დაიბეჭდა 1935 წ. 21 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 51

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

151

ს. გ. შაუმიანს

29. VI. 1918 წ.

ძვირფასო ამხ. შაუმიან!

გიძღვნით მხურვალე სალამს და გისურვებთ ყოველივე კარგს.

სტალინი ცარიცინშია. წერილები უმჯობესია გვიგზავნოთ სტალინის მეშვეობით.

სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

152

დეპეშა
სარეკვიზიციო რაზმების უფროსებს რკინიგზების ყველა ხაზზე

სახალხო კომისართა საბჭომ შეიტყო, რომ ზოგიერთი სარეკვიზიციო რაზმი სრულიად შეუწყნარებლად და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უაღრესად მავნედ იქცევა. რაზმები გაგზავნილი არიან იმისათვის, რომ რკინიგზების ხაზებზე ჰასუხსაგებ სამსახურს ეწეოდნენ ნამდვილ სპეკულაციასთან საბრძოლველად. რაზმების უფროსებს ევალებათ დაიცვან რაზმებში უსასტიკესი დისციპლინა, რომლის უქონლობისათვის, აგრეთვე რაზმის ყველა დანაშაულობათათვის, უფროსები სასტიკ პასუხს აგებენ რევოლუციური ტრიბუნალის ულმობელი სასამართლოს წინაშე. რაზმებს გამოუცხადეთ, რომ სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ შეგნებული მუშები არ დაუშვებენ უსასტიკესი პროლეტარული დისციპლინის დარღვევას და უაღრესად მკაცრად დაგმობენ იმათ, ვინც თავისი მოქმედებით არცხვენს საბჭოთა ხელისუფლებას. ხოლო თუ რაზმებში შეძვრნენ აშკარა ხულიგნები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალური ხელისუფლებისა და თავიანთი უფროსების განკარგულებებს ან არცხვენენ საბჭოთა რესპუბლიკას მეტომრეებისაგან ქრთამის აღებით, მათმა უფროსებმა და ადგილობრივმა დეპუტატთა საბჭოებმა

დაუყოვნებლივ უნდა დააპატიმრონ ისინი და ბადრაგის თანხლებით ჩამოიყვანონ მოსკოვში რევოლუციური ტრიბუნალის უსასტიკეს სამართალში მისაცემად.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წ. 1 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც გასწორებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

153

რკპ ყველა რაიონულ კომიტეტს, ყველა რაიონულ დეპუტატთა საბჭოს, წითელი არმიის ყველა შტაბს

დაახლოებით დღის 3 საათზე გერმანიის საელჩოში შეაგდეს ორი ბომბი, რომლებითაც მძიმედ დაიჭრა მირბახი[34]. ეს აშკარად მონარქისტების ან იმ პროვოკატორების საქმეა, რომლებსაც სურთ ომში ჩაითრიონ რუსეთი ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტების სასარგებლოდ, რომლებმაც ჩეხოსლოვაკებიც მოისყიდეს. მოახდინეთ მთელი ძალების მობილიზაცია, დაუყოვნებლივ ყველაფერი დააყენეთ ფეხზე დამნაშავეთა დასაჭერად. დააკავეთ **ყველა** ავტომობილი და გაარჩერეთ საშმაგ შემოწმებამდე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წ. 6 ივლისს

დაიბეჭდა 1918 წ. 7 ივლისს (24 ივნისს)
გაზეთ «პრავდაში» № 138

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

154

ტელეფონოგრამა მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს

გადაეცეს მოსკოვის გუბერნიის ყველა სავოლოსტო, სასოფლო და სამაზრო დეპუტატთა საბჭოს.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ მემარცხენე ესერთა დამარცხებული ბანდები აქეთ-იქით გარბიან. გარბიან მთელი ამ ავანტიურის ბელადები. მიღებულ იქნეს ყველა ზომა იმათი დაჭერისა და დაკავებისათვის, ვინც გაბედა აჯანყებულიყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დააკავეთ ყველა ავტომობილი. ყველგან დაუშვით შლაგბაუმები გზატკეცილებზე. მათთან დააყენეთ ადგილობრივ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმები. ცნობებია, რომ ერთი ჯავშნიანი მანქანა, რომელიც აჯანყებულებს ჰქონდათ, ქალაქგარეთ გაიქცა. მიიღეთ ყველა ზომა ამ ჯავშნიანი მანქანის დასაკავებლად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 7 ივლისს

დაიბეჭდა 1918 წ. 8 ივლისს (25 ივნისს) გაზეთ «პრავდაში» № 139

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

155

რადიოგრამა ს. გ. შაუმიანს

22. VII. 1918 წ.

ბაქო
დეპუტატთა საბჭო შაუმიანს

შემიძლია მხოლოდ სავსებით დავუჭირო მხარი სტალინის დეპეშას ბაქოს დეპუტატთა საბჭოს ნაროდნიკული ფრაქციის წინააღმდეგ და საბჭოების მეხუთე ყრილობის ნების შესახებ [241].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. 24 სექტემბერს გაზეთში «ბაკინსკი რაბოჩი» № 221

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

156

კ. ცეტკინს

26. VII. 1918 წ.

ღრმად პატივცემულო ამხანაგო ცეტკინ!

დიდი, მხურვალე მადლობა თქვენი 27/6-ის წერილისათვის, რომელიც ამხანაგმა ჰერტა გორდონმა მომიტანა. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დავეხმარო ამხანაგ გორდონს.

ჩვენ ყველას უაღრესად გვიხარია, რომ თქვენ, ამხანაგი მერინგი და სხვა «ამხანაგი სპარტაკელები» გერმანიაში «სულით და გულით ჩვენთან ხართ». ეს რწმენას გვაძლევს, რომ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, — მიუხედავად ყველა სიძნელისა, — მაინც მოგვეშველებიან.

ჩვენთვის ახლა აქ შესაძლოა მთელ რევოლუციაში ყველაზე ძნელი კვირეები იყოს. კლასობრივი ბრძოლა და სამოქალაქო ომი მოსახლეობის სიღრმეში შეიჭრა: სოფლებში ყველგან განხეთქილებაა — ღარიბი გლეხობა ჩვენს მხარეზეა, კულაკები ჩვენი გააფთრებული მოწინააღმდეგენი არიან. ანტანტამ მოისყიდა ჩეხოსლოვაკები, მძვინვარებს კონტრრევოლუციური აჯანყება, მთელი ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაგვამხოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თავიდან ავიცილებთ რევოლუციის ამ «ჩვეულებრივ» (როგორც 1794 და 1849 წლებში) მსვლელობას და დავამარცხებთ ბურჟუაზიას.

დიდი მადლობით, მხურვალე სალამით და გულწრფელი **პატივისცემით**

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჩემი ცოლი მთხოვს განსაკუთრებული სალამი გადმოგცეთ. ამხანაგ გოშკას (მისი სიტყვა, ისევე როგორც თქვენი სტატია, ვთარგმნეთ) და ყველა, ყველა მეგობარს მხურვალე სალამი.

P. S. ეს არის მომიტანეს ახალი სახელმწიფო ბეჭედი. აი ანაბეჭდი. წარწერა ასეთია: რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! [242]

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

157

დეპეშა ს. გ. შაუმიანს

29. VII.

ასტრახანი
შაუმიანისათვის
ბაქოში

დაშნაკების ყოველგვარი მოქმედება საბჭოების V ყრილობის გადაწყვეტილებისა და ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიჩნეული იქნება აჯანყებად და ღალატად. ჯარების გამოგზავნისათვის ზომებს მივიღებთ, მაგრამ დანამდვილებით დაპირება არ შეგვიძლია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 29 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

158

ა. დ. ციურუპას

სურსათის მხრივ კრიზისული მდგომარეობის გამო საჭიროა კი არ გავფანტოთ ძალები, არამედ თავი მოვუყაროთ ძალების მასას ერთ პუნქტში, სადაც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვიშოვნოთ ბ ე ვ რ ი პური.

წინადადებას გაძლევთ თავი მოუყაროთ ძალებს ელეცის მაზრაში, სადაც, როგორც მთელი რიგი ცნობებიდან ჩანს და როგორც ადასტურებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი პრავდინი, რომელმაც ამ მაზრის რევიზია მოახდინა, მდგომარეობა კულაკობის ჩახჩობისა და ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის მხრივ სანიმუშოა.

ახლავე, მაქსიმალური სისწრაფით, გაგზავნეთ ელეცის მაზრაში ყ ვ ე ლ ა სასურსათო, მოსავლის ასაღები და მოსავლის ასაღებ-სარეკვიზიციო რაზმები სალეწი მანქანების და პურის აწრაფად გასაშრობ მოწყობილობათა (თუ შესაძლებელია) და სხვ. მაქსიმალური რაოდენობით.

მიეცით დავალება — გ ა წ მ ი ნ დ ო ნ მაზრა ნ ა ჭ ა რ ბ ი პურისაგან **პირწმინდად.**

ეს ალბათ მოგვცემს რამდენიმე მილიონ ფუთ პურს (ჩემი აზრით, 6 მილიონ ფუთზე მეტს).

თავდაპირველად ძალების მაქსიმუმი გამოიყენეთ მაზრის იმ 12 (21-დან) ვოლოსტში, სადაც, როგორც იქაურები ამბობენ, ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია საუკეთესოა, და განაკუთრებით ყოფილ მემამულეთა მამულებში, რომლებიც ყოფილა აღრიცხვაზე.

მოსავლის საუკეთესოდ აღებისა და პურის ჩაბარებისათვის რ დ ა ი შ უ რ ო თ პრემიები, ახლავე გადადეთ საამისოდ

30 მილიონამდე მანეთი (პრემიები აძლიეთ ვოლოსტებსა და სოფლებს მანქანების სახით, სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის და საერთოდ უმთავრესად ასეთი მიზნებისათვის ასიგნობათა სახით). მაქსიმალური პრემიები აძლიეთ **მთელი** ნაჭარბი პურის ჩაბარებისათვის, საშუალო პრემიები საერთოდ დიდი ჩაბარებისათვის და ა. შ.

დამშეული გუბერნიების მუშებში (და დამშეულ გლეხებში იქვე) გააჩაღეთ მასობრივი აგიტაცია: ლაშქრობა სამკალად ელეცის მაზრაში!

დაწერილია 1918 წ. 5 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

[1.]

დეპეშა
ასტრახანის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს

ასტრახანი
ანისიმოვს

მდგომარეობა ბაქოში ჩემთვის მაინც გაურკვეველია.
ვის ხელშია ძალაუფლება?
სად არის შაუმიანი?
შეეკითხეთ სტალინს და იმოქმედეთ ყველა გარემოების გათვალისწინებით; თქვენ იცით, რომ მე სავსებით ვენდობი შაუმიანს. აქედან შეუძლებელია გავერკვეთ მდგომარეობაში და არა გვაქვს შესაძლებლობა მალე დავეხმაროთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 9 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

160

ნიჟნი-ნოვგოროდის დეპუტატთა საბჭოს

9. VIII. 1918 წ.

ნიჟნში, ამკარაა, თეთრგვარდიული აჯანყება მზადდება. უნდა დაძაბოთ მთელი ძალები, შეადგინოთ დიქტატორთა სამეული, გააჩაღოთ **ახლავე** მასობრივი ტერორი, ასობით დახვრიტოთ და გაასახლოთ როსკიპები, რომლებიც ჯარისკაცებს ათრობენ, ყოფილი ოფიცრები და სხვ.

წუთიც არ დააყოვნოთ. უნდა იმოქმედოთ მთელი გაქანებით: მოაწყვეთ მასობრივი ჩხრეკა. დახვრეტა იარაღის შენახვისათვის. მასობრივად გაასახლეთ მენშევიკები და არასაიმედონი. შეცვალეთ საწყობების მცველები, დააყენეთ საიმედოები.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

161

დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს

10. VIII. 1918 წ.

პენზა
საგუბერნიო აღმასკომი
კურაევს

თქვენი დეპეშა მივიღე, გადავეცი სვერდლოვს და შევუთანხმდი მას.

მიღებული იქნება ყველა ღონისძიება.

საჭიროა უდიდესი ენერგიით, სისწრაფითა და ულმობლობით ჩააქროთ კულაკების აჯანყება, გამოიყენეთ ჯარების ნაწილი პენზიდან, მოახდინეთ აჯანყებული კულაკების მთელი ქონების და მთელი მათი პურის კონფისკაცია. უფრო ხშირად შეგვატყობინეთ ტელეგრაფით, როგორ მიდის ეს საქმე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

162

დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს

პენზა
საგუბერნიო აღმასკომი
კურაევს

უაღრესად მნიშვნელოვანია შეკრიბოთ და გამოაქვეყნოთ იმის ფაქტები, რომ მემარცხენე ესერები მონაწილეობდნენ კულაკების აჯანყებაში. გვაცნობეთ უფრო დაწვრილებით, რა ზომები გაქვთ დასახული მემარცხენე ესერთა წინააღმდეგ. დანარჩენი ტელეგრაფით ვაცნობე მინკინსა და ბოშს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 12 და
14 აგვისტოს შუა

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

163

დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს

14. VIII. 1918 წ.

პენზა
საგუბერნიო აღმასკომი
მინკინს

მივიღე ორი საჩივარი თქვენზე: პირველი, რომ თქვენ სირბილეს იჩენთ კულაკების დათრგუნვის დროს. თუ ეს მართალია, თქვენ დიდ დანაშაულს სჩადიხართ რევოლუციის წინააღმდეგ. მეორე საჩივარია, რომ თქვენ კვეცავთ აგიტაციას, ამცირებთ ფურცლების ტირაჟს, უჩივით ფულის ნაკლებობას. აგიტაციისათვის ჩვენ ასეულ ათასებს არ დავიშურებთ. სასწრაფოდ მოითხოვეთ ფული ცაკისაგან, ფულის ნაკლებობა არ იქნება, ასეთ მომიზეზებას არ მივიღებთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

164

დეპეშა ზადონსკის აღმასკომს

17. VIII. 1918 წ.

ზადონსკი

აღმასკომი ბოლდირევს

უაღრესად მტკიცედ იმოქმედეთ კულაკებისა და მათთან შეთანხმებული მემარცხენე ესერი არამზადების წინააღმდეგ. მიმართეთ მოწოდებებით ღარიბ გლეხობას. დარაზმეთ იგი. მოსთხოვეთ დახმარება ელეცს. აუცილებელია კულაკ-წურ-ბელების ულმობლად დათრგუნვა. გვიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

165

დეპეშა ორიოლის გუბერნიის ზდოროვეცის აღმასკომს

ზდოროვეცი
ორიოლის გუბ.
ბუროვს, პერეიასლავცევს
პირი ორიოლის გუბ. დეპუტატთა საბჭოს

აუცილებელია შეაერთოთ კულაკური მემარცხენე-ესერული აჯანყების ულმობლად ჩაქრობა კულაკების მთელი პურის კონფისკაციასთან და ნაჭარბი პურის სანიმუშოდ მთლიანად გაწმენდასთან, ამასთან ნაწილი პური უსასყიდლოდ მიეცეს ღარიბ გლეხობას. შესრულება გვიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

166

დეპეშა ლივნის აღმასკომს

20. VIII. 1918 წ.

ლივნი
აღმასკომს
პირი სამხედრო კომისარ სემაშკოს და
კომუნისტთა ორგანიზაციას

მოგესალმებით მაზრაში კულაკებისა და თეთრგვარდიელების ენერგიულად დათრგუნვის გამო. საჭიროა სჭედოთ რკინა სანამ ცხელია, წუთიც არ დაკარგოთ და დარაზმოთ ღარიბი გლეხობა მაზრაში, მოახდინოთ აჯანყებულ კულაკთა მთელი პურისა და მთელი ქონების კონფისკაცია, ჩამოახრჩოთ მოთავე კულაკები, მობილიზაციით გაიწვიოთ და შეაიარაღოთ ღარიბი გლეხობა, დაუყენოთ საიმედო ბელადები ჩვენი რაზმიდან, დააპატიმროთ მძევლები მდიდრებიდან და პატიმრობაში გყავდეთ, სანამ მათს ვოლოსტში მთელ ნაჭარბ პურს არ შეაგროვებენ და შეინახავენ. შესრულება გვიდეპეშეთ. სანიმუშო რკინისებური პოლკის ნაწილი ახლავე გაგზავნეთ პენზაში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

167

დეპეშა ასტრახანის საგუბერნიო აღმასკომს

21. VIII. 1918 წ.

ასტრახანი
საგუბერნიო აღმასკომს
პირი კომუნისტთა საგუბერნიო ორგანიზაციას

ნუთუ მართალია, რომ ასტრახანში უკვე ლაპარაკია ევაკუაციაზე?

თუ ეს მართალია, უნდა მიიღოთ ულმობელი ზომები ლაჩრების წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ გამოჰყოთ ყველაზე საიმედო და მტკიცე ადამიანები ასტრახანის დაცვის მოსაწყობად და ინგლისელთა შემოტევის შემთხვევაში ბოლომდე ბრძოლის უაღრესად მტკიცე პოლიტიკის განსახორციელებლად.

დაწვრილებით გვიპასუხეთ ტელეგრაფით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

168

სახალხო კომისრებს სახკომსაბჭოს იმ დადგენილების გამო, რომელიც სახალხო კომისარიატების ანგარიშებს შეეხება

29. VIII. 1918 წ.

თავს ნებას ვაძლევ გამოვთქვა შემდეგი სურვილები სახკომსაბჭოს 29 აგვისტოს იმ დადგენილების ერთი კვირის ვადაში შესრულების საკითხზე, რომელიც ანგარიშებს შეეხება.

ანგარიშებში, რომლებიც **უაღრესად პოპულარული** უნდა იყოს, განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს

ა) მასების მდგომარეობის გაუმჯობესება (ხელფასის გადიდება **მუშებისათვის**, სახალხო მასწავლებლებისათვის და ა. შ.)

ბ) მუშების მონაწილეობა მართვა-გამგეობაში (პირადად გამოჩენილი მუშებისა და მუშათა ორგანიზაციებისა და ა. შ.)

გ) აგრეთვე — უღარიბესი გლეხებისა და დახმარება საბჭოთა ხელისუფლებისადმი კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში

დ) მემამულეთა, კაპიტალისტთა, ვაჭართა, ფინანსისტთა და სხვ. ექსპროპრიაცია.

მთავარი ამოცანაა **კონკრეტულად**, ფაქტებით ვაჩვენოთ, თუ **სახელდობრ როგორ** გადადგა საბჭოთა ხელისუფლებამ **გარკვეული (პირველი)** ნაბიჯები სოციალიზმისაკენ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

169

მ. კედროვს

29. VIII. 1918 წ.

ამხ. კედროვ! თქვენ ფაქტიურს ცოტას იტყობინებით. გვიგზავნეთ ანგარიშები, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, რ ო ც ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა მ ო გ ვ ც ე მ ა თ.

რამდენი გაკეთდა საფორტიფიკაციო სამუშაოები?

რა ხაზით?

რკ. გზ. რა პუნქტებია **უზრუნველყოფილი** ამფეთქებლებით, რათა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები და ფრანგები დიდი ძალებით დაიძვრიან, ჩვენ ავაფეთქოთ და ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ დავანგრიოთ **ე ს ა დ ა ე ს** (სახელდობრ რომელი, უნდა მოგვცეთ ანგარიში, და სახელდობრ სად) ხიდები, რკინიგზების ვერსები, ჭაობებს შუა გასასვლელები და სხვ. და ა. შ.

საკმაოდ უზრუნველყავით თუ არა ვოლოგდა თეთრგვარდიული საფრთხის წინააღმდეგ? შეუწყნარებელი იქნება, ამ საქმეში სისუსტე ან გულგრილობა რომ გამოიჩინოთ.

სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ვოლოგდაში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

170

დეპეშა V არმიის შტაბს

სვიაჟსკი
5 არმიის შტაბს

გმადლობთ. განკურნება ჩინებულად მიდის[243]. დარწმუნებული ვარ, რომ ყაზანის ჩეხებისა და თეთრგვარდიელების, აგრეთვე მათი მხარდამჭერი კულაკი-წურბელების ჩახშობა სანიმუშოდ ულმობელი იქნება.

მხურვალე სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 7 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ. 30 აგვისტოს
გაზეთ «პრავდაში» № 201

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

171

დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის

18. IX. 1918 წ.

პეტროგრადი
სახალხო კომისარ ლუნაჩარსკის
პირი მოსკოვი, ოსტოჟენკა, 53
პოკროვსკის

დღეს მოვისმინე ვინოგრადოვის მოხსენება ბიუსტებისა და ძეგლების შესახებ, აღშფოთებული ვარ გულის სიღრმემდე; თვეობით არაფერი არ კეთდება; დღემდე ერთი ბიუსტიც არ დადგმულა, რადიშჩევის ბიუსტი რომ გაქრა, ეს კომედიაა. ქუჩაში დასადგმელად მარქსის ბიუსტი არ არის, ქუჩებში წარწერებით პროპაგანდისათვის არაფერი არ გაკეთებულა. გიცხადებთ საყვედურს დანაშაულებრივი და გულგრილი დამოკიდებულებისათვის, მოვითხოვ გამომიგზავნოთ ყველა პასუხისმგებელ პირთა სახელები სამართალში მისაცემად. სირცხვილი მესაბოტაჟეებსა და დოყლაპიებს [244].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

172

მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინიგზის ამხანაგ რკინიგზელებს

სულით და გულით გმადლობთ მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის და, ჩემი მხრივ, გისურვებთ ყოველ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროლეტარულმა მასამ უნდა დაძლიოს არა მარტო საბოტაჟის, არამედ სინდიკალისტური მისწრაფებები და მიდრეკილებებიც და, დარწმუნებული ვარ, კიდევაც დაძლევს მათ.

კომუნისტური სალამით ვ. ულიანოვი (ლენინი)

მოსკოვი. 20. IX. 1918 წ.

დაიბეჭდა 1918 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

178

ვ. ვ. ვოროვსკის

20. IX. 1918.

ძვირფასო ამხანაგო!

დღევანდელმა «პრავდამ» მოიყვანა ამონაწერები კაუცკის სტატიიდან ბოლშევიზმის წინააღმდეგ («Sozialistische Auslandspolitik»-იდან *).

კაუცკის სამარცხვინო სისულელე, ბალღური ჩიფჩიფი და ყოვლად უხამსი ოპორტუნიზმი იწვევს კითხვას: რატომ არაფერს არ ვაკეთებთ კაუცკის მიერ მარქსიზმის **თეორიული** გაუხამსების წინააღმდეგ?

განა შესაწყნარებელია, რომ ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც არიან მერინგი და ცეტკინი, კაუცკის ემიჯნებიან უფრო «მორალურად» (თუ შეიძლება ასე ითქვას), ვიდრე თ ე ო რ ი ულ ა დ? კაუცკიმ იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა, რომ ახლა ბოლშევიკების წინააღმდეგ წეროსო.

განა ეს საბუთია? განა შეიძლება ასე შეასუსტო საკუთარი პოზიცია? ეს ხომ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაუცკის ხელში იარაღი მისცე!!

და ეს ნაცვლად იმისა, რომ დაეწერათ:

კაუცკიმ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ვერ გაიგო და მთლად ოპორტუნისტულად გააუხამსა

მარქსის მოძღვრებაც სახელმწიფოზე

» » პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ უ-

» » რ ა ზ ე

» » ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე

» » პარლამენტარიზმზე

» » კომუნის როლსა და მნიშვნელობაზე

და ა. შ.

---

* — «სოციალისტური საგარეო პოლიტიკა». რ ე დ.

საჭიროა მიიღონ ასეთი ზომები:

1) დაწვრილებით მოელაპარაკონ მემარცხენეებს (სპარტაკელებს და სხვ.), ურჩიონ მათ გამოვიდნენ პრესაში პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი, **თეორიული** განცხადებით, რომ დიქტატურის საკითხში კაუცკი იძლევა უხამს ბერნშტეინიადას და არა მარქსიზმს;

2) საჩქაროდ გამოსცენ გერმანულად ჩემი «სახელმწიფო და რევოლუცია» [245];

3) წაუმძღვარონ მას თუნდაც გ ა მ ო მ ც ე მ ლ ი ს წინასიტყვაობა, დაახლოებით ასეთი:

«გამომცემელს განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნია ამ ბროშურის გამოსვლა სწორედ ახლანდელ მომენტში, ვინაიდან სწორედ ამ საკითხებში სავსებით ამახინჯებს მარქსიზმს თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში კაუცკი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისს ცვლის ბერნშტეინისა და სხვა ოპორტუნისტების ყაიდის უხამსი სოციალლიბერალიზმით».

4) თუ ბროშურის სწრაფად გამოცემა არ შეიძლება, მაშინ გ ა ზ ე თ ე ბ შ ი (მემარცხენე გაზეთებში) გაუშვან «გამომცემლის წინასიტყვაობის» მსგავსი შენიშვნა.

ძალიან გთხოვდით გამოგეგზავნათ (ჩემთვის ცალკე) კაუცკის ბროშურა (ბოლშევიკებზე, დიქტატურაზე და სხვ.), როგორც კი გამოვა, —

— შემდეგ შეგეკრიბათ ჩემთვის კაუცკის ყ ვ ე ლ ა სტატია ბოლშევიკების შესახებ. («დემოკრატია და დიქტატურა», 1917 წ. ბოლო თუ 1918 წ. დასაწყისი; შემდეგ სტატია «Soz. Auslandspolitik»-დან, 1918 წ. აგვ.) **და სხვა სტატიები, თუ იყო.**

მხურვალე სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

174

ი. მ. სვერდლოვს

1. X. 1918.

ამ ხ. **სვერდლოვს**

გერმანიაში საქმეები ისე «დაჩქარდა», რომ ჩვენც არ შეიძლება ჩამოვრჩეთ. დღეს კი ჩვენ უკვე ჩამოვრჩით..

უნდა მოვიწვიოთ ხ ვ ა ლ გაერთიანებული კრება

ცაკის

მოსკოვის საბჭოს

რაისაბჭოების

პროფესიული კავშირებისა და სხვა და სხვა.

გავაკეთოთ მთელი **რ ი გ ი** მოხსენებანი **გერმანიაში რევოლუციის დაწყების** შესახებ.

(გერმანიის იმპერიალიზმთან ბრძოლის **ჩვენი** ტაქტიკის გამარჯვება. და ა. შ.)

მივიღოთ რეზოლუცია

საერთაშორისო რევოლუცია **ერთ კვირაში** ისეთ მანძილზე მოახლოვდა, რომ მას ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც უ ა ხ ლ ო ე ს ი დ ღ ე ე ბ ი ს მოვლენას.

არავითარი კავშირი არც ვილჰელმის მთავრობასთან, არც ვილჰელმ II + ებერტი და სხვა არამზადების მთავრობასთან.

მაგრამ გერმანელ მუშათა მასებისათვის, გერმანელ მშრომელთა მილიონებისათვის, როცა მათ დაიწყეს თავიანთი აღშფოთების სულისკვეთებით (ჯერჯერობით მ ხ ო ლ ო დ სულისკვეთებით), ჩვენ ძმური დახმარების, **პ უ რ ი ს,** სამხედრო დახმარების

მზადებას ვიწყებთ.

ყველანი თავს დავდებთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ გერმანელ მუშებს გერმანიაში დაწყებული რევოლუციის წინსვლის საქმეში.

დასკვნა: 1) ათჯერ მეტი ღონისძიება პურის საშოვნელად (მ თ ე ლ ი მარაგი გაიწმინდოს ჩვენთვისაც და **გერმანელი** მ უ შ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ც).

2) ათჯერ მეტი **ჩაწერა** ჯარში.

3-მილიონიანი არმია **გაზაფხულზე** მზად უნდა გვყავდეს საერთაშორისო მუშათა რევოლუციისათვის დახმარების გასაწევად.

ეს რეზოლუცია ოთხშაბათს ღამით მთელ მსოფლიოს უნდა მოეფინოს ტელეგრაფით.

დანიშნეთ კრება ოთხშაბათს 2 საათზე. დავიწყოთ **4**-ზე, **მე** 15 წუთი დრო მომეცით შესავალი სიტყვისათვის, — მოვალ და უკანვე წამოვალ [246]. ხვალ დილით გამომიგზავნეთ მანქანა (ტელეფონით კი მხოლოდ მითხარით: **თანახმა ვართ**).

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

175

მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი ქაღალდი № 24962 პრეზიდიუმის 7. X-ის დადგენილების ამონაწერით [247].

სინდისქვეშ უნდა გითხრათ, ეს დადგენილება შედგენილია პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ისე უვიცად და ისე სულელურად, რომ გულის არევას იწვევს. ...«პრეზიდიუმი იძულებულია პასუხისმგებლობა მოიხსნასო»... ასე ჭირვეული ქალიშვილები იქცევიან და არა სრულასაკოვანი პოლიტიკოსები. პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნით, არამედ სამმაგად გააძლიერებთ.

თუ სახალხო განათლების კომისარიატი არ გიპასუხებთ და არ ასრულებს თავის მოვალეობას თქვენ მიმართ, თქვენ მოვალე ხართ ი ჩ ი ვ ლ ო თ და დოკუმენტებიც გქონდეთ. ბავშვები ხომ არა ხართ, ეს რომ არ გესმოდეთ.

როდის იჩივლეთ? სად არის პირი? სად არის დოკუმენტები და დამამტკიცებელი საბუთები?

მთელი პრეზიდიუმიც და ვინოგრადოვიც, ჩემი აზრით, ერთი კვირით საპყრობილეში ჩასასმელი ხართ უმოქმედობისათვის.

თუ სახალხო განათლების კომისარიატი «არ იძლევა ბიუსტებს» (როდის მოითხოვეთ? ვისგან? პირი და დოკუმენტი? როდის გაასაჩივრეთ?), — უნდა გ ე ბ რ ძ ო ლ ნ ა თ თ ქ ვ ე ნ ი უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. «პასუხისმგებლობის მოხსნა» კი ჭირვეული ქალიშვილებისა და სულელი რუსი ინტელიგენტების მანერაა.

მაპატიეთ, გულახდილად რომ გამოვთქვი აზრი, და მიიღეთ კომუნისტური სალამი

ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ,

რომელიც იმედოვნებს, რომ თქვენ ხელისუფლების უმოქმედობისათვის საპყრობილით დაგსჯიან, და რომელიც დიდად აღშფოთებულია თქვენი ქცევით.

12. X. 1918.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

176

დეკეშა სამარის აღების გამო

სამარა აღებულია. ვოლგა თავისუფალია. დანაშაული იქ-ნება არ გამოვიყენოთ ნავიგაციის დახურვამდე დარჩენილი მცირე დრო. საჭიროა დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე იმისათვის, რომ ვოლგის ზემოწელში გამოვზიდოთ ნავთისა და სასურ-სათო ტვირთების მაქსიმუმი. ამ ამოცანის შესრულება შეუ-ძლებელია, თუ არ განხორციელდა ყველა ღონისძიების უსასტიკესი ცენტრალიზაცია და ადგილებზე ზუსტად არ შესრულდა ცენტრის ბრძანებანი. ითვალისწინებს რა ზემო-აღნიშნულს, სახკომსაბჭო ადგენს და წინადადებას იძლევა განუხრელად შესრულდეს:

1) სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წაღებული ყველა სანაოსნო და სატრანსპორტო საშუალებანი დაუყოვნებლივ დაბრუნებულ უნდა იქნეს გლავოდისა და გლავკონეფ-ტის განკარგულებაში კუთვნილებისამებრ. (ეს ღონისძიება არ ვრცელდება იმ გემებსა და სანაოსნო საშუალებებზე, რომლებიც უკვე იმყოფება ვოლგის სამხედრო ფლოტილიის შემადგენლობაში.)

2) ვოლგაზე გემებისა და სანაოსნო საშუალებების რეკვი-ზიციის უფლება, რაც წინათ მინიჭებული ჰქონდათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და პირებს, უქმდება. სამხედრო მიზნებისათვის საჭირო სანაოსნო საშუალებათა რეკვიზიცია ამიერიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ რესპუბ-ლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განსაკუთრებული ნებართვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

3) ფრონტის ყველა სარდალს, საგანგებო კომისიებსა და დეპუტატთა საბჭოებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ

მიიღონ უსასტიკესი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყონ გემების შეუფერხებელი ცურვა და ტვირთების დაცვა რაიმე დაკავებისა და სვლაში შეფერხებისაგან.

4) ვოლგის მთელი ჩასასხმელი ფლოტისა და ვოლგაზე მყოფი მთელი ნავთის ტვირთების განკარგულება მხოლოდ და მხოლოდ ნავთის მთავარი კომიტეტის გამგებლობაშია (მისამართი დეპეშებისათვის: გ ლ ა ვ კ ო ნ ე ფ ტ ი, მოსკოვი). ყველა ხელისუფალთ, მათ შორის სამხედრო ხელისუფალთ და სარდლებსაც ფრონტებზე, წინადადება ეძლევათ სიტყვა-შეუბრუნებლად შეასრულონ გ ლ ა ვ კ ო ნ ე ფ ტ ი ს ყველა განკარგულება, რომლებიც ეხება ნავთის ტვირთების მოძრაობას, და გ ლ ა ვ ო დ ი ს განკარგულებანი, რომლებიც ეხება გემებს.

5) ნავთის ტვირთების უშუალო განკარგულება მთელ ვოლგაზე ეკისრება გ ლ ა ვ კ ო ნ ე ფ ტ ი ს კ ო ლ ე გ ი ი ს წ ე ვ რ ს ამხანაგ ტ ა რ ვ ი დ ს; მისი, აგრეთვე მისი აგენტების ყველა განკარგულება ნავთის შესახებ უცილობლად სავალდებულოა ყველა ხელისუფალთათვის.

6) დღემდე გამოცემული ყველა დადგენილება რეკვიზიციების, ნავთის გატანის აკრძალვის შესახებ და სხვ. ძალაში რჩება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ ეწინააღმდეგება გ ლ ა ვ კ ო ნ ე ფ ტ ი ს განკარგულებებს.

7) უსასტიკესად ადასტურებს რა ზემოაღნიშნულს, ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჭ ო მ დაადგინა სამხედრო-რევოლუციურ სამართალში მიცემულ იქნეს ყველა, ვინც ეურჩება ამ დადგენილებას, განურჩევლად თანამდებობისა და პარტიული კუთვნილებისა. გ ლ ა ვ კ ო ნ ე ფ ტ ი ს, გ ლ ა ვ ო დ ი ს ა და კ ო მ პ რ ო დ ი ს აგენტებს ადგილებზე წინადადება ეძლევათ სასწრაფოდ მოახსენონ მოსკოვს ადგილობრივ ხელისუფალთა ყველა იმ მოქმედების შესახებ, რომელიც არღვევს ცენტრების გეგმაშეწონილ მუშაობას. დაუყოვნებლივ მივლინებულ იქნებიან საგანგებო კომისიები სამართალში მისაცემად და განაჩენთა შესასრულებლად.

8) სახალხო კომისართა საბჭოს ამ დადგენილების შინაარსი გამოეცხადოს ყველა აღმასრულებელ ორგანოს და თანამდებობის პირს ადგილებზე.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი

დაიბეჭდა 1918 წ. 13 ოქტომბერს
სრ. რუსეთის ცაკ-ის
გაზეთ «იზვესტიაში» № 223

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

177

სპარტაკის ჯგუფის წევრებს

18. X. 1918.

პატივცემულო ამხანაგებო! დღეს მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ სპარტაკის ჯგუფი ბრემენის მემარცხენე-რადიკალურ ჯგუფთან ერთად უაღრესად ენერგიულ ზომებს იღებს, რათა ხელი შეუწყოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შექმნას მთელ გერმანიაში. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ჩვენი საუკეთესო სურვილები გადავცე გერმანელ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტებს. გერმანიის სპარტაკის ჯგუფი სისტემატურ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა უძნელეს პირობებში და მისმა მუშაობამ ნამდვილად იხსნა გერმანიის სოციალიზმისა და გერმანიის პროლეტარიატის ღირსება. ახლა დგება გადამწყვეტი ჟამი: გერმანიის რევოლუცია, რომელიც სწრაფად ახლოვდება, მოუწოდებს სპარტაკის ჯგუფს შეასრულოს უმნიშვნელოვანესი ამოცანები, და ჩვენ ყველას მტკიცე იმედი გვაქვს, რომ მალე გერმანიის სოციალისტური პროლეტარული რესპუბლიკა გადამწყვეტ ლახვარს ჩასცემს მსოფლიო იმპერიალიზმს.

იმედი მაქვს, რომ რენეგატ კაუცკის წიგნი, მიმართული პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, აგრეთვე ერთგვარ სარგებლობას მოიტანს[248]. დადასტურდება იმის სისწორე, რასაც ყოველთვის ამბობდა სპარტაკის ჯგუფი კაუცკელების წინააღმდეგ, და მასები უფრო მალე განთავისუფლდებიან ბატონ კაუცკისა და კომპ. გამხრწნელი გავლენისაგან.

მხურვალე სალამით და იმის მტკიცე იმედით, რომ უახლოეს ხანში შესაძლებელი იქნება მივესალმოთ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას გერმანიაში

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
გერმანულ ენაზე

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1930 წლის 7 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 308

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

178

დეპეშა მთავარსარდალს

20. X. 1918 წ.

არზამასი

ვაცეტისს

მეტად გაკვირვებული და შეშფოთებული ვართ იჟევსკისა და ვოტკინსკის აღების დაყოვნებით[249]. გთხოვთ მიიღოთ უაღრესად ენერგიული ზომები დასაჩქარებლად. გვიდეპეშეთ, სახელდობრ რა ნაბიჯები გადადგით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი
სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის **მიხედვით**

179

ტელეფონოგრამა რსფსრ-ის წარმომადგენელს ბერლინში

ბერლინი

რუსეთის ელჩს იოფეს

დაუყოვნებლივ გადაეცით კარლ ლიბკნეხტს ჩვენი უმხურკალესი სალამი. გერმანიის რევოლუციური მუშების წარმომადგენლის საპყრობილიდან განთავისუფლება მაუწყებელია ახალი ეპოქისა, ძლევამოსილი სოციალიზმის ეპოქისა, რომელიც იწყება ახლა გერმანიისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც [250].

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით

ლენინი სვერდლოვი სტალინი

დაწერილია 1918 წ. 23 ოქტომბერს

დაიბეჭდა 1918 წ. 25 ოქტომბერს სრ. რუსეთის ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 233

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

180

დეპეშა ორიოლისა და კურსკის საგუბერნიო აღმასკომებს და პარტიის საგუბერნიო კომიტეტებს

9. XI. 1918 წ.

საიდუმლო
სასწრაფო ყოველგვარ რიგს გარეშე
2. მისამართი
ორიოლი. საგუბერნიო აღმასკომს და კომუნისტების საგუბერნიო კომიტეტს
კურსკი. საგუბერნიო აღმასკომს და კომუნისტების საგუბერნიო კომიტეტს

ეს არის მივიღეთ კილიდან რადიოგრამა, რომელიც მიმართულია საერთაშორისო პროლეტარიატისადმი და იუწყება, რომ გერმანიაში ძალაუფლება გადავიდა მუშათა და ჯარისკაცთა ხელში.

ამ რადიოგრამას ხელს აწერს კილის მატროსთა დეპუტატების საბჭო.

გარდა ამისა გერმანელმა ჯარისკაცებმა ფრონტზე დააპატიმრეს ვილჰელმის მიერ გაგზავნილი საზავო დელეგაცია და თვითონ დაიწყეს მოლაპარაკება ზავის შესახებ პირდაპირ ფრანგ ჯარისკაცებთან.

ვილჰელმი ტახტიდან გადადგა.

საჭიროა დაძაბოთ მთელი ძალ-ღონე იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე აცნობოთ ეს უკრაინაში მყოფ გერმანელ ჯარისკაცებს და ურჩიოთ მათ შეუტიონ კრასნოვის ჯარებს,

ვინაიდან მაშინ ჩვენ ერთად მოვიპოვებთ ათეულ მილიონობით ფუთ პურს გერმანელი მუშებისათვის და მოვიგერიებთ ინგლისელების შემოსევას, რომლებიც ესკადრით უახლოვდებიან ნოვოროსიისკს.

გვიდეპეშეთ მიღება და შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

181

დეპეშა რკპ(ბ) უნეჩის ორგანიზაციის თავმჯდომარეს

13. XI. 1918 წ.

უნეჩა

უნეჩის რკპ თავმჯდომარეს ივანოვს

მოსალმებისათვის მადლობას ვუძღვნი ყველას. განსაკუთრებით გამახარა გერმანიის რევოლუციური ჯარისკაცების მოსალმებამ. ახლა მეტად მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის რევოლუციურმა ჯარისკაცებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ქმედითი მონაწილეობა უკრაინის განთავისუფლებაში. ამისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, დააპატიმრონ თეთრგვარდიელები და უკრაინელი ხელისუფალნი, მეორე, გაგზავნონ გერმანიის რევოლუციური ჯარების დელეგატები უკრაინაში მყოფ გერმანიის ყველა სამხედრო ნაწილში მათი სწრაფი და საერთო მოქმედებისათვის უკრაინის გასათავისუფლებლად. დრო არ ითმენს. არ შეიძლება არც ერთი საათის დაკარგვა. ახლავე გვიდეპეშეთ, იღებენ თუ არა ამ წინადადებას გერმანიის რევოლუციური ჯარისკაცები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

სასწრაფო.

ყოველგვარ რიგს გარეშე.

მ ა ც ნ ო ბ ე თ რომელ საათზე **მ ი ი ღ ო** უნეჩამ.

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

182

დეპეშა პარტიის ორიოლის საგუბერნიო კომიტეტს

13. XI. 1918 წ.

ორიოლი

რუს. კომ. პარტიის ბოლშევიკების საგუბერნიო კომიტეტს უკრაინელებისათვის

ეს არის მივიღე უნეჩიდან მოსალმება გერმანიის რევოლუციური ჯარისკაცებისაგან. მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ უკრაინის ყველა სასაზღვრო პუნქტს ტელეგრაფით აცნობოთ ეს, ჩემი სახელით მადლობა გადასცეთ გერმანიის რევოლუციურ ჯარისკაცთა მოსალმებისათვის და მიმართოთ მათ თხოვნით ხელი შეუწყონ სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედებით უკრაინის განთავისუფლებას. დაე გერმანიის რევოლუციურმა ჯარისკაცებმა მათ მიერ დაწყებული გერმანიის სახელოვანი რევოლუცია დაამთავრონ უკრაინაში თეთრგვარდიელების დაპატიმრებით და უკრაინის განთავისუფლებით.

გაუმარჯოს გერმანიის რევოლუციურ ჯარისკაცებს უკრაინაში!

გაუმარჯოს გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ კავშირს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკასთან!

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

183

ტელეფონოგრამა მთავარსარდალს

სერპუხოვი

მთავარსარდალს — ვაცეტისს

თავდაცვის საბჭო გეკითხებათ:

1) მართალია თუ არა, რომ ბალაშოვის რაიონში ბრძოლების დროს ორი კვირის წინათ ჩვენმა ნაწილებმა ორი-სამი დღის განმავლობაში დაუტოვეს მოწინააღმდეგეს 25 — 30 ქვემეხი, და თუ ეს მართალია, რა გააკეთეთ დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად და ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად?

2) მართალია თუ არა, რომ ორი კვირის წინათ თქვენ გაეცით ბრძანება ორენბურგის აღების შესახებ, და თუ ეს მართალია, რატომ არ სრულდება ბრძანება?

3) რა გაკეთდა იმისათვის, რომ განმტკიცდეს ჩვენი ნაწილების მდგომარეობა პერმის რაიონში, რომლებიც სასწრაფო დახმარებას მოითხოვენ ცენტრისაგან?

თავდაცვის საბჭო ელის თქვენგან პასუხს ამ კითხვებზე.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

23. XII.

დაწერილია 1918 წ. 23 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 23 თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 44

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც გასწორებულია ი. ბ. სტალინის მიერ და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

184

დეკეშა ჩრდილოეთის ოლქის კომუნების საბჭოს

მიღებული ცნობებით, წინააღმდეგ 21 ნოემბრის დეკრეტისა[251], კოოპერატივების ნაციონალიზაციას ახდენენ, მათ ხურავენ, მათი საქონლის რეკვიზიციას ახდენენ და ხელს არ უწყობენ მათი კანონიერი მოქმედების აღდგენას. ყველა, ვინც იწვევს მომარაგების საქმის მოშლას, ამით არღვევს საბჭოთა რესპუბლიკის ზურგის ორგანიზაციას. ამით წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ 21 ნოემბრის დეკრეტის დარღვევის და მისთვის გვერდის ავლის ცდები, აღადგინოთ დახურული და ნაციონალიზებული კოოპერატივები, დაუბრუნოთ მათ საქონელი, აუცილებლად შეიტანოთ კოოპერატივები განაწილების ქსელში, საბჭოთა დუქნების თანაბრად. საჭიროა ყოველმხრივ გამოიყენოთ კოოპერაციული აპარატი დამზადებისა და განაწილების საქმეში, ჩააბათ კოოპერაციის წარმომადგენლები სასურსათო ორგანოების კოოპერაციულ კომისიებში. დეკრეტის დარღვევა და მისთვის გვერდის ავლა დაისჯება. აუწყეთ ეს დეპეშა ცნობად და შესასრულებლად ჩრდილოეთის ოლქის ყველა აღმასკომს და სასურსათო ორგანოებს. გამოაქვეყნეთ ადგილობრივ ორგანოებში.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ულიანოვი (ლენინი)

დაიბეჭდა 1918 წ. 27 დეკემბერს
გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდაში» № 285

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

1919 წ.

185

დეკეშა
რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს

ს ა ს წ რ ა ფ ო

კურსკი ადგილსამყოფელის მიხედვით
რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს
თავმჯდომარეს ტროცკის

კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის № 4873 ოპერატიული ცნობიდან ჩანს, რომ კრასნოველებმა დაიკავეს რაიგოროდი ვოლგის ნაპირზე სარეპტის სამხრეთით და ემუქრებიან, ჯერ-ერთი, ჩვენს სამხედრო ტვირთებს, რომლებიც ვლადიმიროვკიდან ცარიცინში მიდის, მეორე. ასტრახან-სარატოვის ხაზის მთლიანობას. გთხოვთ მიიღოთ ზომები. იმავე ოპერატიული ცნობიდან ჩანს, რომ ინგლისის ფლოტმა, ოთხი გემის შემადგენლობით, სროლა აუტეხა სტაროტერეჩნაიას, ასტრახანის სამხრეთით, ცეცხლი წაუკიდა ჩვენს ორ კარჭაპს და დაუზიანებლად წავიდა ზღვაში, თან ხელში ჩაიგდო ჩვენი საჰოსპიტლო გემი «ალესკერი» სამედიცინო პერსონალით. სად არის ჩვენი ფლოტი და რას აკეთებს?

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 2 თუ 3 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1937 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ორიგინალის
მიხედვით, რომელიც დაწერილია
ი. ბ. სტალინის მიერ
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

186

დეკეშა
სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

სოკოლნიკოვს

მე მეტად შეშფოთებული ვარ დონეცის აუზისა და როსტოვის წინააღმდეგ ოპერაციების დაყოვნებით. დაჩქარება აუცილებელია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სერიოზული ძალებით. შეიმუშავეთ პრაქტიკული დირექტივები ამ მიზნით, და ჩვენ მათ გავატარებთ ცენტრალურ კომიტეტში უკრაინელებისათვის, აგრეთვე ჩვენებისათვის. უკიდურესი უმსგავსობაა, რომ კაზაკების აჯანყების ჩაქრობა გაჭიანურდა[252]. გვიპასუხეთ დაწვრილებით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 20 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

187

დეპეშა
უკრაინის ფრონტის სარდალს

კიევი ანტონოვს,

პირები პოდვოისკის და რაკოვსკის

სოკოლნიკოვი ტელეგრაფით მატყობინებს, რომ დენიკინმა დონეცის აუზში ჩინებულად გამოიყენა შესვენება, გამაგრდა და შეკრიბა ჩვენსაზე უფრო დასვენებული ძალები. საფრთხე უდიდესია. უკრაინა მოვალეა ცნოს დონეცის აუზის ფრონტი უკრაინის უთუოდ ყველაზე მნიშვნელოვან ფრონტად და რადაც უნდა დაჯდეს დაუყოვნებლივ შეასრულოს მთავარსარდლის დავალება — მიაწოდოს სოლიდური დამხმარე ძალა დონეცის აუზ — მარიუპოლის უბანზე. პოდვოისკის მასალებიდან მე ვხედავ, რომ სამხედრო ქონება უკრაინაში. ოდესაც რომ არ ვიანგარიშოთ, უამრავია; კი არ უნდა ვაგროვოთ იგი, არამედ ახლავე ჩამოვაყალიბოთ დონეცის მუშების რაზმებიც და ახალი ნაწილებიც ტაგანროგისა და როსტოვის ასაღებად. მოახდინეთ თუ არა ყველა ოფიცრის მობილიზაცია უკრაინაში? რადაც უნდა დაჯდეს სწრაფად და მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ ძალები დენიკინის წინააღმდეგ. გვიდეპეშეთ დაწვრილებით და აიძულეთ თქვენი შიფრერები უფრო წესიერად შიფრონ, რომ ყველაფრის გაგება შეიძლებოდეს.

ლენინი

22. IV. 1919.

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

188

დეპეშა
ასტრახანის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

24. IV. 1919 წ.

სამხედრო
რიგს გარეშე

ასტრახანი
მეხანოშინს

მეტად უცნაურია, რომ თქვენ გზავნით მხოლოდ ბაქია დეპეშებს მომავალ გამარჯვებათა შესახებ. დაუყოვნებლივ განიხილეთ:

პირველი — ხომ არ შეიძლება დაჩქარდეს პეტროვსკის აღება გროზნოდან ნავთის გამოსატანად;

მეორე — ხომ არ შეიძლება დაიპყროთ ურალის შესართავი და გურიევი იქიდან ნავთის წამოსაღებად, ნავთი საშინლად გვიჭირს.

მთელი ღონისძიებანი წარმართეთ ნავთის უსწრაფესად მიღებისაკენ და გვიდეპეშეთ დაწვრილებით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

189

დეპეშა
უკრაინის საბჭოთა მთავრობას

კიევი

რადაც უნდა დაჯდეს, მთელი ძალ-ღონით და რაც შეიძლება მალე უნდა დაგვეხმაროთ კაზაკების საბოლოოდ დამარცხებასა და როსტოვის აღებაში, თუნდაც იმის ფასად. რომ უკრაინაში დასავლეთით ძალები დროებით შეასუსტოთ. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა მოგველის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 24 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

190

დეპეშა
დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალს
და რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

სერპუხოვი მთავარსარდალს

დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ საბჭოს

მას შემდეგ, რაც ვილნო დავკარგეთ, ანტანტა კიდევ უფრო გათავხედდა. აუცილებლად საჭიროა განავითაროთ მაქსიმალური სისწრაფე იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში დაიბრუნოთ ვილნო, რათა შესაძლებლობა არ მისცეთ თეთრებს მოიკრიბონ ძალები და გამაგრდნენ. დააჩქარეთ გზაში მყოფი მაშველი ძალების მოძრაობა და იმოქმედეთ უფრო ენერგიულად. საველე შტაბმა ყოველმხრივ გააძლიეროს სიფხიზლე ოპერაციაში ამ მიმართულებით.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 24 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

191

დეპეშა
უკრაინის ფრონტის სარდალს

კიევი ანტონოვს
პირი რაკოვსკის, პოდვოისკის, კამენევს

მივიღე დაშიფრული დეპეშა, აგრეთვე თქვენი პროექტი სამხრეთის ფრონტის და უკრაინის ფრონტის გაყოფისა. პირველისათვის გმადლობთ, მეორის გამო გაგინებთ როგორც დამოუკიდებლობანას თამაშისათვის. აუცილებლად ახლავე და რადაც უნდა დაჯდეს გადაიყვანეთ უკრაინის ჯარები ტაგანროგის ასაღებად. გვიდეპეშეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 25 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

192

«პრავდის» რედაქციას

დაბეჭდეთ ეს **საფუძვლიანი** და დინჯი გარჩევით, **დაამტკიცეთ დეტალურად,** რომ ესერების **ასეთი** მერყეობა კულაკისაკენ და რუსეთისაგან გამოყოფისაკენ, ე. ი. ძალების **დაქუცმაცებისაკენ,** კოლჩაკისა და დენიკინის წინაშე, **ობიექტურად** წარმოადგენს **დახმარებას** ბურჟუაზიისა და კოლჩაკისადმი [253].

25. IV.

ლენინი

დაწერილია 1919 წ. 25 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

193

უკრაინის მე-2 საბჭოთა არმიის შტაბს და ყველა ამხანაგს ამ არმიაში

2. V. 1919 წ.

უღრმეს მადლობას ვუძღვნი უკრაინის მეორე საბჭოთა არმიაში მებრძოლ ამხანაგებს საჩუქრად გამოგზავნილი ტანკისათვის [254].

ეს საჩუქარი ძვირფასია ყველა ჩვენგანისათვის, ძვირფასია რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის, როგორც უკრაინელი ძმების გმირობის დამამტკიცებელი საბუთი, ძვირფასია აგრეთვე იმიტომ, რომ მოწმობს თითქოს ესოდენ ძლიერი ანტანტის სრულ კრახს.

მხურვალედ მივესალმები და გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას უკრაინის მუშებსა და გლეხებს და უკრაინის წითელ არმიას.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

194

დეპეშა
უკრაინის საბჭოთა მთავრობას

5. V. 1919 წ.

კიევი რაკოვსკის
ანტონოვს, პოდვოისკის

თქვენგან დღემდე არ არის არც ერთი ზუსტი, ფაქტიური პასუხი, რა ნაწილები გაიგზავნა დონეცის აუზში, რამდენი თოფი, ხმალი, ზარბაზანი, რა სადგურებზე არიან მოწინავე ეშელონები. ლუგანსკის აღება ამტკიცებს, რომ მართალი არიან ისინი, ვინც თქვენ ბრალს გდებს დამოუკიდებლობანაში და რუმინეთისაკენ მისწრაფებაში. შეიგნეთ, რომ თქვენ იქნებით დამნაშავე კატასტროფაში, თუ დააგვიანეთ სერიოზული დახმარება დონეცის აუზისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

გთხოვთ დამიბრუნოთ აღნიშვნით: შიფრით გაიგზავნა — საათსა და — წუთზე.

ს ა ხ წ რ ა ფ ო.

5. V. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

195

დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

6. V. 1919 წ.

კოზლოვი

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
სოკოლნიკოვს და კოლეგაევს

აჯანყების ჩაქრობის დაყოვნება პირდაპირ აღმაშფოთებელია. დღეს ვნახე ცნობა, რომ ჩაქრობა წინ ვერ მიდის. აუცილებლად საჭიროა მიიღოთ უაღრესად ენერგიული ზომები და ძირიანად აღმოფხვრათ ზოზინი. ხომ არ გამოვგზავნოთ კიდევ ჩეკისტთა დამატებითი ძალები? გვიდეპეშეთ დაწვრილებით. აჯანყების ჩაქრობის გაჭიანურება შეუწყნარებელია.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

196

დეპეშა V არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

12. V. 1919 წ.

თავდებობთ თუ არა, რომ გაზვიადებული არ არის ცნობები, რომლებსაც თქვენ მოგაწერენ, იმის შესახებ, რომ კოლჩაკელებში გახრწნილებაა და რომ ისინი მასობრივად გადმოდიან ჩვენს მხარეზე? თუ ასეა, რა ზომებია მიღებული, ჯერ-ერთი, შეტევის დასაჩქარებლად და გამარჯვების განსამტკიცებლად, მეორე, იმისათვის, რომ როგორც აღმოსავლეთის, ისე სამხრეთის ფრონტის ყველა ნაწილში გაგზავნოთ კოლჩაკისაგან გამოქცეულნი, რომლებმაც მისი მხეცობა გამოცადეს და უნარი შესწევთ ასწიონ ჩვენი არმიის სულისკვეთება?

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

197

დეპეშა
პეტროგრადის თავდაცვის კომიტეტს

თავდაცვის კომიტეტი ზინოვიევს პეტროგრადი

პეტროგრადში საქმის ვითარების გამორკვევის მიზნით, თავდაცვის საბჭო წინადადებას გაძლევთ მოგვცეთ ამომწურავი პასუხი: რა მოსაზრებით გადაწყვიტეთ მოგეხდინათ პეტროგრადის ზოგიერთი ქარხნისა და მიდამოების ევაკუაცია, ვინ და რატომ გასცა განკარგულება გემების ჩაძირვის შესახებ, მობილიზებული და ქარხნებში დარჩენილი მუშების საერთო რიცხვი, ნამდვილად გამოყენებული არიან თუ არა თავდაცვის საჭიროებისათვის ყველა მობილიზებულნი, რით არის გამოწვეული კომისრების დანიშვნა სახელმწიფო ქარხნებში, ხელაღებით წარმოებდა მოქალაქეთა გაწვევა თუ ცენტრალური ხელისუფლების დადგენილების დაცვით. თავდაცვის საბჭო, ტოვებს რა ჯერჯერობით პეტროგრადში საალყო წესებს, გაუწყებთ, რომ პეტროგრადის თავდაცვის კომიტეტის ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ცენტრალური ხელისუფლებისათვის შეტყობინებით, ხოლო სათანადო შემთხვევებში — მისი თანხმობით [255].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 14 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს

იბეჭდება დეპეშის ბლანკის ტექსტის მიხედვით

198

დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ს ა ს წ რ ა ფ ო

ბოგუჩარი

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს
სოკოლნიკოვს

პეტროგრადზე შეტევა აათკეცებს საფრთხეს და იმის უკიდურეს საჭიროებას, რომ ჩააქროთ აჯანყება დაუყოვნებლივ, რადაც უნდა დაჯდეს. გვიდეპეშეთ, როგორ მიდის საქმე — დაიწყო თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მუშაობა გადამსხდარმა დივიზიამ, მოდიან თუ არა თქვენთან გამოგზავნილი ვორონეჟელი და ტამბოველი კომუნისტები, კიდევ ხომ არ არის საჭირო მაშველი ძალები და სახელდობრ როგორი — უფრო დაწვრილებით და ხშირად. გაჭიანურება უაღრესად საშიშია.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

199

დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

21. V. 1919 წ.

კოზლოვი
სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
კოლეგიას
პირი ბოგუჩარი რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს
სოკოლნიკოვს
პირი საექსპედიციო ჯარების სარდლობის შტაბი
ხვესინს და ბელობოროდოვს

ბელობოროდოვის 20 რიცხვის დეპეშით შევიტყვე აღმაშფოთებელი ამბები, თითქოს ნაწილებისადმი ბრძანებანი რამდენიმე დღის შემდეგ აღწევს, ხოლო ჯავშნიან მანქანებს საწვავი არა აქვს. ვაწესრიგებ აქ, მოაწესრიგეთ მანდ. ტამბოვის სამხედრო კომისარი ტელეგრაფით იტყობინება, რომ გამოგიგზავნათ 669 კომუნისტი ბოგუჩარსა და უსტმედვედიცკაიაში. გაკვირვებული ვარ, რომ მაშინ, როცა გყავთ ისინი პლუს 2 000 კურსანტი, პლუს დივიზია, თქვენ აყოვნებთ გადამწყვეტ მოქმედებას აჯანყების ჩასაქრობად, რაც აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ. გვიდეპეშეთ უფრო დაწვრილებით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

200

დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს

26. V. 1919 წ.

ვიმეორებ ჩემს თხოვნას კვირაში ორჯერ მიდეპეშოთ დონეცის აუზისათვის გაწეული ფაქტიური დახმარების შესახებ. დაუინებით მოვითხოვ შეასრულოთ ეს თხოვნა. ხელიდან არ გაუშვათ გრიგორიევზე გამარჯვების მომენტი, არ გაუშვათ არც ერთი ჯარისკაცი იმათგან, რომელნიც გრიგორიევის წინააღმდეგ იბრძვიან [256]. დეკრეტით დააწესეთ და ცხოვრებაში გაატარეთ მოსახლეობის სრული განიარაღება, ულმობლად დახვრიტეთ ადგილზევე თვითეული დამალული შაშხანისათვის. მომენტის მთელი არსია: სწრაფი გამარჯვება დონეცის აუზში, ყველა შაშხანის შეგროვება სოფლებიდან, მტკიცე არმიის შექმნა. მთელი ძალები წარმართეთ ამ ამოცანის შესასრულებლად, არ შეასუსტოთ ენერგია, მობილიზაციით გაიწვიეთ უკლებლივ ყველა მუშა. წაუკითხეთ ეს დეპეშა ყველა თვალსაჩინო ბოლშევიკს.

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია კიევში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

201

დეპეშა
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

29. V. 1919 წ.

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
გუსევს, ლაშევიჩს, იურენევს

თქვენი დაჟინებითი მოთხოვნით დანიშნულია ისევ კამენევი. თუ ჩვენ ზამთრამდე არ დავიპყარით ურალი, რევოლუციის დაღუპვა გარდუვალად მიმაჩნია. დაძაბეთ მთელი ძალ-ღონე. შტაბთან კამენევის ყოველი უთანხმოების შესახებ თავის დროზე მიდეპეშეთ შიფრით. უფრო გულდასმით ადევნეთ თვალყური მაშველ ძალებს; მობილიზაციით გაიწვიეთ მთელი ფრონტისპირა მოსახლეობა; თვალყური ადევნეთ პოლიტმუშაობას. ყოველკვირეულად შიფრით მიდეპეშეთ შედეგები. წაუკითხეთ ეს დეპეშა ყველა თვალსაჩინო კომუნისტს და პიტერელ მუშებს. შემატყობინეთ მიღება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ორენბურგის კაზაკების მობილიზაციას. თქვენ პასუხს აგიბთ იმისათვის, რომ ნაწილებში გახრწნა არ დაიწყოს და განწყობილება არ დაეცეს. ნუ ვაგიტაცებთ ოპერატიული მხარე.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

202

დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

30. V. 1919 წ.

10 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო
ეფრემოვს

დაუყოვნებლივ გამოჰყავით ჯგუფი ყველაზე პასუხისმგებელი და ყველაზე ენერგიული ცარიცინელი მუშაკებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ცარიცინის დაცვისას სტალინის მიერ დანიშნულ ღონისძიებათა გატარებაში, და დაავალეთ მათ ყველა ამ ღონისძიების გატარება ასეთივე ენერგიით. პასუხისმგებელთა სახელები გვიდეპეშეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ცარიცინში
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

203

დეპეშა
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ყოველგვარ რიგს გარეშე. კომისარმა თვალყური ადევნოს გაგზავნას.

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ძლიერი გაუარესება პიტერთან და გარღვევა სამხრეთში გვაიძულებს კვლავ და კვლავ წავიყვანოთ ჯარები თქვენი ფრონტიდან. სხვანაირად არ შეიძლება. უნდა გადახვიდეთ უფრო რევოლუციურ სამხედრო მუშაობაზე, დაარღვიოთ ჩვეული წესები. მობილიზაციით გაიწვიეთ ფრონტისპირა ზოლში უკლებლივ ყველანი 18-დან 45 წლამდე, ამოცანად დაუსახეთ მათ უახლოესი დიდი ქარხნების აღება, როგორიც არის მოტოვილიხა, მინიარი, და აღუთქვით, . რომ გაუშვებთ, როცა მათ აიღებენ. დააყენეთ ორ-ორი და სამ-სამი კაცი თითო შაშხანაზე, მოუწოდეთ განდევნონ კოლჩაკი ურალიდან, მობილიზაციით გაიწვიეთ პარტიისა და პროფკავშირების წევრთა 75 პროცენტი. სხვა გამოსავალი არ არის, საჭიროა გადახვიდეთ რევოლუციურად მუშაობაზე. განიხილეთ ნაწილობრივ კამენევთან ერთად როგორ გაატაროთ ეს და გვიპასუხეთ, რა ნაბიჯს დგამთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 9 ივნისს
გაგზავნილია სიმბირსკში
პირველად დაიბეჭდა 1937 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის
მიხედვით

204

Ე. სკლიანსკის

ამხ. სკლიანსკი!

1) აუცილებლად საჭიროა ახლავე დანიშნოთ (და ბოლომდე მიიყვანოთ) გამოძიება, **ვინ** შეგიყვანათ შეცდომაში და შ ე ა მ ც ი რ ა გაჭირვება. ეს ხომ ღ ა ლ ა ტ ი ა.

2) საჭიროა მიიღოთ ყ ვ ე ლ ა ზომა და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ა დ ე ვ ნ ო თ თ ვ ა ლ ყ უ რ ი ალმოსავლეთის ფრონტიდან 6 პოლკის გადაყვანის სისწრაფეს.

ხომ ნამდვილად თ ქ ვ ე ნ, ა მ ხ. ს კ ლ ი ა ნ ს კ ი, ა ღ მ ო ჩ ნ დ ი თ დ ა მ ნ ა შ ა ვ ე გ ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ა შ ი[257]!!

მიპასუხეთ, **სახელდობრ რა გააკეთეთ** ორივე პუნქტის მიხედვით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 10 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

205

დეპეშა
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

დივიზიის წამოყვანა გვიხდება ცუდი და თითქმის კატასტროფული მდგომარეობის გამო პიტერთან და სამხრეთში. რას იზამ. იმედი გვექნება, რომ უფის აღების გამო მეხუთე არმია შეძლებს მოგვცეს დივიზია ბელაიას დაუთმობლად, და რომ თუ გავაათკეცებთ პარტიულ ენერგიას, ჩვენ თქვენთან ერთად დავძლევთ იმ ამოცანას, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა დამარცხებამდე არ მივიყვანოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 11 ივნისს
გაგზავნილია სიმბირსკში

პირველად დაიბეჭდა 1938 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 53

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

206

დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

14. VI. 1919 წ.

ცარიცინი

10 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ცარიცინის შენარჩუნება აუცილებელია, მას არა ერთხელ გაუძლია ალყისათვის. დაძაბეთ მთელი ძალ-ღონე, გვაცნობეთ უფრო დაწვრილებით, უფრო ხშირად, ჩვენ ზომებს ვიღებთ. დააჩქარეთ ზედმეტ ფასეულობათა გამოზიდვა. მობილიზაციით გაიწვიეთ მთელი მოსახლეობა. არ შეასუსტოთ პოლიტ-მუშაობა. იზრუნეთ ჩვენთან კავშირისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 53

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

207

დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს[258]

14. VI. 1919 წ.

კოზლოვი

სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

იღებთ თუ არა ყველა ზომას ცარიცინის დასახმარებლად? იქიდან თხოულობენ 15 000 ქვეითს ჯარს და 4 000 ცხენოსანს. ცარიცინის შენარჩუნება აუცილებლად საჭიროა. გვაცნობეთ, რა გაკეთდა და რა კეთდება.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

208

დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

16. VI. 1919 წ.

ყოველგვარ რიგს გარეშე
სამარა და ადგილსამყოფელის მიხედვით
სამხრეთის ჯგუფის შტაბი
სამხრეთის ჯგუფის სარდალს ფრუნზე-მიხაილოვს

გთხოვთ გადასცეთ ურალსკელ ამხანაგებს ჩემი მხურვალე სალამი ალყაშემორტყმული ურალსკის ორმოცდაათი დღის თავდაცვის გმირებისადმი, სთხოვოთ სულით არ დაეცნენ, გაძლონ კიდევ რამდენიმე კვირა. ურალსკის დაცვის გმირული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება [259].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

209

დეპეშა
ფრონტისპირა რაიონების აღმასკომებს

16. VI. 1919 წ.

ვორონეჟი საგუბერნიო აღმასკომს
ნოვოხოპიორსკი ვორონეჟის გუბერნია სამაზრო აღმასკომს
ბორისოგლებსკი ტამბოვის გუბერნია სამაზრო აღმასკომს
ბალაშოვი სარატოვის გუბერნია სამაზრო აღმასკომს
ატკარსკი სარატოვის გუბერნია სამაზრო აღმასკომს
კამიშინი სარატოვის გუბერნია სამაზრო აღმასკომს
ტამბოვი საგუბერნიო აღმასკომს
სარატოვი საგუბერნიო აღმასკომს

დაუყოვნებლივ მიიღეთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ იძულებით გაიგზავნოს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და საზიდრები პოზიციების გამაგრების სამუშაოებზე, რომლებსაც სამხედრო-საველე მშენებლობანი აწარმოებენ. ყოველ უბანზე დაინიშნოს აღმასკომის თითო წევრი, რომელიც პირადად აგებს პასუხს განრიგების შესრულებისათვის. სასწრაფოდ სამხედრო პასუხისმგებლობით გვიდეპეშეთ შესრულების შესახებ. დაასახელეთ აღმასკომის ყველა პასუხისმგებელი წევრი. საგუბერნიო აღმასკომები პასუხს აგებენ დაუყოვნებლივ შესრულებისათვის.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

210

დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

18. VI. 1919 წ.

ცარიცინი
10 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს
საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს
პირი კოზლოვი
სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

სიხარულით ვადევნებდი თვალყურს მეათე არმიისა და ცარიცინის პროლეტარიატის გმირობას ცარიცინის დაცვაში. დარწმუნებული ვარ, რომ წითელი ცარიცინი, რომელმაც გაუძლო მრავალი თვის ალყას ზამთარში, ახლაც აიტანს ყველა განსაცდელს. სალამი წითელი ცარიცინის დამცველებს! დაპირებული მაშველი ძალები მოდიან.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1919 წ. 25 ივნისს
«კომმუნისტში» (ასტრახანი) № 136

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

211

დეპეშა
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

20. VI. 1919 წ.

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოლაშევიჩს, იურენევს

არის მითითებანი, პირველი იმაზე, რომ აღმოსავლეთის ფრონტის არმიებში ძალიან შემცირდა რიცხვი პოლიტმუშაკებისა, რომლებიც ადგილობრივ საბჭოთა სამუშაოზე მიდიან მტრისაგან განთავისუფლებულ ადგილებში; მეორე — ზოგიერთი დივიზიის დაღლილობაზე. ამას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. აბსოლუტურად აუკრძალეთ პოლიტმუშაკებს და ყველას, ვინც უნდა იყოს, არმიიდან წასვლა ურალის აღებამდე და მათს შეცვლამდე ურალის მუშათა ორმაგი რაოდენობით, შემდეგ კი, რადაც უნდა დაჯდეს, მ ი ა ღ წ ი ე თ ფრონტისპირა ზოლის საყოველთაო მობილიზაციას და დაღლილთა შეცვლას, თუნდაც დროებითი დასვენებისათვის, ახალი ძალებით, ვინაიდან ურალზე შ ე ტ ე ვ ა არ შეიძლება შევასუსტოთ, იგი უთუოდ უნდა გავაძლიეროთ, დავაჩქაროთ, განვამტკიცოთ მაშველი ძალებით. გ ვ ი დ ე პ ე შ ე თ, რ ა ზ ო მ ე ბ ს ი ღ ე ბ თ. ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა მ ი ა ქ ც ი ე თ აჯანყებას სამარასთან და ირგიზზე [260]. საეჭვოა თქვენი დუმილი ამაზე.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

212

დეპეშა
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

1. VII. 1919 წ.

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
პირი 3 არმიის შტაბს

მივულოცავ გმირ წითელ ჯარებს, რომლებმაც აიღეს პერმი და კუნგური. მხურვალე სალამი ურალის განმათავისუფლებლებს. რადაც უნდა დაჯდეს, სწრაფად უნდა მივიყვანოთ ეს საქმე სრულ დამთავრებამდე. უკიდურესად საჭიროა დაუყოვნებლივ და უკლებლივ გაიწვიოთ მობილიზაციით ურალის განთავისუფლებული ქარხნების მუშები. უნდა გამოინახოს ახალი რევოლუციური ხერხები იმისათვის, რომ ეს მუშები ახლავე ჩაბმულ იქნენ ჯარებში დაღლილთა დასასვენებლად და სამხრეთში გასაშვებად. დეპეშის პირველი ნაწილი აცნობეთ პოლკებს.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

213

დეპეშა IV არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, სარატოვის საგუბერნიო აღმასკომს და პარტიის საგუბერნიო კომიტეტს

2. VII. 1919 წ.

სარატოვი

4 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს კურაევს
საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს ზენკოვიჩს
საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარეს პლაკსინს

მთელი ყურადღება გარნიზონის წმენდას და ზურგის გამაგრებას. ულმობლად აღმოფხვერით თეთრგვარდიელობა ქალაქში და სოფლად. პირადად შეამოწმეთ პოლიტმუშაობა და ორგანიზაცია გარნიზონში. ყველანი სამხედრო სამუშაოზე აიძულეთ ყველანი გამხნევდნენ და დისციპლინიანი გახდნენ. შედეგები გვიდეპეშეთ. განსაკუთრებით ვაამაგრეთ რტიშჩევო.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

214

დეპეშა სარატოვის საგუბერნიო ალმასკომს

8. VII. 1919 წ.

სარატოვი

გვიდეპეშეთ უფრო ზუსტად, თუ საჭიროა შიფრით, რა პრაქტიკულ წარმატებებს მიაღწიეთ, არის თუ არა გარდატეხა გარნიზონში. საჭიროა განსაკუთრებული რაზმებით შემოიაროთ და დაამუშაოთ ფრონტისპირა ზოლის თვითეული ვოლოსტი, დარაზმოთ ღარიბი გლეხობა, განდევნოთ კულაკები, აიყვანოთ მათგან მძევლები, ჩაახშოთ მწვანეები, დააბრუნოთ დეზერტირები. განსაკუთრებული ყურადღება ატკარსკის მაზრას და რტიშჩევოს. ველი დაწვრილებითს ფაქტიურ პასუხს.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

215

დეპეშა
ტულის მელითონეთა ყრილობას

ტულა: მელითონეთა ყრილობის პრეზიდიუმი

სულით და გულით მივესალმები ტულის მელითონეთა ყრილობის გადაწყვეტილებას გააათკეცონ იარაღის გამომუშავება და სხვა. გთხოვთ მაცნობოთ ყოველთვიურად, ფოსტით ან შემთხვევა რომ მოგეცემათ, სახელდობრ რა ფაქტიურ წარმატებებს აღწევთ ყველა თქვენი გადაწყვეტილების მიხედვით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 53

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

216

დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

17. VII. 1919 წ.

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

მოგილოცავთ გამარჯვებებს [261].

საჭიროა მიიღოთ განსაკუთრებული ზომები: პირველი, იმისათვის, რომ იარაღი არ დაიტაცონ ურალელმა მუშებმა, რომ მათში არ განვითარდეს დამღუპველი პარტიზანულობა; მეორე, იმისათვის, რომ ციმბირის პარტიზანულობამ არ გახრშნას ჩვენი ჯარები.

გვიდეპეშეთ თქვენი აზრი, აგრეთვე გვაცნობეთ, **შეხმატკბილებულად მუშაობა შეიძლება თუ არა ფრონტის ახალ სარდალთან** [262] და უფრო დაწვრილებით ბაშკირთა საქმეებზე.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

217

ა. მ. გორკის

18. VII. 1919 წ.

ძვირფასო ა. მ.!

ჩამოდით დასასვენებლად აქ — მე ორი დღით ხშირად მივდივარ სოფელში, სადაც ჩინებულად შემიძლია მოგაწყოთ მოკლე ხნითაც და უფრო ხანგრძლივადაც.

ჩამოდით, გთხოვთ!

მიდეპეშეთ, რ ო დ ი ს; კუპეს მოგიწყობთ, რომ შეუწუხებლად იმგზავროთ. ცოტა ჰაერის გამოცვლა, ღმერთმანი, გჭირდებათ. ველი პასუხს [263]

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1928 წლის 29 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 75

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

218

ა. მ. გორკის

31. VII. 1919.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! რაც უფრო დაკვირვებით ვკითხულობ თქვენს წერილს, რაც უფრო ვფიქრობ მისი დასკვნების კავშირზე მის შინაარსთან (და ჩვენი შეხვედრების დროს თქვენ მიერ ნაამბობთან), მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს წერილიც, თქვენი დასკვნებიც და მთელი თქვენი შთაბეჭდილებებიც მთლად ავადმყოფურია.

პიტერი ერთ-ერთი ყველაზე ავადმყოფური პუნქტია ამ ბოლო დროს. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან მისმა მოსახლეობამ ყველაზე მეტი გადაიტანა, მუშებმა ყველაზე მეტი საუკეთესო თავიანთი ძალები გაიღეს, აუტანელი შიმშილობაა, სამხედრო საფრთხეც. თქვენი ნერვები აშკარაა ველარ უძლებს. ეს გასაკვირველი არ არის. თქვენ კი ჯიუტობთ, როცა გეუბნებიან, რომ ადგილი უნდა გამოიცვალოთ, ვინაიდან სრულებითაც გონივრული არ არის ისე აიწეწოთ ნერვები, რომ თავი დაიავადმყოფოთ, უბრალო ანგარიშის თვალსაზრისითაც კი არ არის გონივრული, სხვა თვალსაზრისზე რომ აღარა ვთქვათ რა.

ისევე როგორც თქვენი საუბრები, თქვენი წერილიც შეიცავს იმ ავადმყოფურ შთაბეჭდილებათა ერთობლიობას, რომლებსაც თქვენ ავადმყოფურ დასკვნებამდე მიჰყავხართ.

თქვენ იწყებთ დიზენტერიითა და ხოლერით; და ერთბაშად ჩანს რაღაც ავადმყოფური გაბოროტება: «ძმობა, თანასწორობა». შეუგნებლად, მაგრამ რაღაც ისე გამოგიდით, რომ

კომუნიზმს მიუძღვის ბრალი ალყაშემორტყმული ქალაქის გაჭირვებაში, სიღატაკესა და ავადმყოფობებში!!

შემდეგ, ჩემთვის გაუგებარი რაღაც გაბოროტებული ოხუნჯობა «უწმაწური» (როგორი? რატომ კალინინთან დაკავშირებული?) ლიტერატურის წინააღმდეგ. და დასკვნა, თითქოს «გონიერ მუშათა უბადრუკი ნაშთები» ამბობენ, რომ ისინი «ტყვედ ჩაუგდეს» «გლეხს».

ეს არაფერს არა ჰგავს. როგორ, კალინინს ხომ არა სდებთ ბრალს, რომ მუშები გლეხს ჩაუგდო ტყვედ? ასე გამოდის.

ამას გამოიგონებდნენ ან მთლად უმეცარი, სულელი მუშები, რომელთაც თავის მაგივრობას «მემარცხენე» ფრაზა უწევთ, ან ნერვებაშლილნი, დატანჯულნი, მშიერნი, ავადმყოფნი, ან «არისტოკრატიის ნაშთები», რომელთაც საუცხოოდ ეხერხებათ დაამახინჯონ ყოველივე და ყველაფერი, საუცხოოდ ებღაუჭებიან ყოველ წვრილმანს, რათა გადმოანთხიონ თავიანთი ცოფიანი გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ნაშთებს თქვენ კიდეც იხსენიებთ იქვე წერილში. მათი განწყობილება თქვენზე ავადმყოფურად მოქმედებს.

თქვენ იწერებით, რომ «სულ სხვადასხვა ფენის ადამიანებს» ხედავთ. ერთია ხედავდე და სულ სხვაა ყოველდღე მთელ ცხოვრებაში გრძნობდე შეხებას. ამ უკანასკნელის განცდა თქვენ უფრო მეტად გიხდებათ ამ «ნაშთებისაგან» — თუნდაც თქვენი პროფესიის გამო, რომელიც გაიძულებთ ათობით «მიიღოთ» გაბოროტებული ბურჟუაზიული ინტელიგენტები, და ცხოვრების ვითარების გამოც.

თითქოს «ნაშთები» «საბჭოთა ხელისუფლების მიმართ რაღაც სიმპათიის მსგავსს გრძნობენ», «მუშების უმრავლესობა» კი იძლევა ქურდებს, მიტმასნილ «კომუნისტებს» და სხვ.! და თქვენ იმ «დასკვნამდე» მიდიხართ, რომ რევოლუციის მოხდენა არ შეიძლება ქურდების დახმარებით, არ შეიძლება უინტელიგენციოდ.

ეს თავიდან ბოლომდე ავადმყოფური ფსიქიკაა, გაბოროტებულ ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ვითარებაში გამწვავებული.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ინტელიგენცია (არათერგვარდიული) მოვიზიდოთ ქურდების წინააღმდეგ საბრძოლველად. და ყოველთვეს საბჭოთა რესპუბლიკაში მატულობს % ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც კი არ ბუზღუნებენ და ცოფს კი არა ყრიან, არამედ გულწრფელად ეხმარებიან მუშებსა და გლეხებს. პიტერში ამის «დანახვა» არ შეიძლება, ვინაიდან პიტერი ის ქალაქია, სადაც განსაკუთრებით ბევრია ადგილდაკარგული (და თავგზააბნეული) ბურჟუაზიული საზოგადოება (და «ინტელიგენცია»), მაგრამ მთელი რუსეთისათვის ეს უდავო ფაქტია.

პიტერში ან პიტერიდან ამაში დარწმუნება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ განსაკუთრებით სრული პოლიტიკური ცოდნა მოგეპოვება, თუ სპეციალურად დიდი პოლიტიკური გამოცდილება გაქვს. ეს თქვენ არა გაქვთ. და თქვენ პოლიტიკას კი არ ეწევით და პოლიტიკური მშენებლობის მუშაობას კი არ აკვირდებით, არამედ მისდევთ განსაკუთრებულ პროფესიას, რაც თქვენ გარს გახვევთ გაბოროტებულ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელსაც ვერაფერი ვერ გაუგია, არაფერი არ დავიწყებია, ვერაფერი ვერ უსწავლია, ხოლო უკეთეს — იშვიათ საუკეთესო შემთხვევაში — დაბნეულია, სასოწარკვეთილია, კვნესის, იმეორებს ძველ ცრურწმენებს, დაშინებულია და თვითონაც იშინებს თავს.

თუ დაკვირვებაა, უნდა აკვირდებოდე ქვემოთ, სადაც შეიძლება დაინახო მუშაობა ცხოვრების ახალი წყობის შესაქმნელად, პროვინციის მუშათა დაბაში ან სოფლად, — იქ საჭირო არ არის პოლიტიკურად მოიცავდე ურთულეს მონაცემთა ერთობლიობას, იქ შეიძლება მხოლოდ აკვირდებოდე. ნაცვლად ამისა თქვენ თავი ჩაიყენეთ თარგმანებისა და სხვა ამგვართა პროფესიონალი რედაქტორის მდგომარეობაში,

ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც არ შეიძლება დააკვირდე ახალი ცხოვრების ახალ შენებას, ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მთელი ძალები იხარჯება ავადმყოფი ინტელიგენციის ავადმყოფურ ბუზღუნზე, იმაზე, რომ «ყოფილ» დედაქალაქს აკვირდებოდე ომით გამოწვეული უდიდესი საფრთხისა და საშინელი გაჭირვების პირობებში.

თქვენ თავი ჩაიყენეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ **არ შეგიძლიათ** უშუალოდ შეამჩნიოთ ის ახალი რამ, რაც მუშებისა და გლეხების, ე. ი. რუსეთის მოსახლეობის $^{9}/_{10}$-ის ცხოვრებაში ხდება; ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული ხართ ხედავდეთ ცხოვრების ნაგლეჯებს ყოფილ დედაქალაქში, საიდანაც მუშების საუკეთესო ნაწილი ფრონტებზე და სოფელში წავიდა და სადაც დარჩა არაპროპორციულად ბევრი უადგილო და უმუშევარი ინტელიგენცია, რომელიც სპეციალურად «გარს გესევათ». წასვლის რჩევას თქვენ დაჟინებით უარყოფთ.

გასაგებია, რომ თავი ავადმყოფობამდე მიიყვანეთ: იწერებით, რომ სიცოცხლე არა მარტო გიჭირთ, არამედ კიდევაც «ფრიად მოგბეზრდათ»!!! აბა რა იქნება! ასეთ დროს თავი მიაჯაჭვო ყველაზე ავადმყოფურ პუნქტს თარგმნილი ლიტერატურის რედაქტორად (აი ყველაზე შესაფერი საქმე ადამიანებზე დაკვირვებისათვის, მხატვრისათვის!). ვერაფერს, რაც კი ახალია არმიაში, რაც კი ახალია სოფლად, რაც კი ახალია ფაბრიკაში, თქვენ აქ, როგორც მხატვარი, ვერ შეამჩნევთ და ვერ შეისწავლით. თქვენ თქვენს თავს წაართვით შესაძლებლობა აკეთოთ ის, რაც დაკმაყოფილებდა მხატვარს, — პიტერში შეიძლება პოლიტიკოსი მუშაობდეს, მაგრამ თქვენ პოლიტიკოსი არა ხართ. დღეს ტყუილ-უბრალოდ ჩამტვრეული მინები. ხვალ — სროლა და ყვირილი საპყრობილიდან, მერმე პიტერში დარჩენილ არამუშათაგან ყველაზე დაღლილთა სიტყვების ნაგლეჯები, შემდეგ მილიონი შთაბეჭდილება ინტელიგენციისაგან, დედაქალაქის ინტელიგენციისაგან, რომელსაც დედაქალაქი აღარა აქვს, მერმე ასობით ჩივილი განაწყენებულთაგან, რედაქტორობისაგან

თავისუფალ დროს ცხოვრების არავითარი მშენებლობის დანახვა **არ შეიძლება** (ეს მშენებლობა თავისებურად მიმდინარეობს და ყველაზე ნაკლებად პიტერში), — როგორ შეიძლება აქ ისეთ მდგომარეობამდე არ მიიყვანო თავი, რომ სიცოცხლე ფრიად მოგბეზრდეს.

ჩვენს ქვეყანაში გაშალებული ბრძოლაა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც გააფთრებით იძიებს შურს თავისი დამხობისათვის. ბუნებრივია. პირველი საბჭოთა რესპუბლიკისათვის — პირველი დარტყმები **ყოველი მხრიდან**. ბუნებრივია. აქ უნდა ცხოვრობდე ან როგორც აქტიური პოლიტიკოსი, ხოლო თუ პოლიტიკისაკენ გული არ მიგიწევს, მაშინ როგორც მხატვარი უნდა აკვირდებოდე, როგორ აშენებენ ცხოვრებას ახლებურად იქ, სადაც **არ** არის ცენტრი გააფთრებული იერიშისა დედაქალაქზე, გააფთრებული ბრძოლისა შეთქმულებებთან, დედაქალაქის ინტელიგენციის გააფთრებული ბოროტება, სოფლად ან პროვინციულ ფაბრიკაში (ან ფრონტზე). იქ ადვილია უბრალო დაკვირვებით გამოჰყო ძველის გახრწნა ახლის ყლორტებისაგან.

სიცოცხლე შეგჯავრდათ, «გიღრმავდებათ უთანხმოება» **კომუნიზმთან**. რაშია უთანხმოება, შეუძლებელია გაიგოს **კაცმა**. ოდნავ მითითებასაც არ იძლევით პოლიტიკაში ან იდეებში უთანხმოებაზე. ეს არის განსხვავება იმ ადამიანთა **განწყობილებასა**, რომელნიც პოლიტიკას ეწევიან ან გართული არიან უაღრესად გააფთრებული ბრძოლით, და იმ ადამიანის განწყობილებას შორის, რომელსაც ხელოვნურად გამოუწყვდევია თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ახალ ცხოვრებაზე დაკვირვება არ შეუძლია, მაგრამ ბურჟუაზიის უზარმაზარი დედაქალაქის ლპობის შთაბეჭდილებანი აწუხებენ.

გულახდილად გადმოგეცით ის ფიქრები, რაც თქვენი წერილის წაკითხვამ აღმიძრა. საუბრებს (თქვენთან) დიდი ხანია იმავე ფიქრებამდე მივყავდი, მაგრამ თქვენმა წერილმა ჩამოაყალიბა და დაასრულა, დაამთავრა თქვენი საუბრები-

საგან მიღებული შთაბეჭდილებანი. არ მინდა თავი მოგაბეზროთ რჩევით, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ: რადიკალურად გამოიცვალეთ გარემოებაც, წრეც, ადგილსამყოფელიც, საქმიანობაც, თორემ შეიძლება საბოლოოდ მოგბეზრდეთ სიცოცხლე.

მაგრად გართმევთ ხელს

თქვენი ლენინი

გაგზავნილია პეტროგრადში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

219

დეპეშა VII არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

7 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

მიღებულია თუ არა ყველა ღონისძიება, რომ პიტერი შეინარჩუნოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს? თქვენთვის დაპირებული მაშველი ძალების გამოგზავნას ვაჩქარებთ, მაგრამ მათ რომ მოაღწიონ, საჭიროა დრო. განახორციელეთ ძალების განსაკუთრებული დაძაბვა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 1 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

220

დეკეშა
რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გთხოვთ აცნობოთ ყველა პასუხისმგებელ მუშაკს ცენტრალური კომიტეტის დირექტივა: თავდაცვა უკანასკნელ შესაძლებლობამდე, დაცვა ოდესისა და კიევისა, მათ შორის კავშირისა და ჩვენთან ძათი კავშირისა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ეს მთელი რევოლუციის ბედის საკითხია. გახსოვდეთ, რომ ჩვენი დახმარება შორს აღარ არის.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მაგიერ ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 9 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

221

რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ამხ. სკლიანსკი! მე შეუძლოდ ვარ, იძულებული გავხდი დავწოლილიყავ.

ამიტომ **მიპასუხეთ შიკრიკის ხელით.**

ვორონეჟის მიმართულებით შეტევის დაგვიანება **(1 აგვისტოდან 10-მდე!!!)** ყოვლად შეუწყნარებელია. დენიკინის წარმატებანი ძალიან დიდია.

რაშია საქმე? სოკოლნიკოვი ამბობდა, რომ იქ (ვორონეჟთან) **ჩვენ 4-ჯერ** მეტი ძალები გვყავს.

მაშ რაშია საქმე? როგორ გამოგვეპარა ასე?

უთხარით მთავარსარდალს, რომ ასე არ შეიძლება. ყურადღება უნდა მიაქციოთ სერიოზულად.

ხომ არ გავუგზავნოთ სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ასეთი დეპეშა:

სრულიად შეუწყნარებელია შეტევის დაგვიანება, ვინაიდან ეს დაგვიანება მთელ უკრაინას დენიკინს ჩაუგდებს ხელში და ჩვენ დაგვღუპავს. თქვენ პასუხს აგებთ შეტევის გაჭიანურების ყოველი ზედმეტი დღისა და საათისთვისაც კი. ახლავე გვაცნობეთ თქვენი ახსნა-განმარტება და ვადა, როდის იწყებთ ბოლოს და ბოლოს გადამწყვეტ შეტევას.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ლენინი

დაწერილია 1919 წ. 10 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

222

რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

საიდუმლო. გადაიღეთ **2 პირი** და გაუგზავნეთ ერთი ამხ. **სკლიანსკის** ამ ბარათით:

ამხ. სკლიანსკი! აქედან ჩანს, რომ უნდათ დანაშაული სხვას გადააბრალონ. ალბათ მამონტოვის წინააღმდეგ ერთი ბრძოლისუნარიანი ნაწილიც არ არის: ეს პირდაპირ სამარცხვინოა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს სრული დაუდევრობა ან **სრული დოყლაპიობაა.**

უნდა მიიღოთ უფრო ენერგიული ზომები!

ლენინი

დამატება: რკინიგზის მუშაკები ამბობენ, რომ ჩვენს ნაწილებს მამონტოვის წინააღმდეგ ვაგონებიდან გამოსვლისა ეშინიათ.

ასეთ ნაწილებს რომ გზავნის, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო თავს იცხვენს.

დაწერილია 1919 წ. აგვისტოს ბოლოს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

223

დეპეშა ბაშკირეთის რევკომს

• უფა

ბაშკირეთის რევკომს

ახლა, როცა აღმოსავლეთში წითელი არმიის გადამწყვეტმა გამარჯვებებმა უზრუნველყო ბაშკირი ხალხის თავისუფალი განვითარება, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებას ზოგიერთი ბაშკირული ნაწილის პეტროგრადში გადაყვანის შესახებ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მტაცებელი იმპერიალისტები დაინახავენ, რომ აღმოსავლეთის გამოღვიძებული ხალხები აღდგნენ პროლეტარული რევოლუციის ცენტრების დასაცავად. ამავე დროს შეიარაღებული ბაშკირების მჭიდრო ურთიერთობა პეტროგრადის მუშებთან უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირსა და ურთიერთპატივისცემას კომუნიზმის სულისკვეთებით. გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ბაშკირეთის რესპუბლიკის რევკომი და ყველა მოწინავე ამხანაგი ბაშკირი ყოველ ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ ბაშკირული ნაწილების გადაყვანა განხორციელდეს უმოკლეს ვადაში და რკინიგზის ტრანსპორტის უმცირესი დატვირთვით. გთხოვთ გადასცეთ ძმური სალამი ბაშკირ წითელარმიელებს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 5 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

224

ს. ი. გუსევს

ამხ. გუსევ! ვაკვირდები რა სკლიანსკის წერილს (საქმის ვითარების შესახებ 15/IX-სათვის) და შედეგებს ცნობების მიხედვით, ვრწმუნდები, რომ ჩვენი რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო ცუდად მუშაობს.

გვამშვიდონ და გვამშვიდონ — ეს ცუდი ტაქტიკაა. გამოდის «სიმშვიდის თამაში».

ნამდვილად კი მოდუნება გვაქვს — თითქმის დაშლა.

ციმბირის ფრონტზე დააყენეს ვიღაც არამზადა ოლდეროგე და ქალაჩუნა პოზერნი და «დამშვიდდნენ». **პირდაპირ** სამარცხვინოა! ჩვენ კი უკვე გვირტყამენ! ჩვენ ამისათვის პასუხისმგებელს გავხდით რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, თუ მიღებულ არ იქნა **ენერგიული ზომები!** სამარცხვინოა ხელიდან გავუშვათ გამარჯვება.

მამონტოვის წინააღმდეგ მოდუნებაა. ეტყობა, დაგვიანება დაგვიანებას მოსდევს. დაიგვიანეს ჩრდილოეთიდან ვორონეჟისაკენ მიმავალმა ჯარებმა. დააგვიანეს 21-ე დივიზიის გადაყვანა სამხრეთისაკენ. დააგვიანეს ავტოტყვიამფრქვევების გაგზავნა. დააგვიანეს კავშირის დამყარება. მარტო მთავარსარდალი ჩავიდა **ორიოლში** თუ **თქვენთან ერთად, — საქმე** არ გაგიკეთებიათ. სელივაჩოვთან კავშირი არ დაგიმყარებიათ, მისდამი ზედამხედველობა არ დაგიწესებიათ, ცენტრალური კომიტეტის დ ი დ ი ხ ნ ი ს წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი და **პირდაპირი** მოთხოვნის მიუხედავად.

ამის შედეგად მამონტოვის წინააღმდეგაც მოდუნებაა და სელივაჩოვთანაც მოდუნებაა (ნაცვლად ბალლური ნახატებით დაპირებული დღე-დღეზე «გამარჯვებისა» — გახსოვთ, **ამ**

ნახატებს რომ მაჩვენებდით? და მე გითხარით: მოწინააღმდეგე დაგავიწყდათ-მეთქი!!).

თუ სელივაჩოვი გაიქცა ან მისმა დივიზიის უფროსებმა გვიღალატეს, დამნაშავე იქნება რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო, ვინაიდან მას ეძინა და გვამშვიდებდა, საქმეს კი არ აკეთებდა. საჭიროა საუკეთესო, ყველაზე ენერგიული კომისრები გაგზავნოთ სამხრეთში და არა ყეყეჩები.

ფორმირებასაც ვაგვიანებთ. ხელიდან ვუშვებთ შემოდგომას — დენიკინი კი ძალებს გაისამკეცებს, ტანკებსაც მიიღებს და სხვ. და სხვ.. ასე არ შეიძლება. მუშაობის მძინარა ტემპი ცოცხალ ტემპად უნდა გადავაკეთოთ.

მიპასუხეთ (ლ. ალ. ფოტიევას მეშვეობით).

ლენინი

16. IX.

ეტყობა, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო «მბრძანებლობს», ინტერესს არ იჩენს ან უნარი არ შესწევს თვალყური ადევნოს შესრულებას. თუ ეს ჩვენი საერთო ცოდვაა, ომის საქმეში ეს პირდაპირ დაღუპვაა.

დაწერილია 1919 წ. 16 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. 5 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 63

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

225

ე. სკლიანსკის

15. X. 1919 წ.

ამხ. სკლიანსკი!

აბსოლუტურად აუცილებელია სამხრეთის ფრონტისათვის საკავალერიო რადიოსადგურები, აგრეთვე საველე მოძრავი რადიოსადგურები მსუბუქი ტიპისა, რომლებიც დიდი რაოდენობით არის მთავარი სამხედრო საინჟინრო სამმართველოს საწყობებში. დაუყოვნებლივ გაეცით განკარგულება, რომ სამხრეთის ფრონტს სასწრაფოდ გადაეცეს როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის 50 ცალი. ამას მოითხოვს სტალინი, რომელიც ძალიან უჩივის კავშირგაბმულობის ნაკლებობას.

მომწერეთ, სახელდობრ რა გააკეთეთ, და თანაც მთავარ სამხედრო საინჟინრო სამმართველოში შეუკვეთეთ ჩემთვის მოკლე შეჯამებული ცნობა მათი რადიოსადგურების საერთო რიცხვის შესახებ და ჯარებში განაწილება.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 53

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

226

წარწერა გ. კ. ორჯონიკიძის წერილზე [264]

როგორც უნშლიხტის, ისე სტალინის მიერ გამოთქმული აზრით, სერგო უაღრესად საიმედო **ს ა მ ხ ე დ რ ო** მუშაკია. იგი რომ უაღრესად ერთგული და **უაღრესად საქმიანი** რევოლუციონერია, მე მას თვითონ ვიცნობ 10 წელიწადზე მეტი ხანია.

დაწერილია 1919 წ. 16 თუ 17 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1936 წ. 28 ოქტომბერს
გაზეთ «პრავდაში» № 298

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

227

ტულის რევკომს

20. X. 1919 წ.

ამხანაგებო! ტულის მნიშვნელობა ახლა განსაკუთრებით დიდია, — და საერთოდაც, მტრის სიახლოვის მიუხედავადაც, ტულის მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის უდიდესია.

ამიტომ მ თ ე ლ ი ძალები უნდა დავძაბოთ მ წ ყ ო ბ რ ი მუშაობისათვის, **ყველაფერი** წარვმართოთ სამხედრო და სამხედრო-მომარაგებითი მუშაობისაკენ.

ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ და ზელიკმანს უთანხმოება გაქვთ პეტერსთან, და ვფიქრობ, რომ აქ დამნაშავეა ზელიკმანი, ვინაიდან, თუ შესამჩნევი იყო შეუთანხმებლობა, საჭირო იყო ერთბაშად მოგეგვარებინათ (და ამის გაკეთება არც ძნელი იყო) ისე, რომ საქმე კონფლიქტამდე არ მიგეყვანათ. ოდნავი შ ე უ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ო ბ ა ამიერიდან ისე უნდა მოაგვაროთ, რომ დ რ ო ზ ე აცნობოთ ცენტრს და არ დაუშვათ კონფლიქტის გაფართოება.

მუშაობა ტულაში გაძლიერებულ უნდა იქნეს მთელი ძალ-ღონით და გადაყვანილ იქნეს მ თ ლ ი ა ნ ა დ ს ა მ ხ ე დ რ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე. დეკრეტი სამოქალაქო მმართველობის შემცირების შესახებ ამ დღეებში გამოიცემა, საჭიროა იგი არა მარტო დავიცვათ, არამედ უაღრესად კეთილსინდისიერად და გულმოდგინედაც გამოვიყენოთ [265]. ტულაში მასები მთლიანად ჩვენი როდი არიან. აქედან — აუცილებლად საჭიროა უ ა ღ რ ე ს ა დ ინტენსიური მუშაობა ჯარში, სათადარიგოებში, მუშებში, მუშა ქალებში.

თუ ძალები არ გყოფნით, მოიწერეთ — მოსკოვიდან დაგეხმარებით.

თავდაცვას თვალყური ადევნეთ განუწყვეტლივ: კეთდება თუ არა ბლოკჰაუზები? ხომ არ სუსტდება მუშაობა? არის თუ არა მასალები? მუშები? სწავლობენ თუ არა წითელარმიელები? მათი მომარაგება წესრიგშია? ყველა ეს და ამის მსგავსი საკითხები უნდა დაურიგდეს სპეციალური დაკვირვებისათვის საქმიან ადამიანებს და პარტიულად ერთგულ ამხანაგებს. თქვენ მთლიანად აგებთ პასუხს ამ მუშაობის წარმატებისათვის, დაუდევრობისათვის (თუ დროზე არ გაასაჩივრებთ და არ მიმართავთ ცენტრს). ჯარის შედგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თუ ორიოლს ავიღებთ[266], მუშაობა კი არ შეასუსტოთ, არამედ ათმაგად გააძლიერეთ, ვინაიდან უამისოდ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, ხოლო შეტევის შეჩერება ჩვენთვის სიკვდილია.

წაუკითხეთ ეს წერილი **ყველა** პასუხისმგებელ მუშაკს და პარტიის წევრებს, და რეგულარულად, **ძალიან მოკლედ**, მაცნობეთ ხოლმე, რაც ფაქტიურად კეთდება.

კომუნისტური სალამით ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

228

მიწერილობა სამხედრო სახალხო კომისრის მოადგილეს

24. X. 1919 წ.

სტალინისაგან
(სასწრაფოდ ნება დაერთოს)

1) მობილიზებული ლატვიელები გაიგზავნონ ლატვიელთა დივიზიის სათადარიგო ბატალიონებში
(ააჩქარეთ პეტერსონი; გაუმეორეთ მას ბრძანება).
2) მთავარსარდალი დაპირებულია თურქესტანის ცხენოსან ბრიგადას კოზლოვში.
შემოწმდეს. დაჩქარდეს.
3) 8 ბატალიონს მე-8 არმიისათვის დაპირებულია მთავარსარდალი. დაჩქარდეს.
დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი.
4) კალუგიდან მთავარსარდალი დაპირებულია შევსებას 45-ე დივიზიისათვის.
შემოწმდეს. დაჩქარდეს.
დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1938 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

229

ვ. ვ. ვოროვსკის

24. X. 1919 წ.

ამხ. ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი ს
სახელმწიფო გამომცემლობაში

გადაკათვალიერე რა ბროშურა «III ინტერნაციონალი 1919 წ. 6 — 7 მარტს», გამ. «სახელმწ. გამომც-ბა», მოსკოვი, 1919 (ფასი 8 მან.), გვერდი 99, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს ასეთი გამოცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და შეიმუშაოს იმის გარანტიის სერიოზული ღონისძიებანი, რომ ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს.

ბროშურა საზიზღრად არის გამოცემული. ეს რაღაც ნათითხნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს თუ დაუდევარს, აშკარაა, უვიცს, შეუკრებია, თითქოს მთვრალს, მთელი «მასალები», სტატიები, სიტყვები და უწესრიგოდ დაუბეჭდავს.

არც წინასიტყვაობა, არც ოქმები, არც გადაწყვეტილებათა ზუსტი ტექსტი, არც გადაწყვეტილებათა გამოყოფა სიტყვებისაგან, სტატიებისაგან, შენიშვნებისაგან, სრულიად არაფერი! უმაგალითო სირცხვილია!

დიდი ისტორიული მოვლენა შერცხვენილია ამგვარი ბროშურით.

მოვითხოვ: 1) გაასწოროთ ჩაწებების გზით. (დამნაშავენი ეპყრობილენ ჩასვით და ყველა ეგზემპლარში აწებებინეთ.)

მაცნობოთ:

2ა) რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდა?

2ბ) რამდენი გავრცელდა?

3) ხელახლა გამოსცეთ მართებული სახით. კორექტურა მე მაჩვენეთ.

4) შემოიღოთ წესი, რომ ყოველი გამოშვებული წიგნისათვის პასუხს აგებდეს გარკვეული პიროვნება (შემოიღეთ პასუხისმგებელ პირთა ჩანაწერების წიგნი).

5) მოწესრიგების სხვა ღონისძიებანი; შეიმუშავეთ და გამომიგზავნეთ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

230

პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს

1) ამბობენ, ფიქალები ვეიმარნთან ღრმად არ არისო. 2—3 საჟენი მიწა რომ აიღოთ, შეიძლება გაუშვათ ექსკავატორი, რომელიც უამრავ ფიქალს მოანგრევს და მოგვცემსო.

უნდა დაძაბოთ ძალები, მობილიზაციით გაიწვიოთ იქ ბურჟუაზია (მიწურებში იცხოვრონ); იმუშაონ 3 ცვლად რვა-რვა საათს; გამოიწვიეთ მუშათა აღტყინება პიტერში ამ საქმისათვის;

მობილიზაციით გაიწვიეთ გლეხები (4 საათი დღეში 2 ყვირით **დასაწყისისათვის** და ა. შ.).

2) ამბობენ, ჟუკი (მოკლული) ნახერხისგან შაქარს აკეთებდაო?

მართალია თუ არა ეს? თუ მართალია, აუცილებლად უნდა მ ო ნ ა ხ ო თ მ ი ს ი თ ა ნ ა შ ე მ წ ე ნ ი, რომ განაგრძოთ **საქმე**. **მნიშვნელობა გიგანტურია**. სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

231

Გ. მ. კრჟიჟანოვსკის

გლებ მაქსიმილიანეს-ძევ!

ძალიან დამაინტერესა თქვენმა ცნობამ ტორფის შესახებ.

ხომ ვერ დაწერთ სტატიას ამის შესახებ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» (და შემდეგ ბროშურად ან ჟურნალში)?

საჭიროა განვიხილოთ საკითხი პრესაში.

აი ტორფის მარაგი — მილიარდობით არის-თქო.

მისი თბობითი ღირებულება.

მისი მდებარეობის ადგილი — მოსკოვთან; მ ო ს კ ო ვ ი ს ო ლ ქ ი.

პიტერთან — უფრო ზუსტად.

მისი ამოღების სიადვილე (ქვანახშირთან, ფიქალთან და სხვ. შედარებით).

ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მუშებისა და გლეხების შრომის გამოყენება (თ უ ნ დ ა ც ო თ ხ-ო თ ხ ი ს ა ა თ ი დ ღ ე-ღ ა მ ე შ ი დ ა ს ა წ ყ ი ს ი ს ა თ ვ ი ს).

აი ბაზა ელექტრიფიკაციისათვის **ამდენ და ამდენჯერ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი** ელექტროსადგურებით-თქო.

აი **ყველაზე სწრაფი** და **ყველაზე საიმედო** ბაზა მრეწველობის აღსადგენად-თქო; —

— შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის (მიწათმოქმედება + მრეწველობა);

— სათბობის კრიზისისაგან თავის დასაღწევად (გავათავისუფლებთ ა მ დ ე ნ დ ა ა მ დ ე ნ მილიონ კუბ ხე-ტყეს ტრანსპორტისათვის).

მოგვეცით თქვენი მოხსენების **შედეგები;** — დაურთეთ ტორფის რუკა; — მოკლე შემაჯამებელი გაანგარიშებანი. ტორფის მანქანების სწრაფად გაკეთების შესაძლებლობა და ა. შ. და ა. შ.. ეკონომიური პროგრამის მოკლე არსი.

საჭიროა ახლავე აღვძრათ საკითხი პრესაში.

26. XII.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. საჭიროების შემთხვევაში ჩააბით ვინტერი, მაგრამ მალე მოგვეცით სტატია.

დაწერილია 1919 წ. 26 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

232

დეპეშა მ. მ. ლიტვინოვს

ლიტვინოვს ლენინისაგან

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა დოკუმენტი, რეზოლუცია, ბროშურა, საგაზეთო სტატია და სიტყვა, რომლებიც ეხება იდეურ მიმდინარეობებს მემარცხენე სოციალიზმსა და კომუნიზმში, განსაკუთრებით კომუნიზმის ანარქოსინდიკალისტური დამახინჯებანი ან კომუნიზმის წინააღმდეგ გამოხდომანი. შეკრიბეთ ყოველივე ეს გულდასმით ყველა ენაზე, აკეთეთ ამონაჭრები, გზავნეთ, ჩამოიტანეთ 3—4 ეგზემპლარად, განსაკუთრებით გერმანელი «დამოუკიდებლებისა», მათი ყრილობა და მათი ყრილობის შემდეგ[267], და გერმანელი კომუნისტებისა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 28 დეკემბერს
გაგზავნილია კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1920 წ.

233

მ. ტომსკის

16. I. 1920 წ.

ამხ. ტომსკის, თხოვნით — შეიტანოს პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალურ საბჭოში და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტთა ფრაქციაში

ძვირფასო ამხანაგებო! გიგზავნით ცნობას გასაოცარი ბ ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ი ს, დაუდევრობის, ბიუროკრატიზმის, უნიათობის შესახებ, რაც გამოიჩინეთ უმნიშვნელოვანეს **პრაქტიკულ** საქმეში[268].

მე არასოდეს არ მეეჭვებოდა, რომ ჩვენს კომისარიატებში ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, ყველაში.

მაგრამ თუ პროფესიულ კავშირებში ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ი ბიუროკრატიზმი იქნებოდა, ამას არ მოველოდი.

ეს უდიდესი შერცხვენაა. ძალიან გთხოვთ წაიკითხოთ ყველა ეს დოკუმენტი პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტთა ფრაქციაში და შეიმუშაოთ ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, უსაქმურობასა და უნიათობასთან ბრძოლის **პრაქტიკული** ღონისძიებანი.

გთხოვთ ნუ დაიზარებთ და შედეგები მაცნობეთ.

მელნიჩანსკიმ თ ვ ი თ ო ნ დამირეკა ამ 10 000 მელითონის შესახებ. მე ხმაური ავტეხე გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, და ახლა მელნიჩანსკიმ სირცხვილი მაჭამა...

კომუნისტური სალამით

ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

234

ა. ვ. ლუნაჩარსკის

18. I. 1920 წ.

ამხ. ლუნაჩარსკი!

ამას წინათ მე მომიხდა — სამწუხაროდ და ჩემდა სამარცხვინოდ, პირველად, — გავცნობოდი დალის განთქმულ ლექსიკონს [269].

ჩინებული რამეა, მაგრამ ეს ხომ კუთხური ლექსიკონია და მოძველდა. ხომ არ არის დრო შევქმნათ დღევანდელი რუსული ენის ლექსიკონი, ვთქვათ იმ სიტყვების ლექსიკონი, რომლებიც იხმარება ახლა და რომლებსაც ხმარობდნენ **კლასიკოსები**, პუშკინიდან გორკიმდე.

რა იქნება, ამაზე 30 მეცნიერი რომ დავსვათ და წითელარმიელის ულუფა მივცეთ?

როგორ შეხედავდით თქვენ ამ აზრს?

კლასიკური რუსული ენის ლექსიკონი?

ხმაურს ნუ ასტეხთ, მოელაპარაკეთ მცოდნეებს, თუ არ გაგიძნელდებათ, და მაცნობეთ თქვენი აზრი.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1940 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

235

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

ბლ. მ.!

სტატია მივიღე და წავიკითხე[270].

საუცხოოა.

საჭიროა მთელი რიგი ასეთი სტატიები. მაშინ ბროშურად გამოვუშვებთ[271]. ჩვენ გვაკლია სწორედ გაქანების ან «მოსაზრებულობის» სპეცები.

საჭიროა 1) შენიშვნები ჯერჯერობით ამოვიღოთ ან შევამციროთ. ისინი მეტისმეტად ბევრია გაზეთისათვის (რედაქტორს ხვალ ველაპარაკები).

2) ხომ არ შეიძლება დაუმატოთ გეგმა არა ტექნიკური (ეს, რა თქმა უნდა, ბევრის საქმეა და არა სასწრაფო), არამედ პოლიტიკური ან სახელმწიფოებრივი, ე. ი. დავალება პროლეტარიატისადმი?

დაახლოებით: 10 (5?) წელიწადში ავაგებთ 20—30 (30—50?) სადგურს, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოვფინოთ 400 (ან 200, თუ მეტს ვერ დავძლევთ) ვერსი რადიუსის ცენტრებით; ტორფზე, წყალზე, ფიქალზე, ქვანახშირზე, ნავთზე (**დაახლოებით** გადავხედოთ მთელ რუსეთს, **უხეში** მიახლოებით). ახლა აუცილებელი მანქანებისა და მოდელების შესყიდვით დავიწყებთ-თქო. 10 (20?) წლის შემდეგ რუსეთს «ელექტრობის» ქვეყნად გავხდით.

მე ვფიქრობ, ასეთი «გეგმა» — ვიმეორებ, არა ტექნიკური, არამედ სახელმწიფოებრივი — გეგმის პროექტი, თქვენ შეგიძლიათ მოგვცეთ.

იგი უნდა მოგვცეთ ახლავე, თვალსაჩინოდ, პოპულარულად, რათა გავიტაცოთ მასა ნათელი და მკაფიო (**საფუძვლით**

სავსებით მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი) პერსპექტივით: შევუდგეთ მუშაობას, და 10 — 20 წლის განმავლობაში ჩვენ მთელ რუსეთს, სამრეწველოსაც და სამიწათმოქმედოსაც, ე ლ ე ქ ტ რ ო ბ ი ს ქვეყნად გავხდით-თქო. რომ გამოვიმუშავებთ **ა მ დ ე ნ და ა მ დ ე ნ** (ათას თუ მილიონ ცხენ. ძალას თუ კილოვატს?? ეშმაკმა იცის) მანქანურ მონას **და** სხვ.

ამას კიდევ რომ დაემატებოდეს რუსეთის **დაახლოებითი** რუკა ცენტრებითა და წრეებით? თუ ეს ჯერ კიდევ არ შეიძლება?

ვიმეორებ, უნდა გავიტაცოთ მუშათა და შეგნებულ გლეხთა **მასა** 10 — 20 წლის დ ი ა დ ი პროგრამით.

მოვილაპარაკოთ ტელეფონით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

23. I.

P. S. კრასინი ამბობს, რომ რკინიგზების ელექტრიფიკაცია ჩვენთვის შეუძლებელია. ვითომ ასეა? ხოლო თუ ასეა, იქნებ შესაძლებელია 5 — 10 წლის შემდეგ? იქნებ ურალში შესაძლებელია?

ხომ არ გავაკეთოთ განსაკუთრებული სტატია ელექტროსადგურების ქსელის «სახელმწიფო გეგმის» შესახებ, რუკით, ან მათი დაახლოებითი ნუსხით (რიცხვით), პერსპექტივებით, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის ენერგიის ცენტრალიზება?

გთხოვთ დამირეკოთ ტელეფონით, ამ წერილს რომ მიიღებთ, და მოვილაპარაკოთ.

დაწერილია 1920 წ. 23 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

286

მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩს

5. II. 1920 წ.

მიხეილ ალექსანდრეს-ძევ!

ამხ. ნიკოლაევმა გადმომცა თქვენი წერილი და მიამბო საქმის არსი. მე ცნობები ავიღე ძერჟინსკისაგან და მაშინვე გავგზავნე ორივე დეპეშა, რომლებსაც თქვენ თხოულობდით.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გამოვთქვა თქვენდამი ღრმა მადლობა და თანაგრძნობა იმ დიდი მუშაობის გამო, რომელსაც თქვენ რადიოგამოგონებათა დარგში ეწევით. უქალალდო და «უმანძილო» გაზეთი, რომელსაც თქვენ ქმნით, დიადი საქმე იქნება. აღგითქვამთ ყოველნაირი და ყოველმხრივი დახმარება გაგიწიოთ ამ და ამის მსგავს სამუშაოებში.

საუკეთესო სურვილებით ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

237

რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

27. II. 1920 წ.

რა თქმა უნდა, თავდაცვის საბჭო არმიის აპარატების განფორმირების წინააღმდეგი არ იქნება. ყველა ნიშანი მოწმობს, რომ პოლონეთი ისეთ პირობებს წამოგვიყენებს, რომელთა შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება, თავხედურ პირობებსაც კი. საჭიროა მთელი ყურადღება წარვმართოთ დასავლეთის ფრონტის მომზადებისა და გაძლიერებისაკენ. საჭიროდ მიმაჩნია საგანგებო ღონისძიებანი იმისათვის, რომ სწრაფად მივზიდოთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება. ციმბირიდან და ურალიდან დასავლეთის ფრონტზე. ვშიშობ, რომ ჩვენ ცოტა ავჩქარდით შრომის არმიების საქმეში[272], თუ ისინი მთლიანად არ გამოვიყენეთ დასავლეთის ფრონტზე მიზიდვის დასაჩქარებლად. უნდა წამოვაყენოთ პოლონეთთან ომისათვის მომზადების ლოზუნგი.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

238

დეკეშა
კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

11. III. 1920 წ.

კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
ორჯონიკიძეს
პირი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო
სტალინს

ძალიან მახარებს თქვენი ცნობა, რომ მალე მოელით ენენიკინის სრულ განადგურებას, მაგრამ მეშინია თქვენი გადაჭარბებული ოპტიმიზმისა. პოლონელები, ეტყობა, მათთან ომს გარდუვალს გახდიან. ამიტომ ახლა მთავარი ამოცანაა არა კავკასიის შრომის არმია, არამედ დასავლეთის ფრონტზე ჰაქსიმუმი ჯარების უსწრაფესი გადაყვანის მომზადება. ამ ამოცანისაკენ წარმართოეთ მთელი ღონისძიებანი. ამისთვისვე უაღრესად ენერგიულად გამოიყენეთ ტყვეები.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

239

გ. მ. კრუჟიჟანოვსკის

14. III.

გლ. მ.!

გადავათვალიერე რა გ ო ე ლ რ ო ს განცხადება და ჩავუფიქრდი რა გუშინდელ საუბარს, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ იგი მ შ რ ა ლ ი ა.

ეს არ კმარა.

ხომ არ შეიძლება თქვენ დაწეროთ ან კრუგს (ან კიდევ სხვა ვინმეს) შეუკვეთოთ ისეთი სტატია, რომ

დაასაბუთოთ

ან თუნდაც ნათელყოთ

ა) უდიდესი სარგებლობა

ბ) **აუცილებლობა** ელექტრიფიკაციისა.

დაახლოებით:

I. ტრანსპორტი. ძველებურად რომ აღვადგინოთ —

საჭიროა α მილიონი (ომამდელი ფასებით)

ან α სათბობი $+ \beta$ სამუშაო დღე.

ელექტრიფიკაციის ბაზაზე აღსადგენად კი

αz — β მილ. მანეთი

$\alpha - y$ სათბობი $+ (\quad)$ სამუშაო დღე.

ან იგივე $\frac{a}{\alpha + \beta}$, მაგრამ წინანდელზე ამდენჯერ და ამდენჯერ მეტი ეფექტით.

II. ორთქლის ძალები. მრეწველობა ძველებურად **რომ** აღვადგინოთ, **მ ე ტ ი** უნდა დავხარჯოთ, ვიდრე ელექტრიფიკაციის ბაზაზე აღსადგენად.

III. მიწათმოქმედება.

აღვადგინოთ, ვთქვათ, + 5 მილ. გუთანი და შებმა ცხენი.

ამის ღირებულება ძველებურად და ელექტრიფიკაციის დროს?

ეს — დაახლოებით. მე ვფიქრობ, რომ გაგებული სპეცი 2 დღეში გააკეთებს ასეთ სამუშაოს (თუ მოინდომებს კეთილსინდისიერად შეასრულოს), აიღებს რა ან ომამდელი სტატისტიკის ციფრებს (ცოტა, სულ ცოტა შემაჯამებელ ციფრებს), ან უხეშად მიახლოებითს გაანგარიშებას (პირველ მიახლოებასთან «პირველი მიახლოების წესით»).

შეუკვეთეთ ეს. იქნებ თქვენვე შეუკვეთოთ მასალა თქვენთვის, დაწერით კი თვითონ დაწეროთ ან მისცეთ ინტერვიუ, მე ინტერვიუერს გამოგიგზავნით. მაშინ ჩვენ მივიღებთ ქარგას პროპაგანდისათვის. ეს კი დიდმნიშვნელოვანია.

რომ წაიკითხოთ, დამირეკეთ ტელეფონით.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1920 წ. 14 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

240

რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

15. III. 1920 წ.

ამხ. სკლიანსკი!

საჭიროა რევოლუციური სამხედრო საბჭოს დადგენილება:

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყირიმის მიმართ აშკარად **დაშვებულ შეცდომას** (დროზე არ დაძრეს საკმაო ძალები);

— მთელი ღონისძიებანი შეცდომის გამოსასწორებლად (გერმანის ამბები[273] **უკიდურესად** ამწვავებს დენიკინის საბოლოოდ განადგურების **დაჩქარების** საკითხს);

— კერძოდ მომზადებულ იქნეს საზღვაო საშუალებანი (ნაღმები, წყალქვეშა ნავები და სხვ.) და შესაძლებელი **შეტევა** ტამანიდან ყირიმზე (მახსოვს, მიხ. დიმ. ბონჩ-ბრუევიჩი მეუბნებოდა ეს ადვილიაო).

რევოლუციური სამხედრო საბჭოს მთელი რიგი უაღრესად ზუსტი და უაღრესად ენერგიული დადგენილებანი ამის შესახებ **საჭიროა დაუყოვნებლივ.**

პირი გამომიგზავნეთ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

241

დეკეშა
კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
ორჯონიკიძეს

17. III. 1920 წ.

ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

242

ვ. ვ. ადორატსკის

6. IV. 1920 წ.

ამხ. ადორატსკი!

ამხ. ხოდოროვსკის გადავეცი და ვთხოვე დაგეხმაროთ ულუფის, შეშის მხრივ და სხვ.

იგი დამპირდა, რომ გააკეთებს ამას.

მომწერეთ, როცა შემთხვევა მოგეცემათ. (უმჯობესია სამხედრო პირების მეშვეობით)

1) გააკეთეს რამე თუ არა თქვენს დასახმარებლად? ულუფით? შეშით?

2) ხომ არ გჭირდებათ კიდევ რამე?

3) შეგიძლიათ თუ არა შეკრიბოთ მასალები სამოქალაქო ომის ისტორიისათვის

და საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიისათვის?

საერთოდ შეიძლება თუ არა ყაზანში ამ მასალების შეკრება? შემიძლია თუ არა დაგეხმაროთ?

«იზვესტიას» და «პრავდის» კომპლექტები? ბევრი გაკლიათ?

შემიძლია თუ არა დაგეხმაროთ იმის შოვნაში, რაც გაკლიათ?

გთხოვთ მომწეროთ, მომცეთ თქვენი მისამართი.

მხურვალე სალამი!

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ყაზანში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

243

კ. ა. ტიმირიაზევს

ამხანაგ კლიმენტი არკადის-ძე ტ ი მ ი რ ი ა ზ ე ვ ს
(ლენინისაგან)

27. IV. 1920 წ.

ძვირფასო კლიმენტი არკადის-ძევ! დიდად გმადლობთ თქვენი წიგნისა და კეთილი სიტყვებისათვის[274]. პირდაპირ აღტაცებული ვიყავი, როცა ვკითხულობდი თქვენს შენიშვნებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ჯანმრთელობას და ჯანმრთელობას!

თქვენი ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

244

მ. ნ. პოკროვსკის

5. V. 1920 წ.

ამხ. პოკროვსკი!

მე ერთხელ მომიხდა საუბარი ამხ. ლუნაჩარსკისთან რუსული ენის კარგი ლექსიკონის გამოცემის საჭიროების შესახებ. არა დალის ყაიდისა, არამედ ყველას გამოსაყენებელი (და სასწავლო) ლექსიკონი, ასე ვთქვათ, კლასიკური, თანამედროვე რუსული ენის (ვთქვათ პუშკინიდან გორკიამდე, დაახლოებით) ლექსიკონი. ულუფაზე დავსხათ 30 მეცნიერი ან რამდენიც საჭიროა, ავიყვანოთ, რა თქმა უნდა, ისეთები, რომლებიც სხვა საქმეში არ გამოდგებიან; დაე გააკეთონ.

ლუნაჩარსკიმ თქვა, რომ ამაზე ის უკვე ფიქრობდა და რომ ეს არ ვიცი კეთდება, არ ვიცი გაკეთდება.

ძალიან გთხოვთ შეამოწმოთ, კეთდება თუ არა, და მომწეროთ.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

245

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

ბაქო როსტოვით
კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო
საბჭოს წევრს
ორჯონიკიძეს

ჩაბარდეს პასუხისმგებელი პირების მეშვეობით, ჩაბარების შემდეგ ეცნობოს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სკლიანსკის.

ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის.

დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით
ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 5 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერი პირის მიხედვით

246

ა. ს. სერაფიმოვიჩს

ამხ. სერაფიმოვიჩს

21. V. 1920.

ძვირფასო ამხანაგო!

ჩემმა დამ ეს არის გადმომცა, თუ რა საშინელი უბედურება დაგატყდათ თავს [275]. ნება მიბოძეთ მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი და გისურვოთ სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე განმეხორციელებინა ჩემი სურვილი — უფრო ხშირად შეგხვდეთ და უფრო ახლოს გაგეცნოთ. მაგრამ თქვენმა ნაწარმოებებმა და ჩემ. დის ნაამბობმა ჩამინერგა ღრმა სიმპათია თქვენდამი და ძალიან მინდა გითხრათ, თუ რაოდენ საჭიროა მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა და რაოდენ აუცილებელია ახლა თქვენთვის სიმტკიცე, რათა დაძლიოთ მძიმე განწყობილება და აიძულოთ თავი დაუბრუნდეთ მუშაობას. მაპატიეთ, ნაჩქარევად რომ გწერთ. კიდევ ერთხელ: მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

247

დ. ი. კურსკის [276]

მიღებულია თუ არა ზომები იმისათვის, რომ **დაუყოვნებლივ** (1) შეიქმნას განთავისუფლებულ ადგილებში საბჭოთა ხელისუფლება; (2) მოწვეულ იქნეს საბჭოების **ყრილობები**; (3) განდევნილ იქნენ მემამულეები, დაურიგდეს მათი მიწების **ნაწილი** ღარიბ გლეხობას, დანარჩენი მოჯამაგირეთა საბჭოებს?

დაწერილია 1920 წ. ივლისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

248

კომინტერნის აღმასკომს

საჭიროა კიდევ III ინტერნაციონალის II ყრილობისათვის დაიწეროს თეზისები საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ხომ არ შეიძლება დაევალოს წინასწარი მონახაზის გაკეთება ლაპინსკის ან კიდევ ვინმეს **ამ თეზისების დაახლოებით** ასეთი **გეგმით** [277]:

1. მთელი დედამიწის გაყოფა (როგორც საბანკო და საფინანსო კაპიტალის გავლენის სფეროების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო სინდიკატებისა და კარტელების თვალსაზრისით, აგრეთვე კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხელში ჩაგდების თვალსაზრისით) იმპერიალიზმის, მე-20 საუკუნის ეკონომიკის ძირითადი ფაქტია.

2. აქედან გარდუვალობა საერთოდ იმპერიალისტური ომებისა და კერძოდ 1914 — 1918 წლების 1-ლი იმპერიალისტური ომისა.

3. ამ ომის შედეგები:

(ა) საქვეყნოდ-ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვის შემცირება, სუსტ, გაძარცულ, დაყოფილ, დამოკიდებულ სახელმწიფოთა რიცხვის გადიდება;

(ბ) **ყველა** კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გიგანტური გამწვავება, როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ის ქვეყნებს შორის;

(გ) განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ორივე პოლუსის გამწვავება მსოფლიო მასშტაბით:

კაპიტალის ერთი მუჭა მაგნატების ფუფუნების გადიდება;

გადიდება გაჭირვებისა, სიღატაკისა, გაჩანაგებისა, შიმშილისა, უმუშევრობისა, არსებობის უზრუნველყოფის სრული უყონლობისა;

(დ) ძალიტარიზძის გაძლიერება, ეკონომიურად გარდუვალი ახალი იმპერიალისტური ომებისათვის მზადების გაძლიერება და დაჩქარება; მთელ მსოფლიოში ომების რიცხვის გადიდება და ამასთან განსაკუთრებით რევოლუციური ომებისა;

(ე) ერთა ლიგის სრული კრახი, მისი სიცრუის გამოააშკარავება; «ვილსონიზმის» კრახი. ბურჟუაზიული **დემოკრატიის** კრახი.

4. სრულიად მოკლე განმარტება, რისთვისაც დახასიათებულ იქნეს (შდრ. პ. ლევის 1920 წ. 14. IV-ის მოხსენება):

ინგლისი და ამერიკა

საფრანგეთი

იაპონია

ევროპისა და ამერიკის დანარჩენი, ნეიტრალური ქვეყნები

დამარცხებული ქვეყნები (უმთავრესად რუსეთი და გერმანია)

კოლონიები

ნახევრადკოლონიები (სპარსეთი, თურქეთი, ჩინეთი).

5. ნედლეული, — მისი გამოლევა

მრეწველობა, — მისი დაუძლურება (სათბობი და სხვ.)

ვალუტა, — მისი კრახი. ვალები. ფულის გაუფასურება.

მსოფლიო მეურნეობის მთელი სისტემის «მოშლილობა», დ ა შ ლ ა.

6. შედეგი — მსოფლიო რევოლუციური კრიზისი. კომუნისტური მოძრაობა და საბჭოთა ხელისუფლება.

დაწერილია 1920 წ. 19 ივლისამდე

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

249

გ. ვ. ჩიჩერინს

22. VII. 1920 წ.

ამხ. ჩიჩერინს

ჩემი წინადადებაა:

1) კოპს დირექტივები მიეცით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით ამხ. ჩიჩერინის წინადადების ძიხედვით (მხოლოდ სავაჭრო მოლაპარაკება)

2) გუკოვსკის უპასუხეთ.

3) კერზონს უპასუხეთ **2 დღის შემდეგ** (არა უადრეს; რისთვის ვებოდიშოთ), ერთხელ კიდევ შეეკითხეთ კამენევს და კონსულს: რატომ არა გვაქვს ორიგინალი ინგლისურად?

უპასუხეთ უაღრესად თავაზიანად ასე

თუ ინგლისს (+ საფრანგეთი +? +?) სურს საერთო, ე. ი. **ნამდვილი** ზავი, **ჩვენ მომხრე ვართ** უკვე დიდი ხანია. მაშინ მოგვაშორეთ ვრანგელი, ვინაიდან იგი თქვენია, თქვენს კმაყოფაზე მყოფი, და მაშინვე ვიწყებთ მოლაპარაკებას.

თუ პოლონეთს ზავი სურს, ჩვენ მომხრე ვართ; ეს ნათლად ვთქვით და ვიმეორებთ, დაე მან წინადადება წამოაყენოს.

თუ თქვენ სავაჭრო მოლაპარაკებას სწყვეტთ, ძალიან ვწუხვართ, მაგრამ თქვენ თქვენს თავს ააშკარავებთ იმაში, რომ თავს არიდებთ ჭეშმარიტებას, ვინაიდან ეს მოლაპარაკება თქვენ დაიწყეთ პოლონეთის ომის დროს და აღგვი-

თ ქ ვ ი თ დ ა ზ ა ვ ე ბ ა. მშვიდად, ზუსტად გამოაშკარავებულ იქნეს მათი წინააღმდეგობანი.

პასუხის პროექტი მოწონებულ იქნეს ტელეფონით პოლიტბიუროს წევრების მეშვეობით პარასკევს ან შაბათს 23 ან 24 VII-ს.

ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით

250

რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკას

თუ საცნობარო გამოცემები, წესების მიხედვით, შინ არ გაიცემა, ხომ არ შეიძლება მივიღო საღამოსათვის, ღამისათვის, როცა ბიბლიოთეკა დაკეტილია. **დილით დაგიბრუნებთ.**

ცნობებისათვის **1** დღით:

I. **ბერძნული** ენის ორი საუკეთესო, ყველაზე სრული ლექსიკონი, ბერძნულ-გერმანული, ბერძნულ-ფრანგული, ბერძნულ-რუსული ან ბერძნულ-ინგლისური.

II. საუკეთესო ფილოსოფიური ლექსიკონები, ფილოსოფიური ტერმინების ლექსიკონები: გერმანული, ვგონებ, ეისლერისა; ინგლისური, ვგონებ, ბოლდვინისა (Baldwin); ფრანგული, ვგონებ, ფრანკისა (თუ უფრო ახალი არ არის); რუსული, რომელიც კი არის ახლებიდან.

III. ბერძნული ფილოსოფიის ისტორია

1. ცელერი, სრული და ყველაზე ახალი გამოცემა.

2. გომპერცი (ვენელი ფილოსოფოსი): «Griechische Denker» *.

დაწერილია 1920 წ. 1 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «ბერძენი მოაზროვნეები». **რ ე დ.**

251

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

9. IX. 1920 წ.

კავკასიის ფრონტის რევოლუციურ
სამხედრო საბჭოს
ორჯონიკიძეს

კავკასიასა და ყუბანში ყველა ბანდის და თეთრგვარდიელთა ნაშთების უსწრაფესი და სრული ლიკვიდაცია აბსოლუტური საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. უფრო ხშირად და უფრო ზუსტად შემატყობინეთ საქმის მდგომარეობა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1936 წ. 28 ოქტომბერს
გაზეთ «პრავდაში» № 298

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

252

ჩერემხოვოს მაღაროელებს

15. IX. 1920 წ.

აღმოსავლეთ ციმბირის ქვანახშირის
მაღაროების მთავარ სამმართველოს
მაღაროების მუშებისათვის, აგრეთვე მათი
ტექნიკური პერსონალისათვის

ძვირფასო ამხანაგებო! სულითა და გულით გმადლობთ თქვენი 1920 წ. 2 აგვისტოს მოსალმებისათვის, რომელიც ამხ. ივ. იაკ. ილინმა გადმომცა. ამხ. ილინთან საუბარმა ციმბირის მაღაროებში ენერგიული მუშაობის შესახებ და მისმა ცნობამ, რომ თანდათანობით იზრდება მშრომელთა (რომლებიც ამიერიდან მუშაობენ თავიანთთვის და არა კაპიტალისტებისათვის) შეგნებული დისციპლინა, უდიდესი სიხარული განმაცდევინა.

თქვენს მოსალმებაში, ამხანაგებო, განსაკუთრებით ძვირფასია მემამულეებზე, კაპიტალისტებზე და ყოველგვარ ექსპლოატატორებზე საბჭოთა ხელისუფლების სრული და საბოლოო გამარჯვების უღრმესი რწმენის გრძნობები, აგრეთვე შეუდრეკელი სიმტკიცე და გადაწყვეტილება — გადავლახოთ ყველა დაბრკოლება და სიძნელე. მუშათა მასის, მშრომელი მასის სწორედ ამ სიმტკიცეში მე, ისევე როგორც ყველა კომუნისტი, ვპოულობ მუშებისა და მუშათა საქმის გარდუვალი მსოფლიო გამარჯვების რწმენას.

კომუნისტური სალამით და უსწრაფესი წარმატების სურვილით თქვენი დიდად ერთგული

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1920 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

253

დეპეშა
I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

პირდაპირი მავთულით
I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

უაღრესად მნიშვნელოვანია მთელი ძალებით დააჩქაროთ თქვენი არმიის გადაყვანა სამხრეთის ფრონტზე. გთხოვთ მიიღოთ ამისათვის ყველა ღონისძიება, არ შეჩერდეთ გმირულ ღონისძიებათა წინაშეც. გვიდეპეშეთ, სახელდობრ რას აკეთებთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

4 ოქტომბერი.

დაწერილია 1920 წ. 4 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

254

დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო ფრუნზეს [278]

გუსევისა და თქვენი აღფრთოვანებული დეპეშები მივიღე და გადაჭარბებული ოპტიმიზმი მაშინებს. გახსოვდეთ, რომ აუცილებლად უნდა სძლიოთ მოწინააღმდეგე და შეხვიდეთ ყირიმში. გულდასმით მოემზადეთ, შეამოწმეთ — შესწავლილია თუ არა ყველა ფონი ყირიმის ასაღებად [279].

16. X. 20 წ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

255

ტულელ ამხანაგებს [280]

ძვირფასო ამხანაგებო!

იმის მიხედვით, როგორც თქვენ გაქვთ გადმოცემული ვითარება, გეთანხმებით, მაგრამ თუ გინდათ ჩემი აზრი თქვენი «ოპოზიციის» წინააღმდეგ გამოიყენოთ, მაშინ მიეცით მას თქვენი წერილიც ჩემდამი და ჩემი პასუხიც. მაშინ ისინი საქმეს იქნებიან გაცნობილნი, შეეძლებათ მაცნობონ თავიანთი აზრი, მაშინ მე საქმეს გაცნობილი ვიქნები არა ცალმხრივად.

საქმის არსის გამო მოკლედ გამოვთქვამ აზრს. სანამ ვრანგელი ბოლომდე არ დაგვიმარცხებია, სანამ მთელი ყირიმი არ აგვიღია, მანამდე სამხედრო ამოცანები **პირველ** პლანზე უნდა იყოს. ეს აბსოლუტურად უდავოა.

შემდეგ, ტულისათვის, მისი იარაღის და ვაზნის ქარხნების გამო, ძალიან შესაძლებელია, რომ ვრანგელზე გამარჯვების შემდეგაც გარკვეული დროით პირველი რიგის ამოცანებად დარჩეს ამოცანები თოფებისა და ვაზნების წარმოების დარგში მუშაობის ბოლომდე მიყვანისა, ვინაიდან არმია გაზაფხულისათვის უნდა მოვამზადოთ.

ბოდიშს ვიხდი, წერილი რომ მოკლეა, და გთხოვთ მაცნობოთ, აჩვენეთ თუ არა «ოპოზიციას» ჩემი ეს წერილი და თქვენი წერილი ჩემდამი.

კომუნისტური სალამით ლენინი

დაწერილია 1920 წ. 20 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

256

პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს

პატივცემულო ამხანაგებო! ჩემი აზრით, პიტერში (ბინების მხრივ უაღრესად თავისუფალ ქალაქში) ზედმეტი ოთახი რომ მისცეთ მეცნიერებს კაბინეტისათვის და ლაბორატორიისათვის, ღმერთმანი, ცოდვა არ არის. თქვენ თვითონაც კი უნდა გამოგეჩინათ ინიციატივა.

ძალიან გთხოვთ წინ წასწიოთ ეს საქმე, ხოლო თუ თქვენ ამას არ ეთანხმებით, უარს ნუ მეტყვით მაშინვე მომწეროთ ორიოდე სიტყვა, რომ დავინახო, თუ რაშია აქ დაბრკოლება [281].

კომუნისტური სალამით ვ. ულიანოვი (ლენინი)

21. X.

დაწერილია 1920 წ. 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

257

დეპეშა
I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

პირდაპირი მავთულით

პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

პირი სამხრეთის ფრონტს

ვრანგელს აშკარად უკან გადაჰყავს თავისი ნაწილები. შესაძლოა, რომ იგი უკვე ახლა ცდილობს თავი შეაფაროს ყირიმს. მისი გაშვება უდიდესი დანაშაული იქნებოდა. მომავალი დარტყმის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პირველ ცხენოსან არმიაზე. წინადადებას ვაძლევთ პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გამოიყენოს უაღრესად გმირული ღონისძიებანი პირველი ცხენოსანი არმიის თავმოყრის დასაჩქარებლად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

24. X. 20.

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

258

რ. ე. კლასონს

2. XI. 1920 წ.

ამხ. კლასონ!

ვშიშობ, რომ თქვენ — ბოდიშს ვიხდი გულახდილობისათვის — ვერ ისარგებლებთ სახკომსაბჭოს დადგენილებით ჰიდროტორფის შესახებ. ვშიშობ იმიტომ, რომ თქვენ, ჩანს, ძალიან ბევრი დრო დახარჯეთ «უაზრო ოცნებაზე» კაპიტალიზმის რესტავრაციის შესახებ და საკმაო ყურადღებით არ მოეკიდეთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი დროის მეტად თავისებურ თვისებებს. მაგრამ ამას გეუბნებით არა იმ მიზნით, რომ გისაყვედუროთ, და არა მარტო იმიტომ, რომ გამახსენდა 1894 — 1895 წლების თეორიული კამათი თქვენთან, არამედ ვიწრო პრაქტიკული მიზნით.

სახკომსაბჭოს დადგენილება მართებულად რომ გამოიყენოთ, საჭიროა

1) ულმობელი სისასტიკით დროზე გაასაჩივროთ მისი დარღვევები, უდიდესი ყურადღებით ადევნოთ თვალი შესრულებას და, რა თქმა უნდა, გასასაჩივრებლად შეარჩიოთ მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც შეესაბამება წესს «იშვიათად, მაგრამ მარჯვედ».

2) დროდადრო — კვლავ იმავე წესის მიხედვით — მომწეროთ მე (NB კონვერტზე: პირადად ამისა და ამისაგან ამა და ამ საქმის გამო):

> გთხოვთ გაუგზავნოთ გახსენება ან შეკითხვა
> ასეთი და ასეთი (ტექსტის პროექტი ცალკე ფურცელზე)
> ამა და ამ პირს ან დაწესებულებას ამა და ამ საკითხზე,
> იმის გამო, რომ «ჰიდროტორფის» სამუშაოები მიჩნეულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოებად.

თუ თქვენ შეცდომაში არ შემიყვანთ, ე. ი. თუ გახსენებანი და შეკითხვები მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი იქნება (არ იქნება საუწყებო ჩხუბი ან პოლემიკა), მე 2 წუთში მოვაწერ ხელს ასეთ გახსენებებსა და შეკითხვებს, და ისინი ზოგჯერ პრაქტიკულ სარგებლობას მოიტანენ.

ვუსურვებ სწრაფ და დიდ წარმატებებს თქვენს გამოგონებას და გიგზავნით სალამს

ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

259

გ. მ. კრუპიუანოვსკის

6. XI.

გ. მ.!

ეს მეტად მნიშვნელოვანი რამ არის. ჩვენი კომისია (სადაც თქვენ ხომ გამოძახებული ხართ? წინა დადგენილებით?) შედგება ხვალ (ან 8/XI დილით) [282].

წინასწარ ყურადღებით უნდა იქნეს განხილული ქვეკომისიის პროექტი (დართულია).

გოელრო სრულებით არ შესულა!

ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის: რა ფასი აქვს ყველა «გეგმას» (და ყველა «საგეგმო კომისიას» და «საგეგმო პროგრამას»), თუ ელექტრიფიკაციის გეგმა არ არის? არავითარი ფასი არა აქვს.

ნამდვილად რომ ვთქვათ, სწორედ გოელრო უნდა იყოს ერთიანი საგეგმო ორგანო სახკომსაბჭოსთან, მაგრამ ასე პირდაპირ და ტლანქად ეს არ გამოვა, არც მართებული იქნება. საჭიროა მოვიფიქროთ (სწრაფად, ხვალამდე), თუ როგორ უნდა დავაყენოთ საკითხი.

იქნებ 1) მცირე სახკომსაბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში სათათბირო ხმით შევიყვანოთ გოელროს თავმჯდომარე?

2) გოელრო გადავაქციოთ მუდმივ კომისიად **სახკომსაბჭოსთან,** ვინაიდან იგი ამზადებს და ახორციელებს, უნდა ახორციელებდეს ელექტრიფიკაციას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსთვისაც, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისთვისაც, გზათა სახალხო კომისარიატისთვისაც **და ა. შ.**

3) ყველა საგეგმო კომისია ყველა სახალხო კომისარიატთან დავუკავშიროთ, დავუქვემდებაროთ გოელროს. მაგრამ როგორ? **გოელროსთან** შევქმნათ კიდევ ერთი კომისია **ყველა** ცალკეული საგეგმო კომისიის თავმჯდომარეებისაგან? თუ როგორმე სხვანაირად? ამას რომ წაიკითხავთ, დამირეკეთ.

ოქმი კი (ქვეკომისიისა 5/XI) **დამიბრუნეთ** დღეს **არა უგვიანეს** საღამოს **10 საათისა.**

თქვენი ლენინი

დაწერილია 1920 წ. 6 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მეშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

260

სახელმწიფო გამომცემლობას

გთხოვთ შემატყობინოთ, 1) საერთოდ შემოღებულია თუ არა სახელმწიფო გამომცემლობაში ისეთი წესი, რომ უკლებლივ ყოველი წიგნისა და ბროშურის გამოცემის დროს წერილობით აღინიშნებოდეს:

ა) ხელმოწერა სახელმწიფო გამომცემლობის რედაქციის წევრისა, რომელიც პასუხისმგებელია ამ გამოცემის რედაქტორული გადასინჯვისათვის;

ბ) ხელმოწერა ტექსტის რედაქტორისა;

გ) ხელმოწერა პასუხისმგებელი კორექტორის ან გამომცემლის ან გამომშვებისა.

2) თუ არა, რა მოსაზრებანია ასეთი წესის წინააღმდეგ? როგორია კონტროლის ახლანდელი საშუალებანი?

3) ცნობები § 1-ის მიხედვით ბროშურაზე **«კონცესიების შესახებ»**. «სახკომსაბჭოს 23/XI 1920-ის დეკრეტი. დეკრეტის ტექსტი. კონცესიების ობიექტები. რუკები. სახელმწ. გამომც. 1920». სახელმწ. სტამბა (ყოფ. სიტინისა). პიატნიცკაია, 71. მოსკოვი. 1920.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წ. 11 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

261

გ. მ. კრუიუანოვსკის

გ. მ.! ასეთი აზრი დამებადა.

ელექტრობას პროპაგასდა უნდა გავუწიოთ. როგორ? არა მარტო სიტყვით, არამედ მაგალითითაც.

რას ნიშნავს ეს? ყველაზე მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაცია. ამისათვის საჭიროა ახლავე შემუშავებულ იქნეს რსფს რესპუბლიკაში **თ ვ ი თ ე უ ლ ი სახლის** ელექტრობით განათების გ ე გ მ ა.

ეს შორეული დროის საქმეა, ვინაიდან არც 20 000 000 (— 40 000 000?) ნათურა, არც ელექტრომავთულები და სხვ. დ ი დ ხ ა ნ ს საკმარისად არ გვექნება.

მაგრამ გეგმა მაინც საჭიროა ა ხ ლ ა ვ ე, თუნდაც მთელი რიგი წლებისათვის.

ეს 1-ლი.

ხოლო მე-2, შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი გეგმა საჭიროა შემუშავებულ იქნეს ახლავე და შემდეგ, ეს მე-3, — და ეს ყველაზე მთავარია — უნდა შეგვეძლოს **მასების** როგორც შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს, ისე თ ვ ი თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს გამოწვევა იმისათვის, რომ ისინი ა ხ ლ ა ვ ე შეუდგნენ საქმეს.

ხომ არ შეიძლება, რომ ამისათვის ახლავე შემუშავებულ იქნეს ასეთი გეგმა (მაგალითად):

1) ყველა ვოლოსტი (10 — 15 ათასი) ელექტროგანათებით მარაგდება **1** წელიწადში.

2) ყველა დაბა (½ — 1 მილიონი, ალბათ, არა უმეტეს ¾ მილიონისა) **2** წელიწადში.

3) პირველ რიგში — ქოხ-სამკითხველო და დეპუტატების საბჭო (2 ნათურა).

4) ბოძები ახლავე ამზადეთ ასე და ასე.

5) იზოლატორები ახლავე ამზადეთ **თვითონ** (კერამიკული ქარხნები, ვგონებ, ადგილობრივი და პატარაა?). ამზადეთ ასე და ასე.

6) სპილენძი ელექტრომავთულებისათვის? **აგროვეთ თვითონ** მაზრებში და ვოლოსტებში (ფრთხილი გადაკრული სიტყვები ზარების შესახებ და სხვ.).

7) ელექტრობის სწავლება დააყენეთ ასე და ასე.

ხომ არ შეიძლება ასეთი რამ მოვიფიქროთ, შევიმუშაოთ და დეკრეტით დავადგინოთ?

თქვენი ლენინი

დაწერილია 1920 წ. დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

262

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს

ხომ არ შეიძლება განვავითაროთ (ახლა კი არა, ყრილობის შემდეგ[283], შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის, მაგრამ **მაშინვე**) პრაქტიკული გეგმა კამპანიისა ელექტრიფიკაციის დარგში:

E t w a *:

1) თ ვ ი თ ე უ ლ მაზრაში ს ა ს წ რ ა ფ ო დ შეიქმნას 1 ელექტროსადგური მაინც;

2) დაევალოთ ეს ცენტრი გახადონ ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს, ლექციების, დემონსტრაციების და სხვ. ცენტრად და ამ კურსებზე გ ა ა ტ ა რ ო ნ მ თ ე ლ ი მოსახლეობა (დაწყებული ახალგაზრდობით ან ვოლოსტების მიხედვით **და** ა. შ.);

3) ახლავე განაწილდეს მოსახლეობაში ის, რის მზადებაც ახლა შეიძლება დაიწყოს (სპილენძი საჭიროა 2½ მილიონი ფუთი — ახლავე გავანაწილოთ **25** მილიონი ფუთი, **დაე ნებაყოფლობით** აგროვონ ზარები, სახელურები **და** სხვ.; **შემდეგ** ბ ო ძ ე ბ ი **და** ა. შ.);

4) ა ხ ლ ა ვ ე დაწყებულ იქნეს მოსამზადებელი **მიწის** სამუშაოები და განაწილდეს ისინი მაზრების მიხედვით.

5) მობილიზებულ იქნეს უკლებლივ ყ ვ ე ლ ა ინჟინერი, ელექტროტექნიკოსი, ყველა, ვისაც დამთავრებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, და სხვ.. მოვალეობა: კვირაში სულ ცოტა 2 (4?) ლექცია, ელექტრობის სწავლება **ს უ ლ ც ო ტ ა** (10 — **50**?) კაცისათვის. შეასრულებ — პრემიას მიიღებ. **არ შეასრულებ — საპყრობილეში მიბრძანდი.**

* — **მაგალითად, დაახლოებით. რ ე დ.**

6) სასწრაფოდ დაიწეროს რამდენიმე პოპულარული ბროშურა (ნაწილობრივ ითარგმნოს გერმანულიდან) და გადაკეთდეს «წიგნი» (თქვენი) მთელ რიგ უფრო პოპულარულ ნარკვევებად, რათა შეიძლებოდეს სკოლაში სწავლება და გლეხებისათვის წაკითხვა.

და კიდევ მთელი რიგი დეტალური ღონისძიებანი ამ 2 ჯგუფის მიხედვით.

აა) პროპაგანდა და სწავლება

ბბ) განხორციელების დაწყება ახლავე და ყოველი მხრიდან.

ლენინი

დაწერილია 1920 წ. დეკემბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1921 წ.

263

რკპ(ბ) ბაკურის სავოლოსტო ორგანიზაციას

პირი სარატოვის საგუბერნიო პარტკომს და
საგუბერნიო აღმასკომს

ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ტურუნენმა წერილობით გადმომცა, რომ გლეხთა თხოვნით თქვენ დაადგინეთ გეცნობებინათ ჩემთვის მისი საშუალებით კონტრრევოლუციური მოქმედება თქვენს ვოლოსტში სასურსათო დარგის ზოგიერთი მუშაკისა, რომლებიც აბუჩად იგდებენ ღარიბებს, თავიანთ სასარგებლოდ ეწევიან ძარცვას, ხელს უწყობენ არყის გამოხდას, ლოთობენ, ქალებს აუპატიურებენ, პროვოკაციებს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლებას და სხვ.. თქვენ თხოულობთ ამ კონტრრევოლუციური მოქმედების ლიკვიდაციას აქედან, მოსკოვიდან. მაგრამ კონტრრევოლუციასთან ბრძოლა მთელი საკუთარი ძალებით ადგილზე — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა, მათ შორის თქვენიც. თქვენი ვალი და მოვალეობაა სამაზრო პარტკომთან ურთიერთობით, ხოლო თუ ეს არ უშველის, საგუბერნიო პარტკომთან ურთიერთობით მიაღწიოთ იმას, რომ დააპატიმროთ და რევოლუციურ ტრიბუნალს გადასცეთ ისეთი კონტრრევოლუციონერები და არამზადები, რომელთა შესახებაც იუწყებით.

რა გაქვთ გაკეთებული ამ მიმართულებით?

წერილის მეორე ნაწილში ამხ. ტურუნენს მოჰყავს თქვენი მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სამეურნეო ნგრევისაგან თავის დასაღწევად ერთ ხანს უნდა ეყრდნობოდეს გლეხობას, როგორც ყავარჯენს. ეს სავსებით

სწორია. ეს ნათქვამია ჩვენს პარტიულ პროგრამაში და პარტიული ყრილობების დადგენილებებში. საბჭოების უკანასკნელ VIII სრულიად რუსეთის ყრილობაზე სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხი მეტად დაწვრილებით და გულდასმით იქნა განხილული, და ყრილობამ მიიღო მნიშვნელოვანი პრაქტიკული დადგენილებანი, რომლებიც თქვენ ადგილებზე უნდა განახორციელოთ საგუბერნიო ორგანოების მითითებებით.

ეს დადგენილებანი დაბეჭდილი იყო გაზეთებში. გარდა ამისა, ამხ. ტურუნენი ჩამოგიტანთ ზოგიერთ დამატებითს მასალებს, რომლებსაც მიიღებს მიწსახკომში, სადაც იგი ჩემგან გაიგზავნა.

კომუნისტური სალამით

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. 21 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით,
რომელიც ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

264

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს

ამხ. გორბუნოვ! ეს ბონჩ-ბრუევიჩი (ვლ. დიმ. ბონჩ-ბრუევიჩის ნათესავი არ არის, მხოლოდ თანამოგვარეა), ყველა შეფასების მიხედვით, **უაღრესად თვალსაჩინო** გამომგონებელია. საქმე **გიგანტური მნიშვნელობისაა** (გაზეთი უქაღალდოდ და უმავთულოდ, ვინაიდან რუპორით და ბ.-ბრუევიჩის მიერ ისე გაუმჯობესებული მიმღებით, რომ ადვილად ღავამზადებთ ასობით მიმღებს, მთელი რუსეთი მოისმენს მოსკოვში წაკითხულ გაზეთს).

ძალიან გთხოვთ

1) თვალი ადევნოთ სპეციალურად ამ საქმეს, გამოუძახოთ ხოლმე ოსტრიაკოვს და **ტელეფონით ელაპარაკოთ ნიუნის**

2) დაჩქარებით გაატაროთ მცირე საბჭოში დეკრეტის პროექტი, რომელიც ამასთან არის დართული. თუ ერთხმივობა მალე არ იქნა. აუცილებლად მოამზადეთ დიდ სახკომსაბჭოში სამშაბათისათვის

3) თვეში 2-ჯერ მაცნობეთ სამუშაოთა **მიმდინარეობა.**

ლენინი

26. I.

დაწერილია 1921 წ. 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

265

რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

6. II. 1921 წ.

ამხ. სკლიანსკი!

ამას ვურთავ კიდევ ერთ «გაფრთხილებას».

ჩვენი სამხედრო სარდლობა სამარცხვინოდ ჩაფლავდა, მახნო რომ გაუშვა (მიუხედავად ძალების გიგანტური სიჭარბისა და მკაცრი ბრძანებებისა მისი დაჭერის შესახებ), და ახლა კიდევ უფრო სამარცხვინოდ ფლავდება, როცა ვერ ახერხებს გასრისოს ერთი მუჭა ბანდიტები.

შეუკვეთეთ ჩემთვის მთავარსარდლის მ ო კ ლ ე მოხსენება (ბანდებისა და ჯარების განლაგების მოკლე სქემით) იმის შესახებ, თუ რა კეთდება.

როგორ იყენებენ სავსებით საიმედო ცხენოსან ჯარს?

— ჯავშნიან მატარებლებს? (ისინი რაციონალურად არიან თუ არა განლაგებული? **ტყუილად** ხომ არ მიდი-მოდიან და ართმევენ პურს?)

— ჯავშნოსნებს?

— აეროპლანებს?

როგორ და რამდენს იყენებენ მათ?

პურიც და შეშაც. ყველაფერი იღუპება ბანდების გამო, ჩვენ კი მილიონიანი არმია გვყავს. მთელი ძალით უნდა შევაგონოთ მთავარსარდალს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

266

Გ. მ. კრჟიჟანოვსკის

საიდუმლოდ

გ. მ.!

გადაათვალიერეთ, მიიღეთ ცნობად. მაშინვე დააბრუნეთ საიდუმლოდ.

გეგმის შესახებ მილიუტინი სისულელეს წერს [284]. ყველაზე დიდი საფრთხეა სახელმწიფო მეურნეობის გეგმის საქმის გაბიუროკრატიულება.

ეს უდიდესი საფრთხეა. მას ვერ ხედავს მილიუტინი.

ძალიან ვშიშობ, რომ, სხვანაირად უდგებით რა საქმეს, თქვენც ვერ ხედავთ მას.

ჩვენ ლატაკნი ვართ. მშიერი, გაჩანაგებული ლატაკნი.

მთელი, მთლიანი, ნამდვილი გეგმა ჩვენთვის ახლა = «ბიუროკრატიული უტოპიაა».

ნუ გამოედევნებით მას.

ნუ დააყოვნებთ ნურც ერთ დღეს, ნურც ერთ საათს, ახლავე ნაწილ-ნაწილ გამოჰყავით უმნიშვნელოვანესი, საწარმოთა მინიმუმი, და დაიყენეთ იქ საქმე.

ამაზე პირადად მოვილაპარაკოთ თქვენ მოხსენებამდე. **მოიფიქრეთ.**

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 19 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მეშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

267

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

25. II.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

საერთო-საგეგმო კომისიის საკითხის შესახებ.

(1) საერთოდ მისი შემადგენლობა — შევათანხმებთ თქვენი ჩამოსვლის შემდეგ. ეს ძნელი არ არის.

(2) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ლარინი ჯერ-ჯერობით დატოვოს. მისგან უდიდესი საფრთხეა მოსალოდ-ნელი, ვინაიდან ეს კაცი თავისი ხასიათით ფუშავს ყოველ მუშაობას, ხელთ იგდებს ძალაუფლებას, აყირავებს ყველა თავმჯდომარეს, ერეკება სპეცებს, გამოდის **(თუმცა ამის ოდნავი უფლებაც არა აქვს)** «პარტიის» სახელით და სხვ.

თქვენ გეკისრებათ **მძიმე** ამოცანა — დაიმორჩილოთ, დისციპლინიანი გახადოთ, ზომიერი გახადოთ ლარინი. გახსოვ-დეთ: როგორც კი «დაიწყებს» იგი ჩარჩოებიდან ამოხტომას, გამოეშურეთ ჩემთან (ან წერილი გამომიგზავნეთ). თორემ ლარინი გადააყირავებს მთელ საერთო-საგეგმო კომისიას.

(3) თქვენ საერთო-საგეგმო კომისიაში უნდა შექმნათ უაღრესად მტკიცე პრეზიდიუმი (აუცილებლად ულარინოდ), რათა ორგანიზატორები და მტკიცე ადა-მიანები (რომლებსაც შეუძლიათ სრული წინააღმდეგობა გაუწიონ ლარინს და მტკიცედ ეწეოდნენ მძიმე მუშაობას) გეხმარებოდნენ თქვენ და ჩამოგაშორონ **ადმინისტრაციული** მუშაობა (ცენტრალურ კომიტეტში აღი-ნიშნა, რომ თქვენ ხომ არსებითად ადმინისტრატორი არა

ხართ). პრეზიდიუმი, იქნებ, თქვენი 2 თანაშემწე, 1 მდივანი და სხვ.. თქვენ უნდა იყოთ საქმის «სული და გული» და ი დ ე უ რ ი ხელმძღვანელი (გახსაკუთრებით იგერიებდეთ, იშორებდეთ უ ტ ა ქ ტ ო კომუნისტებს, რომლებსაც შეუძლიათ გარეკონ სპეცები)... თქვენი ამოცანაა გამონახოთ, გამოჰყოთ, ს ა მ უ შ ა ო მ ი უ ჩ ი ნ ო თ ნიჭიერ ორგანიზატორებს, ადმინისტრატორებს (როგორიც არის ოსადჩი და სხვ.), — რ კ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ს მ ი ს ც ე თ **შესაძლებლობა, მონაცემები, მასალა, მათი შეფასებისათვის.**

(4) **«გოელრო», როგორც** გოელრო, ჩემი აზრით, თქვენ უნდა აღადგინოთ როგორც საერთო-საგეგმო კომისიის **ქვეკომისია.** თქვენვე იქნებით თავმჯდომარე ამ ქვეკომისიისაც.

(5) თქვენ მოგიხდებათ შექმნათ მთელი რიგი ქვეკომისიები: ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ, როცა გექნებათ მათი გეგმა.

(6) განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქვეკომისიას, რომელიც

შეისწავლის

შეამოწმებს

და

«დააკავშირებს», შეათანხმებს,

შეიტანს წინადადებებს

მ ი მ დ ი ნ ა რ ე სამეურნეო გეგმების შეცვლის შესახებ (ამჟამად 1921 წლისათვის).

ამ ქვეკომისიაში აუცილებლად შეყვანილ უნდა იქნეს ლარინი, მაგრამ 1) არა თავმჯდომარედ და არა თავმჯდომარის ამხანაგად და არა მდივნად; 2) ი გ ი გაწონასწორებულ უნდა იქნეს, ვთქვათ, სერედათი, როგორც სიდინჯის, არაფანტასტიკურობის, ზომიერების ნიმუშით.

(7) ჩემი წინადადებაა მოფიქრებულ იქნეს ასეთი გეგმა (იგი უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია): დაევალოს **რამდენიმე** კაცს, **საერთო-საგეგმო კომისიის** წევრებს, სისტემატურად წარუდგინონ ხოლმე ან ამ კომისიას, ან § 6-ის **ქ ვ ე კ ო მ ი ს ი ა ს ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი დ ა ს ტ ა ტ ი ე ბ ი** სხვა-

დასხვა უწყების მიერ (და სხვადასხვა გუბერნიების, მაზრების, ჯგუფების, საწარმოების და სხვ. მიხედვით) მიმდინარე სამეურნეო გეგმების შესრულების შესახებ

და ამ შეასრულების შედარების შესახებ

სხვადასხვა წლის მიხედვით

და «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» დასაბეჭდად. (მე უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ლარინი აუცილებლად, აგრეთვე სერედა, პოპოვი, სტრუმილინი ფორმალურად ვალდებული იყვნენ უაღრესად აკურატულად ადევნონ თვალყური ჩვენი სამეურნეო გეგმების **ნამდვილი** შესრულების ფაქტებსა და ციფრებს **და ქრონიკულად ბეჭდონ** «ეკ. ჟ.-ში» საჯარო კრიტიკისა და შემოწმებისათვის. შეიძლება სპეციებიდანაც 2—3 დავაყენოთ ამ სამუშაოზე. სავალდებულოა, რომ თვითეული ინდივიდუალურად აგებდეს პასუხს შესწავლისა და შემოწმებისათვის; და რომ ამ სამუშაოს თვითეულ ნაწილზე იჯდეს ორი პირი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ურთიერთის შესამოწმებლად და ანალიზის, ნაკრები ცნობების შედგენის სხვადასხვა მეთოდების საცდელად და სხვ.)

იფიქრეთ ყოველივე ამაზე და **არა ერთხელ**
ვილაპარაკოთ თქვენი ჩამოსვლის შემდეგ.

სალამი! ლენინი

დაწერილია 1921 წ. 25 თებერვალს

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

268

დეპეშა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

პირი კავკასიის ფრონტის რევოლუციურ
სამხედრო საბჭოს
პირი საქართველოს რევკომს
პირი ამხ. ორჯონიკიძეს

იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 10 მარტს
«პრავდა» გრუზიი» № 13,
1921 წ. 17 მარტი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

269

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

გ. მ.!

გიბრუნებთ თქვენს სიტყვას [285].

მისი მთავარი ნაკლია: ძალიან ბევრია ნათქვამი ელექტრიფიკაციის შესახებ, ძალიან ცოტა მ ი მ დ ი ნ ა რ ე სამეურნეო გეგმების შესახებ.

მთავარი ყურადღება იმას როდი აქვს მიქცეული, რასაც უნდა ჰქონდეს.

როცა ჩემ წინ მყავდა კომუნისტი «ჭკუის კოლოფები». რომლებსაც არ წაეკითხათ წიგნი «ელექტრიფიკაციის გეგმა» [286], რომლებიც ვერ მიმხვდარიყვნენ მის მნიშვნელობას და ლაყბობდნენ და წერდნენ სისულელეებს საერთოდ გეგმის შესახებ, მათთვის ცხვირი უნდა ჩამეყოფინებინა ამ წიგნში, ვინაიდან სხვა სერიოზული გეგმა არ არის და არც შეიძლება იყოს [287].

როცა წინ მყავს ამ წიგნის დამწერი ადამიანები, მე მათ ცხვირს ჩავაყოფინებდი არა ამ წიგნში, არამედ სხვა რამეში, — მ ი მ დ ი ნ ა რ ე სამეურნეო გეგმების საკითხებში.

ახლა ამ საკითხებს მოჰკიდეთ ხელი, ბატონო პროფესორებო! თქვენი ელექტრიფიკაცია in allen Ehren! * მასვე დიდება, — დიდება. 1-ლი გამოცემა ხომ დაწერეთ. შევასწორებთ, გამოვუშვებთ მე-2-ეს. ამა და ამ ქვეკომისიის სპეცები დაწერენ ათეულ დეკრეტსა და დადგენილებას ელექტრობის და ელექტრიფიკაციის გეგმის სწავლების შესახებ და სხვ.. ჩვენ ამას დავამტკიცებთ.

---

* სრულ პატივშია! რ ე დ.

ხოლო სახელმწიფოს საერთო-საგეგმო კომისია ახლა ამაზე კი არ უნდა მუშაობდეს, არამედ დაუყოვნებლივ მთელი ძალებით უნდა მოჰკიდოს ხელი **მიმდინარე** სამეურნეო გეგმებს.

სათპობი **დღეს**. 1921 წლისათვის. ახლა, გაზაფხულზე.

ხარახურის, ნარჩენების, მკვდარი მასალების შეგროვება. მათი გამოყენება პურზე **გადასაცვლელად.**

და სხვა ამგვარი.

ამაში უნდა ჩავაყოფინოთ «მათ» ცხვირი. ეს უნდა მივუჩინოთ მათ საქმედ.

ახლა. დღეს.

1 — 2 ქვეკომისიას ელექტრიფიკაცია.

9 — 8 ქვეკომისიას მიმდინარე სამეურნეო გეგმები. აი როგორ უნდა განაწილდეს ძალები 1921 წლისათვის.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წ. 5 აპრილზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

270

განათლების სახალხო კომისარიატს

8. IV. 1921 წ.

ამხანაგებს ლუნაჩარსკის, პოკროვსკის და ლიტკენსს

მრავლდება ნიშნები, რომ მუშაობის სისტემატურობისა და გეგმაშეწონილობის მხრივ განსახკომში საქმე არ უმჯობესდება, წინაალმდეგ ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დავალებებისა განსახკომის რეორგანიზაციის დროს.

როდის იქნება შემუშავებული მუშაობის ძირითადი გეგმა? ამ გეგმაში რა საკითხები შევა? ისეთები ხომ არა, როგორიცაა სახელმძღვანელოების შედგენა, — საბიბლიოთეკო ქსელი და მისი გამოყენება, — სანიმუშო სკოლები, — მასწავლებელთა ანგარიშგება, — კურსების, ლექციების, სასკოლო მეცადინეობის პროგრამები, — კონტროლი პროგრამების ფაქტიური შესრულების ხარისხისა და სასწავლო მეცადინეობის მიმდინარეობისადმი?

თუ სხვა საკითხები? რომელი საკითხები?

რომელი საკითხებია აღიარებული უმნიშვნელოვანეს, დამკვრელურ საკითხებად?

არის თუ არა დადგენილებანი ამის შესახებ? შესრულებისადმი სისტემატური მეთვალყურეობის რა ღონისძიებებია?

გთხოვთ მოკლედ მიპასუხოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

271

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

ორჯონიკიძეს

მივიღე თქვენი დაშიფრული დეპეშა, რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალებანი. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ძალიან გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგეხმაროთ. დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის, მთელი ძალებით დააწვეთ კონცესიებს, განსაკუთრებით საქართველოში; შეეცადოთ იყიდოთ თესლი თუნდაც საზღვარგარეთ და წინ წასწიოთ რწყვა აზერბაიჯანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რათა განვითარდეს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, აგრეთვე შეეცადოთ განავითაროთ საქონელგაცვლა ჩრდილოეთ კავკასიასთან. თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა შეითვისეთ თუ არა მნიშვნელობა ჩვენი ახალი პოლიტიკისა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და უფრო ხშ-რად მიგზავნეთ ცნობები; წაიკითხეთ ჩემი წერილი, რომელიც სერებროვსკის ბაქოში მივწერე.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 9 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

272

განათლების სახალხო კომისარიატს

ანატოლი ვასილის-ძე ლუნაჩარსკის
პირი «გლავტორფს»

ტორფის მოპოვება რომ განვავითაროთ, საჭიროა ფართოდ დავაყენოთ პროპაგანდა — ფურცლები, ბროშურები, მოძრავი გამოფენები, კინემატოგრაფიული გადაღება, სახელმძღვანელოების გამოცემა; სკოლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შემოვიღოთ სავალდებულო საგანი ტორფის მოპოვების შესახებ; შევადგინოთ სახელმძღვანელოები; ყოველწლიურად გავგზავნოთ ექსკურსია საზღვარგარეთ.

კონკრეტულად საჭიროა: 1) დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას 15 აპრილისათვის 100 000 ცალად დაბეჭდოს თაბახნახევრიანი ბროშურა «ტორფი», რომელიც «გლავტორფმა» ა. წ. 8 თებერვალს სააგიტაციო განყოფილებაში ამხ. მორდვინკინს ჩააბარა, და «გლავტორფისაგან» დასაბეჭდად მიიღოს კიდევ სამი ბროშურა და ფურცლები იმ პირობით, რომ მათ 1 მაისისათვის გამოუშვებს; «გლავტორფს» გასავრცელებლად უნდა მიეცეს 15 000 ბროშურა.

2) დაევალოს კინოგანყოფილებას მაისის განმავლობაში გადაიღოს — «გლავტორფის» ხელმძღვანელობით — ტორფის მოპოვების 12 ლენტი (რუსეთისათვის, უკრაინისათვის, ურალისათვის, ბელორუსიისა და ციმბირისათვის).

3) დაევალოს პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს «გლავტორფთან» ერთად 1 ივნისისათვის შეიმუშაოს პროექტი ტორფის მოპოვების სავალდებულო კურსისა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

გთხოვთ გამომიგზავნოთ თქვენი განკარგულებების პირები და სათანადო დაწესებულებათა და პირთა პასუხები ვადის აღნიშვნით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. 9 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

278

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

12. IV.

გ. მ.!

გუშინ ველაპარაკე სმილგას. ის თქვენ დღეს უნდა გელაპარაკოთ.

სახელმწიფო გეგმის არა როგორც დაწესებულების, არამედ როგორც **გ ე გ მ ი ს**, ძირითადი ნიშნების საკითხი გადაუდებლად დგას.

ახლა თქვენ იცით სასურსათო გადასახადი და სხვა დეკრეტები. აი ინებეთ პოლიტიკა. თქვენ კი რაც შეიძლება ზუსტად იანგარიშეთ (სხვადასხვა მოსავლის შემთხვევისათვის). ამას რამდენის მოცემა შეუძლია.

კიდევ განუზომლად უფრო საჩქაროა: სათბობი. ჩაშლილია დაცურება. ასეთი გაზაფხულის პირობებში მოუსავლიანობა ჩაშლის მიზიდვას.

რამზინმა და კომპანიამ ორიოდე დღეში მომცეს **მ ო კ ლ ე** შედეგები:

3 ციფრი (შეშა, ქვანახშირი, ნავთი)

ნახევარი წლების მიხედვით 1918???

19

20

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ *21*

და გეგმა 22-სათვის

სათბობის გეგმა 1920 წლისათვის

4 ციფრი: ნავარაუდევი იყო?

მიღებულია?

როგორ უნდოდათ გაენაწილებინათ ნავარაუდევი (მხოლოდ მთავარი რუბრიკების მიხედვით)?

როგორ გაანაწილეს მიღებული?

ხუთშაბათს დილისათვის. ამის მიხედვით გადავწყვეტ საგარეო ვაჭრობის შესახებ. დღეს შეუკვეთეთ. ხვალ მოვილაპარაკოთ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 12 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საჭონელგაცვლა და გეგმიანი მუშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

274

Გ. მ. ᲙᲠᲟᲘᲟᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ

Გ. მ.!

დავალება ნათელია თუ არა?
უნდა ვივარაუდოთ, რომ 1921 — 1922-ს გვაქვს
ისეთივე ან უფრო ძლიერი
მოუსავლიანობა
სათბობის უქონლობა (სურსათის და ცხენებისათვის საკვების ნაკლებობის გამო).

ამ თვალსაზრისით უნდა ვიანგარიშოთ, რა შესყიდვებია საჭირო საზღვარგარეთ, რათა რადაც უნდა დაგვიჯდეს დავძლიოთ უაღრესად მწვავე გაჭირვება, ე. ი. აუცილებლად მივიღოთ სურსათი, რომელიც გვაკლია (ცვების საგნების პირდაპირი შესყიდვით საზღვარგარეთ და პურზე გადაცვლით რუსეთის განაპირა კუთხეებში)

და მივიღოთ სათბობის საჭირო minimum-ი.

მხოლოდ ის განაცხადები შეიძლება გამართლებულ იქნეს და კიდეკაც უნდა იქნეს გამართლებული, რომლებიც აუცილებელია ამ თვალსაზრისით.

ამას ელექტრობის შესახებ წარდგენილი ყველა განაცხადი როდი შეესაბამება. საკმარისი როდია იმის დამტკიცება, რომ ელექტრობა სათბობს ზოგავს.

ამასთანავე დამტკიცებულ უნდა იქნეს, რომ **მოცემული** ხარჯი საჭიროა **1921—22 წლ-ისათვის** პურისა და სათბობის მაქსიმალური უქონლობის პირობით.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 13 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: ვ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მეშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

275

ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლიტკენს! თქვენთან შეხვედრისას დამავიწყდა მეთხოვა შეგემოწმებინათ, რა მდგომარეობაშია საქმე მეცნიერთა კომისიისა, რომლებიც **თანამედროვე** (პუშკინიდან გორკიმდე) რუსული ენის ლექსიკონს (მოკლე ლექსიკონს) ადგენენ.

მე დიდი ხანია, ბევრჯერ შევთანხმებივარ ამის შესახებ პოკროვსკისა და ლუნაჩარსკის.

კეთდება თუ არა? სახელდობრ რა? გამიგეთ და ზუსტად მომწერეთ.

კომ. სალ. ლ ე ნ ი ნ ი

6. V.

დაწერილია 1921 წ. 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

276

«პრავდის» რედაქციას და «იზვესტიის» რედაქციას

9. V. 1921 წ.

ვთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ «პოსლედნიე ნოვოსტის» (პარიზი) № 309-ის სტატიას:

«მილიუკოვი და ავქსენტიევი ამერიკელებთან».

საჭიროა სისტემატურად აღნიშნავდეთ ასეთ სტატიებსა და შენიშვნებს; ისინი აუარებელია; ბეჭდავდეთ **ნაკრებ ცნობებს** მათ შესახებ, შეაგონებდეთ ჩვენს უწყებებსა და მუშათა და გლეხთა მკითხველ მასას,

> რომ უფრო ჭკვიან თეთრგვარდიულ ბურჟუაზიას ჩინებულად ესმის კონცესიებისა და საზღვარგარეთთან ვაჭრობის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

და ამიტომ ახლა თავის **მთავარ** ამოცანად ისახავს ჩაშალოს რსფს რესპუბლიკის სავაჭრო ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან, ჩაშალოს კონცესიების პოლიტიკა.

გთხოვთ მომწეროთ ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.

კომ. სალ. ლ ე ნ ი ნ ი.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

277

მ. სოკოლოვს

პოლონეთიდან ევაკუირებული ქონების საქმეთა სამმართველოს მდივანს, ამხ. მ. სოკოლოვს

16. V.

პატივცემულო ამხანაგო!

მივიღე და წავიკითხე თქვენი პროექტი მოხსენებისა 18/V-თვის. თქვენ წერთ, რომ მე «წერით გატაცებული» ვარ. ერთი მხრივ, ტყის, მიწის და სხვ. იჯარით გაცემით სახელმწიფო კაპიტალიზმი დავნერგოთო, — ხოლო მეორე მხრივ, — «ლაპარაკობს» (ლენინი) «მემამულეთა ექსპროპრიაციაზე».

ეს თქვენ წინააღმდეგობად გეჩვენებათ.

სცდებით. ექსპროპრიაცია რუსულად ნიშნავს **საკუთრების** ჩამორთმევას. მოიჯარე მესაკუთრე როდია. მაშასადამე, წინააღმდეგობა არ არის.

კაპიტალიზმის დანერგვა (ზომიერად და უნარიანად, როგორც არა ერთხელ მაქვს ნათქვამი ჩემს ბროშურაში [289]) შესაძლებელია, მემამულეებისათვის საკუთრების დაუბრუნებლად. იჯარა ვადიანი ხელშეკრულებაა. საკუთრებაც და კონტროლიც ჩვენია, მუშათა სახელმწიფოსი.

«რომელი სულელი მოიჯარე დახარჯავს სახსრებს საინიმუშო დაყენებისათვის, — წერთ თქვენ, — თუ მას მოსვენებას არ მისცემს ფიქრი ექსპროპრიაციის შესაძლებლობის შესახებ»...

ექსპროპრიაცია ფაქტია და არა შესაძლებლობა. ეს დიდი განსხვავებაა. სანამ ფაქტიური ექსპროპრიაცია მოხდებოდა, არც ერთი კაპიტალისტი არ დაანხმდებოდა ემსახურა ჩვენთან, მოიჯარედ. ახლა კი

«მათ», კაპიტალისტებმა, სამი წელიწადი იომეს, ჩვენთან ომში გაანიავეს თავიანთი (და ინგლისელ-ფრანგების: ესენი კი პირველი მდიდრები არიან მსოფლიოში) ასეულ მილიონობით მანეთი ოქროთი. ახლა ისინი გაჭირვებულად ცხოვრობენ საზღვარგარეთ. რა არჩევანი აქვთ? რატომ არ უნდა დათანხმდნენ ხელშეკრულებას: 10 წლით ჰაიღებ საკმაოდ კარგ შემოსავალს, არა და... საზღვარგარეთ გინდა ამოგხდეს სული? ბევრი შეყოყმანდება. 100-დან ხუთმა რომ სცადოს, ისიც კარგია.

თქვენ წერთ:

«მასების თვითმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირისაგან მიწისა აღვგვით იმ მუწუკს, რომელსაც ბიუროკრატიული მთავარი სამმართველოები და ცენტრები ეწოდება».

თუმცა ადგილებზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი ეს ბიუროკრატიზმი და მთელი მისი მავნეობა. თქვენი შეცდომაა ფიქრი, რომ იგი შეიძლება, როგორც «მუწუკი», ერთბაშად ჰოსპობილ იქნეს, «აღიგავოს პირისაგან მიწისა».

ეს შეცდომაა. შეიძლება გავაგდოთ მეფე, — გავრეკოთ მემამულეები — გავრეკოთ კაპიტალისტები. ეს გავაკეთეთ. მაგრამ ვერ «გაადგებ» ბიუროკრატიზმს გლეხურ ქვეყანაში, ვერ «აღგვი პირისაგან მიწისა». იგი შეიძლება შეამცირო მხოლოდ ნელი, ბეჯითი შრომით.

«ბიუროკრატიული მუწუკის» «მოშორება», როგორც თქვენ სხვა ადგილას ამბობთ, — ეს სწორი არ არის საკითხის თვით დაყენების მხრივ. ეს საკითხის გაუგებლობაა. ასეთი მუწუკის «მოშორება» არ შეიძლება. მას შეიძლება მხოლოდ ვუმკურნალოთ. ქირურგია ამ შემთხვევაში აბსურდია, შეუძლებლობაა; მხოლოდ ნელ-მკურნალობა — ყოველივე დანარჩენი თვალთმაქცობა ან გულუბრყვილობაა.

თქვენ სწორედ გულუბრყვილო ხართ, მომიტევეთ გულახდილობა. მაგრამ თვითონვე წერთ, რომ ახალგაზრდა ხართ.

გულუბრყვილობაა ხელი ჩაიქნიოთ მკურნალობაზე და იმოწმებდეთ იმას, რომ 2 — 3-ჯერ სცადეთ ბიუროკრატებთან

ბრძოლა და დამარცხდით. ჯერ-ერთი, გიპასუხებთ ამ თქვენს წარუმატებელ ცდაზე, — ჯერ-1, საჭიროა არა 2 — 3-ჯერ, არამედ 20 — 30-ჯერ სცადოთ, გაიმეოროთ, თავიდან დაიწყოთ.

მე-2, სად არის დამტკიცებული, რომ თქვენ სწორად, ოსტატურად იბრძოდით? ბიუროკრატები მარჯვე არიან, მათგან ბევრი არამზადა უდიდესი გაიძვერაა. შიშველი ხელებით მათ ვერაფერს დააკლებ. სწორად იბრძოდით თუ არა? სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით შ ე მ ო ე რ ტ ყ ი თ თუ არა «მტერს»? მე არ ვიცი.

ენგელსსაც ამაოდ იმოწმებთ. ეს დამოწმება რომელიმე «ინტელიგენტმა» ხომ არ გიკარნახათ? ამაო დამოწმებაა, თუ უფრო უარესი არა, ვიდრე ამაო. დოქტრინერობის სუნი უდის. სასოწარკვეთილებას ჰგავს. ჩვენთვის კი სასოწარკვეთილება ან სასაცილოა, ან სამარცხვინო.

გლეხურ და უაღრესად გამოფიტულ ქვეყანაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ხანგრძლივ დროს მოითხოვს, და ამ ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ მტკიცედ, სულით არ დავეცეთ პირველი წარუმატებლობის გამო.

«მთავარი სამმართველოები» «მ ო ვ ი შ ო რ ო თ»? უბრალო საქმეა. თქვენ რას დააყენებთ მათ ნ ა ც ვ ლ ა დ? თქვენ ეს არ იცით. კი არ უნდა მ ო ვ ი შ ო რ ო თ, არამედ უნდა ვწმინდოთ, ვუმკურნალოთ, ვუმკურნალოთ და ვწმინდოთ ათჯერ და ასჯერ. და სულით არ დავეცეთ.

თქვენს მოხსენებას თუ წაიკითხავთ (მე აბსოლუტურად არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო). გთხოვთ წაიკითხოთ ჩემი წერილიც თქვენდამი.

ხელს გართმევთ და გთხოვთ არ გაიკაროთ «სული მჭმუნვარებისა».

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 16 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 1 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

278

ე. ა. ლიტკენსს

ისარგებლეთ პოკროვსკის დასვენებით, რათა არ დატვირთოთ იგი ადმინისტრირებით და შეუდგეთ მუშაობას რუსული ენის ლექსიკონის შესადგენად.

1) დანიშნეთ 3—5 საუკეთესო ფილოლოგის კომისია. მათ 2 კვირაში უნდა შეიმუშაონ გეგმა და შემადგენლობა საბოლოო კომისიისა (მუშაობისათვის), მისი შემადგენლობისა. ვადისა და სხვ.

2) დავალება — რუსული ენის (პუშკინიდან გორკიმდე) მოკლე ლექსიკონი (ნიმუშია მცირე «ლარუსი»). სანიმუშო, თანამედროვე. ახალი მართლწერით.

3) მათი (3—5) მოხსენების მიხედვით სამეცნიერო-აკადემიურმა ცენტრმა უნდა დაამტკიცოს. მაშინ შემოდგომისათვის დავიწყებთ.

დაწერილია 1921 წ. 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

279

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

25. V.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

თქვენთვის უნდა გამოეგზავნათ «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესის» პ რ ო ე ქ ტ ი[289].

მოიფიქრეთ თვითონ (და პრეზიდიუმმა — გაცნობით კი სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა წევრს უნდა გააცნოთ) 2 თვალსაზრისით:

ა) იქ არის თქვენი «უწყების» საკითხები: ელექტრიფიკაცია და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ადგილობრივი ორგანოები. აქ საჭიროა დეტალურად გაარჩიოთ და შეისწავლოთ ყველამ, რათა დ ა ა ზ უ ს ტ ო თ და შ ე ა ვ ს ო თ (resp.* შეცვალოთ) დეტალური ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს სია.

ბ) დანარჩენი არ არის უწყებრივი სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის, მაგრამ ბ ე ვ რ ი რ ა მ არსებითად სახელმწიფო საგეგმო კომისიას ეხება. სასურველია (სავალდებულო არ არის) სახელმწიფო საგეგმო კომისიის აზრი.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ხომ არ ფიქრობთ, რომ საბაზრო ანგარიშების და საერთოდ ყველა სამეურნეო ანგარიშის შესასწავლად უნდა გამოიყოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრთა ჯგუფი? ან სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა წევრს დაურიგდეს რამდენიმე ანგარიში და დ ა ე ვ ა ლ ო ს წ ა ი კ ი თ ხ ო ნ დ ა შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ნ?

---

* — respective — ან. რ ე დ.

სხვათა შორის: მიმდინარე სამეურნეო გეგმების (1921 წელი) შესწავლა აუცილებლად ინდივიდუალიზებულ უნდა იქნეს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თვითეული წევრი პასუხს აგებს ამ სამუშაოს ამა და ამ მხარისა ან ნაწილისათვის. და პირიქით: 1921 წლის სამეურნეო მუშაობის თვითეული მხარისა თუ ნაწილისათვის მიმდინარე გეგმის თვალსაზრისით პასუხს აგებს, შესწავლის აზრით, ესა და ეს პირი. ეს აუცილებლად გამომიგზავნეთ.

დაწერილია 1921 წ. 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მუშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

280

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

26. V. 1921 წ.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

მე ვფიქრობ, საჭიროა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 2 რამ გამოიმუშაოს:

1) სტატისტიკური ქვეკომისიის საშუალებით შეადგინოს თავისებური index-number *.

ჩვენი სამეურნეო ცხოვრების მთავარი მონაცემების ყოველთვიური შეჯამება (ციფრები და მრუდი). მაგალითად:

მოპოვება სათბობისა

» მადნისა

» რკინისა

მთავარი მონაცემები მრეწველობის სხვა დარგების შესახებ:

% წარმოებაში მომუშავე მუშებისა;

% დაუთესავად დარჩენილი მიწებისა;

სამიწათმოქმედო წარმოების მდგომარეობა;

% ავადმყოფი ორთქლმავლებისა; ფუთვერსების აბსოლუტური ოდენობა; ხე-ტყე; შეშა და ა. შ.; სურსათით უზრუნველყოფა და ა. შ.; აგრეთვე ელექტრიფიკაცია (მუდამ შედარება წინა წელთან და ომამდელ დროსთან).

უამისოდ არ გვექნება სამეურნეო ცხოვრების მიმოხილვა.

ეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის ერთ-ერთი ბაზაა.

2) **სამეურნეო**-სტატისტიკური ქვეკომისია.

---

* — რიცხვი-მაჩვენებელი. რ ე დ.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უნდა გავხადოთ ანალიზის ორგანოდ ჩვენთვის, მ ი მ დ ი ნ ა რ ე და არა «მეცნიერული» ანალიზისა. მაგალითად:

ზედმეტს რამდენს ვკვებავდით?

რამდენი ფაბრიკაა ზედმეტი?

როგორ უნდა გადავანაწილოთ ნედლეული? მუშახელი?

არმიის სამეურნეო მუშაობა?

სტატისტიკოსები ჩვენი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი **თანაშემწეები** **უ**ნდა იყონ და არა სქოლასტიკოსები.

იფიქრეთ და შედეგი მომწერეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მუშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

281

დეპეშა ფ. ე. ძერჟინსკის

ს ა ს წ რ ა ფ ო დ

სამხრეთი ოლქი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ძ ე რ ჟ ი ნ ს კ ი ს, ადგილსამყოფელის მიხედვით.

პირი: მოსკოვი, ვ ო ი ნ ო ვ ს, ტრანსპორტის ნგრევის წინააღმდეგ მებრძოლ სამეულს

ყველა უკრაინელი ამხანაგი დაჟინებით მოითხოვს, რომ უკრაინაში გაძლიერდეს ბრძოლა მეტომრეობის წინააღმდეგ, რომელიც დანგრევას უქადის რესპუბლიკის ცენტრების დამშეულთათვის პურის დამზადებას, რაც დაიწყო და უკვე კარგ შედეგებს იძლევა. გთხოვთ გაძლიერებული ყურადღება მიაქციოთ და მაცნობოთ, იღებთ თუ არა სასწრაფო ღონისძიებებს, სახელდობრ რა ღონისძიებებს და როგორია მათი შედეგები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 27 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

282

«გლავტოპს»

პირი «გლავნეფტს»
პირი ამხ. გ უ ბ კ ი ნ ს

პრესაშიც და ადგილებიდან მიღებულ ინფორმაციებშიც სულ უფრო ხშირდება ცნობები, რომ ბაქოში საქმე უარესდება.

საჭიროა გაძლიერდეს ბაქოსადმი ყურადღება და მზრუნველობა.

გთხოვთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი შემოიტანოთ ბაქოსადმი დახმარების სისტემატურ ღონისძიებათა პროგრამა, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს საზღვარგარეთ შესყიდვები.

უნდა დავაწესოთ მუდმივი «მეთვალყურეობა» იმისადმი, თუ რა ხდება ბაქოში და **ჩვენ რით ვეხმარებით.**

დავაწესოთ მოკლე შედეგი ორივე მუხლის მიხედვით (ა: რ ა ა რ ი ს; ბ: რ ა მ ი ვ ე ც ი თ) და განუწყვეტლივ ვადევნოთ თვალყური.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 27 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

288

მ. პ. პავლოვიჩს

ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი ამხ. პავლოვიჩს

31. V. 1921 წ.

ამხ. პავლოვიჩ!

მე შეპირებული მაქვს სასწავლო ატლასის გამოცემა (პიტერში) [290].

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის რუკების დართვას.

თქვენ ხომ არ მოჰკიდებთ ხელს ამ საქმეს?

მაგალითად: 1) კოლონიური სამფლობელოები 1876 — 1914 — 1921, დართული ექნება ან განსაკუთრებულად იქნება დაშტრიხული ნახევრადკოლონიური ქვეყნები (თურქეთი, სპარსეთი, ჩინეთი და სხვ.).

2) კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების მოკლე სტატისტიკა,

3) ფინანსურ დამოკიდებულებათა რუკა. მაგალითად, თვითეულ ქვეყანაზე ± ციფრით (მილიონი ან მილიარდი ფრანკი), რამდენი მართებს ამ ქვეყანას, და რამდენი მართებთ მისი;

აგრეთვე შედარებით 1876 — 1914 — 1921

(თუ 1876-ს ავიღებთ, როგორც მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის კულმინაციურ პუნქტს).

4) მსოფლიოს რკინიგზები იმის აღნიშვნით, თვითეულ ქვეყანაში, თუ ვის მეტი ეკუთვნის (ინგლისელებს, ფრანგებს, ჩრდილოეთ ამერიკას და სხვ.).

ეს მეტისმეტად ჭრელი გამოვა? შეიძლება მოინახოს მოხერხებული ფორმები, მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი აღინიშნოს ძალიან შემოკლებით.

5) იმ ნედლეულის მთავარი წყაროები, რომლის გამო წარმოებს ბრძოლა (ნავთი, მადნეული და სხვ.)— აგრეთვე აღნიშვნებით (% ან მილიონი ფრანკი ეკუთვნის ამა და ამ ქვეყანას).

სახელმძღვანელოებში აუცილებლად უნდა ჩავურთოთ ასეთი რუკები, რა თქმა უნდა, მოკლე განმარტებითი ტექსტით.

დამხმარე სამუშაოსათვის შეიძლება მოგცეთ თანაშემწე სტატისტიკოსი.

გთხოვთ მიპასუხოთ, ჰკიდებთ ხელს თუ არა, როგორ და როდის.

კომ. სალამით სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის ძიხედვით

284

ე. ა. ლიტკენს

ამხ. ლიტკენს!

ლექსიკონის საკითხზე შევთანხმდეთ, მაშასადამე, ასე:

1) დაახლოებით ერთი თვის შემდეგ (პოკროვსკის არყოფნაში) გააკეთეთ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი დადგენილება და დანიშნეთ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი პ ი რ ი ან პ ი რ ე ბ ი.

2) ამ დადგენილების საფუძველზე შეადგინეთ მუშაობის გ ე გ მ ა არა მარტო პასუხისმგებელი პირების, არამედ აგრეთვე ხარჯებისა და ულუფების აღნიშვნით.

შესრულება, გეგმის მიხედვით, უნდა დაიწყოთ აგვისტოდან ან სექტემბრიდან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. მაისის ბოლოს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

236

ვ. ა. ავანესოვს

1. VI.

ამხ. ავანესოვ!

თქვენ უნდა შეადგინოთ ცირკულარი მუშგლეხინის [201] ყველა ადგილობრივი ორგანოსადმი ადგილობრივი ეკონომიური თათბირების გამო.

1) მოითხოვოთ თქვენთვის პ ი რ ა დ ი სია მუშგლეხინის ყველა წარმომადგენლისა ყველა ეკონომიურ თათბირში.

2) — სიის ყოველივე ცვლილება მაშინვე გეუწყოთ თქვენ.

3) მოითხოვოთ, რომ იყონ ან კომუნისტები ან უპარტიოები, **განსაკუთრებით და** პირადად რეკომენდებულნი საიმედოობისა და პატიოსნების მხრივ.

4) მკაცრად მოსთხოვოთ მათ ანგარიშგება **და განსაკუთრებით** იმ მხრივ, რომ მოიზიდონ უპარტიოები და მოუწყონ **მათ,** უპარტიოებს, მოხსენებები ეკონომიური საბჭოების მუშაობის შესახებ.

გაატაროთ ყოველივე ეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რათა ადგილები გემორჩილებოდნენ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 1 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

286

«ГЛАВНЕФТЬ»

«Главнефть»
ам х. Губкину

3. VI. 1921 წ.

ვათვალიერებდი ჟურნალს «ნეფტიანოე ი სლანცევოე ხოზიაისტვო» და № 1—4-ში (1921) წავაწყდი შენიშვნას (გვ. 199) «ნავთის ჭაბურღილების ბურღვის დროს ლითონის მილების ცემენტის ხსნარით შეცვლის შესახებ».

ეს თურმე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრუნვითი ბურღვის დროს. ასეთი კი ბაქოში გვაქვს, როგორც ბაქოელთა ანგარიშში წავიკითხე.

ბურღვის ნაკლებობით ვიღუპებით და ვღუპავთ ბაქოს.

რკინის მილები შ ე ი ძ ლ ე ბ ა შეიცვალოს ცემენტით და სხვ., რისი შოვნა მაინც უფრო ადვილია, ვიდრე რკინის მილებისა, და რაც, როგორც თქვენს ჟურნალშია აღნიშნული, «სრულიად უმნიშვნელო» თანხად ღირს!

და ასეთ ცნობას თქვენ მარხავთ უაღრესად მეცნიერული ჟურნალის პაწაწინა შენიშვნაში, ჟურნალისა, რომლის გაგება რსფს რესპუბლიკაში 1 000 000-დან 1 კაცს თუ შეუძლია.

რატომ დიდი ზარების რეკა არ ატეხეთ? არ გამოიტანეთ საერთო პრესაში? არ დანიშნეთ პრაქტიკოსთა კომისია? შრომისა და თავდაცვის საბჭოში არ გაატარეთ წამახალისებელი ღონისძიებანი?

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

287

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

არ ვიცი, ყველაფერია თუ არა გაკეთებული იმისათვის, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის წევრებს ელექტრიფიკაციის გეგმა გავაცნოთ.

თუ ყველაფერი არ არის გაკეთებული, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ 1 — 2 კვირაში უნდა გაკეთდეს.

გამოფენილ უნდა იქნეს (კონგრესის კულუარებში)

1) ელექტრიფიკაციის რუკა მოკლე ტექსტით 3 ენაზე

2) იგივე — რაიონული რუკები

3) ელექტრიფიკაციის ბალანსი { 370 მლნ. სამუშაო დღე, აგური, სპილენძი და სხვ. }

4) უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი, პატარა, ახალი სადგურების რუკა.

უნდა იყოს მ ო კ ლ ე (16 — 24 გვ.) ბროშურა 3 ენაზე, «ელექტრიფიკაციის გეგმის» კონსპექტი.

სამშაბათს 7/VI ვერ ვიქნები სახკომსაბჭოში.

თუ გამოყენების კომისიის საკითხი წავა, თ ვ ი თ ო ნ მოემზადეთ სერიოზული ბრძოლისათვის და შეიტანეთ ზუსტი წინადადებანი, რომ საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროთ ცენტრალურ კომიტეტში და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

საიდუმლოდ:

პიტერში აღმოჩენილია ახალი შეთქმულება. მონაწილეობდა ინტელიგენცია. არიან პროფესორები, რომლებიც ძალიან არ არიან დაშორებული ოსადჩის. ამის გამო მის ბევრ მეგობარს ჩხრეკენ და სამართლიანადაც.

სიფრთხილე!!!

დაწერილია 1921 წ. 5 ივნისს

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის **მიხედვით**

288

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

ორჯონიკიძეს

გაოცებული ვარ, რომ სტალინს დასვენებას არ აცლით[292]. სტალინმა კიდევ სულ მცირე 4 ან 6 კვირა უნდა დაისვენოს. წერილობითი დასკვნა გამოართვით კარგ ექიმებს.

შემატყობინეთ, რა კეთდება ბაქოსათვის და საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. ამის შესახებ თქვენი დუმილი საეჭვოა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 4 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

289

სასურსათო სახალხო კომისარიატს

10. VII.

ამხ. ბრიუხანოვ!

მივიღე ლობაჩოვის 9/VII-ის წერილი, რომელშიც აღნიშნულია პეტროგრადისა და მოსკოვის მომარაგების მკვეთრი გაუარესება.

მითითებებს თხოულობს.

ჩემი აზრით, თქვენ უნდა შეიმუშაოთ მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი.

ჩემი წინადადებაა

1) განსაკუთრებით სასწრაფო, დაკვრითი, **რევოლუციური** წესით, **დაუყოვნებლივ** დააწვეთ გადასახადის აკრეფას მოსკოვის გუბერნიაში (ჭვავი უკვე მომკეს). ამისათვის მოახდინოთ ნამდვილი მოსკოველი მუშების მობილიზაცია სასურსათო ორგანოებისათვის **დასახმარებლად.**

2) საერთოდ კიდევ მოახდინოთ მუშაკების მობილიზაცია სასურსათო დარგში მუშაობისათვის, **ძარცვოთ** სახალხო კომისარიატები, ოანახმად პოლიტბიუროს გუშინდელი გადაწყვეტილებისა (ამონაწერი აიღეთ).

3) ერთხელ კიდევ გაუგზავნოთ ზუსტი ბრძანებები უკრაინისა და ციმბირის სასურსათო სახალხო კომისარიატებს.

4) გაგზავნოთ საგანგებო ექსპედიცია (ცენტროსოიუზთან ერთად) **პოდოლსკის** გუბერნიაში, სადაც, ამბობენ, დიდძალი პურია და ფუთი საბჭოთა ფულით 6000 მანეთი ღირსო.

(საერთოდ ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ შესყიდვისა და საქონელგაცვლის დარგში სასურსათო სახალხო კომისარიატი **უმოქმედობას იჩენს** და უმსგავსოდ **ჩამორჩება.** არ არის ინიციატივა. არ არის გაბედული მუშაობა.)

კომ. სალამ. ლ ე ნ ი ნ ი

გთხოვთ მიპასუხოთ 11/VII.

დაწერილია 1921 წ. 10 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

292

ა. ა. კოროსტელევს

ამხ. კოროსტელევ!

თქვენი კომისიის საქმე [293] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პასუხსაგები და ძნელია.

მთელი ძალები უნდა დაძაბოთ, რათა რაც შეიძლება ნაკლები წარუმატებლობანი გქონდეთ; და სულით კი არ დაეცეთ წარუმატებლობათა გამო, არამედ მტკიცედ და მოთმინებით კვლავ და კვლავ განაგრძოთ მუშაობა. მოსკოვში გაცილებით უფრო ძნელია მუშაობა, ვიდრე პროვინციაში, — მეტია ბიუროკრატიზმი, მეტია გარყვნილი და განებივრებული «ზედაფენის» ადამიანები და სხვ.

მაგრამ სამაგიეროდ მოსკოვში მუშაობას უდიდესი სანიმუშო და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მნიშვნელობა ექნება.

ჩემი აზრით, თქვენმა კომისიამ უნდა სცადოს შეუფარდოს თავისი მუშაობა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესს».

მთავარია ყველაფერს არ გამოედევნოთ, არამედ სჯობს აიღოთ რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა, მცირე ამოცანები, თავდაპირველად დაისახოთ მცირე მიზნები, მაგრამ ბეჯითად განახორციელოთ ისინი, არ დაივიწყოთ დაწყებული, არ მიატოვოთ შუა გზაზე, არამედ ბოლომდე მიიყვანოთ.

თანდათანობით, მაგრამ აუცილებლად მოიზიდოთ უ პ ა რ ტ ი ო ე ბ ი აშკარად პატიოსანი და თვითეულ რაიონში პატივცემული მ უ შ ე ბ ი ს ა გ ა ნ. არ დაინანოთ დრო და შრომა მათი გამონახვისათვის, მათი გაცნობისათვის.

ისინი ნელ-ნელა და ფრთხილად ჩ ა ა ბ ა თ მუშაობაში, სცადოთ თვითეულს გამოუნახოთ ს ა ვ ს ე ბ ი თ შ ე ს ა ფ ე რ ი, მისი ნიჭის შესაბამისი, საქმე.

მთავარია მუშები და მოსახლეობა შეაჩვიოთ კომისიას იმ აზრით, რომ მათ დაინახონ დახმარება მისგან; მთავარია მასის, უპარტიო, რიგითი მუშების, რიგითი ობივატელების ნდობის მოპოვება.

სახელდობრ თქვენთვის, როგორც კომისიის თავმჯდომარისა და ცენტრის კაცისათვის, როგორც ათვალწუნებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრისათვის, ეს ადვილი როდი იქნება. მაგრამ მთელი არსი ამაშია.

საჭიროა ყოველნაირად და ყველა შესაძლო მხრივ აჩვენოთ და საქმით განახორციელოთ დახმარება, თუნდაც მცირე ფარგლებში, მაგრამ რეალური. მხოლოდ ამაზე დაყრდნობით შეიძლება შემდგომი წინსვლა.

გთხოვთ მომწეროთ ან, თუ წერა არ მოგწონთ, ტელეფონით დამირეკოთ — შეიძლება ჩემი კაბინეტიდან, მეტი სიწყნარეა, რომ შეგვეძლოს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები თქვენი კომისიის მუშაობის შესახებ.

ეს წერილი კომისიის სხვა წევრებს აჩვენეთ, თუ ეს დროულად მიგაჩნიათ.

26. VII.

კომ. სალამით ლენინი

P. S. კომისიის ძირითადი ამოცანაა: განავითაროს მეურნეობა, გააუმჯობესოს საქმის დაყენება, მიაღწიოს **რეალურ პირად** პასუხისმგებლობას. ამისათვის კარგი იქნებოდა აგეღოთ კიდევ რამდენიმე დაწესებულება: სასადილო, აბანო, სამრეცხაო, საერთო საცხოვრებელი და სხვ.

დაწერილია 1921 წ. 26 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

293

«ცენტროსოიუზს»

29. VII.

ამხ. ხინჩუკ!

ამბობენ, რომ მიდიხართ? რამდენი თვით?

წასვლის წინ საჭიროა, რომ თქვენ ოფიციალურადაც გაატაროთ «მ ო ბ ა ნ ა ს ე ბ ა» და არაოფიციალურადაც შემატყობინოთ, თუ ცენტროსოიუზში **სავსებით** გამოცდილ კომუნისტებიგან ვის (2 — 3 კაცს) შემიძლია ძივმართო.

შემდეგ, წასვლის წინ უნდა შემატყობინოთ, ძ ა ლ ი ა ნ მ ო კ ლ ე დ, ბოლოს და ბოლოს როდის ამუშავდება კოოპერაციის აპარატი?

მე ასე მესმის:

1) რამდენ **ვოლოსტში** (**ამა და ამ** გუბერნიისა) არის დუქნები (კოოპერატივები) და, მაშასადამე, თქვენი სავაჭრო აგენტები, რამდენში არა? რამდენია ვოლოსტზე?

2) დუქნებიდან (აგენტებიდან) რამდენი უპასუხებს ცენტრს წესიერად ყველა მის კითხვაზე, უგზავნის ანგარიშებს? კვირაში ერთხელ? 2 კვირაში ერთხელ?

3) რამდენმა სავოლოსტო დუქანმა მიიღო საქონელი? და რა საქონელი? (თუნდაც სულ მოკლე პასუხები). **მარილი?** ნავთი? მანუფაქტურა? და ა. შ.

4) რამდენია პასუხი იმ ჭარბი პროდუქტებისა და ნედლეულის ოდენობის შესახებ, რომლებიც გლეხებს აქვთ (და შეიძლება მიღებულ იქნეს ა მ ა დ ა ა მ საქონელზე გადაცვლით)?

პური?

სხვა სასურსათო პროდუქტები?

სამრეწველო ნედლეული? და ა. შ.

5) რამდენი გადაცვალეთ საანგარიშო პერიოდში? **რა რაზე?**

ჩემი აზრით, სანამ ასეთი ანგარიშები არ არის, **არაფერი არ არის.** მარტო ლაპარაკია.

ველი პასუხს.

კომ. სალამ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 29 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

294

ტელეფონოგრამა

მოსკოვის გუბკომუნის[294] თავმჯდომარეს

პირი მოსკოვის დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს
განათლების სახალხო კომისარიატს

ამხ. სმოლიანინოვმა შემატყობინა, რომ სტავროპოლის გუბერნიის მუშებისა და გლეხების დელეგაციას ჩემს სახელზე მოსკოვში ჩამოუტანია 1 ვაგონი სურსათი დამშეული მუშებისათვის, საჩუქრად. გთხოვთ, ჯერ-ერთი, რაც შეიძლება სწრაფად, სრულიად გაუჭიანურებლად, მიიღოთ ეს ვაგონი; მეორე, გაუგზავნოთ იგი მოსკოვის იმ მუშებს, რომლებსაც ყველაზე უფრო უჭირთ, ამასთან აუცილებლად აცნობოთ მათ, რომ ეს სტავროპოლის მუშებისა და გლეხების საჩუქარია; მესამე, მიიღოთ ზომები, რომ დელეგაციისათვის იზრუნონ როგორც მისი მოწყობის აზრით, ისე იმ მხრივ, რომ გადასცენ მას მოსკოვის დეპუტატების საბჭოს მადლობა და, ბოლოს, მოამარაგონ ისინი ლიტერატურით და შესაძლებლობა მისცენ ინახულონ მოსკოვში ის დაწესებულებანი, რომლებიც მათ აინტერესებთ.

შესრულება გთხოვთ მაცნობოთ დაუყოვნებლივ და ზუსტად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 30 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

•ბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილ•
პირის მიხედვით

295

ვ. ვ. ადორატსკის

2. VIII.

ამხ. ადორატსკი!

წინასიტყვაობა გადავათვალიერე. მის შესახებ მსჯელობა ძნელია, რადგან იგი მოუთავებელია. თითქოს უნდა შემოკლდეს, და გაცილებით უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, უფრო მეტად მოფიქრებულ იქნეს ფორმულირებანი [295].

წერილებიდან ამოღებული **ნამდვილად** თვალსაჩინო ციტატები შეხამებულ უნდა იქნეს მარქსის ს ხ ვ ა ნაწარმოებებთან და **«კაპიტალთან»** (მაგალ., «თანასწორობის» საკითხზე რაც კი **უმნიშვნელოვანესია** «კაპიტალში» [296]). თუ აღებულია X საკითხი, ამ საკითხზე წერილებშია ესა და ეს, მარქსის სხვა ნაწარმოებებშია ესა და ეს, **«კაპიტალშია»** ესა და ეს.

წერილებისათვის მხოლოდ თვალის გადავლება შევძელი. **რა** თქმა უნდა, მოგიხდებათ კიდევ ძლიერ შეამციროთ, დააკავშიროთ, განალაგოთ, — 2 და 3-ჯერ იფიქროთ, შემდეგ მ ო კ ლ ე დ გაუკეთოთ კომენტარი. სამუშაო, ჩანს, უფრო მეტია, **ვიდრე** პირველად გვეჩვენებოდა.

რიგი (ვგონებ, თქვენ მართალი ხართ) ქრონოლოგიური უფრო მოხერხებული უნდა იყოს.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მე შვებულებაში ვიმყოფები. კარგად ვერა ვარ. **თქვენი** ნახვა არ **შემიძლია**.

«სახელმძღვანელო», თუ დაამთავრეთ, წინ უნდა წასწიოთ [297]. ყველაზე უფრო სწრაფად, ალბათ, მ. ნ. პოკროვსკის მეშვეობით შეიძლება.

დაწერილია 1921 წ. 2 აგვისტოს

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

296

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო გამომცემლობას

ამხ. ტეოდოროვიჩს (მიწსახკომი) და სახელმწიფო გამომცემლობას

7. VIII.

ახალი წიგნებიდან სახელმწიფო გამომცემლობისაგან მივიღე

სიმ. მასლოვი: «გლეხური მეურნეობა». 1921. **მე-5** გამოც.! (თუ **მე-4** გამოც.).

გადათვალიერებით ჩანს, რომ პირწმინდად ბურჟუაზიული ბილწი წიგნია, რომელიც გლეხს აბრუებს მოჩვენებითი ბურჟუაზიული «მეცნიერული» სიცრუით.

თითქმის 400 გვერდია და არაფერია ნათქვამი საბჭოთა წყობილებისა და მისი პოლიტიკის შესახებ, — ჩვენი კანონებისა და სოციალიზმზე გადასვლის ღონისძიებების შესახებ და სხვ.

ასეთი წიგნის გაშვება შეეძლო მხოლოდ სულელს ან ბოროტ მესაბოტაჟეს.

გთხოვთ გამოიძიოთ და დამისახელოთ ამ წიგნის რედაქტირებისა და გამოშვებისათვის პასუხისმგებელი ყ ვ ე ლ ა პირი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წ. 7 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

297

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თურქესტანის ბიუროს

7. VIII.

პური და ხორცი **პირველ** რიგში, რასაკვირველია, მოსკოვში უნდა იგზავნებოდეს.

საერთოდ ამიტომ არის «ახალი ეკონომიური პოლიტიკაც» და ვაჭრებისათვის **მთელი რიგი** დათმობები და პრემიებიც.

ამავე დროს საჭიროა სისტემატური და მაქსიმალური ზრუნვა ღარიბი მუსლიმანური მოსახლეობისათვის, მისი დარაზმვისა და განათლებისათვის.

შეიძლება და კიდევაც უნდა შევიმუშაოთ და **განვამტკიცოთ** (მთელ რიგ **უაღრესად ზუსტ** დირექტივებში) ასეთი **პოლიტიკა.**

იგი ნიმუში უნდა იყოს **მთელი** აღმოსავლეთისათვის.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 7 აგვისტოს

იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით

298

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარს

ამხ. დოვგალევსკი!

გთხოვთ წარმომიდგინოთ ცნობები, რა მდგომარეობაშია ჩვენში უმავთულო ტელეგრაფის საქმე.

1) მუშაობს თუ არა მოსკოვის ცენტრალური სადგური? თუ მუშაობს, რამდენ საათს დღეში? რამდენ ვერსზე?

თუ არა, რა აკლია?

2) მზადდება თუ არა (და რამდენი?) მიმღებები, აპარატები, რომლებითაც შეიძლება მოსკოვის ლაპარაკის მოსმენა?

3) რა მდგომარეობაშია საქმე რუპორებისა, აპარატებისა, რომლებიც მთელ დარბაზს (ან მოედანს) შესაძლებლობას აძლევენ უსმენდეს მოსკოვს?

და ა. შ.

ძალიან ვშიშობ, რომ ამ საქმემ კვლავ «მიიძინა» (რუსეთელი ობლომოვების წყეული ჩვეულებისამებრ — **დ ა ა ძ ი ნ ო ნ** ყველა, ყველაფერი და ყოველივე).

«დაპირება» მრავალჯერ იყო, და ყველა ვადა დიდი ხანია გავიდა.

ამ საქმის მნიშვნელობა ჩვენთვის (მეტადრე აღმოსავლეთში პროპაგანდისათვის) განსაკუთრებულია. აქ დაყოვნება და დაუდევრობა დანაშაულია.

საზღვარგარეთ ყველაფერი ეს უკვე არის; შეიძლება და საჭიროც არის იმის ყიდვა, რაც გვაკლია. ალბათ სადღაც არის დანაშაულებრივი დაუდევრობა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

2. IX. 1921.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

299

დ. ი. კურსკის

3. IX.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამხ. კურსკის და მის მოადგილეს, აგრეთვე კოლეგიის ყველა წევრს

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით გამოგიგზავნეთ პროფესორ გრაფტიოს განცხადება საქმის გაჭიანურების გასაოცარი დოკუმენტებით [298].

საქმის ეს გაჭიანურება განსაკუთრებით მოსკოვისა და ცენტრალურ დაწესებულებებში სავსებით ჩვეულებრივია. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასთან ბრძოლას.

ჩემი შთაბეჭდილებაა, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამ საკითხს წმინდა ფორმალურად, ე. ი. ძირშივე არასწორად ეკიდება.

საჭიროა:

1) ეს საქმე გარჩეულ იქნეს სასამართლოში;

2) მიღწეულ იქნეს დამნაშავეთა შერცხვენა პრესაშიც და სასტიკი სასჯელითაც;

3) ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსამართლეებს მოეთხოვოთ, რომ საქმის გაჭიანურებას უფრო სასტიკად სჯიდნენ;

4) მოეწყოს მოსკოვის სახალხო მოსამართლეების, ტრიბუნალთა წევრების და სხვ. თათბირი საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ი ღონისძიებების შესამუშავებლად;

5) ამ შემოდგომაზე და 1921—22 წლ. ზამთარში მოსკოვში აუცილებლად მოეწყოს 4—6 გასამართლება მოსკოვში

მომხდარი საქმის გაჭიანურებისათვის, შერჩეულ იქნეს «უფრო მკაფიო» შემთხვევები და თვითეული გასამართლება გადაიქცეს **პოლიტიკურ** საქმედ;

6) მოინახოს გაჭიანურების საქმეთა თუნდაც 2—3 ჭკვიანი «ექსპერტი», უფრო ფიცხი და ყოჩაღი კომუნისტებისაგან, რათა ისწავლონ **დევნა** საქმის გაჭიანურებისათვის;

7) გამოიცეს კ ა რ გ ი, საზრიანი, არა ბიუროკრატიული წ ე რ ი ლ ი (იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი) საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანისათვის **პირად** პასუხისმგებლობას ვაკისრებ სახალხო კომისარს და მოადგილეს, გთხოვთ რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ა დ მაუწყოთ შესრულება.

საბჭომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 6 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 30

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

300

ი. კ. ეჟოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს უფროსს ამხ. ეჟოვს

ამხ. ეჟოვ! მივიღე და გადავათვალიერე ქაღალდები საწყობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემა ახლა გადაწყვეტილია.

მოველი თქვენგან მოკლე, მაგრამ ზუსტ ცნობებს იმის შესახებ, ნამდვილად ხდება თუ არა რაიმე გაუმჯობესება სასაწყობო მეურნეობაში, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა დატაცებასთან; ცნობები მომაწოდეთ როგორც ამ, ისე სხვა საწყობების შესახებ.

საქმის გაჭიანურებაში შემიძლია თქვენც დაგდოთ ბრალი: «სამი წელიწადია გავიძახითო», «თითქმის 10-ჯერ თითქოს ბოლომდე მივიყვანეო», წერთ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ «უთითქოსოდ» საქმე ერთხელაც არ მიგიყვანიათ ბოლომდე.

რსფსრ-ის კონსტიტუცია და რკპ-ის წესდება თქვენ იცით. ბოლომდე ნიშნავს: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამდე (რაკი საბჭოების ყრილობა არ არის). პარტიის ხაზით ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე.

თქვენ ერთხელაც არ მიგიყვანიათ ბოლომდე.

1) მოკლე, «დეპეშისებრი», მაგრამ ნათელი და ზუსტი განცხადება ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი, — სრუ-

ლიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისადმი;

2) სტატია პრესაში;

3) მუშგლეხინის ადგილობრივი ან მეზობელი უჯრედის თაოსნობა, მისი აზრი, მისი შეკითხვა მოსკოვის დეპუტატების საბჭოში

— აი სამი ღონისძიება, რაც აუცილებელია საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლაში.

ეს ბრძოლა, თქმა არ უნდა, ძნელია..

მაგრამ რაც ძნელია, ის შეუძლებელი როდია.

თქვენ ხელებს ჩამოყრიდით ხოლმე, და არ იბრძოდით, არ ამოგიწურავთ ბრძოლის ყველა საშუალება.

სასაწყობო საქმე მოითხოვს საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ გაცილებით უფრო მტკიცე ბრძოლას — შემოწმებას «ქვედა ფენებიდან» და «ქვედა ფენების მიერ», — პრესაში გამოქვეყნებას, — კიდევ და კიდევ შემოწმებას და ა. შ.

მინდა იმედი მქონდეს, რომ ახლა, როცა მძიმე და მწარე, მაგრამ სასარგებლო გამოცდილება გაქვთ, საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ამ ბრძოლას ისე მოჰკიდებთ ხელს, რომ მართლა «ბოლომდე» მიიყვანთ ხოლმე.

დროდადრო უნდა ვიცოდეთ ამ ბრძოლის შედეგები.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

ხომ ვერ გამომიგზავნით როგორმე, ბრძოლის (საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის) მიმდინარეობის შესახებ მოკლე, სულ მოკლე ცნობებთან ერთად მოკლე ცნობებს თქვენი აპარატის შესახებ (ადამიანთა რაოდენობა, მათგან კომუნისტები, კვალიფიკაცია: პასუხისმგებლები, წმინდა საღმსრულებლო, საკანცელარიო და სხვ.) და თქვენი სამუშაოების მოკლე გეგმას.

მომწერეთ მოკლედ, დეპეშის სტილით, გამოჰყავით ცალკე დამატებანი, თუ საჭიროა. გრძელს, ალბათ, სრულებით ვერ წავიკითხავ.

თუ გაქვთ პრაქტიკული წინადადებანი, გამოჰყავით ისინი ცალკე ფურცლად, დეპეშასავით მეტად მოკლე ფურცლად, პირი გამოუგზავნეთ მდივანს.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 28 სექტემბერს

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1927 წ. 6 თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 30

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

301

სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველს

13. X. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ გაატაროთ, მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან სათანადო შეთანხმების (და მდივნებთან გამორკვევის) შემდეგ, რომ

მომხსენებელთა გამოწვევის წესი (როგორც დიდ, ისე მცირე სახკომსაბჭოში) შეცვლილ იქნეს.

ახლა მომხსენებლები გამოწვევას იღებენ საერთოდ სხდომაზე და საათობით იცდიან.

ეს უმსგავსობა და ველურობაა.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომხსენებლების გამოწვევა ხდებოდეს ერთი გარკვეული საათისათვის.

ტელეფონით ორჯერ შემოწმდეს, საჭირო არიან თუ არა მომხსენებლები, და რომელი მომხსენებლები; — გარკვეული სხდომის საქმეების (საქმეები მომხსენებლებით და საქმეები უმომხსენებლებოდ) სწორი განაწილებისას შეიძლება მივაღწიოთ და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომხსენებლები 15 წუთზე მეტს არ იცდიდნენ.

გთხოვთ ვულდასმით მოფიქრების შემდეგ დაუყოვნებლივ შეიმუშაოთ ასეთი წესი და მაცნობოთ ამის შესახებ სახალხო კომისართა მცირე საბჭოში გატარებული გადაწყვეტილება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

302

სიდნეი ჰილმანს

13. X. 1921.

ამხანაგო ჰილმან!

სულითა და გულით გმადლობთ დახმარებისათვის. თქვენი მეოხებით მოხერხდა ამერიკელი მუშების მიერ საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების საქმის მოწყობის შესახებ შეთანხმების სწრაფად მიღწევა. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დახმარების მოწყობის საქმე ახლა დაყენებულია იმ მუშების მიმართაც, რომლებიც კომუნისტები არ არიან. მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით მუშა ამჟამად არ იზიარებს კომუნისტების შეხედულებებს, მაგრამ მაინც მზად არის დაეხმაროს საბჭოთა რუსეთს, დაეხმაროს დამშეულებს და დააპუროს ისინი, მათი ნაწილი მაინც, დაეხმაროს აგრეთვე რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეს. ასეთი მუშები სრული რწმენით იმეორებენ ამსტერდამის პროფესიული ინტერნაციონალის (რომელიც უთუოდ მტრულად არის განწყობილი კომუნიზმისადმი) ხელმძღვანელების სიტყვებს — და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არა მარტო იმეორებენ სიტყვებს, არამედ კიდევაც ახორციელებენ მათ, — სახელდობრ იმ სიტყვებს, რომ საბჭოთა რუსეთზე საერთაშორისო ბურჟუაზიის ყოველი გამარჯვება საერთოდ მუშათა კლასზე მსოფლიო რეაქციის უდიდესი გამარჯვება იქნებაო.

საბჭოთა რუსეთი მთელ ძალებს ძაბავს, რომ დაძლიოს შიმშილობა, გაჩანაგება და ნგრევა. მთელი მსოფლიოს მუშების ფინანსური დახმარება ამ მხრივ, მორალურ დახმა-

რებასა და პოლიტიკურ დახმარებასთან ერთად, ჩვენთვის უსაზღვროდ მნიშვნელოვანია. ამერიკა, ბუნებრივია, იმ სახელმწიფოთა სათავეში დგას, რომელთა მუშებსაც შეუძლიათ დაგვეხმარონ, უკვე ახლა გვეხმარებიან და, — ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — კიდევ გაცილებით უფრო მეტად დაგვეხმარებიან.

საქმის ერთგული, ენერგიული მოწინავე ამერიკელი მუშები წაუძღვებიან მთელი რიგი სამრეწველო ქვეყნების ყველა მუშას, რომლებსაც საბჭოთა რუსეთისათვის მოაქვთ თავიანთი ტექნიკური ცოდნა, თავიანთი გადაწყვეტილება — გადაიტანონ გაჭირვება იმისათვის, რომ დაეხმარონ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მისი მეურნეობის აღსადგენად. საერთაშორისო საფინანსო კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებებიდან არ არის სხვა საშუალება, რომელიც ისე სწრაფად და ისე მტკიცედ გვაძლევდეს გამარჯვების რწმენას, როგორც საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის დახმარება.

გულითადი სალამი ყველა მუშას, რომელიც ამა თუ იმ დახმარებას უწევს საბჭოთა რუსეთს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

303

ნ. ა. სემაშკოს

24. X. 1921 წ.

ამხ. სემაშკო!

დღეს ხელი რომ მოვაწერე მცირე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას მოსკოვის დასუფთავებისათვის ორი მილიარდის შესახებ (ვგონებ, ასეა? თანხა ზუსტად არ მახსოვს) და წავიკითხე ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის «დებულება» ბინების გაჯანსაღების კვირეულის შესახებ (**12 ივლისის «იზვესტია»**), იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი ეჭვი (მთელი ამ საქმის დაყენების სრული უვარგისობის შესახებ) ძლიერდება.

მილიარდებს წაიღებენ, მოიპარავენ და დაიტაცებენ, საქმეს კი არ გააკეთებენ.

მოსკოვში უნდა მივაღწიოთ სანიმუშო (ან, დასაწყისისათვის, თუნდაც რიგიან) სისუფთავეს, რადგან წარმოდგენაც კი არ შეიძლება უფრო მეტი უმსგავსობისა, ვიდრე «საბჭოთა» ბუჟყია «პირველ» საბჭოთა სახლებში. არა პირველ სახლებში რაღა იქნება?

გთხოვთ გამომიგზავნოთ სულ მოკლე, მაგრამ ზუსტი, საქმიანი, ფაქტიური ანგარიში, რა და სად გამოვიდა გაჯანსაღების კვირეულიდან? ერთი გუბერნია მაინც თუ არის, სადაც რაიმე გაკეთებულია არა უთავბოლოდ?

შემდეგ. რა კეთდება (და რა არის გაკეთებული?) მოსკოვში? პასუხს ვინ აგებს მუშაობისათვის? მარტო მედიდური საბჭოთა ტიტულის მქონე «ჩინოვნიკები», რომლებსაც არა გაეგებათ რა, რომლებმაც საქმე **არ** იციან **და**

მხოლოდ ხელს აწერენ ქაღალდებს? თუ არიან ს ა ქ მ ი ა ნ ი ხელქძღვანელები? სახელდობრ ვინ?

ყველაზე მნიშვნელოვანია პერსონალური პასუხისმგებლობის მიღწევა.

რა არის გაკეთებული პერსონალური პასუხისმგებლობის მისაღწევად?

შემოწმება ვისი საშუალებით?

ინსპექტორების საშუალებით? რამდენია ისინი? ვინ არიან?

ახალგაზრდობის (კომკავშირის) რაზმების საშუალებით? არიან ასეთები? რამდენი? სად და რიგორ გამოიჩინეს თავი?

რ ე ა ლ უ რ ი შემოწმების სხვა რა საშუალებებია?

ფულს ხარჯავენ ძვირფასი საგნების საყიდლად (კარბოლის მჟავა? საწმენდი იარაღები? რამდენია ნაყიდი?) თუ ახალი «ჩინოსანი» უსაქმურების შესანახავად?

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 22 იანვარს
სსრკ-ის ცაკ-ისა და სრ. რუსეთის ცაკ-ის
გაზეთ «იზვესტიაში» № 18

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

304

ა. ბელენკის

ამხ. ბელენკი! სტალინს კრემლში ისეთი ბინა აქვს, რომ მას ძილს არ ანებებენ (იქვე საშზარეულოა — ადრე დილიდანვე ხმაური ისმის).

ამბობენ, თქვენ გიკისრიათ მისი გადაყვანა მ ყ უ დ რ ო ბინაში. გთხოვთ გააკეთოთ ეს რაც შეიძლება მალე და მომწეროთ, **შეგიძლიათ** თუ არა გააკეთოთ ეს და რ ო დ ი ს.

15. XI.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 15 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

307

2

როცა სტალინი ადგება (არ გააღვიძოთ),

უთხარით, რომ მე 11-დან კომისიაზე ვარ (ჩემთან) და რომ სტალინს ვთხოვ მომცეს თავისი ტელეფონები (თუ სტალინი წავა), რადგან მინდა დაველაპარაკო მას ტელეფონით.

დაწერილია 1921 წ. დეკემბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

308

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

გ. მ.! წავიკითხე და ძალიან, ძალიან ვიწონებ[200]. რაც შეიძლება მალე გაამზადეთ, უკარნახეთ.

დამატება, ჩემი აზრით, საჭიროა: ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ჩემი აზრით, ეს სჯობს ჩაემატოს (სხვადასხვა მხრიდან გაშუქდეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ადგილი, მნიშვნელობა, **როლი** საერთო **ფარგლებში**) ცალკე თავებში. თითქმის ყველა თავში შეიძლება (და, ჩემი აზრით, უნდა) დაემატოს ერთი-ორი გვერდი იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ ცვლის ერთიან სახელმწიფო სამეურნეო გეგმას და არ გამოდის მისი ფარგლებიდან, არამედ ცვლის მისი განხორციელებისადმი **მიდგომას.**

თქვენი აზრი?

სალამი! ლენინი

დაწერილია 1921 წ. დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
«საქონელგაცვლა და გეგმიანი მუშაობა».
მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1922 წ.

309

დ. ი. კურსკის

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამხ. კურსკის

იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან მივიღე ორი ცნობა — 14 ნოემბრისა და 20 დეკემბრისა საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ სისტემატური ლაშქრობის მოწყობის თაობაზე ჩემი დავალების «შესრულების» შესახებ.

პირველ ცნობაში თქვენ წერთ:

> «დიდი სიძნელით გვიხდება იმ პროცესების გამოყოფა, რომლებშიც ეს ორგანიზაციული დეფექტი (იგულისხმება ჩვენი აპარატის სიდიდე და ბიუროკრატიული სირთულე, საუწყებათაშორისო ურთიერთდამოკიდებულება, უთანხმოება და ა. შ.) ისე გადაჭრით არ იჩენს თავს და საქმის გაჭიანურება პიროვნებათა ქმედობაა და არა ჩვენი აპარატის მოუწესრიგებლობის ობიექტური შედეგი».

ასეთი მიდგომის დროს საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლიდან, რა თქმა უნდა, არაფერი არ გამოვა. უნდა ვისწავლოთ პასუხს ვთხოვდეთ და სამაგალითოდ სასტიკად ვსჯიდეთ სწორედ იმ პასუხისმგებელ დამნაშავეებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ «ორგანიზაციულ დეფექტებში», და არა რომელიღაც სხვა პირებს. მესაბოტაჟეს ვერასოდეს ვერ დაიჭერთ საქმის გაჭიანურებაში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მეორე ცნობა, რომელსაც ხელს აწერს კრასიკოვი, და მასთან დართული მოხსენებანი «განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა» გამომძიებლების —

ვიუკოვის, როიზმანისა და მუშგლეხინის თანამშრომლის — კედროვისა — ჭეშმარიტად ამერიკის აღმოჩენაა. ამ მოხსენებებში საკმაოდ უწიგნური ფორმით მოყვანილია შაბლონური ჭეშმარიტებანი ბიუროკრატიზმის შესახებ, აპარატის სირთულის შესახებ და ა. შ., და ა. შ.

ერთი სიტყვით, ჩანს, რომ საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლა ოდნავაც არ დაძრულა ადგილიდან.

არსებითად არ მიმიღია ამომწურავი პასუხი არც ერთზე იმ ხუთი დავალებიდან, რომლებიც მე მოგეცით.

წინადადებას გაძლევთ ერთხელ კიდევ განიხილოთ საკითხი და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლა მოაწყოთ საქმიანად, სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით.

გთხოვთ ყოველთვიურად 20 რიცხვისათვის წინასწარ გაუხსენებლად გამომიგზავნოთ ხოლმე ცნობა კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წ. 17 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

810

ა. დ. ციურუპას

1

სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის ახლებურად დაყენების შესახებ

24. I. 1922.

ამხ. ციურუპა!

ტელეფონით ჩვენს გუშინდელ ლაპარაკთან და თქვენს იმ დაპირებასთან დაკავშირებით, რომ ზუსტად დაიცავთ რეჟიმს, საჭიროა დაწვრილებით მოვილაპარაკოთ მუშაობის მთელი სისტემის შესახებ და კარგად მოვიფიქროთ იგი.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველაზე ძირითადი ნაკლია შესრულების შემოწმების უქონლობა. ჩ ვ ე ნ ვ ე ფ ლ ო ბ ი თ ქაღალდების წერის, დეკრეტებზე ლაპარაკის, დეკრეტების წერის საზიზღარ ბიუროკრატიულ ჭაობში, და ქაღალდის ამ ზღვაში იძირება ცოცხალი მუშაობა.

ჭკვიანი მესაბოტაჟეები განზრახ გვეწევიან ქაღალდის ამ ჭაობში. სახალხო კომისართა და სხვა წარჩინებულთა უმრავლესობა შეუგნებლად «ჰყოფს თავს ყულფში».

თქვენი სასტიკი სამკურნალო რეჟიმი იმისთვის უნდა გამოიყენოთ, რომ რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა გ ი ჯ დ ე თ ჩამოშორდეთ აურზაურსა და ალიაქოთს. კომისიებს, ლაპარაკსა და ქაღალდების წერას, ჩამოშორდეთ, მ ო ი ფ ი ქ რ ო თ მუშაობის სისტემა და **რადიკალურად გარდაქმნათ იგი.**

თქვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს ჩვენი უმსგავსო-ბიუროკრატიული მუშაობის სწორედ ეს გარდაქმნა, ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებასთან, შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა.

შესრულების შემოწმება, იმის შემოწმება, თუ საქმით რა გამოდის — აი თქვენი ძირითადი და მთავარი ამოცანა; ამისათვის უნდა შეიქმნას პატარა (4 — 6 კაცი) აპარატი უაღრესად გამოცდილი და შემოწმებული თანაშემწეებისაგან (საქმეთა მმართველი, მისი თანაშემწეები, მდივანი და სხვ.).

ამისათვის, ჩემი აზრით, საჭიროა:

1) განიტვირთოს სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო, ყველა წვრილმანი საკითხი გადაეცეს მცირე სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს განმკარგულებელ სხდომებს.

ეს დაწყებულია. მაგრამ ეს ჩვენი წყეული, ობლომოვური, ჩვეულებების დროს ორ კვირაში «მოდუნდება», თუ თვალყური არ ვადევნეთ, არ ვუჩიჩინეთ, არ შევამოწმეთ, სამმაგი მათრახი არ ვურტყით.

საქმეთა მმართველი მიჩვეული უნდა იყოს (ისევე როგორც სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სამდივნო) უსასტიკესად ადევნოს თვალყური, რომ წვრილმანი საკითხები სახკომსაბჭოში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში არ შედიოდეს და რომ საერთოდ ყველა საკითხი ჯერ სამჯერ იცხრილებოდეს (სათანადო სახალხო კომისარიატების შეკითხვა; მათი სასწრაფო პასუხი; იგივე — საკოდიფიკაციო განყოფილებისა და სხვ. და ა. შ.).

საჭიროა გორბუნოვთან * ერთად შეიმუშაოთ წერილობითი დებულება საქმეთა შეტანისა და გავლის შესახებ და შეამოწმოთ თვეში ერთხელ მაინც, პირადად თქვენ, სრულდება თუ არა იგი, აღწევს თუ არა მიზანს, ე. ი. ქაღალდების სიმრავლის, საქმის გაჭიანურების შემცირებას, მეტ დაფიქრებას, სახალხო კომისრების მეტ პასუხისმგებლობას, ნაჩქარევად გამომცხვარი დეკრეტების შეცვლას შესრულების ფრთხილი, ხანგრძლივი, საქმიანი შემოწმებით და გამოცდილების შემოწმებით, პირადი პასუხისმგებლობის დაწესებით (ჩვენში სრული ფაქტიური უპასუხისმგებლობაა

* + კოდიფიკატორი + 1 მცირე სახკომსაბჭოსაგან.

ზედა წრეებში, სახალხო კომისარიატებში, მათს განყოფილებებში, და მესაბოტაჟეები შესანიშნავად სარგებლობენ ამით; ‘ძედეგია ობლომოველობა, რომელიც ღუპავს საქმეს).

მე ვიცი, რომ ეს მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ძნელია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ძნელია, თქვენი ძალ-ღონე **მთლიანად** ამას უნდა მოახმაროთ.

ამიტომ

2) სხდომათა მინიმუმი. ნორმა კვირაში 1-ხელ სახკომსაბჭო + 1-ხელ შრომისა და თავდაცვის საბჭო ორ-ორი საათი.

3) უმაღლესი ეკონომიური კომისია. რაც შეიძლება მალე დაიხუროს ყ ვ ე ლ ა მისი ქვეკომისია, შეიცვალოს ისინი სახალხო კომისრებისაგან მოთხოვნით, რათა მათ (თვითეულს) პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი პირები უწერდნენ პროექტებს, მათ ამტკიცებდეს სახალხო კომისარი, თვითონ გაჰყავდეს **უმოკლეს** ვადაში ყველა «დაინტერესებულ» სახალხო კომისართან შეთანხმებით და შემდეგ შრომისა და თავდაცვის საბჭოში ან სახკომსაბჭოში.

უმაღლესი ეკონომიური კომისია არის **მხოლოდ** შეთანხმებისათვის (კ ო დ ი ფ ი კ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს) და თქვენ მიერ პლუს კამენევის მიერ უმოკლესი შემოწმებისათვის (შ ტ ე მ პ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს).

მხოლოდ ამისათვის.

არა ლაპარაკისათვის.

არა მსჯელობისათვის.

4) არც ერთ კომისიაში, სრულიად არც ერთში, გარდა უმაღლესი ეკონომიური კომისიისა, თქვენ არ უნდა შედიოდეთ.

5) ბრძოლა უნდა წარმოებდეს კომისიების უმსგავსო სიმრავლესთან, ისინი უნდა შეიცვალოს ფორმალური მოთხოვნით, რომ უმოკლეს ვადაში შემოტანილ იქნეს წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ა ზ რ ი.

6) თქვენ ამნაირად თავი უნდა დააღწიოთ აურზაურსა და ალიაქოთს, რაც ყ ვ ე ლ ა ს გ ვ ღ უ პ ა ვ ს, უზრუნველყოთ თქვენთვის შესაძლებლობა მშვიდად დაუფიქრდეთ სამუშაოს მ თ ლ ი ა ნ ა დ —

——— და, რაც მთავარია, მთელი ყურადღება მიაქციოთ შესრულების შემოწმებას, ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას.

გთხოვთ მოიფიქროთ მთელი ეს საკითხი და მომწეროთ.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

311

2

ახლებურად მუშაობის პროგრამის შესახებ

20. II.

ამხ. ციურუპა!

კიდევ ახლებურად მუშაობის თემაზე.

ვეცდები მისი პროგრამა ასე ჩამოვაყალიბო:

(1) ათმაგად გავამახვილოთ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყურადღება იმ მხრივ, რომ სახალხო კომისარები ვერ ბედავდნენ იქ წვრილმანების შეტანას, არამედ თვითონ წყვეტდნენ მათ და თვითონვე აგებდნენ პასუხს მათთვის;

(2) სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატი (ახლა ¾-ით უსაქმო) გავხადოთ ამისათვის პასუხისმგებლად; ამის გამტარებლად;

(3) იგივე მცირე სახკომსაბჭოს შესახებ პლუს მისი დიდი შემცირება;

(4) მცირე სახკომსაბჭოს და მისი აპარატის, აგრეთვე სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატის წევრთა ნაწილი იყოლიოთ თქვენს პირად განკარგულებაში ფაქტიური შესრულების შესამოწმებლად (თქვენ ავალებთ ამა და ამ პირს: წადი ადგილზე, ინახულე, წაიკითხე, შეამოწმე, შენ პასუხს აგებ დოყლაპიობისათვის).

(5) თქვენ (და რიკოვმა) **პირველ რიგში** ერთი ან, თუ ჯანმრთელობა ნებას მოგცემთ, ორი საათი დღე-ღამეში დაუთმოთ მუშაობის პირად შემოწმებას: გამოუძახოთ თქვენთან (ან ჩამოუაროთ) არა წარჩინებულებს, არამედ კოლეგიების

წევრებს **და უფრო დაბალი** თანამდებობის პირებს, X, Y, Z, სახალხო კომისარიატის საქმიან მუშაკებს, — და შეამოწმოთ მუშაობა, ეცადოთ გამოარკვიოთ არსი, წვრთნათ, ასწავლოთ, სერიოზულად გაამათრახოთ. შეისწავლოთ ადამიანები, ეძებოთ უ ნ ა რ ი ა ნ ი მუშაკები. ახლა ეს არის მთავარი; ლამისოდ ყველა ბრძანება და დადგენილება ჭუჭყიანი ქაღალდია.

მიპასუხეთ. მოვიფიქროთ, მოვეთათბიროთ ცენტრალური კომიტეტის წევრებს და რაც შეიძლება მალე **განვამტკიცოთ** ასეთი (თუ სხვანაირი) პროგრამა.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 20 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

312

3

წინადადება მცირე სახკომსაბჭოსათვის მისაცემი დირ̇ექტივის პროექტის გამო

განსაკუთრებული დამატებითი დადგენილებით აღინიშნოს:

მცირე სახკომსაბჭოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს თვალყურის ზუსტად დევნება იმისათვის, რომ სახალხო კომისარიატები 1) ასრულებდნენ კანონებს; 2) თავს არ არიდებდნენ პასუხისმგებლობას და მცირე სახკომსაბჭოს გადასაწყვეტად არ გადაჰქონდეთ დიდძალი ზედმეტი საკითხები, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს, არამედ თვითონ, თავიანთი პასუხისმგებლობით ან საერთო წესით ორი და მეტი სახალხო კომისარიატის შეთანხმებით წყვეტდნენ საკითხებს; 3) სახალხო კომისარიატების ცალკე განკარგულებებისა და მოქმედების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და სიჩქარის შემოწმება; ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლა ასეთი შემოწმებისა და მოხელეთა რიცხვის განუხრელი შემცირების გზით.

დაწერილია 1922 წ. 21 თებერვალს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იპეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

313

4

პროექტი დირექტივისა შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს, აგრეთვე მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ

აღნიშნულ დაწესებულებათა მთავარი ნაკლია ის, **რომ** ისინი წვრილმანებით არიან დატვირთულნი. ამის გამო ისინი ბიუროკრატიზმში იხრჩობიან ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლონ მას.

ამ ბოროტების მიზეზებია: 1) საქმეთა მმართველობის სისუსტე; 2) სახალხო კომისრების უუნარობა თავი დააღწიონ წვრილმანებისა და ბიუროკრატიული დეტალების ჭაობს; 3) სახალხო კომისრების (ხოლო უფრო მეტად: უწყების ბიუროკრატების, რომლებიც მათ უბიძგებენ) სურვილი — თავიანთი პასუხისმგებლობა სახკომსაბჭოს გადააკისრონ; 4) — უკანასკნელი და მთავარი — პასუხისმგებელ მუშაკებში იმ შეგნების უქონლობა, რომ ახლა დღის წესრიგში დადგა ბრძოლა ქაოტურობის ზღვასთან, უნდობლობა მისიამი და დაუსრულებელი «რეორგანიზაციებისადმი», რომ მომენტის პირველი რიგის ამოცანაა არა დეკრეტები, არა რეორგანიზაციები, არამედ **ადამიანთა შერჩევა; ინდივიდუალური პასუხისმგებლობის** დაწესება **შესრულებული საქმისათვის; ფაქტიური მუშაობის შემოწმება.** უამისოდ თავს ვერ დავღწევთ ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, რომლებიც გვახრჩობენ.

მცირე სახკომსაბჭო, შრომისა და თავდაცვის საბჭო და სახკომსაბჭო მთელი ძალით უნდა ითავისუფლებდნენ თავს ვერმიშელისაგან, უნდა აჩვევდნენ სახალხო კომისარიატებს იმას, რომ ისინი თვითონ წყვეტდნენ წვრილმანებს და უფრო მკაცრად აგებდნენ პასუხს ამ წვრილმანებისათვის.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატი თავის მთავარ ამოცანად უნდა ისახავდეს ამის ფაქტიურად განხორციელებას: შეამციროს საქმეთა რაოდენობა მცირე სახკომსაბჭოში, შრომისა და თავდაცვის საბჭოში და სახკომსაბჭოში, მიაღწიოს იმას, რომ სახალხო კომისრები (ცალ-ცალკე და ერთად) უფრო მეტს წყვეტდნენ თვითონ და პასუხს აგებდნენ ამისათვის; სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე.

იმავე მიზნით სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ამხანაგები რიკოვი და ციურუპა მთელი ძალით უნდა ითავისუფლებდნენ თავს წვრილმანებისა და კომისიებისაგან; უნდა იბრძოდნენ სახალხო კომისრების მიერ გადასაწყვეტ საქმეებში მათი (მოადგილეების) ჩაბმის წინააღმდეგ; დღეში, როგორც მინიმუმი, 2 — 3 საათს უთმობდნენ უმნიშვნელოვანესი (ხოლო შემდეგ ყველა) სახალხო კომისარიატების პასუხისმგებელ მუშაკებთან (არა წარჩინებულებთან) პირად ნაცნობობას ადამიანთა შესამოწმებლად და შესარჩევად; სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატი და მცირე სახკომსაბჭოს წევრთა ნაწილი, აგრეთვე მუშგლეხნი, გამოიყენონ ფაქტიური მუშაობის და მისი წარმატების შესამოწმებლად; ერთი სიტყვით, გახდნენ სახელმწიფოებრივი მუშაობის პრაქტიკული ინსტრუქტორები, როგორებიც ყველაზე მეტად გვაკლია.

უნდობლობა დეკრეტებისადმი, დაწესებულებებისადმი, «რეორგანიზაციებისადმი» და წარჩინებულებისადმი, განსაკუთრებით კომუნისტებიდან; ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ჭაობთან ბრძოლა ადამიანთა შემოწმებითა და ფაქტიური მუშაობის შემოწმებით; ულმობლად გარეკვა ზედმეტი მოხელეებისა, შტატების შემცირება, იმ კომუნისტების

გადაყენება, რომლებიც სერიოზულად არ სწავლობენ მმართველობის საქმეს — ასეთი უნდა იყოს სახალხო კომისრებისა და სახკომსაბჭოს, მისი თავმჯდომარისა და მოადგილეების ხაზი.

ლ ე ნ ი ნ ი

27. II.

დაწერილია 1922 წ. 27 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

314

ვ. ა. კარპინსკის

26. I. 1922.

ამხ. კარპინსკი!

ვერ მომწერთ მოკლედ (maximum 2 — 3 ფურცელი) რამდენი წერილია «ბედნოტაში» გლეხებისაგან?

რა არის მნიშვნელოვანი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) და ახალი ამ წერილებში?

განწყობილება?

საჭირბოროტო საკითხები?

არ შეიძლება ორ თვეში ერთხელ მივიღო ასეთი წერილები (შემდეგი 15. III. 1922-სათვის)?

α) წერილების საშუალო რიცხვი

β) განწყობილება

γ) უმნიშვნელოვანესი საჭირბოროტო საკითხები.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 24 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 19

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

815

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს

28. I. 1922.

გ. მ.!

გორევის ნაშრომი წავიკითხე და გიბრუნებთ [300].

მე მეტს მოველოდი. ყოფილ ბოლშევიკს, რომელმაც ასე მოგხიბლათ და რომელიც, თქვენი აზრით, კვლავ ნამდვილი ბოლშევიკი გახდა, უნდა მოეცა შთამაგონებელი, მკაფიო, ძლიერი, პოპულარული პროპაგანდა, დაცვა კომუნიზმისა საფრანგეთისათვის, რისთვისაც საფუძვლად უნდა აეღო მისი ელექტრიფიკაცია.

გორევს კი «პროფესორულად» გამოუვიდა.

თქვენდა განსახილველად ვაყენებ ასეთ გეგმას:

1) ა ხ ლ ა ვ ე გადაეცეს ასაწყობად, რომ მალე გამოშვებულ იქნეს ყ ო ვ ე ლ შემთხვევაში;

2) წინადადება მიეცეს გორევს — თ უ თ ქ ვ ე ნ თ ა ნ ა ხ მ ა ხ ა რ თ — დაწეროს კიდევ შესავალი ან ბოლოსიტყვაობა, რომელშიც უაღრესად პოპულარულად, თვალსაჩინოდ, ცოტა უფრო გაბედულად (გამოეწეროს მას ამისათვის 3 გრამი ნაწური ლარინიზმიდან: ამბობენ, ახლა მოსკოვში იყიდებაო) დაესხას თავს საფრანგეთის კაპიტალიზმს და უთხრას ფრანგ მუშებსა და გლეხებს: თქვენ 3 — 5 წელიწადში ერთისამად უფრო მდიდარი გახდებოდით და დღე-ღამეში სულ ბევრი 6 საათს (დაახლოებით) იმუშავებდით, საფრანგეთში საბჭოთა ხელისუფლება რომ იყოს, რომელიც ელექტრიფიკაციას ახორციელებს;

3) თუ თქვენი (ან გორევის) აზრით, გორევი ამას ცუდად ან უხალისოდ შეასრულებს, მაშინ მოვიფიქროთ, ეს სამუშაო

ვინმეს განსაკუთრებულად ხომ არ შევუკვეთოთ (**მოკლე** «ბალოდი» [301] საფრანგეთისათვის);

4) რაც შეიძლება მალე გამომეგზავნოს გორევის დაკაბადონებული სტატია (იგი ბროშურად გამოვცეთ თუ რომელიმე ჟურნალში დავბეჭდოთ — ეს თქვენს არჩევანზე იყოს). **მე იქნებ** წინასიტყვაობა დავწერო [302].

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით

816

ფინანსთა სახალხო კომისარიატს

ამხ. სოკოლნიკოვს. პირი ამხ. ციურუპას და
ამხ. კრჟიჟანოვსკის

თქვენ მითხარით, ზოგიერთი ჩვენი ტრესტი უახლოეს მომავალში შეიძლება უფულოდ დარჩეს და ულტიმატურად გვთხოვოს, რომ მისი ნაციონალიზაცია მოვახდინოთო. მე ვფიქრობ, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ პასუხს და ამასთან მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს. თუ აღმოჩნდება, რომ მათ ამას ვერ მიაღწიეს, ჩემი აზრით ისინი სამართალში უნდა იქნენ მიცემულნი და გამგეობის ყველა წევრის შემადგენლობით დაისაჯონ თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთით (იქნებ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ პირობითი განთავისუფლების შეფარდებით), მთელი ქონების კონფისკაციით და ა. შ.

თუ ჩვენ, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტებისა და საწარმოების შექმნის შემდეგ, ვერ შევძლებთ საქმიანი, ვაჭრული წესით მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი ინტერესები, მტკნარი სულელები აღმოვჩნდებით.

ამას თვალყური უნდა ადევნოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო ბანკისა და სპეციალური

ინსპექტორების საშუალებით, რადგან სწორედ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ არ არის დაინტერესებული, მოვალეა დაამყაროს ნამდვილი, რეალური კონტროლი და შემოწმება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 1 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ. 21 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 79

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

817

ფინანსთა სახალხო კომისარიატს

15. II. 1922 წ.

ამხ. სოკოლნიკოვ! მთავარი ყურადღება ხომ არ მივაპყროთ ვაჭრობის განვითარებას და სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილების საშუალებით მისდამი კონტროლს?

ეს საქმე ისე ხომ არ დავაყენოთ, რომ შევარჩიოთ სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილების ორი-სამი ათეული (ან თუნდაც უფრო ნაკლები, თუ ჩვენი წყეული ბიუროკრატიული მანქანა ვერ მოერევა ესოდენ «ძნელ» ამოცანას) რწმუნებული და რომ ეს რწმუნებულები ტანტიემას იღებდნენ იმ საწარმოებსა და ტერიტორიულ ოლქებში სავაჭრო ბრუნვის ზრდის პროპორციულად, რომლებიც მათ აქვთ «ჩაბარებული»?

მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო რეალურია, ვიდრე შექმნა განსაკუთრებული კომისიებისა, ან დაწესებულებებისა, რომლებიც ჩვენი საზიზღარი ზნე-ჩვეულების (ამასთან «ჭეშმარიტი კომუნიზმის» პრეტენზიის) პირობებში გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გადაგვარდებიან ბიუროკრატიულ გონებაჩლუნგობად. სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილებას კი უნდა დაესახოს ნათელი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ამოცანა: განავითაროს საშინაო ვაჭრობა და იგი თავის კონტროლს დაუქვემდებაროს. და ოპერაციების განვითარებისათვის დაე ტანტიემას იღებდნენ რწმუნებულებიც და გამგეობის წევრებიც (თუ არიან სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილების გამგეობის წევრები), — მხოლოდ ოპერაციების განვითარებისათვის.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც გორბუნოვმა მითხრა ბელოვისა და «გუმის»[303] საქმის გამო მისი «ფუსფუსის» შედეგების შესახებ, — აქ აშკარად ბ რ ა ლ ი მიუძღვის

სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილებას: ხელიდან გაუშვეს; გამოეპარათ; დაელოდნენ, როგორც ნამდვილი ბილწი მოხელეები, «უფროსების» ბრძანებას. მე ვფიქრობ, სავაჭრო განყოფილება ამისათვის ერთბაშად და რაც შეიძლება საგრძნობლად უნდა დაისაჯოს და გაფრთხილება მიეცეს: კიდევ ერთი ასეთი დოყლაპიობა, მძინარობის ერთი ასეთი გამოვლინება, და — საპყრობილე მზად იქნება.

ჩემი აზრით, მეორე პრაქტიკული საშუალებაა: კერძო სავაჭრო გარიგებათა რეგისტრაცია და მათი დაბეგვრა საგერბო გამოსაღების გადახდევინებით ან რაიმე ასეთი გზით. ეს საკითხი როგორა დგას? არ შეიძლება ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის კონტროლს კერძო ვაჭრობა ასე დავუმორჩილოთ (ან დავუწყოთ დამორჩილება)?

ვფიქრობ, რომ მთელი ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობის წარმატება $^{99}/_{100}$-ით უნდა ფასდებოდეს სახელმწიფო ვაჭრობის და სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილების განვითარებით (კერძო ვაჭრობის დაკრედიტების დარგში). დანარჩენი — $^{1}/_{100}$-ია.

კომ. სალამ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

318

ფინანსთა სახალხო კომისარიატს

22. II.

ამხ. სოკოლნიკოვ! საქმე სულაც არ არის მარტო «გუმი». ჩვენში ყველა სამეურნეო ორგანოს მთელ მუშაობას ყველაზე მეტად ბიუროკრატიზმი აბრკოლებს. კომუნისტები ბიუროკრატები გახდნენ. თუ რამე დაგვღუპავს, აი ეს დაგვღუპავს. სახელმწიფო ბანკისათვის კი ყველაზე საშიშია ბიუროკრატიული იყოს. ჩვენ ჯერ კიდევ დეკრეტებზე, დაწესებულებებზე ვფიქრობთ. შეცდომა ეს არის. ახლა მთავარია პრაქტიკოსები და პრაქტიკა. მ თ ა ვ ა რ ი ა ვიპოვოთ ს ა ქ მ ო ს ა ნ ი ადამიანები (100 კომუნისტიდან 1; 1 000-დან 1 თუ იქნა, ისიც მადლობა ღმერთს); გადავაქციოთ ჩვენი დეკრეტები ჭუჭყიანი ქაღალდიდან (სულ ერთია, ცუდი დეკრეტებიც და კარგი დეკრეტებიც) ცოცხალ პრაქტიკად.

სახელმწიფო ბანკი თვითონ უნდა ვაჭრობდეს თუ დაქვემდებარებული ფირმების საშუალებით, — ნოქრების საშუალებით თუ მსესხებელი კლიენტების და სხვ. საშუალებით, — ეს არ ვიცი. ამაზე ვერ ვიმსჯელებ, რადგან საკმაოდ არ ვიცნობ ფულის ტრიალისა და საბანკო საქმის ტექნიკას. მაგრამ ის კი მტკიცედ ვიცი, რომ ახლა უმთავრესია სახელმწიფო ვაჭრობის (ყველა მისი სახის: კოოპერაცია, სახელმწიფო ბანკის კლიენტები, შერეული საზოგადოებანი, კომისიონერები, აგენტები etc. etc) სწრაფი განვითარება.

28/II. ავადმყოფობის გამო ვერ დავასრულე და უფრო ადრე ვერ გამოგიგზავნეთ წერილი. თქვენ ლაპარაკობთ (ინტერვიუში) სახელმწიფო ტრესტების შერეული საზოგადოებებით შეცვლის შესახებ. აზრი არ ექნება. ჭკვიანი

კაპიტალისტები შერეულ საზოგადოებებში გაიყვანენ სულელ (უაღრესად პატიოსან და უაღრესად სათნო) კომუნისტებს და მოგვატყუებენ, როგორც ახლა გვატყუებენ. ახლა საქმეა არა დაწესებულებები, არამედ ადამიანები და პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება. თ ი თ ო-თ ი თ ო დ მოინახონ ვაჭრობის უნარის მქონენი, და თანდათანობით მათი გამოცდილებით, მათი შრომით გ ა ი წ მ ი ნ დ ო ს..., გარეკილ იქნეს სათნო კომუნისტები გამგეობებიდან, დაიხუროს მძინარა (და წმინდა კომუნისტური) საწარმოები, დაიხუროს ისინი, გამოიყოს 100 ვარგისიდან 1. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ან შ ე ძ ლ ე ბ ს გადავიდეს ა ს ე თ მუშაობაზე, ან მთელი ფინანსთა სახალხო კომისარიატი = 0.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 22 და 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

819

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

6. IV. 1922 წ.

გ. მ.!

გუშინ მარტენსმა მითხრა, «დამტკიცებულია» (თქვენ ამბობდით «თითქმის»), რომ კურსკის გუბერნიაში რკინის უმაგალითოდ მდიდარი საბადოები მოიპოვებაო.

თუ ასეა, საჭირო ხომ არ არის უკვე გაზაფხულზე — 1) გავიყვანოთ იქ აუცილებელი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები?

2) დასამუშავებლად მოვამზადოთ ტორფის უახლოესი ჭაობი (ან ჭაობები?), რათა იქ ელექტროსადგური დავდგათ?

ეს მოსაზრება ზედმეტად თუ არ გეჩვენებათ, მის შესახებ მისწერეთ მარტენსს (და მეც მომწერეთ 2 სიტყვა).

მარტენსს უნდა იქ წავიდეს 3 კვირის შემდეგ. მე მივწერე რიკოვსა და ციურუპას, სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან მას კიდევ ინჟინერი უნდა მისცეთ-მეთქი.

ეს საქმე **უაღრესად** ენერგიულად უნდა ვაწარმოოთ. ძალიან მეშინია, რომ თუ სამმაგი შემოწმება არ იქნა, საქმე შეიძინებს. როცა მე წავალ, არ დაგავიწყდეთ, რომ რიკოვსა და ციურუპას აქვთ ჩემი წერილი ამის შესახებ.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

320

კარლ შტეინმეცს

Moscow. 10. IV. 1922.

ძვირფასო მისტერ შტეინმეც!

სულითა და გულით გმადლობთ თქვენი 16. II. 1922-ის მეგობრული წერილისათვის. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გამოვტყდე, რომ თქვენი სახელი პირველად მხოლოდ სულ რამდენიმე თვის წინათ გავიგონე ამხ. კრჟიჟანოვსკისაგან, რომელიც ჩვენი «რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის» თავმჯდომარე იყო და ახლა «სახელმწიფო საერთო-საგეგმო კომისიის» თავმჯდომარეა. მან მიამბო იმ თვალსაჩინო მდგომარეობის შესახებ, რომელიც თქვენ მთელი მსოფლიოს ელექტროტექნიკოსთა შორის დაიკავეთ.

ამხ. მარტენსმა ახლა თქვენი თავი უფრო მეტად გაცნო თავისი ნაამბობით თქვენ შესახებ. ამ ნაამბობიდან მე დავინახე, რომ საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძნობამდე მიხვედით, ერთი მხრივ, თქვენი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების შედეგად. მეორე მხრივ, თქვენ, როგორც ელექტროტექნიკის წარმომადგენელი და ამასთან წარმომადგენელი ტექნიკის განვითარების მხრივ ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში, დარწმუნდით, რომ საჭირო და გარდუვალია კაპიტალიზმის შეცვლა ახალი საზოგადოებრივი წყობილებით, რომელიც დაამყარებს მეურნეობის გეგმაშეწონილ რეგულირებას და უზრუნველყოფს ხალხის მთელი მასის კეთილდღეობას მთელი ქვეყნების ელექტრიფიკაციის საფუძველზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში

იზრდება — უფრო ნელა, ვიდრე სასურველია, მაგრამ შეუჩერებლად და განუხრელად იზრდება რაოდენობა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების წარმომადგენლებისა, რომლებიც რწმუნდებიან, რომ საჭიროა კაპიტალიზმი შეიცვალოს სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილებით და რომლებსაც მთელი კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ბრძოლის «საშინელი სიძნელეები» («terrible difficulties») კი არ აშინებს, კი არ აფრთხობს, არამედ, პირიქით, უნერგავს შეგნებას, რომ გარდუვალია ბრძოლა და რომ საჭიროა შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მიიღონ ამ ბრძოლაში, დაეხმარონ ახალს დაძლიოს ძველი.

განსაკუთრებით მინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენი იმ წინადადებისათვის, რომ რუსეთს დაეხმარებით რჩევით, მითითებებით და სხვ.. რადგან საბჭოთა რუსეთსა და შეერთ. შტატებს შორის ოფიციალური და კანონიერად-აღიარებული ურთიერთობის უქონლობა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც მეტისმეტად აძნელებს თქვენი წინადადების პრაქტიკულად განხორციელებას, ჩემს თავს ნებას მივცემ გამოვაქვეყნო თქვენი წერილიც და ჩემი პასუხიც იმ იმედით, რომ მაშინ ამერიკაში ან შეერთ. შტატებთანაც და რუსეთთანაც სავაჭრო ხელშეკრულებებით დაკავშირებულ ქვეყნებში მცხოვრები ბევრი პირი დაგეხმარებათ (ინფორმაციით, რუსულიდან ინგლისურად თარგმნით და სხვ.) თქვენი განზრახვის — საბჭოთა რესპუბლიკისათვის დახმარების განხორციელებაში.

მხურვალე სალამით
თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ნიუ-იორკში
«პრავდა» № 85, 1922 წ. 19 აპრილი

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც გასწორებულია
ვ. ი. ლენინის მიერ

321

ბარათი ბუხარინს

ამხ. ბუხარინ!

გიგზავნით დღევანდელ «პრავდას». აბა რა საჭიროა სისულელეების ბეჭდვა ყველა მეცნიერული და მოდური სიტყვებით თავმომწონე პლეტნიოვის ფელეტონის სახით[304]? აღვნიშნე 2 სისულელე და დავუსვი მთელი რიგი კითხვის ნიშნები. ავტორმა «პროლეტარული» მეცნიერება კი არ უნდა ისწავლოს, არამედ უბრალოდ უნდა ისწავლოს. ნუთუ «პრავდის» რედაქცია ავტორს არ განუმარტავს მის შეცდომას? ეს ხომ ისტორიული მატერიალიზმის გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ა ა! ისტორიული მატერიალიზმობანას თამაშია!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 27 სექტემბერს

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

322

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
პირები: სახელმწიფო საგეგმო კომისიას
ფინანსთა სახალხო კომისარიატს
სრ. რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს
სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და ამხ. ლ. ბ. კრასინს

ამხ. კრასინმა გამომიგზავნა წერილი, რომელშიც იუწყება უდიდეს წარმატებებზე, რაც ამხ. გუბკინის მეთაურობით მოიპოვა ინჟინერთა ჯგუფმა, რომელმაც თითქმის გმირული შეუპოვრობით, სახელმწიფო ორგანოების მხრივ უმნიშვნელო დახმარების პირობებში, არაფრიდან განავითარა არა მარტო საწვავი ფიქალებისა და საპროპელის დაწვრილებითი მეცნიერული გამოკვლევა, არამედ პრაქტიკულადაც ისწავლა ამ წიალისეულიდან სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტების მომზადება, როგორიც არის: იხტიოლი, შავი ლაქი, სხვადასხვა საპნები, პარაფინები, გოგირდმჟავა ამონიუმი და ა. შ.

იმის გამო, რომ ეს სამუშაოები, ამხ. კრასინის მოწმობით, მტკიცე საფუძველია მრეწველობისათვის, რომელიც ორიოდე ათეული წლის შემდეგ რუსეთს ასობით მილიონს მისცემს, წინადადებას ვიძლევი:

1. დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსური მხრივ ამ სამუშაოთა შემდგომი განვითარება.

2. აღმოიფხვრას და შემდეგშიც აღიკვეთოს მათი შემაფერხებელი ყოველგვარი დაბრკოლება და

3. ინჟინერთა აღნიშნული ჯგუფი დაჯილდოებულ იქნეს შრომის წითელი დროშის ორდენით და დიდი ფულადი თანხით.

შემდგომი ვითარების შესახებ გთხოვთ წერილობით მაცნობოთ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. გორბუნოვის მეშვეობით. რაიმე დაბრკოლების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მაცნობეთ მისივე მეშვეობით.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის
საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წ. 16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. 20 იანვარს
სსრკ-ის ცაკ-ისა და სრ. რუსეთის ცაკ-ის
გაზეთ «იზვესტიაში» № 20

იბეჭდება ორიგინალის
მიხედვით, რომელიც
ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის
მიერ

323

Ი. Ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

ძვირფასო ივ. ივ.!

წავიკითხე თქვენი სტატია სპეცების შესახებ [305].

თანახმა არა ვარ. 2 პუნქტი.

პირველი დასაწყისში (მესამე სვეტი თავიდან): «პროლეტარული დიქტატურა ჩაიფუშება, თუ, ჯერ 1,... (ეს სწორია)... და მე-2, თუ ეს სპეცები არ იქნებიან ჩვენი სპეცები, ისეთები, რომლებსაც თავიანთ ამოცანად პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და განვითარება მიაჩნიათ».

ხაზგასმული სწორი არ არის. ასეთ სპეცებს ჩვენ დიდხანს ვერ მივიღებთ, სანამ არ გაქრებიან ბურჟუაზიული სპეცები, წვრილბურჟუაზიული სპეცები, სანამ ყველა სპეცი კომუნისტი არ გახდება. ამავე დროს კი პროლეტარული დიქტატურა სულაც არ უნდა «ჩაიფუშოს». საკმარისია ნაკლები პირობა: სახელდობრ პირველი. მეორე არა გვღუპავს. საკმარისია «ჩვენს განკარგულებაში გვყავდეს».

კიდევ დიდხანს იქნება ეჭვები, გულდაუჯერებლობა, ხრიკები, ღალატი და სხვ.. მეორე პირობა მიაწევს დიქტატურის ბოლომდე, და ამიტომ დიქტატურის პირობა არ არის.

ახლა მეორე, სტატიის ბოლოში, აბზაცი მე-3 და მე-2 ბოლოდან.

«კლასობრივი ბრძოლა... უფრო მახინჯი არ არის, ვიდრე მით გამოხატული ურთიერთობა».

სწორი არ არის. იგი არასწორია, და არა მარტო მახინჯია. იგი მახინჯზე უარესია: იგი მეცნიერულად არასწორია. ეს არ არის კლასობრივი ბრძოლა.

«შემდეგ. მეცნიერული ლაბორატორია — ესაა შემჭიდროებული, **ყველა** მის ელემენტში შეთანხმებულად, სოლიდარულად **და შეგნებულად** მოქმედი კოლექტივი».

სწორი არ არის. ეს არ შეიძლება იყოს **კლასთა მოსპობაზე** ადრე.

ეს მეცნიერულად კი არა, სანტიმენტალურად გამოდის: კლასების **მოსპობამდე** ყველაფერი «უზიარე». სწორი **არ** არის. გადაგვარდება 1918 წლის ნიმუშებად: ფერშლები ექიმებისაგან მოითხოვენ: ყველაფერი **(მეცნიერული)** «გვიზიარეთ».

ეს არც სწორია და პრაქტიკულადაც მავნეა.

მაგალითი: პოლიტბიურო და მისი **მდივანი ქალები.** ყველაფერი **(მეცნიერული)** «უზიარე»? თქვენ თვითონ **არ** დაიჟინებთ. გატაცება გამოგსვლიათ.

მხურვალე სალამი!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1922 წ. 15 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

324

საერთაშორისო მუშათა დახმარების მდივანს [306]

კომინტერნის IV კონგრესზე თქვენი მოხსენების დასამატებლად მოკლე სიტყვებით მინდა აღვნიშნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს დახმარების ორგანიზაციას.

დამშეულთათვის საერთაშორისო მუშათა კლასის მხრივ დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბჭოთა რუსეთს გადაეტანა შარშანდელი შიმშილობის მძიმე დღეები და დაეძლია იგი. ამჟამად საჭიროა მოვიშუშოთ შიმშილობით მოყენებული ჭრილობები, უზრუნველვყოთ უწინარეს ყოვლისა მრავალი ათასი დაობლებული ბავშვი და აღვადგინოთ შიმშილობის შედეგად ძლიერ დაზარალებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

ამ დარგშიც უკვე დაიწყო მოქმედება საერთაშორისო მუშათა კლასის ძმურმა დახმარებამ. ამერიკის სატრაქტორო კოლონა პერმის მახლობლად, ამერიკის ტექნიკური დახმარების ორგანიზაციის სასოფლო-სამეურნეო ჯგუფები, საერთაშორისო მუშათა დახმარების სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, პირველი პროლეტარული სესხის გავრცელება და მასზე ხელმოწერა საბჭოთა რუსეთისადმი მუშათა დახმარების საშუალებით, — ყველაფერი ეს მრავლისაღმთქმელი წამოწყებაა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური აღდგენის ხელშესაწყობად მუშათა ძმური დახმარების საქმეში.

საბჭოთა რუსეთისათვის საერთაშორისო მუშათა დახმარების მხრივ ეკონომიური დახმარების ესოდენ ბედნიერად დაწყებულ საქმეს ყოველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი მთელი მსოფლიოს მუშებმა და მშრომელებმა. იმ ძლიერ

პოლიტიკურ ზეგავლენასთან ერთად, რასაც ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობებზე კვლავ ახდენენ, მოითხოვენ რა მათგან საბჭოთა ხელისუფლების ცნობას, ამჟამად მსოფლიო პროლეტარიატის ფართო ეკონომიური დახმარება საუკეთესო და ყველაზე უფრო პრაქტიკული მხარდაჭერაა საბჭოთა რუსეთისათვის იმ მძიმე ეკონომიურ ომში, რომელსაც იგი იმპერიალისტური კონცერნების წინააღმდეგ ეწევა, და საუკეთესო მხარდაჭერაა სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში.

ვლ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წ. 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ორიგინალის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

თარგმანი გერმანულიდან

შენიშვნები

1 იგულისხმება პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის რეზოლუციები. რეზოლუციები და «ცნობა» კონფერენციის შესახებ ცალკე ბროშურად გამოვიდა 1912 წლის თებერვალში რსდმ პარტიის ც. კ-ის გამოცემით პარიზში (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 177 — 191). — 1.

2 გაზეთ «ზვეზდაში» 1911 და 1912 წლებში დაბეჭდილი იყო ა. მ. გორკის შვიდი «ზღაპარი» სერიიდან «Сказки об Италии» (იხ. მ. გორკი. თხზულებათა კრებული, ტომი VIII, 1947, გვ. 419 — 578). — 1.

3 «ვ ე პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ი» (ჯგუფი «ვპერიოდ») — ოტზოვისტების. ულტიმატისტების, ღვთისმშენებლებისა და ემპირიომონისტების ანტიპარტიული ჯგუფი; ჩამოყალიბდა 1909 წლის დეკემბერში ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის ინიციატივით. ჯგუფი მუშების მხარდაჭერით არ სარგებლობდა და ფაქტიურად დაიშალა ჯერ კიდევ 1913 წელს. მისი საბოლოო და ფორმალური დაშლა მოხდა 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — 4.

4 ლაპარაკია III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებზე ნ. გ. პოლეტაევსა და ვ. შურკანოვზე (შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი). — 6.

5 ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ბ ი უ რ ო — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო, შეიქმნა პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით. 1905 — 1912 წლებში ლენინი შედიოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შემადგენლობაში როგორც რსდმ პარტიის წარმომადგენელი.

იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) საერთაშორისო სოციალისტური ბიურო სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა და თავის გარშემო აჯგუფებდა სოციალისტური პარტიების ოპორტუნისტულ ელემენტებს. — 7.

6 საზღვარგარეთის ანტიპარტიული ჯგუფების თათბირზე პარიზში 1912 წლის 12 მარტს (იხ. სტ.) მიღებულ იქნა რეზოლუცია პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ამ რეზოლუციის გამო ლენინმა, როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, დაწერა ოფიციალური განცხადება-პროტესტი, შემდეგ კი წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივან ჰიუისმანსისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 656 — 660 და ეს ტომი, გვ. 11 — 12). — 7.

7 ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ი. ბ. სტალინი წარმატებით გამოიქცა ვოლოგდის გადასახლებიდან, რაც მოხდა 1912 წლის 29 თებერვალს.

თავისუფლად ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში ი. ბ. სტალინი, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ხელმძღვანელი, ენერგიულ მოღვაწეობას აჩაღებს პარტიული ორგანიზაციების დასარაზმავად პრაღის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა გარშემო. ი. ბ. სტალინი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წერს ფურცელს «პარტიისათვის!», რომელიც ფართოდ ვრცელდება მთელ ჩვენს ქვეყანაში. ცენტრალური კომიტეტის დავალებით ი. ბ. სტალინმა შემოიარა რუსეთის უმნიშვნელოვანესი რაიონები; იგი ადგენს ცენტრალური კომიტეტის ცნობილ საპირველმაისო ფურცელს, ხელმძღვანელობს ყოველკვირეულ ბოლშევიკურ გაზეთ «ზვეზდას» პეტერბურგში. თანახმად ვ. ი. ლენინის მითითებისა, ი. ბ. სტალინის ინიციატივით ამ დროს დაარსდა ბოლშევიკური გაზეთი «პრავდა». ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მომზადებულ იქნა «პრავდის» პირველი ნომერი, განისაზღვრა გაზეთის მიმართულება. — 8.

8 «სავკას ქალაქი» — ეკატერინოსლავი, სადაც მუშაობდა ი. დ. ზევინი, რომლის მეტსახელი «სავკა» იყო. — 8.

9 ლაპარაკია პრაღის პარტიული კონფერენციის რეზოლუციაზე «ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 575 — 577). — 11.

10 კავკასიის საოლქო კომიტეტი — კავკასიელ მენშევიკ-ლიკვიდატორთა ფრაქციული ცენტრი; შედიოდა ტროცკის მიერ შექმნილ ანტიპარტიულ აგვისტოს ბლოკში. — 18.

11 «იზვესტიის» გამოცემა არ განხორციელდა. — 18.

12 იგულისხმება რეზოლუცია «IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ» მიღებული პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის მიერ (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 182 — 183). — **14.**

13 «ა მ ო მ რ ჩ ე ვ ლ ი ს თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი (ჩ ვ ე ნ ი ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო კ ა ნ ო ნ ი)» — ბროშურა, რომელიც პეტერბურგში გამოვიდა 1912 წლის ივნისში.

ლენინი ადგენდა და რედაქტორობდა მასალებს ამ ბროშურისათვის. ამ წერილში იგი რჩევას აძლევს გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას დაბეჭდოს ბროშურაში მეორე და მესამე თავები მისი სტატიისა «IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია». მაგრამ «ზვეზდის» რედაქციამ მოახერხა გამოეშვა ბროშურის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ეხება უშუალოდ საარჩევნო კანონს და IV სათათბიროს არჩევნების წესს. — **16.**

14 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 443 — 457) — **16.**

15 ლაპარაკია ყოველდღიურ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდაზე», რომლის გამოცემაც მზადდებოდა. — **17.**

16 ლაპარაკია ბ. ნ. კნიპოვიჩის წიგნზე «რუსეთის გლეხობის დიფერენციაციის საკითხისათვის (დიფერენციაცია სამეწარმოქმედო მეურნეობის სფეროში)». ს.-პეტერბურგი, 1912. — **18.**

17 გამოთქმა «მ ე თ ო ლ უ ხ ი ს ჯ ა გ ლ ა გ ე ბ ი» დაკავშირებულია შემდეგ ეპიზოდთან. 1907 წლის ზაფხული ლენინმა გაატარა კნიპოვიჩებთან აგარაკზე სტირსუდენში (ფინეთი). კნიპოვიჩების ოჯახი ყვავილების სარწყავად წყალს თვითონ ეზიდებოდა ჭიდან, რომელიც ბაღიდან შორს იყო. — **20.**

18 აქ მოხსენიებული სტატიები ვ. ი. ლენინისა «ჩაუქრობელი იმედები» და «წვრილმანი ხრიკები» (პასუხი ბლანკს) დღემდე არ არის მონახული.

ბ ლ ა ნ კ ი, რ. მ. — პუბლიცისტი, კადეტი. — **24.**

19 მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი «ნევსკი გოლოსი» მე-6 ნომერში 1912 წლის 5 ივლისს იუწყებოდა, რომ პეტერბურგში შედგა სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა (მათ შორის თითქოს «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» მომხრეებისაც) წარმომადგენლების თათბირები IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის

ერთიანობის საკითხზე. «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციამ და «პრავდის» რედაქციამ განაცხადეს, რომ მათს წარმომადგენლებს ამ თათბირებში მონაწილეობა არ მიუღიათ. — **25.**

20 ვ. ი. ლენინის სტატია «საარჩევნო პლატფორმის შესახებ» მონახული არ არის. — **27.**

21 აღნიშნული კორესპონდენცია «პრავდაში» არ დაბეჭდილა. — **32.**

22 ლაპარაკია პრაღის 1912 წლის პარტიულ კონფერენციაზე. — **34.**

23 იხ. ვ. ი. ლენინის თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 217—236. — **36.**

24 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 145—156; ტომი 17, გვ. 371—384. — **38.**

25 იგულისხმება მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «კულტურული ადამიანები და შებღალული სინდისი». — **42.**

26 «კ რ უ გ ო ზ ო რ» — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში. გამოვიდა ორი ნომერი — 1913 წლის იანვარსა და თებერვალში. ა. მ. გორკი მოხსენიებული იყო ჟურნალის თანამშრომელთა შორის, მაგრამ მასში მონაწილეობა არ მიუღია. — **45.**

27 «პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს მ უ შ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ე ს ი თ ა ვ ი ა ნ თ ი მ უ შ ა დ ე პ უ ტ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს» ი. ბ. სტალინმა დაწერა 1912 წლის ოქტომბრის დამდეგს. განაწესი ერთსულოვნად იქნა მიღებული პეტერბურგის უდიდესი საწარმოების მუშათა კრებებზე და მუშების რწმუნებულთა ყრილობაზე 1912 წლის 17 ოქტომბერს. სტალინი ხელმძღვანელობდა «განაწესის» განხილვას ქარხნების სახელდახელო კრებებზე. ლენინი «განაწესს» განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

წარწერა ვ. ი. ლენინს გაუკეთებია «განაწესის» ანაბეჭდის არეებზე, როდესაც სტამბაში გაუგზავნია რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოში — «სოციალ-დემოკრატში» დასაბეჭდად. — **48.**

28 იგულისხმება გაზეთ «პრავდის» № 166, რომელიც გამოვიდა 1912 წლის 11 (24) ნოემბერს. ამ დღეს ბაზელში გაიხსნა II ინტერნაციონალის საგანგებო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი. — **51.**

29 ბ ა ტ უ რ ი ნ ი (ნ. ნ. ზამიატინი) — გაზეთ «პრავდის» და გაზეთ «ზვეზდის» რედაქციის ერთ-ერთი წევრი. — **51.**

30 მ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი. — **55.**

31 მუშათა პარტიული სკოლა, რომლის შესახებაც წერს ლენინი, განზრახული იყო დაეარსებინათ 1913 წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე პორონინში (გალიცია) IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებისა და სხვა პარტიული მუშაკებისათვის. სკოლა არ დაარსებულა. — **55.**

32 იგულისხმება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან. ამ თათბირს კონსპირაციის მოსაზრებებით «თებერვლისა» უწოდეს. თათბირი შედგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10 — 14 იანვარს). — **58.**

33 «ე ქ ს პ ო ზ ე» (გადმოცემა) — სტატია «ბოლშევიზმის შესახებ» ვ. ი. ლენინმა დაწერა მეორე ტომისათვის ნ. ა. რუბაკინის წიგნისა «წიგნთა შორის» (იხ. ვ. ი. ლენინი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 588 — 590). — **59.**

34 ლაპარაკია მოსკოვში ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «ნაშ პუტის» გამოცემის მომზადებაზე. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს). — **60.**

35 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 468 — 471. — **61.**

36 «ნ ო ვ ა ი ა ს ი ბ ი რ» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი; გამოდიოდა ირკუტსკში 1912 წლის დეკემბრიდან 1913 წლის თებერვლამდე. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ლიკვიდატორი ნ. როეკოვი. — **61.**

37 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 371 — 384. — **61.**

38 **იხ.** «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 192 — 200. — **63.**

39 წერილში გაშუქებულია საქმის ვითარება, რაც გაზეთ «პრავდის» რედაქციაში შეიქმნა 1912 წლის დამლეგს — 1913 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინი წავიდა კრაკოვში რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირზე პარტიულ მუშაკებთან. ამ თათბირზე ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა დასახეს ღონისძიებანი «პრავდის» რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად მოახდინა გაზეთის რედაქციის მუშაობის რეორგანიზაცია. — **64.**

40 «ნ ო მ რ ე ბ ი» ეწოდებოდათ კონსპირაციის მიზნით IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს: № 1 — ა. ე. ბადაევს, № 3 — რ. მალინოვსკის, № 6 — გ. ი. პეტროვსკის. — **64.**

41 «დ ე ნ» — გაზეთ «პრავდის» პირობითი სახელწოდება. — **64.**

42 ლენინს მხედველობაში აქვს მოწინავე სტატია «მუშათა მასები და იატაკქვეშეთი», რომელიც დაიბეჭდა მენშევიკურ-ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩ»-ში. სტატია მიმართული იყო არალეგალური მუშათა პარტიის წინააღმდეგ. ლიკვიდატორების ეს გამოსვლა ლენინმა ამხილა სტატიაში «სოციალ-დემოკრატებისადმი», რომელიც კრაკოვში გამოიცა ჰექტოგრაფიულ ფურცლად (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 643 — 646). — **65.**

43 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბოგდანოვის წერილი «პრავდის» რედაქციისადმი. წერილი შეიცავდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ «პრავდის» მომხრეებმა უარი თქვეს ლიკვიდატორებთან შეთანხმებაზე IV სახელმწიფო სათათბიროში მუშა დეპუტატის წამოყენებისას. წერილის შენიშვნაში გაზეთის რედაქცია დასჯერდა იმის აღნიშვნას, რომ შეთანხმება არ მოხდა ლიკვიდატორების მიზეზით. — **67.**

44 რ ი გ ი ს მ უ შ ე ბ ი ს შ ე კ ი თ ხ ვ ა 1913 წლის 19 იანვრისა დაიბეჭდა 1913 წლის 30 იანვრის «პრავდაში» № 24. ხელმომწერლები — «მუშა ნაროდნიკთა და «პრავდის» ს.-დ. მკითხველთა ჯგუფი» — სთხოვდნენ რედაქციას გამოეთქვა აზრი «მემარცხენე ნაროდნიკობასთან გაერთიანების» საკითხზე. ვ. ი. ლენინის სტატია «ნაროდნიკობის შესახებ», რომელთანაც იგი წინადადებას იძლეოდა დაეკავშირებინათ ეს შეკითხვა, გამოქვეყნდა «პრავდის» №№ 16 და 17-ში, 1913 წლის 20 და 22 იანვარს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 637 — 642). — **67.**

45 ლაპარაკია IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების წერილებზე, რომლებიც «პრავდაში» იბეჭდებოდა 1913 წლის იანვარ-თებერვალში საერთო სათაურით «ს.-დ. დეპუტატთა შთაბეჭდილებანი ადგილებიდან». — **68.**

46 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **69.**

47 «ვ ე ჩ ე რ ნ ი ა ია პ ო ჩ ტ ა» — მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთის «ლუჩის» პირობითი სახელწოდება. — **69.**

48 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **69.**

49 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 680 — 702. — **70.**

50 ვ. ი. ლენინის ამ სტატიების ხელნაწერები მონახული არ არის. — **70.**

51 კარლ მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავის დღეს, 1913 წლის 1 (14) მარტს «პრავდაში» გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია «კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 705 — 709). «პრავდის» საიუბილეო ნომერი გამოვიდა 1913 წლის 3 (16) მარტს. — **71.**

52 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 433 — **441,** 426 — 432. — **72.**

53 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტომი 18, გვ. 598 — 631. — **72.**

54 იგულისხმება IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების წერილი მათი გამოსვლის შესახებ ლიკვიდატორების გაზეთ «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან. — **75.**

55 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ბ. სტალინის მუშაობა სტატიაზე «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». — **76.**

56 ლაპარაკია კ. პ. პიატნიცკიზე, რომელიც მუშაობდა პეტერბურგის წიგნის გამომცემლობა «ზნანიეში». — **76.**

57 ი. ბ. სტალინის (კობას) სტატია «ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა კ ი თ ხ ი დ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა» პირველად დაიბეჭდა 1913 წლის ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» №№ 3 — 5. 1914 წელს ი. ბ. სტალინის სტატია გამოიცა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» (იხ. ი. ბ. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395). — **78.**

58 «მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი» გამოქვეყნდა რომანოვთა გვარეულობის 300 წლისთავთან დაკავშირებით. — **79.**

59 ლაპარაკია სკოლაზე, რომელიც «ვპერიოდელებმა» მოაწყვეს კუნძულ კაპრიზე (იტალია) 1909 წელს ა. მ. ვორკის მონაწილეობით. — **79.**

60 ი. ბ. სტალინი (კობა) დააპატიმრეს პეტერბურგში 1913 წლის 23 თებერვალს (8 მარტს). — **80.**

61 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3, გვ. 1 — 719. — **81.**

62 ვ. ი. ლენინის სტატია რ. ლუქსემბურგის წიგნზე პრესაში არ გამოქვეყნებულა. — **81.**

63 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ», რომელიც მიღებულ იქნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირზე პარტიულ მუშაკებთან. თათბირი შედგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10 — 14 იანვარს) (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 560 — 562). — 82.

64 შ ვ ი დ ე უ ლ ი — შვიდი მენშევიკი-ლიკვიდატორი დეპუტატი, რომლებიც შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. — 82.

65 ლაპარაკი რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციაზე, რომელიც მიღებულ იქნა 1913 წლის თებერვალში. ამ რეზოლუციაში პეტერბურგის კომიტეტი აღნიშნავდა იმ პოლიტიკური ხაზის სისწორეს, რომელსაც IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები ახორციელებდნენ, და გმობდა მენშევიკ დეპუტატებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩს». — 83.

66 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის «იზვესტია», რომლის გამოცემაც ნავარაუდევი იყო. გამოცემა არ განხორციელებულა. — 84.

67 იგულისხმება «პრავდის» 1913 წლის 23 აპრილის № 92. ამ ნომერში გამოქვეყნებული იყო ვ. ი. ლენინის სტატია «ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 51 — 54). — 86.

68 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — 87.

69 ლენინს მხედველობაში აქვს მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «ვინ ვისთან არის?», რომელიც გამოქვეყნდა «პრავდის» 106-ე ნომერში 1913 წლის 10 (23) მაისს. — 88

70 ა. მ. გორკი რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის დელეგატი იყო. ყრილობა შედგა 1907 წლის 30 აპრილს — 19 მაისს (13 მაისს — 1 ივნისს). — 92.

71 «პრავდა» დახურეს 1913 წლის 5 (18) ივლისს; იმავე წლის 13 (26) ივლისიდან «პრავდამ» გამოსვლა იწყო «რაბოჩაია პრავდის» სახელწოდებით.

მ ა კ ლ ა კ ო ვ ი, ნ. ა. — შინაგან საქმეთა მინისტრი. — 93.

72 თ ე ვ დ ო რ ე (თ ე ო დ ო რ ა) — IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მენშევიკური ნაწილის პირობითი სახელწოდება. — **94.**

73 «კ ო ო პ ე რ ა ტ ი ვ ი» — IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირობითი სახელწოდება. — **94.**

74 1913 წლის 10 (23) თებერვალს IV სახელმწიფო სათათბიროს წევრის გ. ი. პეტროვსკის ბინაზე დააპატიმრეს ი. მ. სვერდლოვი პროვოკატორ მალინოვსკის დაბეზღებით. — **95.**

75 ეს დოკუმენტი წარმოადგენს გაზეთ «პრავდა ტრუდას» რედაქციისადმი წერილის მინაწერს. წერილი მონახული არ არის. — **100.**

76 ლაპარაკია ა. მ. გორკის დეპეშაზე რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე ა. ბებელის გარდაცვალების გამო; დეპეშა გამოქვეყნდა გაზეთ «სევერნაია პრავდაში» № 4, 1913 წლის 4 აგვისტოს. — **101.**

77 ლადიჟნიკოვი სცემდა ა. მ. გორკის ნაშრომებს ბერლინში. — **102.**

78 1913 წლის ოქტომბერში გაზეთ «ზა პრავდუში» გამოქვეყნდა ბოლშევიკ დეპუტატთა განცხადება, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მენშევიკური ნაწილისადმი იმის შესახებ, რომ ეღიარებინა «ექვსეულისა» და «შვიდეულის» თანასწორობა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ყველა საკითხის გადაწყვეტისას. იმავე თვეში ბოლშევიკმა დეპუტატებმა გაზეთ «ზა პრავდუს» საშუალებით გამოაქვეყნეს ცნობა მენშევიკ-ლიკვიდატორების უარის შესახებ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში «ექვსეულისა» და «შვიდეულის» თანასწორობის აღიარებაზე და განაცხადეს, რომ საჭირო იყო შექმნილიყო IV სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელი ბოლშევიკური მუშათა ფრაქცია. — **104.**

79 იხ. ეს ტომი, გვ. 104 — 105. — **106.**

80 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 544 — 565. — **109.**

81 იგულისხმება რეზოლუცია «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ», მიღებული რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «ავგუსტოს» («ზაფხულის») თათბირზე პარტიულ მუშაკებთან, რომელიც შედგა 1913 წლის 23 სექტემბერს — 1 ოქტომბერს (6 — 14 ოქტომბერს). რეზოლუცია დაიბეჭდა გაზეთ «ზა პრავდუში» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 502 — 504). — **109.**

82 ლაპარაკია პეტერბურგის მუშების რეზოლუციებზე, რომლებიც საერთო სათაურით «მუშები მხარს უჭერენ თავიანთ მუშა დეპუტატებს» იბეჭდებოდა გაზეთ «ზა პრავდუში». რეზოლუციების საერთო შეჯამება მოყვანილია ლენინის სტატიაში «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 666—676). — 109.

83 ბოლშევიკ დეპუტატთა განცხადება («პასუხი 7 დეპუტატს») IV სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ ფრაქციად — «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციად» კონსტიტუირების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ «ზა პრავდუს» № 22-ში 1913 წლის 29 ოქტომბერს. — 110.

84 ვ. ი. ლენინის სტატია «მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის», რომელიც პირველად დაიბეჭდა გაზეთ «ზა პრავდუს» № 22-ში 1913 წლის 29 ოქტომბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 544—565), ხელმეორედ გაზეთში არ მოთავსებულა. სტატია გადაიბეჭდა 1914 წელს კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» სათაურით «მასალები სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის». — 111.

85 ლაპარაკია იმაზე, რომ ა. მ. გორკიმ პრესაში პროტესტი განაცხადა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ თ. მ. დოსტოევსკის რეაქციული რომანის «Бесы»-ს ინსცენირების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა დოსტოევსკის პიესის დასაცავად გამოვიდა. — 118.

86 იგულისხმება კაუცკის გამოსვლა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე 1913 წლის 14 დეკემბერს (იხ. სტ.); ეს გამოსვლა ლენინმა მკვეთრად გააკრიტიკა სტატიაში «კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა» და «კაუცკის შეუწყნარებელი შეცდომის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 632—635, 654—656). — 122.

87 «მუშის თანამგზავრი 1914 წლისათვის» — უბის კალენდარი, რომელიც გამომცემლობა «პრიბოიმ» გამოუშვა 1913 წლის დეკემბერში. 1914 წლის თებერვალში გამოვიდა მეორე, გადამუშავებული გამოცემა.

ლენინმა «მუშის თანამგზავრში» მოათავსა სტატია «გაფიცვები რუსეთში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 640—644). — 124.

88 ლენინს მხედველობაში აქვს ჟურნალ «რაბოტნიცას» გამოცემის მოამზადება. — **124.**

89 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 573—578. — **125.**

90 მკაცრი კრიტიკა ბურჟუაზიულ ნაციონალისტ ლ. იურკევიჩის შეხედულებებისა ეროვნულ საკითხში ლენინმა მოგვცა სტატიაში «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 552—553). — **128.**

91 «შახტიორსკი ლისტოკ» გამოვიდა 1914 წლის 16 (29) მარტს გაზეთ «პუტ პრავდის» № 38-ის დანართის სახით. ფურცელი გამოიცა მეშახტე მუშების ინიციატივით, მათ მიერ შეკრებილი სახსრებით. მეორე «შახტიორსკი ლისტოკ» დაიბეჭდა გაზეთ «პუტ პრავდის» № 77-ში 1914 წლის 4 მაისს.

«მიმართვა უკრაინელი მუშებისადმი» უკრაინულ ენაზე დაიბეჭდა გაზეთ «ტრუდოვაია პრავდას» № 28-ში 1914 წლის 29 ივნისს ოქსენ ლოლას ხელმოწერით. «მიმართვის» შენიშვნა «რედაქციისაგან» დაწერილია ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 612). — **129.**

92 «მნიშვნელოვანი საქმე» — მზადება პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევისათვის. ყრილობა უნდა შემდგარიყო თანახმად გადაწყვეტილებისა, რომელიც მიიღო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირმა პარტიულ მუშაკებთან (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 207). პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ყრილობა აღარ მოწვეულა. — **131.**

93 «რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამა და წესდება» იმ ცვლილებებით, რაც წესდებაში შეიტანა პრაღის 1912 წლის პარტიულმა კონფერენციამ. 1914 წელს გამოსცა რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარიზში. — **132.**

94 «ნოვი მირ» — მენშევიკური მიმართულების გაზეთი; გაზეთს სცემდა რუს ემიგრანტთა ჯგუფი ნიუ-იორკში 1911—1917 წლებში. — **133.**

95 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 479—560. — **135.**

96 ლაპარაკია ს. გ. შაუმიანის ბროშურაზე «ეროვნულ-კულტურული ავტონომიის შესახებ», რომელიც დაწერილია სომხურ ენაზე 1913—

1914 წლებში. ბროშურა წარმოადგენდა პასუხს სომეხი ბურჟუაზიული ნაციონალისტის დ. ანანუნის (ან — ნის) სტატიაზე «ეროვნული საკითხი და დემოკრატია».

ავტორის ცალკა ბროშურის შინაარსის შესახებ ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» არ გამოქვეყნებულა. შაუმიანის ბროშურის თარგმანი იხ. ს. გ. შაუმიანი. «სტატიები და სიტყვები (1908 — 1918)». 1924, გვ. 39 — 79. — **135.**

97 პროექტის გეგმა, რომელიც მოყვანილია წერილში ქვემოთ, საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილ «პროექტს კანონისა ერთა თანასწორობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 336 — 339) — **135.**

98 ლაპარაკია უკრაინელი მწერლის, ბურჟუაზიული ნაციონალისტის ვ. ვინიჩენკოს რომანზე «მამათა ანდერძი». — **137.**

99 ივულისხმება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, შედგენილი ლენინის მიერ ბრიუსელის «გამაერთიანებელი» თათბირისათვის (1914 წ. 16 — 18 ივლისს — იხ. სტ.). თათბირზე მოხსენება გამოაქვეყნა, ლენინის დავალებით, ინესა არმანდმა (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 613 — 665). — **139.**

100 დემონსტრაცია, რომლის შესახებაც წერს ლენინი, გაიმართა პეტერბურგში რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით იმ ლოკაუტის პასუხად, რომელიც პეტერბურგის მექარხნეებმა გამოაცხადეს. დემონსტრაცია შეუფარდდა ლენინზე მუშების დახვრეტის მეორე წლისთავს (1914 წლის 4 (17) აპრილს). ამ დღეს «პრავდაში» გამოქვეყნდა ლენინის სტატია «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ (ლოკაუტი და მარქსისტული ტაქტიკა)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 248 — 252). დემონსტრაციისა და მასთან ლიკვიდატორების დამოკიდებულების შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 631 — 635. — **139.**

101 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 393 — 422. — **140.**

102 კაუცკის წერილი როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ გამოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «Vorwärts»-ში და გადაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას» № 12-ში 1913 წლის 20 დეკემბერს ლენინის მიერ დაწერილი ბოლოსიტყვაობით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 62 — 63). — **141.**

103 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «ყოფილი შემნახველის ხელში მყოფი ქონებისა და ფულადი ანგარიშგების შესახებ», რომელიც მიიღო პრაღის 1912 წლის პარტიულმა კონფერენციამ (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 190). — **142.**

104 ლაპარაკია გ. ვ. პლეხანოვის სტატიებზე «ტყვიის სეტყვაში (სახელდახელო შენიშვნები)», რომლებიც დაიბეჭდა «პრავდაში» 1913 წლის აპრილ-ივნისში. — **143.**

105 ლაპარაკია ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე, რომელიც შედგა 1914 წლის 26 იანვარს — 8 თებერვალს (ახ. სტ.) ბრიუსელში. — **144.**

106 «ტრუდოვაია პრავდას» № 32-ში 1914 წლის 4 ივლისს დაიბეჭდა რეზოლუცია «მიმდინარე მომენტისა და ერთიანობის შესახებ» ხელმოწერით: «ლატვიის მხარის ს.-დ. ხელმძღვანელი დაწესებულება». — **144.**

107 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «საერთოპარტიულ კონფერენციაზე ეროვნული ცენტრების დელეგატების არდასწრების შესახებ», რომელიც მიიღო პრაღის პარტიულმა კონფერენციამ 1912 წლის იანვარში (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 179 — 180). — **145.**

108 ლაპარაკია «რსდმ პარტიასთან ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაერთიანების პირობების პროექტის შესახებ», რომელიც მიღებულ იქნა რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე 1906 წელს სტოკჰოლმში. — **145.**

109 ლაპარაკია მენშევიკურ-ლიკვიდატორულ «ნაშა რაბოჩაია გაზეტაზე», რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან ივლისამდე. — **146.**

110 ცენტრალური კომიტეტის «14 პუნქტის» შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 639 — 653. — **147.**

111 კ. მარქსის შესახებ სტატიის დამთავრება ლენინმა შეძლო 1914 წლის ნოემბერში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 35 — 97). — **148.**

112 ლაპარაკია რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატისა» და ბოლშევიკური ლიტერატურის გამოცემის მოგვარებაზე. — **150.**

113 ლენინის რეფერატი თემაზე «ევროპის ომი და სოციალიზმი» წაკითხულ იქნა ჟენევაში 1914 წლის 15 ოქტომბერს (ახ. სტ.). — **150.**

114 იგულისხმება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია». მანიფესტი გამოქვეყნდა რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანო «სოციალ-დემოკრატში» № 33, 1914 წლის 1 ნოემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 13 — 24). — **152.**

115 ს ო კ — საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი შეიქმნა 1911 წლის დეკემბერში საზღვარგარეთის ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის ამოცანები გაშუქებულია თათბირის მიერ მიღებულ საერთო რეზოლუციაში (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 174). — **153.**

116 ლენინი 1914 წლის 14 ოქტომბერს (ახ. სტ.) ლოზანაში გამოვიდა რეფერატით თემაზე «პროლეტარიატი და ომი». ჟენევაში ლენინმა 15 ოქტომბერს წაიკითხა რეფერატი თემაზე «ევროპის ომი და სოციალიზმი». — **154.**

117 ლაპარაკია ბოლშევიკების პასუხის შესახებ ე. ვანდერველდეს დეპეშაზე, რომელიც მან გაუგზავნა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მოწოდებით — მხარი დაეჭირა რუსეთის მთავრობისათვის გერმანიასთან ომში. პასუხი დაიბეჭდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით «სოციალ-დემოკრატში» № 33 1914 წლის 1 ნოემბერს. პასუხში რუსმა ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ იმპერიალისტური ომის პერიოდში მათ დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის რევოლუციური პროლეტარული პარტიის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნიათ პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციების გაფართოება და განმტკიცება, იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და თავისი მთავრობების წინააღმდეგ მისი კლასობრივი ბრძოლის განვითარება. — **155.**

118 რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატი» ლენინმა აღადგინა თითქმის ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ. «სოციალ-დემოკრატის» მორიგი № 33 გამოვიდა ჟენევაში 1914 წლის 1 (14) ნოემბერს. — **155.**

119 მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში შლიაპნიკოვი რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა და სათათბიროს ბოლშევიკების ფრაქციამ სტოკჰოლმში გაგზავნეს. ერთხანს იგი გადამცემი რგოლის ფუნქციას ასრულებდა, ერთი მხრივ, ლენინსა და, მეორე მხრივ, რსდმ პარტიის

ცენტრალური კომიტეტის რუსულ ნაწილსა და პეტერბურგის კომიტეტს შორის. შემდეგში შლიაპნიკოვი მხილებულ იქნა როგორც ხალხის მტერი. — **157.**

120 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები», რომელიც დაბეჭდილია გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 33, 1914 წლის 1 ნოემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 25 — 32). — **160.**

121 ლაპარაკია IV სახელმწიფო სათათბიროს III სესიის მოწვევაზე. სესია გაიხსნა 1915 წლის 27 იანვარს (ძვ. სტ.). — **161.**

122 იგულისხმება მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომლებიც მოხდა ნევის საგუშაგოს იქით, ვიბორგის მხარეს და პეტერბურგის სხვა მუშურ რაიონებში 1914 წლის 1 აგვისტოს (19 ივლისს) საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით. — **163.**

123 რუსეთთან კავშირის მეტად გაძნელებული პირობების გამო ლენინი 1915 წლის ზაფხულში აყენებდა საკითხს შვეიცარიიდან ნორვეგიაში გადასვლის შესაძლებლობის შესახებ. გადასვლა არ მოხდა. — **168.**

124 ლენინს მხედველობაში აქვს მოწოდება ლიბერალური მიმართულების «მწერლების, მხატვრებისა და მსახიობებისადმი». მოწოდება დაიბეჭდა მემარჯვენე კადეტების გაზეთში «რუსსკიე ვედომოსტი». — **168.**

125 ლაპარაკია სტატიაზე «კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ)», რაც ლენინმა დაწერა ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, რომელსაც სცემდა ძმები გრანატების ამხანაგობა. სტატია შემოკლებულად დაიბეჭდა ლექსიკონის 28-ე ტომში ვ. ი ლ ი ნ ი ს ხელმოწერით. სტატიის სრული ტექსტი დაიბეჭდა 1925 წელს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 35— 97). — **171.**

126 ხუთი დეპუტატი-ბოლშევიკი — IV სახელმწიფო სათათბიროს რსდმ ფრაქციის წევრები — დაუპატიმრეს პროვოკატორის დაბეზღებით 1914 წლის 5 (18) ნოემბერს, ომის საკითხზე ბოლშევიკების თათბირის მეორე დღეს. მეფის მთავრობამ ბოლშევიკ დეპუტატებს ბრალი დასდო «სახელმწიფო ღალატში». სასამართლომ ყველა დეპუტატს მიუსაჯა უფლებათა აყრა და აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება. — **173.**

127 კამენევი დაუპატიმრეს ბოლშევიკების 1914 წლის 4 (17) ნოემბრის თათბირის სხვა მონაწილეებთან ერთად. წინასწარი გამოძიებისას და გასამართლების დროს კამენევმა უარყო ბოლშევიკების პოზიცია

იმპერიალისტური ომის მიმართ, ლენინის თეზისები ომის შესახებ და თავის შეხედულებათა დასამტკიცებლად ითხოვა მოწმედ გამოეწვიათ მენშევიკი სოციალ-შოვინისტი იორდანსკი. კამენევის გამცემლური პოზიცია ლენინმა დაგმო სტატიაში «რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 195—202). — **173.**

128 ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური «უკრაინის განთავისუფლების კავშირის» ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბასოკის (მელენევსკის) წერილზე. იხ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინის სტატია «ცილისმწამებელთა შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 342). — **177.**

129 ლაპარაკია ბროშურაზე მუშა ქალებისათვის, რომლის დაწერასაც აპირებდა ი. არმანდი. ბროშურა არ დაწერილა. — **178.**

130 ე ლ ე ნ კ ი — შვედი ბურჟუაზიული მწერალი ქალი, რომელიც წერდა ქალთა მოძრაობისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. — **182.**

131 იგულისხმება «ბოჟის» ანტიპარტიული ჯგუფი (ბუხარინი, როზმიროვიჩი, კრილენკო), რომელსაც ასე უწოდეს მისი ადგილსამყოფელის — დაბა ბოჟის (შვეიცარია) მიხედვით.

1915 წლის დამდეგს «ბოჟის» ჯგუფი გამოვიდა გეგმით — გამოეცა თავისი ფრაქციული გაზეთი — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» საწინააღმდეგოდ. ამ გეგმის გატარება «ბოჟელებმა» სცადეს რსდმ პარტიის საზღვარგარეთის სექციების კონფერენციაზეც, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს (ახ. სტ.) ბერნში. კონფერენციამ უარყო ბუხარინელთა ანტიპარტიული პრეტენზიები. — **183.**

132 კონფერენცია de la Triple Entente («სამთა თანხმობის») სოციალისტებისა გაიმართა ლონდონში 1915 წლის 14 თებერვალს (ახ. სტ.). კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «ლონდონის კონფერენციის შესახებ», «ლონდონის კონფერენციის გამო» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 147—150, 203—206) და «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 205. — **184.**

133 იხ. ვ. ი. ლენინი ««ნაშე სლოვოს» რედაქციას» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 138—142). — **185.**

134 ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და სხვა ანტიპარტიული ჯგუფებისა და მიმდინარეობების აგვისტოს კონფერენციაზე. — **186.**

135 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის საუბრებზე შვედი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელთან ჰეგლუნდთან კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე 1910 წელს. — **187.**

136 ლაპარაკია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტზე «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია». მანიფესტზე დავიდის შეხედულებათა კრიტიკა იხ. ლენინის სტატიაში «გერმანული ოპორტუნიზმის მთავარი შრომა ომის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 324 — 329). — **188.**

137 Vorkonferenz (წინასწარი კონფერენცია) — თათბირი პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის (ციმერვალდის კონფერენციის) მოსამზადებლად გაიმართა ბერნში 1915 წლის 11 ივლისს (ახ. სტ.). თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, იტალიის სოციალისტური პარტიის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობისა და პპს «ლევიცის», ორგანიზაციული კომიტეტის (მენშევიკების) და რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება მეორე თათბირის მოწვევის შესახებ, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა კონფერენციის საკითხი. მეორე თათბირი აღარ მოწვეულა. — **191.**

138 ჩხეიძის ფრაქცია — IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქცია. — **191.**

139 ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე გაიმართა 1915 წლის 26 — 28 მარტს (ახ. სტ.) ბერნში. კონფერენციის შესახებ იხ. ლენინის სტატია «სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 231 — 236). — **192.**

140 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 13 — 24. — **192.**

141 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187. — **192.**

142 ივულისხმება რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე, რომელიც მიიღო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირმა პარტიულ მუშაკებთან. თათბირი შედგა პორონინში 1913 წლის 23 სექტემბერს — 1 ოქტომბერს (6 — 14 ოქტომბერს) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 505 — 508). — **196.**

143 ლაპარაკია რსდმ პარტიის პროგრამის მეთორმეტე პუნქტზე (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 21). — **197.**

144 იგულისხმება მემარცხენე ინტერნაციონალისტთა დეკლარაციის პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მომზადების პერიოდში და გაუგზავნა ა. მ. კოლონტაის (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 420 — 423). შვედმა და ნორვეგიელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა აზრი გამოთქვეს იმის სასარგებლოდ, რომ შეერთებოდნენ ამ პროექტს. — **198.**

145 ლაპარაკია შლიაპნიკოვის გამგზავრებაზე რუსეთში. — **201.**

146 იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412). — **201.**

147 იგულისხმება პროექტი მემარცხენე ინტერნაციონალისტთა რეზოლუციისა, რომელიც რადეკმა დაწერა პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით. კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წ. 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 468 — 475, 476 — 481). — **204.**

148 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «რამდენიმე თეზისი», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 47, 1915 წლის 13 ოქტომბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 490 — 494). — **208.**

149 იგულისხმება გერმანულ ენაზე გამოცემული ბროშურა «სოციალიზმი და ომი». — **210.**

150 ბროშურა გამოიცა 1915 წლის ნოემბერში გერმანულ ენაზე შემდეგი სახელწოდებით «Internationale Flugblätter» № 1 (Die Zimmerwalder Linke über die Aufgaben der Arbeiterklasse) («ინტერნაციონალური სახელდახელო ფურცელი» № 1 (ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი მუშათა კლასის ამოცანების შესახებ)). — **211.**

151 ჟურნალ «ლეტოპისთან» მოეწყო გამომცემლობა «პარუსი», რომელსაც გაეგზავნა ლენინის ნაშრომი «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტა-

ლიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 1 — 116). — **213.**

152 ლაპარაკია წიგნზე «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229 — 384). — **213.**

153 ლაპარაკია «გაზეტა რობოტნიჩას» სარედაქციო კოლეგიის თათბირის რეზოლუციაზე. უფრო დაწვრილებით რეზოლუციის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 192 — 196). — **214.**

154 «ს ბ ო რ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა ს» სცემდა რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 1916 წლის ოქტომბერში და № 2 დეკემბერში. — **215.**

155 იგულისხმება რსდმ პარტიის საზღვარგარეთის სექციების კონფერენცია, რომელიც შედგა 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს (ახ. სტ.) ბერნში (შვეიცარია).

კონფერენციაზე მოხსენებაში «ომი და პარტიის ამოცანები» ლენინმა გააშუქა უმნიშვნელოვანესი საკითხები ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკისა იმპერიალისტური ომის პერიოდში.

კონფერენციაზე თეზისებით გამოვიდა ბუხარინი, რომელიც იცავდა ანტიმარქსისტულ, ანტიპარტიულ შეხედულებებს. ლენინმა ეს შეხედულებები დაახასიათა როგორც «იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულება.

კონფერენციამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები: ომის ხასიათის შესახებ, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგების, სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან დამოკიდებულების შესახებ, და სხვები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187). — **216.**

156 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 505 — 508. — **217.**

157 იგულისხმება ნავარაუდევი გამოცემა კრებულისა ომის დროს ებრაელთა მდგომარეობის შესახებ. კრებული არ გამოსულა. — **218.**

158 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 192 — 196. — **223.**

159 «ი ა პ ო ნ ე ლ ებ ს» უწოდებდნენ პიატაკოვსა და ბოშს, რომლებიც რუსეთიდან შვეიცარიაში წავიდნენ ემიგრაციაში იაპონიაზე გავლით. — **226**

160 იგულისხმება ხელნაწერი ლენინის წიგნისა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229 — 384). — **229.**

161 იგულისხმეაა ბუხარინის სტატია სახელმწიფოს შესახებ, რომელიც მან «სპორნიკ სოციალ-დემოკრატასთვის» დაწერა. სტატია არ დაბეჭდილა. — **231.**

162 ჯ ე მ ს ი ს ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა — ა. ი. ელიზაროვას დაპატიმრება პეტროგრადში. — **236.**

163 იგულისხმება რსდმ პარტიის საზღვარგარეთის სექციების კონფერენციის რეზოლუციები და ბროშურა «სოციალიზმი და ომი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187 და 357 — 412). — **236.**

164 ლაპარაკია ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის გათიშვის შესახებ მანჩესტერის 1916 წლის აპრილის კონფერენციაზე. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ოპორტუნისტული ფრთა — ჰაინდმანი და მისი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და პარტიიდან გავიდნენ. ამ დროიდან ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც ბრძოლას ეწეოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც 1920 წელს ჩამოყალიბდა. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანიზაციების მეტი წილი კომპარტიაში შევიდა. — **237.**

165 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22 — 90). — **237.**

166 ლაპარაკია ა. მ. კოლონტაის შესახებ. კონსპირაციული მიზნით ლენინი ნორვეგიას ესპანეთს უწოდებს. — **237.**

167 «გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ი ს მ ო მ ხ რ ე ნ ი» — «მეექვაიონელები», წევრები გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა სარაიონთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც პეტერბურგში 1913 წელს შეიქმნა. ორგანიზაციაში შედიოდნენ ტროცკისტი-მენშევიკები და ნაწილი პარტიას ჩამოშორებული ყოფილი ბოლშევიკებისა. პირველი მსოფლიო ომის დროს «მეექვაიონელებს» ცენტრისტული პოზიცია ეკავათ და ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1916 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე «მეექვაიონელები» პეტროგრადში უშვებდნენ ლეგალურ ჟურნალს «რაბოჩიე

ვედომოსტი». 1917 წელს «მეექრაიონელებმა» განაცხადეს, ვეთანხმებით ბოლშევიკური პარტიის ხაზსო, და რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე მიღებულ იქნენ პარტიაში. «მეექრაიონელთა» ნაწილი ტროცკის მეთაურობით, როგორც შემდეგ გამოირკვა, პარტიაში შევიდა არა პარტიის სასარგებლოდ მუშაობისათვის, არამედ იმისათვის, რომ შიგნიდან შეერყია და აეფეთქებინა იგი. შემდეგში ისინი მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები. — **239.**

168 ლაპარაკია გამომცემლობა «ვოლნაზე», რომელიც პეტროგრადში 1916 წელს დაარსდა. გამომცემლობის ორგანიზატორებმა ვ. ი. ლენინს წინადადებით მიმართეს მონაწილეობა მიეღო გამოცემებში და გაეგზავნა სტატიები. მიიღო რა ცნობა, რომ გამომცემლობის ორგანიზატორი იყო პროვოკატორობაში ეჭვმიტანილი ჩერნომაზოვი, ლენინმა უარი თქვა «ვოლნას» გამოცემებში მონაწილეობაზე. — **241.**

169 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნები «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ» და «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 1 — 116 და 229 — 384). — **241.**

170 ლაპარაკია სტატიაზე «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ», რომლის გამოქვეყნებასაც ლენინი ვარაუდობდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 3-ში. კრებული ამ ნომრის გამოცემა არ განხორციელებულა. სტატია პირველად გამოქვეყნდა 1924 წელს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22 — 90). — **242.**

171 იგულისხმება ავსტრიის პრემიერ-მინისტრ შტიურგკის მოკვლა ფრიდრიხ ადლერის — ავსტრიის სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის მიერ. — **244.**

172 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც.. ტომი 21, გვ. 180 — 187. — **248.**

173 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 520 — 528). — **249.**

174 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 50 — 59. — **249.**

175 იგულისხმება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობების მიერ 1916 წლის 5 ნოემბერს (ახ. სტ.) გამოქვეყნებული დეკლარაცია

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის პროტექტორატით პოლონეთის მონარქისტულ-კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნის შესახებ. — **250.**

176 ლენინს მხედველობაში აქვს ის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე, რასაც რ. ლუქსემბურგი ავითარებდა პოლონელი სოციალ-დემოკრატების ჟურნალში «Przeglad Socjaldemokratyczny» («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა»), რომელიც კრაკოვში გამოდიოდა. ამის შესახებ იხ. ლენინის სტატია «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 479 — 560). — **250.**

177 ლაპარაკია ფ. ენგელსის სტატიაზე «რა ესაქმება მუშათა კლასს პოლონეთთან?» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნ. I, 1936, გვ. 149 — 161). — **251.**

178 იგულისხმება ი. არმანდის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი თეზისები «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 173 — 188). — **252.**

179 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის თეზისებზე «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში». — **254.**

180 ლაპარაკია სტატიაზე «მარქსიზმი და რევიზიონიზმი», რომელიც 1908 წელს დაიბეჭდა კრებულში «კარლ მარქსი (1818 — 1883)» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 19 — 32). — **256.**

181 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 183 — 184. — **257.**

182 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. II, 1936, გვ. 239 — **254.** — **257.**

183 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22 — 90). — **258.**

184 ლაპარაკია შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის შესახებ. — **259.**

185 იგულისხმება «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა». — **262.**

186 1916 წლის 30 ნოემბერს (ახ. სტ.) გაიმართა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატთა, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მომხრეთა კრება. ამ კრებაზე განხილულ იქნა მილიტარიზმისა და ომისადმი სოციალისტთა დამოკიდებულების გამო შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული

პარტიის მომავალი საგანგებო ყრილობისათვის რეზოლუციის პროექტის მომზადების საკითხი. — **264.**

187 ა ა რ ა უ ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის (გაიმართა აარაუში 1915 წლის 20 — 21 ნოემბერს (ახ. სტ.)) დადგენილება ომის წინააღმდეგ რევოლუციური მასობრივი ბრძოლის აღიარების შესახებ. — **265.**

188 იგულისხმება გუჩკოვის 1916 წლის 15 (28) აგვისტოს წერილი უმაღლესი მთავარსარდლის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევისადმი. წერილში გამოხატული იყო რუსეთის ბურჟუაზიის შიში მზარდი რევოლუციის წინაშე და უკმაყოფილება მეფის მთავრობით, რომელსაც უნარი არ შესწევდა თავიდან აეცილებინა რევოლუციის დადგომა. გუჩკოვის წერილი დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 57-ში 1916 წლის 30 დეკემბერს. — **267.**

189 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 208 — 213). — **267.**

190 ლაპარაკია ლენინის ნაშრომზე «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 540). — **270.**

191 იგულისხმება ნ. კ. კრუპსკაიას ბროშურა «სახალხო განათლება და დემოკრატია». ბროშურა 1917 წელს გამოსცა წიგნის გამომცემლობამ «ჟიზნ ი ზნანიე». — **270.**

192 ლაპარაკია წიგნის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» ხელნაწერზე, რომელიც იმ დროს გამომცემლობა «პარუსში» იყო. — **270.**

193 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. I, 1950, გვ. 113 — 136. — **275.**

194 აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია ფ. ენგელსის აზრებზე, რომლებიც მას გამოთქმული აქვს ფ.-ა. ზორგესათვის გაგზავნილ წერილში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 308). — **276.**

195 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 406 — 459). — **278.**

196 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 287 — 299. — **279.**

197 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22—90. — **282.**

198 იგულისხმება რეფერენდუმი მილიტარიზმისა და ომისადმი დამოკიდებულების საკითხის განსახილველად შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხზე. რეფერენდუმი გამოაცხადეს შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვამგეობამ გამოიტანა ამ ყრილობის მოწვევის გაურკვეველი დროით გადადების შესახებ. — **285.**

199 იხ. ფ. ენგელსი. «ბინის საკითხისათვის» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. 1, 1950, გვ. 631—738). — **292.**

200 ლაპარაკია რეზოლუციაზე, რაც განსახილველად შეტანილ იქნა ფრანგული სოციალისტური პარტიის კონგრესზე, რომელიც პარიზში 1916 წლის დეკემბერში მიმდინარეობდა. კონგრესის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 225—251). — **292.**

201 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 252—266. — **292.**

202 სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე სტატიის დაბეჭდვას ლენინი ვარაუდობდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 3-ში. ლენინს სტატია არ დაუწერია. ლენინის მიერ შეგროვებული მასალები საფუძვლად დაედო ნაწარმოებს «სახელმწიფო და რევოლუცია» და 1932 წელს გამოცემულ იქნა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ». — **298.**

203 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 208—213). — **298.**

204 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22—90. — **298.**

205 «ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ს» ლენინი უწოდებდა მემარცხენეებს შვეიცის სოციალ-დემოკრატიაში, რომლებიც მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ კავშირს ეყრდნობოდნენ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში «ახალგაზრდები» ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს ემხრობოდნენ. — **299.**

206 ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიურო იმ დროს ეწოდებოდა ბოლშევიკების მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს. ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიუროს შემადგენლობაში შედიოდნენ: რ. ს. ზემლიაჩკა, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სტეპანოვ-სკვორცოვი და სხვ. — **300.**

207 ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყრილობა ტიოსში მიმდინარეობდა 1917 წლის 11 — 12 თებერვალს (ახ. სტ.). ყრილობაზე განხილულ იქნა მილიტარიზმისა და ომისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხი. ყრილობას წარედგინა რეზოლუციის ორი პროექტი: 1) რეზოლუციის პროექტი, შედგენილი მემარცხენეების მიერ სოციალ-შოვინიზმის სულისკვეთებით, და 2) რეზოლუციის ცენტრისტული პროექტი, რომელიც მოიწონა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა უმრავლესობამ. ხმების უმეტესობით (93 წინააღმდეგ 65-ისა) ყრილობამ მიიღო უმრავლესობის რეზოლუციის პროექტი. სოციალ-შოვინისტების რეზოლუცია რომ არ გასულიყო, მემარცხენეებმა ხმა მისცეს უმრავლესობის რეზოლუციას, მაგრამ შეიტანეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წინადადება ამ რეზოლუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 374 — 375). მემარცხენეთა წინადადებამ 32 ხმა მიიღო. ყრილობის მასალები დაიბეჭდა გაზეთ «Volksrecht»-ში («ხალხის უფლება»). — **302.**

208 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 345 — 357. — **309.**

209 ლაპარაკია ლენინის დაბრუნებაზე ემიგრაციიდან რუსეთში. — **315.**

210 იგულისხმება «წერილები შორიდან. წერილი 1. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი» და «წერილები შორიდან. წერილი 2. ახალი მთავრობა და პროლეტარიატი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 393 — 408 და 409 — 422). — **317.**

211 «ნაჩალოელები» — მომხრეები ჯგუფისა, რომელიც შეიქმნა მენშევიკურ-ტროცკისტულ გაზეთ «ნაჩალოს» გარშემო. ეს გაზეთი გამოდიოდა პარიზში 1916 წლის სექტემბრიდან 1917 წლის მარტამდე. — **317.**

212 ეს წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილის პასუხია. 1917 წლის მარტში ლუნაჩარსკი ციურიხში ჩასვლას აპირებდა და ლენინს წინადადება მისცა მოეწყოთ ბოლშევიკების თათბირი «ვპერიოდელებთან». ლენინმა უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ამ თათბირში. — **318.**

213 გვოზდიოველები — მომხრეები მენშევიკ სოციალ-შოვინისტ გვოზდიოვისა, რომელიც რუსეთის ბურჟუაზიის მიერ 1915 წელს

შექმნილ ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში სათავეში ედგა ეგრეთწოდებულ «მუშათა ჯგუფს». — **318.**

214 სამშაბათს, 1917 წლის 27 მარტს (ახ. სტ.), ლენინმა ციურიხის სახალხო სახლში, შვეიცარიელ მუშათა კრებაზე, წაიკითხა რეფერატი «რსდმპარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 468 — 476). — **320.**

215 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 423 — 440. — **320.**

216 იხ. ეს ტომი, გვ. 318 — 319. — **320.**

217 ჩხეიძის მოწოდება — პეტროგრადის მენშევიკურ-ესერული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერის შესახებ. — **322.**

218 ლაპარაკია ლენინის ნაშრომზე «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 540). — **322.**

219 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 391 — 449. — **327.**

220 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412. — **327.**

221 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «რამდენიმე თეზისი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 490 — 494). — **327.**

222 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 477 — 481). — **330.**

223 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 484 — 493. — **332.**

224 ლაპარაკია რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის შესახებ. კონფერენცია შედგა პეტროგრადში 1917 წლის 24 — 29 აპრილს (7 — 12 მაისს). კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 257 — 371; ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, გვ. 53 — 63. — **335.**

225 «ბეზ ლიშნიხ სლოვ» — პასკვილური ხასიათის ყოველკვირეული; უშვებდა შავრაზმელი ალექსინსკი პეტროგრადში 1917 წლის აპრილისში. — **337.**

226 იგულისხმება «Russische Korrespondenz «Prawda»» («რუსული ბიულეტენი «პრავდა»»), რომელსაც რსდმპ (ბ) საზღვარგარეთული ბიურო უშვებდა 1917 წელს სტოკჰოლმში. ბიულეტენი გამოდიოდა გერმანულ ენაზე. იყო ფრანგული გამოცემაც. — **337.**

227 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის (I. S. K.) თავმჯდომარე რ. გრიმი, რომელიც 1917 წლის გაზაფხულზე რუსეთში იყო, იღებდა და უგზავნიდა საიდუმლო დეპეშებს შვეიცარიის მინისტრს ჰოფმანს გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატული ზავის დასადებად ზავის იმ პირობების შესახებ, რომლებსაც გერმანია აყენებდა. ამისათვის იგი გაძევებულ იქნა რუსეთიდან. გრიმის საქმის გამოძიება დაევალა I. S. K-ის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიას, რომელმაც ცნო, რომ რ. გრიმის მოქმედება ციმერვალდის მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა. რ. გრიმი განთავისუფლებულ იქნა I. S. K-ის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. კომისიის გადაწყვეტილება რ. გრიმის საქმის გამო დაამტკიცა ციმერვალდის მესამე კონფერენციამ, რომელიც სტოკჰოლმში 1917 წლის სექტემბერში (ახ. სტ.) მიმდინარეობდა. — **338.**

228 ლაპარაკია სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომლის მოწვევა ნავარაუდევი იყო სტოკჰოლმში 1917 წლის ზაფხულში. ამ კონფერენციის მოწვევის საკითხი დააყენეს ნეიტრალური ქვეყნების ცენტრისტებმა და სოციალისტებმა. — **338.**

229 იგულისხმება რსდმპ (ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციისა და VI ყრილობის რეზოლუციები (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 226 — 239 და 252 — 264). — **341.**

230 ეს წერილი ფინეთში რევოლუციური მუშათა მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით არის დაწერილი. მოძრაობა დაიწყო რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით. — **345.**

231 დეპეშა გაგზავნილ იქნა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის იმ თხოვნის პასუხად, რომ დადასტურებული ყოფილიყო საგუბერნიო საბჭოს ბრძანებულება ძველი საგუბერნიო კომისრის განთავისუფლებისა და ახლის დანიშვნის შესახებ. — **346.**

252 დეპეშა გაგზავნილია ოსტროგოჟსკის საბჭოს თავმჯდომარის იმ შეკითხვის პასუხად, თუ როგორ მოქცეოდნენ მემამულეთა მამულების ლიკვიდაციის დროს კონფისკებულ ფასეულობებს. — **347.**

283 ვ. ი. ლენინის ეს დეპეშა პასუხია ქალაქ დრისის დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის იმ შეკითხვაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ქალაქთან გერმანელთა ჯარების მიახლოების შემთხვევაში. — **350.**

284 ვ. ი. ლენინის ეს მიწერილობა გაცემულია სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 22 აპრილის დადგენილების შესასრულებლად, რომელიც მიღებულ იქნა ი. ბ. სტალინის ცნობის მიხედვით გერმანელებისა და გაიდამაკების მიერ ჩერტკოვოს რკინიგზის სადგურის დაკავების საშიშროების შესახებ. ამ მიწერილობის ტექსტი სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით შედგენილ იქნა ი. ბ. სტალინის მიერ. — **351.**

285 დეკრეტი «მ ე ქ რ თ ა მ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1918 წლის 8 მაისს. — **352.**

286 ლენინს მხედველობაში აქვს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც სახალხო კომისრების ჯამაგირის ზღვრულ ოდენობად აწესებდა თვეში 500 მანეთს და დამატებას 100 მანეთს ოჯახის თვითეული შრომის უნარს მოკლებული წევრისათვის. — **353.**

287 ი. ბ. სტალინი, რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული იყო სასურსათო საქმის საერთო ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში და აღჭურვილი იყო საგანგებო უფლებებით, ამ დროს ცარიცინში იმყოფებოდა. — **355.**

288 პეტროგრადის გაზეთ «კრასნაია გაზეტას» რედაქტორი და პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ვოლოდარსკი 1918 წლის 20 ივნისს მოკლულ იქნა ესერების მიერ, რომლებიც, ასრულებდნენ რა უცხოელ ინტერვენტთა განზრახვებს, გადავიდნენ თეთრ ტერორზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წლის 30 აგვისტოს ესერები მოკვლის მიზნით ავაზაკურად დაესხნენ თავს ვ. ი. ლენინს და დაჭრეს იგი.

როგორც სასამართლო პროცესმა ანტისაბჭოთა «მემარჯვენეტროცკისტული ბლოკის» საქმის გამო 1938 წელს ცხადყო, 1918 წელს ვ. ი. ლენინის მოკვლის მიზნით ავაზაკური თავდასხმის მზადებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე «მემარცხენე კომუნისტებიც» ბუხარინის მეთაურობით, რომლებსაც «მემარცხენე» ესერებთან და ტროცკისტებთან კონტრრევოლუციური შეთქმულება ჰქონდათ იმ მიზნით, რათა დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და მოეკლათ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი.

ბოლშევიკების წინააღმდეგ თეთრი ტერორისათვის მუშათა მასების ინიციატივით ესერების მიმართ გამოყენებულ იქნა წითელი ტერორი და ისინი განადგურებულ იქნენ ცენტრალური რუსეთის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვან პუნქტში. — **356.**

239 ეს დეპეშა იყო ლენინის მიერ უკანასკნელი გაფრთხილება მურმანსკის დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის იურიევისა (ალექსეევისა), რომელიც ფუშავდა სახკომსაბჭოს დირექტივის შესრულებას და ხელს უწყობდა ინგლისელი იმპერიალისტების მიერ საბჭოთა ჩრდილოეთის ოკუპაციას 1918 წელს. როგორც შემდეგში გამოირკვა, იურიევი იყო ხალხის იმ დროს შენიღბული მტრის ტროცკის მომხრე და მის სხვა აგენტებთან ერთად ასრულებდა მის ანტისაბჭოთა მითითებებს, უცხოელი ინტერვენტების საამებლად ღალატობდა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესებს. — **358.**

240 გერმანიის ელჩის მირბახის პროვოკაციული მოკვლა შემადგენელი ნაწილი იყო ბუხარინელების, ტროცკისტებისა და «მემარცხენე» ესერების კონტრრევოლუციური შეთქმულების საერთო გეგმისა. ისინი მიზნად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და რუსეთის ჩაბმას გერმანიის წინააღმდეგ ომში. ამავე მიზნით 1918 წლის ივლისში «მემარცხენე» ესერებმა მოსკოვში მოაწყვეს ამბოხება და ცდილობდნენ აჯანყება მოეწყოთ რუსეთის მთელ რიგ პუნქტებში. საბჭოთა მთავრობამ სწრაფად მოახდინა შეთქმულების ანტისაბჭოთა ავანტიურის ლიკვიდაცია, ჩაფუშა კონტრრევოლუციონერთა პროვოკაცია და თავიდან აიცილა ომი. — **362.**

241 ლაპარაკია ი. ბ. სტალინის მიერ ს. გ. შაუმიანისათვის 1918 წლის 20 ივლისს ცარიცინიდან გაგზავნილ დეპეშაზე, რომელშიც ი. ბ. სტალინმა ამხილა ანტიხალხური პოლიტიკა ესერების, დაშნაკებისა და მენშევიკების კონტრრევოლუციური ბლოკისა ბაქოს საბჭოში, რომლებიც ნიადაგს ამზადებდნენ ინგლისელების მიერ ბაქოს ოკუპაციისათვის. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ი. ბ. სტალინმა ბაქოს სახკომსაბჭოს მოსთხოვა უსიტყვოდ განეხორციელებინა საბჭოების V სრულიად რუსეთის ყრილობის გადაწყვეტილებანი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის შესახებ და უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტებთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ. ი. ბ. სტალინის დეპეშა გამოქვეყნდა გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩის» 1918 წლის 22 (9) ივლისის № 143-ში. — **364.**

242 წერილის ბოლოს მოყვანილი იყო რსფსრ სახელმწიფო ბეჭდის ანაბეჭდი. — **366.**

243 ლენინი აქ ლაპარაკობს თავის გამოჯანმრთელებაზე იმ ჭრილობის მიღების შემდეგ, რაც მას ესერმა-ტერორისტებმა 1918 წლის 30 აგვისტოს მიაყენეს ყოფილ მიხელსონის ქარხანაში.

ვ. ი. ლენინის ეს დეპეშა პასუხია V არმიის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელთა დეპეშაზე, რომლებმაც ვლადიმერ ილიას-ძეს გამოუგზავნეს. — 381.

244 ლენინს არაერთხელ გაუკრიტიკებია განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელები და განსაკუთრებით ა. ვ. ლუნაჩარსკი «მეფეთა და მათ მსახურთა პატივსაცემად დადგმული ძეგლების მოხსნისა და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ძეგლების პროექტთა შემუშავების შესახებ» სახკომსაბჭოს 1918 წლის 14 აპრილის დეკრეტისა და ამ საკითხზე მთავრობის შემდგომ დადგენილებათა შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის. ვ. ი. ლენინის ეს დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი დაკავშირებულია იმასთან, რომ სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 8, 17 და 30 ივლისის დადგენილებებით განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა ყოველნაირად დაეჩქარებინა მოსკოვისა და პეტროგრადის ქუჩებისა და საზოგადოებრივი შენობების შემკობა წარწერებითა და რევოლუციური მოძრაობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლებით. — 382.

245 ვ. ი. ლენინის წიგნი «ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა» 1918 წელს ორჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 465 — 615). — 385.

246 ვ. ი. ლენინის წინადადებით მოწვეული გაერთიანებული სხდომა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოსკოვის საბჭოსი და ქ. მოსკოვის პროფესიული ორგანიზაციებისა შედგა 1918 წლის 3 ოქტომბერს. ლენინმა, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა ამ სხდომას დასწრებოდა, წერილი გამოგზავნა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 105 — 108). — 387.

247 ლენინს მხედველობაში აქვს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის 1918 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება, რომლითაც მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელები ცდილობდნენ თავიდან მოეხსნათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ შეასრულეს სახკომსაბჭოს არაერთგზისი დადგენილება მოსკოვში რევოლუციური მოძრაობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთათვის ძეგლების დადგმის შესახებ. — 388.

248 ლენინმა თავის შრომაში «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» ამხილა კ. კაუცკის ბოროტი გამოხდომები პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, მისი წიგნის ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისადმი მტრული ხასიათი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 271 — 401). — 393.

249 ლაპარაკია ესერულ-მენშევიკური ამბოხების ჩახშობაზე იჟევსკისა და ვოტკინსკის ქარხნებში (ვიატკის გუბერნია). მეამბოხეებმა ხელთ იგდეს იჟევსკი და ვოტკინსკი 1918 წლის აგვისტოში. წითელმა არმიამ ეს ქალაქები გაათავისუფლა 1918 წლის ნოემბერში (8 და 11 ნოემბერს). — **395.**

250 კარლ ლიბკნეხტი საკატორღო საპყრობილიდან (სადაც იგი 1916 წლის მაისიდან იმყოფებოდა) განთავისუფლებულ იქნა 1918 წლის 22 ოქტომბერს. — **396.**

251 ლენინს მხედველობაში აქვს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ, რომლის მე-15 პუნქტში გათვალისწინებული იყო კოოპერაციის საქმიანობის გაშლა, ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული კოოპერაციული დუქნებისა და საწყობების აღდგენა. სახკომსაბჭოს დეკრეტი მოითხოვდა კოოპერატივებისადმი ღარიბთა კომიტეტებისა და ადგილობრივი საბჭოების სისტემატური კონტროლის დაწესებას კულაკებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების იმ ცდების აღსაკვეთად, რომ თავიანთი გავლენისათვის დაემორჩილებინათ კოოპერატივები. — **402.**

252 ლენინს მხედველობაში აქვს კაზაკების თეთრგვარდიელი აჯანყება დონზე, სტანიცა ვეშენსკაიას რაიონში, სამხრეთის ფრონტის ზურგში. რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი და სამხრეთის ფრონტის სარდლობისადმი მთელ რიგ დირექტივებში ლენინს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს აჯანყებულებისა და დენიკინის შემტევი ჯარების გაერთიანების საშიშროება და აჯანყების სწრაფად ჩაქრობის დიდი მნიშვნელობა (იხ. ეს ტომი, გვ. 407, 413, 416, 417). — **404.**

253 ლაპარაკია უკრაინელი ესერების ეკატერინოსლავის ორგანიზაციის რეზოლუციაზე. უკრაინელი ესერები გამოდიოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, უკრაინისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო კავშირის წინააღმდეგ, რუს ხალხთან უკრაინელი ხალხის მევობრობის წინააღმდეგ. — **410.**

254 წითელი არმიის მიერ დენიკინელებისათვის სამხრეთის ფრონტზე წართმეულ სამხედრო დავლაში იყო რამდენიმე ფრანგული ტანკი. ერთი მათგანი უკრაინის მეორე საბჭოთა არმიამ ვ. ი. ლენინს საჩუქრად გაუგზავნა. — **411.**

255 ტროცკისტები და ზინოვიეველები, რომლებიც პეტროგრადში პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაში გაძვრნენ, ცდილობდნენ ჩაეფუშათ ქალაქის დაცვა და ქალაქი მოწინააღმდეგისათვის ჩაებარებინათ.

მათ შეიმუშავეს ქალაქის ევაკუაციისა და გემების ჩაძირვის საიდუმლო გეგმა. მიიღო რა ცნობები ტროცკისტებისა და ზინოვიეველების, ხალხის შენიღბული მტრების, საეჭვო მოქმედების შესახებ, ლენინმა საჭიროდ მიიჩნია პეტროგრადის დაცვა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს უშუალო კონტროლისათვის დაექვემდებარებინა. თავდაცვის საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ მომხდარიყო პეტროგრადის საერთო ევაკუაცია. თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისათვის წინააღმდეგობის მოსაწყობად, რომლებიც პეტროგრადს უტევდნენ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის მაისში გაგზავნა ი. ბ. სტალინი. პეტროგრადისათვის შექმნილი საფრთხე მისი ხელმძღვანელობით ლიკვიდირებულ იქნა. — **415.**

266 ლაპარაკია კონტრრევოლუციონერ «ატამან» გრიგორიევზე, რომელმაც 1919 წლის მაისში წითელი არმიის ზურგში სამხრეთ უკრაინაში (ელიზავეტგრადის, ეკატერინოსლავის, კრივოი როგის, ხერსონის რაიონები) აჯანყება მოაწყო. 1919 წლის მაისის დამლევს წითელი არმიის ნაწილებმა აჯანყება ჩააქრეს კ. ე. ვოროშილოვის საერთო სარდლობით. — **418.**

267 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის იმ განკარგულების შესრულების დანაშაულებრივ გაჭიანურებაზე, რომელიც ეხებოდა პეტროგრადის ფრონტზე საბრძოლო მაშველი ძალების სასწრაფოდ გაგზავნას, რასაც მოითხოვდა ი. ბ. სტალინი, რომელიც პეტროგრადის დაცვას ხელმძღვანელობდა. — **422.**

258 დეპეშის არშიებს აქვს ნიშნები, რომ იგი განმეორებით ყოფილა გადაცემული ორჯერ — 15 და 17 ივნისს. — **425.**

259 ურალსკის ბლოკადა გარღვეულ იქნა და წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შეეიდნენ 1919 წლის 11 ივლისს. — **426.**

260 ლენინს მხედველობაში აქვს კულაკური აჯანყებანი, რომლებმაც მთელ რიგ ფრონტისპირა რაიონებში (სამარისა და ორენბურგის გუბერნიები, ურალის ოლქი) იფეთქა, როცა კოლჩაკის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების სამხრეთის ჯგუფის გადამწყვეტი შეტევითი მოქმედება წარმოებდა. — **429.**

261 ლენინს მხედველობაში აქვს თეთრგვარდიელთა ჯარებისაგან ურალის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვებანი: წითელი არმიის მიერ დაკავება ქალაქ ზლატოუსტისა (1919 წლის 13 ივლისს) და ქალაქ ეკატერინბურგისა (ამჟამად სვერდლოვსკი) (1919 წლის 14 ივლისს). — **434.**

262 ლაპარაკია მ. ვ. ფრუნზეს შესახებ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც წითელი არმიის ნაწილებმა გადამწყვეტი დამარცხება აგემეს კოლჩაკს. — **434.**

263 სამოქალაქო ომის პერიოდში, და განსაკუთრებით 1919 წელს, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე ძნელი იყო, ვ. ი. ლენინი არაერთხელ, დაჟინებით ურჩევდა ა. მ. გორკის დაესვენა დაძაბული მუშაობისაგან, ემკურნალა, გამოეცვალა გარემოება — პეტროგრადიდან გადასულიყო შემოქმედებისა და დასვენებისათვის უფრო მოხერხებულ ადგილას. — **435.**

264 ვ. ი. ლენინის ეს შენიშვნა გაკეთებულია გ. კ. ორჯონიკიძის 1919 წლის 15 ოქტომბრის წერილზე, რომლითაც იგი ვ. ი. ლენინს აცნობებდა აღმაშფოთებელი უწესოებისა და დანაშაულებრივი მოდუნებულობის შესახებ სამხრეთის ფრონტის XIII და XIV არმიების შტაბებში, რომლებიც ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ხალხის ფარული მტრის ტროცკისა და მისი აგენტების ძირგამომთხრელმა მუშაობამ. — **450.**

265 დეკრეტი «საბჭოთა ხელისუფლების სამოქალაქო აპარატის გამარტივების შესახებ», რომელსაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს, განხილულ იქნა სახკომსაბჭოში 1919 წლის 25 ნოემბერსა და 15 დეკემბერს. — **451.**

266 წითელმა არმიამ თეთრგვარდიელთა ჯარებისაგან ორიოლი გაათავისუფლა იმ დღეს, როცა ვ. ი. ლენინმა ეს წერილი დაწერა, — 1919 წლის 20 ოქტომბერს. — **452.**

267 ლენინს მხედველობაში აქვს გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია — ცენტრისტული პარტია, რომელიც 1917 წლის აპრილში შეიქმნა. 1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ჰალეში გათიშვა მოხდა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გაერთიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. მემარჯვენე ელემენტებმა შექმნეს ცალკე პარტია და მიიღეს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი სახელწოდება. 1922 წელს «დამოუკიდებლები» კვლავ შევიდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. — **459.**

268 1919 წლის დამლევს ლენინმა მითითება მისცა 10 ათასი კვალიფიციური მელითონე მუშა გადაეყვანათ რკინიგზის ტრანსპორტის რემონტზე. პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობამ გააჭიანურ-

მუშების გადაყვანის პირობების შემუშავება. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ლენინის ეს წერილი. — **460.**

269 იგულისხმება ვ. ი. დალის «ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი», რომელიც 4 ტომად გამოიცა 1863 — 1866 წლებში.

ლენინის მითითების თანახმად, განათლების სახალხო კომისარიატმა დაიწყო მუშაობა ახალი ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ მისი გამოცემა იმ დროს ვერ განხორციელდა. ახალი «რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი» 4 ტომად გამოვიდა 1935 — 1940 წლებში დ. ნ. უშაკოვის რედაქციით. — **461.**

270 ლენინს მხედველობაში აქვს გ. მ. კრჟიჟანოვსკის სტატია «მრეწველობის ელექტრიფიკაციის ამოცანები», რომელიც შემოკლებული სახით დაიბეჭდა «პრავდაში» № 20, 1920 წლის 30 იანვარს. — **462.**

271 გ. მ. კრჟიჟანოვსკიმ დაწერა ბროშურა «რუსეთის ელექტრიფიკაციის ძირითადი ამოცანები». ბროშურა გამოიცა 1920 წლის თებერვალში. — **462.**

272 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს წითელი არმიის ზოგიერთი ნაწილის გადაყვანა 1920 წლის დამდეგს შრომითი არმიების მდგომარეობაზე იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებული ყოფილიყვნენ სამეურნეო მშენებლობის დარგში. ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთისა და ვრანგელის წინააღმდეგ ომმა საჭირო გახადა შრომითი არმიების გადაყვანა საბრძოლო მდგომარეობაში. — **465.**

273 იგულისხმება ეგრეთწოდებული «კაპის პუტჩი» (სამხედრო-მონარქისტული გადატრიალება გერმანიაში), რომელიც 1920 წლის მარტში მოახდინა გერმანიის რეაქციულმა სამხედრო ხროვამ კაპის მეთაურობით. მუშათა შეტევის შედეგად რამდენიმე დღის შემდეგ კაპის მთავრობა დაეცა. — **469.**

274 იგულისხმება კ. ა. ტიმირიაზევის წიგნი «მეცნიერება და დემოკრატია. 1904 — 1919 წ. სტატიების კრებული». მოსკოვი, 1920. — **472.**

275 1920 წლის მაისში სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ფრონტზე მოკლეს მწერალ ა. ს. სერაფიმოვიჩის შვილი. — **475.**

276 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა დ. ი. კურსკის იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში და-

სავლეთის ფრონტიდან მიღებულ იქნა მორიგი ოპერატიული ცნობა-იმის შესახებ, რომ XV არმიის შეტევა წარმატებით ვითარდება. — **476.**

277 ამ წერილში მოყვანილი გეგმა თეზისებისა საფუძვლად დაედო ლენინის მოხსენებას კომუნისტური ინტერნაციონალის საერთაშორისო მდგომარეობისა და ძირითადი ამოცანების შესახებ კომინტერნის II კონგრესზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1920 წლის 19 ივლისიდან 7 აგვისტომდე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 253 — 278). — **477.**

278 მ. ვ. ფრუნზე 1920 წლის სექტემბრიდან სამხრეთის ფრონტის ჯარების სარდალი იყო. — **485.**

279 ყირიმი წითელმა არმიამ გაათავისუფლა 1920 წლის ნოემბერში. — **485.**

280 ეს წერილი დაწერილ იქნა ტულის პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის იმ ცდასთან დაკავშირებით, რომ პირველ პლანზე დაეყენებინათ სამეურნეო და საგანმანათლებლო ამოცანები სამხედრო ამოცანების საზიანოდ. — **486.**

281 ეს წერილი დაწერილია მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების სრულიად რუსეთის კომისიისადმი ა. მ. გორკის იმ მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი იუწყებოდა მეცნიერების მუშაკთა ბინების არასწორი შემჭიდროების ცალკეული ფაქტების შესახებ.

ა. მ. გორკი ამ დროს იყო მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების პეტროგრადის კომისიის თავმჯდომარე. — **487.**

282 ლაპარაკია ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის კავშირის შექმნის საკითხის კომისიის სხდომის შესახებ. კომისია სახალხო კომისართა საბჭომ შექმნა 1920 წლის 26 ოქტომბერს; მისი თავმჯდომარე იყო ვ. ი. ლენინი. — **491.**

283 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს საბჭოების VIII სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც შედგა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს და რომელზეც გ. მ. კრჟიჟანოვსკიმ წაიკითხა მოხსენება რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის შესახებ. ელექტრიფიკაციის შესახებ მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 654 — 655). — **496.**

284 კრიტიკა ვ. მილიუტინის თეზისებისა სამეურნეო გეგმის საკითხზე. **იხ.** ვ. ი. ლენინის სტატიაში «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 159 — 170). — **502.**

285 იგულისხმება ტექსტი გ. მ. კრჟიჟანოვსკის სიტყვისა, რომელიც მან წარმოთქვა სახელმწიფო საერთო-საგეგმო კომისიის პირველ სხდომაზე 1921 წლის 5 აპრილს. — **507.**

286 ლაპარაკია წიგნზე «რსფსრ ელექტრიფიკაციის გეგმა. მოხსენება რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიისა საბჭოების მე-8 ყრილობისადმი», რომელიც 1920 წლის დეკემბერში გამოიცა.

ამ წიგნის მნიშვნელობაზე ლენინი ლაპარაკობდა სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ მოხსენებაში საბჭოების VIII სრულიად რუსეთის ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 631 — 637) და სტატიაში «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 159 — 166).

ი. ბ. სტალინმა ამ წიგნს შეფასება მისცა ვ. ი. ლენინისადმი წერილში, რომელიც 1921 წლის მარტშია დაწერილი (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 53 — 55). — **507.**

287 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 159 — 166. — **507.**

288 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 413 — 463). — **519.**

289 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 475 — 507. — **528.**

290 იგულისხმება მზადება «მსოფლიო გეოგრაფიული ატლასის» გამოცემისათვის, რაც ლენინის ინიციატივით დაიწყო. ატლასის გამოცემა არ განხორციელებულა. — **529.**

291 მ უ შ გ ლ ე ხ ი ნ ი — მუშათა და გლეხთა ინსპექცია. — **532.**

292 ი. ბ. სტალინი სამკურნალოდ იმყოფებოდა ქ. ნალჩიკში. 1921 წლის ივნისის დამლევს ი. ბ. სტალინი ნალჩიკიდან თბილისს წავიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის. — **536.**

293 ლაპარაკია სამეურნეო ორგანოების დამხმარე კომისიის შესახებ. — **541.**

294 მ ო ს კ ო ვ ი ს გ უ ბ კ ო მ უ ნ ა — მოსკოვის საგუბერნიო სამომხმარებლო კომუნა. — **545.**

295 იგულისხმება ვ. ვ. ადორატსკის წინასიტყვაობა, რომელიც მან დაწერა მის მიერ ლენინის დავალებით მომზადებული კრებულისათვის

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «წერილები. თეორია და პოლიტიკა მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერაში». კრებული 1922 წელს გამოიცა. — **546.**

206 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1949, გვ. 66, 182 — 183. — **546.**

207 ვ. ვ. ადორატსკი ამ დროს დასაბეჭდად ამზადებდა წიგნს, რომელიც 1923 წელს გამოიცა სახელწოდებით «კარლ მარქსის მეცნიერული კომუნიზმი». — **547.**

298 ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინრის, პროფესორ გ. ო. გრაფტიოს განცხადებაში აღნიშნული იყო მთელი რიგი დაწესებულებების ბიუროკრატიული დამოკიდებულება ვოლხოვ-მშენისადმი. — **552.**

299 იგულისხმება გ. მ. კრჟიჟანოვსკის წიგნი «რსფსრ სამეურნეო პრობლემები და სახელმწიფო საერთო საგეგმო კომისიის სამუშაოები», ნაკვ. I. წიგნი გამოვიდა 1921 წლის დეკემბერში იმ დამატებით, რომელზეც ლენინი წერილში ლაპარაკობს. — **566.**

300 ლაპარაკია ა. გორევის ბროშურაზე «საფრანგეთის ელექტრიფიკაცია». ბროშურა გამოიცა 1922 წელს. — **580.**

301 ლენინს მხედველობაში აქვს კარლ ბალოდის წიგნი «მომავლის სახელმწიფო». წიგნის რუსული თარგმანი გამოიცა 1920 წელს. კ. ბალოდის წიგნის შესახებ ლენინი ლაპარაკობს სტატიაში «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 164). — **581.**

302 წინასიტყვაობა ა. გორევის ბროშურისათვის «საფრანგეთის ელექტრიფიკაცია» ლენინს არ დაუწერია. — **581.**

303 გ უ მ ი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსალური მაღაზია, რომლის დირექტორად იმ დროს იყო ბელოვი. — **584.**

304 პ ლ ე ტ ნ ი ო ვ ი — «პროლეტკულტის» ერთ-ერთი ხელმძღვანელი; «პროლეტარული კულტურის» სახით ა. ბოგდანოვთან ერთად ავრცელებდა მარქსიზმისადმი მტრულ რეაქციულ შეხედულებებს კულტურასა და ხელოვნებაზე. პროლეტკულტელთა შეხედულებების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 386 — 387; ტომი 31, გვ. 380 — 382. — **591.**

305 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის სტატია «რა არის სპეცი და როგორ ქმნიან მას», დაბეჭდილი გაზეთ «პრავდაში» № 244, 1922 წლის 28 ოქტომბერს. — **594.**

306 საერთაშორისო მუშათა დახმარება — ორგანიზაცია, რომელიც საზღვარგარეთ შეიქმნა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი ლენინის 1921 წლის 2 აგვისტოს მიმართვის პასუხად (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 640 — 641). საერთაშორისო მუშათა დახმარება დახმარებას უწევდა 1921 წლის მოუსავლობით დაზარალებულ საბჭოთა რუსეთის მოსახლეობას. — **596.**

ალფაბეტური მაჩვენებელი

წერილების ტექსტში მოყვანილი ფსევდონიმების, მეტსახელების და ინიციალების გაშიფრვისა

ა., ალექსანდრე — ა. შლიაპნიკოვი
ა. მ. — ა. მ. გორკი — 74
ა. მ. — ა. მ. კოლონტაი
ა. პ. — ა. პანეკუკი
ან — დ. ანანუნი
ანდრია — ი. მ. სვერდლოვი
ანტონოვი — ა. პოპოვი (ბრიტმანი)

ბეზრაბოტნი — დ. ზ. მანუილსკი
ბელენინი — ა. შლიაპნიკოვი
ბონჩი — ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი

გალიოტკა — მ. ს. ოლმინსკი
გალინა — ე. თ. როზმიროვიჩი
გრიგოლი, გრ—ი — გ. ზინოვიევი
გრიშა — გ. ბელენკი
გილკა ი. — მ. მალენევსკი

დნევნიცკი — თ. ო. ცედერბაუმი

ე. ბ., ევგ. ბ. — ე. ბ. ბოში

ვ. ი. — ვ. ი. ლენინი
ვარინი — ვ. ფრიდოლინი
ვასილი — ი. ბ. სტალინი
ვეტროვი — მ. ა. სვეტლოვი
ვიტიმსკი — მ. ს. ოლმინსკი
ვოლსკი — ა. ვ. სოკოლოვი

თოგა-პიტერელი — ა. პ. სმირნოვი

ივანოვიჩი — ი. ბ. სტალინი
ილინი ვ. — ვ. ი. ლენინი
ინესა — ი. თ. არმანდი
ისააკი — რასკინი
იუნიუსი — რ. ლუქსემბურგი
იური — გ. პიატაკოვი

J. K. — ი. ი. მარხლევსკი
JUNIUS — რ. ლუქსემბურგი

კ., კამ. — ლ. კამენევი
კამსკი — მ. თ. ვლადიმირსკი
კიევსკი პ., კიი — გ. პიატაკოვი
კობა — ი. ბ. სტალინი
კოსტროვი — ნ. ჟორდანია
კუბა — ი. ვანეკი

ლიუდმილა — ლ. ნ. სტალი

მ. თ., მარიამ თევდორეს ასული — მ. თ. ანდრეევა

მაკარი — ვ. პ. ნოგინი
მეშკოვსკი — ი. პ. გოლდენბერგი
მიხალჩი — ს. მ. ნახიმსონი

ნ. ი., ნ. ივ., ნიკ. ივ. — ნ. ბუხარინი
ნ. კ., ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ნადია — ნ. კ. კრუპსკაია
ნიკ. ვას. — ნ. ვ. კუზნეცოვი (საპოჟკოვი)
ნიკოლოზი — გ. კ. ორჯონიკიძე
ნოე — ს. გ. ბუაჩიძე
NOTA BENE — ნ. ბუხარინი

ოლღა — ს. რავიჩი

პავლე ვასილის-ძე, პავლოვი — ი. ბერზინი
«პარაგრაფი» — პ. ი. სტუჩკა

როზა — რ. ლუქსემბურგი
როპშინი — ბ. სავინკოვი

ს. — გ. კ. ორჯონიკიძე
«სვოი» — მ. ჩერნომაზოვი
სიმა — ს. მიხაილოვა

ტრია — ვ. დ. მგელაძე

ფრანცი — ფ. კორიჩონერი
ფრეი — ვ. ი. ლენინი

ჩუჩაკი — ნ. თ. ნასიმოვიჩი

ჯემსი — ა. ი. ელიზაროვა

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1912 წ.

1. ა. მ. გორკის. თებერვალი 1
2. ა. მ. გორკის. თებერვალ-მარტი . . . . . 2—3
3. გ. შკლოვსკის. 12 მარტი . . . . . 4—6
4. გ. შკლოვსკის. 13 მარტი 7
5. *გ. კ. ორჯონიკიძეს და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს სხვა წევრებს. 28 მარტი . . 8—10
6. კ. ჰიუისმანსს. მარტის მეორე ნახევარი . . 11—12
7. *ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრებს. აპრილის პირველი ნახევარი . . 13
8. *რსდმ პარტიის კიევის კომიტეტს. 16 აპრილი . 14—15
9. გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას. 22 აპრილი . . 16—17
10. ბ. ნ. კნიპოვიჩს. 6 ივნისი . . . . . 18—20
11. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 19 ივლისი . . 21—23
12. გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციას. 24 ივლისი . . . . . 24—26
13. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. ივლისის დამლევი . . . . . 27—29
14. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 1 აგვისტო . . 30—32
15. ა. მ. გორკის. 1 აგვისტო . . . . . 33—34
16. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 2 აგვისტო . . 35—37
17. ა. მ. გორკის. აგვისტო . . . . . 38—40
18. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 8 სექტემბერი . 41—42
19. ა. მ. გორკის. ოქტომბრის დამდეგი . . . 43
20. ა. მ. გორკის. 17 ოქტომბერი . . . . . 44—45

21. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 2 ნოემბერი . . 46—47
22. *გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. ნოემბრის პირველი ნახევარი 48
23. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 24 ნოემბერი . 49—50
24. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 26 ნოემბერი . 51—52
25. ა. მ. გორკის. 22 ან 23 დეკემბერი . . . . 53—54

1913 წ.

26. ა. მ. გორკის. იანვრის დამდეგი . . . . . 55—58
27. ნ. ა. რუბაკინს. 25 იანვარი 59
28. ა. მ. გორკის. იანვრის დამლევი . . . . . 60—63
29. *ი. მ. სვერდლოვს. 9 თებერვალი . . . . . 64—66
30. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 14 თებერვალი . 67
31. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 19 თებერვალი . 68—69
32. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 21 თებერვალი . 70—71
33. მ. ა. საველიევს. 22 თებერვალი . . . . . 72—73
34. ა. მ. გორკის. თებერვლის მეორე ნახევარი . 74—77
35. *გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. 27 თებერვალზე ადრე 78
36. ა. მ. გორკის. 6 მარტის შემდეგ 79
37. *გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. 29 მარტზე ადრე . . . . . 80—81
38. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 5 აპრილი . . . 82—84
39. ა. მ. გორკის. მაისის პირველი ნახევარი . 85—86
40. *გაზეთ «პრავდის» რედაქციას. მაისის ბოლო . 87—89
41. ბ. ვ. პლეხანოვს. არაუგვიანეს 22 ივნისისა 90—91
42. ა. მ. გორკის. არაუგვიანეს 22 ივნისისა . 92—93
43. IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს. 30 ივნისი . . . . . 94—95
44. ა. მ. გორკის. 25 ივლისი . . . . . 96—97
45. *გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ა. ბებელის გარდაცვალების გამო. 13 და 17 აგვისტოს შუა 98

46. ს. ბ. შაუმიანს. 24 აგვისტო 99
47. *გაზეთ «პრავდა ტრუდას» რედაქციას. არაუადრეს 30 სექტემბრისა 100
48. ა. მ. გორკის. 30 სექტემბერი . . . . . 101—102
49. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. ოქტომბერ-დეკემბერი 103
50. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არაუადრეს 2 ნოემბრისა . . . . . 104—105
51. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არაუადრეს 3 ნოემბრისა 106
52. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 7 ნოემბერი 107—108
53. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 9 ნოემბერ-ზე ადრე 109
54. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არაუადრეს 12 ნოემბრისა 110
55. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არაუადრეს 13 ნოემბრისა 111
56. *გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არაუადრეს 16 ნოემბრისა 112
57. ა. მ. გორკის. შუა ნოემბერი . . . . . 113—117
58. ა. მ. გორკის. დეკემბერი . . . . . 118—121
59. *ინესა არმანდს. 18 დეკემბრის შემდეგ . . 122
60. *ინესა არმანდს. დეკემბრის დამლევი . . . 123—124

1914 წ.

61. *დ. ვაინკოპს. 12 იანვარი . . . . . 125—127
62. *ჟურნალ «ძვინის» რედაქციას. მარტი 128
63. *ინესა არმანდს. 1 აპრილი . . . . . 129—130
64. *ინესა არმანდს. 24 აპრილი . . . . . 131—132
65. ნ. ნ. ნაკორიაკოვს. 18 მაისი . . . . . 133—134
66. ს. ბ. შაუმიანს. 19 მაისი . . . . . 135—136

67. *ინესა არმანდს. 5 ივნისი . . . . . 137—138
68. *ინესა არმანდს. 15 ივლისზე ადრე . . . . 139—143
69. *ლატვიელ სოციალ-დემოკრატს. 18 ივლისის შემდეგ . . . . . 144—147
70. გრანატის გამოცემათა რედაქციას. 21 ივლისი . 148
71. *გრანატის გამოცემათა რედაქციას. 28 ივლისი . 149
72. ვ. ა. კარპინსკის. 27 სექტემბრის შემდეგ . . 150—151
73. ვ. ა. კარპინსკის. 11 ოქტომბერზე ადრე . . 152—153
74. ვ. ა. კარპინსკის. 11 ოქტომბერი 154
75. ვ. ა. კარპინსკის. 17 ოქტომბერი . . . . . 155—156
76. ა. შლიაპნიკოვს. 17 ოქტომბერი . . . . . 157—160
77. ა. შლიაპნიკოვს. 17 ოქტომბერი . . . . . 161—162
78. ა. შლიაპნიკოვს. 27 ოქტომბერი . . . . . 163—166
79. ა. შლიაპნიკოვს. 31 ოქტომბერი . . . . . 167—170
80. გრანატის გამოცემათა რედაქციის მდივანს. 17 ნოემბერი . . . . . 171—172
81. ა. შლიაპნიკოვს. 28 ნოემბერი . . . . . 173—174
82. ა. მ. კოლონტაის. დეკემბრის დამლევი . . 175—176

1915 წ.

83. ბასკს. 12 იანვარი 177
84. *ინესა არმანდს. 17 იანვარი . . . . . 178—179
85. *ინესა არმანდს. 24 იანვარი . . . . . 180—183
86. ა. შლიაპნიკოვს. 11 თებერვალი . . . . 184—186
87. ა. მ. კოლონტაის. გაზაფხული . . . . . 187—188
88. *დ. ვაინკოპს. ივნისი . . . . . 189—190
89. ა. მ. კოლონტაის. ივლისი . . . . . 191—192
90. *დ. ვაინკოპს. ივლისი . . . . . 193—196
91. ა. მ. კოლონტაის. ზაფხული . . . . . 197—198
92. ა. მ. კოლონტაის. ზაფხული . . . . . 199—200
93. ა. შლიაპნიკოვს. 23 აგვისტო . . . . . 201—203
94. კ. რადეკს. აგვისტოს დამლევი . . . . . 204—205
95. ა. შლიაპნიკოვს. სექტემბრის დამდეგი . . 206—207

96. ა. შლიაპნიკოვს. 10 ოქტომბერი . . . . . 208—209
97. ა. მ. კოლონტაის. 9 ნოემბერი . . . . . 210—212

1916 წ.

98. ა. მ. გორკის. 11 იანვარი 213
99. ა. შლიაპნიკოვს. მარტი . . . . . 214—218
100. *ბ. ზინოვიევს. 21 მაისი . . . . . 219—224
101. ა. შლიაპნიკოვს. ივნისი . . . . . 225—228
102. მ. ნ. პოკროვსკის. 2 ივლისი . . . . . 229—230
103 *ბ. ზინოვიევს. აგვისტო . . . . . 231—233
104. *ნ. ბუხარინს. აგვისტო . . . . . 234—235
105. ა. შლიაპნიკოვს. სექტემბრის დამლევი—
ოქტომბრის დამდეგი . . . . . 236—241
106. ნ. დ. კიკნაძეს. ოქტომბრის დამდეგი . . . 242—243
107. ფრანც კორიჩონერს. 25 ოქტომბერი . . . 244—247
108. ნ. დ. კიკნაძეს. ნოემბერი . . . . . 248—251
109. *ინესა არმანდს. 20 ნოემბერი . . . . . 252—253
110. *ინესა არმანდს. 25 ნოემბერი . . . . . 254—255
111. *ინესა არმანდს. 30 ნოემბერი . . . . . 256—263
112. არტურ შმიდტს. 1 დეკემბერი . . . . . 264—266
113. *ინესა არმანდს. 18 დეკემბერი . . . . . 267—269
114. მ. ნ. პოკროვსკის. 21 დეკემბერი . . . . 270—271
115. *ინესა არმანდს. 25 დეკემბერი . . . . . 272—276
116. *ინესა არმანდს. დეკემბერი . . . . . 277—278

1917 წ.

117. *ინესა არმანდს. იანვრის პირველი ნახევარი 279—280
118. *ინესა არმანდს. 19 იანვარი . . . . . 281—284
119. *ინესა არმანდს. 22 იანვარი . . . . . 285—287
120. *ინესა არმანდს. 30 იანვარი . . . . . 288—289
121. *ინესა არმანდს. 30 იანვარი . . . . . 290—292
122. *ინესა არმანდს. 3 თებერვალი . . . . . 293—296
123. ა. მ. კოლონტაის. 17 თებერვალი . . . . 297—299
124. *ინესა არმანდს. 19 თებერვალი . . . . . 300—302
125. ა. მ. კოლონტაის. 5 მარტი . . . . . 303—307

126. *ინესა არმანდს. 15 მარტი 308
127. ა. მ. კოლონტაის. 16 მარტი . . . . . 309—311
128. ა. მ. კოლონტაის. 17 მარტი . . . . . 312—314
129. ვ. ა. კარპინსკის. 19 მარტი . . . . . 315—316
130. ვ. ა. კარპინსკის. 24 მარტი 317
131. *ა. ვ. ლუნაჩარსკის. 25 მარტზე ადრე . . . . 318—319
132. ვ. ა. კარპინსკის. 25 მარტი . . . . . 320—322
133. *ინესა არმანდს. 25 და 31 მარტს შუა . . . . 323—324
134. ი. განეცკის. 30 მარტი . . . . . 325—331
135. *ვ. ა. კარპინსკის. 2 ან 3 აპრილი . . . . . 332—333
136. ვ. ა. კარპინსკის. 12 აპრილი . . . . . 334—335
137. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს. 17/30 აგვისტო . . . . . 336—344
138. ამხანაგებს კუუსინენს, სიროლას და ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა წევრებს. 11 ნოემბერი 345
139. დეპეშა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს. 19 ნოემბერი 346
140. *დეპეშა ოსტროგოჟსკის საბჭოს თავმჯდომარეს. 19 დეკემბერი 347

1918 წ.

141. *დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 22 იანვარი . . 348
142. დეპეშა ს. გ. შაუმიანს. 14 თებერვალი . . . 349
143. *დეპეშა ქალაქ დრისის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს. 19 თებერვალი 350
144. *სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს. 22 აპრილი 351
145. დ. ი. კურსკის. არაუგვიანეს 8 მაისისა . . 352
146. *ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 23 მაისი 353
147. *ტელეფონოგრამა პეტროგრადის საბჭოს. 2 ივნისი 354

148. *დეპეშა ნიჟნში — რეკა. 8 ივნისი 355

149. *გ. ზინოვიევს. 26 ივნისი . . . . . 356—357
150. *დეპეშა ა. იურიევს. 26 ივნისი 358
151. *ს. გ. შაუმიანს. 29 ივნისი 359
152. *დეპეშა სარეკვიზიციო რაზმების უფროსებს რკინიგზების ყველა ხაზზე. 1 ივლისი . . . 360—361

153. რკპ ყველა რაიონულ კომიტეტს, ყველა რაიონულ დეპუტატთა საბჭოს, წითელი არმიის ყველა შტაბს. 6 ივლისი 362

154. ტელეფონოგრამა მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს. 7 ივლისი 363

155. *რადიოგრამა ს. გ. შაუმიანს. 22 ივლისი . . 364
156. *კ. ცეტკინს. 26 ივლისი . . . . . 365—366
157. *დეპეშა ს. გ. შაუმიანს. 29 ივლისი 367
158. *ა. დ. ციურუპას. 5 აგვისტო . . . . . 368—369
159. *დეპეშა ასტრახანის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს. 9 აგვისტო 370

160. *ნიჟნი-ნოვგოროდის დეპუტატთა საბჭოს. 9 აგვისტო 371

161. *დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს. 10 აგვისტო 372

162. *დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს. 12 და 14 აგვისტოს შუა 373

163. *დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს. 14 აგვისტო 374

164. *დეპეშა ზადონსკის აღმასკომს. 17 აგვისტო . 375
165. *დეპეშა ორიოლის გუბერნიის ზდოროვეცის აღმასკომს. 19 აგვისტო 376

166. *დეპეშა ლივნის აღმასკომს. 20 აგვისტო . . 377

167. *დეპეშა ასტრახანის საგუბერნიო აღმასკომს. 21 აგვისტო 378

168. სახალხო კომისრებს სახკომსაბჭოს იმ დადგენილების გამო, რომელიც სახალხო კომისარიატების ანგარიშებს შეეხება. 29 აგვისტო . 379

169. მ. კედროვს. 29 აგვისტო 380

170. დეპეშა V არმიის შტაბს. 7 სექტემბერი . . 381

171. *დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის. 18 სექტემბერი . 382

172. მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინიგზის ამხანაგ რკინიგზელებს. 20 სექტემბერი 383

173. ვ. ვ. ვოროვსკის. 20 სექტემბერი . . . . . 384—385

174. *ი. მ. სვერდლოვს. 1 ოქტომბერი . . . . . 386—387

175. *მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს. 12 ოქტომბერი 388—389

176. დეპეშა სამარის აღების გამო. 13 ოქტომბერი 390—392

177. სპარტაკის ჯგუფის წევრებს. 18 ოქტომბერი . 393—394

178. *დეპეშა მთავარსარდალს. 20 ოქტომბერი . . 395

179. ტელეფონოგრამა რსფსრ-ის წარმომადგენელს ბერლინში. 23 ოქტომბერი 396

180. *დეპეშა ორიოლისა და კურსკის საგუბერნიო აღმასკომებს და პარტიის საგუბერნიო კომიტეტებს. 9 ნოემბერი . . . . . 397—398

181. *დეპეშა რკპ(ბ) უნეჩის ორგანიზაციის თავმჯდომარეს. 13 ნოემბერი 399

182. *დეპეშა პარტიის ორიოლის საგუბერნიო კომიტეტს. 13 ნოემბერი 400

183. ტელეფონოგრამა მთავარსარდალს. 23 დეკემბერი 401

184. დეპეშა ჩრდილოეთის ოლქის კომუნეების საბჭოს. 27 დეკემბერი 402

1919 წ.

185. *დეპეშა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს. 2 თუ 3 იანვარი . 403
186. *დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 20 აპრილი 404
187. *დეპეშა უკრაინის ფრონტის სარდალს. 22 აპრილი 405
188. *დეპეშა ასტრახანის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 24 აპრილი 406
189. *დეპეშა უკრაინის საბჭოთა მთავრობას. 24 აპრილი 407
190. *დეპეშა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალს და რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 24 აპრილი 408
191. *დეპეშა უკრაინის ფრონტის სარდალს. 25 აპრილი 409
192. *«პრავდის» რედაქციას. 25 აპრილი 410
193. უკრაინის მე-2 საბჭოთა არმიის შტაბს და ყველა ამხანაგს ამ არმიაში. 2 მაისი 411
194. *დეპეშა უკრაინის საბჭოთა მთავრობას. 5 მაისი 412
195. *დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 6 მაისი 413
196. *დეპეშა V არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 12 მაისი 414
197. *დეპეშა პეტროგრადის თავდაცვის კომიტეტს. 14 მაისი 415
198. *დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 19 მაისი 416
199. *დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 21 მაისი 417

200. *დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს. 26 მაისი . . 418
201. *დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 29 მაისი 419
202. *დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 30 მაისი 420
203. *დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 9 ივნისი 421
204. *ე. სკლიანსკის. 10 ივნისი 422
205. *დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 11 ივნისი 423
206. *დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 14 ივნისი 424
207. *დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 14 ივნისი 425
208. დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს. 16 ივნისი 426
209. *დეპეშა ფრონტისპირა რაიონების აღმასკომებს. 16 ივნისი 427
210. *დეპეშა X არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 18 ივნისი 428
211. *დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 20 ივნისი . . . 429
212. დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 1 ივლისი 430
213. *დეპეშა IV არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, სარატოვის საგუბერნიო აღმასკომს და პარტიის საგუბერნიო კომიტეტს. 2 ივლისი . 431
214. *დეპეშა სარატოვის საგუბერნიო აღმასკომს. 8 ივლისი 432
215. *დეპეშა ტულის მელითონეთა ყრილობას. 11 ივლისი 433

216. *დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 17 ივლისი 434
217. *ა. მ. გორკის. 18 ივლისი 435
218. *ა. მ. გორკის. 31 ივლისი . . . . . 436—441
219. *დეპეშა VII არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 1 აგვისტო 442
220. *დეპეშა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს. 9 აგვისტო . . 443
221. *რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 10 აგვისტო 444
222. *რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. აგვისტოს ბოლო 445
223. *დეპეშა ბაშკირეთის რევკომს. 5 სექტემბერი . 446
224. *ს. ი. გუსევს. 16 სექტემბერი . . . . . 447—448
225. *ე. სკლიანსკის. 15 ოქტომბერი 449
226. *წარწერა ბ. კ. ორჯონიკიძის წერილზე. 16 თუ 17 ოქტომბერი 450
227. ტულის რევკომს. 20 ოქტომბერი . . . . . 451—452
228. *მიწერილობა სამხედრო სახალხო კომისრის მოადგილეს. 24 ოქტომბერი 453
229. *ვ. ვ. ვორუოვსკის. 24 ოქტომბერი . . . . 454—455
230. *პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს. ოქტომბერი 456
231. ბ. მ. ქრუჟიჟანოვსკის. 26 დეკემბერი . . . . 457—458
232. *დეპეშა მ. მ. ლიტვინოვს. 28 დეკემბერი . . 459

1920 წ.

233. მ. ტომსკის. 16 იანვარი 460
234. *ა. ვ. ლუნაჩარსკის. 18 იანვარი 461
235. ბ. მ. ქრუჟიჟანოვსკის. 23 იანვარი . . . . . 462—463
236. *მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩს. 5 თებერვალი 464
237. *რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 27 თებერვალი 465

238. *დეპეშა კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 11 მარტი 466
239. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 14 მარტი . . . . . 467—468
240. *რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 15 მარტი 469
241. *დეპეშა კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 17 მარტი 470
242. ვ. ვ. ადორატსკის. 6 აპრილი 471
243. კ. ა. ტიმირიაზევს. 27 აპრილი 472
244. *მ. ნ. პოკროვსკის. 5 მაისი 473
245. *დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 5 მაისი 474
246. ა. ს. სერაფიმოვიჩს. 21 მაისი 475
247. *დ. ი. კურსკის. ივლისის დამდეგი 476
248. *კომინტერნის აღმასკომს. 19 ივლისი . . . . 477—478
249. *ბ. ვ. ჩიჩერინს. 22 ივლისი . . . . . 479—480
250. რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკას. 1 სექტემბერი 481
251. *დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 9 სექტემბერი . 482
252. ჩერემხოვოს მაღაროელებს. 15 სექტემბერი . 483
253. *დეპეშა I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 4 ოქტომბერი 484
254. *დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს. 16 ოქტომბერი . . . 485
255. *ტულელ ამხანაგებს. 20 ოქტომბერი . . . 486
256. პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს. 21 ოქტომბერი 487
257. *დეპეშა I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 24 ოქტომბერი 488
258. *რ. ე. კლასონს. 2 ნოემბერი . . . . . 489—490
259. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 6 ნოემბერი . . . . 491—492
260. სახელმწიფო გამომცემლობას. 11 დეკემბერი 493
261. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. დეკემბერი . . . . 494—495
262. *ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. დეკემბრის დამლევი . 496—497

1921 წ.

263. რკპ(ბ) ბაკურის სავოლოსტო ორგანიზაციას. 21 იანვარი . . . . . 498—499
264. *სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს. 26 იანვარი 500
265. *რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 6 თებერვალი 501
266. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 19 თებერვალი . . . 502
267. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 25 თებერვალი . . . 503—505
268. დეპეშა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 10 მარტი 506
269. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 5 აპრილზე გვიან . . 507—508
270. *განათლების სახალხო კომისარიატს. 8 აპრილი 509
271. დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 9 აპრილი . . . 510
272. *განათლების სახალხო კომისარიატს. 9 აპრილი 511—512
273. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 12 აპრილი . . . . . 513—514
274. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 13 აპრილი . . . . . 515—516
275. *ე. ა. ლიტკენსს. 6 მაისი 517
276. «პრავდის» რედაქციას და «იზვესტიის» რედაქციას. 9 მაისი 518
277. მ. სოკოლოვს. 16 მაისი . . . . . 519—521
278. *ე. ა. ლიტკენსს. 19 მაისი 522
279. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 25 მაისი . . . . . 523—524
280. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 26 მაისი . . . . . 525—526
281. *დეპეშა ფ. ე. ძერჟინსკის. 27 მაისი 527
282. *«ბლავტოპს». 27 მაისი 528
283. მ. პ. პავლოვიჩს. 31 მაისი . . . . . 529—530
284. *ე. ა. ლიტკენსს. მაისის ბოლო 531
285. ვ. ა. ავანესოვს. 1 ივნისი 532
286. *«ბლავნეფტს». 3 ივნისი 533
287. *ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 5 ივნისი . . . . . 534—535
288. *დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 4 ივლისი . . . 536

289. *სასურსათო სახალხო კომისარიატს. 10 ივლისი 537—538
290. *დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს. 17 ივლისი . . . 539
291. *დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს. 25 ივლისი . . . 540
292. ა. ა. კოროსტელევს. 26 ივლისი . . . . . 541—542
293. «ცენტროსოიუზს». 29 ივლისი . . . . . 543—544
294. *ტელეფონოგრამა მოსკოვის გუბკომეუნის თავმჯდომარეს. 30 ივლისი 545
295. ვ. ვ. ადორატსკის. 2 აგვისტო . . . . . 546—547
296. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო გამომცემლობას. 7 აგვისტო . 548
297. *რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თურქესტანის ბიუროს. 7 აგვისტო 549
298. *ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარს. 2 სექტემბერი . . . . . 550—551
299. დ. ი. კურსკის. 3 სექტემბერი . . . . . 552—553
300. ი. კ. ეფოვს. 28 სექტემბერი . . . . . 554—556
301. სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველს. 13 ოქტომბერი . 557
302. სიდნეი ჰილმანს. 13 ოქტომბერი . . . . . 558—559
303. ნ. ა. სემაშკოს. 24 ოქტომბერი . . . . . 560—561
304. *ა. ბელენკის. 15 ნოემბერი 562
305. *სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანს. ნოემბერი 563
ბარათები მდივანს . . . . . 564—565
306. * 1. 28 დეკემბერი 564
307. * 2. დეკემბრის დამლევი 565
308. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. დეკემბერი 566

1922 წ.

309. დ. ი. კურსკის. 17 იანვარი . . . . . 567—568
ა. დ. ციურუპას . . . . . 569—578

310. 1. სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის ახლებურად დაყენების შესახებ. 24 იანვარი . . . 569—572

311. 2. ახლებურად მუშაობის პროგრამის შესახებ. 20 თებერვალი . . . . . 573—574

312. 3. წინადადება მცირე სახკომსაბჭოსათვის მისაცემი დირექტივის პროექტის გამო. 21 თებერვალი 575

313. 4. პროექტი დირექტივისა შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს, აგრეთვე მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ. 27 თებერვალი . . . . . 576—578

314. ვ. ა. კარპინსკის. 26 იანვარი 579

315. *გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 28 იანვარი . . . . . 580—581

316. ფინანსთა სახალხო კომისარიატს. 1 თებერვალი . . . . . 582—583

317. *ფინანსთა სახალხო კომისარიატს. 15 თებერვალი . . . . . 584—585

318. *ფინანსთა სახალხო კომისარიატს. 22 და 28 თებერვალი . . . . . 586—587

319. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 6 აპრილი 588

320. კარლ უტეინმეცს. 10 აპრილი . . . . . 589—590

321. *ბარათი ბუხარინს. 27 სექტემბერი 591

322. *სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 16 ოქტომბერი . . . . . 592—593

323. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს. 15 ნოემბერი . . 594—595

324. საერთაშორისო მუშათა დახმარების მდივანს. 2 დეკემბერი . . . . . 596—597

შენიშვნები . . . . . 598—638

ალფაბეტური მაჩვენებელი წერილებ ტექსტში მოყვანილი ფსევდონიმების, შეხელების და ინიციალების გაშიფრვისა [illegible]—640

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-1953.
უე 02616. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 41,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი,
მარჯანიშვილის ქ., 5.
შეკვეთის № 488.